

12
1970



გეტოგო

114 / 2

11

1970

მნათობი

საქართველოს
განათლების
მინისტროს

სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის
და სასოფლის მეურნეობის მინისტროს

წელიწადი 46-ი

№ 11

ნოემბერი, 1970 წ.

საქართველოს საბავშვო მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ ს ი

იოსებ გრიშაშვილი — თბილისი, ბავშვ და ირმანი. ლექსი	3
სტ. კარბიანი — არმენია	4
თეიმურაზ ჯანვალაშვილი — საბავშვო ამირკავკასია. ლექსი	8
კალე ბოგოშიძე — სივანის ღამე. ლექსი	14
ლევან ვოთვა — მუშლი მუხბასა... მოთხრობა	15
ვახტანგ გორგაძელი — ლექსები	33
გრიგოლ ზემოხანი — თბილისი დაღბა... რომანი	38
ზაქარია შერაზდუშვილი — ლექსები	99
დავით კვიციანი — მშენებელი, უსივრცე ტყეებო! რომანი. ნაწილი მეორე გაგრძელება	102
თენგივ კაკუშაძე — ლექსები	123

კრიტიკა და კუბლიცისტია

გაბრიელ მებგაღიშვილი — ფრიდრიხ ენგელსი	126
ალექსანდრე ბახტაძე — კ. მარქსისა და ფ. ენგელსის უკეთიერებები რუს მარქსისტებთან	134
ალექსანდრე კალანდიაძე — კორეპტივიზმი	143
ლევან კვიციანი — „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ შესახებ	161
არლი თაყაიშვილი — ენა, მწერალი, ენათმეცნიერი	174

ფაქტები, მოგონებანი

შალვა მარკოზაშვილი — იოსებ დავითაშვილი თელავში	190
--	-----



მთავარი რედაქტორი ელგუშა მალრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბანაშვილი, დ. გამყარაშვილი, მ. ლიბანიძე, ბ. შლენგი, ა. სულაპრო-
ნი, ა. ქუთათელი, ე. უფიანი (პ/მგ. მდიანი), ს. შანშიაშვილი, დ. შინგალია, ვ. წულუ-
კიძე, თ. ბილაძე, რ. ჯაფარიძე, ვ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ნაპოძე

რედაქციის მისამართი: თბილისი,
რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11-
პ/მგ. მდიანის — 98-55-13, განყოფილებუ-
ბის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 25/IX-70 წ., ხელმოწერი-
ლი დასაბეჭდად 10/XI-70 წ., ასაწყობის ზომა
7 $\frac{1}{4}$ X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 $\frac{1}{16}$
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პარობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16,8.

№ 02225. ტირაჟი 11.400. შეკვ. № 2889

საქ. კვ ც-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.





იოსებ გრიგაშვილი

თბილისი, ბაქო და ერევანი

თბილისი, ბაქო და ერევანი! —
რა კარგი თქმაა, რა დიდებული,
ეს ერთი ვაჟის სამი მტყევანი
ძმურ მარანშია დაკიდებული.

ჯერ კიდევ ძველად საქართველოში,
როცა მეფობდა ისარ-მშვიდობა,
როდი ვისხედით მყუდროდ ჩეროში,
ვიბრძოდით, ვჭკვდიით: „გვინდა მშვიდობა!“

საიათნოვა, აშულთა მამა,
ჩანგს რომ უკრავდა მხნედ, არხეინად,
ისიც კი მტრისკენ გაიჭრა სამად, —
სიმღერით ქელი მოახრევიანა.

ჩვენს ალალ გულებს, ჩვენს მაგარ ძარღვებს
საფუძვლად ძმობის სიმართლე უძევს.
არ დაირღვევა, არ დაირღვევა
პარტიის სიბრძნით ნაშენი ფუძე.

და თუ გაბედავს ვინმე აფთარი,
რომ სის ფოთოლიც კი შეათრთოლოს,
ჩვენი ლაშქარი მუდამ მზად არი
უნასთა ბუღეს მოუღოს ბოლო.

თბილისი, ბაქო და ერევანი!
რა კარგი თქმაა, რა დიდებული,
ეს ერთი ვაჟის სამი მტყევანი
ძმურ მარანშია დაკიდებული.



სს. კარგიანი

ჟურ. „სოცეტაკან გრაქანთიუნის“
 მთ. რედაქტორი

ა რ მ ე ნ ი ა

ა რ მ ე ნ ი ა — ეს ის ქვეყანაა, რომელიც მთელი მე-19-ე საუკუნე და მეორე საუკუნის პირველი ორი ათეული წელი ამერიკელი და ევროპელი დიპლომატების, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დიდი მოხელეების თოჯინას წარმოადგენდა. გლადსტონით დაწყებული და კლემანსოთი გათავებული ბევრ პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეს აუწერია ამ უძველესი ქვეყნის ხალხის სავალალო მდგომარეობა, „ქრისტიანი სომხების ხოცვა-ჟლეტა“, მრავალს დაუღვრია ნიანგის ცრემლები სომეხ ხალხის ტანჯვა-წამების გამო და ქვეყნის დაპყრობის მიზნით დიპლომატიური ოინბაზობის საგნად გაუხდია ამ ქვეყნის ხვედრი.

არმენია — ეს არის ქვეყანა, რომლის უკვე წარსულში გადასულ დიდ ტრაგედიას გულის საღრმემდე აუღელვებია კაცობრიობის მოწინავე ადამიანები, დიდი ჰუმანისტი მწერლები და კულტურის მოღვაწეები. მათ თავიანთი საპროტესტო ხმა აღმადლებიან ამ მრავალტანჯული ხალხის ფიზიკური განადგურების წინააღმდეგ. საფრანგეთის ცნობილი მწერლები ანატოლ ფრანსი, ანრი ბარბუსი და სხვ. კეთილმოსურნე ადამიანები დიპლომატებს, ევროპის ქრისტიან სახელმწიფოების მეს-

ვერებს მოწოდებას მოწოდებაზე უგზავნიდნენ, რომ სომეხი ხალხი დაეხსნათ თურქეთის გამანადგურებელი უღლისაგან, სთხოვდნენ ქომავობა გაეწიათ სომეხი ხალხისათვის, „გაწამებულ არმენიისათვის“, ებრალებოდათ იგი და ხშირად თავიანთ გულის წყრომას სისხლისმსმელი ტირანების მისამართით აშკარად გამოსთქვამდნენ, კვლავ და კვლავ წინა პლანზე სწევდნენ „სომხეთის საკითხს“.

გამოჩენილი ინგლისელი პოეტი ბაირონი, რომელიც სომხური ენის შესწავლას აპირებდა, გასული საუკუნის დასაწყისში ვენეციაში ყოფნისას წერდა: „სომეხი ხალხი და მისი სამშობლო მუდამ იქნება მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მაღალი კულტურის ქვეყანაო“, ხოლო ანატოლ ფრანსი ღრმა გულისტკივილით ამბობდა: „სომეხი კვდება, რადგან იგი, ჩვენი თანამოძმესავით, იზიარებს ჩვენს გრძნობებს, უყვარს ის, რაც ჩვენ გვიყვარს, აზროვნებს ისე, როგორც ჩვენ ვაზროვნებთ, სწამს ის, რაც ჩვენა გვწამს, და ჩვენსავით იგემა სიბრძნე — სიმაართლე, პოეზია, ხელოვნება. ასეთი ხალხი არასოდეს არ მოკვდება...“ იმ კოშმარულ დღეებში ანრი ბარბუსმა მთელი

ტომი დაწერა: „საშინელ ქვეყანაში — წამებულ სომხეთზე“.

ბევრი ევროპელი მოგზაურის მემუარებშია აღწერილი სომხეთის და სომეხი ხალხის აუტანელი მდგომარეობა, გლეხობის სიღატაკე, ძალმომრეობა, სისხლი და აწიოკება.

ლოუ ვილიამსმა არმენიის ტრაგედიის ისტორია აღწერა. იგი ხმამაღლა ამცნობდა განათლებულ ქვეყნებს, რომ მათ თვალწინ ნადგურდებოდა უძველესი ერი თავის დიადი კულტურითა და ხუროთმოძღვრებით.

ევროპელი დიპლომატი ჯემს ბრაისი ცბიერად იღიმებოდა და ოპტიმისტურად გაიძახოდა:

„ვიმედოვნებ და ვილოცოთ, რომ სომხეთის მრავალწლიანი ტრაგედია დასასრულს უახლოვდება, ახლო მომავალში ბოლო მოეღება ტანჯვა-წამებას და ხალხი აღსდგება“...

მაგრამ ევროპის დიპლომატების, ცბიერი, ორაზროვანი, ვერაგული მიზნები სომეხი ხალხის ხსნის გზა არ იყო.

სახელმწიფოებრივი ჰუმანისტი ფრიტოფ ნანსენი თავის ნაშრომში „სომხეთი და ახლო აღმოსავლეთი“ ლაპარაკობს რა სომეხების შესახებ, როგორც „ტრაგედიული ბედ-იბღბლის ღირს-შესანიშნავ ხალხზე“, წიგნიც ბოლოს, სომეხი ხალხის, გათავისუფლების მიზნით წერდა: „იმედი მაქვს, რომ ჩემ წიგნში მოყვანილი ფაქტები ევროპის სინდისზე იმოქმედებენ“.

მაგრამ ნანსენიც მწარედ მოტყუვდა. ევროპის დიპლომატების სინდისმა და გაქვევებულმა გულმა სრულიად გულგრილად მიიღო ცნობა ისტორიაში არნახული, სომეხების ბარბაროსული ზოცვა-ქლევითა და ფიზიკური გაჩანაგების შესახებ სულთან აბდულ ჰამიდის მიერ.

და სავსებით მართალი იყო ნანსენი, როცა, ჰუმანისტი ადამიანის დიდი და წირფელი გულით აღიარა: „რამდენადაც დიდი უბედურება იყო ევროპის დიპლომატიის პოლიტიკაში სომეხი ხალხის

საკითხის აღწერა, იმდენად უკეთესი იქნებოდა მისი სახელი არასოდეს არ თქმულაყო ევროპის დიპლომატების ენაზე“. ეს მწარე, მაგრამ ხალისი მართლე იყო.

მხოლოდ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ დაიწყო სომეხმა ხალხმა საუკუნოვანი ჩაგვრის მარწუხებისაგან გათავისუფლება. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით არა მარტო ბოლო მოეღო კლასობრივ ექსპლოატაციას, პირისისხლიანი დაშინებების ბატონობას და ქვეყნის გამანადგურებელ პოლიტიკას, არამედ ამ დღიდან დაიწყო სომეხი ხალხის ნამდვილი ეროვნული აღორძინება, მისი კულტურული და ეკონომიური აღმავლობა.

საბჭოთა ხელისუფლებამ სულ მოკლე დროში უზრუნველყო სომეხი ხალხის ეკონომიური და კულტურული აყვავება და ევროპის გაქნილ დიპლომატებს ცბიერი მსჯელობის დღის წესრიგიდან მოუხსნა საკითხი „წამებულ არმენიაზე“, საკითხი ქერივ-ობოლთა, მშიერ-მწყურვალთა და ლტოლვილთა ამოაღმარებისა.

დღეს მთელ მსოფლიოში ბედნიერად ეძღვრის სომხეთის ხმა, საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკის ერთერთი მოკავშირე რესპუბლიკა — არმენია. დღეს აყვავებული ინდუსტრიის ქვეყნის — სომხეთის პროდუქცია ევროპის მრავალ ქვეყანაში გადის, გუშინდელმა ბნელმა ქვეყანამ, არმენიამ, ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერჯის წარმოებით უკან მოიტოვა ევროპის განათლებული ქვეყნები, საფრანგეთის, ბელგიის ჩათვლით, და 76 პროცენტით უფრო მეტ ელექტროენერჯის აწარმოებს, ვიდრე იტალია, 80 პროცენტით მეტს ვიდრე იაპონია, 21-ჯერ მეტს, ვიდრე თურქეთი. ახლა სომხეთში ყოველდღიურად უფრო მეტი ელექტრო ენერჯია იწარმოება, ვიდრე 1913 — მთელი წლის განმავლობაში.

სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული

სტუმრები — მუშები, გლეხები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, საზოგადო მოღვაწეები წარუშლელ შთაბეჭდილებებით ბრუნდებიან თავიანთ ქვეყნებში ისტორიულად მოკლე დროში აყვავებული სომხეთიდან, სადაც ჩემმა მშობლიურმა ხალხმა — ჭკვიანმა, შრომისმოყვარე მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ — ცამდე აზიდული მთები ძვირფასი საუნჯის დაუშრეტელ წყაროდ აქციეს, ააშენეს ლამაზი ქალაქები, დაბები, სოფლები.

რომელი კაპიტალისტური ქვეყანა შეიძლება გაუტოლდეს სომხეთს, რომელმაც 1913 წელთან შედარებით, სამრეწველო წარმოების პროდუქტია 45-ჯერ გაზარდა! თუ რევოლუციამდე სომხეთს 73 ექიმი უწევდა მომსახურებას, ახლა საბჭოთა სომხეთში მუშაობს ოთხი ათასზე მეტი ექიმი და ათი ათასზე მეტი საექიმო პერსონალი; 400 მოსახლეზე მოდის ერთი ექიმი, მაშინ, როცა საფრანგეთში 1650 მოსახლეზე, თურქეთში — 8.900, ირანში — 11.000, ნიგერიაში — 133 ათასზე, ხოლო ტრანსვალში — 150 ათასზე.

ბრწყინვალე და დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, რომ ახლა სომხეთის მცხოვრებთა ერთიმეოთხედი სწავლობს.

ისტორიას ჩაბარდა ძველი ერევანი, მიყრუებული დაბა, ტალახიანი ქოხმხებით, მელიქების, ბეგების, ხანების, სასულიერო წოდების, წვრილი ვაჭრუკანების ბუდე, სადაც აზიური წყვილიანი მეფობდა.

დღევანდელი ერევანი ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია. მის მშვენებს წარმოადგენენ აკადემიკოსები, მეცნიერები, კულტურის დამსახურებული მოღვაწეები, ასტრონომები, გეოლოგები, არქიტექტორები, კინორეჟისორები, ქიმიკოსები და ექიმები, მრეწველობის ნოვატორები, მუშათა 150-ათასიანი ლეგიონი — ხალხი, ყოველივე სიკეთის შემოქმედი, კომუნისმის მშენებელი,

ფართო და ნათელი პორიზონტის მქონე სომეხი ერი.

სახლდარგარეთიდან საბჭოეთის სომხეთში ჩამოსული სტუმრები აღტაცებულნი არიან განახლებული სომხეთით. „ჩვენ განსაკუთრებით გაგვაკვირვა, — ამბობს შვეციის დელეგაციის წევრი ევა პალმირი, — რომ აქ მრავალ ქალ მეცნიერს, პროფესორს შევხვდით, ძალიან სასიამოვნოა, შვეციაში კი ჩვენი ხალხის ისტორიას მხოლოდ სამი პროფესორი ქალის სახელი ახსოვს“.

საბჭოთა სომხეთში ჩამოსულ საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის, ბრაზილიის, ინდოეთის, ჩინეთის, აფრიკის და მრავალ სხვა ქვეყნის წარმომადგენელთა ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს ერევანი — როგორც სომხეთის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღორძინების სიმბოლო.

ყოფილი დაბა, ერევანი ისტორიის სულ მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენი ხალხის შემოქმედებითა მარჯვენამ რესპუბლიკის ყველაზე კულტურულ, ყველაზე ინდუსტრიალურ და ყველაზე ლამაზ დედაქალაქად აქცია. სომხური მრავალფეროვანი, შავი, ელალი ტუფი, რძისფერი და ღია მომწვანო ფილზიტი, მარმარილო ულამაზეს ხედს აძლევს ერევანს.

„მე ბავშვობიდან ვიცნობდი სომხეთის საუკუნეობრივ კულტურას, ეოცენობობდი ახლოდან მენახა, — განაცხადა ჩილის განთქმულმა პოეტმა პაბლო ნერუდამ, — სიამოვნებით დავათვალიერე ყველა ის, რაც შექმნილია თქვენს პატარა ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მშენებლობის ასეთი მხურვალე ტემპებით ერევანი ახლო მომავალში გახდება მსოფლიოში ერთი საუკეთესო ქალაქთაგანი“.

ინდოელი მწერალი ნავთევი, რომელიც ორჯერ იყო სომხეთში, წერს: „ჩემთვის მთელ მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქალაქი ერევანია, მისი არქიტექტურა თითქოს საოცარ მუსიკასთანაა შერწყმული, მისი შენობების თვითუ-

ლი ქვა მუსიკალურ ბგერასავით
ქღერს“.

„პირდაპირ საზღაპროთა სომხური კულტურის აყვავება საბჭოთა ხელისუფლების წლებში, — წერენ გერმანელი მუსიკოსი პროფესორი გ. კნებლეტი და კომპოზიტორი გ. კახანი, — სომხეთში ორ მილიონამდე კაცი ცხოვრობს, ეგ ისე ბევრი როდია, მაგრამ როგორ აყვავებულა სომეხი ხალხის კულტურა, რა დიდი მიღწევები აქვს ყველა დარგში!“

„წარსულში დარიბი, გატანჯული სომეხი გლეხი, — წერენ პოლონელი არქიტექტორები იან ზახვოროვიჩი და ჰელენა სირკუსი, — ახლა მდიდარი კოლმეურნეობის წევრი გამხდარა. მისი მატერიალური ცხოვრების დონის ამადლებასთან ერთად, გაზრდილა აგრეთვე იმისი კულტურული მოთხოვნილებებიც“.

„გასაოცარია სომხური სოფლის კულტურული სახე!“ — აღფრთოვანებით განაცხადა ბრაზილიელმა ელენა ბრავენტურამ, როცა შემოიარა სომხური სოფლები და ესაუბრა გლეხებს.

1957 წელს სომხეთს ეწვია ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯიმი კოლდრიჯი, რომელმაც გულწრფელად განაცხადა: „ვეიქრობ, დღეს რომ მე სომეხი ვყოფილიყავი, ვიამაყებდი დღევანდელი სომხეთით და მისი ისტორიით“.

შესრულდა გამოჩენილი ჰუმანისტის ნანსენის ოცნება. სომეხი ხალხი ევროპის დიპლომატების ვერაგობისა და თაღლითური მაქინაციების მსხვერპლი აღარ არის, მის სახელს ავად ვეღარ ახსენებენ ევროპის დიპლომატები! იმპერიალისტურ ბაზრებზე სომეხი ხალხის სისხლით აღარ ვაჭრობენ, კოლონიზატორები თავიანთი შავნელი ზრახვებისთვის ვეღარ იყენებენ „ბედკრულ და საცოდავ არმენიას“.

დღეს უკვე ახალი არმენია არსებობს, აღორძინებული არმენია — სომხეთის საჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა მშურ ოჯახში თავის საუკუნეობრივ ოცნებებს ასრულებს — აშენებს მრავალტანჯული ხალხის დიად ბედნიერებას.



თეიმურაზ ჯანგალაშვილი

საბჭოთა ამიერკავკასია

შრომში დაუღლელ, ბრძოლაში გაუღუნელ
ქმებს —

აზერბაიჯანს,
სომხეთს,

საქართველოს

ნზედ მოაქვთ ნახევარი საუკუნე-
მთებს, კორდებს, ველებს, ბაღნარ-მდელოს, —
გათენებულებს წითელი დროშით,
გაცოცხლებულებს ჩვენს უკვდავ დროში, —
სიცოცხლის სიმღერა დაჰგუგუნებთ.
ამ ოქტომბრიდან იმ თებერვლამდე,
ზეიმობს ნახევარ საუკუნეს
ამაღლებული თვით მეცხრე ცამდე,
საბჭოთა ამიერკავკასია —
აზერბაიჯანი,

სომხეთი,

საქართველო.

გულში სიმღერად ჩასართველო
დღეებო,

თქვენთვის მოფმართე ჩანგი,
გაბრუებულმა მზის უტკბეს ბანგით.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აგუგუნდნენ მძლავრად საქართველოს მთანი,
ტყევეგრადის ბოძებს უვლით ქრუანტელი...
წერს დეპეშას სერგო:

კრემლი.

ლენინს.

სტალინს.

თბილისს დაჰფრიალებს დროშა ალისფერი.



იმ დებეშით ხელში
დგას ლენინი კრემლში.

რეკენ, რეკენ, რეკენ კრემლის კურანტები,
ტელეგრაფის ბოძებს უვლით ჟრუანტელი.

ცხრათვალა მზე ელავს საქართველოს თავზე,
მიწას შუქით ჰფერავს დღე დიდებით საჯსე.

ჩვენს უძველეს მიწას დღენი ახსოვს ბევრი,
მაგრამ იმ დღის ნათელს ვერ ჩააქრობს ვერვინ.
ცას მოეხსნა მაშინ ღრუბლის შავი თალხი,
იმ დიდ თებერვალში აღსდგა ჩემი ხალხი,
გაჰყვა ბოლშევიკებს, იქცა უკვდავ გმირად,
და დასრულდა ღამე
და გათენდა დილა.

მუდამ ოქროს რთველო, დედავ საქართველოვ,
ოდითგანვე გითქვამს დიდი სადღეგრძელო.
ოდითგანვე ლოცავდი, ცხელი გულით ლოცავდი
მუშა კაცის მარჯვენას, ხარის ქედს და ცის ნამს.
რომ იცოდი ყოველთვის მძლე და გასაოცარი
შრომაც და შებრძოლებაც, იმ მარჯვენამ გიხსნა.
ამ მარჯვენას სულ სხვა აქვს დღეს ძლიერება,
მისი შრომის მადლი მეცხრე ცასა სწვდება.
ამ მარჯვენით ძლიერით წინ მიდის ვაგაკურად
მშობლიური ქვეყანა, ხალხი შემოქმედი.
ბალ-ვენახში შესულა, ველ-მინდორში გასულა
უმძლავრეს ტექნიკა — ჩვენი ხარის ქედი.
ცის ნამით? — არხები, ვით სიცოცხლის ძარღვები
ურწყავებში შედიან მოკამკამე ტალღებით.
მზით ნაფერი ველები, მთები გოლიათები
ასეთი ძლიერები ვინ ნახა და როდის?
დიდი შრომის გუგუნით, დიდი აზრის ნათებით
მეოცე საუკუნის საქართველო მოდის!

საქართველოვ უკვდავო, რესპუბლიკავ მშობელო,
ჩემს ამ მცირე სიმღერას გეტყვი სამადლობელოდ!
გიტყვი, გეპყრი, გეხვევი და შენს დიდ დღეს გილოცავ,
მიწას — ხვავით ავსებულს, ზეცას — უნაპიროსა.
მე ხომ შენს დიდ დროშასთან გული ფიცით შეგკარი,
შენს დიდებულ თებერვალს, შენს სიცოცხლეს შევხარი.
ამ ნათელ დღეს შევხარი, ჩემი ხალხის გმირობას,
ხარაჩოთა სიმალღეს, ზერების უნაპირობას.
შენ შეგხარი მამულო, ხვალინდელიც მოჩანს მზე!
შუქმა მუდამ იმატოს საქართველოს დროშაზე!
საქართველოვ, უკვდავო, რესპუბლიკავ მშობელო,
შენი დიდი დროშების ქარმა მუდამ მომბეროს!



თებერვლო, მისის შუქის შემონათებაჲ,
ჩემი ზეცის ღიმილო, ჩემი მიწის ხატებაჲ,
შენთვის ვფერავ სიმღერას, შენთვის მეცვა ფარაჯა,
ბრძოლა თუ შენება, ვდგავარ შენდა დარაჯად.
შენით შევტრფი დღეის დღეს, ხვალინდელიც მოჩანს მზე,
შუქმა მუდამ იმატოს საქართველოს დროშაზე!

ა ზ ე რ ბ ა ი ჯ ა ნ ი

მე ახლო ოცდაექვსი კომისრის
ძველთან ვდგავარ და გავყურებ ბაქოს,
იმ მშფოთვარ წლების ეჭო მომესმის,
იმ გმირულ დღეთა ქუხილი მაქუხს.
გავყურებ ბაქოს.

ქართა ქალაქი

ლონივრად სუნთქავს ვეება მკერდით
და სუნთქვა იგი მართლაც ქარად ჭრის
და გულში უჭრობ სინათლედ შედის.
შევხარი ბაქოს.

როგორც მშობლიურ

თბილისს შევხარი და ვეფერები.
დე, მისი შუქი გასწვდეს მსოფლიოს
უკვდავ ფერებით და სიმღერებით.
აქედან ვხედავ ნავთობიან ქვებს —
ქალაქს — ზღვად გასულს ფოლადის მუხლით,
ჭაბურღილების აშლილ იალქნებს,
დამორჩილებულ სტიქიის წუხილს.
იმ ზღვის ქალაქში ღექსს ვწერდი წუხელ
და ზღვა მირწვედა სკამს და მაგიდას,
კასპიის დამე, მქისე და რუხი,
სარკმელს ლოკავდა ტალღის ბაგითა.
აქედან ვხედავ მე სუმგაითსაც,
ჩვენი რუსთავის ძმობილს თანატოლს;
კვლავ დავეწვევი მე მას გაისად,
ჩემს ახალ სტრიქონს რომ უთამადოს.

აპრილი, როგორც ტალღა კასპიის,
ბაქოს ქუჩებში ჯიქურ მოვარდა,
მოუზამბახა უცებ ცას პირი
და ბაღნარების უბე მოვარდა.
ცაში ვეება მზის ზარს რომ რეკდა,
მიწას დააცხრა მხურვალე ბაგით,
გადავეყარე ნიჟამის ძველთან
აპრილს და მერე ვეახელ ვაგიფს.
ვუთხარ: წარსულის წინული გალღვა,
გული სიმღერის შუქით შემოსე, —
და შემომაცხრა კასპიის ტალღად
მისი სიმღერა საქართველოსზე.



ახლა კი ოცდაექვსი კომისრის
 ძეგლის წინ ვდგავართ მე და აპრილი,
 მათთვის ნასროლი ტყვია მომნისლავს,
 ტკივილი მძიმე და უნაპირო.
 მათი გმირობა მამალღებს ცამდის,
 მათი გმირობა და შემართება;
 წმინდები იყვნენ ვით ცვარი ვარდის,
 და როგორც პური, იყვნენ მართლები.
 მადლობა თქვენდა, რევოლუციის
 დევგმირნო, დიდი მადლობა თქვენდა!
 ამ მიწას, ამ ზღვას მზე რომ უცინის,
 იმ მზეს ეგ თქვენი მარჯვენაც სჭედდა.
 თქვენ აქ ლენინის დროშით მოხვედით
 და აღამალლეთ ცამდე ქოხები.
 თქვენს პირველ რიგში იდგა ლენინი,
 ჩვენი ხალხების გადამრჩენელი.
 სიცოცხლის გზებზეც მან გაგვიყვანა,
 ეს უქრობი მზეც მისგან გვეღირსა!
 და ეს მარადი ცეცხლის ქვეყანა,
 ძველთაძველი ძმა ჩემი ქვეყნისა
 დიდი მომავლის გზით მიმავალი,
 შვილებძლიერი და ძმებმრავალი
 ზეიმიობს თავის დაბადების დღეს,
 ლენინის დროშით განათების დღეს.
 მისი დიდი მზის ჩაუსვლელობა
 მარადისობის გზაზე დაიძრა.
 მას გაუმარჯოს, მას დღევრძელობა —
 მოძმე საბჭოთა აზერბაიჯანს.

ბაქოს გავყურებ.
 ქართა ქალაქი
 ღონივრად სუნთქავს ვეება მკერდით,
 მოდიდებული მზით და ბარაქით
 ამ გულში უკვდავ სინათლედ შედის.
 შეეხარი ბაქოს,
 როგორც მშობლიურ
 თბილისს შეეხარი და ვეფერები,
 დე, მისი შუქი გასწვდეს მსოფლიოს
 სავსე ფერებით და სიმღერებით!

ს ო მ ხ ე თ ი

ვერ დაგლის გზათა მიმოსვევანი,
 აელვარდება შენს წინ სევანი —
 გოგჩა — ტბა ვრცელი — ცათა მტვევანი
 მთის საწინაეღში ჩამოწურული.
 ბრუნავს სხივების კორიანტელი,



ერთურთს მისჯრიან გოლიათები —
 უხსოვარ დროთა ფოლიანტები —
 სომხეთის მთები მზით გამურული.
 ამ მთებთან ძმობა ჰქონდათ მარადი
 ჩემს მთებს — მწვანეებს, ცისფერებს, რუსებს,
 ძმობა მაღალი, ვით არარატი
 და არარატის ველივით უხვი.
 გზა მთებში უკვე აღარსად უხვევს,
 დაბლა ეშვება გაფრენილ ისრად,
 მიჰჭრისხარ, უსმენ ჩანჩქერთა ქუხილს,
 შორს ველის სივრცე ციმციმებს ცისფრად.
 ჰაერი მაჭრად შეგენაზება,
 ველურ ყვავილთა ნექტარით თვრები
 და იმ სივრცეში მოიხაზება
 ფართოდ გაშლილი ერევნის მხრები.

პოი, ჩემო სიჭაბუკვე, სადღა გადაგეყრები...
 ერევანში დააბიჯებ ჯარისკაცურ ჩექმებით.
 ვიდრე ომში წახვიდოდი, ამ ქალაქმა გიშვილა,
 სიკვდილი რომ ჩაგისაფრდა, სომხე ქალმა გიშველა.
 მისი გული იყო ჩემი პურიც, წყალიც, ჰაერიც,
 უტკბილესი, უთბილესი, დედის ასლი, მაირიკ...
 ძმებთან ერთად რომ შემუსრა ფაშისტური წყვედიადი,
 აქ სამხედრო სასწავლებლის ტერქვეშ წამოფრთიანიდი.
 ფრონტზე წასვლის წინ ლენინის მოედანზე, მის ძველთან
 ჩავიარე, მხედარს გული რა ძალუმად მიძგერდა.
 ფიცა მივეც უკვდავ მამას, ომში ისე წაველი,
 მან დამლოცა, ჩამესმოდა ლოცვაც შენი მთაველის.
 ლენინის ამ მოედნიდან დღესაც გზედავ სომხეთო,
 სტუმრებს გულით რომ გვპატიობ, ჩემს დიდ გზებზე მომყეთო.


კარის ტკბილო მეზობელო, ჩემი ხალხის აკვნის ძმაო,
 სიყვარულით, სიხარულით აგვხვება მზის სარწყავო.
 სხივკაშკაშა ცა დანათის ამ შენს მთა-ბარს გაუხუნარს,
 განა მარტო მზე იცინის, — შენი გულის სითბო ბრუნავს.
 განა ჭირი ამოვარდა, — დროშის ტყეთა შრიალია...
 მას დიდება ვინც ამ დღეთა მოსვლას დღენი შეაღია!
 რაზდანის პირ იმით ძველებს კრძალვით ვამკობ ჭართულ
 დაფნით,
 მათი ხსოვნა დროს მიარღვევს უკვდავების მაღალ აფრით.

ლენინს იმ მოედანზე ვგვებები შენს დიდ ზეიმს,
 შენი დროშა დღეს და მუდამ სულ მიჰჭროდეს ზევით, ზევით,
 უბერებელ სიმღერათა მარგალიტთა ამკინძაო,
 კარის ტკბილო მეზობელო, ჩემი ხალხის აკვნის ძმაო!

თუ სადმე მზე არის ჩაუსვლელი,
 ლენინის დროშის კალთაზეა.



დიდებულ ნახევარ საუკუნეს
ზეიმობს ამიერკავკასია —
აზერბაიჯანი,
სომხეთი,
საქართველო —
სამი ძმა — საბჭოთა ოჯახის დიდის
სამი თანატოლი ძმა.
მათი გზა დიად მერმისში მიდის,
მესმის იმ მომავლის ნაბიჯთა ხმა.
თუ სადმე ქვეყნად მზეა ჩაუსვლელი,
ლენინის დროშის კალთაზეა,
ის დიდი დროშა მიაჭვს რწმენით
საბჭოთა ამიერკავკასიას.



ს ე ვ ა ნ ი ს ლ ა გ ე

მოძმეს, კარგად ვიცნობ —
 მზიურ მაიასტანს;
 მხვდება გულგაშლილად,
 განა გამაწილებს?!
 როს ძმას ვესტუმრები —
 ტკბილი არის განცდა:
 წრფელად მიმასპინძლებს,
 გზამდე გამაცილებს...
 მზიბლავს არარატი.
 ზევით ცის სარკვეა;
 სარკვე — სარკვეს დასცქერს,
 ქვევით სევანია.
 თითქოს დღესაც ვხედავ
 ვარპეტ ისაკიანს.
 მისი მწვანე სუფრა —
 ძმობის მტევანია...
 აქეთ ტიხონოვი,
 იქეთ ჩაგინია;
 შუა — ვარპეტი და
 შალვა დადიანი...
 სიო საამური
 სულში ჩაღვრილია;
 მგოსანს უბრწყინდება
 სახე მადლიანი...
 — ეს სევანი ზეცის
 ცვარით ნაშობია,
 ჩვენი სიცოცხლეა.
 ჩვენი ხილამაზე,
 ხედავთ, ნაპირები,
 როგორ დაშრობია,
 თეთრ ზოლებად მოჩანს
 მლაშე სილა მასზე?!

— არა, არ დაშრება,
 ისევ ამაღლდება,
 ვქექით სადღეგრძელო,
 ძმობის სასმისო!...
 დგება ტიხონოვი —
 სუფრა განათდება:
 — თქვენი სადღეგრძელო
 გრძნობით დამიცლია!...
 მგოსნის ზეიშია,
 ვარპეტს ახალისებს
 დიდი რუსეთის ხმა —
 ძმობის საწინდარი...
 შალვა დადიანიც
 გრძნობებს ამისებს:
 — ვარპეტს ვეღარ დაძლევს
 წლების მკაცრი დარი!
 ცაზე თვითმფრინავთა
 ძღვევის გუგუნია;
 ხარობს კავკასიის
 მხარე ამიერი...
 სახით შემოსული —
 სამედ ვურგუნია,
 ესმის თბილისური
 მრავალგამიერი...
 ღამით მსიარულად
 სუფრა აიშალა,
 ზანგუს წმინდა ტაღლებს
 დარდი წაუღია...
 ნისლი არარატზე
 სუნთქავს ქარიშხალად,
 ქალაქს სტუმრებისთვის
 გული გაუღია...

მუმი მუნასა...

მოთხრობა

...ალა-მაჰმადს არ უყვარდა სარკე. უფრო მეტიც — ეჯავრებოდა. თავის დამანჯულ სახეს ვერ იტანდა. როდესაც არ უმზერდა, სხვაგვარად გრძნობდა თავს, გორგზად, თავნებად, შედიდურად... სარკიდან კი ჩია საჭურისი ეტოლებოდა და გულს უმღვრევდა.

...ახლა კი უსათუოდ, ისიც საჯაროდ, უნდა ჩაეხედა სარკეში. ამას მოითხოვდა წესი რამლის ყრისა. ყაჯარი დიდად მორწმუნე იყო, მებრძოლი მაჰმადიანი, ნამაზის შესრულების ფრიალი მოერთვულე. ამასთან ერთად, არანაკლები ცრუმორწმუნეც, როგორც თითქმის ყველა საჭურისი. სხვადასხვა ნიშნის ამჩემებელი და უყოყმანოდ დამცერი.

ახლა, კავასიაში, დიდ ლაშქრობის წინ აბა რამლის ყრისა და ბედის წინასწარი ჰერეტის გარეშე რას დადგებოდა. სალაშქრო და სახვანჯო ყველაფერი რომ მოითავა, ახლა მერამლენი, ვარსკვლავთმრიცხველნი, მკითხავ-დერევიშნი და მუცელმოგვნი შეჰყარა... ერთი სიტყვა უბრძანა.

— რა მელის?

— სარკეში ჩახედვა ინებე, ქვეყნის მბრძანებელი! თვალი საკუთარ თვალს გაუყარე — ისე გვიბრძანე! მომავლის გეზი მოგვეცი! — თითქმის ერთხმად.

აქეთ-იქიდან ჩურჩულით შეჰბედეს თავმოყრილებმა.

ალა-მაჰმადს მისტიური თრთოლვა აუვარდა, სარკეს ხელი სტაცა. ჯერ ნახევართაღებდად გადმოსულ ჩარდახს შეჰბედა, მერმე ცასა და მზეს უწვდინა თვალი. დამწვარ ბეწვის მკახე ღრჩოლვა მოსწვდა... რამლის ცეცხლი უკვე გიზგიზებდა. ქვიშარიც ნაყარი იყო. ახლა კი თავისი გრძელი, აღრე ჩანაოჭებული კისერი მოიმოკლა და სარკეში აღმაცურად ჩაიხედა.

სარკის კამკამა პირზე, თხელპაჭუცხვირი და წურბელა, ბოლოშეტეხილი წარბები აღინიშნა. ვიწრო, მძიმე თვალები და უღინდლოდ მოკუჭული პირი, ღვარძლიან ღიმილში გაჰყინოდა. ერთი მუტა სახეს, ნებისყოფიანი ნიკაბი და ვეება ოქროს თაჭში ჩაკარგული, დიდგუმბათა შუბლი აძლევდა შთამბეჭდავ იერს.

ყველა შიშნაყრავი მოკრძალებით შეჰყურებდა ამ მრისხანე შაჰისა და ვერავ დერევიშის ნარევს. ვერცვინ არკვევდა, სად თავდებოდა თავი და სად იწყებოდა თავი. და მხოლოდ მისმა მეაბჯრემ — საღიხამ და ფარეშმა ხელაღამ იცოდნენ, რომ თავის ქვეშაც ალა-მაჰმადს სრულიად მოტყვლებილი, დაგვალული თავი ჰქონდა.

— ჩვენ ჩავიხედეთ ჩვენს მო-

მავლის სარკეში! — თვალების წურვი-
თა და მწივანა ხმით აღმოთქვა შაჰმა, —
კაცკასიაში მივალ ომად და თრგუნვად!
რას გვაუწყებს თვალი უხილავი და
ყოვლის მხედველი? რაც მოგვიგოს
ნიშნად — ყოველი ითქვას! — ვინც
დაჰფაროს, პასუხი თავის თვალებით
აგოს!

ყველამ იცოდა ალა-მამადის ქარაგ-
მული ენა, ხოლო თვალების დათხრის
სწორუპოვარი ფალანგობა მან ჯერ კი-
დეც ირანის ტახტის ძიების შინაბრძო-
ლებში განიმტკიცა, და როგორც დამო-
ნებულ ქვეყანაში ხდება ხოლმე, სწო-
რედ ამიტომ უსათნოესის სახელი გაუ-
ვარდა.

უმალ შეიქნა ფაციფუცა ლოცვა, გვე-
მა სახსართა, ქექვა ზოდიაქოთა, ვარსკ-
კლავთ რიცხვა და ჩითვა. მოჩარდახუ-
ლში ნუსხვის ძალა დაბორილდა... ნა-
დირთ ბეწვის ღრჩოლვამ და შავი კვა-
მლის ბოლქვამ აუტანელ ზღვარს მიატა-
ნა. შაჰს, სულ ერთი წუთით გულყრა
მოემთხვა. ორმოცდაათს რომ გადასცი-
ლდა, მერმე დასჩემდა, უაღრეს დაძებუ-
ლობის ეამს ჩამოუქროლებდა, სხვაათო-
ვის თითქმის შეუმჩნეველად, მერმე კ'
უფრო უმახვილდებოდა გულისყურიც
და ფიქრიც.

ახლაც ასე მოუვიდა, მაგრამ სრული-
ად საკმაო გახდა, ხელიდან რომ გაუარ-
დნოდა სარკე. გონზე სწორედ ჩხრიალ-
მა მოიყვანა. მრავალი შევბრქყვილა
ნამსხვრევი ეყარა ფერადად მოქიქულ
იატაკზე.

ყველა გაშეშდა. უხუცესმა მერამლემ
წვერზე იტაცა ხელი.

— ხილულთა შორის უბედნი-
ერესო! უხილავი თვალი მწვავ-
კედ და შავად ზორავს! მეტი გზა არ
არის. სარკის ბზარვის ეამს ყველაზე
დიდი ცოდვები დაასახელე! — მერმე
შეაფიქრა ესოდენმა პირდაპირობამ და
ხმას დაუწია, — ის, რაც მიგაჩნიათ...

— ცოდვად და გმირობად! — კაპა-
სი ხმით შეუსწორა დაზაფრულმა ალა-
მამადმა და დალუწილ სარკეს ქოშის
კვინტი წაქრა. მხოლოდ ახლა შეჰხვდა

უხუცესს და უფრო გაწედა. მცოტანმა
თავისი წვერითა და კეხიანი ცხვრით,
გამდგარი, რუსებს მიმართული გურ-
ჯი მეფე ერეკლე მოაგონა.

— ცოდვად და გმირობად! ნება ცისა
და შაჰინშაჰისა! — სარკის გატეხის ხმა-
ზე იყო აწყობილი ერთობლივი ხმაცა
და ჩურჩულიც.

ალა-მამადი შეგოროზდა და ავის
მზრახველის წვლილვით ჩამოსთვალა...

— ლუტფ-ალი ხანს... ზენდს... ტახ-
ტის მაიებელს, ჩემი ხელით დაეთხარე
თვალები. შემდეგ მოკვალი და არც ენა-
ნობ! თუნდაც სარკის ბზარვის ეამს!

— კვლავაც... სარკისა! — როკვა-გო-
გმანით მოეახლენ მზორაენი.

— შაჰ-როხს, ნადირ-შაჰის შთამომა-
ვალს ამ მარჯვენით დავუშანთე ორთავ
სამზერი! ჭალათს შეშურდა ხელობა!

— გაასამე, ხელოვანო! გაასამე გვი-
რული ცოდვა! — წინ წამოდგნენ თვალ-
დაკაღულნი, სახეპარეხილნი, ზარდა-
ცემულნი. დიდ ბოროტებას, უკუღმარ-
თად, დიდი მწუსხავი ძალა გააჩნია...
ალა-მამადმაც არ დააყოვნა...

— ერთმა სარბაზმა სიცოცხლე გადა-
მირჩინა, მაგრამ უტიფრად შემომხვდა.
თვალები დეაკლებინე, თუმცა მერმე
ორი ჯამაგირი გავუჩინე. მაღლიერ
დამჩებოდა!

— კმარა! — უკვე ერთობლივ შესძა-
ხეს და ხელები ჩხიბვად აღმართეს, —
სარკისა, კმარა!

— იქნებ კიდევ აქვს! მოსასმენი —
მოსასმენია! — ჩხიბვა შეაჩერა უხუ-
ცესმა.

— კიდევ მაქვს. ვიტყვი კიდევაც! —
უკვე კვიბათად ასივილდა შაჰი. თან
თვალი გაუყარა უხუცეს მერამლეს.
«ესეც ჭოუტია, თანება ერეკლე — გურ-
ჯივით... რქებს დავამტერე!» მერმე სა-
რკის ნაბზარი ფიქრი, გულში ჩაიტოვ-
და თხრობა განაგრძო.

— ქერმანის აღებისას დამცინეს ვა-
ლავნიდან. მაინც ავიღე და დაცივნის ვა-
ლი დავადე — მამაკაცთა ოცი ათასი
წყვილი თვალი, კარიბჭესთან მომართ-

ვეს! იქვე დავათესვინე. ქალები კი მომრებს მივიც.

— გვეყო თვალი! ახლა სხვა! ხომ არ დაგრჩა რამ დასანანი, ზეცის ნებით უსათნოესო! — მსცოვანი გრძობდა შაპის გულგაფიქვბას, მაგრამ შემობრუნება შეუძლებელი იყო, რამლის ყრა დიდი ხანია გადასცდა ბედნიერ კალაპოტს, ახლა იგი უსასტიკესის ხელში იყო. იგი კი თვალდახუჭულად განაგრძობდა:

— დასანანი? მცირე დანას ვატარებდი და ქერიმ-ხანის ტახტის დარბაზში ძვრფას ხალებს ჩემად ვჭრიდი! მერმე ვინანე, მე რომ ვავხდი მათი პატრონი, ძველი ფარეშები დავსაჯე!

— კმარა! გვეყოფა! ჩვენცა და ალაპსაც! — აჩურჩულდა მსცოვანი, — შაპინ-შაპის ასეთი გულახდილობა — რისხვასა ჰგავს! გვაშოროს მზემ და მასზე მალაღმა!

— მე არ მეყოფა, მე! კიდევ მაქვს სათქმელი და არც თუ ცოტა! გინდ ცოდვად ჩამითვალეთ, გინდა გმირობად!

— ცოდვის გმირო! — ფიქრად ესახა მსცოვანს, ჩურჩულად გამოუვიდა. ყურმახვილმა მბრძანებელმა ხელად აიტაცა.

— დიახ, მოხუცო, ცოდვის გმირი ვარ! სარკის გატეხა იყო საჭირო, რომ ასე ლიად მეთქვა! არც მე დამინდეს, ექვსი წლის ბავშვი! — არც მე ვინდობ! მთელი ქვეყანა დამნაშავეა!

ჩია შაპის ფიქრთა გვემა გახელუბაში გადადიოდა. ყველა გასულული ელოდა შედგეს. მსცოვანმა კვლავ სცადა აგორებული რისხვის მერამლეთაგან აცილება.

— ერთიც ბედისა ბრძანეთ, უბედნიერესო!

— ბედისა?! ყაჯარი ვარ! და ერთიც — უკვე ყრუ. პრიალა ხმით დაამატა, — ერთიც, რომ მეორედ დასაქურისება აღარ შეიძლება... ქერიმ-ხან ზენდს მინც ვერ გადაეურჩებოდო... მერმე ცხოვრებას...

ყველამ იგრძნო, რომ რამლის ყრა, განურჩევლად ბოლო ნიშნისა, საზა-

რელშედგინი იყო. თუმცა, უადრესად გააგებულმა შაპმა, სრულიად მოულოდნელად „საზარელი შედეგი“ გველახა ლიმილში ჩამალა და გარეგნულად სრული ბედმორჩილება აიფარა. მხოლოდ შებლსა და დაღარულ დაწვებზე ცივი ოფლის წინწყლები სარკის ნამსხვრევებით ესხა.

მისნობა ბოლოს უახლოვდებოდა. უცოდველი კრავების სისხლი უხვად დიდივარა. ბეკის ძვლები გამოშინვლდა. ყაჯარები თურქმენთა ტომისანი იყვნენ, ათადან-ბაბადან მეყოვეები, ამიტომ რამლის ყრისას, ყოველ ფარდში და ვარაუდში, კრავის ბეკის ვერეტას ვადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ყველა მისანმა ცალკე და ერთად განკვირტა ცის კამარა და ბეკის ბედვარაუდი, მაგრამ ვერავინ ვერ გაბედა თქმა. უთქმელობაც არ იქნებოდა.

ბოლოს უხუცესმა გააბედა...

— დიდი გამარჯვება... მაგრამ ნისლიანი დღეც გიწერია კავკასიაში! ალაპი იყოს შენი მფარველი!

— გამარჯვება ჩემზე იყოს! — ისევ წამოგოროზდა შაპი, საომარ გზაზე ეს იყო მთავარი.

— ესეც მაუწყე, მისანო, რა ფერი-საა ნისლი?

ყველა სდუმდა.

— წითელი?

დუმბილი გაგრძელდა.

— თეთრი... კავკასიონის იქითა?

— არა! მექის უწმინდეს ქეისა! — მოიარებით გამოსახა მსცოვანმა.

— შავი? ეს რაღას ნიშნავს? — და რაღან ყველა შეძრწუნებულად სდუმდა. თავად დამთავრა. — სიკვდილს!?

მსცოვანმა თავი დაჰხარა.

— ალაპი იყოს შენი მფარველი, ბედნიერო!

— დამცინე? — შაპინშაპს პირისახე სარკესავით დაებზარა.

— ჩვენ მხოლოდ ცისა და ბეკის მკვრეტელები ვართ...

— მეტად შორს, გამარჯვების იქით მკვრეტელნი... საბიფათოთა! — მერმე თავის ამაღას გადააბედა — მზერა დაუ-

მოკლეთ ერთობლივ! — და ძვალტყავა ხელი მთელ საჩარდახოს მოავლო.

ყველა დადრკა, მსცოვანი კი გამწყრა-ლად წამოიშარათა.

— მზეზე მაღალო! ნუ სცოდავ ალაჰს! მისი სიბრძნე განუზომელია! ჩვენ ვერ მივწვდებით მას. მათ შორის უძლიერესი შაჰინშაჰიც!

— სახიფათო სიბრძნეა! ენაც დაუმოკლეთ! — სხვათაშორისად დაუმატა ამალისათვის. ბერი წვეროსანი სულ შეშფოთდა. გადაბერებულ ჭითრობით წამოტოტდა.

— ყაჯარო! მოწმე ვიქნები მაინც! — მერმე მსცოვან სიბრძნით დაეჭვდა და შეასწორა, — მე თუ არა — სხვა! მე თუ არა — სხვა!

— თავიც დაუმოკლეთ, წვერი კი დარჩეს მოწმეს! ჩემს მტერს — გიჟურს მავონებს! ისიც მიწადა ამ დღეში ვნახო! — უფრო დაწყინარდა, ხმადაბლად ჩაისივილა და თვალი სხვებსაც სჭიდა... — ყველას თავი! — თითქოს ფეხი წაპკრა სიტყვას და ადგა.

ალა-მაჰმადი, შინაგანად, თავდაჯერებული, ძლიერი პიროვნება იყო, რაც სურდა, მხოლოდ იმას ირწმუნებდა. ახლაც მისწინა მხოლოდ პირველი ნაწილი მიიღო, მეორე კი თავად-მისწინებს გადაულოცა. მაინც ექვიანა — თადარიგად იტვირთა, თავის შემკვიდრედ, ფარულად, ძმისწული — ბაბა-ხანი დასახა და ამით ყაჯართა სამეფო გვარეულობას „ძეშემძლე“ დასაბამისი მისცა... მაგრამ ისე რომ, არავინ არაფერი არ იცოდა, მათ შორის თვით შემკვიდრემაც.

ერთიც დაიმახსოვრა, მსცოვან შერამლის უკანასკნელი შეძახილი. არა, იგი არ ივედრებოდა არც მოთქვამდა, როგორც სხვები, ორაზროვნად იღველდებოდა.

— ლობიერიო! მოჰკალ შენზე ჰკვიანო! შენზე შორისმკერტელი. მოჰკალ, მაგრამ თვალს ნუ დააკლებ! ნუ დასთხრი! ბოლოს გიწვეს, მაინც გიწვეს! ჰვეყანა — თვალია! და არც არის თვალზე უდიდეს სასწაული!

ეს ყურად იღო, თვალის მშანთავი ხე-

ლი, მერამლეთა გარდა, მოიბრკლა და „თვალმამაკტური“ მოიძლიერდა...
„დავაბა, უნდა დავაბა“ — მტერს მოწყვარე! განსაკუთრებით — ერეკლე — აფთარი!“

თავის ხასიათის, ბრძოლისწინა ვერაგული ხერხები დაატრიალა. ჯერ უამრავი ჯაშუში, ავი ხმებისა და ჭორების მთხველნი გაუშვა, თავისი და სხვისი ყალბი წერილები ამრავლა. ერეკლე მეფესაც ერთს რომ პირდაპირ, ლიქნითა და მუქარით სწერდა, სამს განგებ თხზულს, მოხერხებულად „ხელში უგდებდა“. აგრეთვე სათითაოდ ბატონიშვილებს, ყველა თავჯერძა თავადს „გამორჩევასა და დიდ მფარველობას“ პირადებოდა. ყოველ ფიქრს შავი სარჩული ედო, ხმადაბლა თქმულს კი ნისლი დაქრავდა.

— არა, თვალს არავის დაეთხრი, გარდა მოხუცი აფთარისა! რუსეთზე თვალს არავის შევარჩენს დანარჩენთ სპარსეთში ვისტუმრებ. რჯული და ჯიში! მტერს არაფერს ვთხოვ! რაღა უნდათ ჩემი წყალობა! რჯული და ჯიში!

მერმე ძერის სისწრაფით წამოვიდა. ნახტევანი, ყარაბალი აიღო... შუშის ციხეს შემოადგა, ერევანში თავისი ძმა ალი-ყული-ხანი გაგზავნა. ყველაფერი მზად ჰქონდა და მაინც ელოდა, ყიზლარსა და ასტრახანში ადრევე გაგზავნილ მსტორებს. კარგი ამბავიც მოუტანეს — რუსთ დამხმარე ლაშქარი ჯერაც არ იყო ჩამოვლილი.

მაშინ კი ცხენს მოახტა, შუშის ციხესთან მოალყენი დაავდო, თავად კოცდაათი ათასი ცხენოსნით, საარაკო სისწრაფით, ოთხ დღეში, ტფილისის მიდამოებში გაჩნდა.

მაინც საოცარ წინააღმდეგობას წააწყდა, ვერა და ვერ გაიტანა წინა სანგრების ფარი. სოღანლუღის ვიწროებში ჩაიჩიხა, თითქოს ადგილის ერთან ერთად იბრძოდა ყველაფერი — ქვა, კლდე, მიწა, მდინარე, მოუხედავად ვერაგად ჩათესლილ ლალატის ბუდეებისა.

და სულ რომ ვეღარაფერს გახდა, შაჰმა გახელებული რამ მოიმოქმედა. ადი-

დებულ მტკვარს მიეჭრა, ერთი უძლურ სიბილიწით, მწარსიტყვიანად დასწყევლა და ცხენოსან ლაშქარს გასძახა.

— ვინც ვაყვაცია, მოვიდეს შაბთან! მე დახრჩობა მიჩვენია, თუ არ მომყევით! — მერმე აზრი იკრიფა და იეშვია, უფრო საიმედოდ შეამტყიცა თავისი მგზნებარე მოწოდება, — ვინც ნაპირზე დარჩეს, ცალი თვალის დათხრა! — და შავი, თურქმენული ცხენი მტკვარში შეავდო.

ხელად შეხმუხა ტალღამ მოიტაცა... მაგრამ ცხენმა იძალა, იმახიანად დაიფრუტუნა და ცურვა იწყო. შაჰს სისხლივით თბილი მდინარე შემოადგა... თითქოს აქაც ოცი ათასი წყვილი თვალი იყო გაწყალებული.

„იქნებ მიწია!“ — მისნის ნათქვამი მოაგონდა... — „მაგრამ არა! ჯერ გამარჯვება! ჯერ გამარჯვება! — გველოთმეზასავეთ იხვეოდა ფიქრი და ტალღა.

პირველი სადინა-მეაბჯრე მიჰყვა... ახლა სხვანაც, ჯერ შიშით. მერმე ურთიერთის წახედულობითა და შემახილებით.

მტკვარი აივსო მტრის მხედრობით. მედგრად დახვდა დედა-მდინარე. მისი არეც სანგარზე ბრძოლას დაემსგავსა... სამსზე მეტი მტერი დაახრჩო და გადაათრია! თვით შაჰსაც თვალიც აუშრელდა და სულის მოთქმაც მიეტაცა თავბრუ და ფიქრი აერია. სადინა-მეაბჯრემ იგრძნო, გვერდში ამოუდგა... ხელი შესტაცა, ცხენზე შეამაგრა...

— თვალეზი დახუჭე! თვალეზი!... შაჰინშაჰ!.. რვალაჰ! — მოტეხილ კბალში გასცრა... საერთო ყიყინსა და ვიშში ძლივს გაავგონა...

— არა, მე სხვას ვახუჭვინებ თვალეზს! — ჭიუტად აღმოხდა შექირვებულს.

— ცას შეჭხედე... მალა, ალაჰის სადიდებლად!.. გამარჯვების ცას! — სიტყვა მოუსხვაფერა მონამ, — ცხენს კი მე მიეცემ გეზს... გაღმა კლდეებია!

შაჰინშაჰმა „შეების ცას“ შეხედა... მზე იყო... მისი მზე, მაგრამ შავზე შავ-

სხივოსანი!... ახლა თვალეზი ცაში ჰქონდა, ტანი კი წყალში! და მთელი ტანით იგრძნო — ალვრი ძარღვივით დაიქვია... ცხენმა გეზი იცვალა... თან სულ ახლოს, ყურთან... თავდადებულ მეაბჯრის ლოცვა მოესმა, არაერთხელ მისგანვე გაგონილი, გაჭირვებაში კარგად დაცდილი, რომელსაც სულ ორი, ისიც უცნობი და გაურკვეველი სიტყვა და კილო ჰქონდა...

— „მეფლი... მუხასაო... მეფლი მუხასაო...“ ...ალაჰ!

...ბოლოს, თითქოს სიკვდილის მიღმა, ცხენმა ფეხი გაქრა ნიდაგას... ესეც მთელი ტანით იგრძნო მხედარმა. მალე წყალიც ჩასცილდა კალთებს... უეცრად შესცივდა დასველებულ შაჰს... ცას მოაშორა მზერა და ქვევით დაიხედა...

ოდნავ წინ ქვედა გვერდზე, სადინა მოდიოდა ცხენდაცხენ და „ლოცულობდა“. ნაპირის ბალებიც აღარცთუ შორს იყო... მწვანე ხეები ხალიფას დროშეებით იღგნენ... შაჰმა იძალა, ჯერ სადინას გადაუჭირა მათარახი, მერმე თავის ცხენს შემოჭრა სველი დეზები და წინ გაავდო.

... უკვე ნაპირზე იყო. მალე სხვებიც მიჰყვნენ შემოადგნენ... თითქოს მტკვარი გაიტანეს ნაპირზე. ალა-შაჰმადი შეგოროზდა და გამყვიანი ხმით შესძახა.

— გურჯების მტკვარი გადაეთელეთ! წინ... ტფლისიც ჩვენია!

სამათასიანი ლაშქარი, შეცივებულ ძახილით მიჰყვა.

ბალებში მწიფე ხილის საამო სურნელი იდგა, საოცარი მყუდროება და გაღმურ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას კრიჰინას ხმაც კი ვერ დაეშმო.

ახლა სპარსნი, აღმასვლით, გაღმაც მოჰყვებოდნენ მტკვარს და გამოღმაც თითქოს ტყვედ ჩაეგდოთ დედა-მდინარე!

ქართველები, გაღმა სანგრებიდან, შემოვლის მუქარით, უკან-უკან ბრძოლით იხვედნენ. კრწანისის ბოლოში უკანასკნელი სანგარი ამაგრულად იდგა ალა-შაჰმადი კვლავ მარჯვენა ნაპირზე, უკვე ჭალის ფონით, უზიანოდ გავიდა. აქ მტკვარი დაშლოლად დიოდა.

სადიხა მეაბჯრე, ახლა სულ ბოლოში მოსდევდა ლაშქარს. იცოდა, რომ მიუხედავად დიდ, იქნებ სასიცოცხლო დახმარებისა, მან განარისხა ჭირვეული ხელისუფალი. თვალი უთამაშებდა ალა-მამაძის უახლოეს და იქნებ უერთგულეს მონამსახურს. მან წინდახედულად გადასწყვიტა, ცხელ გულზე, თვალში აღარ მოჰხვედროდა „იონანის თვალს“. ასე, ლაშქრის ნაკადში „მდინარესავით“ მიდიოდა.

წინა წყებები უკვე ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი...

სადიხა გულმაგარი, შეუპოვარი მებრძოლი იყო, ამითი და ერთგულებით დაწინაურდა შაჰის კარზე, მაგრამ ახლა ერთმა გარემოებამ ძირფესვიანად შესძრა. უფრო მეტიც, უკვე აღმართული ხმალი დააშვებინა.

შემძვინვარებულ ბრძოლის კალოს რომ მიუახლოვდა, განცვიფრდა... თავისიანებს მოსხლეტილი ერთი მუქა გურჯებისა გააფთრებით იბრძოდა, მარჯვედ იგერიებდა ირგვლივ შემოსეულ რჩეულ თურქმენებს. მაგრამ ეს რას გააკვირვებდა თავადაც მებრძოლს... ვაჟაკმა უნდა იბრძოლოს — თავგანწირვა უმადლესი ზნეობაა!.. გაუგია — გურჯები მებრძოლი ხალხია! მით უფრო „უკანასკნელ სანგარზე“, დედაქალაქის კართან!.. მამ ფაფის ჭამას ხომ არ დაიწყებენ? ... მაგრამ გალობენ თუ ლოცულობენ ხმალის დავლურთან ერთად!? ან ვინ წაართვა სადიხას ლოცვა? ერთადერთი ბავშვობიდან შემორჩენილი!? ან ვინ ასწავლა ამათ?... გურჯებს!?

ყური გაფაციცებით მიუგდო... არა, არ სცდებია...

— „მუშლი მუხასაო... გარს ეხევეოდაო...“

აჰ, ვაგრძელებაც ჰქონია ამ ლოცვას!.. გაუგებარი, მაგრამ უდაო... ხმლებსა და სანგრებში ნაპოვნი ვაგრძელება! ომის ორმომტრიალში მარცვალ-მარცვალ დაპერილი და ბრძოლის ბუკზე უფრო ნაგრძობი!

— „მუშლი ჰქრებოდაო... მუშლი წყდებოდაო...“

ხე არ ხმებოდაო... ხე არ ხმებოდაო!...“

... ნეტავ რას ნიშნავს ომის ღვიძლში, მებრძოლთ კბილებში გაცრილი ლოცვა?

... და ნუთუ ეს ქართული ლოცვაა?.. მერმე სად გურჯი და სად ბელუჯი: მამ — იგიც — სადიხაც გურჯი ყოფილა! ნაგურჯალი და არა ნაბელუჯარი, როგორც აქამდე იცოდა, ტყვედ წაგვრილმა ოთხი წლის ბაღმა, ასტრაბადში, ყაჯართა ხანების ყულად გაზრდილმა. მერმე ალა-მამაძე საჭურისის ხელის მსახურად შერჩენილმა. მხოლოდ მან, გამრჯემა და თავდადებულმა, ყოვლად უშიშარმა და მარჯვემ, შესძლო ეპკიანი ალა-მამაძის შერწმუნება. მისი ფათერაკიანი ცხოვრების მონური გაზიარება და ნდობის დამსახურება.

ალა-მამაძემა წყალობა არ იცოდა, დასაჩუქრებას ყველას ვალად და ქრთამად მიუთვლიდა. მაგრამ დაფასებით ეიფრიად აფასებდა საჭირო ხალხს. არც იშორებდა. სადიხასაც გულჯულ არჩევდა და ხელახლო ჰყავდა.

ერთმა შემთხვევამ, ცრუმორწმუნე შაჰს, საბოლოოდ „დაუდასტურა“ სადიხას ლოცვის მაგიური ძალა. მისი შინაარსი ან წარმომავლობა არც ერთმა არ იცოდა.

შაჰის ტახტისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში, ყაჯარს, საერთოდ უშიშარს, შიში ჩაუვარდა გულში. უკანასკნელ ზენდთან, ნადირ-შაჰის შთამომავალთან, ვერაფერს ვახდა. ეს მეორედ მოადგა ქაშანის გალავანს, ახლაც ამოღ. შაშინ „სალალატო მასალა“ — ოქრო და მუქარა დაატრიალა ფარულ შეკავშირედ, თავისი მეაბჯრე — სადიხა გაუშვა. მისივე „ლოცვა“ დაუდო ნიშნად... და აი, შეუღამისას, ყველაზე მოშორებულ და მიუვალ კარიბჭის მინარეთზე, გაისმა „მუშლი მუხასა“, კარიბჭეც გაიღო. ალა-მამაძე მაშინაც, ისევე როგორც აქ მტკვარზე, პირველი შეიჭრა ქაშანში. ამ ალაყაფს მერმე „ტახტის ალაყაფი“ უწოდა.

... მტკვრისპირა სანგარზე და ზედა

გორაკებზე ბრძოლა შეუპოვარი ძალით გიზგიზებდა. ხელჩართულ ომის უთავბოლო სხეული, ზათქითა და ზრიალით იღრიკებოდა, ბორიალობდა, სისხლიანად დააღაჭებდა. ყველა და ყველაფერი მოძრაობდა — კაცი, ცხენი, მიწა, წყალი... ქალაქის გაღავანი თუ შემოგარენი... დიდი ფიცხელი ოდიგარი უსაშველო დოღაბივით ბრუნავდა.

სადიხა კი ბრძოლის პირას გამეშებულად იდგა, განხიზბული და თითქოს შუაზე გაპოხილი. გულის სიღრმიდან, მეხსიერების ფსკერიდან, მიწისძვრასავით, ფორიაქი მოდიოდა და აძრწუნებდა...

„ვის ვებრძვი? ვის? ჩემს ლოცვას? ერთადერთს... თურმე აქედან შემორჩენილს?... ამ ლოცვის გამჩენთ მოვუხტი და ესაობ?“

მაღე „ლოცვა-გალობა“ შეწყდა. აღარც ერთი „მგალობელი“ აღარ იყო ცოცხალი. ირგვლივ ოდრიკალ-ოდრიკალად ეყარა გვამთა სიმრავლე, ბრძოლის შუაგულშია კი ქალაქისკენ გადაინაცვლა.

გვამთა ოდრიკალებს მიჰყვა სადიხა. ახლა კი თავგამეტებულ სირბილით მიჰყვა... არა, ეს დაგვიანებულის იერიში არ იყო, არც ჩამორჩენილის ხელის გამოღება. ლოცვადაკარგულ ადამიანის უნებური ლტოლვა იყო, იქითყენ სადაც, ახლა უკვე შემეცნებულად თავის „ლოცვის“ ძირი ეგულვებოდა. კაცი მისდევდა ომში ჩაძირულ ლოცვას...

ქალაქი ქუხდა. ჯერ კიდევ ქუხდა. მაგრამ ძველმა მებრძოლმა იგრძნო, რომ „მისი პატრონის“ ლაშქართან იმრავლეს. უკვე იშლებოდა ფრთებში. ზედა მხრიდანაც წამოადგნენ ბრძოლის ცურებზე შეტრიალებულ კრწანისს.

„ლოცვადაკარგული მებრძოლი“, როგორც იქნა, მისწვდა ალა-შაჰმადის გაშლილ დროშებს. იგი ალა-შაჰმადის მებაჯრე უნდა ყოფილიყო თავიდან, მაგრამ პირველად თავის სიცოცხლეში იგრძნო, რომ ეს ადგილი მისთვის, არსებითად მოღალატის ადგილი ყოფილა!

იგრძნო და სულ აირია.

— სადიხ! შაჰინშაჰთან! ცხენი... მკვადრო შაჰის ფარეშმა, ხელდაღმობი ხარ? გიციობა!

უეცრად, გულის მორღვეულ კარს, თითქოს დიდი, შავი ხუფი დაედო. ყველაფერი დაადუმა. სმენისა და თვალის მიღმა დასტოვა. ვაგლახ! სადიხა ნაფურჯალს სხვა გრძობებიცა და სახსრებიც გააჩნია, მაგრამ შაჰის სახელი ყველაფერს ჰფარავს. აქვს კეთილშობილური მოყვასობაც, მტკიცედ მებრძოლი მკლავიც, ჭანიც დაკუნთული, მსხვილძვალა სხეულიც. მაგრამ შაჰის კარზე ჩატეხილი კბილის სუსხიც შეუცნობლად მაინც ახლავს. მაინც ახლავს! აქაც, „ლოცვის ომშიაც“... სადიხსაც ჰქონია თავისი კრწანისი, თავისი მტკვარი... ისიც კაცი ყოფილა და არა „ძვლები გულა“, „მონობის ცოცხალი ხორცი!“

... მაგრამ შაჰის სახელი ყველაფერს ჰფარავს!

სადიხა აკოქლებულ ცხენს მოახტა და შაჰინშაჰის გორაკს მიაშურა. ჩატეხილმა კბილმა ყველაფერს სძლია.

— ჩემთან იყავ... მაღე აბანოში ვიქნები! — მოუბრუნებლად გადმოსძახა ჩიხა შაჰმა და შუბოსან თურქმენებს შეუძახა.

სადიხამ ვერა გაიგო რა... „სისხლის აბანოს“ თუ გულისხმობს? ნუთუ კიდევ აკლია სისხლი?“

ზედაც გორაკის ძირობებს, არწივის რიხითა და შუილით ჩამოუქროლა ზეიდლის აბჯარში მჯდარმა ტანმკვირვმა, თეთრწვეროსანმა და მისმა მოზრდილმა გუნდმა. მათი მოსვლა თამამი და მეხის ძალისა იყო. სახნისივით გადიოდნენ, მერმე თელავდნენ მომხვედურთ. თურქმენებიც ისევ გორაკზე შემორეკეს.

— ეგ არის მეფე ერეკლე! — შაჰს მოახსენა ვაფითრებულმა ჭავად განჯელმა, ზედაც შაჰის „შავი მეგზურები“ — ძმები შაჰნაზარები ზარდაცემულნი მოცვიდნენ...

— მეფე ერეკლე მოდის!.. ერეკლე — გურჯი!

— ათას სარდალში გამოვიცნობ! იქნებ ვავეცალოთ?

— ამ გადაბერებულს დამიხედეთ? მე მებრძვის ეს მოხუცი? — ანხლად შეჰყვილა ალა-მამამდა და ჯავადს უკვე ჩუმით, სულ უცნაური რამ შეეკითხა: — რამდენი შეილი ჰყავს ამ ბებერ ფოცხვერს?

— 18...

— თერამეტი? — გული მოეწეწკა საქურისს, — კიდევაც ამიტომ იბრძვის ასე! მაგას კი დავთხრი თვალებს! ცხელი აბანოც ველარ უშველის!

... ქართველებმა კი შაჰის დროშას მოატანეს... ალა-მამადი სულ გავეშდა...

— ნასახი-ბაშების მთელი ლაშქარი წამოაყენეთ! ვინც უკან დახეული ნახონ ყიზილბაშნი — იქვე გაწვეტონ!.. ერეკლე კი შემოყარით! ჯილდოდ ნახევარი ტფილისის ქონება! — მთელი ლაშქარი შეუსია... სრული მარჯაფი დასძრა. უკან დასახევიც გადაუწურა.

— ერეკლეს შეპყრობაში — ნახევარი ტფილისის ქონება!... ჯილდო — ტფილისის ქონება! — ყიფინებდნენ შაჰის შათირები.

„ქონება“ კი ჰქუხდა, ცეცხლის ენებად იღველდებოდა და სრულიადაც არ სურდა „არც განახებრება“ და არც „ალაფად დარჩენა“!

ერთი უუმბარა შაჰის ცხენს მოხვდა და თავი მთლიანად წააცალა, ჩია კაცი სულ მოიკუნტა და ქართულ მიწაზე ზღართან გაიღო.

ამალოსნები მისცივდნენ. მუქისოდენა ცეცხალი და უფნებელი აღმოჩნდა. საღიხამ, შაჰის მარჯაფას მოყვანამდე, თავისი ცხენი, თავისი ხელით მიართვა, მაგრამ თვალეში კი აღარ შეუხედავს. ჩატეხილი კბილი ენას დააჭირა და კვლავ ჩამორჩა. თითქოს მასაც დასთხარეს თვალები... ველარაფერს ჰხედავს, ვარდა დიდი შავ-თეთრა, ზოლებ-ზოლება მოძრაობისა... შავები მიიწევენ... ზღვაგდებიან, გარს ერტყმიან... ეხვევიან... თეთრები კი დნებიან. თოვლივით დნებიან... წითლად, თითქოს ყაყაჩოვებდნენ კი ეფიშებიან, ტანით ჰფარავენ, გარინდ-

ბულად ეფერებიან კრწანისს დათქვრილ მიწას.

— შეიბყარით! არ გაუშვათ! — გამყვიანი ხმით კიოდა აცხცახებული ალა-მამადი, მან საოცრად აკვიტებულნი, მიბორკილი ფიქრი იცოდა... ამ აკაფულჩაყაფულ ომის ორმოტრიალშიაც მხოლოდ ერთს — „ჯმუხა თეთრწვეროსანს“ ჰხედავდა და გრძნობდა...

... და მანაც ესმოდა საღიხას...

— წაგვივიდა! წაგვივიდა!... ვაყაფეს და გავიღნენ! არ დაინდოთ არავინ! — კვინიხამდე აღიოდა მკაწრაკი ხმა... — ტფილისს თქვენს ნებაზე მოგცემთ!

... საღიხა კი ახლა სხვანაირად ჰხედავს... შავეთი — უამრავი მუმლი ყოფილა... ტფილისი კი „მუხასავით“ დგას. მუმლი ეხვევა მუხას... აუსხნელად გაიგო, შინაგანად მიხვდა... თუმცა თავადაც მუმლია და უამად! იმუმლა! თურმე არ იცოდა და იმუმლა!... ვაგლახ! რაღა „მუხასავით“ არის ტფილისი, როდესაც მებრძოლები, კისკასა მებრძოლები შემოეხარჯნენ! შემოაცვდა ქალაქს ცოცხალი ჯავშან-გალავანი! და... ვაგლახ, აღარც თუ შორს არის თავადაც, აბჯარ-შელეწილი და მანაც მომხიბლველი და მკექქარე!

... ახლა ჩია შაჰისა და გურჯი დედის შორის აღარც მთელი სანგარია, აღარც ცოცხლად დარჩენილი ადგილის კაცი... აღარც სანუგეშო მანძილი... მკედრები კი სწორედ იმიტომ არიან მკედრები, რომ ხმლებს ველარ იქნევენ სამშობლოს სახსნელად!... ვაი რომ მუმლო სძლეეს მუხას!... საღიხა თავად ჰკლავს თავის ლოცვასა და სალოცავს!... ლოცვასა და სალოცავს!

...რა ვუყოთ, რომ უსადიხოთაც იღლებდნენ ტფილისს... ისიც ხომ მათ შორისაა, იმუმლა! საჭურისის — საჭურისი ყოფილა, ვაქცაცი და საღ-საღამათი კაცი!

... მზე ჩადიოდა, როდესაც გამარჯვებული და მანაც ჩია, ტფილისში შევიდა. ქალაქი უკვე იწოდა. უბან-უბან სროლა-ბრძოლა და ძარცვა-გლეჯა მძვინვარებდა. გაღავანზე მეზარბაზნენი უკ-

ვე ხელნართულად იბრძოდნენ, ხიდთან და ვიწრო ქუჩის თავებში, განწირულთა შერკინება გრძელდებოდა... ქალთა და ბავშვთა კივილი ღრუბელივით ეკიდა.

შეგორიზებული შაპი უკვე ფეხმალაღა „გამარჯვების ცხენზე“ იჯდა. სიხარულს ვეღარ ჰფარავდა... ჩაღეული სახე ღიმილში უფრო დამანჯოდა... თავლებში კი ტფილისის ხანძრების ანარეკლი ენთო.

„შაპის ნაჯდომი ცხენი“ აღა-მაჰმადმა სადიხას უკან „უწყალობა“ და აბანოში გაგზავნა.

— ჯერ შეფის აბანო! გოგირდისა! ბუნებით ცხელი!.. შენ ლოცვასავით ჯადოსნურ ძალისა!... კიდევაც იმიტომ, გურჯ ერეკლეს, ამდენი შეილება! — ახლა თავმოყრილ სარდლებს მიუბრუნდა... — ხალხი თეირანს წამომისხით! მაგათი ჯიში მჭირდება! ჯიში და ჯილაგი!... ესენი ცოტა მეტნი რომ იყვნენ — გვეყანას დაიპყრობდნენ!.. ნახეთ მაგათი ბრძოლა!

მართლაც, ჯერ აბანოში წავიდა. მოიწონა მარმარილოში ჩასმული, თაღებზე მოპირკეთებული, მრავალწყაროდ მოჩუხჩუხე... თბილმა გოგირდოვანმა სუნმა, გამარჯვებულს, ომის „სურნელი“ უფრო გაუმახვილა და მოასურვილა.

არვინ იახლა ვარდა სადიხასი... ხუდადაფარემს ერეკლეს ქოშები დააძებნინა, მერმე ისიც გაუშვა...

თავად გაიხადა... ასეთი ჩვეულება ჰქონდა... შიშველი სხეულის დანახვას ყველას არიდებდა. თავისი ტანშიშვლობის სიძულვილი ბავშვობიდანვე ჰქონდა შერჩენილი... აქ ბუდობდა განუტურნებული ტყვილი.

სადიხა შეაბჯრული ადგა თავზე და არ უმზერდა... იცოდა ეს ამბავი და თავის თვალებს უფროთხილდებოდა.

ერეკლეს ქოშები ედიდა... აქაც დაუმეტოქა ფიჭრი...

„ფეხიც ჩემზე დიდი ჰქონია!.. მიწაზე კი მე უფრო მყარად ვდგავარ!.. მხოლოდ შთამომავლობა!“

ქოშათრევით მივიდა, მაგრამ გოგონადოვან წყალში რომ ჩაწვდა, სხეული და კაფანდარა სხეული ძლევამოსილად მოეჩვენა. ნებიერად გაიზმორა, ცხენზე ჯდომით მოღლილი ტანი მოაწებებდა.

არც ქისა ინება, არც საპნის ჰაეროვანი ქაფი. წვრილ ნესტოებს ჰბერავდა და მარად ცხელ წყალს შემპარავად ეალერსებოდა, თავისი ცხოვრების უდიდესი გამარჯვების მომპოვებელი შაპი, აქ თავმოქაჩილებულ მთხოვნელად ქცეული. რაღაცას ევეღრებოდა. შემომდგარ, ცხელ საამო ბუშტუკებიან „ჯადოსნურ ძალის“ წყალს.

ზურგმეტყუელმა სადიხამ ინიშნა, რომ უძლველი შაპი, უძლურებისგან განკურნებას მოელოდა და წამოდგომას აგვიანებდა.

დერეფნებსა და მოსაცდელელებში სარდლები და დიდკაცები ელოდნენ ჩია მობანავეს. იგი, ჯერ არნახულ სიმაღლეზე იყო... ვინ იცის — რას ინებებდა!

გარეთ, ქალაქში ტყვევანა-ძარცვა, სასოწარკვეთილი შებრძოლებაც გრძელდებოდა... მაგრამ ყველას რიდის თვალთა აბანოსაკენ ჰქონდა. ვინ იცის — რა „სასწაულით“ აღნიშნული გამოვიდოდა ერეკლეს აბანოდან, მზეზე მალაღი ჩია! რა კილოს შინცემდა საქვეყნო საქმეს!

დიდბანს ანებივრა სახელოვან წყალში საჭურისმა თავისი სხეული... მაგრამ „სასწაული“ არ მოხდა. ბოლოს გამოვიდა და აბანოს დანგრევა ბრძანა.

ხელად მთელ ქალაქს მოედო დიდი ნგრევის ზათქი. ახლა „აბანოს ცეცხლი“ გაუთნეს ქუჩებს, მოედნებს, ქარვასლებს...

სადიხას სული შეეხუთა. ტფილისის კვამლი მას გაუკითხავად ახრჩობდა, სასუნთქავ ღდინში სწვდებოდა. ვეღარ აიტანა, დრო მოიხელთა და აღა-მაჰმადს, გურჯი-მეფის მღევრად წასვლა სთხოვა.

— წაიღ... დაგიფასებ ერთგულებას! — მერმე ეკვიანად შემოაბრუნა, გამყო-

ლად შეაჩერდა, — შენ გესმის გურჯის ენა?

სადიხა შეერთა, შინაგანად დაიძაბა...

— არა, აბა საიდან... ბელუქს, მზეზე მალალო?

— ჰო, კარგი... წადი! მერმე გურჯი — ფოცხვერის თვალდასათხრელ შანთს შენ გამიმზადებ!

სადიხა სულ დაიბნა... ისეე ჩატეხილმა კბილმა იხსნა, ენა მოუწეწა და დაუხშო... მერმე აღლომ გააჩინა და გადაარჩინა... თორემ ალა-მამამდს, გამარჯვებულსაც, ნათოფარ მელის ექვი და მშიერ მგლის ყნოსვა ჰქონდა.

სადიხა შეაბჯრე არაგვისაყენ გაჰყვა ქალბ-ალი-ხანს, როგორც შაჰის პირადი თვალი.

ავჭალა სულ უსულიერო დახვდა. მცხეთაშიაც გახიზნული იყო მოსახლეობა. ზოგ მოხუცებსა და დავრდომილთ წააწყდნენ. აღარც ისინი გაუშვებ.

დიდ თარეშს უკან ნგრევისა და ხანძრის კუდი მოსდევდა. სადიხა თავდახრილად, მუნჯად მისდევდა გამეკობრებულ ლაშქარს, გულ-ღვიძლში კი-მუმლის საბრუნელა უტრიალებდა.

თვალს სვეტიცხოველი რომ შემოეფეთა, დაძაბულმა მესხიერებამ ახლა ნაპერწკალი გაჰკრა და საღლაც, შუბლის არეში ბავშვობის — მიფერფლილი საყარო შეურღვია. თვალი ველარ მოაშორა მალალ გუმბათს. დაწინაურდა, თითქოს ვიღაცა მძლავრად ეწეოდა.

გალავნის კარიბჭე ჩამოგდებული დახვდა. ტაძრის ეზოში კი აღარავინ იყო... გალავანზე ერთი, ალბათ — შეხიზნული ბიჭი იჯდა და თვალებს აცეცებდა... უამრავი შავი მერცხლები გარს უვლიდნენ გუმბათს.

— მუმლი?... ისეე მუმლი? — უნებურად წამოიძახა, მაგრამ კიდევ იმაღლა სინამდვილის ვრძნობამ, — ალაჰ! მუმლი და მერცხალი ამერია!

... ამას კიდევ გაუძლებდა, მაგრამ მესხიერების არევის რაღა უყოს? იქაც

ერთად არეულა მუმლი და მერცხალი!... მუმლი და მერცხალი!...

... ირგვლივ ლაშქრის დენა... ხანძარი... ხელშესწრებულ ხიზანთა კივილი, კანტიკუნტი შებრძოლება... მაგრამ თავი ბრძოლა და კივილი საფეთქლებს მიღმა სიღრმეშია — მესხიერება ებრძვის აწმყოს და ტაძრის ირგვლივ წარსულის ლანდები ბორიალობენ!... გალავანზე კი ბიჭი ზის და ზის!

... უეცრად სვეტიცხოველის კამარიდან მტრელები ტაშის ცემის ხმაზე აფრინდნენ... სადიხასათვის ეს მიწისძვრას უფრო უღრბიდა...

— ჩემი ბავშვობის მტრელები! ყველაფრის ერთბაშად გახსენება ამობრუნებულ ჭასავით მოდიოდა...

... აი, ბიჭი გალავანზე რომ ვადმო-მჯდარა, განა იგი სადიხა არ არის?... არა სადიხა არა... რაღაც სხვა ერქვა! ის „სხვასახელა“ რამდენჯერ მჯდარა ასე! ერთხელ ნამგალა მერცხლების ბუდეს ეძებდა, ჩამოვარდა, მუხლი დაჰკრა... აი, აჰ... კვირისთავზე წანაზარდი ახლაც აქვს... დასამოწმებლად ხელი მოისვა და დიდხანს იზილა. აი, საბარკულის ჩაკმისას მუღამ თავს შეახსენებდა ხოლმე. გულს დაეიწყებია, თავს დაეიწყებია, მუხლს კი არა!...

„მუხლმა არ მიმუხთლა! კვლავ აქ მომიყვანა!“

— ეჰ, ბიჭო, ვინ ხარ? აქ მოდი! — სპარსულად შესძახა და ხელი დაუქნია. ბიჭი უფრო გაჩოჩდა კედელ-კედელ და გაქცევა დააპირა. სადიხა მიხვდა, რომ ამ ბიჭისთვის იგი „საძულველი სპარსია“, ტფილისის ამოხრებელი, მცხეთის ამკლები!... „ამ ბიჭისათვის“ კი არა — სწორედ ასეთია ეს „ნაგურჯალი“! დიახ, „ნაგურჯალი“ და არა „ნაბელუჯარი“, როგორც აქამდე იცოდა და ეგონა. მას ეგონა, თორემ მის შაჰს, ჩანს სცოდნია და მაინც წამოიყვანა გურჯისტანში... აი შეეკითხა კიდევაც — ენა თუ გესმისო?... რა დიდი იმედი ჰქონია გადაგვარებისა... „ნუთუ სიაცე უფრო მყარია, ვიდრე სიკეთე! აი მუღამ ვერაგობით იმარჯვებს, თანაც

გაიძახის, მაგათი ჯიში და ჯილაგი მკირ-
დებაო! საჭურისი მე ვყოფილუარ, მე!
და არა იგი... თავის ერს ვინც ჰკარ-
გავს — საჭურისია!”

შემოტრიალდა, აქ ვალავნის ახლოს...
დაბალი სახლი. ძველდარბაზი, ქვაკა-
ცა... ჰხედავს თუ აგონდება?... აი მისი
ბავშვობის სამყარო — ქვაკაცა და გა-
ლავანი... ორი მდინარის ხერთვისში...
თითქოს ორ მკლავს შორის! ახლა ორ-
მაგად ჰხედავს... მის წინ, კაცზე მაღა-
ლი ქვაკაცა ძველებურად იდგა. სახლი
კი ჩანგრეული იყო, დედაბოძი ჯერაც
ბოლავდა.

...მეზობელ სახლის ნანგრევებში ერ-
თი მოხუცი ეგდო. ისიც სულთმოზრძა-
ვი და „ნანგრევებიდა“ იყო. მომაკვდა-
ვი სპარსულის მკოდნე გამოდგა.

— აესაკალო! შველას მოგცემ... ორი
სიტყვა მითხარი...

— ჩემი შველა — სიკვდილია!... ერ-
თი დოქი წყალი... აი იქ, ვალავნის
ძირში დგას... იმ ბიჭს მოჰქონდა... შენი
შეეშინდა!

— მოგიტან! — სადიხამ მოუტანა
დოქი და მხოლოდ მერმე შეეკითხა, —
ის ბიჭი ვინ არის?

— მეზობელია... აი იმ დანგრეულ
სახლიდან... ქვაკაცა რომ დგას! მამა
კრწანისიდან აღარ დაუბრუნდა... დე-
და და წერილშვილი სამალავში ნახეს...
წივილით გარეყეს... სახლი გადასწვეს...
ეგლა გადაურჩათ, ვალავანზე შეასწრო!
ნაწყვეტ-ნაწყვეტ მძიმედ დამარ-
ცვლა.

— რა გვარისა იყვნენ — ქვაკაცი-
სანნი?

— გვარისა!?!... — აღარ ესმოდა მო-
მაკვდავს. სადიხამ წყალი ასვა.

— რა გვარისა-მეთქი?

— ...ხელაშვილები... — ხელმართა-
ლი ხალხი იყო!... ვადაშენდა დიდი ოჯა-
ხი... მტერიმა მოსპოო...

სადიხამ ხელებზე დაიხედა... შავი სი-
წითლე დაჰკრავდა... საკუთარ ოჯახის
ვადაშენების შავი სიწითლე!... მეხსი-
ერებამ სულ ააფარა ხელები თვალბ-
ზე. მკაცრი, შებრაზებული ფიქრიც კი

გაუჩინა... „ვადაშენება სჯობს ვადანა-
რებას!“... მაგრამ აქ, ვკონებ, იმე-
იყო!

— ხელაშვილებს... ხომ არავინ აკლ-
დათ, ორმოცი წლის წინათ, ასევე აკლ-
ების დროს გატაცებული?... მითხარი...
ესეც გამაგებინე... აჰა, წყალი! — თავი
აუწია, დოქი პირზე მიუყუდა, წყალი
თეთრ პეშეებზე გადაადინა...

— სიკვდილი მაცალე მამაშვილობა-
სა!... მტერი კი ხარ, მაგრამ... სიციოც-
ლეს ხომ არ გთხოვ... სიკვდილს!

— არა ვარ! არა ვარ მტერი!... არც
გაცლი... ვიდრე არ მეტყვი...

— ავი ყოფილხარ! — ძლივს აღმოზ-
და მოხუცს.

— გამავეს აესაკალო! გამავეს! და
არც ვიცოდი ისე!

...მაგრამ მოხუცი აღარ უსმენდა. იგი
ან კვდებოდა, ან ჰფიქრობდა... იგო-
ნებდა რაღაცას... ან ბერიკაცულად —
ორივე ერთად მოედინებოდა — ფიქ-
რი და სიკვდილი!... ფიქრი და სიკვ-
დილი!

სადიხამ ხელი შეუშვა, ახლა ყური
უახლოვა, მოხუცის ჩურჩული დაიჭირა,
ნაწყვეტ-ნაწყვეტ აკემსილად ააბა...

— აკლდათ... ერთი ბავშვიც მოსტა-
ცეს... მახსოვს ოთხი წლისა ძლივს იქ-
ნებოდა, ჩემი ნათლული და იმიტომ
მახსოვს — ანდო... ანდრია დავარქვი!..

მეტის გარჩევა ვეღარ შესძლო სადი-
ხამ. მოხუცი სულს დაფავდა, თვალებს
თეთრად ელმავდა... აღარც წყალმა უშ-
ველა, აღარც გულის მოღელამ.

— მე ვარ... იქნებ მე ვარ ანდრია!?!
შემომხედე... შემომხედე... ნათლიავ,
იქნებ მე ვარ?

მოხუცი კარგა ხანია სულგაყრილი
იყო. სადიხა კი კიდევ ეჯაჭვურებოდა
გულისპირზე და ჩასძახოდა... ჩასძახო-
და, ვიდრე ქვა არ მოხვდა ზურგში.

შემობრუნდა. ბიჭი ვალავან-ვალა-
ვან ახლო მისულოყო და ქვებს ესრო-
და.

სადიხამ ხელი შეუშვა უსულო გვამს,
მოხუცის უბიდან ამოყოლილი, მცირე
ბზის ჯვარი შერჩა ხელში. ახლა ბიჭს

დაუქნია ხელი და იხმო. მაგრამ ბიჭი ამოეფარა გალანის შერჩენილ ქონგურს და „სპარსს“ ქვები უფრო დაუშინა.

სადიხა აღარც მოპრიდებია ნასროლ და „იქნებ დამსახურებულ“ ქვებს. — მესროლე! მესროლე!... ჩამქოლე და მანუგემე! სვეტიცხოველს კიდევ ჰყოლია მცველი!... შენი ადგილი აქ არის! არა!... არც წაგიყვან!

ცხენს მოახტა და გალანის ჩაუარა. ბიჭი გამხნევედა, ქვების სროლით, ქონგურ-ქონგურ მოსდია.

ახლა კი ააჩქარა ცხენი მხედარმა. მიჰქროდა მოკრუნჩხული და თითქოს ტაძრის გალანნიდან, დანგრეულ სახლებიდან, ცეცხლმოდებულ კარბიჭებიდან შიგ კვინიხში სცემდნენ ქვებს!... ჩასაქოლად მოსდევდა თავად სვეტიცხოველი, მტკვარი, არაგვი... მესხიერებაში აღმდგარი მშობლიური ადგილმამულეთი, მთელი სამცხეთო, ალბათ მთელი გაწამებული საქართველო.

მისივ ბავშვობა მოსდევდა მისსავე მოწიფულობას... სძრახავდა, ამტყუნებდა, არცხვენდა და ამარცხებდა... ჰოი, რა საშინელია — სამშობლო ქვეთა და კრულვით რომ დაედევნება შობილს!

ნაგურჯალს სულ გამოეცვალა ხასიათი. თითქოს ენა წაერთვა, საკმაოდ მჭევრმეტყველს. ახლა იცოდა, რომ ეს მისი ღეღაენა არ იყო. სხვის ენაზე მეტყველებას კი მაშინ აქვს ფასი და გემო, როდესაც თავისი უკეთილესად იცი! სხვაფრივ უცხო ენის გალიაში ხარ.

აბა შაჰის კარზე ვის რას გაუმხელდა. ვულში ჩაიხშო თავის შეცნობის მწარე სინამდვილე და მარტოსულად ჩავარამდა. მეგობართმოძულე და უმოყვასო ვახდა. თითქოს პირადი ვაჟაკობაც შემოეძარცვა... რაღაა იგი პარადი... უკეთუ მტერთან ერთად, შენიანებს სამყოფელსა და სალოცავებს შეუბღალავ!

მეყვსეულად მოპოვებულ სამშობლოს მეწამული ლანდი ხანძრად ამო-

ადგა სულში და რაღა ჩააქრობდნენ მის მილს! მით უფრო, რომ ჩააქრობდნენ სულ მოვერაგებას უპირებდა მთელ საქართველოს. ხან დაყვავებით, ხან მუქართო ეჯიჭურებოდა ერეკლეს. ქალაქში ვერც ჩერდებოდა გამარჯვებული, გარე-ბანაკში უფრო იყო. თითქოს მიწა ეწოდა ირგვლივ. ერეკლეს სასახლეში ერთი ზეიმი გადაიხადა, მერმე გაძარცვა და დაანგრევეინა. ასევე მოსპო სხვა დიდებულთა სასახლენიც. მოპოვებულ დიდ გამარჯვების დაქარგვის შიში ჩაუფარდა... მაინც არავგზე გაგზავნილი ლაშქრის დამარცხების შემდეგ.

— ქართული ქვეა, ორი ერთად, არ იწყოს აღა-მამამადის გზაზე!

ერეკლესთან, ამ შიშით ნაკარნახევი, მოლაპარაკებაც სცადა, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა.

არაგვის მარცხის შეცახებ, სადიხამ თავად მოახსენა „საკუთარ თვალით ნანახი“. გურჯთა ძალა შეზვიადებულიც გამოუვიდა. ახლა უკვე თავის სურვილსა და სინამდვილეს „ძველებურ — სადინურად“ ველარ მიჯნავდა.

ტფილისში დიდხანს ველარ დადგა მპყრობელი. ერთი კვირა ძლივს აიტანჯ. შაჰის სწრაფი უკან წასვლა, გაქცევას უფრო ჰგავდა. გზაც სხვა ირჩია... ერევანზე გავლით — თვირიზს წასვლა. უკან დიდი, შავი კვამლი და ნაოხარი რჩებოდა. ასე ჩაღველდა ერევანი, ნახტევანი, მარანდა... გურჯთმოძულე გული კიდევ ვერ მოიოხა და ლაშქრის უმრავლესობა თვირიზს დაავდო. თავად კი პირად ამალითა და ცხენოსან ლაშქრით თვირიანს გაიჩქარა, განდგომილ ხორასნის მოსამტკიცებლად.

სადიხა თან გაიყოლა. ახლა სულ თავგზააბნეული იყო მეაბჯრე. თითქოს ახლა პირველად გაიტაცეს მცხეთიდან. თავს უბედურზე უბედურ ტყვედ გრძნობდა. თუმცა უამრავ ქართველ ტყვეებს თვალს ვერ უმართავდა და სათოფეზე არ ეკარებოდა.

გზაში მათ დაეწიათ, კავკასიონს აქეთ რუსთა შემოჭრის ამბავი.

დაავიანებული მფარველის ერთი

რასმი დარბეულ ტფილისში შემოსულიყო. მეორე, დიდ ლაშქარს, დარუბანდით — მტკვრის შესართავამდე ჩაველო. აქ — რუსთა ციხე-სიმაგრის აგე-ჯი უზრახათ. მაგრამ ბედი სწყალობდა ჩია შაჰინშას. ერთმა წელმაც ვერ მოიყარა თავი. ხეირიანად ამბავიც არ იყო მიმობრუნებული პეტერბურგსა, ტფილისსა და თეირანს შორის, რომ რუსეთის დედოფალი ეკატერინე გარდაიცვალა და რუსთ ლაშქრობა შეწყდა. მერმე უკან დაგორდა. მათ არც პირველგზაზე შეპხვედრიათ წინააღმდეგობა, არც მერმე არ ჰყოლიათ მდევარი.

ჩია შაჰმა რუსთ წასვლა უმალ გამოიყენა... ათასერთი ფირმანი დაუგზავნა კავკასიონს აქეთა დიდკაცთ... რუსთ „კულამოძებული წასვლა“ თავის „ძღუევაოსილებმა“ მიაწერა, ყველა დამიშა, მძევალი და თავის დაჯვრა უბრძანა. თავრიზს დატოვებული ლაშქარი აღარ იქმარა. თავად არდებილს ამოვიდა და ახალი, სწრაფი ლაშქრის შეყრა ბრძანა. ერევანზე კვლავ თავისი ძმა, ალი-ყული-ხანი გაპგზავნა, საქართველოზე შიშის თარეშის გასევა დაავალა.

უხვ მკალიანობას წელიწადი იყო. ჭერ ფრთაშეუტხმელი სარანჩა, ლოღავდა ყველგან. უღრუბლო გვალვა იდგა ლაშქარიც სარანჩასავით გროვდებოდა და ფრთებს ისხამდა.

ბოლო თათბირს, შიდა კარის მცველად, სადიხაჟ დაესწრო. ყველაფერი თავისი ყურით მოისმინა. ჩიამ, ამ ჭერად „უფრო მკაცი ხელის“ გეზი დასახა, „შაჰბაზურს“ — „აღამაჰმადურიც“ დაურთო, ნახუვენელებს, შექელებს, თალიშელებს, სომხებსა და, განსაკუთრებით, ქართველებს საერთო აყრა და მანანდარანსა თუ ასტრახადს გადასახლება დაუთქვა. მერმე მეფე ერეკლესა და იბრაჰიმ-ხანის ხელში ჩაგდების ფართო ფანდები დააწყო.

ერეკლესთან არა ელჩის, ხელშინაურად პირადი შათირის გაგზავნა იბრახა. მუქარითა და დაყვავებით დაწინუღი ფირმანი თავად უკარანახა, რუსთ აუგითა და გაკილვით აღავსო „დიად

იმედინად და ხათრიჯამობით... კარზე იწვია თვით მხცოვანი მფეველის მისი შვილი „მრავალფერი წყალობის მისაღებად“ და „რომელიც გვიბრძანებია, თუ ისე არა ჰქმენ — შენ იცი!“

ეს „შენ იცი“ ცეცხლად და ნაღვლად მოედო სადიხას. განსაკუთრებით, როდესაც გაიგო, რომ შათირად სწორედ მას აგზავნის შაჰი. ვერასგზით ვერ გაეგო, რაღა მიინცადაჰაინც მას დაავალა ეს შათირობა? არა სხვა დროს, სხვაგანაც არაერთხელ ყოფილა, შაჰის უშუალო თვალად გაგზავნილი, მაგრამ ახლა, საგანგებო, მზაკერულ არჩევანს ჰგავდა...

„ეჭვი თუ აიღო შაჰმა... და მცდის, ან მიშორებს!“

სადიხა ფრიად ფრთხილობდა, არაფრით ემეღვენებინა „გვიანქართველობის“ თვითგამორკვევა. ეს მაშინვე „თავის ფსადა“ დაუჭდებოდა... მაგრამ სულ სხვა რამ გამოიორკვა...

გზადაგზა, რბევს სურათი, ჭერ კიდევ მოუშუშებულ იარებად ჩანდა... ციხეთ ნანგრევები და ნასოფლარები ურთიერთს სცვლიდნენ... მაინც საქართველოს მიწა-წყალზე. მიდიოდა და ყველგან ვალავანი და ზედ გადამჭდარი ბიჭი ელანდებოდა... ფირმანი კი უბეში შაჰის მრუდე სატევირით ჰქონდა გაყრილი.

ტფილისს რომ მიუახლოვდა, ქალაქის ბუქსთან, შაჰის წარმოგზავნილი უმალ იცნეს. მოქალაქენი შემოესივნენ. შეიქმნა წყევლა-კრულვა და ჩასაქოლად ჭიქურმიწევა. ძამამოსილი დედაკაცები ხომ ველარაფერმა ვერ გაანერა. გადმოითრიეს ცხენიდან, ფეხქვეშ ჩაიგდეს, გადათელეს... კიდევაც ჩაქოლავდნენ, ბუქსთან მყოფი რუსი ჭარისკაცები რომ არ შესწრებოდნენ და არ ეხსნათ. შემოადგნენ, სიცოცხლეც გადაურჩინეს და ფირმანიც.

ახლა სულ დაიბნა შაჰის შათირი. ჭერ ერთი, რუსთა ყოფნას აღარ მოელოდა ტფილისს. ეს აღარც აღა-მაჰმადს ეგონა, ამ იმედით აგზავნიდა ასეთ აყვია ფირმანს. მაგრამ ეს „შათირის

ფიქრი“ გულის მიღმიერი იყო. გულში სხვა მოხვდა... „ამიტომ მირჩია!.. ჩანს გამწირა ჩემმა გადარჩენილმა შაჰმა! იცოდა როგორც შემეყრებოდნენ რბეულ ტფილისთან მისეულ შათირს!... და სწორედ მე, ნაგურჯალი გამომგზავნა!... სისხლი შეიწირონ გურჯებმა, ისევ გურჯისა იყოს!“ ...და როგორც ქორი, სულში ისე ავარდა სიტყვა... „ახია ჩემზე! ახი! ახლა ხომ ვიცი ჩემი ქართველობა!... და რაღა მამერებს შაჰის უზანგთან!“

რუსებმა წესრიგში მოიყვანეს გვემილი... თვალები აუხვიეს და შაჰის კაცი, დარიას სასახლეში, მეფე ვრეკლეს მიჰგვარეს.

მერმე, უკვე ახსნილი თვალი, გაწამებულ ქალაქს ველარ გაუსწორა, ისევ დახუჭა და ასე დაღაგა... „ახი — ფიქრი“ კი საფეთქლებთან უბაგუნებდა. თითქოს ვაეკაცობა არ მაკლია, მაგრამ შაჰის მონად ვყოფილვარ გაჩენილი, არა სვეტიცხოვლის მლოცველად! ან ამ დედაქალაქის ქირისუფლად!... თვალდავსებული და განწირული, სხვისი ბრმა იარაღი!“

მეფესთან რომ იწვიეს, ერეკლეს შაჰის ფირმანი უკვე წაკითხული ჰქონდა.

...არა, ახლა კრწანისის გახელებულ ცხენზე აღარ იჯდა, ხმალნაშიშველი და ვეფხის ილაჯიანი... არც ტახტზე... ძველნარუქ საკარცხულში, მხარჩამოვარდნილ არწივივით შეყუყულოყო, დაღლილი ბერიკაცი და ჭერაც აღუდგენ ტფილისის ნანგრევებს დიდი სარკმლიდან სვედიანად გადაჰყურებდა.

სადიხას სისხლი და ბოღმა ერთად მოაწვა საფეთქელსა და ყელში. ფერხთით ჩავარდნა სწადდა, ყველაფრის თქმა, გულის გახსნა, თავის მზილება... მაგრამ ანუშებდა, სძალავდა შორეული ჩია კაცი... თითქოს აქ იდგა, ჩია აჩრდილის სახით და მოწყურულ, უღინდლო ტურნებს ციყვივით აცმაცუნებდა...

სახე შემოიბრუნა ერეკლემ, წარბებს შორის თუ შეწითლებულ თვალის უბეებში მყისი ელვა გაერთა, სახე ისევ ნოუარწივია...

— არა, ჩვენს შორის დაბრუნებული ტფილისია და ქართული სისხლის ზღვა! პასუხი არ იქნება! — ხელი ხმალივით მოიქნია და სარკმელს მიუბრუნდა.

სადიხა გარეთ გაიყვანეს, თვალები ისევ აუხვიეს და ისევ რუსებს, შორს, ქალაქგარეთ გააცილებინეს.

„ქართველები ჩამქოლავდნენ შაჰის შათირს!... მაგრამ, აღმათ ასგზის უფრო, კრწანისის მონაწილე, ნაგურჯალ მონას!“

უკანა გზაზე, თითქოს ცხენზე უკუღმა იჯდა შაჰის შათირი... ყველაფერი ჩაძაძულ ფიქრებში ჩანდა. ჰქოლავდნენ და ვერც ჰქოლავდნენ... მონობდა და ველარც მონობდა... ვალავანი და ბიჭი ვალავანზე ისევ მოსდევდნენ!

სულჩაქოლილი მობრუნდა ერევანს, ალი-ყული-ხანთან. იქიდან ირანს გაუშვეს დაოთხვით... ცხენებსაც ისე იცვლიდა, როგორც სასოწარკვეთასა და იმედს.

არეზზე შეეყარა ალა-მამადაის ცხენოსან ლაშქარს. უკვე შუშის ციხეზე მოდიოდა იბრაჰიმ-ხანის დამათრგუნავად.

შაჰმა არეზი გადმოლახა, აქვე ნაპირზე, ცხენდაცხენ, მოუსმინა სადიხას და ფიქან გაიყოლა. სულ არაფერი გაჰკვირვებია, თითქოს მოელოდა ერეკლეს „უპასუხობას“. მხოლოდ რუსთა ყოფნა ტფილისს არ ეამა... თავის შათირის ჩაქოლვა ერჩია. საბაბიც იქნებოდა და „ურტსობაც“.

სადიხამ ახლა კი უგრძნო ფიქრი, თავის უფალს... თან თვალსა და გულს შუა დარწმუნდა, რომ სწორედ ეს ჩია, მაგრამ უტებ ნებისყოფისა და ვერაგობის კაცი, სულში უზის გაჩხიბულად და არც აქვს საშველი მასა და მის ხელახლად მოპოვებულ სამშობლოს... და მას კი, ახოვანსა და ვაეკაცს, ყველაზე უარესი, სულით მონობა სჭირს, თითქოს გამოღვიძებულ მონას!

ალა-მამადამა ნაწილი ლაშქრისა, მტკვრის გაღმა გაგზავნა, რუსების ბანაკარი „იკლო“, გული მოიჭერა და ყარაბაღს შეუტია.

იბრაჰიმ-ხანი შუაში აღარ დახვდა. ამ ჯერად თავი გაერიდებინა ბელაქანში. ციხე უბრძოლველად დანებდა. ამან მადა და მძეინვარება მოუმატა ყაჯარს. ძველი მოკავშირე და ტფილისის აღებაში დიდად ხელის გამწყობი, ჯავახი-ხანი მექარით იხმო და დაატყვევა. ასევე მოექცა შემახელ, შექელ, ბაქოელ ხანებს. მხოლოდ თალიშელმა ხანმა თავს უშველა, კუნძულ საროზე გაერიდა.

ჩია შაჰის დიდსურვილოვან ზრახვებს, დამახინჯებულ ცხოვრების სიმწარე მუდამ გასდევდა. მისი განდიდება და უაღრესი ზეიმი ტფილისის აღება-აკლება იყო, ნაყოფად კი არაფერი შერჩა... ერეკლე არ მოუვიდა, ტფილისში, მართალია, მცირე, მაგრამ რუსთ ლაშქარი მიიწვი იდგა. მეტი გზა არ უჩანდა — უნდა გაიმეოროს თავისი დიდება! საბოლოოდ „ირანულად“ გადასწყვიტოს „გურჯი ვარაუდი“ არა და „რუსულად“ გადაწყდება... და მაშინ ვაი ყაჯარს! იქნებ მთელ აღმოსავლეთს!

ისევ დამსტოვრა ასაკლები ქვეყანა. თურქთაც გაუწოდა ხელი „საერთო ჩრდილო მტრის“ წინააღმდეგ.

მსტოვრების ნაწილი, მოპარულებისას, სადისას ხელში გადიოდა. მან იცოდა, რომ ტფილისს მკაფიი რუსთ მცირე რაზმი, უფრო მეფის ამაღლასა და აკლებულ ტფილისის ახალ „სამკაულს“ ჰგავდა. ისიც დღე-დღეზე ელოდა უკან გამგზავრების ბრძანებას. არც ახლა ჰქონდა „ომში ჩაბმისა და გარკვეულ მოქმედების“ განკარგულება.

...და მაინც ფეხს იორევედა ყაჯარი. თავს იტეხდა, გულს ასკდებოდა და წარსულ გამარჯვების ლანდს ისევ ეზმანებოდა. ლაშქარი ახლა მეტი ჰყავდა. მომიჯნავე ხანების უმრავლესობა უკვე ტყვეულნი, მოდრეკილნი და დამონებულნი... ერეკლე უფრო დაბერებული თავად უფრო ამაღლებული!

ბოლოს ყველაფერი თავზე შემოიგლო... ოდესღაც გამტყუნებული, რამლის ყრის ბოლო ნაწილიც გულიდან

გადაიგდო და გადასწყვიტა. მეწინავე ცხენოსანთა ლაშქარს საჭრდელეუხეფი დუხ-ხან-შალიღელი ამომბინა...
დასრულებულია

— ისევ მეწინავედ წახვალ... ღამე ლაშქრის მზადყოფნა და აე-კარგი მომახსენე! — სწრაფად გაისტუმრა და ახლა სადისა იხმო, სანამაზე თუნგი ითხოვა, ხელები გადიბანა, ზომამზე ჭარბად დაასხმევიანა წყალი.

— ის შენი ჯადო ლოცვა როგორ არის?... „მუ-მლი... მუ-ხა-საო!“ კეთილად მაქვს დაცდილი... მაშინაც, ტფილისზე რომ დავიძარით... ახლაც ამითი ვიწყებ!

ეს ფიქრი უფრო იყო, ვიდრე მონამსახურისთვის მიგდებული სიტყვა... არც პასუხის დაგვიანებას მიაქცევდა ყურადღებას... მაგრამ მორაკრაკე წყლის ნაკადი აკანკალდა, მერმე სულ ასცდა შაჰის ხელებს და სანამაზო ხალიჩას დაესხა.

ცრუმორწმუნე შაჰს ცეცხლად მოედო ნამაზის წყლის ხელმოცარულად დაღვრა, ისიც ლოცვის ხალიჩაზე. მწყრალად შეჰხედა დამნაშავეს:

— შენ იცი რა ჩაიდინე ახლა!? — სინა ხმით უთხრა და გააშეშა. — მტკვარში გადამიჩი... აქ კი დაგახრჩობ!... რამლი რომ ვყარე თეირანს... არც ურთი არ დავინდე, ნიშნის შეშლისათვის!... გასწი ახლა!

ეს სიკვდილის განაჩენი იყო, მეაბჯრემ კარგად იცოდა თავის აბჯროსნის ენა და საქციელი. უსიტყვოდ გაეცალა.

შაჰის საღვოზს იქით, შინამსახურნი შემოესივნენ.

— რა მოხდა, სადის!? — ჩააცივდნენ, მაინც ხუდადა-ფარეში. წარმოშობით არც ის იყო სპარსი. საქურისი საერთოდ გადაგვარებულებს უფრო ენდობოდა და იყენებდა.

— არაფერი... დავუსხი შაჰინშაჰს... ცოტა დამელვარა!... დავიბენი...

— დაგელვარა!... შე უბედურო... ოქროს დაღვრა-დაბნევა გერჩია!... ხომ იცი. რა მოგელის!? — ხუდადას ნათქვამი, ცოტა ხმამაღალი და გულიანი

მოუვიდა. სხვა მსახურნიც შეჩოჩქოლდნენ.

უცრად ყველამ ხმა იკმინდა. ეჭვიან შაპს ტახტის კარი გამოედო და კისერწაგრძელებულად იდგა. ყურალესილად უსმენდა...

— რა ყოფაში ხართ? რა ოქროს დაბნევა? — ავი სივილით შეეკითხა ყველა გაძგიფა. ხუდადა წინ წამოდგა... ოქროს სახსენებელი უნდა გაემართლებინა.

— მზეზე მაღალო! შენს გამარჯვებებში მოპოვებულ ოქროს ვიყოფდი... უმნიშვნელოდ შევლაპარაკდით!.. ალაპის გულსათვის პატიებას ვითხოვთ! ...მაგრამ ჩიი კაცი სიბრაზის დასატეხს საბაბს ეძებდა... ყველა დაცოფა...

— ჩემსა და თქვენს შორის არვის ვიღებ შეამავლად... მით უფრო ალაპს! ჭერ ვილოცო! — ხუდადას კი ცალკე მოუჭრა, — შენც მაგის გზას გაგაყოლებ... იქ გაიყავით! — არც სხვებს მივცემ შეღავათს! დაქმუნილი სახე სულ დაემანჯა და კარი ხმაურით გაიხურა.

ყველა სახტად დარჩა, ახლა ყველანი სიკვდილის ხახაში იყვნენ.

— ჩვენი ცხოვრება გაათავებულის! ომსა და ამოწყვეტას ჩვენგან იწყებს! — აჩურჩულდა ზარდაცემული ხუდადა.

მალე სადღუხ-ხან სარდალიც მობრუნდა, მეწინავე ლაშქრის მზადყოფნის მოსახსენებლად, მაგრამ ავიც ჰქონდა სათქმელი, რომლის დაფარვაც, ახლა, წასვლის წინ, უკვე აღარ შეიძლებოდა... ათიდან სამი ათასი ცხენოსანი, თვითნებურად, ციხის გარეთ გასულიყო, სამეკობროდ დაჯალაფის საშოვნელად. ახლა ამის გამხელა, თავების დაგორებას უღრიდა... სარდალი ფრიალ საგონებელში იყო... მაინც ხლება დააპირა... გული კი ავს უგრძნობდა...

— ნუ ინებებთ ხლებას! — გააფრთხილა ქართველმა სეხნამ, — მრისხანედ არის, არა შეგამთხვიოსრა!.. ჩვენ უკვე შემთხვეულები ვართ... და გათენებას ველით!... ხვალ პარასკევი!

შაღიღელი შეჩერდა, დაუფსა გაფრთხილება. ამბავიც წერილად გაიგო.

ყველაფერი ინიშნა. თავისი ფრონილი ვარაუდებიც გასწია: დღეს გადარჩენილი იყო, მაგრამ ხვალ? თავი ხვალაც სკიროდა... სამლიქვენლოდაც და მით უფრო აღსამადლებლად! მდგომარეობა კი ისეთი ჩანდა, რომ ფარული სარმის გამოცვრა უხიფათოც იყო და იქნებ მისთვისაც საშველის მომტანიც, ახალ საძიებო გზების გამჩენიც.

ირანში ხომ ყოველი დიდი ხანი შაჰობის მძიებელი იყო. არც სადღუხ-ხანი იყო გულსაწყალი და უსურვილო კაცი. მლიქვენლობაც ეხერხებოდა და იმ საფარად მიაჩნდა, რომლის ქვეშ ჩასაფრებული მტრობა კარგად იმალებოდა. განდიდების წუთის მოლოდინი და ჯაგრის ამოყრის ჭია, მას იქნებ ყველაზე უფრო ღრდნიდა.

საერთოდ ასეთ ხოხოლაზე იყო ავებული ალა-მამადის „დათხრილ თვალებისა“ და „გველდაქნილა მლიქვენლობის“ დიდება.

— იქნებ გვითავდებო, სარდალო! გვიხსნა! საშველი მოგცე! — შეევედრნენ ხუდადა-ფარეში და სხვა მსახურნი.

— საცოდავებო! კარგად იცით, რომ საშველი არ არის! — ჩაღუღუნა სადღუხ-ხანმა და თავისი სეხნა ცალკე იხმო. მისი ვაჟკაცობაც იცოდა და ენის სიმოკლეც... თითქოს თავად ბედი აძლევდა ნიშანს. მანაც ხერხიანად ჩაუქარაგმა.

— საშველი ერთია... თქვენ ხუთნი ხართ, ის კი ერთი!

ქართველი სეხნა შეტოკდა. თითქოს მის ფიქრებში ორთავ თვალთ ჩაიხედეს! მას დიდი ხანია... კრწანისის შემდეგ, გადაბუგულ ტფილისისა და მცხეთის შემდეგ, უთამაშებს მარცხენა თვალი და მარცხად უტოკავს ხელი მარჯვენა. მან არ დაადრევიდა სანამაზო წყალი? ამ ფიქრმა აბორჯა და აშმაგა, ნამდვილ მტრის გარკვევის უნარი და შეუპოვარი სულისკვეთება გამოუკვერა... და ახლა ვინ — ვის დაასწრებს! ავი საქურისი, თუ მისი გააფთრებელი მონა? უკვე არა ბრმა! არა ყურმოჭრი-

ლი, არამედ სიკვდილმისცილი და ამით ყველაფრისაგან თავისუფალი! ნუთუ საჭირო იყო სიკვდილის განაჩენი, რომ საბოლოოდ შეენჯღრია და გადაგვარების სქელ ქერქიდან გამოეგდო? მონობის ჯადო-ნალექი დაეძლია!?.. რაც ხალსი შერჩა, გამოეჩინა! ყველაფერი შურისგებისა და ვაჟაკობის სასწორზე დაედო და ბოლოს, შინაგანი დამბლის ძლევის გზით ხელის აღმართვა გაეზედა?

...სადუხ-ხანი წავიდა. ხუდადამ თავი ჩაჰვიდა, სასო წარიკვეთა... დანარჩენი შინამასხურნი აქეთ-იქით მიიყუენენ.

...სასახლეში ლოცვის შემდეგ არვის იღებდნენ. გარეკარი ჩაკეტილი იყო. მძიმე ღამის აბჯარი მოიყარა ტახტის კარისა და შაჰის საწოლის ირგვლივ... ხვალ პარასკევი იყო, დაძაბული დღე ახალ ნახტომისა. ხოლო ალა-მაჰმადს, გარდა ამისა, დიდ სალოცავ და საჯალათო დღედ ჰქონდა მიჩნეული. მისი უკუღმართი გამოცდილებით, ომის წინ, თავის ბანაკშიაც, თავების კვეთა „კარგად“ მოქმედებდა მომავლი ომის მსვლელობაზე. „ლაშქარი ჯერ უნდა გასწირო, რომ მერმე თავგანწირული გახდეს!“ — ასეთი იყო მისი ომის პარასკევი.

...დრო დაღლილი მონების ქარავანით ნელა ვიდოდა. სადიხა შეურხევ ქვაკაცად იდგა. დიდხანს იდგა. ვიდრე სანთლებმა არ იწყეს ბუტუტა. მერმე წყალი მოსწყურდა, აუტანელად... მაგრამ ფიქრი სხვა წყურვილს გაჰყვა... პარასკევი თენდებოდა.

წუთი დადგა. უხილავმა ხელმა წაჰკრა „ქვაკაცას“. სადიხამ სატევარი იძრო, ხუდადა შეანჯღრია, გონს მოიყვანა.

— მომყევი!

ფარეშმა დაფეთებით შეჰხედა ხანჯლის პირს და უსიტყვოდ მიჰყვა. ერთი ფარეშიც ხედ კარებთან დახედათ. გურჯმა მუცლის არეში მიაბჯინა სატევარი. — კარბ!.. წაგვიძებს! კრინტი!..

კარის ფარეშმა ფოლადის ცივი გესლი იგრძნო. . . არა, აღარც შემინებია შა-

ჰის შერისხულს. კარი კი უხმოდ გაუღო.

ახლა იყო მთავარი. თუ აუღებინა შიშა შაჰს, ყველას გააფუჭებდა თვალით. კარიდან—საწოლამდე, თითქმის უძლეველი იყო მონათყოფილთათვის ჩიას ძალი შაჰს ეძინა. მოკუნტულად, კისერბრეცილად, ბალღურად დაეღო უღინღლო პირი და უსწორმასწოროდ ფშვინავდა.

სადიხამ ღრმად ამოიოხრა და უცბად დადინჯდა. ფიქრიც დაიმორჩილა. ახლა თავისუფალი მეზრძოლი იყო. არც ერთ მოძრაობაში არ შემცვდარა. თავისი სატევარი ჩაავო. ამის დამნახველმა ხუდადამ სულ გადმოკაჟა თვალები. . . მაგრამ სადიხამ არ აცალა შეკრთომა, ხვერღოვან შავ ბალიშზე მიუთითა, ააღებინა... თავად კი საწოლის თავანიდან, შაჰის მრუდე, უხვად მოოქვილი, სატევარი აიტაცა. . .

ხუდადამ შავი ბალიში შაჰის სახეს უპირდაპირა, ირანული წესით სწაღდა მისი გამოგუდვა, მაგრამ სადიხამ არ დაანება, ბალიში მკერდზე დაადო „შეზე მაღალს“ და მთელი ტანით, ევფხურად დაახტა და გააღვიძა. . .

— იცოდეს, რომ ჰკლავენ!.. ეს მეც მჭირია და მასაც!

შაჰმა ერთი ამოიკვნესა და თვალები სჭყიტა. ხელად იაზრა. . .

— ვის უბედავთ!? — მაგრამ თვალისა და სიტყვის ძალამ რომ ვეღარ გასჭრა, დასაკლავ გოჭვივით აჰყვიტინდა. . . მერმე შეევედრა, —ნუ! ნუ! მიპატიებია! სამი ქვეყანა! ათასი ოქრო თითოს!

— ერთი აღმდგარი გურჯისტანიც საკმარისია! — შაჰის კარზე ჩატეხილ კბილში გაბასრა სიტყვა მეაბჯრემ, ყელში ძველი „ლოცვა“ და ბოღმა ერთად მოაწვა. . .

— „მუშლი მუხასაო გარს . . . ეხვეოდაო!“ — ჩაგუბულ ძალით ამოიძახა და მრუდე სატევარი მარცხენა ილიაში ღრმად გაუყარა. . . გონზე მოსულმა ხუდადამ შავი ბალიში პირზე დაადო, კარის ფარეშმა კი საბნებიც დაუმატა. . .

თავის წრიბინივით ხმაც უმაღლ ჩაიხ-
შო

მალე ჩია—ქიას ოდენა გახდა. სადი-
ხა ქართველი კი წელში გაიმართა, თით-
ქოს მონობა, გადაგვარება, უნებური ლა-
ლატიც, ერთი დანის მოსმით მოიშორა
და პირწმინდად აღდგა.

დანარჩენი საოცარი სისწრაფით მოხ-
და. შაპის სატევიარი თავად სადიხამ დაი-
ტოვა. ძვირფასთვლებიანი სამკლავებები
კი ზუღადას მისცა და სადუხ-ხანთან გაგ-
ზავნა. შაპის გვამთან საიდუმლოდ იხმო.

მანაც არ დააყოვნა, გულის ხეთქით
მოიქრა. ჯერ გაოგნებული იდგა, მერმე
ჩაჯდა და აზრი იკრიფა. დილაშდუ საი-
დუმლოება დაიცვა. შაპის მთავარი სამ-
კაულეები გაიტაცა, საქართველოზე სა-
ლაშქროდ გამზადებული რჩეული მხე-
დრობა წამოქყარა და შუშის ციხიდან
გავიდა.

იცოდა სარდალმა, ალა-მამკადის ში-
შით ნაყოფიწები ხუხულა დილას დაინ-
გროდა. . . ახლა ვინც ადრე ჩაასწრებდა
თეირანს, მას შეეძლო შაპის გვირგვი-
ნის შოვნა.

...ვიდრე საერთო აღრეულობა და
შინაბრძოლა დაიწყებოდა ბანაკში, შა-
პის მკვლელები შეთათბირდნენ. . .

— შე ხეივ გზა მაქვს. . . ჩემსას ნუ-
ღარ ჰკითხულობთ! არც რაი მინდა!

საქართველოსაკენ ერთადერთი ზრა-
ხული გზა სადიხამ, ბრძნულად დაჰფა-
რა. . .

— დანარჩენები რას ვეწიოთ!?

— წადი იბრაჰიმ-ხანთან, ბელაქანს
. . . შაპის თავი მიართვით. . . უმჯობესი
ძღვენი არც ეფიქრება! . . . მეფურად და-
გასაჩუქრებთ, შეგინახავთ კიდევაც!

ჯერ კარგად გათენებული არც აყო,
სადიხამ თვალი რომ მოჰყრა ჩია შაპის
უკვე მოკვეთილ თავსა და მოგვალულ
სახეს . . . იგი, უგვირგვინოდ, მკანარად
მოტყეპილი ჩანდა და მის მიერ ჩადე-
ნილ უზომო ბოროტებსათან შედარე-
ბით, სულ არარა იყო . . .

ერთი ჩუმი საუბარზე, გვერდსაწმორ-
ზე მოხდა.

— მაშ შენ ყოფილხარ! . . . შენ გიშ-
ველა დმერთმა! დიდი საქვეყნო საქმე
გიტვირთია . . . ხან მთელი ერია მსა-
ჯული, ხან ძე ერისა . . . ერთი ყველას
მაგიერ! დიდი ჭირი მოგიშორებია სოფ-
ლისათვის . . . ბევრი ქართველის მარჯ-
ვენა და ჩვილი გადარჩა. . . მაგრამ ერთი
თავდადება კიდევ გმართებს—უსახელო-
ბა! ახლა ვეღარც გავამხელთ შენს გმი-
რობას! . . . სპარსეთი დიდი, ჩვენს თავზე,
ბევრის შემსლე ქვეყანაა. . . ალა-მამკად-
საც გამოუჩნდებიან მეშვედრენი და
სისხლის მაძიებელნი. . . შენს თავს მოგ-
ვთხოვენ. . . შენი ცხოვრება და სახსარი
ჩემზე იყოს, სადიხას კვალი კი უნდა
გაქრეს!

— ჩემი სურვილიც ეს არის! . . .
მცხეთას გამიშვი! იქიდან ვარ მოტაცე-
ბული, ბიჭი — ანდრია! . . . იქ ერთი ბალ-
ღია მხოლოდ გადარჩენილი. . . ჩემი ძმი-
სწული!

— კეთილი! . . . წადი მცხეთას, შენე-
ულ სახლ-კარს დაუბრუნდი. . . რჯულს
მამა-პაპურს, დედაენას. . . ნათლიად ჩემს
შვილს, ფარნაოზს მოგცემ, ხოლო მფარ-
ველად კიდევ მირიანს! . . . ორი ბატონ-
ნიშვილი გიპატრონებს. . . ეს ჩემი ოჯა-
ხის წევრობის ნიშნად მიიღე. . . საიდუმ-
ლო კი დავიცავთ. . .

ერეკლემ პირვეარი იახა და ლოცვა
წამოიწყო, მობრუნებულმა სადიხამ კი,
ისევ ძველი ლოცვა-გალობა, რომელიც
მულამ წალმართად ახლდა გადაგვარება-
შემობრუნების დაკლავნილ გზაზე—

— „მუშლი მუხასაო. . . გარს ესვეო-
დაო! . . .“

ერეკლემ გაკვირვებით შეჰხედა, მერ-
მე მიმხედურად გაუღიმა და ბებრჯლი
ბანი მისცა. . .

— „მუშლი ამოწყდაო. . . და მუხა გა-
დარჩაო!“

. . . მუშლი და მუხასაო. . .“

შენი კაცობით ამაღლებული

ქვემო მატჩხანელმა ფორე მოსულიშვილმა ფაშისძის ტყვეობას თავი დააღწია! თუ არა მზარში ამოუდგა იტალიელ პარტიზანებს.

განსაყუთრებული დამსახურებისათვის სიკვდილის შემდეგ მიენიჭა იტალიის ეროვნული ვიზის საპატიო წოდება.

ფორე!
წუსელი არ დამეძინა.

ფორე!
სულ შენი ქება მესმოდა.
მკერდზე იმ ბოშბის ეჭო მეფინა
იტალიაში მტერს რომ ესროლდე.

მგვონა, შენი სუნთქვა ხალასი
მოპქონდა ქარს და სულში მაქსოვდა
და ამოპქონდა ტალღას ალაუნის
ოქროს ფსკერიდან შენი ზავშვობა.

ჟერ უთქმელი და დაუსტამბავი
სიტყვის რამდენი გაგჭრა მალარო,
რომ მწედმოსული შენი ამბავი
მშობლიურ მთებს და მინდვრებს ვახარო?

რომ საკადრისი სიმღერა შეეძლო
შენ გმირობაზე, კაცო ბიტალო,
რომ მატარონეს კლდეების ეჭო
კახეთის ზვრებში გადმოვიტანო.

ტყვედ წაგვიყვანეს დამარცხებული?
ფიქრობ და ძმავო, ბედზე ვიცინი.
სიცოცხლისათვის დაბადებული,
ვით გასდებოდი მონა სიკვდილის.

ახლაც სიზმარში თავი მგონია.
შენს სახელს სულში ვინთებ სანთლებად.
ფიქრობ და სიტყვა ვერ მიბოვინია
შენი ღირსების გამოსხატვმელად.

ერთად შუშდება ყველა იარა,
ერთად ვართ შენი ღიდების მთქმელი.
შენ მაჩხაანი მარტო კი არა,
მოგეკალმება სამშობლო მთელი.

ისევ იმ გუნებით ზეცა ნათდება,
ჰყვავის ვარდი და ფუთქავს კოკორი,
რომ გაგახსენა უკანასკნელად
მონტეროზას მთამ შენი გომბორი.

გაუჩინარდა ვარსკვლავთ კრებული,
მთებო სინათლით უბეს იესებენ.
შენი კაცობით ამაღლებული
ვდგები და შენზე ფიქრობ ისევე.

დაძლულუნებენ ამ ფიქრს მერცხლები,
მივალ, სულ მინდა ეს ხმა მესმოდეს...
და წინ იმ ბოშბის ეჭო მეშვლება,
იტალიაში მტერს რომ ესროლდე.



ქართველი

ერადლო გასმონეს

„იგი იყო ეროვნებით ქართველი, საერაოდ კი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე, დაიღუპა 1944 წლის 3 დეკემბერს. ვთხოვთ, დაგვეხსნათ მისი ნამდვილი ეპილოგის დაზუსტებაში“.

იტალიელი კომუნისტი დემუტატის ერადლო გასტონეს წერილიდან.

ეს ამბავი, ეს მართალი ზღაპარი,
უკვდავების ჩირაღდნებით გამთბარი,
გულში გჭონდა ოცდახუთი წამთარი,
გულში გჭონდა ოცდახუთი აპრილი.

და იცნობდი არა გვართ, სახელით,
მხოლოდ იმით, რომ ის იყო ქართველი,
რომ ის იყო ბნელში ცეცხლის მფანტველი,
ფარი მზის და დაშნა თავისუფლების.

ის გაქეცა რაიხსტაგის ჯალათებს,
რომ კვლავ ისევ მტერს მისი ხმა ზარავდეს
და კიდევაც უკანასკნელ კარამდე
მკერდით ეღგა იტალიის მომავალს.

რომ იყოფდა სიტკბოსა და სიმწარეს,
უცხო კაცი თავის კაცად იწამეთ.

სათაყვანო გარიბალდის მიწაზე,
აბა, როგორ შეარცხვენდა ილიას.

არ ჰჭონია ტრფობას დრო და მანძილი...
ჩვენი გულის, ჩვენი სულის ნაწილი —
სამშობლოს ცას დაუბრუნდა არწივი,
მშობელ მიწას შველი სახელოვანი.

ბაღში ვარდი კიდევ უფრო განაზდა,
შეუქანდა გული ყველა ლამაზმანს
და ახალი სიამაყით ალაზანს
გადაუჭროლეს გომბორიდან გედებმა.

გმირს რა ერქვა? როგორ გითხრა მეგობარს,
მზის ყველა სხივს ერთად როგორ შეგვკონავ,
მას სახელად ქართველობა ეყოფა,
ჩვენ კი მისი სახელი.

ა ს ე მ ე გ ო ნ ა

ჯერ მზის ჩასვლის წინ ყველა ვარდმა
ერთად ინათა,
დასცილიან გზებზე ღიმილის, თასებს,
მერე კი მთვარე სწორედ ისე ამობრიალდა
შელამებისას, როგორც იცის გომბორის
მთაზე.

ჯერ ციხ ლაყვარდებს შადრევენებად ცეცხლი
მიადგა,
ღრუბლის ხომალდებს შეუღება აფრები
წითლად,
მერე კი მთვარე სწორედ ისე
გადმოშრიალდა
წყალამისას რომ ეშვება გომბორის მთიდან.

დაეშვა მთიდან ნელანელა მდინარის
იქით,
გადმოჰყვა ფრთხილად ხეობაში ჩამალულ
კარეებს

და მერე ისე შემოვიდა ჩემს სულში იგი
ალაზნის ზერებში როგორც შედის
გომბორის მთვარე.

გადაიპენტა ყველაფერი გარშემო თეთრად,
ამ სითეთრეში ჩაიძირა დუმილის ხიდი.
გათუნებამდის მე და მთვარე ვიყავით
ერთად
და მე მეგონა ალაზანში ანკესებს ვყრიდით.

და როცა ცისკრის ვარდისფერი გაიღო კარი,
მონტეროზას მთის ნიავეკარი ალიონს
შეხვდა,
ასე მეგონა, ალაზნიდან დაიძრა ქარი
და თვეზებივით დაფრთხილდნენ
ჩრდილები ხეთა.

წავიდა მთვარე, გომბორისკენ წავიდა
მთვარე,
სწორედ იქითკენ გადუარა მუხებს და
თელებს.
ჩემი სალამი თუ წაუღო სამშობლო მშარეს,
ჩემი სალამი თუ წაუღო ალაზნის ველებს.

გაუშარჯოს თავისუფლება

„გაუშარჯოს თავისუფლებას“ — ეს იყო ფორტის უკანასკნელი შემახილი.

თუ გინდა გული გულთან გალადღეს
და სიყვარული იყოს მთლიანი,
ეს გაუშარჯოს ამ ქვეყანაზე
თავისუფლებას ადამიანის.

თუ გინდა კაცი საქმით ამაღლდეს
და ფრთა გაშალოს შრომის სუფევამ,
ეს გაუშარჯოს ამ ქვეყანაზე
ადამიანის თავისუფლებას.

მაშინ, მზეობა მზეს არ უხდება,
ტკბილი სიტყვაც კი არის მთუთქველი,
ამ ქვეყანაზე თავისუფლებას
თუ ზედ მონობის ადგას უღელი.

გაჩნდი? ეს ნიშნავს იმ გზით იარო,
სადაც სიცოცხლე უფრო შუქდება.
მე შენ მიყვარდი, ადამიანო,
და ქვეყნად შენი თავისუფლება.

ერთი მიძლოდა აზრი და ფიქრი,
ჩემი მამულის ტრფობით შეკრული.
სამშობლოში თუ სამშობლოს იქით
თავისუფლების ვიყავ ერთგული.

სადაც კი მტრების ხიშტების ელვას
წინ შევაგებე გულის ფიცარი,
მე მწამდა ყველგან,
მე მწამდა ყველგან,
ჩემს თავისუფალ მამულს ვიცავდი.

თუ უცხოეთში სიკვდილი მერგო,
სამარე უცხო ზეცით განათდა,
არ ჩამითვალო, მამულო ჩემო,
თავისუფლების საქმის ღალატად.

აქა ვარ, მაგრამ ვიცი და მჯერა,
ეს რწმენა ჩამყვა გულში უკლებლად,
მამულო, მე შენს კალთებზე ვწევარ,
რადგან ვიცავდი თავისუფლებას.

- წერილი შოკას ზედს

„როცა შეიღს ზრდი, დედა იმაზე კი არ ფიქრობ გმირი იქნება
თუ არა შენი შეილი, ფიქრობ იმაზე, რომ იგი დადგეს კარგი
ადამიანი, კარგი მეოქაბე და მამულიშვილი“.

ფორტს დედის ნაამბობიდან.

მე მესმის, დედავ,
შენი გულის და მკაჟის ფეთქება,
რამდენს ღალადებს შენი შუბლის ვგ
ნაპარალები...
და მაჩხაანის მინდვრებიდან მეც შენთან
ერთად
ფორტს მხრის გაშლას გაცეკვირვიარ შენი
თვალებით.

არა,
ამოდ არ ჩავლილა ზრუნვა დედური,
შენი ამაგი კიდევ უფრო ქვეყნად ამაღლდა.
მაგ შენს მზერაში იმ დედების ნატერა
მეგულების,

ღამეებს თეთრად რომ ათევენ შეილის
აკვანთან.

მეც მშობელი ვარ,
შვილზე ფიქრი გულს რწმენით მივსებს,
მისთვის ვახარებ
და მისთვის ვწინავ ყვავილთა კონებს.
მინდა, რომ პირმშომ ასახელოს სამშობლო
ისე.

როგორც სამშობლო ასახელა საქვეყნოდ
ფორტმ.

სადაც არ იყოს,
ამშვენებდეს საქმე საჩინო,
ცხადად თუ ძილში
იყოს მხოლოდ მტრობის მძრახველი.

მისი სახელიც
სამშობლოში გაინაწილონ,
მშობელი დედაც,
როგორც შენი შეილის სახელი.
შენი ნუგეშით
სიყვარულის ჩირაღდანს ვანთებ
და ვამზობ იმას,
რასაც შენი გული ელოდა.
მინდა გზა-კვალი დავეულოცო ყველა იმ
ქართველს,
ვინც ფორესავით აღამაღლებს ჩვენს
ქართველობას.
ამ სიხარულის,
ამ ტრფიალის სად არის ბოლო,

მიწის წიაღში
თუ კაშკაშა ვარსკვლავთა მრდმა
მშობელი ვარ და
საუკუნოდ ერთი მსურს მხოლოდ
შეილის აღზრდისთვის
საქართველომ მადლობა მითხრას.
მადლობა მითხრას
წუთისოფლის მიმწუხრის კართან,
კვლავ ხელმეორედ ავენთები სიცოცხლის
გზებში.
გადამაფარე, დედაც, შენი ღვთიური კალთა
და დამილოცე ჩემი ქვეყნის სიკეთის
გზები.

გზის ჩასვლის წინ

ბედისწერაც, დამაცადე,
ნუ აავსე გული ბოლომით,
ვენახი მაქვს ალაზანზე
გასახსლავი, გასათოხნი.

ბედისწერაც, დამაცადე,
რა მალმალე წუთებს ითვლი,
კიდევ ერთხელ ალაზანზე
დამანახე ვაზის კვირტი.

ბედისწერაც, დამაცადე,
გამცილდი და წადი, შურო,
ვერა ხედავ ალაზანზე
შემოდგომა შარიშურობს.

ბედისწერაც, დამაცადე,
ცოტახანი გაქყვე ზეფირს,
ვერა ხედავ, ალაზანზე
ყურძენი მაქვს მოსაკრეფი.

ბედისწერაც, დამაცადე,
რა მოხდება, რა იქნება,
შემასწარი ალაზანზე
მაჭრის კიდევ დაღეინებას.

ბედისწერაც, დამაცადე,
ნუთუ არეინ გყვარებია?
სატრფო მელის ალაზანზე,
სიტყვა დაუბარებია.

ბედისწერაც, დამაცადე,
და არ გეტყვი აუგს ბოლოს,
დედას მინდა ალაზანზე
შვილიშვილი გავუგორო.

მზე გადადის ალაზანზე,
არემარეს ვარდით ფერავს.
ბედისწერაც, დამაცადე,
დამაცადე ბედისწერავ!...

უკანასკნელი სიზღჳრა

რა გინდოდა, რას მერჩოდდი, ომო,
რად მომწყვიტე ტოლს და სწორებს, ომო,
გუთნისდედად გაჩენილი კაცი,
შემაერთე სისხლის მორევს, ომო.
საიდან სად გადამტყორცნე, ომო,
დამანატრე მამის კერას, ომო,

დამანატრე ნიშნობებში წასვლას,
ნათლობას და ჯვარისწერას, ომო.


დამანატრე მზის ამოსვლას, ომო,
დამანატრე მთვარის ღიმოლს, ომო!
უმოძრაოდ აქ რად უნდა ვიწვევ,
გული ისევ წამოდგომას ნდომობს!

ეს ომის გზა რა ყოფილა, დედი
 მოვდივარ და ველარ მოველ, დედი,
 ყანწი სტუმარს მიაწოდე, დედი,
 უყვარდათქო ასე ფორეს, დედი.
 ბადე ძმისწულს ჩააბარე, დედი,
 თვეჯაობის გიეი ვიყავ, დედი,
 ჩემი მჭრელი ცელი მიეც, დედი,
 ყანაში რომ შუეს შეიყვან, დედი.
 ჩემი თოხი აამაღლე, დედი,
 ვენახში რომ წყალს მიუგდებ, დედი.
 სანადირო თოფის ჭუბილს, დედი,
 ნუ ანატრებ მთის ჭიუხებს, დედი.

მაგიდაზე კალამი რომ დამრჩა,
 მილოცვებში გაიკეთოს, დედი.
 ჩემი გადაშლილი წიგნი, დედი,
 ვარსკვლავებმა წაიკითხონ, დედი.

როცა ჩემი დანიშნული, დედი,
 ჩვენს კარებთან ჩამოივლის, დედი,
 წიგნში ია, რომ დაგტოვე, დედი,
 მიაწოდე მხოლოდ დილით, დედი.
 თუ გაჩერდა, თუ მიკითხა, დედი,
 ერთი მითხარ, როგორ გტყვი, დედი?
 არ აღელდე, არ დაიბნე, დედი,
 არ დაკარგო იმედი და ბედი.

ვინც პირველად მოგიგონა, ომო,
 ნუ მოაკლდე კვლავაც ცრემლი, ომო.
 სიციცხლეში შენ გწყველიდი, ომო,
 სიკვდილშიაც შენა გწყველი, ომო!
 ოცდახუთი წლის რომ გავხდი, ხალხო!
 დაიკეცა ჩემი ბადე, ხალხო!
 ჩემი დანარჩენი წლები, ხალხო!
 ჩემს სამშობლოს მიუმატეთ, ხალხო!



გრიგოლ ჩიქოვანი

თიბეპრვალი დაღგაო...

რ მ მ ნ ი

ოდიშური ციკლიდან

1921 წლის იანვარი იყო.

კრემლში, თავის სამუშაო კაბინეტში, ლენინი კედლის გასწვრივ ჩამწკრივებული დემობილიზებული ქართველი მეთაურებისა და ჯარისკაცების წინ მიმოდიოდა. მათ სამოქალაქო ომში, აჯანყებებში, ბრძოლებში გამოვლილი, გახუნებული, დაკერებული ფარაჯები ეცვათ. ქარით, ყინვით, მზით, ცეცხლით და კვამლით შერუჯულ სახეებზე დაღლილობის, შიმშილის, სნეების დაღი აჩნდათ.

— ამხანაგო ქართველებო, დაღგა თქვენს ქვეყანაში რევოლუციური ქარიშხლის დაწყების ქამი, — ეუბნებოდა მეთაურებსა და ჯარისკაცებს ლენინი. — პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა კავშიურის წერილს მხარი დაუჭირა და ქართველ ხალხს დახმარება აღუთქვა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში. საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციები მზად არიან დაიწყონ შეიარაღებული აჯანყება მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ, — შედგა, ცერა თითები ილიის ქვეშ ეილექტში გაიყარა. — ხალხი მიწას ელის, შემართულია შეუპოვარი ბრძოლისათვის.

მენშევიკები ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ ჩვენი მიწის დეკრეტი ფარატინა ქალაქად მოაჩვენონ გლეხობას.

მეთაურებისა და ჯარისკაცების პირველ რიგში ახოვანი, სახენაქრილობევი კომისარი ვარდენ ბუკია იდგა. ტყავის კურტაკი ეცვა. ვარდენი მეგრელი გლეხის ბეგლარ ბუკიას შვილი იყო. გერმანიის ფრონტზე დაჭრილმა ხარკოვში სამხედრო სკოლა დაამთავრა და პრაპორშჩიკის წოდება მიიღო, მაგრამ მეფის ოფიცერთა კასტას განუდგა. თებერვლის რევოლუციამ პეტროგრადში მოუსწრო, აპრილში ბოლშევიკურ პარტიაში შევიდა. მალე სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის დელეგატად აირჩიეს. იქ გაიგო, რომ მიწის დეკრეტის პირველი ნაწილი ლენინის მიერ იყო შედგენილი, მეორე კი გლეხთა სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე მიღებული „სანიმუშო განაწესის“ საფუძველზე შეემუშავებინათ. გლეხები მოითხოვდნენ მემამულეებს უსასყიდლოდ ჩამორთმეოდათ მიწა უძრავ-მოდრავი ქონებით.

— პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა გაგზავნოთ სა-

ქართველოში, — განაგრძობდა ლენინი. — თქვენ დაიშაბურეთ პარტიის ნდობა, ნაგებები გაქვთ თოფისწამლის სუნი. — მაგიდის ძგიდეზე ჩამოჯდა. — გადამწყვეტი დახმარება უნდა გაუწიოთ გლეხებს შეიარაღებულ აჯანყებაში. ადგა, პიჯაკის ღილა შეიკრა და ვარდენ ბუციას დააცქერდა. გაახსენდა, პეტროგრადში ზამთრის სასახლის იერიშისას რომ შეხვდა. — ვარდენ ბუცია?

— დიახ?, ვლადიმერ ილიჩ.

ლენინმა ნაჭრილობევზე შეავლო თვალი.

— გახსოვთ ზამთრის სასახლე?

— რა დამავეიწყებს, ვლადიმერ ილიჩ.

— თქვენ იყავით იერიშის ერთ-ერთი გმირი.

ვარდენმა სიტყვის შებრუნება ვერ გაუბედა.

— სასახლის მცველის მოადგილემ პოლკოვნიკმა რატიევმა მითხრა, ერმიტაჟის გადარჩენაში დიდი დახმარება გაგიწევიათ.

ვარდენს სახეზე მოგონების მკრთალმა ღიმილმა გადაურბინა.

— იმდენი, რამდენიც სხვებმა, ვლადიმერ ილიჩ. ეს კია, რომ პოლკოვნიკი რატიშვილი სიკვდილს გადაჯარჩინე.

— როგორ? — დაინტერესდა ლენინი.

— იუნკრებს უნდა მოეკლათ, ბოლშევიკების კაციაო.

ლენინის ოდნავ მოჭუტულ თვალებში სითბომ გაიელვა.

— ჰო, ქართულად რატიშვილია. ასე თქვით არა?

— დიახ, რატიშვილი.

— რატიშვილი ხელოვნების კაცია. ალბათ იცით, ერმიტაჟის დირექტორად რომ დავნიშნეთ!

— ვლადიმერ ილიჩ, გერმანიის ფრონტზე ერთი მეგობარი მყავდა, როსტისლავ რუბანოვი. ისეთი თავზე-ხელაღებული კაცი იყო, ამხანაგები ამბობდნენ, რუბანოვი მტრის ყუმბარას ხელით იჭერს და უკან უბრუნებსო. სწორედ ასეთია რატიშვილიც. მკერ-

დით ეფარებოდა ქანდაკებებსა და სურათებს, ტყვია არ მოხვდებოდა.

— უნდოდა ხალხისთვის შეენახა. —

ლენინი ფანჯარასთან მივიდა, ერთხანს დაფიქრებული იდგა, მერე შეტრიალდა და უცებ მისი ყურადღება მეთაურებისა და ჯარისკაცების დაქვრებულმა, გამოხუნებულმა ფარაჯებმა, გაცვეთილი ჩექმებისა და ფეხსაცმელების ლანჩიდან გამოყოფილმა თოვლით დასველებულმა წინდებმა და წვივსახევეებმა მიიქცია, მაგრამ არ შეიმჩნია.

— გიყურებთ, ძვირფასო ამხანაგებო, და თვალწინ მიდგას სასწაულმოქმედი ქართველი მეთაურები: ვასილ ისიდოროვიჩ კიკვიძე და „ჩიკი“, მისი გვარი ჩიქვანია იყო, ეგსეი იგნატოვიჩი. ალბათ, ზოგმა თქვენთაგანმა იცის მათი ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი უკრაინისა და ცარიცინის ფრონტებზე. „ჩიკი“ სადგურ ალექსიკოვთან მოსკოვის გზა გადაუჭრა თეთრების ურდოებს, დედაქალაქი კარს მომდგარ საფრთხეს გადაარჩინა.

— ვიცით.

— გაგვიგონია.

— მე „ჩიკთან“ ერთად ოდესის განთავისუფლებისათვის ვიბრძოდი.

— მე კიკვიძის დივიზიაში ვიყავი. შეხედეს მეთაურებმა და ჯარისკაცებმა ლენინის მრისხანედ შეკრულ სახეს.

— მათ ლეგენდარულ სახელს არასოდეს დაივიწყებენ ჩვენი შვილები. მათთვის ისინი თავდადების, გმირობის, პარტიისა და ხალხისადმი ერთგულების მაგალითად დარჩებიან. — პირდაპირ შეხედა თვალებში მეთაურებსა და ჯარისკაცებს. — რევოლუცია მარტო რუს ბოლშევიკებს, რუს ხალხს არ მოუხდენია. ქართველი ბოლშევიკები მხარში გვედგნენ ჩვენი პარტიის შექმნის დღიდან. ჩვენთან ერთად იბრძოდნენ, ჩვენთან ერთად იღწვოდნენ. დიდი ქართველი მეთაურებისა და ჯარისკაცების ღვაწლიც, ახლა თქვენი სამშობლო გიხმობთ, ამხანაგებო! დარწმუნებული ვარ კიდევ უფრო მეტი

თავგანწირვით იბრძოლებთ, რომ საქართველოშიაც აფრიადდეს საბჭოების წითელი დროშა.

— ვეცდებით, ამხანაგო ლენინ! — ერთხმად შესძახეს ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა.

— დიახ, დიახ, — თავი გვერდზე გადასწია. ჯიუტი, ძლიერი თავი, დაფიქრდა, მერე მავიდასთან მივიდა, სწრაფი მოძრაობით დაწერა ქალაქზე ის, რამაც დააფიქრა. — ჰო, გახსოვდეთ, ამხანაგებო, მარტო ჩვენ არ ვიღწვით ხალხისთვის, არიან მათთვის თავდადებული, უპარტიო ადამიანებიც, კარგი ადამიანები, პატიოსანი ადამიანები. არასოდეს დაივიწყოთ ისინი! — მოწონების ღიმილით შეხედა ვარდენ ბუკიას. — თქვენ თქვით, რატიშვილიო! დიახ, რატიშვილია და არა რატივევი. ასე მეფის რუსეთის დროს წერდნენ და ამბობდნენ: ტარხანოვ, გედევანოვ, მკედლოვ, ანდრონიკოვ. დროა ამას ბოლო მოეღოს.

ვარდენ ბუკია გამხნეგდა. აღტაცებით შეჰყურებდა ლენინს, მის მაღალ შუბლს, ფიქრითა და ზრუნვით მოცულს.

— ქართულად თარხნიშვილი, გედევანიშვილი, მკედლიძე, ანდრონიკაშვილი ითქმის და იწერება, ვლადიმერ ილიჩ.

— დიდებულთა. ქართული გვარი რუსიფიცირებას არ საჭიროებს.

მკვეთრად შეტრიალდა და ისევ მივიდა სარკმელთან. — გარეთ ყინავდა. ქვევით, მანეთზე, წვრილად ცრიდა თოვლს. წიოდა. ხან ღმუოდა, გაკაბასებული ქარი, გამშაგებით აცხრებოდა ქვაფენილს, თოვლის მტვრის კორიანტელს აყენებდა, ხან აიტაცებდა ცხვრის რქასავით დახვეულს, ხან შერდულივით გაიჭრებოდა ოხოტნი რიადისაგენ, სახლის კედლებსა და მინებს ასკდებოდა, ადამიანებს ნამჭერის ბულში ახვევდა, სულს უხუთავდა. ცუდად ჩაცმული, რაღაც შეხვეულებით, ფუთითა და ჩანთით ხელში სხვადასხვა მხარეს მიეშურებოდა ქალი თუ კაცი,

ზოგს შუა მიჰქონდა, ზოგს უღმრთო ქვანახშირი. უსაშველდეს უჩინებლები არ თბებოდა. ადამიანები მიდიოდნენ პირახვეულნი, მხარებში მოხრილნი, მობუზულნი, მშვიერნი.

— გვიჭირს, ძალიან გვიჭირს, ამხანაგებო, — გულისტკივილით თქვა ლენინმა, ისე რომ არც მიბრუნებულა მეთაურებისა და ჯარისკაცებისაკენ. — დავიდაღეთ. ხუმრობა საქმეა ერთად ამდენი უბედურება: შიმშილი და სიცივე, ტიფი და ქაოსი, დანგრეული მეურნეობა, საბოტაჟი, მოშლილი ტრანსპორტი, ომი. — უცებ მიტრიალდა ოფიცრებისა და ჯარისკაცებისაკენ და სულ სხვა ხმით, ენერგიულად, მტკიცედ მიმართა: — არა უშავს, ყველაფერს ავიტანთ.

— ყველაფერს, ვლადიმერ ილიჩ, ოღონდ თქვენ გვყავდეთ, — უთხრა ვარდენ ბუკიამ.

ლენინს თითქოს არ გაუგონია მისი ნათქვამი.

— თებერვალი დგას და ისე ყინავს და თოვს, თითქოს შუა ზამთარია. ერთხელ სტალინმა მითხრა, საქართველოში გაზაფხული თებერვალში იწყებაო. ერთი ხალხური ლექსიც წამიკითხა.

— თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო, ჩიტმა ჩიორამაო საძირკველი გადგაო. ასე ამბობს ხალხი, ვლადიმერ ილიჩ, — უთხრა ვარდენმა.

— ხალხი ყოველთვის კარგად ამზობს, მართალს ამბობს. ჩიტმა ჩიორამაო საძირკველი გადგაო, — გაიმეორა ლენინმა, გაეღიმა: — იცით, სტალინმა ცოტა უკეთესი თარგმანი წამიკითხა.

— სტალინი სიჭაბუკეში თვითონ წერდა ლექსებს.

— ოჰო, არ ვიცოდო.

— კარგ ლექსებს, ვლადიმერ ილიჩ.

— ქართველი გლეხი მალე დაიდგამს მტკიცე საძირკველს. ამხანაგო ქართველებო, ყველაზე ძლიერი საძირკველი თქვენ ხელთაა. ეს მიწის დეკრეტია. გლეხის საძირკველი მიწაა. ეს თქვენ

კარგად იცით. გადაეცით ქართველ ხალხს, რომ ამ დეკრეტით გლეხებმა უსასყიდლოდ უკვე მიიღეს ას ორმოცდაათი მილიონი ლესტინა მიწა, — მაგალიდან რაღაც ქალაქი აღო და ვარდენ ბუკიას გადასცა: — ჩემი წერილია, პასუხია გლეხთა შეკითხვებზე. — შარვლის მარჯვენა ჯიბეში ჩაიყო ხელი და ჭარისკაცებსა და ოფიცრებს შეხედა: — ასეთი საკითხები უთუოდ ქართველ გლეხებსაც აღეღვებთ, — კარისაკენ მიბრუნდა, ეტყობოდა ბევრი მნახველი ელოდა მისაღებ ოთახში. — მოუსმინეთ გლეხებს, კარგად შეისწავლეთ მათი ტკივილები და სურვილები. გლეხმა ბევრი იცის, ძალიან ბევრი. ბევრს ისწავლით გლეხებისგან. გლეხი დიდად გონიერია. არ გაბედოთ გლეხისათვის რაიმეს დაძალება, თავზე მოხვევა. ეს წესი ძვალრბილში უნდა გქონდეთ გამჭდარი, — დამშვიდობა მეთაურებსა და ჭარისკაცებს. ვარდენ ბუკიას ხელი უფრო დიდხანს ეჭირა: — გაიმეორეთ ის ლექსი!

— თებერვალი დაღვან, ხეში წყალი ჩადგანო...

— ჩიტმა ჩიორამაო საძირკველი დაღვან, — არ აცალა ლენინმა ვარდენ ბუკიას და თვითონ დაამთავრა. — აღარ დამევიწყდება, — გაიცინა. ჭერ-ჭერობით შესხიერებას არ ვუჩივი. საგზალი მიიღეა, ამხანაგებო?

— მივიღეთ, ვლადიმერ ილიჩ.

— გმადლობთ, ვლადიმერ ილიჩ.

— ნუ დაგვძრახავთ, ამხანაგებო, ასეთი ღარიბული საგზლისათვის.

— რას ბრძანებთ, ვლადიმერ ილიჩ! მეთაურები და ჭარისკაცები თითო-თითოდ და წყვილ-წყვილად გადიოდნენ კაბინეტიდან.

— ტანსაცმელს დღეს მოგვმენ, — ისევ გაიცინა ლენინმა მზიარულად, გულკეთილად. — ასეთი კონკიკილარუნები ხომ არ ჩახვალთ შინ. რას იტყვიან, შეხედეთ, რა დღეში ყოფილან ბოლოშევიკებიო. აბა, წარმატებას გისურვებთ.

კართან ლენინისკენ შებრუნდა ვარდენ ბუკია.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ვლადიმერ ილიჩ!

— ნახვამდის, ამხანაგო ბუკია!

გაზაფხულმა უკვე მოიკიდა ძალა. დროდადრო ცა ფეხად ჩამოდიოდა, მაგრამ მალე გამოიღარებდა და მზე აბრწყინდებოდა ტყემლისა და ალუჩის გაფუხებულ კვირტებზე. პაერი ვალვი-ძებული მიწის დამათრობელი სურნელით იყო გაბანგული. თავი აიწყვიტა, აჩრიალდა ლელები, ადიდდა მდინარეები, ახმაურდა შუკები და გზები. გაისმოდა თიქნებისა და ბატკნების გაფუთავებული კიკინი, ქათმების გაკაპსებული კრიახი.

მზის სხივი შეიჭრა ორკლასიანი სასწავლებლის ხის ძველი შენობის ღია სარკმელში და ტყემლის ტოტზე დაეცა. ტოტი მხრებში მოხრილ, კაფანდარა ტანის მასწავლებელს, სამოცი წლის შალვა კორძიას ეჭირა. წაწვეტებულ ჭალარა უფრო სახეს ოდნავ უგრძელებდა, უფრო გამზდარას აჩენდა. მხრებზე საკმაოდ ვაცვეთილი პალტო ჰქონდა მოსხმული, მერხების წინ იდგა. ყურადღებით, კმაყოფილებით უსმენდა მომეჩნავე კლასიდან ბავშვის წერიალა ხმას:

თებერვალი დაღვან, ხეში წყალი ჩადგანო.

ჩიტმა ჩიორამაო საძირკველი დაღვან.

უსმენდნენ მოწაფეები. მათ სახეზეც ეხატა გაზაფხული.

მასწავლებელი ანლოს მივიდა წინა მერხთან, ტოტი ცოტა მალა ასწია, ისე რომ ყველას კარგად დაენახა, კვირტს მოჰკიდა ხელი. დაფიქრებული და აღელვებული იყო. ცდილობდა, მოწაფეებს არ შეენიშნათ.

— მცენარეს გაზაფხულზე ზრდის ყველა პირობა აქვს, — უთხრა ბავშვებს. — აბა, ჭგერენაია, მივასუხე, მცენარის ზრდის რა პირობები იცი!

— სითბო და ნესტი, ბატონო მასწავლებლო, — წამოდგომისთანავე

მკვირცხლად მიუგო გუძა ჭგერენაიამ. ბავშვს ტანსაცმელი დიდი ხანია და-პატარაებოდა: სახელოები ისე დამოკლებოდა, დაკაპიწებული გეგონებოდა, ხალათის კალთიდან ტიტველი მუცელი მოუჩანდა, ფეხშიშველი იყო. შემართულ შველსა ჰგავდა. ვერ მორეოდა მის ჯანს ყოვლისმძლე კოლხური ციება. — მასწავლებელო, მართლა წყალი დგება ნეში? — ახლა თვითონ ჰკითხა მასწავლებელს გუძა ჭგერენაიამ.

ბეჭითი და ცნობისმოყვარე ბავშვი შვილივით უყვარდა შალვას. ასევე შვილივით უყვარდა გუძას მერხზე მჯდარი გვანჯი ბუკია, ბეგლარ ბუკიას შვილი, ვარდენის ძმა.

— არა, წვენი დგება. სითბოსა და ნესტისაგან წვენი ამოძრავდება და კვირტს საზრდოს აწვდის, — განაგრძო მასწავლებელმა და გუძა ჭგერენაიას ანიშნა დაჭექო. — კვირტი ფუვდება, იზრდება და ვეღარ ეტევა, — გადახედა ბავშვებს და სახის გამომეტყველებით ანიშნა, აბა, რაშიო.

— საფარავში, ბატონო მასწავლებელო, — სხვებს დაასწრო თერთმეტი წლის გვანჯი ბუკიამ. ბიჭი გაფითრებული იყო და თვალეში ამღვრეული ჰქონდა. ძლივს იკავებდა კანკალს, რომ მასწავლებელს არ დაენახა.

— შინაგანი წნევით კვირტი არღვევს საფარავის კედელს, — განაგრძო შალვა და თან თვალს არ აშორებდა შეციებულ ბავშვს. — საფარავიდან განთავისუფლებული, იწყებს ზრდას. — ბავშვთან მივიდა: — ისეც გაგაცია, გვანჯი?

— არა მიშავს, ბატონო მასწავლებელო.

— დაჭექი, გვანჯი, — მოიხადა პალტო და წამოასხა, — ქუდიც დაიხურე!

— გვანჯის ქუდი არა აქვს, ბატონო მასწავლებელო, — უთხრა შალვას გუძა ჭგერენაიამ.

— ჯო, გვანჯის ქუდი არა აქვს, — გაახსენდა შალვას. — ვიცი, ვიცი. შენი ქუდი ათხოვე, ჭგერენაია!

— ახლავე, ბატონო მასწავლებელო,

— გუძამ მერხიდან ქუდი გამოიღო და გვანჯის დაახურა.

შალვა დაფასთან მივიდა, ცარცი აიღო.

— კვირტი იშლება და, აი, ასეთ ფოთლად იქცევა. — ფოთოლი დახატა, მერე ცარცით გასვრილი ხელი ჩერით შეიწმინდა. ერთხანს თავაწეული, გარინდული იდგა, თითქოს იქვე, სარკმლის ახლოს, ტოტებში მოყდურტულე ჩიტებს უგდებს ყურსო. მაგრამ მისი ფიქრი და გონება სხვაგან იყო.

ბავშვები სულგანაბული უყურებდნენ. გვანჯის კანკალიც კი შეუნელდა. არასოდეს უნახავთ ასე გარინდული და დაფიქრებული მასწავლებელი.

— თემას გადავუხეით, — ფიქრიდან გამოერკვა შალვა. — თქვენ იცით, როდის იწყება ჩვენში ხენა...

— დღეს იწყებენ, ბატონო მასწავლებელო, — წამოდგა პალტომოხვეული გვანჯი და შიშით უთხრა. სახე სიცხისაგან უვარავარებდა. — დღეს მამაჩემიც, გათენებული არ იყო, რომ წავიდა.

— ვისი მიწის დახენას აპირებს ბეგლარი?! — ჰკითხა მასწავლებელმა.

გვანჯიმ თავი ჩაღუნა, ძლივს იკავებდა თვალეზე მომდგარ ცრემლს:

— ჩიჩუების ქალის... დედას არ დაუყვრა... დედა არ უშვებდა... — ეს თქვა და ტირილი წასკდა...

თემშარაზე გაღმა-გამოღმა ჩარიგებული ოდებიდან და სამზადებიდან სწრაფად გამოდიოდნენ და ჭიშკრისკენ მიეშურებოდნენ. ზოგიც სარკმლიდან იხედებოდა. ყველანი თემშარას გაჰყურებდნენ. არავინ იღებდა ხმას, დუმდნენ შიშითა და მოლოდინით.

თემშარაზე სუსტი, მოქანცული ნაბიჯით მიდიოდა მასწავლებელი. თბილოდა. მაგრამ მის ძვლებს ხომ ზაფხულის თაკარა სიცხეც ვერ ათბობდა და პაპანაქებაშიც პალტოწამოსხმული დადიოდა. ამიტომ ახლა ყველა გაკვირვებული უყურებდა უქულოს და უპალ-

ტოს. იცოდნენ, საით მიიჩქაროდა. ვინც კი შინ დარჩა და იქ არ წავიდა, სადაც მასწავლებელი მიდიოდა, ისინიც მისი აზრისა იყვნენ. მასწავლებელს ყველაფერს უჭერებდა სოფელი, მისი სიტყვა კანონი იყო.

შემბი ჩიჩუბის მდინარისპირა ქალას ბუციები და ესებუები, ზვინგიები. ფილიპები და ყორშიები, კვიკინიები და ჭგერენაიები ამუშავებდნენ. მოსაელის ნახევარს ჩიჩუბს აძლევდნენ, ნახევარი გლეხებს რჩებოდათ და სიმწრით მოწეული თავიანთი ნაოფლარო, გაზაფხულამდე ძლივს ჰყოფნიდათ. ვეღარ აიტანეს გლეხებმა, გაუწყდათ მოთმინების ძაფი, ნაღვლისა და სიძულვილის ფილა პირს გადაუვიდათ. შარშან უარი თქვეს ჰალია დათესვაზე, იქნებ ჩიჩუბი ერთ მესამედს ყაბულს გავციბდნენო, მაგრამ მათგან პასუხიც არ მიუღიათ. ვარდენის მამამ, ბეგლარ ბუციამ, ვადაწყვიტა ძალით წაერთმია ეს მიწა. აიყოლია ესებუები, ყორშიები, ფილიპები, ზვინგიები, ჭგერენაიები და ესვანჯიები.

თემშარისპირა აფთიაქის სარკმელთან მიმდგარ ახალგაზრდა პროვიზორს ესტატე ნაჰყებიას ხელში წამლის შუშა ეჭირა, მღვრიე სითხეს ნერვიულად ანჯღრევდა და თემშარზე მიმავალ მასწავლებელს თვალს. არ ამორებდა. მოაჯირს იქით წამლის მომლოდინე ქალებმა და ბავშვებმა იცოდნენ, ვის ვასცქეროდა პროვიზორი, ვისკენ იყო მისი გულისყური მიპყრობილი.

— ბეგლარ ბუციამ აიყოლია ივანე ესებუა და ნესტორ ფილიპი.

— ყველა კვიმატი საქმის ამტეხია ის შეჩვენებული.

— წყველი ბოლშევიკები ასულელებენ ნესტორისა და ივანესთანა გაჭირვებულებს.

— უბედურებას დაატრიალებს ჩვენს თავზე ბეგლარი.

პროვიზორს ყური ქალებისავენ ეჭირა.

— უბედურებას თუ სიკეთეს? —

ქალების გასაგონად ჩილაპარაკებდნენ.

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს და გაჩუმდნენ.

მიიჩქაროდა თემშარზე მასწავლებელი. ასე აჩქარებული და აღლევებული ჯერ არავის ენახა იგი. შიშით დაზაფრული ქალები ლოყაზე ხელს იცემდნენ, ბერიკაცები თავს აქნევდნენ, ბავშვები გაკვირვებულნი შეჰყურებდნენ შშობლებს.

ამ აფორიაქებული ხალხისაგან განსხვავებით ბუნება ისეთი მშვიდი იყო, კვირტები ისეთ საამო ამბრს აფრქვევდნენ და მზე ნაზად ესალმუნებოდა სოფელს, ტოტებში ჩახლართული მისი სხივები ისე წარმტაცად დასთამამებდა მწვანედ ახასხასებულ ბალახს, ისეთი სიწყნარე და სიმშვიდე იდგა ირგვლივ, რომ ამ სურათით მოჯადოებულ გარედან მოსულ კაცს აზრადაც არ მოუვიდოდა, თუ რა ცეცხლი ტრიალებდა სოფლის გულში.

ფოსტის შენობის ღია აივანზე ფერშალი კალისტრატე ქვარცხავა და ფოსტის გამგე ექვთიმე ყალიჩავა ისხდნენ. ფოსტის გამგე ისეთი მსუქანი იყო, რომ ძლივს სუნთქავდა, ერთმანეთზე გადაჰდობილი, დაჭირვლებული ხელები რუმბივით გაბერილ მუცელზე ეწყო, ცერა თითებს მოჭნილად ატრიალებდა, სვენებ-სვენებითა და ქოშინით ლაპარაკობდა.

— კაცო, პოდა, საუკუნეზე მეტი გავიდა გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ... რუსთხელმწიფემ საქართველოს დამოუკიდებლობა რომ გააუქმა... ას თექვსმეტი წელიწადი მის უღელქვეშ ვეწეოდით ჰამანს... ახლა, როცა დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ... ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და თვით შორეთლმა კანადამაც კი ცნო ჩვენი დამოუკიდებლობა, — დაილალა, თავიდან, შუბლიდან და დაწვიბიდან ოფელი მოიწმინდა.

— და საქვეყნოდ აღიარებული ვართ სუვერენულ სახელმწიფოდ, — განაგრძო ფერშალმა, რადგან შეატყო, რომ

ექვთიმეს გული უღონდებოდა, — ისევე როგორც ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარის მეფობაში ვიყავით, როცა გვყავს ჩვენი დამფუძნებელი კრება — უზენაესი დაწესებულება, თავისუფალი ხალხის რჩეულობა მთავრობა, — კალისტრატე ღელავდა და ისე აღგზნებით, თანაც გაპრანქულად ლაპარაკობდა, თვით ექვთიმეც კი ვერ იკავებდა მაცდურ ღიმილს, — სწორედ ამ დროს წითელი ვეშაპი კვლავ გადაყლაპვას გვიპირებს.

— ყელზე არ დაადგეს, — ჩაიხითხითა ფოსტის გამგემ და გულზე ხელი მიიღო, — კაცო, ძლივს უკუვაგდეთ დენიკინელთა ბანდები...

— კუდიტ ქვა ვასროლინეთ, — ახლა ფერშალმა ჩაიხითხითა.

— ისევ დენიკინი გვერჩია წითლებს, — გესლიანად თქვა ექვთიმემ. იცოდა, რომ ლაპარაკი ვნებდა, მაგრამ დაუმორჩილებელი ენა ჰქონდა, ბოლშევიკების მიმართ ზიზღით ვალესილი.

— მართალი ბრძანდები, ექვთიმე ბატონო.

თუმშარაზე მივაელი მასწავლებელსა დაინახეს

— იმ აბრაგებთან მიდის, ალბათ, ბატონი შალვა, — თქვა ფერშალმა. წითური სახე ჰქონდა. ყოველთვის სუფთად გაპარსული. თეთრი კიტელი, გალიფე და ყვითელი ყელიანი ფენსაცმელი ეცვა, ყვითელი კრავები ჰქონდა შემოკრული. პერანგის მალალ, გახამებულ საყელოში ქიაცელა კისერი ხალვათად უყანყალბდა, გაფშევილი საყელო ყებზე აწებობდა და იძულებული იყო თავი მალლა სჭეროდა, ეს კი ერთგვარ მედიდურების იერს აძლევდა. ყოველნაირად ცდილობდა უცხოელს დამსგავსებოდა. ერთი წელიწადი ეგვიპტეში ფერშალად ყოფილა, იქ თურმე ერთი ვაჭარი არაბი ექვიანობის გამო მოკვლას უპირებდა, და გამოქცეულა. ორი წელიწადი პარიზში უმუშავია, მსოფლიო ომის დაწყების მეორე დღესვე მიუტოვებია პარიზი და სამშობლოში დაბრუნებულა. სორბო-

ნის უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებულიო, ტრაბახობდა, ექიმად ასაღებდა თავს და ამაში მაინცდამაინც საპრანსისი არაფერი იყო, ზოგ ექიმს კიდევ სჯობდა. მაგრამ სოფელში ექიმობით იმდენ პატივისცემას არ იმსახურებდა, რამდენსაც ჩაცმულობით და ფრანგულის ცოდნით. კაპრის ფართოფარფლიანი ჩალისფერი ჩაფხუტი ეხურა, საჩრდილობლად რომ ხმარობენ კოლონიზატორები ცხელ ქვეყნებში. ქუდი და კრავები ეგვიპტიდან ჩამოეტანა და არც ზაფხულში იშორებდა, არც ზამთარში, აქაოდა უცხოეთის პეწი და სოლიდურობა არ დამეკარგოსო. რატომღაც სკამის კიდზე უყვარდა ჩამოჯდომა, ახლაც კედელზე მიკეთებულ მერხზე განისვენებდა. მარჯვენა ფეხი მარცხენაზე ედო და ლაპარაკის აყოლებით ზევით-ქვევით იქნევდა, ცალი ხელით ბულდოგის ჯიშის ძაღლის-თავიან მსხვილ საბჯენ ჯოხს ეყრდნობოდა.

— კაცო, წითელმა რუსეთმა ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი და სომხეთი გადათელა და ახლა... ჩვენ გვემუქრება, — კვლავ მოიწმინდა შუბლსა და ლაწებზე ოფლი ექვთიმემ, შეისვენა, მაგრამ სუნთქვა მაინც უჭირდა. — ამ დროს აქ, შოგნით, ბოლშევიკები ზურგში ლახვარს გვცემენ... ციხე შიგნიდან გატყდაო, არ გაგიგონია!

— მე ისიც გამიგონია, ჩემო ექვთიმე; ციხეს კარი უნდა, კარს კაციო. ჩვენ არც კარი გვაქვს და არც კაცი გვყავს...

— კაცო, როგორ გეკადრება! ჩვენი ქორდანია...

— ისევ ქორდანია! — იყვირა კალისტრატე ქვარცხავამ და ის მარჯვენა ფეხი ისე მალლა აიქნია, კინალამ ცხვირში აიკრა. — ყურმძიმე თავმჯდომარე! — დაიქნია ფეხი. — თვრამეტი და ცხრამეტი წლის აჯანყებები მონაგონია იმასთან, რაც ბოლშევიკური პარტიის ლეგალიზაციის შემდეგ ხდება ჩვენში. აი, შენი ქორდანია!

ბოლშევიკებთან ერთად უნდა მიაყენო კედელზე...

— კაცო, რამ გადაგრია?! — გაოცდა ექვთიმე, ყურებზე ხელები აიფარა: — არ გამიგონო!.. არა, არ გამიგონია, ყრუ ვარ, მუხჯი ვარ! — მსუქანი, ღონღლო სახე წამოვინთო.

— სადა გვაქვს კარი, სადა გვყავს კაცი! — არ ცხრებოდა ფერშალი. — თავაწყვეტილი შინაური მტერი თავისუფლად თარეშობს უბატრონო ქვეყანაში. ბუციები და ესებუები, ყორშიები ჭგერენაიები და ხენგები, — აი, ვას ბელშია ქვეყანა!..

ყოველთვის ანკარა, მოციხეო მდინარე ნაადრევი გაზაფხულით აბობოქრებული და მღვრიე ღონივრად მიაგლეგებდა ტალღებს, მიჰქონდა ხეები, მორები, ბუჩქები, სასიმინდეები, ოღის ფიკრები, ხიდეები, ცოცხალი და დამხრჩვალნი პირუტყვი, ფრინველი, ხის ქურქელი, ავეჯი.

მდინარის შალალ ნაპირზე იდგა და იჯდა სოფლის ერთი ნაწილი, უფრო გაბედული, ცნობისმოყვარე, მაგრამ როგორც სოფელში დარჩენილები, ისე ესენიც შემფოთებულნი. არავინ უყურებდა მდინარეს, არავინ უღვებდა ყურს მის ღმუხლს, არავის ადარდებდა წყალიდობით დაზარალებულთა მწუხარება. ყველა გაღმა ჭალას გასცემოდა.

ჭალაზე ბეგლარ ბუციას მეთაურობით გლეხები მიწას ინაწილებდნენ, მიზომილ მიწაზე პალოებს არჭობდნენ, მიჯნაზე სახნისით კვალს ავლებდნენ. ივანე ესებუა, ფეხშიშველი, წვერგაუპარსავი გლეხი მიზომილ მიწას ხნავდა და წარამარა აჭეთ-იქით აცეცებდა თვალს. კამეჩებს მისი ჭალოშვილი ინდა მიუძღოდა, ისიც შემკრთალი, დაცეცებული.

ლომა და ბუსკა ჩქიურად ეწეოდნენ უღელს და რბილ, ფხვიერ მიწაში ღრმად ჩასული სახნისი იოლად მიჰქონდათ. ივანეს არ სჯეროდა, რომ თავის მიწას ხნავდა. ამას გამოხატავდა მისი თვალები, სახე, მოძრაობა, მთე-

ლი მისი ტანი. უცებ ხელი უშვერდა, ნახნავეში ჩაწვა, ფეხები გაჭიმდა, ღრვი ხელით მიწა გადაიყარა, გადაიყარა მუცელზე, მკერდზე, დაიყარა თავზე. სიამისაგან ძაგძაგებდა, კრუსუნებდა.

— მიწა!.. ჩემი მიწა, მხოლოდ ჩემი, საკუთარი მიწა!.. ჩემი მიწა!.. საკუთარი, საკუთარი!.. ხალხო, მეზობლებო, ნათესაებო, ბეგლარ, ნესტორ, კოსტა, გააოზ, ჩემი მიწა!

გლეხები შედგნენ. მიატოვეს მიწის დანაწილება, კვალის გავლება, ხენა, გაოგნებული უყურებდნენ სახეშეშლილ ივანეს, მწუხარებით, შებრალებით, შიშით.

— ჩემი მიწა! — მთელი ხმით ღრიალებდა გონებაარეული ივანე. — მხოლოდ ჩემი, საკუთარი მიწა!.. — იხუტებდა მიწას, ზევით იწევდა პერანგს, მიწით იგლესდა მძიმე შრომით, შიმშილით გამხდარ, გაძვალტყავებულ ტანს, მიწას ისვამდა გაოფლიანებულ თავებზე. — ჩემი მიწა, ხალხო!.. ჩემი მიწა, ინდა, ჩვენი მიწა, შვილო! რატომ არ ყვირი, რატომ არ ცეკვავ, სიხარულით რატომ ცას არ ეწევი!..

ინდა გაქვავებულივით იდგა, თვალს არ ამორებდა მამას. ეგონა, შეიშალა, კეულიდან ვალავიდაო. უნდოდა, მივარდნოდა, მოხვეოდა, შევედრებოდა, რას სჩადიხარ, ბაბაო, მაგრამ ფეხი არ ემორჩილებოდა, ენა არ ემორჩილებოდა. თითქოს ტანში ტყვია ჩაუსხესო, გაქვავებულივით იდგა.

ბეგლარ ბუცია უკმაყოფილო, შეკავებული ბრაზით დასცქეროდა ივანეს, ზიზღსა და უკმაყოფილებას მაინც ვერ ფარავდა, ერთი სული ჰქონდა, ხსულიდან წამოეგდო, ჭალიდან ეფრინა, მაგრამ საბრალოლის გრძნობა აკავებდა. ეცოდებოდა ინდა, ეცოდებოდა ივანეც.

— აღეჭი, ბაბა! — დაიკვილა უცებ ინდამ, დაიხარა, მკლავში ხელი სტაცა და წამოაყენა.

ივანე მორჩილად აპყვა.

— მიწა, ბაბა, ჩვენი მიწა, ბაბა! — ჩურჩხულებდა ივანე. ტუჩები გაუ-

ლურჯდა, თვლებს უაზროდ ატრიალებდა. — საკუთარი მიწა, შვილო!... — ტირილი წასკდა. დასცქეროდა თავის მოხნულს, არ სჯეროდა, რომ მისი იყო, და... შეუკავებელი, პირუტყვეული, ხაველისებური სიცილი აუტყდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიცილი, უფრო, ქვითინს რომ ჰგავდა, მამაკაცისათვის უჩვეულო საზარელ ქვითინს. იცინოდა და ქვითინებდა, ქვითინებდა და იცინოდა...

გალმა ნაპირზე შეყრილ ხალხში ღრმად მოხუცებული გლეხი ზედ მდინარის კალაპოტის კიდეზე იჯდა ფეხებამოშვებული, ხელკეტით მიწას ჩიჩქნიდა და განუწყვეტლად იმეორებდა:

— მიწისათვის იკლავდა თავს მამაჩემი, მიწისათვის იკლავდა თავს ბაბუაჩემი, ჩემი პეპერა, ყველა ჩემი წინაპარი, მთელი ყორშიების გვარი, ახლობელი და შორეული, სოფელი, თემი, საქაო. აი! — გაიშვირა ხელი ჰალისაკენ. — უტუ მიქავას ჯარის ნაწილი სწორედ იქ იდგა. გენერალ კოლუბიაკინის ოფიცერმა რომ ბრძანა, იარაღი დაჰყარეთ და დაიშალეთო, ცივი უარი სტიკეს ოფიცერს.

— ის რუსთელმწიფის ოფიცერი და ჯარი იყო, ბაბუ ზოსიმე, — უთხრა ზოსიმეს თხუთმეტი წლის ბიჭმა, ზოსიმეს გვერდით რომ იყო ჩამუხლული და ალტაცებით გასცქეროდა ჰალაზე მომუშავე გლეხებს. სული იქით ჰქონდა, მაგრამ დედა აკავებდა, — თავზე ადგა შავებში ჩაცმული, გამზდარი, სახეჩაყვითლებული და დაწვებდაყარული.

— გაჩუმდი, წიე, შე ენამოსატეხო! — უთხრა დედამ და გულში კი გაფიქრა: ჩემს ენას დაეყაროს მიწა, შენი არა, შვილო, ჩემი ენა მოტყდესო.

ზოსიმემ ბიჭს შეხედა:

— უსისხლოდ მიწას არავინ დათმობს, ბაბა. ასე იყო დადიანების დროს, ასე იყო რუსთელმწიფის დროს, ასეა ახლაც. მთელი ჩემი სიცოცხლე მიწაზე ფიქრით ვიძინებდი და ვიღვიძებდი.

— რატომ სისხლით არ იღვე მიწა, ბაბუ ზოსიმე? — ჰკითხა ბიჭმა.

— გაჩუმდი, წიე, შენ ენამოსატეხო! — ისევ გაუჯავრდა დედა შვილს, თან თავზე ხელი გადაუსვა.

მოხუცი შეუყოყმანდა, ხმა გამოეცვალა:

— სისხლით მიტაცებული მიწის ნაყოფი აღამიანს არ შეერგება, ბაბა, — დააკვირდა ბიჭს: — შენ ავქსენტორ ყორშიას ბაღანა არ ხარ, წიე?

ბიჭმა თავი დაუქნია.

— მამაშენი ერთი მტკაველი მიწისთვის არ მოკლა ჯოღორია წყეულმა! ბიჭს სახე შეეცვალა.

დედა გვერდით მიუჯდა შვილს და მისი ხელი ხელში ჩაიღო.

— მამაშენის ხანი შეგემატოს, ბაბა, — უთხრა ზოსიმემ ბიჭს.

ბიჭმა ხელი ფრთხილად გამოაცალა დედას.

— იმათ ვერ მოკლავენ, ბაბუ ზოსიმე, ბევრი არიან, — გაიხედა ჰალისაკენ ბიჭმა.

— ბევრი იყო უტუს ჯარიც, წიე, — ამოიოხრა ზოსიმემ.

— ყურს ნუ უგდებ, ზოსიმე ბატონო, — უთხრა დედამ მოხუცს და ცრემლი მოიწმინდა, — ბაღანა, ჰკუა არ აქვს.

— ცხონებული ავქსენტი ყორშიას შვილი უქკუო არ იქნება, — უთხრა ზოსიმემ დედას. — ავქსენტის ჰკუა ათ ყაბახს ეყოფოდა. რა გქვია, წიე? დამეიწყდა შენი სახელი... ჰო, კოჩოია ხარ ხომ?

ბიჭმა თავი დაუქნია.

— კოჩოია კარგი სახელია, წიე. მამაშენივით კარგი კოჩი უნდა დადგე. ხალხი აჩურჩულდა. ყველამ გზისაკენ გაიხედა.

— მასწავლებელი!

— შეხედეთ, შალვა იქ მიდის!

— უპალტოოდ, უქულოდ!

შალვა ბორნისკენ მიდიოდა. ვერ ამჩნევდა ნაპირზე შეყრილ ხალხს.

— ეინ მიდის იქ, წიე? — ჰკითხა.

ზოსიმემ კოჩიას და თვალი მოიჩრდი-
ლა.

— შალვა მასწავლებელი.

— ჭკვიანი კაცია, ბაბა, შალვა. იცის,
უსისხლოდ მიწას არავინ დათმობს.

მებორნე ბახვა ბახიამ შორიდან დაი-
ნახა ბორნისაყენ მომავალი მასწავლე-
ბელი, მიხვდა, საითაც მიიჩქაროდა.
შუბლი შეიკრა: დაბმულ ბორანს
ძლივს ამაგრებდა, წყალი ყოველ წამს
მოგლევით ემუქრებოდა, როგორ ვა-
დაიყვანდა შალვას.

ხანშიშესული კაცი იყო ბახვა ბახია,
მაგრამ დღედაღამ ჰაერზე ყოფნით,
მზით და წყლით გაკაყებულნი ყოჩაღად
გამოიყურებოდა. ჩინებული მებადური
იყო, ნავში მუდამ ჰყავდა კობრი, ორა-
გული, მურწა, დღაევი. უმიწო გლეხი
თევზით არჩენდა მრავალშვილიან
ოჯახს.

— გადარია მდინარე, ბატონო შალ-
ვა, — უთხრა მასწავლებელს მისალმე-
ბის შემდეგ. — ბორანს მომიწყვეტს.
შეხედე, რა არ მოაქვს! მთავი აღარაფ-
ერს ტოვებს, პირწმინდად ჩამორეცხა
სოფლები.

ბახვას უნდოდა შეეშინებინა შალვა
და გაღმა გასვლა გადაეფიქრებინა.
მასწავლებელმა ყურის არ ათხოვა,
არც სალაშზე უპასუხა.

— უნდა გადამიყვანო! — ისეთი კი-
ლოთი უთხრა ბახვას, მებორნე სახტად
დარჩა. — უნდა გადამიყვანო! — გაუ-
მეორა შალვამ, ჩაუარა და ბორანზე გა-
ვიდა.

ბახვა უკან გაპყვა.

— ასეთი აწყვეტილი ჯერ არ მინა-
ხავს ეს წყალი, — არ ეშვებოდა ბახვა,
შალვამ არც ახლა ათხოვა ყური, ჰა-
ლისაყენ იყურებოდა. იგრძნო ხელები
უცაბეცაბებდა და ვერ იკავებდა. მაგრამ
მოკლემა ტუჩები. ეს არასოდეს დამარ-
თია, დიდი ვაჭირკებისა და მწუხარე-
ბის ქაშს, ბრახისა და შიშის ქაშსაც კი.

ბახვა არც ბორანს უფრთხილდებო-
და, არც თავისთავს (ისეთი ცურვა
იცოდა, თევზსაც შეშურდებოდა), მხო-

ლოდ მასწავლებლის დარდი ჰქონდა.
სწრაფად აუშვა ბორანი.

ნაპირზე შეყრილმა ხალხმა უსწრაფად
დაინახა, თავზარი დაეცა.

— რამ გადარია ბახვა!

— ნაფოტივით გაიტაცებს წყალი
ბორანს.

— დაანგრევს!

— არიქა, დაუძახეთ ბახვას!

შეიქმნა ყვირილი, სტენა. ბორნისა-
ყენ გაიქცნენ.

ბორანი ნაპირს მოშორდა. შუა მდი-
ნარეში გასულ ბახვას მიანიც ეძახდნენ,
ხელს უქნევდნენ.

არც ბახვასა და არც მასწავლებელს
თავიც არ მოუბრუნებიათ მათკენ.
თითქოს იქ, ნაპირზე მჯდარ ზოსიმე
ყორშისთან შეთქმულნი იყვნენ — მი-
წას უსისხლოდ არავინ დათმობს.

მასწავლებელმა ბორნის ნაპირზე მი-
ყენებას არ დაუცადა, მისთვის უჩვეუ-
ლო სიმაჩით მიწაზე გადახტა. გამოლ-
მა გლეხებმა შვებით ამოისუნთქეს.

— არა, მიწას უსისხლოდ არავინ
დათმობს, — იმეორებდა ზოსიმე.

„მიწას უსისხლოდ არავინ დათ-
მობს“, — ფიქრობდა მასწავლებელი.

ბახვამ ბორანი დააბა და შალვას
გაპყვა. მასწავლებელი გრძნობდა, რომ
მებორნე უკან მიპყვებოდა და ისიც
იმახ ფიქრობდა, რასაც თვითონ, ამი-
ტომ გაპყვა ბახვა, ამიტომ ზის იქ, ნა-
პირზე ხალხი, ქალი და კაცი და გაპყუ-
რებენ ჰალას.

ქალიდან დაინახეს თუ არა მასწავ-
ლებელი, მიწის დაყოფასა და ხვნას
მაშინვე თავი მიანებეს. მხოლოდ ბეგ-
ლარ ბუკია არ განძრეულა, იდგა დინ-
ჯად და თითქოს გულგრილად.

შალვას ხნულში ფეხი უვარდებო-
და, ბორძიკობდა, დაღლილს ოფლი
ასკდებოდა, გული ხელით ეკირა.

ბახვა უკან მიპყვებოდა და იმაზე
ფიქრობდა, რაზედაც მასწავლებელი,
რაზედაც მოხუცი ზოსიმე, მიწას რომ
ჩიჩქნიდა ვანუყრელი ხელკეტით, იქ-
გაღმა ნაპირზე, და ერთსა და იმავეს

იმეორებდა: მიწას უსისხლოდ არავეინ დათმობსო.

— რატომ შეჩერდით! — ბოლოს მაინც დაკარგა სიმშვიდე ბეგლარმა და გლეხებს შეუძახა: — რატომ შეჩერდით-მეთქი, ივანე, ნესტორ, გაიოზ, ვახუ, პეტრე! არ გესმით?!

არ ესმოდა არც პეტრეს, არც გაიოზს, არც ნესტორს, არც იმ ივანეს წყლან ნახნავში რომ ჩაწვა და ტანზე მიწას იყრიდა, მკერდში იხუტებდა, თავბირს იგლეხდა, ახლა კი გამოთაყვანებული ქანცაწყვეტილი და გატეხილი იდგა.

ბეგლარმა იცოდა, რომ გლეხები სიტყვის შეუბრუნებლად დაუჯერებდნენ მასწავლებელს. ამიტომ მიატოვეს ხენა, ხელი უშვეს კავს, მიაგდეს აგაფა, დაყარეს თოკი და პალოვები, ზურგი შეაქციეს ბეგლარს, მოლოდინით შესცქეროდნენ მასწავლებელს, არ ესმოდათ ბეგლარის ხმა.

ბეგლარი სწრაფი ნაბიჯით გაეშურა შალვასაკენ, არ უნდოდა გლეხებთან მიეშვა, გადაწყვიტა, შუა გზაზე შეგებოდა, არ მოესმინა მისთვის, უკან გაეზარუნებინა. მიდიოდა ჯიქურად, ნახნავში ფეხი არ უვარდებოდა: მიწა მისი იყო, მისივე დახული და დანაწილებული. ამ აზრს მასწავლებელი კი არა, უფალი დემრთი რომ ჩამოსულაყო ციდან, ვერ შეაცვლევიანებდა.

და როცა მასწავლებელი და ბეგლარი პირისპირ შედგნენ გადახულ მიწაზე, აფუებულ, ნესტიან, თბილ მიწაზე, შავად რომ ზნინავდა მზის ქვეშ და მქრქალი ოზშივარი ასდიოდა, ასდიოდა ნესტი და სითბო, გლეხისათვის ასეთი ახლობელი და სასუკვარი, — ისინი დიდხანს დუმდნენ: ერთი მაღალი და ჯმუხი, თავის თავში, თავის საქმეში დაჯერებული, ჯიუტი და უტეხი, მართალი და ალალი, ყველა გაჭირვებულის შემწე და მეობი; მეორე კაფანდარა, სუსტი, კიდევ უფრო მართალი და ალალი, ქვეყნის ქომავი, აღელვებული და მერყევი.

ერთმა იცოდა, რა უნდა ეთქვა მას-

წავლებლისათვის. მეორემ კი არ იცოდა, რა უნდა ეთქვა ბეგლარისთვის: გადახული მიწისა და მოლოდინით თვალმორტერებული გლეხების დანახვისთანავე დაკარგა ის სათქმელი, კლასში მერხების წინ რომ იაზრა.

ბახვა ხან მასწავლებელს შეხედავდა, ხან ბეგლარს, უკვირდა, რამ შეუკრათ კრიქა, რატომ დუმანო. „რა მკვირვებს? ბეგლარი კერპია, არ დაუჯერებს მასწავლებელს, არც მასწავლებელი დაუჯერებს ბეგლარს. გლეხები თავზადუნული რომ დგანან ბეგლარის უკან, იმას ფიქრობენ, რასაც შალვა, რასაც მე, მაგრამ ბეგლარი დგას მასწავლებელსა და გლეხებს შუა: ბეგლარმა მოიყვანა ისინი აქ და მხოლოდ მას შეუძლია აქედან მათი წაყვანა. ბეგლარი ამას არ იზამს. ბეგლარი თავის განაზრახს არ გადავა“.

ბეგლარი იღიმებოდა. ოფლიანი შებლი და აღგზნებული თვალები მის შეუზოვარ სახეს სიმშვიდისა და ღმობიერების იერს ჰყენდა. შეწუხებული იყო, მასწავლებელს რომ ასეთ დღეში ხედავდა. ეს შეამჩნია შალვამ.

— აღრე დავიწყით ხენა, ბეგლარი.

— სანამ სხვები დაგვასწრებდნენ,

— უთხრა ბეგლარმა.

— ვინ სხვები? — გაუკვირდა მასწავლებელს.

— ჰალადიდელი რევიები.

— როგორ?!

— რევიები ნახევარ ღალაზე თანახმანი ყოფილან.

— მერე?

— მიწას უსისხლოდ არავეინ დავანებებთ, შალვა.

— მიწა ჩიჩუებისაა, ბეგლარი.

— დღეიდან ჩვენია, შალვა.

— ვინ მოგცათ ამის უფლება?!

— უფლება!... ჩვენ მივეციოთ ჩვენს თავს.

— ეს არ ემარა, ბეგლარი.

— უფლება იგივე ძალაა, შალვა.

— ძალა?! — მკაცრად შეხედა მასწავლებელმა ბეგლარს.

ბეგლარი არ მოელოდა მშვიდი, უწ-

ყინარი, თავმდაბალი მასწავლებლისა-
გან ასეთ შემართულ შეძახილს.

— ძალით ბედს ვერავინ ეწევა, ბეგ-
ლარ.

— ჩვენ ვეწევი!

— ძალით ჩანგალზე ნუ ეგები, ბეგ-
ლარ.

— უკან დასახევი გზა არა გვაქვს,
შალვა.

— გზის იქით გადადიხარ, ბეგლარ.

— მე მარტო არ გადავდივარ, — თა-
ვი უკან გადაიქნია ბეგლარმა, — ჩემ-
თან ხალხია.

— არა, ბეგლარ, შენ და ისინი ხალ-
ხი არა ხართ.

— დღეს ჩვენ დავისაკუთრეთ მიწა,
ხეალ სხვები, ხალხი დაისაკუთრებს.

— დაუტყდომთ ხალხს, ბეგლარ, —
თითქმის თხოვნით უთხრა მასწავლე-
ბელმა.

— არა, შალვა.

— დაიშალეთ, ბეგლარ!

— არა, შალვა.

— ბეგლარ... — მასწავლებელს გამ-
ხდარი მხრები უთრთოდა, ხელები სად
წაედო, არ იცოდა: — ბეგლარ, განა
მე ამას ვასწავლიდი შენს შვილებს
ვარდენსა და ჯვებებს.

— შენ ასწავლიდი, შალვა, — უთხრა
ბეგლარმა, — ასწავლიდი სიმართლეს,
პატიოსნებას, პირდაპირობას, ადამიან-
ობას, — ბეგლარმა კვლავ უკან გა-
დაიქნია თავი: — სწავლობდნენ იმათ-
გან...

ვალმა ნაპირიდან სულგანახული გას-
ცქეროდნ ხალხი შუა ქალაში პირისპირ
მღვარ მასწავლებელსა და ბეგლარს,
მხოლოდ ზოსიმე ჩიჩქნიდა ისევ ისე
მიწას და ურწმუნოდ, აქნევდა თავს:

— არა, უსისპლოდ მიწას არავინ
დათმობს!.. რატომ ღმერთი არ ხედავს
ჩვენს გაჭირვებას!

— ღმერთი არაფერს ხედავს, ბაბუ
ზოსიმე, — უთხრა კოჩოიამ.

— ვიშო, არ თქვა შე ენამოსატე-
ხო! — პირზე ხელი დააფარა დედამ
კოჩოიას.

4. „მნათობი“ № 11.

— ნუ აჩუმებ, ცაბუ, — უთხრა ზო-
სიმემ კოჩოიას დედას, — უნაძრთაღწე
ამბობს ბაღანა. ღმერთს რატომ ვეძებ
ჭკონდეს, ჩვენს გაჭირვებას დაინახავ-
და.

— ღმერთი სულაც არ არის, ბაბუ
ზოსიმე, — მოიშორა დედის ხელი კო-
ჩოიამ. — ღმერთი იმათი მოგონილია,
ვისაც ბევრი მიწა აქვს. ისინი გვატ-
ყუებენ, ღმერთი ცაშიაო.

— ვიშო, არ თქვა, — წიე! — შეე-
ცხადა ცაბუმ და ხელები გაატატანა.

— ღმერთი მიწაზეაო, ბაბუ ზოსიმე.

— სადაა? — მიბრუნდა ზოსიმე კო-
ჩოიასკენ და ყურზე ხელი მოიფარა.

— მიწაზეო.

— მიწაზე ქრისტე იყო, ბაბუ. ის
დალოცვილი ყველაფერს ხედავდა და
ამიტომ აცვეს ჯვარს.

— არა, ქრისტეზე არ გეუბნები, ბა-
ბუ ზოსიმე.

— აბა, ვინააო მიწაზე ღმერთი?!

— ის, ვინც ხალხის გაჭირვებას ხე-
დავსო.

— შენ რაღა ბრძენივით ლაპარაკობ,
წიე! ავი გითხარი, ავქსენტი ყორშიას
შვილი უტკუო არ იქნება-მეთქი! —
უთხრა ზოსიმემ ცაბუს. — ვინაა ასე-
თი ღმერთისიერი, წიე?

— არისო ერთი ასეთი კაცი.

— კაცი ჩვენს გაჭირვებას შელავათს
ვერ მისცემს, შვილო.

— კაცს გაჩნია, ბაბუ ზოსიმე. კაცი
აკეთებს კაცის საქმეს. მე იმ კაცის
გვარიც ვიცი.

ცაბუ გაკვირებული შესცქეროდა
შვილს.

— რა გვარიო, წიე? — ჰკითხა ზო-
სიმემ.

კოჩოიამ პირი ყურთან მიუტანა.

— ლენინი! ოღონდ არსად წამოგ-
ცდეს, ბაბუ ზოსიმე.

— რატომ, წიე?! ასეთი კაცის გვა-
რი რა დასამალია, ქვეყანამ უნდა იცო-
დეს.

— იცისო ქვეყანამ.

— შენ საიდან იცი, წიე?

— ბეგლარ ბუკიას უთქვამს ბიძაჩემისთვის.

— ბეგლარს არაფერი დაეჭერება. პირწავარდნილი ბოლშევიკია. ხომ ხედავ, რა ამბავს ატრიალებს.

— ის ლენინიც ბოლშევიკი ყოფილა, პირველი ბოლშევიკი, მთელი ქვეყნის გაჭირვებულთა ბოლშევიკი!

— მართლა, წიე! — გამოცოცხლდა ზოსიმე, მიწის ჩიჩქნა მიატოვა.

— გლეხები მის მხეს ფიცულობენ თურმე.

— მერე რატომ ჩვენს გაჭირვებას არ ხედავს ის დალოცვილი?

— ხედავსო, ბაბუ ზოსიმე, ჩვენც მალე გვეშველებათ.

— სად არისო ის კაცი, რა რჯული-სააო?

— მოსკოვშია, რუსიაო.

— რუსს ქართველის გაჭირვება რაში ენაღვლება. სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირაო, შვილო.

— ის სხვა რუსიაო, ბაბუ ზოსიმე. იმ რუსს თურმე ყველა გაჭირვებულის საქმე ენაღვლება.

— შენს პირს შაქარი, შვილო!..

მასწავლებელი და ბეგლარი კვლავ პირისპირ იდგნენ. შახვა მებორნე შალვას ზურგს უკან ატუზულიყო. ბეგლარის უკან ივანე, ნესტორი, გაიოზი, კოსტა, გახუ, პეტრე და სხვა გლეხები ჩამწკრივებულნი იყვნენ. მზის სხივი სახეში სცემდა მასწავლებელს, თვალს სჭრიდა, მტკივნეულად უჭურავდა.

ულელშე შებმული დასიცხული ხარკამეჩი კლდით ბუხს იგერიებდნენ.

გლეხები თვალს არ ამორებდნენ შალვასა და ბეგლარს.

— არა, შალვა, მე და შენ ერთ პირზე ვერ დავდგებით. ერთ ულელში არა ვართ შებმული.

— რატომ? ჩვენ ყველა ერთ ულელს ვეწვეით... შენ ჩქარობ, ბეგლარ.

— ეჩქარობ, უღლის გადაგდებას ვესწარაფვი. ადგე — ნახე ჭირიო, დაჩე — ნახე ლხინიო.

— ეს ანდაზა აქ არ გამოდგება, ბეგლარ.

— დროზე მთესველ დროს უთქვამს კის, შალვა.

— დრო არის — ჩაქცევა სჯობს, ბეგლარ, დრო არის — გაქცევა.

— ჩვენ ამ საქმეს აღარ გავეჭვებეთო, — გადაჭრით უთხრა ბეგლარმა და აგრძნობინა, ჩვენი დავა ამით დავამთავროთო.

შალვამ არ დაუთმო, ბეგლარს ჩაუარა და გლეხებისაკენ გაეშურა.

ახლა ბეგლარი და ბახვა დარჩნენ პირისპირ. ბეგლარმა არ იცოდა, რომ მასწავლებელსა და ბახვას ერთი ფიქრი ჰქონდათ და ისე შეხედა მებორნეს, როგორც შეთქმულს, თანამოაზრეს.

ბახვა კიცხვით უყურებდა.

— დროს ვერ გადაახტები, ბეგლარ, — უთხრა ბახვამ, — აი ჩემი ბორანი, თუ წყალი დიდია, თვალის დახამხამებაში გამყავს მეორე ნაპირზე, თუ წყალი ნაკლებია, მეტი დრო სჭირდება. გაიხედე გალმა! ხალხი იმ ნაპირზეა, აქ კი ერთი მუტა ხართ. ერთმა კაცმა ხატი აასვენა და ველარ დაასვენა. დაუჯერე შალვას.

— შალვას თავისი ტყუა აქვს, მე — ჩემი.

— ტყუა ყველასა აქვს. ზოგი გონივრულად მოიხმარს, ზოგი — უგონოდ. შალვას ტყუაზე დგას ის ხალხი, გალმა რომ დარჩა.

— ისინიც მალე გადმოვლენ ჩემს ტყუაზე.

— ამიტომ გითხრა შალვამ, ამას დრო უნდაო. ბეგლარ ტყუა საქმით გამოიხდება. დაფიქრდი, სანამ გვიან არაა.

— წადი, შენს ბორანს მიხედე! — მიახალა ბეგლარმა. მიბრუნდა, გლეხებს მივარდა: — რამ გამოგაშტერათ! რას დაგილიათ პირი!

გლეხებმა არ გაიგონეს მისი ხმა. არ უნდოდათ, მასწავლებელს უყურებდნენ, რას გვეტყვისო. შალვა ყოყმანობდა, ბეგლართან ლაპარაკის შემდეგ აღარ იცოდა, რა ეთქვა.

ივანე ესებუა გლეხების წინ იდგა, მარჯვენა ხელით ავაფის კავს ჩაჰიდებოდა. თვალეში თხოვნა და ვედრება გამოსახვოდა. ბეგლარმა შოლტი გამოსტაცა, აუქნია მის კამჩებს. ივანემ უფრო ღონივრად ჩასჭიდა კავს ხელი, მაგრად დაადგა ხნულს შიშველი, ძარღვიანი, ღონიერი ფეხები, ბეგლარს თვალი თვალში გაუყარა.

— არა, ბეგლარ, — უთხრა ყრულს, სახე წამოენთო, კისრის ძარღვები დაეებრა. — მხარი მიგრძნობს, ფათერაკს წაგეყიდებით.

— ფათერაკს შეუშინდი, ყაძახო!

— წვრილი ცოლ-შვილის პატრონი ვარ, ბეგლარ.

ინდამ შევებით ამოისუნთქა, მამას აეფარა:

— არ გვინდა სხვისი მიწა, — ქვითინი აუვარდა. — დასაწვავი მიწა, დასაბუგი მიწა, ამოსავლები მიწა!.. წავიდეთ აქედან, ბაბა!.. წავიდეთ! — ბეგლარს მამის შოლტი გამოსტაცა და კამჩებს დაუშინა.

— არ გვინდა სხვისი მიწა! არ გვინდა, არა, არა! — ქვითინებდა. ლოყებზე ღაპალუბით ჩამოსდიოდა ცრემლი და მაინც ღამაში იყო, კრიალა და ცრემლით გაბრწყინებული თვალეებით, გატყეცილი სახის კანით, სადაც ცრემლი ფეხს ვერ იკიდებდა, პატარა, ქვევიდან ზევით ამრგვალებული ტუჩებით, აწეწილი თმით, ბავშვს რომ ჰგავდა ცხრამეტი წლის გოგო.

ბეგლარი და მასწავლებელი თვალს ვერ აშორებდნენ, ორივეს სახეზე თანაგრძობის ტკივილი გამოეხატა. ბეგლარის უკან გლეხები იდგნენ, მასწავლებლის უკან — მებორნე ბახვა ბახია და დაძაბული დუმილი, სიმწრისა და შიშის დუმილი, უმწეობისა და უიმედობის დუმილი.

გადახუნული მიწა კი შავად ბზინავდა, მსუყედ ბზინავდა, გამომწვევად ბზინავდა. გლეხებს ამ ცოტა ხნის წინათ რომ თავისად მიაჩნდათ, ახლა ისე მტრულად დაჰყურებდნენ, თითქოს ამ

მიწას მიუძღოდა ბრალი, რომ სხვისი იყო, უსისხლოდ არავინ დახოხობდა.

სენაკ-ზუგდიდის გზატკეცილზე გვირდიელთა ესკადრონი მიდიოდა. წინ კაპიტანი ვახტანგ ღლონტი მიუძღოდა. ამაყად მიაგეღვებდა თეთრ ულაცს. ულვაშაწკეპილს, ცალწარბაგრებილს ქარვისფერი ბოხოზი იმ აგრებილ წარბამდე ჰქონდა ჩამოწეული. პირზე განუყრელი კმაყოფილების ღიმილი ეხატა. მთელი მისი გამომწვევი იერი მტრულ გრძნობას იწვევდა. აგურისფერი მოკლე ბუშლატი კოხტად ეჭდა მოხდენილ ტანზე, ვერცხლით მოზარნიშებულ ხმალი ერტყა და ნაგანი ეკიდა. მარჯვენა ხელით ლაგამი ეჭირა, მარცხენა წელზე ედო.

კაპიტანს აქეთ-იქიდან ლეიტენანტი ამირან არშა და უმცროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ გარდაფხაძე მიჰყვებოდნენ. უკან გვარდიელები ჯვებე ბუკია, იური ორლოვი, ზაქრო ბროლაძე და ზანგი რიჩარდ ბოლდუინი მისდევდნენ ჩორთით.

რიჩარდ ბოლდუინი ამერიკის სატვირთო ხომალდიდან გადავიდა ფოთის ნავსადგურში და უკან აღარ დაბრუნებულა, საქართველოს ქვეშევრდომობა მიიღო და, რადგან სხვა სამუშაო ვერ იშოვა, მამინვე გვარდიამო შევიდა, საქმელი მაინც შექნებაო. ამხანაგებმა უცებ შეიყვარეს შავკანიანი ქაბუკი, უსამართლობას, დამცირებასა და გაჭირვებას რომ გამოეჭყა და საქართველოს შეაფარა თავი. მუნჯური ღაპარაკითაც გრძნობდა ზანგი, რომ აქ შავკანიანს ისევე ეტყეოდნენ, როგორც თავისიანს. ბოლდუინმა რამდენიმე თვეში ისწავლა ქართული. ჭარისკაცებსაც მალე შეეთვისა, შეიყვარა ამხანაგები, განსაკუთრებით — ჯვებე ბუკია. ჯვებე მმასავით ეტყეოდა, მუდამ გვერდით ჰყავდა, რომ სამშობლოს სევედა არ ეგრძნობინებინა. მწერივშიაც ერთად იდგნენ, შეკამადაც ერთი ქვაბიდან ჰამ-

დნენ და თამბაქოს ქისაც საერთო ჰქონდათ.

გვარდიელებს არც ტანსაცმელი ეცვათ ერთნაირი, არც იარაღი ესხათ ერთგვარი: ზოგს ბუმლატი ეცვა, ზოგს სამოქალაქო პალტო, ტყაბუჭი, ქურთუკი ან ნაბადი ემოსა. ზოგი საზაფხულო „ფორმაში“ იყო გამოწყობილი, მრავალჯერ დაკერებულ, გაბუნებულ გაჭუჭყიანებულ ჩოხა-ახალუსსა ან ძიქვა-ხალათში. თავზე კარტუზი, კეპი, ბოხოხი, თუშური ქელი, მეცხვარის ბეწვიანი ქელი ეხურათ ან ყაბალახი ჰქონდათ წყარული. ფეხზე წულა, ჩექმა, უძიროები, ჩაფულა და ბანდულები ეცვათ.

ესკადრონი სხვადასხვა ეროვნებისა და ფენის ბრბოს უფრო ჰგავდა, ვიდრე სამხედრო ნაწილს — სახალხო გვარდიას. აქ იყვნენ გლეხები, მუშები, მოხელეები, ხელოსნები, გაკოტრებული ვაჭრები, უქონელი აზნაურები. აქ იყვნენ რუსები, უკრაინელები, სომხები, უზბეკები, აზერბაიჯანელები.

ახალგაზრდები იყვნენ, ცა ქუდად არ მიანდით და დედამიწა ქალამნად, შეჰხაროდნენ სიცოცხლეს, მომავალს. არაფრად აგდებდნენ გვირგვამს, შიმშილს, უბინაობას, სადაც უღამდებოდათ, იქ უთენდებოდათ.

— აი, იმ წითელი ხიდის მარჯვნივა ჩემი სოფელი, ბიჭებო, — უთხრა ჯეგბე ბუკიამ ამხანაგებს და უზანგებზე წამოდგა, რომ კარგად დაენახა ხიდი კაპიტან ლლონტის მხრებს იქით. — დედაჩემი სიხარულით გაგიტემა, ასე მოულოდნელად რომ მივადგები კარზე.

— შენ ისა ბჭვი, ჯეგბე, შენს გოგოს რა მოუვა, — შეაწყვეტინა სიტყვა ბოლდუინმა და მისმა კბილებმა შავ სახეზე თეთრად გაილევა. — დედის ამბავი ყველამ ვიცით, — ნადვლიანად გაიღიმა. — არა, ვისაც დედა არა ჰყავს, არ იცის რა არის დედა. რომ მოუკვდება, მერე ვაიგებს...

— ტყუილად როდია ნათქვამი, — ჩამოართვა ბოლდუინს სიტყვა ზაქრო ბროლაძემ: — დედაც და თვალოც.

ჯეგბე ფიქრში იყო წასული და არ გაუვია ბოლდუინისა და ბროლაძის დახმარაჲ, მერე გაიღიმა და თქვა:

— დაივიწყეთ, ბიჭებო, რაც ინდაზე გითხარით. თქვენი თვალით ნახეთ. მის სილამაზეს ენა ვერ აწერს.

— ჰო, გამიგონია, მეგრულ ქალებს ქვეყანაზე სხვა ქალები ტოლს ვერ დაუდებენო, — უთხრა ორლოვმა ჯეგბეს.

— მართალი უთქვამთ. ჩემი ინდა ციდან ჩამოსული ანგელოზია. მოდი, კაპიტანს ვთხოვ, იქნებ ნება დამართოს, სანამ სოფელში შევალთ, დავწინაურდე. ინდასაც ვნახავ და თქვენს მოსუღამდე დედას სუფრას გავაშლევინებ...

იმ თემშარაზე, მასწავლებელი რომ მიიჩქაროდა, ფლოკეების თქარათქური ავირდა და ისევ გაიღო ვაღმა-გამოღმა ოდებისა და სამზადთა კარი, ჭიშკრი-საყენ გარბოდნენ, ღობესა და ალაგებზე ტბებოდნენ. ძალები გააფთრებული ყვეფით წინ უხვდებოდნენ მხედარს და, როცა ის გაუსწრებდა, უკან მისდევდნენ კიდევ უფრო გააქებულნი.

თემშარაზე ჯეგბე ბუკია მიაქროლებდა ცხენს. თავის სოფელში იყო, თავის თემშარაზე, სიხარულისაგან ატაცებულ იყო არ ხედავდა ჭიშკრებზე, ღობეებზე, ალაგებზე მომდგარ, შარაზე გამოსულ ხალხს, როგორც ბროლაძესთან, ორლოვთან და ბოლდუინთან საუბრისას, ახლაც თავის ფიქრში იყო წასული. დედა ედგა თვალწინ, მამა ედგა თვალწინ, ყველაზე წინ კი — ინდა.

მკახედ რეკავდა ცხენის დაქვდილი ფლოკეები სიწყინარეში, მტერის ბულს ტოვებდა უკან.

ვერავინ იცნო ჯეგბე. ყველა გაკვირვებულ თვალთ აცილებდა „გადარეულ მხედარს“. ვინაა? ვისთან მიდის?..

— კაპიტანმა ვაბტანგ ლლონტმა ცხენი შეაყენა. ესკადრონი იქ შეაჩერა, სადაც სენაკ-ზუგდიდის გზატკეცილიდან თემშარაზე იყო გადასახელებული. ქვე-

მეტი გზის მარჯვნივ მიაბრუნე, სოფელს დაუმიზნე და რამდენჯერმე გაისროლო, უბრალოა მეჭვემეხე ძიკი ძიგვაეას, კორფლიან, ჭუჭა გვარდიელს. კაპიტანი ტუნებს ნერვიულად აცმატუნებდა, ეტყობოდა ეს მისი სურვილი არ იყო, ნაბრძანები ჰქონდა და უნდა შეესრულებინა.

ორლოვი, ბროლიძე და ბოლდუნი თვალს არ აშორებდნენ ძიგვაეას. აქამდე არ იცოდნენ, რომ ჭვებეს სოფლის დასამინებლად მიდიოდნენ...

ამ დროს ბორნიდან გადმოსული ინდა თემშარზე ტირილით მიერეკებოდა ულლიან კამეჩებს. დამტკრეული ავაფა მხარზე ედო. ფეხშიშველი, წვივებამდე შავი მიწით გასერილი შინ მიდიოდა.

ივანემ ქალიშვილი და კამეჩები რომ გაისტუმრა, მასწავლებელთან მივიდა და გვერდით ამოუდგა. ბეგლარს არ შეხედა. ბეგლართან პირი გატეხა, ბოლომდე არ გაჰყვა. სხვები ისევ ხნავდნენ ბეგლარის რიდითა და შიშით. არ უნდოდათ, მაგრამ მაინც ხნავდნენ. ბეგლარს წალდი ეჭირა ხელში და იმუქრებოდა, ვინც ხუნას მიატოვებს, ხარკამეჩს ავუნეხავო.

—კაცს რომ სამმა კაცმა უთხრას ბრმა ხარო, თვალზე ხელს მოისვამს.— უთხრა მასწავლებელს მის ზურგს უკან მდგარმა ბახვამ. — ბეგლარს ღმერთმა რომ უთხრას, არ დაიჭერებს.

შალვას არ მოეწონა მებორნის ნათქვამი. დღეს მას არავინ და არაფერი მოსწონდა. არ მოსწონდა თავისი თავიც, თავისი საქციელი, მოქმედება, ლაპარაკი. ჭერ არ ყოფილა ასე გაღიზიანებული, აშლილი, დამარცხებული...

ინდას შეესმა ფლოქვების თქარათქუარი. კამეჩები თემშარის გადაღმა გადაჩქა. დაინახა მხედარი და მის უკან აღძვენებული მტერის კორიანტელი. თვითონაც გადავიდა გზიდან.

ჩაიჭროლა ცხენოსანმა, მტერის სქელ

ბულში გაახვია ინდა. მაშინვე ცხენსავე ერთბაშად შეყენებული ცხენის წაღების ხრიწინი, მერე ინდამ გაიგონა შემობრუნებული ცხენის ფლოქვები ხმა. მტერი გაიფანტა, გამოჩნდა ჭვებე, გაისმა მისი შეძახილი:

— ინდა!.. ინდა!.. — გადმოხტა ცხენიდან ჭვებე და ინდასკენ გაიქცა.

ინდამ მხოლოდ ხმით იცნო ჭვებეთვალს არ უჭერებდა, ასე ჩაცმული ვერ წარმოედგინა. ავაფა გადაადგო, მაგრამ ნაბიჯი ვერ გადადგა, ხელი ვერ ასწია, რომ ცრემლი მოეწმინდა, და ჭვებემ შორიდან დაინახა ის ცრემლი.

— რა მოხდა, ინდა?! — შიირბინა ინდასთან, — ინდა!

ინდამ გაუღიმა. ცრემლით საკვებ თვლებში მიმალული ტკივილი მაინც დაინახა ჭვებემ.

— რა მოხდა, ინდა?!

ინდას არ სჯეროდა, რომ მის წინ ჭვებე იდგა. ჭვებე წარმოდგენილი ჰყავდა გვარდიელის ლამაზ ფორმაში: ბუშლატში, ჩექმით, თავზე ბოხოხით, წელზე ხმლით და რევოლვერით, მხარზე გადაადებული მოკლე კარაბინით.

ასეთი სურათი გამოუგზავნა ჭვებემ ზუგდიდიდან, იქ იდგა მისი ესკადრონი. არაფერი მაკლია, ოფიცირებით მაცვია, პატარა ჯამაგირსაც კი ვიღებ და საჭმელიც ბლომად მაქვსო. წერდა ჭვებე.

სხვისი ფორმა ეცვა იმ სურათში ჭვებეს, სხვისი აბჯარი ესხა. ერთ ოფიცერს შეეხვეწა, სურათის გადასაღებად მათხოვეო. ინდა უნდოდა გაეხარებინა, უნდოდა დაემედებინა, დაებრუნდები ჭარიდან და დედოფალივით გაეცხოვრობო. ახლა რცხვენოდა თავისი საქციელისა, თვალს არიდებდა ინდას.

— ჭვებე... შენა ხარ, ჭვებე?! — ჰკითხა ინდამ, თვალში ხელი ამოისვა. ცდილობდა, ისევ გაეღიმა, რომ ტკივილი დაეფარა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ვერ იკავებდა ცრემლს, რომელიც კვლავ ჩამოსდიოდა გატაცული, კრიალა ლოყებზე, ახლა ფერი რომ აღარ ედო.

ჯვებს ისევ ის ტანსაცმელი ეცვა, გვარდიაში წასვლისას რომ შეუქერა დედამ: შალის შინ ნაქსოვი ძიქვა-ხალაი. წაღები. მხოლოდ ქუდი ეხურა სხვა, ცხვრის ტყავის ბეწვიანი ქუდი. ამიტომ ვერ იცნო ინდამ, ამიტომ ვერ იცნო სოფელმა. ბეწვი შებლს უფარავდა, სულ სხვანაირ სახეს უჩენდა. მხარზე ადამის ეამის შამხანა ჰქონდა გადაკიდებული, წელზე ჭარქაშემოკვეთილი ხმალი ერტყა.

რატომ მოატყუა ინდა, რატომ გაუცრუა იმედი?! ადრე თუ გვიან ხომ მაინც გაიგებდა სიმართლეს. როგორ მოუხაროდა შინ! ნუთუ არ იცოდა, ასეთ დღეში მყოფი უნდა წამდგარიყო ინდასთან, მამასთან, სოფელთან. რატომ არ დაუჯერა მამას?! ბეგლარმა იცოდა, რა იყო სახალხო გვარდია. რამდენი უშალა. გამართლდა მამის ნათქვამი.

დაპირებებმა შეაცდინა ჯვებე. რამდენი რამით აიმედებდა მთავრობა გვარდიასა და ჯარს: უახლესი აბჯარი გეჰნებათ, ლამაზი ფორმა, ყელამდე სასმელ-საჭმელიო. გვარდიას ჯამაგირსაც კი ჰპირდებოდა. ჯვებე იმიტომ შევიდა გვარდიაში, რომ მამას ერთი პირით ნაკლები მჭამელი ჰყოლოდა, რომ თავისი ჯამაგირით დახმარებოდა ოჯახს.

იმასაც უჩიჩინებდნენ ჯვებეს, რომ სახალხო გვარდია ხალხს ემსახურება, სამშობლოს სადარაჯოზე დგასო. რა იცოდა ჯვებემ, რომ გვარდია მენშევიკური პარტიის სადარაჯოზე იდგა. მოტყუვდა ჯვებე. რასაც კაცი თავის თავს უზამს, ვერა მტერი ვერ უზამს. იმასაც ეუბნებოდნენ ჯარსა და გვარდიას, ანტანტის ქვეყნები მალე ისეთ დახმარებას გაუწევენ საქართველოს, რომ ხალხს ყველაფერი თავსაყრელი ექნებაო.

შუა შარაზე იდგნენ ერთმანეთს ჩამოშტერებულები, დანა პირს არ უხსნიდით. არ ესმოდათ ძაღლების გაგულისებული ყეფა, წელან რომ აუტყებეს ჯვებეს და ახლაც არ უსვენებდნენ. არც ახლომახლო ეზოებიდან ესმოდათ ქა-

ლებისა და კაცების გაკუთვნება დაძაბილები:

- ვინ იყო ის გადარეული!
- მოკლა ცხენი!
- რა ამბავი მოაქვს ასეთი!
- ჩვენთან არ ჰგავდა!
- სად მიჭრის ასე თავქუდმოგლეჯილი!

ინდას დააეჩუქა აგაფა, ის წყველი მიწაც, მამა, ბეგლარი, მასწავლებელი, გლეხები. ახლა მისთვის ქვეყნად ჯვებეს მეტი აღარაეინ და აღარაფერი არსებობდა. „რა გამოშტერებული ვდგავარ! უნდა ვუთხრა რამე. რამ დამამუნჯა! უნდა ვუთხრა რამე! გაუღლიმო, გაუღეცო. რამ დამამუნჯა მე ასაკიდული!“

— რა კარგ დროს ჩამოხვედი, ჯვებე! დაბარებულივით ჩამოხვედი, ჯვებე! სულზე მოგვისწარი, ჯვებე!

— მოვდიოდი და გული წინ მისწრებდა, ინდა!

— ჯვებე!

— ამდენ ხანს უშენოდ რამ გამამღებინა, ინდა!

— დღედაღამ თვალწინ მედგჭი, ჯვებე!

— ნეტა სულ არ წავსულიყავი.

— ნეტა...

— რატომ არ დავუჯერე მამას?!

— უნდა დაგეჯერებინა, ჯვებე!

— რატომ არ დავუჯერე მამას?!

— ჯვებე, ჯვებე!

— რა მოხდა, ინდა?!

— ბეგლარმა...

დაიწყო ინდამ, მაგრამ სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ ქვემეხმა დაიჭუხა. ინდამ ზევით აიხედა, მოწმენდილ ცაზე როგორ გავარდაო მეხი! ჯვებემ მაშინვე იცნო ქვემეხის ხმა. გავარდა ისევ: მეორედ, მესამედ. ინდა მიხვდა, რომ ეს არც ქუხილი იყო, არც მეხის გავარდნის ხმა და არც გრგვინვა. ჯვებეს შეხვდა.

— რა არის ეს, ჯვებე?!

ჯვებემ ვერა მიუგო რა. ისე იყო დაბნეული, გაოგნებული, ვერაფერი მოისაზრა. რატომ უნდა გაესროლა მის ასე-

ულს ქვემეხი, ისიც მისი სოფლისავენ. სანამ ხმას ამოიღებდა, ერთი ჭურვი მახლობელ ეზოში დაეცა და ქახანი გაადინა.

ატყდა წივილ-კივილი, შეშინებული ქალები და კაცები აქეთ-იქით გაიჭრნენ, ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა უბედურებააო ჩვენს თავს. ტიროდნენ ბავშვები, სხრიალებდნენ. ატყდა ძაღლების ყფა-ლაღლავი, დაფრთხა პირუტყვი და ფრინველი...

თითქოს ცა ჩამოექცათო თავზე, დაფრთხნენ ჭალაზე ხარკამეჩები, გაიტაცეს აგაფა, გაიჭრნენ ნახნავზე, ერთმანეთს შეაჩერდნენ გლეხები. ისევ გავარდა ქვემეხი. რამდენიმე ჭურვი ნახნავში დეცა. აიჭრა მიწის შავი სვეტები და წერილად ჩამოეფრქვა გლეხებს. მიღწე-მოღწეწეს უღელი და აგაფა ხარკამეჩებმა.

მასწავლებელი და ბეგლარი ერთმანეთისავენ მიბრუნდა. შალვა კილვით უყურებდა, ბეგლარი — ჩიუტად. შალვა ლეღავდა. ბეგლარი მშვიდად იდგა. ხელი ასწია შალვამ და სახიდან მიწა ჩამოიწმინდა. ბეგლარი არ განძრეულა, თავზე და სახეზე მიწა ეყარა...

მეველე პავლე ზეინგია უბელო ცხენს მაქროლებდა თემშარაზე. ეტყობოდა, დიდი გზა გაველო ქენებით, ცხენსაც და პირუტყვსაც არაქათი გამოლეოდათ. ხელაწეული, ხრიწწიანი ხმით გასძახოდა აქეთ-იქით კიშკარზე, ალაგზე მომდგარ ქალსა და კაცს, შარაზე გამოსულ ხალხს:

— არიქა, ხალხო, თავს უშველეთ! ზარბაზნებს გვიშენენ! გვარდიელები მოდიან. კავალერია! თმის სისქე ჭარი, მოდის.

უცებ მხედარს ვილაც გადაუდგა, ლაგამს ხელი უტაცა. ცხენი შეაყენა.

— რამ ვადაგრია, პავლე?

— სად გარბიხარ, პავლე?

— გვარდიელები რას გვერჩიან, პავლე?

— რატომ გვიშენენ ზარბაზნებს პავლე?

ზინგლიოქოქიქა

— მიაყვირეს ყოველი მხრიდან პავლეს.

— ამოწყვეტას გვიპირებენ, სოფლის გადაწვას.

— რადაო?

— რისთვისაო?

— რას ამბობ, პავლე?

— შე ღმერთგამწყარალო პავლე!

— ხმა ამოიღე, პავლე!

— რატომ გვიშენენ ზარბაზნებს?

— რისთვის გვიპირებენ ამოწყვეტას?

— იმისთვისაო, რომ სხვისი მიწები დაგიტაცებიათო, აბრაგებს აყოლიხართო, — თავის მონაგონს ამბობდა პავლე, გვარდიელებს არც დალაპარაკებია. სულს ძლივს იბრუნებდა ბოლმითა და ქენებით გაუღდული. — ერთ კაცს არ გავუშვებთ ცოცხალსო, არც ქალს დაეტოვებთ, არც ბავშვსო. არიქა, თავს უშველეთ, ხალხო! საცაა სოფელში შემოვლენ. გაიხიზნეთ. ორი ზარბაზანი მოაქეთ, ტყვიამფრქვევები მოაქეთ. მეორედ მოსვლაა. ხალხო! — პავლე ყოველთვის აზვიადებდა ყველაფერს, ადამიანში მხოლოდ ცუდს ხედავდა. სხვისი კარგი შურდა. სხვისი გაქირვება ახარებდა. თვითონ უმიწო იყო, მშინშარა იყო, ამიტომ არ გაჰყვა ბეგლარს, ახლა გულზე სკდებოდა. — რომ გლეხები ჩიჩუების მიწას ინაწილებდნენ, შხამს ანთხედა, მაგრამ როგორც ყოველთვის, ხალხმა მისი ნათქვამის ნახევარი არ დაიჭრა.

— რამ შეგშალა, პავლე?

— რას ამბობ, პავლე?

— სოფელი რა შუაშია, პავლე?

— ამოსაწყვეტი რა ჩავიდინეთ, შეკაცო?

პავლე გაჩუმდა. ვერ დაჰბერა სოფელს შინის ქარი და ნირი წაუხდა. აბრუს მაინც არ იტებდა:

— მე ჩემი მითქვამს, ხალხო, აწითქვენ იცით.

— გითქვამს და მიგქარავს, — უთხრა იმ ვილაცამ, ცხენი რომ გაუჩერა.

— ჩემი თუ არ გჯერათ, ზარბაზანი? ყურში ბამბა ხომ არა გიდევთ?!

ზოგი ჩაფიქრდა: მართლაც, ზარბაზანი რად დაგვიშინესო...

ჯვებე გაოგნებული იდგა, სახეზე მიტკლის ფერი ეღო. ინდა თვალებით ეკითხებოდა: ქვემეხი რატომ დაუშინეს სოფელს, რას ამბობსო პავლე! ჯვებეს რა უნდა ეთქვა, რაც არ იცოდა. ასეულს უთხრეს: მაზრის სოფლებში ბოლშევიკების ბრბო დაძრწის. ხალხს აწიოვებს, თემების ერობებს თავს ესხმის, იკლებს, ერობის წვეგრებს ხოცვენო. და ეს რა ხდება?! სოფელს უშენენ ქვემეხს!

ინდას თვალები გაოცებითა და უფრო მეტი შიშით აენთო. გვარდიელი იდგა მის წინ, გვარდიელები ესროდნენ სოფელს ზარბაზანს, გვარდიელები უპირებდნენ სოფელს ამოწყვეტას, ერთ კაცს არ გაუშვებთ ცოცხალს, არც ქალს დავინდობთ, არც ბავშვსო. ამას იმითომ გიპირებთ, სხვისი მიწები რომ დაიტაცეთო.

— ბაბა... ბაბა იქ არის, ჯვებე.

ჯვებეს გონება არეულად ჰქონდა, არ გაუგონია ინდას ხმა.

ინდა შეტრიალდა და გაიქცა იქით, საიდანაც მოვიდა, გაიქცა ბორნისაკენ, გაიქცა მამისაკენ. „გვარდიელები... ჯვებე გვარდიელი!.. ჯვებემ უნდა ამოწყვეტოს სოფელი! — კინალამ შეჰკივლა, ხელები სახეზე აიფარა, ეს რა გავიფიქრეო, პირი მოკლემა, მიწადასაყრელი პირი, მიწადასაყრელი ტვინი. — ჯვებე!.. ჯვებე!.. შენი ბაბა ახნევიანებს ჩიჩუების მიწას, სხვის მიწას, ამოსაგდე მისი, დასაწვავ მიწას!... არაღის არ დაუჭერა. ბეგლარმა. მასწავლებელსაც არ დაუჭერა, არაღის არ დაუჭერა!“ — გონება უღუღდა, ფეხი ერეოდა, მუხლი ეკეცებოდა.

მიიჩინა მდინარესთან. ბორანი გაღმა ება, სწრაფად ირწყოდა მძვინვარე წყალზე. ინდა არც დაფიქრებულა, გადაეშვა მდინარეში. უმაღლ ეძგერა ტა-

ლები. პირდაპირ ვერც გადაჭრიდა მდინარეს, მიჰყვა ტალღებს დაღმად მორს, ქვევით, ნახნავეს ბოლოს გავიდა ნაპირზე.

ჭალიდან მაშინვე დაინახეს მდინარიდან ამოსული ინდა. დაინახეს, ფეხის გადადგმა რომ არ შეეძლო. დაინახეს, სულს რომ ძლივს ითქვამდა, სახეზე, თვალებსა და მხრებზე თმაგაყრული. დაინახეს, როგორ იშორებდა თმას, მიხვდნენ, რომ კარგი ამბავი არ მოჰქონდა, თორემ არ გადავარდებოდა მდინარეში.

ივანე პირველი გაიქცა შვილისაკენ. სხვებიც გაედევნენ. ჭალაზე მართო მასწავლებელი დარჩა, ზურგით ბეგლარისაკენ იდგა, ქვემეხის გასროლის შემდეგ კიდევ უფრო შეშფოთებული.

შალვასა და ბეგლარის გარშემო ხელული გაფართოებულიყო. მიწას თბილი მქრალი ოხშივარი ასდიოდა და იქვე ქრებოდა.

მიიჩინა ივანემ შვილთან. მიიჩინეს სხვებმაც.

— რა მოხდა, ბაბა? — ჰკითხა და, რომ არ წაქცეულიყო, ხელი შეაშველა.

— გვარდიელები... — უთხრა ინდამ სულშეგუბებით. — მიწის დახვნისათვის ამოწყვეტას გვიპირებენ... თავს უშველეთ!.. ზარბაზნებს გვიშენენ... არც ქალს დავინდობთ, არც ბავშვსო... ჯვებე... ჯვებე!...

— ვინ ჯვებე, შვილო?!

„ჯვებე გვარდიელი, — უტრიალებდა თავში ინდას. — არა, ჯვებე არა, — შეხედა მამას, გაოცებულ გლეხებს, — არა, ჯვებე არა, არა!“ — ჯვებეს მიტკალივით გათეთრებული სახე წარმოუდგა, თვალი დაბუჟა. — არა, ის არა, ბაბა, ჯვებე არა, ბაბა!“

ინდა რომ ბორნისაკენ გაიქცა, ჯვებე პავლეს მივარდა, ცხენიდან გადმოიღო და ყელში სწვდა.

— გაიმეორე რა თქვი, შენ ენამყარო!.. გვარდიელები მოდიან სოფლის ამოსაწყვეტად? გვარდიელები მოდიან,

რომ ერთი კაცი არ გაუშვან ცოცხალი? არც ქალი, არც ბავშვი? დაჯიხრნობ, სულს ამოგზდი!

პავლე ორივე ხელით ცდილობდა მოეშორებინა ჭვებე, მაგრამ ვერ ახერხებდა. ჭვებე სულ უფრო და უფრო მაგრად უჭერდა ხელებს. პავლეს თვალები წამოეკარკლა, პირს აღებდა, ხმას კი ვერ იღებდა.

გარსემორტყმული ხალხი განცვიფრებული უყურებდა ჭვებეს. ვერ გაეგოთ, საიდან გაჩნდა აქ, რას ერჩოდა პავლეს. უცებ ვერ მიხვდნენ, რომ ჭვებე გვარდიელი იყო. ვერ მიხვდნენ იმიტომ, რომ მას ასე ჩაცმულს არ ელოდნენ. სანამ ვინმე რამეს მოისახრებდა ან პავლეს ხელიდან გამოგლეჯდა, ან ჰკითხავდნენ რას ერჩი ამ კაცსო, ჭვებემ მჯილი ჰკრა პავლეს, მერე ცხენისაკენ გაიქცა, მოახტა და ადგილს მოსწყვიტა.

ხალხმა აქეთ-იქით გზის ნაპირისაკენ დაიხია და, როცა ჭვებემ მათ წინ ჩაიჭროლა და მოსახვევს მიეფარა, ისევ შეერთდა.

— საიდან გაჩნდა ჭვებე ბუკია აქ?!

— რას ერჩოდა პავლეს?!

— კინალამ გაგუდა!

პავლეს მიცვივდნენ და მოსულიერება დაუწყეს. ერთმა სახეზე სიმწრის ოფლი ჩამოსწმინდა, მეორემ კისერი დაუზილა, მესამემ წყალი მოარბენინა და სახეში შეასხა. პავლე ერთხანს ვერ სუნთქავდა, გალურჯებულ ტუჩებს ილოკავდა, თვალებს ახამხამებდა, წამოწითლებულ, გაგანიერებულ თვალებს უნაროდ ახამხამებდა, მერე, სული რო მოიბრუნა, გაუბედავად მიმოიხედა და, რა დარწმუნდა, ჭვებე იქ აღარ იყო, გაბოროტებით ამოიხრიალა:

— აი, ვინ გიბირებთ ამოწყვეტას, ბოლშევიკი ბეგლარ ბუკიას შვილი.

— რას ამბობ, შე შეჩვენებულო პავლე?!

— ჩენი ბეგლარის შვილი, ჭვებე გვიპირებს ამოწყვეტას?!

— ბეგლარი იქით ებრძვის მენშევიკებს.

— შვილის გაშვება არ უნდა შეეძლოს რდიასი.

— შენი შხამიანი ენა რას არ იტყვის, პავლე.

— შენი მართალიც არ დაიჭრება, პავლე.

— შენი ენა მაკე ძროხას გააბერებს, პავლე.

შეიცხადა ხალხმა, არ დაუჯერა პავლეს მისი ნათქვამი, გულთან არ მიიტანა, შორს დაიჭირა.

— ღია, თვალი დამიდგეს, როგორ ვერ ვიცანი ჭვებე! — წამოიძახა ჩვილბავშვებუტებულმა ქალმა.

— შენს ჰქუაზე არა ხარ, პავლე! — შეუწყრა პავლეს ის გლეხი, ცხენი რომ გაუჩერა.

— ბეგლარმა რომ გაიგოს მის ბიჭუცეს თქვი, ენას ჩაგაჭრის.

— მართლა უნდა დაეხრჩვე ჭვებეს შენი ენის პატრონი.

— კაცი კი არა, ადამიანის ქირი ხარ, პავლე.

— რა ეთქვი ვითომ ასეთი! — წახდა პავლე, ძარღვებზეშუბებული კისერი მამალივით მიატრიალ-მოატრიალა. — ყური გამოიჩინქნეთ, ხალხო, ზარბაზანს გვიშენენ, ამოწყვეტაა, აბა, რა ჯანდაბაა!

— ბეგლარის შვილი ზარბაზანს არ დაგვიშენს, — არ თმობდა, ცხენი რომ გაუჩერა, ის გლეხი.

— ბეგლარის შვილი ისეთივე სალდათია, როგორიც სხვები, — თავს იმართლებდა შეშინებული პავლე. — სალდათს რასაც უბრძანებენ, უნდა შეასრულოს. დედას ესროლეო, მამას ესროლეო, რომ უბრძანონ, უნდა ესროლოს, სალდათს ფიცი აქვს დადებული, — ენა გაიბრტყელა პავლემ. — ფიცის გატეხვისათვის ან ჩამოახრჩობენ, ან დახვრეტენ, აბა! — კვლავ მიატრიალ-მოატრიალა კისერი. — მომკლა იმ ურჯულომ. მარწყუხივით არ მომიჭირა... ხუთი წელიწადი ვიყავი სალდათად, თქვენ მასწავლით სალდათის ამბავს?!

— სალდათის ამბავს კი არ გასწავლი, ჭვებეს ამბავს გეუბნები, — დინ-

ჯად მიუგო იმ გლეხმა, ცხენი რომ გაუჩერა.

— აქ რასა ვყაყანებთ, ხალხო! — შესძახა ხალხს ერთ-ერთმა გლეხმა. — ქალას მივაშუროთ, ბეგლარს მივეშველოთ!

— ზარბაზანს ავეფაროთ?! — იყვირა პავლემ. — ვინც დააშავა, იმან მიუშვიროს მკერდი.

— გაჭირვებამ დააშავებინათ და არა დალხინებამ.

— დალხინებული არც მე ვარ, იპოლიტე, მაგრამ შენი არაფერი მომიტაცებია, — უთხრა პავლემ მეზობელ გლეხს.

— მე რაც არ მაქვავია, რას მომიტაცებდი! — გაეცინა იპოლიტეს. — ვინაა აქვს და არ ხმარობს, იმას მოსტაცეს.

— წავიდეთ, ხალხო, ფეხებში ჩავუვარდეთ გვარდიელებს! ხელმწიფის სალდათები ზომ არ არიან, ჩვენი შვილებია.

— ჩვენი შვილები! — ჩაიხიბობითა პავლემ და ხვედუბა აუვარდა, კისერზე იტაცა ხელი: — დამახრჩო იმ ჩვენმა შვილმა, — გაიციან ღვარძლიანად. — შვილის ტყვია უფრო მწარეა.

— გაჩუმდი, შე ღმერთგამწყვარლო! — ლოყაზე იტაცა ხელი ბავშვებზედულმა ქალმა. — არ უფიქრდები, რას როშავ!

— რაც გაიგონე, იმას ეროშავ, — შეუღრინა ქალს პავლემ, კისერი ხელით ეჭირა. — მე არც ბოლშევიციებისაგან ველი სიკეთეს და არც მენშევიციებისაგან, ორივე ჭირმა წაიღოს. სხვის მიწას ხნავდა მამაჩემი, ბაბუაჩემი, სხვის მიწას ვხნავ მეც... არც ბაბუაჩემი, არც მამაჩემი არ მომკვდარა შიმშილით. არ გაგიგონიათ, ხალხო, რაც არ გერგება, არ შეგერგებაო! მე ნახევარი ღალითაც კმაყოფილი ვარ. სხვისი ნაშუქის ჭამას ჩემს სახლში ნაცრის მუშვა მირჩვენია. წართმეული, მიტაცებული არ შემერგება, არ მინდა, ღმერთმა დამიფაროს. მუშა კაცი შიმშილით არა-

სოდეს მომკვდარა. წადეთ, ეფეფარეთ ზარბაზანს, დაიცავით აბრკვემა!

ხალხი წავიდა. წავიდა ყველა — დიდი თუ პატარა. თემშარაზე მარტო პავლე დარჩა თავისი ტყირპგავარდნილი ქაკით. წავიდნენ იმიტომ, რომ არ დაუჭერეს პავლეს, არ დაუჭერეს იმიტომ რომ ჭურვს არავინ დაუშავებია. იფიქრეს, ალბათ შესაშინებლად გაისროლეს ალაღბედზეო. წავიდნენ იმისათვის, რომ, თუ საჭირო შეიქნებოდა, მართლა ჩავარდნოდნენ ფეხებში გვარდიელებს, მიშველებოდნენ ბეგლარს, მიშველებოდნენ ყველას, ვინც ჩიჩუების მიწას ინაწილებდა, ხნავდა.

ზოგი ბორნით გავიდა გაღმა, ზოგიც ცურვით. როცა გიქირს, არც წყალს დაერიდები, არც ცეცხლს, და არც დარიდებიან მდინარეს აბლობლისათვის, მეზობლისათვის: სხვა დროს ფიქრადაც რომ არ მოუვიდოდათ თავაწყვეტილი მდინარის გადაცურვა, წელან იმისი შიში რომ ჰქონდათ, ზვიართები ნაფოტით გაიტაცებს, დაანგრევენ ბორანს, ახლა სოფელი მხარში ამოუდგა ბეგლარსა და მის კაცებს. სოფელმა თავი ერთად მოიყარა და ფეხს არ იცვლიდა იმ მიწიდან, წელან რომ შიშით შეჰყურებდა გაღმიდან ახლა მოსარჩლედ, ქომა გად გაუხდნენ ბეგლარს, წელან რომ წყველიდნენ, სისხლის რომ ეშინოდათ, სხვისი რომ არ უნდოდათ, წართმეული, მიტაცებული რომ არ სწამდათ.

მხარში ედგნენ ბეგლარსა და ივანეს, ნესტორსა და გაიოზს, ვახუშა და სხვებს. ერთ პირზე იდგნენ, ერთად იყვნენ და აღარ ეშინოდათ. მათთან იყო შალვაც არაბუნებრივად მშვიდი, თითქოს ბეგლართან შეთქმული, ბეგლარის თანამოაზრე. ერთმანეთის გვერდით იდგნენ, ერთნაირად განწყობილნი. გასცქეროდნენ იმ ადგილს, სადაც ჭურვები დაეცა, საიდანაც ქვემეხი ისროლეს, საიდანაც გვარდიელებს ელოდნენ, გვარდიელებს, რომლებიც ამოწყვეტას უქადდნენ: არც ქალს დაეტოვებთ ცოცხალს და არც კაცსო.

ქალა შავად ბზინავდა.

ხალხი დაყურადებული იდგა. სიჩუ-
მეს იმათი აჩქარებული სუნთქვა არ-
ღვევდა, ვინც მდინარე გადაცურა. მა-
ლე სუნთქვის ხმა მიწელდა, და სწო-
რედ მაშინ, ხალხმა რომ იფიქრა, ის
ჯარი, სადაც ბეგლარისა და მაკას შვი-
ლი მსახურობს, ტყვიას არ გვესვრისო,
ჭალაზე გვარდიელთა ნახევარწრედ გა-
შლილი ასეული გამოჩნდა.

არავინ განძრეულა. მხოლოდ ზოსი-
მემ დაჰკრა ხელკეტი მიწას, რატომღაც
ფრთხილად, მსუბუქად:

— ავი ვთქვი, უსისხლოდ მიწას არა-
ვინ დათმობს-მეთქი!

კოჩოია ყოჩოია მხარში ედგა ზოსი-
მეს. ჩრდილივით ყველგან და ყოველ-
თვის თან ახლდა და მაინც ზოსიმეს
არასოდეს ახსოვდა მისი სახელი.

— მართალი თქვი, ბაბუ ზოსიმე,
უსისხლოდ მიწას არავინ დათმობს, —
წასაჩურჩულა კოჩოიამ.

— ჰა! — ყურზე ხელი მოიფარა
ზოსიმემ.

სანამ კოჩოია უბასუხებდა, მაკამ და
ინდამ ხალხი გაარღვიეს, ზოსიმესა და
კოჩოიას შუა გაიარეს, ბეგლარისა და
მასწავლებლის უკან შედგნენ.

ასეული ნელა ახლოვდებოდა.

ჩვებე კვლავ ზაქრო ბროლაძის, იუ-
რი ორლოვის და რიჩარდ ბოლდუინის
მხარდამხარ მოდიოდა. ინდამ მაშინვე
შეაპჩინა ჩვებე, მაკას დაანახვა:

— აი, ბიცი, ჩვებე!

— ჩვებე, შვილო! — დაიჩურჩულა
მაკამ. — დედა შემოგველოს, შვილო! —
დაინახა ზანგი. შეკრთა, შეეშინდა, ინ-
დას მიუბრუნდა:

— ის შავი კაცია თუ ქაი?

შეშინდა ინდაც, ვერაფერი მიუგო
მაკას. თვალს არ უჭერებდა. სხვებმაც
დაინახეს ბოლდუინი, გაოცების ჩურ-
ჩულმა გადაურბინა ხალხს და ერთბა-
შად მიწყდა...

რამდენჯერ დაუხნავს, დაუთესავს,
გულმარგლავს ჩვებეს ეს მიწა, რამდენ-
ჯერ მიუტანია ჩიჩუების სასიმიინდეში

ამ ჭალაზე მოწყული სიმინდები და უნა-
ჩუები ერთხელაც არ უნახავს! ჩრჩხი-
ჩიჩუა მენშევიკური მთავრობის წევრი
იყო, მეორე — პეტერბურგის უნი-
ვერსიტეტის პროფესორი, მესამე სა-
ფრანგეთში ცხოვრობდა. ჩვებემ არ
იცოდა, ის სიმინდი ვის მისდიოდა. რაც
თავი ახსოვს, ჩიჩუები ერთხელაც არ
ჩამოსულან სოფელში. ვინ იცის იქნებ
დავიწყებულებიცი აქვთ ეს მიწა, ჩვებე-
სათვის, ბეგლარისათვის, ნესტორისათ-
ვის, ივანესათვის, სოფლისათვის ასეთი
სანუეკარი და საოცნებო.

მდინარე ხშირად იცვლიდა კალა-
პოტს, მაგრამ ჩვებესათვის მდინარეცა
და ჭალაც ყოველთვის ისეთი იყო,
როგორიც პირველად ნახა, როცა დე-
დას გაჰყვა ყანაში და სამხარი მიუტანა
მამასა და ვარდენს.

ადამიანის გონება ივიწყებს ეგზომ
ბევრს იქიდან, რაც ახლო წარსულში
მოხდა და ნახა, ინახავს თითქმის ყვე-
ლაფერს, რაც დიდი ხნის წინათ მოხდა
და ნახა.

ჩვებეს შეეძლო თვალი დაეხუჭა და
დაეინახა ეს ჭალა, ეს მდინარე, მდინა-
რეზე გადაწოლილი იფნისა და თხმე-
ლის ხეები ისეთი, როგორიც მისი ბავ-
შეობის დროს იყო, როცა ინდასთან და
თავის ტოლ სხვა გოგო-ბიჭებთან ერ-
თად ტიტლიკანა ხტებოდა მდინარეში
მალალი ნაპირიდან, ცურავდა, წყალში
ქვას ისროდა, ვინ უფრო შორს გადააგ-
დებსო, ეჯიბრებოდა იმათ, ვინ მეტ-
ხანს ჩაყვინთავს წყალქვეშ და გაჩერ-
დებო.

როცა ინდა წამოიჩიბა, პერანგს აღ-
არ იხდიდა. დადგა ისეთი დროც, როცა
ბიჭებთან ბანაობა მიატოვა, გაქცა
ბიჭების ხარბად მოპყრობილ თვალს.
სოფლიდან შორს გადიოდა, დაღმა და-
ჰყვებოდა მდინარეს, არ ერიდებოდა
ადიდებულ, ყინულივით ცივ წყალს.
ტალღები თითქოს ეძახდა, იწვევდა,
აღიზიანებდა. სოფლის ბოლოს წყლი-
დან ამოვიდოდა, რომ შეესვენა. სავსე
შეკრდი აუღ-ჩაუდიოდა, გულს ბავა-
ბუგი გაჰქონდა, სიცივით აპარხლებუ-

ლი ტანი უთრთოდა, მაგრამ რა მოასვენებდა, დარბოდა ნაპირზე. მერე, სირბილით გახურებული ისევ მდინარეში გადაეშვებოდა. მის ტალღებში მოქცეულს ეგონა, თითქოს ჭვებებს მკლავები ეხვეოდა, და ყველაფერი ავიწყდებოდა ამ ქვეყნად. მღვრიე და ცივი ტალღები თბილად ეჩვენებოდა, მათ სწრაფ დინებას მინდობილი ისევ დაღმა მიცურავდა ზღვისკენ. ზღვა ახლოს იყო, მაგრამ ზღვამდე არ მიდიოდა.

ტყეს შუაზე ჰქრიდა მდინარე, იქ გავიდოდა ნაპირზე, იქ ჰქონდა ადგილი შერჩეული. ტყე უდაბური და ქაობიანი იყო. რა ნადირი, რა ფრინველი და ქვეწარმავალი არ ბუღობდა მიწაზე, ქაობში და ხეზე. ინდა არაფრად აგდებდა მათ. ნაპირზე გავიდოდა თუ არა, კაბას გაწურავდა, ბუჩქზე გაფენდა, გაგორდებოდა მიწაზე და მზეს ეფიცებოდა. თვალს ლურჯ, კამკამი ცას მიაპყრობდა. ხან ჭორი გადაუფრენდა მაღლა, ხან ძერახობი და შურთხი დაბლა ფრინავდნენ, იხვიც და ბატიც. წერო და თოლია სულ ახლოს დაუდგებოდნენ და ცნობისმოყვარეობით აცქერდებოდნენ.

ტყეში გაუთავებელი ყივთი-პიკიკი, ქვეწარმავალთა სისინ-წირპინი, ნადირთა ღრენა-შლიგინი იღვა. ინდა იწვა აღელვებული, აღზნებული, მაგრამ არა ამ ხმებით, არა ტყის ხმაურით: შეჰყურებდა ცას, რომლიდანაც ჭვებე დასცქეროდა შავი, დიდი თვალებით, ჰყანტობით წელამდე ამოგინგლული მხარზე ნანადირევგადაკიდებული, მისკენ მიდიოდა ჭვებე და ეს, მოლოდინი ეს სიხარული აღელვებდა ინდას.

სანამ ჭვებე ციდან ჩამოვიდოდა და თავზე წაადგებოდა, თვალს არ ამორებდა ინდას, მაგრამ, როგორც კი მასთან მივიდოდა, თვალს აარიდებდა. აარიდებდა ერთი წამით, მერე ნანადირევს და აგდებდა და გვერდზე მიუწევებოდა.

ჩუმად იწვნენ განაბულები, გატრუნულები. ბოლოს ჭვებე ფრთხილად, გაუბედავად შეეხებოდა მხარზე. ინდა თვალდახუჭული იწვა, ვითომ ვერ გრძნობდა ვაჟის ხელის შეხებას. ჭვებეს

ხელი მკერდზე რომ გამაქვრდებოდა, ვიშო, რას შერები, ბოშიო, შესძახებდა სულშეგუბებული, წამოხტებოდა, კაბას დასწვდებოდა.

ეს ყველაფერი ინდას ფიქრი იყო, ინდას ოცნება იყო, მოჩვენება იყო, ინდას სურვილი იყო. გული ჩაუწყვდებოდა, რომ ჭვებე მართლა არ იწვა მის გვერდით, არ ედო ხელი მის მკერდზე.

ამ მოჩვენებითაც კმაყოფილი, ამ ფიქრითაც გახარებული, ამ ოცნებით ატაცებული, თავგზაბნეული წამოხტებოდა, გადაიკვამდა კაბას, კვლავ გაიჭიმებოდა მდინარისპირა ბილიკზე. მერე დალილ-დაქანცული აღმა აპყვებოდა ტყესა და მდინარეს კმაყოფილი, მოღიმარი, დამშვიდებული. კოცნიდა ნაირფერ ყვავილებს, გულში იყრავდა მდინარისპირა კრიალა ლაქაშებს, იშერდა პეპლებს, ისვამდა ხელისაგულზე. ფრთხილად ეხებოდა ტუჩებით ჰრელ ფრთებზე და მისი ბაგის შეხებით, მისი ტანის სურნელით დამტკბარი პეპელა განაბული იჭდა, სანამ ინდა სულს არ შეუბერავდა და არ ააფრენდა. ამას იმიტომ აკეთებდა, წარმოიდგენდა, ჭვებეს ბაგეს ეხებოდა მისი ბაგე, ჭვებეს იყრავდა გულში.

ჭვებე ტყის ზიირი სტუმარი იყო. აქ ნადირობდა შველსა და ტახზე, ხობობსა და იხვზე. ამიტომ მიჰყვებოდა ინდა მდინარეს ასე შორს, ამ ტყემდე. იქ ეგულებოდა ჭვებე. ზოგჯერ მართლაც ხვდებოდნენ ერთმანეთს, ათასში ერთხელ, მაგრამ მაინც ხვდებოდნენ. ერთმანეთის სიახლოვეთ შემკრთალნი, მართო დარჩენილები, გაუყვებოდნენ სოფლისაკენ მიმავალ გზას. როდის-როდის ჭვებე ძლივს აიდგამდა ენას:

— რამ წამოგიყვანა ასე შორს, ძღაბი, არ გეშინია?

— რისი უნდა მეშინოდეს?! ბაღანა კი არა ვარ, ბოში!

— მაინც, ძღაბი, ტყე ნადირითაა სავსე.

— ნადირის დარდი სულ არა მაქვს, ბოში.

— აბა, რისი დარდი მაქვს, ძღაბი?

— არ ვიცი, ბოში, ადამიანს სადარ-
დელს რა გამოუღვეს, ბოში.

— მაინც, ძღაბი?

— ჭაობს გაუფრთხილდი, ბოში! ადა-
მიანი კი არა, ნადირიც კი უფრთხის
ჭაობს, ბოში.

— მაგის დარდი ნუ გაქვს, ძღაბი.

— დარდი არა მაქვს, მაგრამ მაინც
გაუფრთხილდი ჭაობს, ბოში. ეშმაკს
არ სძინავს, ბოში.

— მე კი მაქვს შენი დარდი, ძღაბი.

— ვიშო, ბოში! მე რა მჭირს სადარ-
დელი, ბოში?!

— რა ვიცი, ძღაბი, ბევრი ავი ნადი-
რია ტყეში.

— ნადირს თვალი დაუდგევს, ბოში.

— ნადირი მაინც ნადირია. ძღაბი.

— ჰო, ბოში. ნადირი მაინც ნადირია,
მაგრამ მე შენი უფრო მეშინია, ბოში.
ინდა ფითრღებოდა. ჭვებებს გული
უჭერდებოდა.

— რატომ, ძღაბი?!

— არ ვიცი, ბოში, მაინც მეშინია,
ბოში.

— მეც კი მეშინია შენი, ძღაბი.

— ვიშო, ბოში! არ მომეკარო, ბოში,
თორემ კივილით ცას ჩამოვიტან, ბოში.

— რამ შეგაშინა, ძღაბი? თუ გინდა,
სულ არ მოვალ ამ ტყეში, ძღაბი.

— რატომ, ბოში? ამ ტყეში ბევრი
ნადირია, ბოში.

— ჰო, ნადირი ბევრია. ძღაბი.

— აბა მეტი რა გინდა, ბოში?

— არ ვიცი, ძღაბი.

— მაინც, ბოში, აბა მეტი რაღა გინ-
და, ბოში?

— ტყეში ერთი ლამაზი ნადირია,
ძღაბი...

— მერე, ბოში?

— იმ ნადირის ჭავრი არ მასვენებს,
ძღაბი.

— რა ნადირია ასეთი, ბოში?

— არ ვიცი, ძღაბი. მე კი მომკლა მი-
სმა ჭავრმა, ძღაბი.

— სიკვდილი ღმერთმა დაგიფაროს,
ბოში.

— მომკლავს იმ ნადირის ჭავრი, ძღა-
ბი.

— ის ნადირი შენთვის ხომ არ დარდის
ამ ტყეში, ბოში?
მარტენული
მინდორისიკა

— არ ვიცი, ძღაბი.

— ჭავრით თავს რად იკლავ, ბოში,
შეიხყარი ის ნადირი, ბოში! — შესძა-
ხებდა ინდა და ქარივით გაფრინდებო-
და.

ნანადირეგადაკიდებული ჭვებე. აბა,
რას დაეწეოდა ირემივით მაღალ ფეხე-
ბზე გაფრენილ გოგოს.

— დაბორკილი ხომ არა ხარ, ბოში!

— იცინოდა, კისკისებდა ინდა, თავს აქ-
ნეედა, გამშრალი, გრძელი თმა აქეთ-
იქით ეფინებოდა მხრებზე და ამ დროს
მისი გაბრწყინებული სახე, ანთებული
თვალები ისე ლამაზად გამოკართოდა
შავი თმიდან, რომ ჭვებე მოჯადოებული
იღვა, დაბორკილი, დატყვევებული იღ-
ვა ინდას თავაწყვეტილი, გადამღები
სიცილი ლაქაშებს ეფინებოდა, მდინა-
რეს ეფინებოდა, თავს უველიდა ხეთა
კენწეროს, აჩერებდა, აჯადოებდა ნადირ-
სა და ფრინველს. გახარებული, ბედნი-
ერი, თავბრულახვეული შედგებოდა,
დაუცდიდა ჭვებებს და ვიწრო ბილი-
კით ერთად გაუდგებოდნენ ზვას სოფ-
ლისაკენ. ტყიდან გასვლის შემდეგ ბი-
ლიკი მდინარეს უფრო ახლოს მისდევ-
და. იქ არც ფრინველთა ქივივი-ჭიჭი-
კი ისმოდა, არც ქვეწარმავალთა სისინ-
წრიბინი და არც ნადირთა ღრენა-შლი-
ვინი. მხოლოდ კუტკალიების ჭრიჭინ-
ზუზუნი და მდინარის ნელი ღუღუნი
არღვევდა სიწყნარეს.

ბილიკი ალაგ-ალაგ ისე ვიწროვდე-
ბოდა, რომ მხრებით ეხებოდნენ ერთ-
მანეთს. მიდიოდნენ განაბულგები. წინ
ხან კალია გადაუხტებოდათ ხან ხელიკი
გადაურბენდათ, ხანაც ბაყაყი გაებლან-
დებოდათ ფეხებში, მაგრამ არაფერს
გრძნობდნენ, არაფერს ხედავდნენ. ისე
მიადგებოდნენ სოფელს, ვერც კი გაიგე-
ბდნენ. იქ ან ძაღლის ყეფა გამოარკვე-
დათ, ან ხბოს ბლავილი თუ თხის კივი-
ნი. უმალ დაშორდებოდნენ ერთმანეთს,
რომ ერთად არავის ენახა, და სხვადა-
სხვა გზით შედიოდნენ სოფელში.

ჭვებემ თვალი მოაქლო ჭალას. რამ-

დენი ურბენიათ აქ. ტარობით დაჯოგრილ სიმინდის ყანაში, დასდევდნენ ერთმანეთს, ლაწალუწი გაქჷნდა მაღალ სიმინდებს, პოპორის მტვერი ეწებებოდათ ოფლიან სახეზე, მკლავებზე, სამართებელივით ბასრი გრძელი ფოთლები უშაშრავდათ სახეს, ხელებს, მკლავებს. გულამომჭდარნი რომ შედგებოდნენ და მიმოიხედავდნენ, თავზარი დაეცემოდათ: მიღეწ-მოღეწილი ყანა მიწაზე იყო გაფენილი. დათვები ვერ დააყენებდნენ ასეთ დღეს ყანას. ერთმანეთს შეხედავდნენ და უნებურად სიცილ-ფხუტუნი წასკდებოდათ, ყანიდან გარბოდნენ და ისევ სხვადასხვა გზით შედიოდნენ სოფელში.

ახლაც ქალაში იდგა ინდა. ჭვებემ შორიდან დაინახა იგი. ინდა იდგა შემკრთალი, შეშინებული და ნამტირალევი. ინდასთან ერთად თითქმის მთელი სოფელი იდგა ქალაში, სახეშეკრული, მოლოდინით მძიმედ დადუმებული.

ჭვებემ უკვე იცოდა, რომ გამოიყვანა ქალაზე ამდენი ხალხი, რატომ დაუშინა სოფელსა და ქალას ასეულმა ქვემეხი, რატომ იყურებოდა ასეთი დამბუჭილი მოლოდინით მისი ესკადრონისკენ სოფელი, რატომ იდგა ხალხის წინ ბეგლარი და მასწავლებელი, რატომ მიდიოდა საიერიშოდ ასეული ხალხისაკენ. არა, არა! ღმერთმა ნუ ქნას! შიშმა დაზაფრა ჭვებე. ღმერთმა დაიფაროს! გული მოძალებით უცემდა. ბოლდუინს, ბროლაძესა და ორლოვს სახეზე უცნაური გამომეტყველება აღბეჭდოდნენ, თვალები ძრწოლით უელავდათ. უნდოდა ეკითხა მათთვის რა ექნათ, მაგრამ ენა ვერ მოაბრუნა.

ინდა და მკა ჭვებებს თვალს არ ამორებდნენ.

— ეს რასა ხედავს ჩემი დასამიწებელი თვალები, შვილო! — ფიქრობდა მკა. — თოფ-ზარბაზნით მოდიხარ შენი დედამისი ამოსაწყვეტად, შენი ნათესავისა და მეზობლის ამოსაწყვეტად, შენი სოფლის დასარბევად! იმ მიწიდან უნდა აგვეყარო, რომელმაც გამოგზარდა. ვაიმე ჩემს თავს, უიმე ჩემს გულს. რატომ

მიწა არ გასკდება და არ ჩამიტანს! — ბეგლარი ვერ ხედავდა შვილს, არ იცოდა, რომ გვარდნეულებს მოჰყვებოდა. არც ის იცოდა, როგორ დახვედროდა გვარდიელებს, რა ექნა, რა ელოდა იცოდა, ის, რომ გვარდია სამტროდ მოდიოდა, რომ ქალიდან გარეყავდა ყველას, ვინც მიწა დაინაწილა, მიწა გაიყვანა, დახნა.

მან აიყოლია, მან აიძულა ისინი, მან ერთმა უნდა აგოს პასუხი. არ ეშინოდა ბეგლარს პასუხისგებისა. არასოდეს გაქცევია მართალ საქმეს. მართალი კაცი ხომ ქვაზე მაგარია. ქვაზე მაგარი იყო ბეგლარი გაქირვებაში, ახლაც. ამ მართალ საქმეშიც.

ესკადრონი მოახლოვდა.

ინდამ ხელი მოჰკიდა მკასს.

— ჭვებე! — დაიხურჩულა მღელვარებისაგან გახევებული ტუჩებით.

ბეგლარმა გაიგონა ინდას ხმა. დაინახა ჭვებე, მამის თვალმა მაშინვე შენიშნა რა დღეში იყო, რა ცეცხლი ეკიდა ჭვებებს. თვალს არიდებდა მამას, ხალხს. „რატომ ვაუფი გვარდიაში, რატომ ჯაჭვით არ დავაბი! მკასს ბრალია, ქალს არ უნდა დაუჭერო“.

ესკადრონი ოციოდე ადლის მოშორებით ნახევარკალად შემოერტყა ხალხს. ვახტანგ ღლონტიმა დეზი ჰკრა ცხენს, ყალუზე შეაყენა, კისერს უღრეცდა, გარდიგარდმო ახტუნებდა, კოხტაობდა, თავს აწონებდა ხალხს, აგრებილ წარბს უფრო მაგრად იგრებდა, უღვაში თავისეთ ეწვიებოდა, თვალებს მრისხანედ აკვესებდა.

ასე ტრიალებდა ერთ ადგილზე, ვიდრე ცხენს არ მოჰყირკდა, თავი არ წაართვა, არ შედგა, უკმაყოფილოდ არ დაიფრუტუნა. ცხენს მობეზრებული ჰქონდა პატრონის ახირებული ზნე, ხშირად ეურჩებოდა. ღლონტი შეჩვეული იყო მის ურჩობას, მაგრამ ახლა, ამდენი ხალხის წინაშე რომ არ აცალა გაბლიძვა, თოფისწამალივით იფეთქა

— ვინაა თქვენში ბეგლარ ბუკია? — გოროზად გადახედა ხალხს.

— მე ვარ ბეგლარ ბუკია.

— აბა, — ქვედა ტუჩის კუთხეს კბილი დააჭირა კაპიტანმა. — შენ დაუნაწილე ხალხს მიწა?

— მე დაუნაწილე.

— უყურე შენ! — კინაღამ შეხტა უზანგებზე ღლონტი. ახლა ტუჩის მეორე კუთხეს დააჭირა კბილი. — რომელ პარტიას ეკუთვნი?

— ბოლშევიკურს ვეკუთვნი.

— უყურე შენ! აბა ვინ იტაცებს სხვისას, თუ არა ბოლშევიკი! რა ვუთხარ ჩვენს მთავრობას, რომ ასე გაპარბაშებთ ბოლშევიკებს. მე რომ ჭუღელის ადგილზე ვიყო, ყველა ბოლშევიკს ტრახ! ტრახ! — მიხვდა, რომ ეს არ უნდა ეთქვა, მაგრამ არ შეიმჩნია, კიდევ უფრო აიწყვიტა: — ვის მიწას ხნავთ?

— ჩვენს მიწას ვხნავთ.

— თქვენსას თუ ჩიჩუბისას?

— ჩვენსას.

— უყურე შენ! თქვენსას, ჰა! იცი ვისი ბრძანებით მოვედით. გვარდიის შტაბის უფროსის. ნაბრძანები მაქვს ქვა ქვაზე არ დაეტოვოთ თქვენს ბოლშევიკურ სოფელში, — არც ეს უნდა ეთქვა. ახლა ტუჩის კუთხეს კბილი კი არ დააჭირა, ტუჩზე იკბინა.

— ცუდად უბრძანებია გვარდიის შტაბის უფროსს.

— რაო? — კვლავ კინაღამ შეხტა უზანგებზე კაპიტანი — მოცოცხეთ აქედან!

არაფინ განძრეულა, რადგან ბეგლარი და მასწავლებელი მშვიდად იდგნენ.

— მოცოცხეთ-მეთქი! — დაინახა, რომ ყველანი ბეგლარსა და მასწავლებელს შეჰყურებდნენ. — გაიყვანე ხალხი მიწიდან, სანამ ზურგს არ აგიჭრელებ. — დაუყვირა ბეგლარს.

— მიწა ხალხისაა.

— ხალხს მისცეს, რაც ეკუთვნოდა.

— არა, არ მიუციათ, რაც ეკუთვნოდა.

— მისცეს.

— ნაბდის გაშლა მიწა მისცეს სამოწყალოდ.

ღლონტმა იცოდა, რომ ეს ასე იყო.

— სულ თქვენ გინდოდათ, ბოლშევიკებს?

— იმას უნდოდა, ვისაც ვერ ვეხსენებოდა ჰყოფნის.

— არ ჰყოფნის! ბოლშევიკებს არაფერი არ ყოფნით: რამდენი ქვეყანა ჩაყლაპეს, მაინც ვერ ამოიფხვს ქუჭი. ახლა ჩვენ გვიპირებენ გადაყლაპვას.

ბეგლარმა არ უპასუხა. ამოიოხრა.

მასწავლებელი თავდახრილი იდგა. ღლონტს ყოველი სიტყვა გულზე კბენდა, მაგრამ თავს იკავებდა. თვითონაც ისე ფიქრობდა, როგორც ბეგლარი, რომ მიწა ხალხისაა, მაგრამ ძალადობის წინააღმდეგი იყო.

კაპიტანს მათრახი მაჯაზე ეკიდა, ხელი ნაგანზე ედო და თვალებს მუქარით აბრიალებდა. ის აგრეხილი ცალი წარბი ბრაზისაგან უფრო აეგრობა და ლამის ბოხობში შეუძვრა.

ზოსიმე ყორშიამ ხალხში ფრთხილად გაიკვლია გზა, ბეგლარსა და მასწავლებელს შუა შედგა, კაპიტანს ახელა:

— ქორთუ ხარ, შვილო?

— უყურე შენ! აბა ვინ ვიქნები! რატომ მეკითხები?!

— იმიტომ გეკითხები, რომ მასე იდგა ამ მიწაზე უტუ მიქავას ხალხის წინ რუსთხელმწიფის ოფიცერიც. სამოცდაოთხი წელი გავიდა მას აქეთ, მაშინ ბავშვი ვიყავი. მაგრამ მაინც დღევანდელ დღესავით მახსოვს...

— რა გახსოვს?

— ის რუსი ოფიცერიც ასე გვემუქრებოდა. ისიც ზარბაზნითა და ჭარით მოვიდა.

ღლონტმა უხერხულად ჩაახველა.

— ზარბაზნები შესაშინებლად გავისროლეთ.

— რუს ოფიცერს შესაშინებლადაც არ გაუსვრია...

— უყურე შენ! თქვი, რა გინდა!

— მიწა გვინდა. ამისთვის იდგა მაშინ აქ უტუს ჭარი. ამისთვის ელგევართ ახლა ჩვენც.

ღლონტი თვითონაც უმიწო გლეხის შვილი იყო. მამამისიც ამას იტყოდა ზოსიმეს ადგილზე. აბა, რას ერჩის ამ

ხალხს! სინდისი ქენჯინდა ოფიცერს. დამნაშავესავით დაპყრებდა ხალხს. მამამისიც სხვის მიწას ხნავდა. ნახევარი ღალა პატრონთან მიჰქონდა თავისი ურმით. მამამისიც მიწაზე ოცნებობდა.

— ნაბრძანები მაქვს აგყაროთ აქედან.

— ვინ ვიბრძანა, შვილო? დედოფალი ჩვენ არა გვყავს და მთავარი. მაშინ რუსთხელმწიფის გენერალს ეკატერინე დედოფალმა უბრძანა.

— თქვენმა მთავრობამ ვიბრძანა.

— თუ ჩვენი მთავრობაა, როგორღა ვიბრძანა ზარბაზანი დაუშინეთ ხალხსო!

— უყურე შენ! აცი გითხარი, ზარბაზანი შესაშინებლად გავისროლეთ-მეთქი.

— რომ არ შევეშინდით!

ხალხი გამხნევდა, ახმაურდა, მხარი აუბეს ზოსიმეს:

— არა, არ შევეშინდით!

— არ დავთოვობთ მიწას!

— ჩვენია მიწა!

— ჩვენი ოფლითაა მორწყული!

— გესმის, შვილო! — უთხრა ზოსიმემ კაპიტანს. — ჩვენი ოფლითაა მორწყული, მკვდარს თუ გაგვიტან აქედან, თორემ ცოცხალი თავით არ გავალთ!

— არ გავალთ!

— აქ დავიმარხებით და არ გავალთ! ბეგლარი გაკვირვებული შეჰყურებდა ზოსიმეს, დღედაღამ რომ უჩიჩინებდა, სისხლით მიტაცებული მიწის ნაცოფი ადამიანს არ შეერგებო.

მასწავლებელი უხერხულად გრძობდა თავს. რა დიდ-სიმართლეს ამბობდა ზოსიმე, ხალხი. ის კი მოწმესავით იდგა. რა თვალთ შეხედოს ამის შემდეგ სოფელს! რამ შეუტრა კრიქა! ხან ფითრდებოდა, ხან წითლდებოდა შალვა, სახეს არიდებდა ხალხს, გულითა და სულით კი ხალხთან იყო, ბეგლართან იყო, მაგრამ ძალადობის წინააღმდეგი იყო.

კაპიტანს მოთმინება დაეკარგა. აქამდე მდუმარე ხალხი მორჩილად რომ იდგა, ახლა თავაწეული გაბედულად შეაქებდა. ასე მოიქცეოდა მამაც, მიწისთვის, სიმართლისთვის. მაგრამ ღლონტი ჯარისკაცი იყო და, ახლა მამაც

რომ მდგარიყო მის წინ, უნდა ემოქმედნა, უნდა შეესრულებინა ზრბანება და არ დააყოვნა.

— ესკადრონო, წინ! — შესძახა მღელვარებისაგან ჩახლენილი ხმით, ბოხი უკან გადაიწია, ცივი ოფლი ჩამოიწმინდა შუბლიდან.

ესკადრონი დაიძრა. ხალხი ერთბაშად ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ეს „წინ!“ და განუძრევლად იდგა. მხოლოდ ზოსიმე ყორშიამ ასწია ხელკეტი და დაიყვია:

— შეჩერდით! რას სჩადიხართ?!

ცხენები დაიძრნენ, ზედ მიადგნენ ხალხს. ხალხი არ განძრეულა. შეჰყოფდნენ გვარდიელები.

— წინ! — კიდევ უფრო ხმამალა დასჰყვილა ღლონტმა. გონება აერია. ბეგლარ ბუქიას ადგილზე მამამისი დედგა თვალწინ, ფეხშიშველი, გამხდარი, შრომითა და ჯავრით ვატახჯული, ციებით გაყვითლებული. გაკვირვებით შეჰყურებდა, წყრომით შეჰყურებდა. ზოსიმე კი არა, თითქოს მამა ეუბნებოდა, რას სჩადიხარო. ხმას არ იღებდა, განიერებული თვალებით ეუბნებოდა, რას სჩადიხარო. და ამ თვალებმა ჰინჯირით დასუსტა, სინათლე დაუკარგა, გონება დაუბნელა, პირიდან თავისდაუნებურად სწყდებოდა სიტყვა: — წინ!

ჯვებეს ცხენი პირდაპირ მამისკენ მიდიოდა, მასწავლებლისა და ზოსიმესკენ მიდიოდა. მათ უკან მამა, ინდა და ივანე იდგნენ. უკანა ცხენები აწვებოდნენ წინა რიგის ცხენებს და ჯვებე ვერ ახერხებდა ცხენის მიბრუნებას. თვალი დახუჭა. ჩაუარა მისმა ცხენმა მამას და მასწავლებელს. ჯვებე ვერ ახერხებდა ცხენის მიბრუნებას და ის იყო მამას უნდა დასტაცებოდა, რომ დედა ლაგამში სწვდა:

— ჯვებე!

ჯვებეს არაფერი ესმოდა, არაფერი გაეგებოდა, არაფერს ხედავდა, ბრმა იყო, ყრუ იყო, მუნჯი იყო. მხოლოდ კაპიტანის ის პირველი შეძახილი ედგა ყურში: „ესკადრონო, წინ!“ უკანა ცხენები კვლავ აწვებოდნენ მის ცხენს. მამა ლაგამს ხელს არ უშვებდა, წაათრია

ცხენმა, წაბორძიკდა, მკაცრ ნახნავში და-
ეცა. ჭკებებს კვლავ არაფერი ესმოდა,
არაფერი გაეგებოდა, არაფერს ხედავ-
და, ბრმა იყო, ყრუ იყო, მუნჯი იყო.
სხვებთან ერთად წინ მიიწევდა.

მკაცრ ნახნავში ეგდო.

ჭკებზე სხვებთან ერთად მიიწევდა
წინ, მიჰყვებოდა ასეულის რკალს, ბორ-
ნისაკენ რომ ახვეინებდა ხალხს. ზოგს
ხნულში უვარდებოდა ფეხი და ეცემო-
და, მაგრამ იმის შიშით, ცხენი არ შემა-
დგესო, უმალვე დგებოდა. ზოგი კიო-
და, კენესოდა, იწყევლებოდა, იფინებო-
და. ცხენები ჭიჭურად აწევებოდნენ. ნა-
ბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა ბორნისკენ ასეული,
ნაბიჯ-ნაბიჯ იხვედა ხალხს უკან.

ნახნავში წაქცეული მკაცრ დარჩა, კი-
დედ ბეგლარი და მასწავლებელი, კიდევ
ცხენთა ფლოქვებით გადათელილი, და-
ფშვნილი შავი მიწა და სიწყნარე დარ-
ჩა. მასწავლებელი და ბეგლარი პირის-
პირ იდგნენ და მათ შორის გულწასუ-
ლი მკაცრ ეგდო. მასწავლებელი და ბეგ-
ლარი ერთმანეთს შეჰყურებდნენ, პირ-
ველი — შეწყნარებით, მეორე — ჭიუ-
ტად.

ბორანთან ესკადრონის რკალი მკიდ-
როდ შემოერთდა ხალხს, მხოლოდ ბო-
რანზე ვასასვლელი გზა დაუტოვა...

მზე მიწურულზე იყო. მჭრქალად
ბრწყვილებდა მისი სხივები ტყემლი-
სა და ალუჩის კვირბებზე. აღარ ძივი-
ვებდნენ ტოტებზე ჩიტები. ნელმა ქარ-
მა საცივე წამოიღო ზღვიდან.

შალვას გლასის სარკმელი ისევ ღია
იყო, მაგრამ აღარ იდგა მერხები, აღარ
იდგა შალვა ბავშვების წინ. მერხების
ერთი ნაწილი სარკმლიდან გადაეყარათ.
კლასში მადიდა იდგა და ზედ სუფრა
იყო გაშლილი.

სუფრის კაპიტანი ვახტანგ ღლონტი,
თემის ერობის თავმჯდომარე, დაბალი,
სქელი, სახენავყავილარი მიხა ჭირია,
ფერშალი კალისტრატე ქვარცხავა, ლეი-
ტენანტი ამირან არშა და უმცროსი
ლეიტენანტი ნიკოლოზ გარდაფხაძე უს-

ხდნენ. მოშორებით ათმეთური ტატა-
ჩია სიორდია იჭდა, მოკლე, გრძელ
ფეხები ერთმანეთზე გადაედო, გიტარას
უკრავდა და წვრილი, ღიაცური ხმით
მღეროდა.

ნარიშანა გოცაძე,

ნარი მიყვარს, ნარი მე,

ნარის სულის ჭირიმე...

იატაკზე წიგნები, რვეულები და სა-
მელნეები ეყარა. ნახევრად ჩამოფხრეწი-
ლი საქართველოს რუკა ერთ ლურსმან-
ზე ეკიდა. კლასში პაპიროსის თხელი
კვამლი იდგა და ბუნდოვნად მოჩანდა
მოჭიფეთა წამოჭარხლებული სახეები.

ოფიცრებს თემის ერობის თავმჯდო-
მარე მიხა ჭირია უმასპინძლებოდა.

კაპიტან ვახტანგ ღლონტს მკერდი
მოღედილი ჰქონდა, ჭიქით ხელში იდგა
და ღვინომოკიდებული ნელა ირწეოდა.
სიორდიას სიმღერას ჩუმი, უსიტყვო
ლიღინით აყოლებდა ხმას, თან თვალს
არ ამორებდა კედელზე გაკრულ გახუ-
ნებულ ლოზუნგს. ჭალაღზე მოზრდი-
ლი ნაბეჭდი ასოებით გამოსახული იყო
„№ 5“ და სიტყვები: „ხმა მიეციოთ მე-
ხუთე ნომერს!“ ამ ნომერსა და სიტყვე-
ბის ქვევით ეხატა მარჯვენა ხელით
გრდემლზე დაყრდნობილი მუშა, რო-
მელსაც მარცხენა ხელში მეხუთე ნომე-
რი ეჭირა. მუშის მარცხნივ გლეხი ეხა-
ტა, ერთი ფეხით ჭეჭილის კონაზე და-
ყრდნობილი, მარცხენა ხელში ნამგალი.
ეჭირა, მარჯვენაში მეხუთე ნომერი.
მუშასა და გლეხის ფერხითი მეორე,
მესამე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე
ნომრები გამოესახათ მინაწერით: „სა-
ქართველოს სოციალ-დემოკრატიის
სარევოლუციო პარტია!“ მარჯვნივ და
მარცხნივ წვრილი შრიფტით პარტიის
პროგრამის ტექსტი იყო მოყვანილი.

— ყველა ხმა მეხუთე ნომერს! —
ენის ბორძიკით კითხულობდა ღლონ-
ტი. — ყველა ხმა სოციალ-დემოკრატი-
სტებს! — სუფრისაკენ მიბრუნდა და
თემის ერობის თავმჯდომარეს მიხა ჭი-
რიას ჰკითხა: — ერთი ეს გამაგებინე,
მიხა ბატონო, რამდენი პარტიაა ამ

ჩვენს პატარა, ერთ ციციკნა საქართველოში?

— რამდენიც ჰქვანაღრძობი კაცია, იმდენი პარტიაა, — მიუგო ერობის თავმჯდომარემ და თავისი ენამახვილობით კმაყოფილმა გაიღიმა. — მხოლოდ მენშევიკებს გვაქვს ჰქუა.

— უუურე შენი ვითომ? რალაც არ გეტყობათ, მიხა ბატონო, — მივიდა ლოზუნგთან, თითი დაადო ნომერებს, დაიწყო თვლა: ორი, სამი, ოთხი, ექვსი, ხუთი... — აერია თვლა: — დაიცა, სადღა პირველი?! რადგან პასუხი ვერ მიიღო, — ხელახლა დაიწყო თვლა, ისევ აერია თვლა. გაბრაზდა: — მთელს ქვეყანას ეყოფა ამდენი პარტია. ბოლშევიკები რომელი ნომერი არიან?

— ბოლშევიკები?.. ბოლშევიკებს ტყვია შუბლში, — მიუგო თემის ერობის თავმჯდომარემ მიხა ქირიამ და ისევ გაიღიმა.

ლლონტმა ქამრიდან ნაგანი დაიძრო, დაფაზე შალვას დახატულ ფოთოლს დაუმიზნა და ესროლა. ტყვია შუაში მოხვდა ნახატს, დაფა გახვრიტა.

— ასე არა?

— ასე, ასე! — პირუტყველი სიამოვნებით ახითხითდა ათმეთაური ტატაჩია სიორდია.

— ასე შიგ შუბლში, — მოუწონა თემის ერობის თავმჯდომარემ მიხა ქირიამ.

ოფიცრები ამირან არშბა და ნიკოლოზ გარდაფხაძე არ ერეოდნენ არც სიმღერაში, არც საუბარში აღარ უნდოდათ სუფრასთან ჯდომა, მაგრამ მაინც არ ტოვებდნენ სუფრას. მაძღარნი, საკმაოდ შეზარბოშებულნი, მოწყენით ისხდნენ. არსად მიეჩაქარებოდათ, არც არა უჭირდათ, არც არა უღბინდათ. სხვა რა ექნათ, უნდა მსხდარიყვნენ, კიდევ ესეთ და ეჭამათ.

— შენ ბრძანე შიგ შუბლშიო, მიხა ბატონო? — მიუბრუნდა ლლონტი თემის ერობის თავმჯდომარეს მიხა ქირიას ნაგანი ისევ ისე მომარჯვებული ეჭირა, ლუღით თემის ერობის თავმჯდომარისაკენ მიმართული.

მიხა ქირიას წამონთებულ სახეს მკვდრის ფერი დაედო, ფეხში დაეჭყვივეთ ვერ გადაყლაბა, უნდოდა დაეჭყვირა, იქით გასწი ნაგანიო, მაგრამ ყბები არ დაემორჩილა, გაუხვედა, გაუქეადა.

— უუურე შენი შუბლში, პა? — ნაგანი მიხა ქირიას შუბლის სიმაღლეზე ეჭირა, თითი სასხლეტზე ჰქონდა გამოდებული.

ათმეთაურს ტატაჩია სიორდიას მოლოდინისაგან სული შეუგუბდა, თვალს არ აშორებდა სასხლეტს. ფერშალმა კალისტრატე ჰქარცხავამ, ნიკაპი ბულდოგის ჭიშის ძაღლისთავიან ჯოხზე რომ ჰქონდა დაყრდნობილი და გიტარის ტაქტზე მარჯვენა ფეხს მარცხენაზე რომ ჰქონდა შემოდებული და ზევი-ქვევით აქნევდა, სათვალის ზევიდან შეხედა სასხლეტს და მერე თვალი დახუჭა. თემის ერობის თავმჯდომარე მისი მეგობარი იყო და არ უნდოდა შუბლგახვერტილი ენახა.

ოფიცრები ამირან არშბა და ნიკოლოზ გარდაფხაძე ყურადღებას არ აქცევდნენ, გაშეშებული ისხდნენ და პაპიროსს ეწეოდნენ. მათ ნახევარი ცხოვრება სროლაში, ბრძოლაში, სისხლის ღვრაში გაატარეს, არაფრად მიიჩნდათ გახვერტილი შუბლი და გაგლეჯილი გული.

„ბოლშევიკებს, თუ მენშევიკებს ტყვია შუბლში? — ფიქრობდა ვახტანგ ლლონტი და ნაგანი ერობის თავმჯდომარის მიხა ქირიას შუბლის სიმაღლეზე ეჭირა. მაგრამ მიხას არ ხედავდა, ისევ მამა ედგა თვალწინ. ფეხშიშველი, გამხდარი, შრომითა და ჯავრით გატანჯული, ციებით გაყვითლებული. გაყვარებით შეპყურებდა შვილს, წყრომით შეპყურებდა. — მენშევიკებმა მიბრძანეს, მამა, მიწიდან აყარეო. რა მექნა. მამა, ჯარისკაცი ვარ, მამა!“

შალვა სკოლის ჩამოხსნილ კიშკარში შევიდა. ეზო ბანაკად იყო ქცეული. ლობეებზე ცხენები ება, სკოლის წინ ზარბანუნები, ტყვიამფრქვევები და საბარგულები იდგა. მართავდნენ კარგებს, წმენდდნენ ცხენებს. მზარეული საველე სამ-

ზარეულოში კერძს ხარშავდა, დაჩეხილი მერხის ფიცრებს უკიდებდა ცეცხლს.

რამდენიმე შეციებული გვარდიელი მამლობანას თამაშობდა, ცალფეხმოკეცილები „პოპ-პოპის“ ძახილითა და იარაღის ქლარუნით ერთმანეთისაკენ მიხტონდნენ, გვერდით ან მკერდით ეჭახებოდნენ, ან უეცრად უგანებდნენ. თავს ვერ იმაგრებდა დასაჯახებლად გამოქანებული, ზღართანს მოადენდა მიწაზე. ისმოდა სიცილ-ხარხარი, ხორხოც-ყროყონი.

მასწავლებელი თვალს არ უჯერებდა. მხრებზე წამოსხმულ პალტოს მკერდზე იფარებდა, გვერდს უშეცვდა გვარდიელებს. ზოგი გვარდიელი ინტერესით, ცნობისმოყვარეობითა და დაციწვით უყურებდა როგორ მიცუხცუხებდა მოხუცი. კიდევ უფრო იმატა სიცილ-ხორხოცმა: შალვას წინ აყლაყუდა ოსი გვარდიელი გაიშხლართა. მასწავლებელი ანგარიშმიუცემლად დასწვდა, მაგრამ ძვრა ვერ უყო. ოსი ქვევიდან გაკვირვებული შეჰყურებდა.

— ბოდისი, სენი წირიმე, შენ ვინა ვბრძანდები?! — ჰკითხა ოსმა დაციწვით.

— მასწავლებელი ვარ, — დაბნეულად წაიბუტბუტა შალვამ. უნდოდა გზა განეგრძო.

ოსი წამოხტა და წინ გადაუდგა.

— სენ ბოდისი, მასა, მასწავლებელი ვბრძანდები! აი, ამ ყარაჩას მასწავლე წყუა! — უჩვენა ბოლღინზე. — ამან წაგაქცია ჩამბულატ ბესტაევი.

ზანგი ოსზე ზღრბა ტანისა იყო. შუბლზე ცხვრის ტყავის თეთრი ქუდი ჩამოეფხატა, რაც მის სიშავეს უფრო მკვეთრად აჩენდა. კბილები თეთრად უელავდა, მსახვილ თვალებს ცეცხლივით აბრღვიალებდა და ღიმილით პირი ყურებამდე ეხეოდა.

შალვამ აქ პირველად შეხედა გვარდიელებს პირდაპირ. ზანგის გვერდით უზბეკი იდგა, უზბეკის გვერდით — სომეხი, რუსი, აზერბაიჯანელი. მასწავლებელს თითქოს ხელი ჰკრესო, სწრა-

ვად გამორდა გვარდიელებს ხუხუხუნით გასწია სკოლისკენ. გვარდიელთა შეუკავებელი ხორხოცი გაედევნა. შალვამ კიდევ უფრო შემოიჭირა ტანზე პალტო.

ნარიმანა გოცაძე,

ნარიმანა გოცაძე,

შევესწარი კოცნაზე...

ისმოდა სიმღერა მისი კლასიდან. თავი ასწია, დაინახა სარკმლიდან გადაყრილი მერხები. ჯვებე მზარეულს ხელიდან სტაცებდა მერხს, მზარეულს ცალი ხელით ცული ეჭირა, ცალით მერხს ჩასქიდებოდა.

— ხელი გაუშვი! — არ ანებებდა მერხს ჯვებე.

— შენ ქვე ვინა გკითხავს! — მერხს თავისკენ ეწეოდა მზარეული.

— ჩემი კლასისაა მერხი.

— შენი ქვე შენი ყველაყისა!

— ხელი გაუშვი-მეთქი! — მუშტო ჰკრა მკერდში ჯვებემ.

მზარეული დაბარბაცდა, საჯდომით დაასკდა მიწას და ცული გაუვარდა.

— ქვე კინალამ არ მომკლა მაგ ღდინ-ძაღლმა! — დაიღრიალა მზარეულმა, წამოვარდა და ცულს დასტაცა ხელი, ჯვებეს მოუჭნია.

• ჯვებე გვერდზე გაუხტა.

ცული მერხს ისე ღრმად ჩაერქო, რომ მზარეულმა ერთბაშად ვერ დააძრო და ის იყო კვლავ უნდა მოეჭნია, მაგრამ მასწავლებელი აღუდგა.

— რას სჩადიხარ, შვილო, მერხს სწევ?! —

— აბა, ქვე რითი მოვხარშო ფაფა?! —

ჯვებე აეფარა მზარეულს, დარცხვენილმა, თითქოს ის ჩეხდა და წვავდა მერხს, ქუდი მოიშვლია.

— მასწავლებელო... ბატონო შალვა! გაახსენდა რომ ჯარისკაცია, ქუდი დაიხურა.

შალვა ისე იყო აღშფოთებული, ვეღარაფერს ხედავდა, არც მიუქცევია. ჯვებესათვის ყურადღება. ეს რა ხდება სკოლაში! არა, არა. დაუჭერებელია, შეუძლებელია. კლასიდან სიმღერა და

ღრიანცელი ისმოდა, სარკმლიდან ღვი-
ნის ცარიელ ბოთლებს ისროდნენ. ბოთ-
ლები მერხებს ენარცებოდა და იმსხვ-
რეოდა. მასწავლებელმა უცებ შეკვეთი,
მოულოდნელი მოძრაობით მზარეულს
ცული გამოსტაცა.

დაჩეხილი და დამტვრეული მერხები
მასწავლებლისა და სოფლის ფულით
იყო ნაყიდი. სკოლაც შალვასა და სო-
ფლის ფულით იყო აშენებული. კარდა-
კარ დადიოდა შალვა, ზვეწვითა და მუ-
ღარით აგროვებდა გროშებს, კაპიკს კა-
პიკზე ადებდა, თავს იძირებდა, უქონ-
ნელს უკანაყნულ სახსარს ართმევდა,
თვითონ შიმშილობდა და სხვასაც მში-
ერს ტოვებდა, კალატოზებსა და ხურო-
ებს ეხმარებოდა თავისი სუსტი ჯანითა
და ღონით, სკოლის აშენებას შეალია
ახლაგაზრდობა, ამ მერხების შექმნას,
მასწავლებლის მოყვანას შეალია ნახე-
ვარი სიცოცხლე. სკოლაზე გადაგე-
ბულს, გაქირებულისა და დაკრძოში-
ლის შემწეს, პირადი ცხოვრება არ გა-
აჩნდა, მარტო ხალხისათვის ცხოვრობ-
და: ვერც ცოლი შეირთო, ვერც რამ
შეიძინა, არც მიწა ჰქონდა, არც სახ-
ლი, ნაქირავებ ოჯახში ბოგინობდა. სი-
ბერე ისე წამოეპარა, ერთი კარგი დღე
არ უნახავს, და მანც თავისი საქმითა
და ცხოვრებით კმაყოფილი, პედნიერი
იყო.

დამტვრეული და დაჩეხილი ეყარა
მის წინ მერხი. ვინ მოთელის, რამდენი
მოწაფე იქდა ამ მერხებზე, რამდენი
ეზიარა ცოდნას და ხალხში გავიდა. ბევ-
რი მათგანი შალვასავით იღწვოდა ქვე-
ყნისათვის, ხალხისათვის. ახლა ამ მერ-
ხებს სარკმლიდან ისროდნენ, ცეცხლში
წვავდნენ, შალვას კლასიდან მთვრალე-
ბის ღრიანცელი ისმოდა.

მასწავლებელი კიბისაყენ გაეშურა.
ხელში შერჩენილი ცული თან მიჰქონ-
და და არა გრძობდა. მისი კლასის კარ-
თან მდგარმა გვარდიელმა ცულიან უც-
ნობს გზა გადაუჭრა, მუნჯურად ანიშნა
უკან გაბრუნდიო, აზმუვლდა, ფეხები
აბრაგუნა, შაშხანა მიუშვირა, გესვ-
რიო.

შალვას მუნჯი ჯარისკაცი არ გაეგონა.
ხომ არ იგონებს მუნჯობას, ესეც ხომ არ
დამცინისო, გაიფიქრა, მაგრამ გვარდიე-
ლის მოძრაობამ, მისმა ზმუილმა და სი-
ფიცებმ მაშინვე გაუფანტა ეს ეჭვი. იდ-
გა და არ იცოდა, როგორ მიეხვედრე-
ბინა გვარდიელი, რომ ეს თავისი კლა-
სი იყო, რომ მასწავლებელი იყო.

ნარიშანა გოცაძე,
ნარიშანა გოცაძე,
თუმანს აძლევს კონაზე...

ჯეგებ ეზოდან შეუქმნევლად გამოჰ-
ყვა მასწავლებელს, მის ზურგს უკან
იდგა, მუნჯურად ანიშნებდა მუნჯს: მა-
სწავლებელია, შეუშვიო. გვარდიელმა
გაუღიმა შალვას, მერე კმაყოფილებით
აზმუვლდა, ცული ჩამოართვა, კარი ფა-
რთოდ გაუღო და, მებრძანდიო, ანიშნა.

კლასიდან სიმღერა და პაპიროსის
ბოლი გამოიჭრა.

შალვამ ზღურბლზე გადააბიჯა. იქვე
შედგა.

მუნჯმა კარი მიხურა.

მასწავლებელს მაშინვე ეცა თვალში
ტყვიით გახვრეტილი დაფა, იატაკზე
მიმოფანტული წიგნები, რვეულები, სა-
მელნეები, სუფრასთან მსხდომთა მთე-
რალი სახეები, ნაგანმომარჯვებული კა-
პიტანი და ერობის თავმჯდომარის გა-
ფითრებული, გაქვავებული სახე.

— სოციალ-ფედერალისტები ამბო-
ბენ, რომ ეს დამღუბველია ჩვენი ერი-
სათვის, — განაგრძობდა ღლონტი სო-
ციალ-ფედერალისტთა პროგრამის კით-
ხვას. — მიწა ისე ცოტაა ჩვენში, რომ
ქართველ გლეხებს არ ჰყოფნით. — კა-
პიტანს რაღაც აზრმა გაუნათა სახე და
ნაგანი, თემის ერობის თავმჯდომარის
მიზა ჭირიას შუბლისაყენ რომ ჰქონდა
მიმართული, მიაბრუნა და მეხუთე ნო-
მერს დაუმიზნა: — უყურე შენ! ისევ
მიწა! არ ჰყოფნის ქართველ ხალხს! ვის
არ ჰყოფნის, ხალხს?! ხა, ხა! — თავში
უმიხნებდა მეხუთე ნომერს: — და რა
სამართალია, რომ ეს მიწა თათარს, სო-
მებს, ლეკს, ყაზახს, რუსსა თუ სხვებს
გავუნაწილოთ?! საქართველონ მიწა-

წყალი რესპუბლიკის მკვიდრი ხალხის საკუთრებაა!.. ხალხის საკუთრება! — იმეორებდა ბოლომთ კაპიტანი და ისევ მამამისი ედგა თვალწინ. — ვინ მისცა მიწა ხალხს!.. ხალხს!.. ხალხს!.. — ბრახისაგან, სიმწარისაგან ხმა ჩაეხლიჩა. — ვინ დაუჯერებს სოციალ-ფედერალისტებს!... ისინიც ტყუიან, ოღონდ ხმები მიიღონ... ყველა ტყუის... ატყუებენ გაპირებულს, ღატაკს, უმიწოს, უსახლკაროს, ხალხს... ტყუის ყველა პარტია, ყველა ნომერი, — ენა დაება, სული შეუჯგუბდა. — თავი უნდა გაუხვრიტო ყველა ნომერს, — ნაგანი გაისროლა და მეხუთე ნომერს თავში მოარტყა.

— ვაშა, ვაშა! — შეჰყვირა ათმეთაურმა ტატაჩია სიორდიამ და გიტარაზე ტუში ჩამოჰკრა.

სახტად დარჩენილი მასწავლებელი უძრავად იდგა.

— ფედერალისტები არ ტყუიან, ბატონო ვახტანგ, — დააღწია თავი შიშს, დაუბრუნდა სახის მოძრაობა თემის ერობის თავმჯდომარეს მიხა ქირიას. — მე სოციალ-დემოკრატი ვარ, მაგრამ მიწის საკითხში სოციალ-ფედერალისტებს ვუჭერ მხარს.

— უყურე შენი.. შენ, მენშევიკი, თემის ერობის თავმჯდომარე სოციალ-ფედერალისტებს უჭერ მხარს?! — უთხრა მიხა ქირიას ლლონტმა და ნაგანი მიუღწერა, — მატყუარა მატყუარას უჭერს მხარს და ორივე ერთად გაპირებულ ხალხს ატყუებს. — კვლავ მამა დაუდგა თვალწინ. ლლონტი თვითონ არც ერთ პარტიას არ ეკუთვნოდა, ყველა პარტიას დასცინოდა მეწინევიების მიერ დაქირავებული ოფიცერი.

თემის ერობის თავმჯდომარეს კვლავ გაეყინა სახე, მკედრისფერი დაედო, ხმა წაერთვა, თვალები გაუდიდდა. ნაგანის ლულა პირდაპირ შუბლში უყურებდა.

მასწავლებელმა ჩაახველა.

ყველა მისკენ მიბრუნდა. ნაგანის ლულაც მისკენ მიბრუნდა.

თემის ერობის თავმჯდომარემ შევებით ამოისუნთქა, სახე აუმოძრავდა.

— მასწავლებელია... ამ სკოლის... შალვა კორძაბია, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად უთხრა ლლონტს.

— აა, მასწავლებელი.. მობრძანდით, ბატონო შალვა! უცხო სტუმრები შემოვიგერიტ თქვენს კლასში. აბა, ტუში, სიორდია! — უბრძანა ათმეთაურს.

ტატაჩია სიორდიამ ჩამოჰკრა გიტარის სიმებს. აპყვა ფერშალი კალისტრატე ჭვარცხავა გეტრებზე ბულდოგის ჭიშის ძაღლისთავიანი ჭოხის ტყაცუნით და მარჯვენა ფეხის ზევით-ქვევით ქნევით.

ოფიცრები ამირან არშბა და ნიკოლოზ გარდაფხაძე გულგრილად შესცქეროდნენ მასწავლებელს. მიხა ქირია უძრავად იჯდა, ვანკილი შიშით გახევებული და სიმწრის ოფლში გაღვრილი. — კმარა, სიორდია! — შესძახა ლლონტმა ტატაჩიას ბრძანების ასე ეფექტურად შესრულებით კმაყოფილმა. — ბატონო შალვა, უთუოდ ეს თქვენი პარტიის ლოზუნგია! — ანიშნა ნაგანით კედელზე. ესე იგი თქვენ მეხუთე ნომერს ეკუთვნით. მაპატიეთ, მე მას თავი გაუხვრიტე! — ნაგანი მასწავლებლის თავის სიმაღლეზე ასწია.

ფერშალმა კალისტრატე ჭვარცხავამ, ბულდოგის ჭიშის ძაღლისთავიანი ჭოხზე ნიკაპით რომ იყო დაყრდნობილი და მარჯვენა ფეხი მარცხენაზე ედო, სათვალის ზევიდან შეხედა სასხლეტს და თვალი დახუჭა.

მასწავლებელი პირდაპირ, წარბშეუხრელად შეჰყურებდა ნაგანის ლულას და ლლონტს. კაპიტანმა თვალი ვერ გაუსწორა, ნაგანი დაუშვა, ქამარში ჩაირჭო.

— თქვენ გეკითხებით, ბატონო შალვა, — გამოცვლილი ხმით მიმართა ლლონტმა მასწავლებელს, — მეხუთე ნომერს ეკუთვნით?

— მეხუთეს, — მიუგო შალვამ საქციელწამხდარ ოფიცერს.

— უყურე შენი! ესე იგი ფედერალისტი ბრძანდებით!

— ფედერალისტი.

— ესე იგი თქვენც მიწისათვის იღ-

წვით! თუ არ ვცდები, ჩიჩუების მიწაზე გზედავდით ამ დღით.

— არ სცდებით.

— მაშ, ბოლშევიკი ყოფილხართ და არა ფედერალისტი.

— ფედერალისტი ვახლავართ.

— აბა, რატომ იდევით იქ, სხვის მიწაზე. ბოლშევიკებთან ერთად?

— თქვენ რატომ დგახართ აქ, სკოლაში? — მკაცრად ჰკითხა შალვამ.

— უფურე შენ! არა ბუნებრივად გაიღიმა ღლონტმა, მაგრამ მალე მოიკრიბა აზრი: — იმიტომ რომ პურ-მარხით დაგხედროდით, — უთხრა შეუკავებელი დაცინვით. ღვინო თანდათან ეკიდებოდა. — სიორდია, ყანწი ბატონ მასწავლებელს! — თითქოს ახლავდა გაიგო, რომ შალვა მასწავლებელი იყო, — ოო, თქვენ მასწავლებელი ბრძანდებით! ვერ გისწავლებიათ ხალხისათვის ჰკუა. ხომ ასეა, ბატონო მიხა?

— როგორ? პო... არა... — დაიბნა თემის ერობის თავმჯდომარე, არ იცოდა რა ეპასუხა. მის სამკუთხედ, სავსე სახეზე ფერი ფერს ცვლიდა.

— თქვენ გეკითხებით, ხომ ასეა?

— არა, არა! — აჩქარებით წამოიძახა მიხა ქირიამ.

სიორდიამ ძალით შეაჩეჩა პირამდე სავსე უზარმაზარი ყანწი შალვას.

მასწავლებელი იდგა დამცირებული, შეურაცხყოფილი, ძლივს იკავებდა. ნერვიულ თრთოლვას, მაგრამ დიდი დაძაბულობითა და თავშეკავებით გარეგნულად არ ამეღავენებდა, მშვიდი და თითქოს ამყაიცი ჩანდა. ეს აღიზიანებდა ღლონტს. მისი გონება გამალებით მუშაობდა, რათა რაიმე. ისეთი მოეფიქრებინა, ეთქვა, გაეკეთებინა, რომ გაეტეხა მასწავლებელი, დაერღვია მისი მოჩვენებითი სიმშვიდე. ჩაცხებით უყურებდა, გამომწვევად, მტრულად უყურებდა.

— ესე იგი თქვენ სხვა გაძარცვით, სხვისი მიწები მიიტაცეთ, ამას ასწავლით ხალხს!

— შე... — კვლავ მკაცრად დაიწყო შალვამ.

— დიახ, თქვენ, — არ აცალა ღლონტმა. — სავსეა ყანწი, სიორდია?

ათმეთაურმა თვალი ჩაუკრა თავი დაუქნია.

— მიწა ხალხს, — ასეთი სიკეთისთვის, დიახ, ყანწი ფედერალისტს! — კაპიტანს სიცილი წსკდა: — მიწა ხალხს, მხოლოდ ქართველ ხალხს! მიწა მკვიდრი ხალხის საკუთრებაა. ხა, ხა!.. რა გულუბრყვილო ბრძანდებით, ბატონო მას...წავ...ლებელო! მამაჩემს შიმშილით კუჭი უხმებდა. მიწის საყიდელი ფულის შოვნაში დაბერდა. თქვენ კი ამბობთ, მიწა ხალხსო! ეინ შიამქავა ხალხს!

ღლონტი თავის ცოლ-შვილს ძლივს ინახავდა. მამას ვერ ეხმარებოდა. ყოველ მისვლაზე მამა საყვედურით სავსე, სევდიან თვალებს შიამყრობდა ჯიბეცარიელ შვილს.

სიორდიამ გიტარა აიღო, დაჭდა და ამღერდა:

ნარი მიყვარს, ნარი მე,

ნარი სულის ჭირიმე...

აჰყვა მიხა ქირია და ფერშალი კალისტრატე ქვარცხავა. ოფიცრები ამირან არშბა და ნიკოლოზ გარდაფხაძე კი ისევ გულგრილად ისხდნენ იძულებული მოწვევებით.

ღლონტი ბოროტი არ იყო, არც გულკეთილი ეთმოქმდა. ხშირად ანგარიშს ვერ უწევდა თავის საქციელს, განსაკუთრებით სიმთვრალის დროს. ახლაც ასე იყო. თვითონაც არ იცოდა, რას სჩადიოდა, რას ამბობდა, ღვინო თავში ურტყამდა.

მასწავლებელს სიმწრისაგან ხელი უცახცახებდა. ყანწიდან ღვინო პალტოზე ეღვრებოდა. ეს პალტო ათი წელიწადი ეცვა. ის იფარავდა ზამთარ-ზაფხულ მის მცივანა ტანს, ის იმისთვის მხოლოდ პალტო კი არა, მფარველიც იყო, მეგობარიც, მრავალი სიმწრისა და სულ ცოტა სიხარულის მოწვე. უპალტო მასწავლებელი არავის ენახა, ვერც წარმოედგინათ.

შალვა თვალს არიდებდა ღლონტის დამცინავ ღიმილს, ყანწი თანდათან უძძიმდებოდა, არ იცოდა, რა ექნა. სახეში ესროლა ყანწი ღლონტისათვის? მაშინ ის შურს იძიებდა არა მარტო მასწავლებელზე, სოფელზედაც. შეეძლო ყანწის დაცლა. არა, არ დალევის. ამით მაინც გააწბილებს ამ თავხედ კაპიტანს.

ღლონტი კმაყოფილი იყო, მოთმინებით უცდიდა და, უფრო ღვარძლიანად რომ დაეცინა, სხვა სიმღერა წამოიწყო, სიორდიას კი ხელი აუქნია, გაჩუმდით. სიორდიამ მაშინვე მიატოვა დაკვრაც და სიმღერაც.

დალიე და დადგი თასი, პო,

დალიე, დალიე...

აპყენენ სიმღერას თემის ერობის თავმჯდომარე მიხა ქირია, ფერშალი კალისტრატე ქვარცხავა და ათმეთაური ტატაჩია სიორდია. ოფიცრები ამირან არშა და ნიკოლოზ გარდაფხაძე გულგრილად ისხდნენ.

დალიე და შეგერგება, პო,

დალიე, დალიე...

ზანზარებდა კლასის კედლები.

ღლონტი მღეროდა და თვალს არ აშორებდა მასწავლებელს, მუქარით უყურებდა, რათა აეძულებინა დაეცალა ყანწი, მაგრამ გრძნობდა, სიმღერით რომ გამსჯდარიყო, მუქარით რომ თვლები გადმოეყარკლა, შალვა მაინც არ დასცილდა ყანწს.

მასწავლებელი ღლონტისაკენ გაემართა მტკიცე, გაბედული ნაბიჯით და მრისხანედ სახეშეკრული.

შეწყვიტა სიმღერა კაპიტანმა, შეწყვიტეს სხვებმაც. თავი ასწიეს ოფიცრებმა ამირან არშამ და ნიკოლოზ გარდაფხაძემ, მიაჩერდნენ შალვას.

მასწავლებელი ახლოს მივიდა ღლონტთან, ხელი აღარ უცახცახებდა, არც ღვინო ეღვრებოდა პალტოზე.

კლასში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ეზოდან შემოდინოდა ცხენების ჰიხინი და გვარდიელების ხორხოცი.

ღლონტი უცებ გამოფხიზლდა. შეც-

ბუნებული იდგა მასწავლებლის წინ, როგორც მოწაფე, რომელმაც დაამწევა.

— ჩამომართვით! — უბრძანა შალვამ და ყანწი გაუწოდა.

ღლონტმა მაშინვე ჩამოართვა.

შალვა შებრუნდა, სწრაფად გავიდა კლასიდან.

ტაში შემოკრეს ამირან არშამ და ნიკოლოზ გარდაფხაძემ.

— ვაშა, ვაშა! — წამოიძახეს და ფხუკუნი წასკდათ. — ტუში — სიორდია — შესძახეს ათმეთაურს ღლონტის კილოზე.

კრიჭაშეკრული, დამარცხებული იდგა კაპიტანი, შუბლზე ხელს ისვამდა, ტუჩებზე — ენას.

ფერშალი კალისტრატე ქვარცხავა ფარული დაცინვით შეკუყრებდა და, სიამოვნებით დამტკბარი, ფეხს ზევით-ქვევით იქნევდა.

ვიწრო, ვაგონივით გრძელ ოთახში ერთ კედელთან გრძელი ტახტი იყო მიდგმული და ზედ ლოგინი ეგო: მოკლე ლეიბი, მოკლე საბანი, კრელი, გაქუცული პირით, მაგრამ ქათქათა შალითით. ასევე ქათქათა ზეწარი ეფინა ლეიბს. ბალიშში ისე ცოტა ბუმბული იდო, რომ მუთქაზე ჩეარავით იყო გადაკიდებული.

მეორე კედელთან, სარკმლის ახლოს, საწერი მაგიდა იდგა, გვერდით სამი ვენური სკამი იყო ჩამწკრივებული, კართან წიგნებითა და ქურნალებით გამოტენილი, უშნოდ გამოჩორკნილი კარდა მოჩანდა. მაგიდაზე ელაგა ვაზეთები: „ერთობა“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „კლდე“, „სახალხო ფურცელი“. იქვე იდგა საქართველოს მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარის ნოე ყორღანის ხის ჩარჩოში ჩასმული სურათი.

სარკმელიც ვაგონივით ვიწრო და დაბალი ჰქონდა ოთახს. ორი ჩამტკრული შუშა ქაღალდით იყო გაწებილი, სხვა შუშებიც გაბზარული გამოტენილი იყო და ქარი და სიცივე თავისუფლად შედიოდა ოთახში.

თუნუქის ლამის გამურულ შუშასაც ქალაღის შუქფარი ეკეთა. ქალაღი იმდენად გამომწვარი იყო, რომ მისი ანარეკლი შუქი მასწავლებლის ისედაც გამხდარ სახეს კიდევ უფრო გამხდარსა და ფერმკრთალს აჩენდა, უსიცოცხლო იერს აძლევდა. იქნებ ის მღელვარების, შეშფოთებისა და შეურაცხყოფის სიფითრეც გამოჰყვა კლასიდან.

არასოდეს მჯდარა თავის მაგიდასთან ასე შეწუხებული, დამცირებული და აგზნებული, მოხრილი, უბალტო, მთელი ტანით მითრთოლვარე, რამდენი რვეული გაუსწორებია მის ხელს ამ მაგიდაზე, რამდენი ნიშანი დაუსვაძს, რამდენი წერილი დაუწერია გაზეთებისათვის, და არ ახსოვდა, რომ ხელი არ დამორჩილებოდეს, თავისი ნაწერისთვის ხაზი გადაესვას, წაეშალოს, დაექმუქუნოს, გადაეგდოს.

ახლა ეურჩებოდა ხელი, თითქოს იგი მისი აღარ იყო, თითქოს გონება დაეხშო, ვერ იკრებდა აზრს. ხაზგადასმული, წამლილი, დაქმუქნული ქალაღდები მაგიდაზე ეყარა, იტაკაზე ეყარა. მელნით გასვრილი, გამხდარი თითებით წერდა და შლიდა, კმუქნიდა და ძირს ყრიდა, ისევ წერდა და შლიდა, არც ხელი ემორჩილებოდა და არც გონება, ვერ ფლობდა თავის თავს. უმწეობითა და უღონობით გამწარებულს, უნდოდა წამომდგარიყო და გასცლოდა სულშემხუთავ ოთახს, მის კედლებს, მაგიდას, მაგრამ არც ამის ძალა შესწევდა. თვალზე ცრემლი მოსდგომოდა, რომ არ ატირებულებიყო, კბილს კბილზე აკერდა, ისე მაგრად, რომ ტკივილისაგან ყბები უცივდებოდა, ბავბრუ ესხმოდა. მაინც წერდა.

„საქართველოს დემოკრატიული მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას! სპარტახტინო ამბავი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხდება...“

ისევ წაშალა. ისეთი გაშმაგებით გადაუსვა ხაზი, რომ კალამმა კენსით დაიწროპინა, ქალაღი გაფხრიწა, დაქმუქნა და ძირს დაავდო. სხვა ქალაღი აიღო.

„დღეს საქართველოში თავისუფალი ხალხი თვითონ გახდა თავისი თავის და ქვეყნის ბატონ-პატრონი...“

— ქვეყნის ბატონ-პატრონი! — გამეორა ხმაშლიდა. ხმაში მწარე კილო რომ გაიგონა, აიტაცა ქალაღი, დაქმუქნა, მოიქნია და კუთხეში მიაგდო.

მთვარემ ძლივს დააღწია ღრუბლებს თავი. გაანათა მიძინებული სოფელი.

გაუთავებლად ცრიდა. ქარი აღარ შედიოდა დაწებებული შუშებიდან. შორს, სკოლის ეზოდან, გვარდიელების სიმღერა ისმოდა.

სამშობლოვ, სამშობლოვ, ჩემო ლამაზო...

შალვა ერთხანს დაფიქრებული უსმენდა, ნიკაპს ნერვიულად იძიებდა. ეს არასოდეს არ გაუეცებებია და როცა შენიშნა, რომ ამას მამინალურად აცეთებდა, უცებ დაუშვა ხელი, ისევ მიუბრუნდა მაგიდას. მაგიდაზე დაქმუქნული ქალაღდები ეყარა, იტაკაზედაც დაქმუქნილი ქალაღდები ეყარა. შალვას წინ თავით ფეხამდე სველი გვანჯი ბუკია იდგა, ძიქვა-ხალათი ტანზე ეკრა, სიცივისაგან გათოშლილი, ციებისაგან შექმული მისი ტანი ძლივს იკავებდა კანკალს, კბილს კბილზე აცემინებდა.

ზურმუხტო, ზურმუხტო, ანუ ალმასო...

შალვა ვერ ხედავდა გვანჯის. მისი მზერა, მისი ფიქრი სხვაგან იყო. ბავშვი გაკვირვებული და შეშინებული შეჰყურებდა მასწავლებელს.

ვიღრე შენს... შენს ზურგზე...
დავდივართ,

გთხოვ, მწარე რამე არ მასო...

შალვამ ამოიოხრა, დაინახა მის წინ ატუხული გვანჯი. გაღიმება უნდოდა და ვერ მოახერხა. გვანჯიმ შენიშნა ეს, თვალი აარიდა, თავი ჩაღუნა.

— ორჯერ ვიყავი ჯვებესთან.

— მერე? — ჰკითხა მასწავლებელმა, მაგრამ ყურს არ უგდებდა.

— არ წამომყვა.

— რატომ? — გამოერკვა ფიქრიდან.

— როგორ დავენახვო, რა თვალით

შეხედო დედასო, — თავჩაღუნული იდგა, კბილს კბილზე აცემინებდა, — რა ვუთხრა ბაბასო.

სიმღერა მიწყდა. შალვამ გაიგონა გვანჯის კბილები რაკარუცი. დააცქერდა გვანჯის, დაინახა, რომ ბავშვი სიცივისაგან ვალურჯებულებო. სწრაფად გაიხადა ხალათი, ადგა, კედელიდან პირსახოცი ჩამოხსნა, ლოგინზე დააწვინა გვანჯი და ტანის ზელა დაუწყო.

— ბაბას ჯვებებს სახელის გაგონებაც არ უნდა, — ატირდა გვანჯი. — არც დედას უშვებებს ჯვებებსთან.

შალვა გამალებით უხელდა ტანს. გვანჯის ტანი გაუწითლდა, ვახურდა, აღარ კანკალებდა, აღარ აცემინებდა კბილს კბილზე. შალვა დაიღალა, დაჯდა, იმ პირსახოცით ოფლი მოიწმინდა ნებულზე.

— ჩაიცვი, — უთხრა გვანჯის.

— ჯვებზე თავის ჰკუთაზე არა რის. ისე წუხს...

— კარგია, რომ წუხს, — უთხრა მოულოდნელად შალვამ.

— რატომ, მასწავლებელო?!

— აღამიანი რომ შეცდება ან დაუფიქრებლად ჩაიდენს რამეს და ამის გამო წუხს, კარგია.

— დედა კინაღამ გადავთელე ტყენითო.

— ჰო კინაღამ.

— რა უნდა ქნას ჯვებზე მასწავლებელო? — ხალათის ღილებს იხნევდა გვანჯი, იმედით შუკუტურებდა შალვას.

— რა უნდა ქნას? — გაიმეორა მასწავლებელმა. — უნდა დაფიქრდეს... აღამიანი სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებს, უნდა დაფიქრდეს... კარგად უნდა დაფიქრდეს.

გვანჯის არ ესმოდა, რას ნიშნავდა „კარგად უნდა დაფიქრდეს“, მაგრამ თავს მაინც უქნევდა.

— დიახ, მასწავლებელო.

— უნდა დაფიქრდეს, — შალვამ ლოგინიდან პალტო აიღო და წამოიხსა. — კიდევ გცივა, გვანჯი?

— არა, სულ აღარ მცივა, მასწავლებელო.

შალვას პალტოს გვერდები ატრიალებული იყო და მკერდზე დაეკრებოდა დააქცერდა დაქმუქუნულ ქალაღდებს მაგიდასა და იატაკზე.

— აი, რამდენი ნაწერი წავშალე და გადავყარე. არასოდეს არ უნდა გადაწვეიტო დაუფიქრებლად არაფერი... ჯვებზე არ დაფიქრდა. არ დაუჯერა ბეგლარს. უნდოდა ორი გროში ეშოვნა. ახლა წუხს, მამ! ჰო, კარგია, რომ წუხს.

გვანჯი დაქმუქუნულ ქალაღდებს დაცქეროდა. ვერ მიხვდარო, რატომ წავშალა და დაქმუქუნა მასწავლებელმა ამდენი ქალაღდი. შალვამ თვალი შეასწრო.

— აი, რამდენი ნაწერი წავშალე და დაქმუქუნე, გვანჯი, — უთხრა მასწავლებელმა გვანჯის.

— რატომ, მასწავლებელო?!

— ვერ დავწერე, გვანჯი, ვერ გადავწყვიტე.

— რა მასწავლებელო?

— რა მიმეწერა, — შალვა კვლავ ფიქრობდა რა დაეწერა, როგორ დაეწერა.

— ვისთვის, მასწავლებელო?

— ნოე ყორღანისთვის.

— ვინაა, მასწავლებელო, ნოე ყორღანია?

— საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

ორივე გაიუმდა. ორივე ფიქრობდა. გვანჯი თვალს არ აშორებდა დაქმუქუნულ ქალაღდებს. მერე დუმილი დაარღვია:

— რას სწერდით, მასწავლებელო?

— რაო? ჰო... ვწერდი რა ჩაიღინა გვარდიამ, რას სჩადის გვარდია...

— ყორღანიათ არ იცის რას სჩადის გვარდია, მასწავლებელო?

— შალვა შეეყოყმანდა, არ იცოდა რა ეპასუხა.

— ალბათ არ იცის.

— ხომ უნდა იცოდეს, მასწავლებელო!

შალვამ გაოცებით შეხედა გვანჯის.

— ჰო, უნდა იცოდეს, — თქვა მასწავლებელმა და გულში დაუმატა: —

მთავრობის თავმჯდომარემ უნდა იცოდეს, რას სჩადის მისი სახალხო გვარდია.

— უნდა დაფიქრდეს, მასწავლებელი, — გვანჯი თვალს არ აშორებდა დაკმუტუნულ ქალღლებს. — ისე, როგორც თქვენ.

— რაო?! — კიდევ უფრო გაოცდა შალვა.. — ჰო, უნდა დაფიქრდეს... კარგად უნდა დაფიქრდეს, მთავრობის თავმჯდომარე, გვანჯი...

ისევ ცრიადა. მთვარე ისევ დანათოდა სოფელს. მთლად გაწუწულ ჯვებებს ხალათის საყელო ვალედილი ჰქონდა, აბჯარი არ ესხა, ქუდი არ ეხურა, თავიდან დაცურებული წვიმის წყალი გაღედილ საყელოში ჩასდიოდა. გაოგნებული მიჰყვებოდა შუკას, ყრუდ ჰყაპუნებდა მისი შიშვე ნაბიჯი წყალსა და ტალახში. არ გრძნობდა წყლის სიგრძილეს, არ ესმოდა ნაბიჯის ჰყაპუნს.

ჩაუარა თავის ეზოს. აღარ იცოდა, მერამდენეჯერ ჩაუარა თავის ეზოს, ღობეს, ოდას, სარკმელს. ისევ ენთო მაკას ოთახში სანთელი, ისევ არ ეძინა დედას. როცა მაკას არ ეძინა, არც ბეგლარს ეძინა. ასე ახსოვს ბავშვობიდან. როცა დედას არ ეძინა, არც მამას ეძინა. არ სძინავთ ახლაც. არ იციან, რომ მთლად გაწუწული ჯვებე ღობის გადაღმა სარკმლის პირდაპირ, დგას თებერვლის ამ წვიმიან და ცივ ღამეში და გაღედილ საყელოში ჩასდის წვიმის წყალი. არ იციან, რა ცეცხლი ტრიალებს ჯვებებს გულში. არ იციან, რომ თვალმოუშორებლად შესცქერის ღამებით მკრთალად განათებულ სარკმელს.

ისევ გაიარა სარკმელთან დედის შეშფოთებულმა ჩრდილმა. რა დააძინებს დედას! რა მოასვენებს დედას! ამოდრავდა ჯვებებს გაბევებული ტუჩები: კინალამ დაიძახა „დედა!“ შეეშინდა, პირზე ხელი დაიფარა.

ისევ გაჰყვა შუკას. ისევ აჰყაპუნდა წყალსა და ტალახში მისი ნაბიჯი. ჯერით შეკმული მიჰყვებოდა შუკას. ყვე-

ლაფერი, რაც სოფელში, თემშია, ნახა, ქალაში ნახა, სიზმარი ეგონა, არც სოდეს არ შეცვლილა ერთ დღეში ასეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით მისი ცხოვრება. გულში, ამ დილით, ყველაფერი ისეთი მომზიბლავი იყო, წარბიაცი იყო, სიხარულისა და ბედნიერების მოლოდინით სავსე: ინდასთან შეხვედრის მოლოდინი, მშობლებთან შეხვედრის მოლოდინი, გვანჯისა და შალვა მასწავლებელთან შეხვედრის მოლოდინი, ამხანაგებთან, მეზობლებთან, ნათესაებებთან, სოფელთან შეხვედრის მოლოდინი და... სოფელში შესვლის უმალ, ინდასთან შეხვედრის უმალ, ქვემეხის გასროლის უმალ, ქალაზე შესვლის უმალ ყველა ეს გრძნობა, სიმწრის, კმუტვის, სინანულისა და უმწეობის გრძნობამ შეცვალა. ბედნიერება-სიხარულსა და ჯვებებს შორის შავი ფარდა დაეშვა.

ისევ ცრიადა. სახეზე დაცურებული წვიმის წყალი გაღედილ საყელოში ჩასდიოდა. სახე გათოშილი ჰქონდა, მაგრამ არ სციოდა. წვიმას უშვეერდა.

არ გაუგია როგორ მიადგა ივანე ესებუას ეზოს. ისევ ჩანდა შუქი ინდას სარკმელში, ისევ ჩანდა ინდას ჩრდილი სარკმელში. გონებას არ მიუყვანია ჯვებე იქ. ამიტომ არც გაუგია, როგორ მიადგა ივანე ესებუას ეზოს.

გულმა მიიყვანა იქ. გონებას არ მიუყვანია. გულმა მიიყვანა. ისევ ჩანდა ინდას ჩრდილი სარკმელში. გონება მოითმენს, გული არ მოითმენს! არ გაუგია როგორ გადააღაჯა ღობეს. სარკმელთან მივიდა, ისევ ჩანდა ინდას ჩრდილი სარკმელში.

— ინდა! — დაიწურჩულა გულმა. ჩრდილი შეირხა.
— ინდა! — გაიმეორა გულმა. ჩრდილმა ხელი ასწია და სარკმელს შეეხო.

— ინდა!.. ინდა!..
ინდამ სარკმელი გააღო. იდგა მთვარით განათებული სარკმლის ჩარჩოში, ხელებით რაფაზე დაყრდნობილი, შიშითა და სიხარულით დასცქეროდა ჯვებებს.

ხედავდა, როგორ ცრიდა ჯვებეს სახე-ზე, როგორ ჩასდიოდა გაღელილ საყელოში წვიმის წყალი, ხედავდა მის გათოშილ, ნაღვლიან სახეს.

— ჯვებე!

ჯვებემ ხელები აღაბყრო. ისე აღაბყრო ხელები, თითქოს ევეღრებოთ ინდას.

— ჯვებე! — ინდამ კაბის კალთა აიკეცა და რაფაზე გადააბიჯა.

— ინდა!

ქალის თბილი ტანი მკლავებში ჩაუსრიალდა ჯვებეს. დიდხანს ეკირა ახტებულო, ეშინოდა ძირს დაესვა, ეგონა, წაუეიდოდა, გაექცეოდა, ეგონა ყველა განუდგა, არავინ გაიკარებდა, მაგრამ ქალი მთელი სხეულით იყო მინდობილი მის მკლავებს, განაბული, გაუჩნებულო.

ცრიდა. წვიმის წყალი აღარ ჩასდიოდა ჯვებეს გაღელილ საყელოში. წვიმა ინდას მხრებს ასველებდა, წვიმა ინდას თმას ასველებდა, ინდას ზურგს ასველებდა. ინდა სახით ეკვროდა ჯვებეს კისერს, მკერდით ეკვროდა ჯვებეს მკერდს, წვიმისაგან იფარავდა.

ჯვებე მუხლზე დეცა ხელები წვივებზე შემოხვია, ხელები მუხლებზე შემოხვია, ბარძაყებზე შემოხვია. ინდა იღვა დაბნეული, უნდოდა წამოეყენებია.

— ინდა, ძღაბი!.. ინდა, ძღაბი! — ჩურჩულებდა უკან თავგადაწეული და ახლა წვიმის წყალი ისევ ჩასდიოდა გაღელილ საყელოში, თვალში, პირში.

ინდას ხელი, მის თავზე ედო, ჩასცქეროდა სახეში, თითები მის სველ თმაში დაცურავდა.

— აღექი, ჯვებე!

— ინდა, ძღაბი!

— აღექი, ჯვებე!

— ინდა, ძღაბი!

— შინ თუ იყავი, ჯვებე?

— შინ არ მიმესვლება, ძღაბი.

— რატომ, ჯვებე?!

— დედას რა თვალით შევხედო, ძღაბი?!

— რატომ, ჯვებე?

— შინ რა პირით მივიდე, ძღაბი?!

— წადი შინ, ჯვებე. ცოდვაა დედას ჯვებე.

— დედას როგორ დავენახვო, ძღაბი!

— აღექი, ჯვებე! — წამოაყენა ინდამ ჯვებე. — შენი რა ბრალია, ჯვებე?!

— აბა, ვისი ბრალია, ძღაბი?!

— მიწა გაუსკდეს იმ ოფიცერს, ჯვებე!

— რა ქაჯი შემიჩნდა, რამ წამოიყენა გვარდიასი, ძღაბი!

— გაქირვებამ წაგიყენა, ჯვებე.

— ვის არ უჭირს ჩვენს დროში, ძღაბი.

— ვინ არ შემცდარა ჩვენს დროში, ჯვებე.

— დედაჩემი გადავდენე ჩიჩუების მიწიდან, ძღაბი.

— ჯვებე, ჯვებე!

— დედა კინაღამ გადაეთელე ცხენით, ძღაბი!

— დამშვიდდი ჯვებე.

— მამაჩემი გადავდენე ჩიჩუების მიწიდან, ძღაბი.

— დამშვიდდი, ჯვებე!

— შენ გადავდენე ჩიჩუების მიწიდან, ძღაბი.

— მერე რა მოხდა, ჯვებე!

— მამაშენი გადავდენე ჩიჩუების მიწიდან, ძღაბი.

— ბაბას სულ არ უნდოდა ის წყეული მიწა ჯვებე. არც მე მინდოდა, ჯვებე.

— შალვა მასწავლებელი გადავდენე ჩიჩუების მიწიდან, ძღაბი.

— არც შალვა მასწავლებელს უნდოდა ის დასაქცევი მიწა, ჯვებე. შალვა ყველაფერს გაპატიებს, ჯვებე.

— დედა, ძღაბი?

— დედაც გაპატიებს, ჯვებე.

— ბაბა, ძღაბი?

— ჯვებე, ჯვებე!

— ბაბა არ გაპატიებს, ძღაბი.

— ბაბა არ გაპატიებს, ჯვებე.

— გვანჯი მეცოდება, ძღაბი.

— გვანჯის მთელი ზამთარი აციებდა, ჯვებე.

— მთლად მოუწენლებია ციებას, გვანჯი.

— შალვამ შეურჩინა სული, გვანჯის, ჭვებე.

— გვანჯი მეცოდება, ძღაბი. ორჯერ მოვიდა ჩემთან, შინ წამოდიო, ძღაბი.

— უნდა წაყოლოდი, ჭვებე.

— შინ არ მიმესვლება, ძღაბი.

— თავი მოსწონდა, გვანჯის, ჭვებე სახალხო გვარდიელიაო.

— სახალხო გვარდიელი.

— დამშვიდდი, ჭვებე.

— შენ მაინც მამატიე, ძღაბი!

— შენი ჭირიმე, ჭვებე!

— ძღაბი!

— შენ შემოგველე, ჭვებე!

— ძღაბი!

— მთლად გაწუწულხარ, გაცივდები, ჭვებე!

— ძღაბი!

— მთლად გათოშილხარ, ჭვებე!

— ძღაბი!

— სახლში ავიდეთ, ჭვებე!

— ივანე არ შემიშვებს სახლში, ძღაბი.

— ბაბას არ უნდოდა ის წყეული მიწა, ჭვებე.

— მაინც არ შემიშვებს ივანე სახლში, ძღაბი.

— სარკმლიდან გადავიდეთ, ჭვებე.

— ძღაბი!

— სარკმლიდან გადავიდეთ, ჭვებე!

— ძღაბი!

— დამშვიდდი, ჭვებე!

ჭვებემ მხარი შეუშვია. ინდა მხარზე შეადგა და რაფაზე გადავიდა, მერე ჭვებეს მიუბრუნდა, გადაიხარა და ხელი გაუწოდა.

— ჭვებე!

მთვარე ჩავიდა. აღარ ცრიდა. მაკას ოთახში კი სანთელი ისევ ენთო. არ ეძინა მაკას. ტაბტზე იჯდა. მეორე ტაბტზე გვანჯი იწვა, ნერვიულად ეძინა. გვანჯის არ უყურებდა მაკა. წინ ვარდენისა და ჭვებეს სურათი ედო და თვალს არ ამორებდა.

ძმები მხარში ედგნენ ერთმანეთს. ვარდენი ახალი წვერულვაშადიკრებულ იყო, ტანადი, ლამაზი, ჭვებე — ცხრაათი წლისა, გამხდარი, სუსტი. ვარდენს მარჯვენა ხელი ჭვებეს მხარზე ედო. მარცხენა — თავის წელზე.

ფოტოგრაფს ორივესათვის თვალების ნაცვლად წვრილი, მრგვალი შუშები ჩაესვა. ორივე იღიმებოდა. მარტო სახე უღიმოდათ, თვალები — არა. რადგან შუშას ღიმილი არ შეუძლია. იღიმებოდნენ უხერხულად, ხელოვნურად.

გაჭიმულებს, გაჭვიმულებს, ტანიც უხერხულად ეჭირათ. მაგრამ დედა ახლა მათ ისეთს ხედავდა, როგორც იყვნენ: მხიარულებს, ერთმანეთის მოსიყვარულებს, სიცოცხლით სავსეებს, მოუსვენრებს, კეთილებს.

— ნეტა მოვევალე იმ შენს ცენს, ჭვებე! ნეტა ჩავემარხე იმ დასაქცევ მიწაში, ნანა! ეს რას მოვესწარი, შვილო! შინ არ გიშვებს მამაშენი, შინ არ გიშვებს ის უღმერთო! — ჩურჩულებდა მაკა, რომ ქმარს არ გაეგონა.

ბეგლარი მეორე ოთახში იწვა, გაუხდელი, აფორიაქებული, არც ეძინა, არც ეღვიდა. შვილი არ შეუშვა შინ, საყვარელი შვილი, საფიცარი შვილი, შვილი არ შეუშვა შინ.

— სადა ხარ, ვარდენი! შენ მაინც იყო აქ, ჩემო ჭკვიანო შვილო! შენ უფრო დაგიჭერებდა ჭვებე, არ წაივლოდა გვარდიაში. სადა ხარ, ვარდენი! როგორ ითმენს დედაშენის დასამიწებელი გული ამდენ ხანს უშენობას. ათი წელია ჩემს დასაბრმავებელ თვალს არ უნახავხარ, ნანა!

ბეგლარს არ ესმოდა ცოლის ჩურჩული, მაგრამ გრძნობდა, იცოდა რას აკეთებდა, რას ჩურჩულებდა მაკა.

„რას ვერჩი ჭვებეს?! რა ბრალი მიუძღვის ჭვებეს?! — ეკითხებოდა თავის თავს ბეგლარი. — ჭვებე ჯარისკაცია. მეც არ ვულალატემდი ჯარისკაცის ვალს. არც ვარდენი ულალატებდა ჯარისკაცის ვალს. ბუკიას გვარისაა ორივე, ბუკიას სისხლისაა ორივე, ბუკიას გულია ორივე, ჩემი შვილია ორივე. რა

ვეყოთ, რომ არ დამიჯერა! ჭვებე ბავშვი აღარ არის. თავისი ჭკუა აქვს. ყოველ ადამიანს თავისი ჭკუა აქვს, თავისი აზრი აქვს. ვაი იმას, ვისაც თავისი ჭკუა და აზრი არ აქვს. ყოველი ადამიანი თვითონ ირჩევს თავის გზას. გზის არჩევას დიდი ფიქრი უნდა, ჭკუა უნდა, ცოდნა უნდა. გაპირებება თუ დაღბნებება არჩევინებს გზას ადამიანს. გაპირებებამ აარჩევინა ეს გზა ჩემს შვილს, სიღარიბემ, სიღატაკემ აარჩევინა. საჭირო იყო მეტად დაფიქრება, ატანა, ვაძლუბა, მეტი ჭკუა და გონება. არ დამიჯერა. იქნებ კარგი ქნა, რომ არ დამიჯერა! ყოველ ადამიანს თავისი ჭკუა აქვს, თავისი აზრი აქვს. თავისი გზა აქვს!.. აბა, რას ვერჩი?! ცხოვრება კიდევ ბევრჯერ დააფიქრებს, შეაცვლევინებს აზრს, გზას“.

შუალამე დიდი ხნის გადასული იყო, რომ ჩაეძინა.

მაკა ისევ ისე იჯდა ტახტზე. ისევ ისე ედო ჭვებესა და ვარდენის სურათი. როცა ალიონი სარკმელს გაეკრა, წამოდგა, თავსაფარი აიღო, ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან, კარი ფრთხილად გაიხურა.

ალიონი იისფრად ლებავდა ცისკიდურს.

ტოტებში ფრინველები ფრთხილად ბუნდნენ. სოფელს ეძინა. სადღაც ძალი ყეფდა, სადღაც კამეჩი ყოყინებდა და მამალი ყიოდა. ჭიშკრებში დინგაყოფილი უღლიანი, მშვიერი ღორები ჭყვიტინებდნენ. ჭიშკრებთან სიცივისაგან ბეწვაყრილი კამეჩები იწვნენ, ძროხები იწვნენ, ხარები იწვნენ და მსხვილი, ჭკვიანი თვალებით აცილებდნენ მხრებზე თავსაფარმოგდებულ მაკას. ვიწრო, ტალახიანი, ბნელი შუკა იღო მის წინ და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა სკოლისაკენ.

გვარდიელთა ბანაკსაც ეძინა.

გულშაგმა არ შეუშვა მაკა სკოლის ეზოში. რამდენი ეხვეწა, რამდენი ემუდარა. ჯორზე შეეჯდა გულშაგი. არ გასკრა დედის ვედრებამ, დედის ცრემლმა. უკან გაბრუნდა მაკა...

ახლა ალიონი ვარდისფრად ლებავდა

ცისკიდურს. შუკაში აღარ ბნელოდა. ისევ იმ შუკით ბრუნდებოდა მაკა. ოღეობი იღვიძებდა, იღებოდა კარები. წამოდგნენ ჭიშკრებთან მწილი კამეჩები, ძროხები, ხარები. იზმორებოდნენ მთელი ღამის წილით გათოშილები და დახუთულები. უფრო ხამალა ჭყვიტინებდნენ ჭიშკრებში დინგაყოფილი უღლიანი მშვიერი ღორები.

ალიონი სწრაფად იკიდებდა ძალას. მაკა უცებ შედგა, რალაცას მიჩერდა.

შუკაში ჭვებე მორბოდა. ინდას სახლიდან თავის ასეულში მიეშურებოდა. დანიხა ღედა. შვილის თვალმა მაშინვე დანიხა ღედა. ფეხი აერიო, შედგა. არ იცოდა რა ექნა: გაბრუნებულყო უკან, გადამხტარიყო ვინმეს ეზოში, გაქცეოდა, დამალვოდა დედის თვალს? შვილის გულმა უკუაგლო ეს ფიქრი. იღგა და უცდიდა ღედას.

მაკამ ნაბიჯი შეანელა და ნელა უახლოვდებოდა.

ჭვებე იღგა და უცდიდა. საღ იყო ღედა ასე უთენია? იღგა და უცდიდა. მოუახლოვდა მაკა.

ჭვებემ დედის სახეზე ამოიკითხა, რომ ღედა მასთან იყო. იმასაც მიხვდა, რომ ამის გამკლავება არ უნდოდა ღედას, მაგრამ ვერ ახერხებდა და ჭვებემ გულში გაუღიმა.

მაკა შვილის წინ შედგა. ერთხანს უბოღ იდგნენ პირისპირ. მაკას ქვეყანას ერჩივნა, მოხვეოდა შვილს, გულში ჩაეკრა, მაგრამ მოჩვენებითი სიმკაცრით შექყურებდა. ჭვებემ კვლავ გაუღიმა ღედას გულში, მერე თავის სახლისაკენ შებრუნდა და ორივე ფეხაწყობით გაჭყა შუკას.

აღარ ჭყვიტინებდნენ ჭიშკრებში დინგაყოფილი უღლიანი მშვიერი ღორები. ალიონის სიჩუმეს ღედა-შვილის ნაბიჯის ყრუ ჭყაბუნი არღვევდა.

ბეგლარი რომ უკანა ოთახში გავიდა, გვანჯის ისევ ეძინა ნერვიულ, უსიამო ძილმორეულს, სიცივისაგან მოკრუნჩხულს, საბანში ყელამდე გახვეულს.

ტახტზე ისევ ისე იდო ვარდენისა და ჯვებეს სურათი. ლამპის პატრუქი ჩამწვარიყო, ოთახში მწარე სუნი იდგა. მაკა არ იყო ოთახში. ბეგლარი მივიდა და ტახტიდან სურათი აიღო. ვარდენი და ჯვებე იმ უხერხული, არაბუნებრივი ღიმილით შესცქეროდნენ. ალიონის შუქზე შუშის თვალები ცარიელი ჩამჭრალი მოჩანდა.

ბეგლარის სახე ისე კუმტად იყო შეკრული, როგორც გუშინ ჰალაში, ტუჩის კუთხეების ნაოკებზეყრილი. დიდხანს დასცქეროდა შვილებს. ნაოკები თანდათან გაეშალა, შუბლი გაეხსნა. „ჯვებესთან წავიდოდა მაკა“, ამ ფიქრმა გაუხსნა შუბლი, გაუშალა ნაოკები.

გვანჯიმ ბეგლარის შემოსვლისთანავე გაიღვიძა და თვალს არ აშორებდა მამას. როცა მან შუბლი გახსნა, ბავშვს სევდიან, ნამძინარე თვალებში ღიმილის შუქი ჩაუდგა.

— ბაბა, შალვა მასწავლებელმა თქვა, კარგია, რომ ჯვებე შეწუხებულიაო, — უთხრა მამას გვანჯიმ.

— რაო?!

— კარგია, რომ ჯვებე შეწუხებულიაო, — გაიმეორა გვანჯიმ ხმამაღლა იმ იმედით, რომ ეს გაუნელებდა ბეგლარს გულისწყრომას. — ადამიანი სანამ ჭამის გადაწყვეტდეს, კარგად უნდა დაფიქრდესო.

ბეგლარმა კიდევ უფრო გახსნა შუბლი.

— რომ საქმე საწუხრად არ გაუხდესო, არა?

გვანჯი გახალისდა:

— შენ რომ არ დაუჯერე შალვა მასწავლებელს და საწუხრად გაგიხდა საქმე?

— მე არ დაუჯერე იმიტომ, რომ ათასჯერ დაუფიქრდი, სანამ გადაწყვეტდი.

— აბა, ახლა რატომ წუხხარ?

— მე მხოლოდ იმას ვწუხვარ, რომ ჩემი შვილი იმ გვარდიაშია.

— მაინც ხომ არ დაგანებებს ჩიჩუების მიწა ბაბა!

— დღეს არ დამანებეს, ხვალ დამა-

ნებებენ. ბედნიერება თავისთავად მოდის, გვანჯი. ეს კარგად დაიშინეს შეილო!

— ბედნიერება, — გაიმეორა გვანჯი.

— ბედნიერება თავისით არ მოდის, — გაიმეორა ბეგლარმაც, — იგი უნდა მოიპოვო.

— ძალით?

— თუ მართალი ხარ, ძალით, — უთხრა ბეგლარმა. — სიმართლეს დიდი ძალა აქვს... ბედნიერებას ნებით არავინ დათმობს. ასე იყო ყოველთვის, ასე იქნება მუდამ. მუშაკაცი გაჩენის დღიდან სიმართლისათვის, ბედნიერებისათვის იღვწოდა.

— მერე რატომ არ მოიპოვა, თუ სიმართლეს დიდი ძალა აქვს.

ბეგლარი ტახტზე ჩამოჯდა, გაკვირვებული უყურებდა შვილს.

— მოიპოვა. ბევრ ქვეყანაში მოიპოვა მუშაკაცმა ბედნიერება.

— უთუია ხვინჯიმ მითხრა, მამამ თქვაო, ბედნიერებას ადამიანი მხოლოდ ცაში ეწვეაო.

— ადამიანი აქ, მიწაზე, უნდა ეწიოს ბედნიერებას, ჩემო შვილო. აქი ვითხარა, ბევრ ქვეყანაში მოიპოვა ადამიანი ბედნიერება-მეთქი.

— შენ საიდან იცი, ბაბა?

— ვიცი, — გაუღიმა შვილს ბეგლარმა. — ჩიტმა მომიტანა ამბავი.

— ჯვებე ხომ ორი გროშის საშოვრად წავიდა გვარდიაში, — გაიმეორა გვანჯიმ მასწავლებლის სიტყვები. — ჯვებეს ხომ ბედნიერება უნდოდა ჩვენთვის!

— მერე მოგვიპოვა ბედნიერება? — ჰკითხა ბეგლარმა და დააცქერდა გვანჯის სახეს. — ბედნიერებას ფულით ვერ ეწვევა ადამიანი, — ბეგლარმა დაინახა შვილის ციებით გაკვირვებული, გამხდარი სახე, ამომშრალი თვალები, აბურძღვლი თმა. შეებრაღა, მაგრამ მაინც არ მოერიდა: — ჯოგივით გადარეკა შენმა ძმამ ჩიჩუების მიწიდან სოფელი.

— ჯვებემ არა, ბაბა! — მღელვარებით სავან ტუჩები გაუწითლდა გვანჯის. — მართლა არ მოუშვებ ჯვებეს შინ?

— დედაშენი სადაა? — ჰკითხა პა-
სუხის ნაცვლად ბეგლარმა.

გვანჯის ცრემლი მოადგა თვალზე,
საბანი წაიფარა.

— ვარდენი გიჯერებდა, ბაბა? —
ჰკითხა საბნის ქვევიდან.

— ზოგ რამეს არ მიჯერებდა.

— შალვა მასწავლებელმა თქვა, ვა-
რდენიც მამასავით ჯიუტი იყო.

— როგორა თქვა?! — საბანი გადა-
ხადა სახიდან ბეგლარმა.

— თავის ნათქვამს არ გადავიდოდა.

— იყო, — დუმილის შემდეგ უთხრა
ბეგლარმა.

— აბა, რას ერჩი ჯვებებს!

ბეგლარმა ერთბაშად ვერ უპასუხა.
დააცქერდა შვილის ციებით გაყვით-
ლებულ სახეს, ბუსუსაყრილ სახეს, ვა-
მხლარ სახეს, ამომშრალ თვალებს. „რა-
მდენი რამ სკოდნია ჩემს ბიჭს, — გა-
იფიქრა და გონების თვალთ გაუღიმა
შალვას. — მისი მოწაფეა გვანჯი, მისი
მოწაფე იყო ვარდენი, ჯვებე“. თვალწინ
დაუდგა ჭალაში პირისპირ მდგარი მას-
წავლებელი, არაფრით რომ არ ამტლავ-
ნებდა მღელვარებას, მხოლოდ ხელები
უთრთოდა. სად დაემალა არ იცოდა.
ბეგლარის მეტი სხვა ვერ შეინიშნავდა
ამას, სულით ხორცამდე იცნობდა შალ-
ვას. ბეგლარს ვერ დაუფარავდა ვერა-
ფერს. გაიგონა მასწავლებლის ხმა: „ძა-
ლით ბედს ვერაფერ იშოვის, ბეგლარ!“,
„ძალით ჩანგალზე ნუ ეგები, ბეგლარ!“,
„გზის იქით გადადისარ, ბეგლარ!“, „ბე-
გლარ, განა მე ამას ვასწავლიდი შენს
შვილებს, ვარდენსა და ჯვებეს!“ — ამას
ასწავლიდი, შალვა! ამას ასწავლი გვან-
ჯისაც და ისე ვიჭირავს თავი, ისე იქ-
ცევი, თითქოს არ იცი. ამას მასწავლი-
დი მეც“.

— ქინაქინი მოგცა შალვამ? — ფიქ-
რიდან გამოერკვა და ჰკითხა გვანჯის.

— მეც ვარდენისა და ჯვებესთანა ვი-
ქნები, ბაბა, — უთხრა გვანჯიმ, საბნის
კუთხით ცრემლი მოიწმინდა. — მეც
გუდა ყორშიასა და კოჩოია ყორშიასთა-
ნა ვიქნები, ბაბა, მეც შენისთანა ვიქნე-

ბი, ბაბა, — პირდაპირ შეხედა, თვალთ
გაუსწორა მამას.

ფოსტის გამგე ექვთიმე ყალიჩავა და
ფერშალი კალისტრატე ქვარცხავა მზის
გულზე ისხდნენ აივანზე. კალისტრატეს
კრაგიანი მარჯვენა ფეხი მარცხენაზე
ედო, ლაპარაკს აყოლებდა და ზევით-
ქვევით იქნევდა, ცალი ხელით ბულდო-
გის ჯიშის ძაღლისთავიან მსხვილ საბჭენ
ჯოხს ეყრდნობოდა. ექვთიმე ოფლის
მწარე სუნით გაელენთილი ბაღდა-
დის უზომოდ ფართო ცხვირსახოცით
შუბლს რომ შემშრალებდა, სახის შემ-
შრალებას ვერ მოასწრებდა, ოფლის
წვეთები ისევ დაასხდებოდა შუბლზე.
კისერზე რომ მოისვამდა ცხვირსახოცს,
ოფლი სახეზე ჩამოსდიოდა წურწურით.
გაღელვებულ მკერდს რომ მოიმშრალებდა,
მამინ კისერზე. ასე გაუთავებლად იღვ-
რებოდა ზამთარ-ზაფხულ ოფლში. კა-
ლისტრატეს ამ სუნით სიცოცხლე ჰქო-
ნდა გამწარებული. ამიტომ ექვთიმესა-
გან ყოველთვის შორს იჯდა, მაგრამ ეს
სუნი მაინც თან მიჰყვებოდა, და ზში-
რად ცხვირზე ხელაფარებელი ელაპა-
რაკებოდა ექვთიმეს. ამას კალისტრატე
ისე მოხერხებულად აკეთებდა, რომ
ფოსტის გამგე ვერ ამჩნევდა.

ოფლი ექვთიმეს ზვინივით დიდ ტანს
ისე გააქრავდა პერანგს, რომ ასთმით
შეხუთულ სულს კიდევ უფრო უზუთავ-
და. პაერი არ ყოფნიდა, წყლიდან ამოგ-
დებული ღლაკივით ფეთქავდა.

ექვთიმე ყოველ წუთს, საათს, დღეს,
თვეს, წელს ელოდა სიკვდილს, სიცოც-
ხლეზე ხელი ჩაქნეული ჰქონდა, მაგრამ
სადაც გულის კუნჭულში პატარა იმე-
დი მაინც უზუთავდა. ეროვნულ-დემ-
ოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა. იმ
დარჩენილ წუთს, საათს, დღეს, თვეს,
წელს თავის პარტიას ახმარდა. ახმარდა
სიტყვით, საქმით არ შეეძლო დავრდო-
მილს. თითქმის სიკვდილის პირამდე მი-
სულს. ამ სიტყვების ქომავლობითაც კმა-
ყოფილი იყო და ეგონა პარტიაც კმა-
ყოფილი ჰყავდა.

კალისტრატე ქვარცხავა სოციალ-დემოკრატი იყო და, რასაკვირველია, სულ სხვა თვალსაზრისზე იდგა. ექვთიმეს დაუძინებელი მტერი ვახლდით პოლიტიკაში, მაგრამ როგორც ფერშალი, თავის თავს მოვალედ თვლიდა ყოველდღე მისულიყო ავადმყოფთან.

მივიღოდა თუ არა, დაჯდომას ვერ მოასწრებდნენ, პოლიტიკაზე იწყებდნენ კამათს. ჭევენის ამბები კარგად იცოდნენ. დღემოდამ ეურნალ-ვახუთებს ჩაქკირკიტებდნენ, თანამშრომლობდნენ კიდევაც თავთავისი პარტიის ორგანოებში.

კალისტრატემ ფრანგული და ინგლისური იცოდა, ექვთიმემ — თურქული. ორივემ — რუსული. როგორც თვითონ ამბობდნენ, ხელისგულზე ეხატათ ევროპის, ამერიკის, აზიის, აფრიკის შინაგანი და საგარეო პოლიტიკის ამბები.

ისეთი გააფთრებით ედავებოდნენ ერთმანეთს, ექვთიმე ავად რომ არ ყოფილიყო და რუმბივით გაბერილ მუცელსა და გათქვირულ ტანს ამის ნება მიეცა, ერთი შემოკვრით გააკრავდა კედელს სიმიონის ჩალსავით გამოფიტულ, განხიკულ სოციალ-დემოკრატს.

კალისტრატე ქვარცხავას როგორც ფერშალს ავადმყოფის სიბრალულის გრძნობა რომ არ ჰქონოდა, იმ ბულდოგის ჯიშის ძაღლისთავიან საბჭუნ მსხვილ ჭოხს თავზე გადაატეხდა ექვთიმეს.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური მტრები იყვნენ, ერთმანეთი გულით უყვარდნად, უერთმანეთოდ ერთ დღესაც ვერ ძლებდნენ.

ოფლის შშრალეებითა და კამათით რომ დაიღლებოდა, სულის ხუთვით დაოსებული ექვთიმე ერთ ხელს მუცელზე დაიდებდა, მეორეს — გულზე. ფერი წაუვიდოდა, სისხლი დაუშრებოდა (ასე ამბობდა თვითონ) და ვედრებით შეხედავდა ფერშალს. მაშინ კალისტრატეს ავიწყდებოდა პოლიტიკური მტრობა და ქიშპი, ოფლის მწარე სუნი, გულის წვეთებს შაქარზე დააპყურებდა და თავისი ხელით ჩაუღებდა პირში.

სულმობრუნებული ფოსტის გამგე მადლიერების გრძნობით მიხატვრულად კალისტრატეს, ერთი წუთის წინ მოსავლავად რომ ჰყავდა გამეტებული. კალისტრატე შეცოდებითა და პატივით შეხედავდა მტერ-მოყვარეს.

გადიოდა წუთები, საათები, დღეები. თვეები, წლები, არ მოდიოდა ის წყვეული სიყვდილი, არ ჭრებოდა ის პატარა იმედი, რომელიც მის სულში ბეუტავდა, არ თავდებოდა ფერშლისა და ფოსტის გამგის პოლიტიკური მტრობა და ქიშპი, სულლი და მეგობრობა.

— კაცო... ვერ მოქცეულხარ კარგად, — განაგრძობდა ექვთიმე დაწყებულ საუბარს სევნებ-სევნებით და ქოშინ-ქოშინით: — კაცო... იჯექი იმ კლასში, სვამდი იმ ხალხთან... მერხებს ეზოში ჰყრიდით, მთვრალეები სარკმლიდან ბოთლებს ისროდით... ბატონ შალვას რევოლვერს უმიზნებდით... მთელმა სოფელმა, მთელმა თემმა იცის თქვენი ეს სამარცხვინო, თავისმოძრელი ამბავი. კაცო... აწი რა თვალთ შეხედავ ხალხს?! მაგრამ თქვენ, სოციალ-დემოკრატებს, სირცხვილის გრძნობა. სირცხვილის ნატამალი ვინ მოგვათ!..

— ექვთიმე! — ანთო კალისტრატე ფეხი აიქნ-დაიქნია. — ჯერ ერთი, პარტიას ნუ ეხებში მეორეც, მერხებს მე არ ვყრიდი, არც ბოთლები მისვრია სარკმლიდან, არც რევოლვერი დამიმიზნებია იმ შენი ბატონი შალვასათვის, რაც შეეხება სირცხვილის გრძნობას, უცაცრავად პასუხია, მაგრამ იგი ეროვნულ-დემოკრატებისათვის იოტის ოდენა არ მიუცია უფალს...

— კალისტრატე! — მუქარით დაიქუქა ფოსტის გამგემ.

— ექვთიმე! — მუქარით დაიკნავლა ფერშალმა.

ამით დამთავრდა მათი მუქარა. დიდი ხნით ჩამოვარდა დუმილი. ექვთიმეს ერთი ხელი მუცელზე ედო, მეორე — გულზე, ფერწასული, სისხლდამშრალი, მავედრებელი თვალებით შეჰყურებდა ფერშალს, მაგრამ კალისტრატე შეუპოვრად იჭდა თავიწვეული,

ქვასავით ცივი, რკინასავით უდრევი, უღმობელი, არ ხედავდა ექვთიმეს ფერწასულ სახეს, ვედრებით სავსე თვალებს, არ აპირებდა შაქარზე გულის წვეთების დაპყრობას, ფეხს ზევით-ქვევით იქნევდა, შეურაცხყოფისა და მღელვარებისაგან მარჯვენა თვალი უთამაშებდა.

— კაცო... ზეგ თურმე დამფუძნებელი კრების წევრი ევგენი ჟვანია და სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე იროდიონ ჩხეტია ჩამოდიან, — დაკარგა მოშველების იმედი ექვთიმემ და დაარღვია ღუმილი, არა, გულის წვეთებდაპყრობულ შაქარს არ ჩაუღებდა ახლა კალისტრატე.

— რისთვის ჩამოდიანო? — არ შეუხედავს, ისე ცალყბად ჰკითხა ფერშალმა.

— კაცო... თურმე რუსეთი ომის გამოცხადებას გვიპირებს.

— რუსეთი, თუ ბოლშევიკები? — არც ახლა შეხედა ფერშალმა ფოსტის გამგეს.

— კაცო... ბოლშევიკური რუსეთი... ყველა მაზრაში დამფუძნებელი კრების წევრები დაუგზავნიათ.

— რისთვისაო?

— მობილიზაციის მოსახდენად... ამ დროს თქვენი ქებული სახალხო გვარდია ისეთ საქმეებს სჩადის, მეფის კაზაკებს რომ შეშურდებოდათ, — ღვაწლიანად უთხრა ეროვნულ-დემოკრატიმა.

— ასე მხოლოდ ბოლშევიკს შეუძლია ილაპარაკოს ჩვენს საამაყო სახალხო გვარდიაზე...

— კალისტრატე! — მუქარით დაიქუქა ფოსტის გამგემ.

— ექვთიმე! — მუქარით დაიკანავლ ფერშალმა.

ამით დამთავრდა მათი მუქარა.

წვიმდა. თემშარზე ტალახში ჩაფლული ეტლის გარშემო გვარდიელები ირბოდნენ. გაქაფული, ნაცემი, ქანცაწყვი ტილი ცხენები ფეოქადნენ, ძაგძაგებდნენ.

გაწამებულები, დახუთებულები, გვარდებმირთულები რალაც განგებოთ... ნენ ფეხზე, სველ ტანზე ოხშივარი ასლიოდათ და ის სიმწრის ოხშივარი ღამეშიაც კი ჩანდა.

გაანჩხლებული მეეტლე კოფოდან მოუთმენლად დასცქეროდა, რა უფხოდ, უგერგილოდ უზამდნენ გვარდიელები აქეთ-იქიდან ეტლს თავიანთ ცხენებს. ეტლის უკან ოთხი გვარდიელი იდგა და უცდიდა, როდის შეაბამდნენ ცხენებს, რომ ეტლს მისწოლოდნენ. ცხენებს მიშველებოდნენ, მიშველებოდნენ ღრმა ტალახში ჩაფლულ მგზავრებს, არანაკლებ გაღიზიანებულნი, მოთმინებადაკარგულნი რომ ისხდნენ ეტლში დასველებულები გაწუწულები და სასაცილოები თავიანთი უმწეო მღგობარეობით.

იური ორლოვი არ ეხმარებოდა ამხანაგებს. ცხენის ღიდი მოსარჩლე იყო. ეტლის ცხენებს, მათი საცოდაობით შეწუხებული, კისერზე ხელს უსვამდა, ეფერებოდა. გვარდიელებმა იცოდნენ, როგორ აღმერთებდა ორლოვი ცხენს, არ სწყინდათ, რომ არ ეხმარებოდა მათ.

ერთადერთი ათმეთაური ტატაჩია სიორდია მზად იყო მივარდნოდა ორლოვს, შეეგინებინა, შემოეკრა. ეტლში მსხდარი მგზავრების რიდით ვერ ბედავდა ამს და ტუჩს იცენეტდა, გველივით სისინებდა, კატის თვალთ ქამდა ორლოვს. სიორდიას ყველა უფროსისა ერიდებოდა, ყველა უმცროსს თავზე აჯდა. ეს იყო მისი სიცოცხლის აზრი.

ეტლში უკან საჯდომზე დამფუძნებელი კრების წევრი ევგენი ჟვანია და სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე იროდიონ ჩხეტია ისხდნენ, მათ წინ კი — სამაზრო სამხედრო ვალდებულებათა უფროსი ვარლამ ხურცია და თემის ერობის თავმჯდომარე მიხა ქირია. მიხა შიშითა და კრძაღვით შეჰყურებდა ევგენი ჟვანიას.

დამფუძნებელი კრების წევრს სახე გორიზად და უკმაყოფილოდ ჰქონდა შეკრული. ხელში ვანუყრელი სათვალე რომ არ სჭეროდა, იმ ხელით სილას გა-

აწინავდა მიხა ქირიას. სათვალეს ნერვიულად ატრიალებდა, მეორე ხელით ჯოხს ეყრდნობოდა. ცრუმორწმუნე იყო ევგენი ქვანია, ცუდად ენიშნა გზის შეყვრა, პირად საქმეზე რომ მიდიოდეს, უკან გაბრუნდებოდა.

ეტლი კარგა ხნის ჩაფლული იყო, ტალახი საფეხურებამდე სწვდებოდა. ბევრჯერ დააპირეს მგზავრებმა ეტლიდან გადასვლა, მაგრამ ორივე მხარეს ღრმა ტალახი იდგა.

ლონტმა რამდენჯერმე შესთავაზა ქვანიას, ჩემს ულაყზე გადმოჯექითო. დამფუძნებელი კრების წევრმა იუკადრისა ეს ხელში აყვანაზედაც უარი თქვა. ბოლოს, ამით ლოდინით მოთმინების ფილა რომ აეგსო, სათვალე გაიკეთა, გამკილავად შეხედა მიხა ქირიას და მკაცრად უთხრა:

— ვერ მოვივლიათ გზისათვის. ნუთუ არ იცით, რომ უგზოდ... — რისხვით აღსავსემ სიტყვა ვერ დაასრულა. ეს ხშირად ემართებოდა მღვდღვარებისას და ცდილობდა, რაც უნდა საწყენი, უგვანო რამ შეხედროდა, არ აღეღვებულყო.

— ვერ მოვუარეთ, ბატონო ევგენი, შემეკეთებელი არა გვყავს...

— შემეკეთებელი, შემეკედებელი! ყოველ სოფელში, ქალაქში ეგ მესმის, — ახედა ლონტს: — რას შვრებით, რამ დაგბორკათ?!

— რამ დაგბორკათ?! — გაიმეორა კაპიტანმა და სიბნელეში გასძახა: — სიორღია!

— არს, სიორღ, პატენ კაპიტანი! — სარიცხით აისვეტა ტატაჩია სიორღია კაპიტნის წინ. ქოსა სახე გატალახიანებული ჰქონდა, ტანსაცმელი — გათხუნული და სველი, სველ, გამხდარ ვიროთხასა ჰგავდა, ვიროთხასავით ცქაფი და მუღამ დაქვეტილი. — ახლავ, პატენ კაპიტანი! — გვარდიელებს მიუბრუნდა:

— გაანძრეთ დედაგაღლებილებ! — მაინც წამოსცდა გინება და ენაზე იკბინა. ტყვილისაგან გამწარებულმა მთლად დაკარგა გონება: — შენ რას ეფფრებ საყვარელივით მაგ ქაეებს. ვა-

ნკა რუს! — შეუყვია რუსულს და პანდური ამოსცხო. შერე იმ ცნენს, ორლოვი რომ ეფერებოდა, მუშტი შემოჰკრა დრუნჩში...

როგორც იქნა, შეაბეს ცხენები.

— ჰაიტ! — შეჰყვია ცხენებს და ეტლის უკან მდგარ ოთხ გვარდიელს ტატაჩია სიორღიამ დიაცური, გამკიციანი ხმით.

ამ უცნაური ხმით დამფრთხალ ეტლის ცხენებს შიშმა ძალა შემატა და გვარდიელების ცხენების დახმარებით ერთბაშად ამოიტაცეს ეტლი ტალახიდან, გაენთნენ გზაზე. ხელუბგაშვერილმა ქონდრის კაცმა გვერდით გასდია ეტლს.

— ა, ჩქიმ პატენ, გზა! სარკესავით გზა, პატენ! იართ, რამდენ გნებაეთ! — მისძახოდა ტატაჩია ეტლს და მართლაც უკანა ფეხებით გაქცეულ ვიროთხასა ჰგავდა.

— გზა, — თქვა ევგენი ქვანიამ. — ცუდ გზას დადგომიხართ, ქირია!

თემის ერობის თავმჯდომარე გზაში შეეგება ევგენი ქვანიას, იროდიონ ჩხეტისა და ვარლამ ხურციას. ქვანიამ მიხა ქირიას სალაშზე პასუხი არ გასცა, მთელი გზა არ შეუხედავს მისთვის. იროდიონ ჩხეტისა გუშინვე აცნობეს სკოლაში მომხდარი ამბავი და მან დაწერილებით მოახსენა ქვანიას.

— განათლების, ზნეობის, სიწმინდის ტაძარი ყაზარმაღ გიქცევიათ, შივ ღრეობა ვაგიმართავთ, — სოფელში, სკოლის წინ გავლისას ვეღარ მოითმინა ქვანიამ, ისევ შეხედა თემის ერობის თავმჯდომარეს.

— რა მექნა, ბატონო ევგენი! — უთხრა მიხა ქირიამ, — გვარდია ზარბაზნის სროლით მოვიდა, მე პურ-მარლით დავხვდი, რომ სოფელი გადამერჩინა.

ეტლს მთელი სისწრაფით მიაჭროლებდნენ ცხენები ოდროსოლო, ტალახიან გზაზე. მარცხენა მხრიდან ეტლს ლლონტი მისდევდა თავისი ულაყით, მარჯვენა მხრიდან ტატაჩია სიორღია თავისი გაცნაჭული ფეხებით. ბორბლებიდან ატყორცნილ წყალსა და ტალახს

მის სახეზე და ტანზე შხლარტუნი გაუ-
დიოდა. გრუხუნებდა ბორბლები, ღრჭი-
ალებდა რესორები, ორმოგბში განუწყ-
ვეტლად ბტოდა ეტლი, ზვეით-ჭვეით
ისროდა მგზავრებს.

— პატ! სარკესავით გზაა, პატენ!..
იართ, რამდენც გნებავთ, პატენ! — მი-
სძახოდა ათქათაური ეტლს.

შუალამე დიდი წნის გადასული იყო.
მოსარკულ ცახე ალაგ ციმციმებდა,
ალაგ ბეუტავდა ვარსკვლავები.

სოფელს ეძინა.

სიჩუმეს თემის ერობის შენობის
ეზოში ღობეზე მიბმული ცხენების
ფრუტუნი და კანტიკენტი ფლოქვების
ცემის ხმა არღვევდა. შენობას გვარდი-
ელები იცავდნენ. ბანაკი აქ გადმოეტა-
ნათ სკოლიდან. ბანაკსაც ეძინა.

აივანზე განათებული სარკმლების წინ
ტატაჩია სიორდიას ციციქნა ლანდი მი-
მოდიოდა. სადღაც შორიდან მეურმის
სიმღერა ახლოვდებოდა.

ქიშქართან გუშავად იური ორლოვი
და ზაქრო ბროლაძე იდგნენ.

— თითქოს ტირისო მეურმე, — თქვა
ბროლაძემ.

— თითქოს ხალხის სევდას მღერისო,
— თქვა ორლოვმა.

— ვის ვიცავთ, იური? — ჰკითხა
ბროლაძემ და ფანჯრებისკენ მიიხედა.
— ზემის ერობის თავმჯდომარის ოთა-
ხის სარკმლების წინ ტატაჩია სიორ-
დიას ციციქნა ლანდი მიმოდიოდა. ოთა-
ხში გრძელ მაგიდას ერობის წევრები
უსხდნენ, შესფოთებულები, ძილგატე-
ხილები, სახელდახელოდ ჩაცმულები.
მაგიდას უსხდნენ სამაზრო ერობის გამ-
გობის თავმჯდომარე იროდიონ ჩხეტია,
სამაზრო სამხედრო ვალდებულებათა
უფროსი ვარლამ ხურცია, მიხა ქირია.
ეკლდის გასწვრივ ისხდნენ კალისტრატე
ქვარცხავა, ეჭვითმე ყალიჩავა, ესტატე
ნაჟუებია, ეახტანგ ღლონტი და კიდევ
რამდენიმე კაცი.

ყველა ვეყინი ქვანიას უყურებდა. იგი
შავილის თაში იდგა ზვეიდან დაჰყუ-

რებდა შეკრებილთ. ქვანიას ზედა
ნაოქებული, მაგრამ მიშხიდველი ასე
ჰქონდა, რომაული ცხვირი და წმინდა
თვალები. შეწუხებული და დაყურად-
ებული ჩანდა. ეს იყო იმედგაცრუებუ-
ლი, გულგატეხილი, დამარცხებას შე-
რიგებული კაცის სახე.

— საქართველოს ბედი ბეწვზე ჰკი-
და, — ლაპარაკობდა ქვანია. — ბოლ-
შევიკური რუსეთი და მის მიერ დაპყ-
რობილი ქვეყნები საქართველოზე გა-
მოსალაშქრებლად ემზადებიან, — ქვანია
სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, რომ
ღრო მოეგო ყოველი მომდევნო ფრაზის
მოსაფიქრებლად, ამას ისეთი ოსტატო-
ბით აკეთებდა, რომ სიღინჯისა და სე-
რიოზულობის შთაბეჭდილებას ტოვებ-
და. — ამ საქმის მოთავენი თავისი ერის
მოალატე, დედასამშობლოს გამყიდ-
ველი სტალინი, ორჯონიკიძე, მახარაძე,
ორახელაშვილი, ცხაკია და მათი დამ-
ქაში სხვა ქართველი ბოლშევიკები არი-
ან. ისინი ჩვენ, მენშევიკებს, იმპერია-
ლიზმის ლაქიებს, ოპორტუნისტებს, მო-
ლალატეებს გეიწოდებენ, მაშინ, როცა
თვითონ არიან ლენინის ლაქიები, თვი-
თონ ყიდნიან სამშობლოს და მერე ვის-
ზე — ბარბაროსულ წითელ რუსეთზე!
ბარბაროსებს უნდათ ქართველი გლე-
ხის, ქართველი მღვთის „განთავისუფლე-
ბა“. გესმით, ამხანაგებო! ცინიზმი ამა-
ზე შორს ვერ წავა...

მეურმის სიმღერა თანდათან ახლოვ-
დებოდა.

— შენ ამბობ, საქართველოს ვიცავ-
თო! — უთხრა ბროლაძემ იური ორ-
ლოვს. — არა, იური, ქვეყნის ბედი გა-
დაწყვეტილია. ზმანებას ვიცავთ, თავს
ვიტყუებთ. საქართველოს ვიცავთ და
ხალხს მიწიდან ვერეკებით?!

— ამბობენ, ხალხს მთავრობის აღარ
სჯერაო, — თქვა ორლოვმა.

— დღეს არავის აღარაფრის სჯერა.
არც ხალხს, არც ჭარს, არც მთავრობას.
ზმანებით ეცხოვრობთ, იური.

ორივე გაჩუმდა. სიმღერას მიუგდეს
ყური.

— ჩვენშიაც მღეროდნენ ასე სევდი-

ნად. იყო ერთი ბაბუა ანატოლი სტეპანიჩი. ის მღეროდა, ცრემლს ვერ შეიკავებდო... იცი, ზაქრო, არ უნდა გამოვქცეულიყავი სამშობლოდან.

— არ უნდა გამოქცეულიყავი, იური. მე რომ სხვაგან ყელამდე ოქროში ჩამსვან, მაინც სამშობლოსკენ გამიწევს გული.

— თეთრგვარდიელის შვილი ხარო, მაშინებდნენ.

— მაინც არ უნდა გამოქცეულიყავი...

დამფუნებელი კრების წევრმა სათვალე გაიკეთა.

— წითლებიდან ყველაფერს უნდა მოელოდეს კაცი. წითელ ფერს აღამიანი კი არა, პირუტყვი უფროთხის, ესპანეთში წითელი ფერით ხარებს ამინებენ. ბოლშევიკური რუსეთი ველარ შეგვაშინებს. გესმით, ამხანაგებო! ვერა, ვერ შეგვაშინებს. რუსები აღრე მოტყუებით შემოვიდნენ ჩვენთან, ძალით ვერა, ვერ შემოვიდნენ, მაგრამ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ. ტოტალური მობილიზაცია უნდა გამოვაცხადოთ. როგორც ჩვენი წინაპრები ამზობდნენ, ქულზე კაცი უნდა გამოვიდეს ჯარში. საქართველო ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ვიორგი ბრწყინვალის, ცოტნე დადიანის და ერეკლე მეფის ქვეყანაა. ერთ ქართველზე ასი დუშმანი მოდიოდა და მაინც ვიმარჯვებდით. ახლაც ვაივარჯვებთ. დაე, მოვიდეს ერთ ქართველზე ასი ბოლშევიკი. ხალხი არ იცვლება, მისი სული, მისი შემართება, სამშობლოს სიყვარული არ იცვლება. გესმით, ამხანაგებო!

ყურადღებით უსმენდნენ ეგგენი ევანისა.

— როგორც მოგეხსენებათ, შინაური მტერი უფრო საშიშია. ამ შინაური მტრებს ბოლშევიკები ჰქვია. ჩვენი პარტიის დიდი შეცდომა იყო ამ მოლაღატეთა, გამყიდველთა პარტიის ლეგალიზაცია. ახლა ორ მტერთან მოგვიხდება ბრძოლა, — შინაური და გარეშე მტრებთან, — ევანიამ შეისყენა, ცხვირსახოცი ამოიღო შარკლის ჯიბიდან და შუბლი

შეიმშრალა, ყური მიუჭრის მტერს სიმღერას. ახლა იგი თემის ერობის შენობის წინ თემშარიდან ისმოდა, უფრო ნალელიანი, უფრო სევდიანი და მწუხარე. — ამ სიმღერას თურქის ბატონობის დროს მღეროდა ხალხი. მღეროდა რუსის ბატონობის დროს. მაგრამ რუსი ამიერიდან ველარასოდეს გაბატონდება ჩვენზე.

— ვერა, — თქვა კალისტრატე ქვარცხავამ და, ყბებზე საყელოშებჯენილმა, თავი კიდევ უფრო მაღლა ასწია.

— შეკრდით ავეფარებით ტყვიას კაცი და ქალი, — მოჩვენებით პატრიოტიზმით თქვა ესტატე ნაჭყვიამ.

ეგგენი ევანიამ ეშვით შეხედა პროვიზორს და განაგრძო:

— მთელ საქართველოში დაიწყო მობილიზაცია. როგორც მოგახსენეთ, ტოტალური, დიაბ, ტოტალური, გესმით, ამხანაგებო! ჩვენთან ერთად ჩამოვიდა სამაზრო სამხედრო ვალდებულებათა უფროსი ვარლამ ხურცია. ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიოთ მას მობილიზაციის საქმეში, — შეხედა ვახტანგ ლონტას: — თქვენ ის გაუტებზე სახელი ჩვენს სახალხო გვარდიას, ვშიშობ, ძალიან გაგვიჭირდება მობილიზაციის ჩატარება. სკოლის დარბევის და იქ თქვენი ღრეობის ამბავი მთელ მახრას მოსდეს ბოლშევიკებმა... ქვემეხს უშენდით ხალხს, როცა მტერი კარზეა მომდგარი...

— მე აქ ბოლშევიკებისათვის თავზე ხელის გადასასმელად არ გამოვუგზავნივარ შტაბს! — წამოდგა კაპიტანი და მაშინვე დაჯდა.

— სკოლის მერბების დასაწვავად გამოგზავნენ?! მასწავლებლისთვის რევოლურის დასამიზნებლად გამოგზავნენ?! დაბრძანდით!

სიტყვა „დაბრძანდით“ ხშირად წამოსდებოდა ევანიას, როცა ვინმეს ეკამათებოდა.

— ქვემეხი მხოლოდ შესაშინებლად გავისროლეო.

— დაბრძანდით! — ისევ წამოდგა ევანიას. — ვის ამინებდით, ხალხს?

— ბოლშევიკებს.

— ბოლშევიკები არც ისეთი მშისრები არიან, რომ პერსი გასროლით შეაშინოთ. დაბრძანდით!.. ხვალ მასწავლებელს ეახლებით, — უთხრა ლონტს და მერე თემის ერობის თავმჯდომარეს მიუბრუნდა, — თქვენც, ქირია, და ბოდიშს მოუხდით, — დაჯდა, პიჯაკის ღილი შეიხსნა. — ბოდიშს მოუხდით ისე, რომ მთელმა სოფელმა გაიგოს. გარდა ამისა, მერბებს გათენებამდე კლასში დადგამთ. დამტვრეულებს შეაკეთებთ, დამწვრებს ფულით აღნაზღაურებთ სკოლას, — დააცქერდა თემის ერობის წევრებს, — თქვენ აქედან პირდაპირ თქვენ თქვენს სოფლებში წახვალთ. გადაეცით ხალხს, რაც მოგახსენეთ! — სათვალე მოიხსნა. — დავიდალე, ამხანაგებო. სამი ღამეა არ მიძინია. ეიმედოვნებ, რომ თქვენთვის ყველაფერი ნათელია და შეკითხვები არ იქნება, არც სიტყვას მთხოვთ. ნახვამდის, ამხანაგებო! გისურვებთ წარმატებას სამშობლოს საკეთილდღეოდ. გესმით, ამხანაგებო!

ევგენი ევანიას სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული რომ ათმეთაურმა ტატანია სიორდიამ კაჩი შეადო და ლანდივით შეცურდა ფთახში, კაპიტანთან მივიდა.

— პატენ კაპიტან, პატაკ, — უთხრა ხმადაბლა და დალუქული კონვერტი გადასცა. შებრუნდა, ისევ ლანდივით გაეცურდა კარში.

ვახტანგ ლონტმა კონვერტი გახსნა. ყველაშას მიაჩერდა.

კაპიტანი განგებ ნელა კითხულობდა თავისთვის, კმაყოფილი, გაამაყებული დამსწრეთა ყურადღებითა და ცნობისმოყვარეობით. მერე დიდმნიშვნელოვნად ჩაახველა. ერთხანს ყოყმანით შეკუთრებდა დამფუძნებელი კრების წევრს, ისევ ჩაახველა, წამოდგა და პატაკი გადასცა.

შეკრებილნი ახლა ევგენი ევანიას მიაჩერდნენ, მაგრამ მან წერილის ში-

ნაარსი არ გააცნო, უკან დაუბრუნდა ლონტს.

— იმოქმედეთ! — უთხრა ევალე, წერილის წასაკითხავად რომ გაიკეთა, ისევ მოიხსნა, ნერვიულად ატრიალებდა ხელში.

ვახტანგ ლონტი წამოდგა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ამხანაგებო! — წამოდგა ევგენი ევანია, მიმართა შეკრებილთ და სათითაოდ დააცქერდა ყველას.

თემის ერობის წევრები ადგომას ავიანებდნენ. აინტერესებდათ რა ეწერა პატაკში. ევგენი ევანიას სახის გამოკეტვებულება და ოთახიდან კაპიტნის სწრაფი გასვლა მოწმობდა, რომ კარგი ამბავი არ მოიტანა ტატანია სიორდიამ. ვერ მიხვდნენ, რატომ არ გაამხილა ევგენი ევანიამ.

პირველი სამხარო ერობის გამგეობის თავმჯდომარე იროდიონ ჩხეტია წამოდგა და ამით სხვებსაც აგრძნობინა — გასულიყვენ. სათითაოდ წამოიშალნენ თემის ერობის წევრები, ფერშალი, ფოსტის გამგე, პროვიზორი, უნდომლად, ზანტად, ისე გავიდნენ ოთახიდან, ხმა არ ამოუღიათ.

ეზოში რომ ჩავიდნენ, მაშინ კი ალაპარაკდნენ.

— დავვიმალეს, ალბათ პატაკში რაღაც საიდუმლო ეწერა.

— იქნებ ომი დაიწყო.

— ასე იქნება, პატაკი კაპიტნის სახელზე მოვიდა.

— ჰო, სამხედრო საიდუმლოება იქნება.

კალისტრატე ქვარცხავას ხელკავით მიჰყავდა ფოსტის გამგე.

— კაცო... სოციალ-დემოკრატებს ყველაფერი საიდუმლოებით გაქვთ მოცული, — უთხრა ექვთიმემ ფერშალს.

— სიცრუეა, ცილისწამებაა! — იყვირა კალისტრატემ და ბულდოგის ჯიშის ძაღლისთავიანი ჯოხი აიჭინა.

— ეროვნულ დემოკრატებს არაფერი

გვაქვს დაფარული, — დინჯად მიუგო ექვთიმე ყალიჩაევამ. — დაუშვი ჯოხი! — ექვთიმე! — წასჩურჩულა მუქარით ფერშალმა, მაგრამ ჯოხი მაინც დაუშვა.

— კალისტრატე! — წასჩურჩულა მუქარით ფოსტის გამგემ და სახეზე ცხვირსახოცი ჩამოისვა.

ამით დამთავრდა მათი მუქარა.

თემშარაზე გავიდნენ. ფეხქვეშ ტალახი და წყალი აქყაბუნდა. ექვთიმე და კალისტრატე სოფლის ბოლოში ცხოვრობდნენ. მთელი სოფელი უნდა გავვლოთ შინ მისვლამდე.

ცნენოსანი პატრული უვლიდა სოფელს.

— ეს რა ამბავია! — შეიცხადა ფოსტის გამგემ.

— სოფელში შემოსასვლელი გზები შეუქრავთ, — უთხრა ფერშალმა კალისტრატეს.

— ეი, ვინ მოდის! სდექ! — გზა გადაუქრეს გვარდიელებმა კალისტრატეს და ექვთიმეს.

— ჩვენა ვართ, ექიმი და ფოსტის გამგე.

— გაატარო! — გაისმა სიბნელეში სიორდიას დიაცური, გამკვივანი ხმა. — მიბრძანდით, პატენ ექიმი და პატენ ფოსტა!

ექვთიმემ და კალისტრატემ ნაბიჯს აუჩქარეს, მაგრამ ფოსტის გამგეს ასთმამ მალე შეუბოროკა ფეხი.

— იქნებ მართლა დაიწყო ომი, — თქვა ფერშალმა.

— შესაძლოა, — თქვა ექვთიმემ. აღარ იმშრალებდა ოფელს, ქოშინით, ხვნეშით ძლივს მიაქყაბუნებდა მორივით მსხვილ, მძიმე ფეხებს წყალსა და ტალახში.

ვარდენ ბუკია ჩქარი ნაბიჯით ეშვებოდა მალნარზე. შინ მისწრაფოდა. ფოილოს ხიდზე გადმოსვლიდან აქამდე ხან ფეხით მოდიოდა, ხან ცხენით, ურმით, ორთვალით, ეტლით, მატარებლით, მშვიკრი, მწყურვალი. ხიდზე გა-

დმოსვლამდე შულავერში საქართველოს ახალშექმნილ ბოლშევიკურ მშრომლებს შეხვდა, თბილისში ასრულებდნენ ელჩის შეიშანს, რომელმაც ის იყო, კიროვი შეცვალა.

აზერბაიჯანის საზღვრიდან მოყოლებული გზადაგზა ქალაქებში, დაბებში, მთისა თუ ბარის სოფლებში ხედებოდა ბოლშევიკურ უჯრედებს, ორგანიზაციებს, სამაზრო კომიტეტებს. აცნობდა მათ ლენინთან საუბრის შინაარსს და მის დავალებებს, ურიგებდა ლენინის „პასუხს გლეხების შეკითხვებზე“ და მიწის დეკრეტს. მიიჩქაროდა ვარდენ ბუკია, დრო არ იცდიდა, დრო არ ითმენდა.

მალნარი სიბნელით იყო მოცული. ქვევით ქალაზე მდინარე მკრთალად ლავლივებდა, დადინჩებული მიწის შავ ფონზე მეტ ციმციმს იკიდებდა. წყალში არეკლილი ვარსკვლავები, ალაგ რომ ბრწყინავდა და ალაგ რომ ბეტუტავდა, რიგრიგობით ქრებოდა.

აღმოსავლეთით ცა შეფერიანდა. მარჯვნივ მუხნარის ტოტებში ფრთები აფართქალდა, აფართქალდა მარცხნივ, წინ, უკან, გაისმა ყიპყიპი, გაიდვიძა ტყემ, მდინარიდან გრილმა ნიავემა დაჰბერა.

მდინარის გაღმა მამლები ყიოდნენ. ვარდენი ბუნდოვნად ხედავდა განთიადის მჭრქალ პერანგში გახვეულ სოფელს, თავის სოფელს. იცოდა, სად ვისი ოლა იდგა, სად რომელი შუკა იყო, რომელი ჩიხი, აგვარა, აფთიაქი და ფოსტა, სკოლა და საყდარი, სამკედლო, სახარაზო, სად — დუქანი, წისქვილი, სად ბუკიები სახლობდნენ, სად — ყორშიები, ფილიპიები, ხვინგიები, ჯგერენაიები, ყალიჩაეები, კორძახიები, წაჭყებიები, ქვარცხაეები, ესებუები. იმ შუკებში დარბოდა ვარდენი ფეხშიშველი, დარბოდა თბილ მიწაზე. იქ ყველაფერი მისი იყო: ოდები, დობები, ვენახები, ფიცხი ზღვაური, ზღვიდან ელვის დარტყმასავით მოვარდნილი თქეში. გაუთბა გული, თვალე-

ბი, მთელ ტანში სიმსუბუქე იგრძნო, დამთრობელი კმაყოფილება იგრძნო.

სოფელი დიდი იყო, მალლობიდანაც კი თვალგადაუწვდენელი, და მაინც ვარდენი მთელ სოფელს ხედავდა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ ამოსულა ამ მალნარზე ბავშვობისას ფიჩხისათვის, მერც — შეშისათვის, სოკოსათვის, წიფელის წიწიბოსათვის, უთამაშნია აბრავობა მეზობლის ბიჭებთან, ამოუყვანია გოგო, სკოლის მერხიდან რომ უყვარდა, რამდენი ურბენიათ აქ, დამალვიან ერთმანეთს, უპოვიათ ერთმანეთი, უგორავიათ მუხნარის ქვეშ, მთელ ქვეყნად უღირდათ ერთი შეხება, ერთი კოცნა, არ ჰქონდათ იმდენი სითამაშე, ჰქონდათ რიდი და წმინდა სიყვარული.

გარიერაზე დგებოდა და ვარდენს თითქოს თავზე ბედნიერებას აფრქვევდა. გუშინდელი წვიმის წვეთები ციმციმებდა ყველგან: მიწაზე დაფენილ დამალ ფოთლებზე, ტოტებზე, ბუჩქებსა და ბარდებზე. ვარდენს ენევენებოდა, რომ თავისკენ იზიდავდა გარიერაჲს ფერებით გაბრწყინებული ციმციმი, მტრედისფრად მოსილი ტყე.

სიბნელეს სძლია სინათლემ და შეფერიანდა მალნარი, უძრავი, მაგრამ ცოცხალი მალნარი. ტყე სუნთქავდა და ეს სუნთქვა მრავალჯერ ნაგემებ სითბოს, სიმხნევეს ჰგვრიდა ვარდენს. ჰაერში ტყის სურნელება იყო გამჭდარი და თავისი უხილავი ფრთებით ელამუნებოდა ვარდენს. არა მარტო სახეზე გრძნობდა ამ ჰაეროვან ფრთებს, ნაბდის შიგნითაც, ტანსაცმლის შიგნითაც, მთელი ტანით, მთელი გულით, სულით.

გამშორდა ტოტებსა და ბარდებში ფრინველთა ჟივილ-ჭიკჭიკი, კრიახ-ყიბყიბი. რა ნაცნობი იყო ტყის ბინადართა ეს ხმები, ფრთების ბათქუნნი, ტყის ნესტი, სიგრილე, ჩრდილი და შუქი.

ხავსა და დამალ ფოთლებზე ფეხი უტურდებოდა გაჩქარებით თავქვე მიმავალს. რამდენჯერ დაკემულა ამ ფუყე, რბილ მიწაზე და არ უგრძენია

ტყვილი, უნდოდა ხელახლა განეცადა ეს, მაგრამ აღარ იყო ახალგაზრდობა, აღარ იყო ის გოგო, ის ვნებანი, ის ვარული. მაინც უნდოდა, ერბინა, თავზე მოქცეოდა მალნარს, გაგორებულ იყო მუხის ქვეშ ამ ფუყე, რბილ მიწაზე, მიწებებოდა ტანზე ცივი ფოთოლი, გადევნებოდა იმ გოგოს, დამალვოდა, დანახვებოდა, არ შეხებოდა, ოღონდ დანახვებოდა, წარმოდგენით მაინც დანახვებოდა. იქნებ გათხოვდა ეკა, აღარც არის სოფელში, თავისი ოჯახი აქვს, შვილები ჰყავს, ბედნიერია, კმაყოფილია, აღარ ახსოვს ვარდენი, ეს მალნარი, ეს მუხნარი, ეს ფუყე, რბილი მიწა. უცებ მთელი სულით მოუნდა სიჭაბუქე, დაბრუნებოდა ის ხანი, ის დრო, ის გრძნობა, ის სიყვარული, ის სიხარული. ნაღვლიანად გაიღიმა. ვერ დაიბრუნებდა იმ ხანს, იმ დროს, სიჭაბუქე აქ დატოვა, ამ მალნარში, ამ მუხნარის ძირას, ამ ფუყე, რბილ მიწაზე და აღარ დახვდა. სიჭაბუქე არ დახვდა, მაგრამ იქნებ სიყვარული დახვდეს, იქნებ სიხარული დახვდეს. სიჭაბუქე თავდება, უკან მოუხედავად მიდის. სიყვარული რჩება, იცვლება, მაგრამ რჩება. გრძნობდა, რომ სიყვარული ყოველთვის მასთან იყო, მასთან იყო დარჩენილი, ყოველთვის გრძნობდა სიყვარულს, ყოველთვის, ყოველ ქამს და ახლაც ცხადლივ შეიგრძნო, მთელი სხეულით შეიგრძნო. ნაბიჯ კიდევ უფრო აუჩქარა. სიყვარული მასთან არის. სული წინ უსწრებდა.

გათენებამდე უნდა შესულიყო სოფელში. იცოდა საქართველოს მიწაზე ფეხის დადგმის დღიდანვე თვალს ადევნებდნენ, გეში აღებული ჰქონდათ, კვალში ედგნენ. მაინც ვერ შეიპყრეს. კვლავ ფრთხილობდა, გზებსა და ბილიკებს ერიდებოდა, გაუფალითა და უდაბურით მოდიოდა.

ქალა განთიადის ციმციმში უფრო მრუშე ჩანდა. ზღვის ჰავლს მოჰგავდა. ასეთი ახსოვდა შავი ზღვა ღრუბლიანში. „ადრე დაუხნავთ! თებერვალი და-

დგაო, ხეში წყალი ჩადგაო!“ მადნარი ჩაათავა, ქალაზე გავიდა. ბევრჯერ დაუხნავს ეს მიწა. ყმაწვილი ჯერ კამეჩებს მიუძღოდა, მამასთან ერთად იჭდა კაკლის ჩრდილში და უყურებდა, რა მარჯვედ უწებდა ღომს მზით გარუჯული, შრომით დაკოყრილი მამის ღონიერი ხელი ხის ჯამში ამოღესილ ღობიოს, რა მადიანად ჰქამდა ბეგლარი, ისე მადიანად, რომ მისი შემხედვარე ნასადილე ვარდენს შიშხილით კუჭი აეწვეებოდა. არ იცოდა მაშინ, რატომ ჰქამდა მამა მთელ ჭოთან ღობიოს, ექვს ჩოგან ღომს: მაკას მომზადებული მოსწონდა აგრერიგად, თუ შრომით მოქანცულს შიოდა. კარგად არ იცოდა მაშინ, რა იყო შრომა, გათენებიდან შეღამებამდე წელგაუმართავი ხენა თუ მარგელა, მეორე თოხი თუ მესამე თოხი, სიმინდის ტეხა, ჩალის აქრა მუხსა და წვიმაში, ქარსა და ღარში.

მოათავებდა თუ არა მამა ჰამას, ვარდენი ჭოთანსა და ჯამებს კალათაში ჩაალაგებდა და მდინარეზე წაიღებდა გასარეცხად. მერე დაიკაიწებდა სახელოებს, აიკარწახებდა ძიქვის ტოტებს და მეჩხერში ჰქებებიდან ღორჯოები გამოჰყავდა. ისე მოხერხებულად, შორდად შეაყურებდა ჰქვის ჰქვემ ხელს, ჰქვას არ გაანძრევდა. მანამ არ გავიღოდა მდინარიდან, ვიდრე მამა მარგელას არ მიატოვებდა, მეწველი ძროხისათვის გამოთიბული: ალერდის ხორომს ცალ მხარზე არ გაიღებდა, მეორე მხრიდან თოხის ტარს ამოსდებდა და ბორნისაკენ არ გასწევდა.

გაწუწული, დაღლილი, მაგრამ ნადავლით კმაყოფილი, გაღადებული გვერდით ამოუდგებოდა მამას და ერთად შედიოდნენ სოფელში.

ღედა თევზს გამოშინავდა, გარეცხავდა, მარილს დაყრიდა, გააკრავდა გახურებულ კეცზე და კერას მიუფიცებდა. თევზი ისე გემრიელად იბრწყებოდა, ისეთი მადის ამღძვრელი ტყაცუნით სკდებოდა ღორჯოს სიფრიფანა კანი და ისეთ სუნს აყენებდა, რომ

ჰქებებ და ვარდენი ჰამის მოლოდინში კბილს აწაკწავებდნენ. ჰქებებზე უყვარდა ღორჯო. ღედა მუტს მუტს ჰქებებდა, მაგრამ ჰქებებს ის პირის ქარად არ ჰყოფნიდა და ვარდენს სტაცებდა.

მერე მამამ თოხი რომ მისცა ხელში, მერე კიდევ ერქვანი, მაშინ გაიგო, რატომ ჰქამდა ბეგლარი მთელ ჭოთან ღობიოს, მთელ კონა პრასს ან მწვეანე ხახვს, ექვს ჩოგან ღომს, და ისიც — რა ვეება ჩოგანს, მთელ სოფელში რომ იყო განთქმული. მაშინ გაიგო ვარდენმა იმ ღობიოსა და ღომის გემო და სიმწარე. სიმწარე იმიტომ, რომ მამაშვილის ოფლით მოწეული სიმინდის ნახევარი ჩიჩუებს მიჰქონდათ.

არც ვარდენმა და არც ჰქებებმა არ იცოდნენ, სად მიჰქონდათ მათი მოწეული სიმინდი, ვის ხმარდებოდა, ვინ პატრონობდა. სოფელში არც სახლი ედგათ ჩიჩუებს, არც ჰქიშკარი ებათ. ნასახლარზე ბუხარიდა იყო ასვეტილი, ქარით, წვიმით, მზითა და ხავსით შექმული.

აგერ ბორანი. ბახვას უთუოდ სძინავს. ვარდენს ფეხი უვარდებოდა ნახნაეში, გრძნობდა მიწის სურნელს, მთელი სხეულით, სისხლით, ხორციით გრძნობდა ნაცნობი მიწის სურნელს, სითბოს. ამ სურნელში ნისი ოფლის სუნიც იყო, ამ მიწას მისი ოფლიც ერია.

— კარგად დაუხნავთ. მალე შენი იქნება ეს მიწა, ბაბა! მალე თქვენი იქნება ეს მიწა! — თავი ასწია და უთხრა სოფელს.

ქალაში უფრო ახლო, უფრო გარკვევით ესმოდა მამლების ყივილი. ესმოდა სოფლის სხვადასხვა მხრიდან. ერთნი წერილად ყიოდნენ, მეორენი — ხრინწიანად, სხვები — მსხვილად.

მდინარეს მიუახლოვდა. წყლის შხეილიც შეესმა, დამამშვიდებელი, მამებელი, თითქოს ეს ხმა ყოველთვის მასთან იყო, ყველა ფრონტზე, ყველა გზაზე ომით დანგრეულ, გადამწვარ ქალა-

ქებასა და სოფლებში, არასდროს მოშორებია, არც დაპირილს, არც უენებელს.

ამ გრძნობამ ისე ნათლივ, ხელშესახებად დაუბრუნა გასული ათი წელი, თითქოს არც წასულიყოს აქედან, აქ იყო, ამ ჰალაში. ამ მდინარესთან, ასე ესმოდა მისი ხმა, მისი შხელილი.

უცებ დამშვიდდა. აღარსად მიეჩქარებოდა, აღარ უთვალთვალუბდნენ, აღარაფერი ანაღვლებდა, თავბრუდამხვევმა უღარდებლობამ შეიპყრო. ნაბიჯი შეაჩერა, რომ დიდხანს შერჩენოდა ეს გრძნობა, უჩვეულო ნეტარებისაგან თვალი დახუჭა. მდინარის შხელილი უფრო ხმამაღლა შეესმა. წყალი ბორნის ნავების კედლებს ასკდებოდა. ეს ხმაც ნაცნობი იყო. რამდენჯერ მიუცია ბახვას ორთაყვირი, რამდენჯერ გაუყვანგამოუყვანია ვარდენს ვაღმა-გამოღმა ბორანი.

თვალი გაახილა და ბორანზე გავიდა. ბახვას მართლა ეძინა. როგორც კი ფეხი შედგა ბორანზე ვარდენმა, მაშინვე გაიღვიძა, დაფეთებული წამოვარდა. — ვინა ხარ? — ჰკითხა მის წინ ასვეტილ ნაბდიან კაცს.

— რამ შეგაშინა, ბახვა? ვარდენი ვარ.

— რომელი ვარდენი?!

— ბუკია.

— ბეგლარის ბიჭი?! — გაოცდა მე-ბორნე. — ცუცხალი ხარ?! მადლობა უფალს, აღარავის ჰქონდა შენი დაბრუნების იმედი, ბიჭო! — ბახვამ ხელი ჩამოაჩრთვა, მოეხვია, აყოცა.

— ბიჭო! — გაეცინა ვარდენს — ის ბიჭი კაი ოცდაათი წლის ყაზახია, ბახვა. შინ რა ამბავია?

— შენი დარღით აღარ არიან.

— კიდევ?

— კიდევ... — შეყოყმანდა ბახვა. — შინ მშვიდობაა, — ისე უთხრა, რომ ვარდენმა იგრძნო მშვიდობა არ იყო. — სოფელში არ არის მშვიდობა.

— რატომ?

— ჯარი დგას სოფელში. ეგზეკუციაა.

— რაო? — ჰკითხა ვარდენმა და როგორც ჰაბუკობისას ხელნაწილებს წაუყვიდა, ბორანი აუშვა. ჩქარა-ჩქარა ლები ეძგერა ნავებს, ზედ შეემსხვრა, ჰაფად იქცა, ზვირთებში ჩაინთქა. ვარდენმა ორთაყვირის ჩასტაცა ხელი და ბორანი დაძრა. ბავირზე ჩუმი ღრიქინით გაეცურდა გორგოლაქი.

ამ ბორნით გავიდა ვარდენი, ჯარში რომ მიდიოდა. ასე ეკიდა ხელი მაშინაც ორთაყვირზე, ასე ახლო იდგა ბახვა, დედა, მამა, ჯვებე. ტალღები არ ასკდებოდა მაშინ ნავებს, წყნარი იყო მდინარე, მოცისფრო, არ იყო გარიყრაცი, იყო მზიანი დღე და ვარდენი თვალს არიდებდა დედის დაღონებულ სახეს, მამის აუშტად შეკრულ სახეს, ჯვებეს ცრემლიან თვალებს.

წყალი გამეტებით ეძგერა ნავების კედლებს და ერთბაშად დაძრა ბორანი. როგორ უყვარდა ტალღების ჯიქური მოძალება, მათი თეთრი, ჭუჭყიანი ფაფარი.

— დაიცა, ვარდენ! — ხელი ჩაავლო ორთაყვირს ბახვამ. — სოფელში ყველა შესასვლელი შეკრული აქვთ გვარდიელებს.

— გვარდიელებს?!

— აბრაგს ელიან.

— აბრაგს?

ბორანი შუა მდინარეში იყო გასული. ვარდენმა გადაწყვიტა უკან გაებრუნებინა. ამ დროს ვაღმა ნაპირზე ფლოქებების თქარუნი ავირდა და მაშინვე სამი ცხენოსანი მიიჭრა ბორნის მისადგომთან.

— ეი, საღ მიგყავს ბორან?! — გამკვეთა ანჯარა ჰაერი ტატაჩია სიორდიას დიაცურმა, გამკვივანმა ხმამ. — გამოაბრუნ ბორან, თორემ გესერ! სიორდია ვარ, ტატაჩი ჰაერში კაბიკიანს ეხვრეტ! — ვაღმოიღო მხრიდან კარაბინი.

ვარდენმა ნაბადი გადააგდო, ისკუბა, ვაღეშვა მდინარეში, წვეთი არ ავირდნილა, არც ჩქამი გაუღია წყალს.

— ჰატ, დედაგაღლეტილ! კაც კი არა,

ქაჯ ვერ წაუვა ტატან სიორდს! — შე-
სძახა და ესროლა. — მიეხედ, რა სულ
ბრძანდებ.

ვაისროლეს სიორდიას აქეთ-იქით
მდგარმა ზაჭრო ბროლაქემ და იური
ორლოვმაც.

ვარდენი ღრმა ყვინთვით მიჰყვებოდა
დინებას. ტატანია სიორდია შეუცდო-
მლად ესროდა, მის ტყვიას ერთ ციდა-
ზე გაუდიოდა წყალში ყლუბუნი.

— მომყევ, ბროლაქე! — უბრძანა ტა-
ტანია სიორდიამ ბროლაქეს. — შენ კი
დარჩ, ორლოვ, ის ყურუმსად მებორნე
დააბატიმრ! — დეზი ჰკრა ცხენს და და-
ღმა გაენტო.

ბორანი ნაპირს მიადგა.

— ვინ იყო? — ჰკითხა იური ორ-
ლოვმა ბახვას.

— წალენჯიხელი აბრაგი, ქუჭა დი-
ხამინჯია, — უთხრა ბახვამ.

— აბრაგი აიყვანე ბორანზე!

— რევოლვრის ლულამ ამაყვანინა, —
უთხრა ბახვამ.

— ყოჩაღ! — მოუწონა პასუხი იური
ორლოვმა. — მოსწრებულად მითხარი.

— მართალი ვითხარი. რუსი ხარ თუ
კახაჯი? — ჰკითხა ბახვამ, რომ შეეყოფ-
ნებინა გვარდიელი.

— რუსი და კახაჯი სულ ერთია,
მოხუცო.

— შენთვის სულ ერთია, ბაბა, ჩვენ-
თვის არ იყო სულ ერთი, ალიხანოვის
კახაჯებმა გადაგვწყვეს ცხრაას უხუთში.

— ის ალიხანოვის კახაჯები იყვნენ
მოხუცო.

— შენ ვისი კახაჯი ხარ, ბაბა?

— მე სახალხო გვარდიელი ვარ.

— მეფის კახაჯები ზარბაზნებს გვეს-
როდნენ, ცეცხლს გეიკიდებდნენ. სა-
ხალხო გვარდიელებიც ზარბაზნებს გვი-
შენენ, მიწიდან გვერეკებიან. ეს როგორ
გამოდის! — გაიმეორა ზოსიმე ყორ-
შაის სიტყვები ბახვამ.

— მეც არ ვიცი, როგორ გამოდის, —
მიუგო ორლოვმა — დააბი ბორანი და
წამოდი.

— სად წამოვიდე?!

— როგორ თუ სად?! აბრაგი გად-
მოგყავდა, ქუჭა დიხამინჯია, აბრაგი
არე!...

ვარდენს წყლის ზემოთ ესმოდა სრო-
ლის ხმა, ტყვიების ყლუბუნი. როცა
უფრო მიუახლოვდნენ გვარდიელები,
ფლოჭვების თქარუნიც შეესმა, მაგრამ
მალე უკან ჩამორჩა. თავი ამოჰყო, ჰა-
ერი შეისუნთქა და ისევ ჩაყვინთა. ასე
ყვინთვითა და თავის ამოყოფით მიცუ-
რავდა დაღმა. ჩექმები გადახტომისთა-
ნავე გაიძრო წყალში. ტანისამოსი მაინც
უშლიდა ცურვას.

მდინარის მარცხენა ნაპირი ტიტველი
იყო. ერთი ბუჩქი და ხე არ იდგა. იქ
ვერ გავიდოდა, უკან რომ გაბრუნებუ-
ლიყო, გვარდიელები დიანახავდნენ.
მარჯვენა ნაპირი ტყესთან დაბლდებო-
და, ჯაგნარით და ისლით იყო დაფარუ-
ლი. ვარდენმა იცოდა ეს და სწორედ იმ
ისლნარში გადაწყვიტა გასვლა. იქ თუ
მოუსწრებდა მდევარი ისლებში ჩაწვე-
ბოდა, ვერც ცხენი შევიდოდა ქუჩან-
ტობში და ვერც კაცი.

გავიდა მდინარიდან, მაშინვე ჩაწვა.
ერთხანს უძრავად იწვა, სუნთქვა ეკე-
როდა, გული ამოგარდნაზე ჰქონდა.
მაინც უძრავად იწვა ცურვით გაგუდუ-
ლი, ცურვით მოქანცული. ისლის ერთ
შერბევას შეეძლო მდევრის უკრადლება
მიექცია. მხოლოდ უბეზე წაივლო ხე-
ლი. იქ ეღო ლენინის „პასუხი გლეხე-
ბის შეკითხვებზე“ და მიწის დეკრეტი.

გვარდიელებმა ჩაიქროლეს, აღარ ის-
როდნენ. კიდევ ცოტა შეიცადა ვარ-
დენმა, მერე მუხლებზე წამოდგა, მაგრამ
ქუჩანტობი წელამდე სწვდებოდა. კისერ-
ზე რაღაცამ უკბინა, ხელი მოისვა. წურ-
ბელა იყო. წურბლები ეჯდა ხელეზუ-
დაც, სახეზედაც, შუბლზე. როგორ ვერ
იგრძნო აქამდე? ვერ იგრძნო იმიტომ
რომ მისი გულისყური სხვაგან იყო,
მდევრისაკენ იყო მიქცეული. სწრაფად
მოიშორა წურბლები და ქუჩანტობ-
ნით გავიდა ისლნარიდან, ტყეში შეირ-

ბინა, ხეს მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო, შეისვენა.

შორს არ იყო ნაპირიდან, აქ მღვევარს შეეძლო დაენახა. ხეს მოშორდა, ტყის სიღრმეში წავიდა, ბარბაცით მიდიოდა, მუხლი ეკვეთებოდა, ხეებსა და ბუჩქებს ეპოტინებოდა, ყელში რაღაც კრიოდა, ყელში მწარე, შხამივით მწარე გუნდა აწვებოდა, ხრიალებდა, ეგონა სისხლს გადმომანთხევდა. მაინც მიდიოდა, სანამ არ წაპოროძიკდა, ველარ მიადწია ვერც მახლობელ ხემდე, ვერც მახლობელ ბუჩქამდე და პირქვე დაეცა.

სველი ტანისამოსი ყინვასავით ეკეროდა ტანზე. გაუხედა სხეული, გაუჩერდა გული, თითქოს მისი აღარ იყო ფეხები, ხელები, მკერდი, მუცელი, თითქოს სხეულის ყველა ნაწილი სხვების ტანის ნაწილებისაგან იყო შეკოწიწებული. ეგონა, სისხლი დაუშრა, სუნთქვა შეუწყდა...

არ ახსოვდა, რამდენ ხანს იწვა, რადრო გავიდა. ძლივს წამოჭდა, ძიქვახალათი გაიხადა, საცვლებიც გაიხადა, გაწურა გაფერთხა, წამოდგა და ბუჩქზე გადადინა. ტანის დაზელა დაიწყო, იზებდა მანამ, ვიდრე ძაგძაგი არ შეუნელდა. მერე ზის გარშემო იწყო სირბილი. ეგონა გარბოდა, მაგრამ ძლივს მიათრევედა ფეხებს. წვიმაში, თოვლში, ყინვაში, ხვატში გაკაცებულ მის სხეულს მაინც შეუდგა სითბო.

ტანისამოსი რომ ოდნავ შეშრა და სული მოითქვა, ჩაიკვა. მიათვალეერ-მოათვალეერა ნაცნობი ტყე. მალე აიღო სოფლის გეზი, ნელა, მძიმედ წავიდა. ყოველთვის ახსოვდა მამის დარიგება, ჯარში წასვლის დღეს რომ უთხრა ბეგლარმა: დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანო, შუა გზაზე არ უნდა შეჩერდე, ადამიანის გამარჯვება საკუთარ თავზე გამარჯვებით იწყებაო. მამის ეს სიტყვები არასოდეს არ დაეიწყებია ვარდენს და ამან ბევრ დამარცხებას გადაარჩინა, ბევრი გამარჯვება მოუტანა.

სოფელში არავის უკვირდა ბეგლარის დაღაგებული, აზრიანი, გლეხის სიბრძ-

ნით გამსჭვალული მსჯელობა... ბევრს ჰქონდა სამოცდახუთი წლის განმავლობაში, ხელი, გაგონილი, განცდილი, ბევრს ჰქონდა კარგს გადაუვლია მის თავზე, ბევრი სიმწარე და ცოტა სიამე უნახავს.

სამზადში კერის პირას გაწყობილი ტაბაკი იდგა. კრაქისა და ცეცხლის შუქზე ტაბაკზე დაგებული ყვითელი სიმინდის ფქვილის ცხელი ღომი ლივლივებდა, ლამაზად დაწყობილი შემწვარი ღორჯო ლურჯ-ყვითლად, ციმციმებდა, ნაირ-ნაირი მწვანილი და ფხალის წითელი მწნილი კამკამებდა, სულგუნისა და ხორცის დიდი ნაჭრები ელაგა. ერთადერთი, რაც პატარა მოჰქონდათ ამ თავხში სუფრაზე, ღორჯო იყო. ლობიოს, საწებელსა და სურნელსაც დიდი ჯამით დგამდნენ, ჰიქებსა და ღვინის ღოქსაც დიდს დგამდნენ, გულიც დიდი და ღია ჰქონდათ. შრომა და გარჯაც დიდი იცოდნენ.

ტაბაკს მაკა და ჯგებე უსხდნენ. ჯგებე კარგა ხნის დამშეულოვით შეეჭკეოდა საჭმელს. ყველაფერი გემრიელი ეჩვენებოდა, ჭამით ვერ ძლებოდა.

— გახსოვს, დედა, რამდენ ღორჯოს იჭერდა ვარდენი.

— შენთვის იჭერდა, შემოეცვლოს დედა.

— გახსოვს, დედა, როგორ ვტაცებდი ჯამიდან?

— რა დამაეიწყებს, შვილო.

— გახსოვს, როგორ უხაროდა, დედა?

— როგორ არ მახსოვს, შემოეცვლოს დედა.

— ვარდენის დაჭერილი ღორჯო უფრო გემრიელი იყო, დედა.

— მისი ხელით გაკეთებული ყველაფერი კარგი იყო, შვილო.

— ეს ღორჯოები ვინ დაიჭირა, დედა?

— მამაშენმა, შვილო.

ღორჯოები გვანჯის დაჭერილი იყო.

— რატომ შენ არაფერს სჭამ, დედა?

— შეეჭამ, შვილო.

— ჭამე, დედა! რამდენი ხანია ერთად

არ ვმსხდარვართ ამ ტაბაკთან. ისე შენატრებოდა ეს შუაცეცხლი, შენი გაყვებული ლობიო და ღომი, ვარდენის დაქერილი ღორჯო. ნუ სტირი, დედა! ვარდენი დაბრუნდება, დედა.

— დაბრუნდება, შემოველოს დედა.

— მართლა ბაბამ დაიჭირა ეს ღორჯო, დედა?

— მართლა, შვილო, — ახლაც დაუმალა მაკამ. უნდოდა დაერწმუნებინა, რომ მამა აღარ უწყრებოდა.

ჯვებეს ხელში შერჩა ღორჯო, ღია კარში შემოსულმა მთვარემ გაანათა მისი გაზარებული სახე: „ბაბამ ჩემთვის დაიჭირა ღორჯო“.

— ბაბას ორი ღამე არ უძინია, შვილო.

— ვიცი, დედა.

— შენმა დარღმა არ დააძინა, შვილო.

— ვიცი, დედა.

ღოჭიდან ღვინო დაისხა და სულმოუთქმელად დალია.

— ბაბას დაწურულ ღვინოს სულ სხვა გემო აქვს, დედა.

— ბაბას გაყვებულ საქმესთან სხვისი გაყვებული ვერ მოვა, შვილო.

— ვარდენი ჰგავდა ბაბას, დედა?

— მისი ასლი და კვალი იყო, შემოველოს დედა.

— ვარდენის დაქერილი ღორჯო მზინც უფრო გემრიელი ძყო, დედა.

— ღმერთო, შენი ნათელის ჰირიმიე, ვარდენის უნახავად ნუ ჩამიყვან სამარგში.

— ნუ გეშინია, დედა! დაბრუნდება ვარდენი. რამდენი ტყვედ ნამყოფი დაბრუნდა შინ. ვარდენიც დაბრუნდება, დედა.

— შენს პირს შაქარი, ნანა. თვალი ამომიღამდა მის მოლოდინში მე სამიწეს.

— დაბრუნდება ვარდენი, დედა. გული მიგრძნობს, მალე დაბრუნდება ვარდენი.

— შენს გულს შემოველე, ნანა.

თემშარაზე მეურმე მიიმღეროდა:

მადო ჩქიმი არაბია მიფსევარსლოტ,
მიერქველქველსოტ,
ლაკაციაშ ღირძე უღუ, შელქველქველსოტ,
კილეურღუ.

ბრუი, აშო ნაბარბალუს, ქურია დო ნაბადარე,

ჩელა სქანა გიმნაზია...!

— როგორ უნდოდა გიმნაზიაში სწავლა, დედა.

— სწავლაზე ჭკუას კარგავდა, შემოველოს დედა, მაგრამ არ დასცალდა.

— ბაბა ამბობდა, ოდის გაყიდვა რომ მომიხდეს, ვარდენს მაინც ვასწავლიო.

— არ დასცალდა ვარდენს, შვილო.

— ნუ სტირი, დედა, მალე დაბრუნდება ვარდენი. გული მიგრძნობს, დედა. სადღაც თოფი გავარდა.

ჯვებემ ჭამა მიატოვა.

— სიორდიას კარაბინია.

— ვინაა, შვილო, სიორდია?

— ეშმაკის ფეხი, კაცის ჰირი. ათმეთურია ჩვენი.

გაეარდა ისევ. ერთხელ, მეორეჯერ. გაბშირდა სროლა.

— ვის ესკრიან, შვილო?

— ჭუჭუა დიხამინჯიას.

— დიხამინჯიას დამჭერი კაცი არ დაბადებულა, ნანა.

გაეარდა უფრო ახლო.

ჯვებე წამოდგა, თოფი ჩამოხსნა კედლიდან, ქული დაიხურა და ფალასკა შეისწორა.

— არ წახვიდე, ჯვებე!

— არ შეიძლება, დედა.

— არაფერი შეგემთხვეს, შვილო!

— ნუ გეშინია, დედა! — საშაღიდან გავიდა, ჰიჭრისაკენ გაიჭრა.

— ფრთხილად იყავი, ჯვებე! — დაუძახა ზღურბლიდან მაკამი.

ვიღაცა ღობიდან შუკაში გადახტა. ეტყობოდა, დიღხანს მისდევდნენ. მთელი დღე-ღამის უქმელ-უსმელი დაბინდებისას შეიპარა სოფელში და, თითქოს

1 მე და ჩემი არაბია მივაბიჯებთ, მიფსევარსლოტ, მიერქველქველსოტ, ღირძე უღუ, შელქველქველსოტ, კილეურღუ, ბრუი, აშო ნაბარბალუს, ქურია დო ნაბადარე, ჩელა სქანა გიმნაზია.

ტატაია სიორდიას სულმა უგრძნო, სწორედ ტყის მხარეს ჩაუსაფრდა. ვარდენი ტყეში რომ არ შებრუნებულყო, ერთხანს აცალა, მერე შორიასლო გაჰყვა, გვირდევლები ვაფანტულად გაიყოლია.

ასე იარეს შუა სოფლამდე. აქ დაინახა ვარდენმა, რომ ალყაში იყო მოქცეული, რევოლვერი გაიძრო და გაიქცა. გადაბტა ივანე შელიას ეზოში, იქიდან — ზოსიმე ყორშიას აგვარაში, გაიქრა ექვთიმე ყალიჩაევს ვენახში. ტყვიები სულ ახლო ყურთან უწიოდა, მხრებთან, მარჯენივ და მარცხენივ. მისთვის ნაცნობი იყო ეს წივილი, თითქოს წინასწარ იცოდა, საიდან ესროდნენ, როდის ესროდნენ და იმის მიხედვით გარბოდა ხან წელში მოხრილი, ხან გამართული, ხან ტრიალ-ტრიალით. ზოგჯერ გაწეებოდა, შედგებოდა, მიაყურადებდა და ისევ გარბოდა.

ვერა და ვერ აურია გზა მდევარს.

— ვერ წამიხვალ. — სისინებდა ამ მეთაური, — ტატაი ვარ, სიორდი.

დაფრთხა, შეშინდა სოფელი. ეზოებში შერბოდნენ თემშარახე და შუკებში მიმავალი ქალები და კაცები. ბურავდნენ ოდისა და სამზადის კარს, იკეტებოდნენ, იმალებოდნენ.

ყეფდნენ ძალები, ღრუტუნით, ჭყვიტინით დაჯლიგინობდნენ დამფრთხალი ღორები, ბლაოდნენ შროხები, ყოყინებდნენ კამეჩები, ჭიხვინებდნენ ცხენები, ხეებზე დაყუჩული ქათმები გაკაპასებული კრიახით ცვივოდნენ მიწაზე...

თემის ერობის თავმჯდომარის ოთახში ევგენი ევანია ბოლთასა სცემდა ერთი ხელი ჭიბეში ედო, მეორე ხელით სათვალეს ატრიალებდა. მის წინ სავარძელში პალტოწამოსხმული მასწავლებელი იჯდა. ვალიზიანებული უსმენდა დამფუძნებელი კრების წევრს. სარკმლის ჩარჩოს ზურგით მიყრდნობილი მიხა ქირია პაპიროსს ეწეოდა, ბოლის პატარა, ლამაზ რგოლებს ოსტატურად უშვებდა ზევით და კმაყოფილებით

აყოლებდა თვალს. ევგენი ევანია მოსვლის შემდეგ, თითქოს დამუწქდაო. ხმას არ იღებდა, არაფერი აღელვებდა, არაფერი აწუხებდა. იცოდა, დღეს თუ ხვალ მენშევიკურ ხელისუფლებას ბოლშევიკური მთავრობა შეცვლიდა. ბელის მორჩილი მოწმესავით განზე იდგა.

— არა მარტო ჩემი სახელით, ხელისუფლების სახელით ბოლშევიკები თქვენს წინაშე, ბატონო შალვა, — განაგრძობდა ევგენი ევანია დაწყებულ საუბარს. — თქვენი სკოლის ზარი დილით კვლავ აწკრილდებდა. ამ ხნის კაცი მოვიყარე და დღესაც ისევ მახარებს სკოლის ზარის ხმა, როგორც მოწაფეობისას. იგი ბევრ მივიწყებულს, სანუკვარს, დაუბრუნებელს გვაგონებს. — შედგა მაგიდის კუთხესთან, ცალი ხელით დაეყრდნო. — ბატონო შალვა, შეუნდეთ უგუნურთ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან. ასეა მგონი, არა?

მასწავლებელმა არ უპასუხა, არ მოსწონდა მისი ყალბი პათეტიკური კილო. დამფუძნებელი კრების წევრმა შეატყო, მაგრამ არ ძალუძდა სხვაგვარად ლაპარაკი, ისევ ისე მალაღფარდოვნად განაგრძო:

— ჯარი მაინც ჯარია, სახალხო გვარდია ერქმევა მას თუ იუნკრები, ჩვენი საამაყო იუნკრები. შალვას პირდაპირ დაქდა, მაგიდაზე დააწყო თავისი გრძელი, თეთრი ხელები, რამდენიმე ძვირფასი ბეჭედი რომ ეკეთა, — ჩვენ ვიცით, რა დიდი, განუზომელი ღვაწლი მიგიძღვით თემის წინაშე... თქვენ კიდევ ბევრის გაკეთება შეგიძლიათ ხალხისათვის... თქვენ იცით, რა საფრთხეშია ჩვენი ერი. საქართველოს წითელი ურდოები ემუქრებიან. როგორც მოგეხსენებათ, თქვენს თემში ბოლშევიკებს დაიდი გავლენა აქვთ. იქამდე მივიდნენ, რომ პატროსანი გლეხები წააქეზეს და უაზაღურად დაატაცებინეს სხვისი მიწები, — წამოდგა, ორივე ხელი ჭიბეებში ჩაიწყო. — დღეს მიწები დაიტაცეს, ხვალ სახლ-კარს აუწიოკებენ ხალხს, —

შეხედა მასწავლებელს. ვერ მიხვდა, უსმენდა თუ არა იგი. — თქვენ, სოციალ-ფედერალისტები, თვალისჩინივით უფრთხილდებით მიწას, — ისევ დაჭდა, ისევ დაატრიალა სათვალე. — ჩვენ აგრარული რეფორმა გავატარეთ. ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს არ კმარა. გლეხობის უმრავლესობას მაინც არა აქვს მიწა.

— ვინ ირჩება და ვინ ჭამს!

— რა ბრძანეთ? — გაიკეთა სათვალე და დააქებრა მასწავლებელს. — დიახ, ვინ ირჩება და ვინ ჭამს! — დიდებულად თქვით. უეკთესად ვერ იტყვის კაცი. დიახ, მიწების დიდი ნაწილი ისევ მემამულეების ხელშია. სამწუხაროდ, ჯერ ვერ მოვიცალეთ ამ გადაუდებელი საქმისათვის.

— პირველი რიგის საქმისათვის.

— რა ბრძანეთ? დიახ, პირველი რიგის საქმისათვის. ამით სარგებლობენ ბოლშევიკები და ამ გაჭირების ქაშის ზურგში ლახვარსა გვცემენ. თქვენ, სოციალ-ფედერალისტები, დიდი ქომაგები ხართ საქართველოს მიწისა, ზურმუხტოვანი მიწისა. თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ საქართველოს ნაბდის ვაშლა მიწას, მის ყოველ მტკაველს, ყოველ გოჯს. სხვა ტომის არც ერთი აღამიანი ქართულ მიწაზე. ქართულ მიწაზე ქართველი ხალხი..

— ქართველი გლეხი.

— დიდებულად ბრძანეთ. დიახ, გლეხი. ნე თეორიულად მემარცხენე მენშევიკი ვარ, მაგრამ პრაქტიკულად მიწის საკითხში თქვენს პარტიას, სოციალ-ფედერალისტებს, ვემხრობი, მიწა მხოლოდ ქართველს, როგორც თქვენ ბრძანეთ, ქართველ გლეხს! ფედერალისტები ამბობთ, მიწის სოციალიზაციაო, დიდებულად ამბობთ.

— მიწა გლეხისაა, გლეხის ოფლითაა გაპოხილი.

— რა ბრძანეთ? — ისევ დააწყო მაგიაზე თავისი გრძელი, თეთრი, ბეჭდე-

ბიანი ხელები. — მიწა ^{ეროვნული} ~~გლეხური~~ გლეხის ოფლითაა გაპოხილი. ეს იდიოზია, პოეტური თქმაა. ლექსებს ხომ არა სწერთ, ბატონო შალვა?

— რაო?! — უკმაყოფილოდ შეხედა მასწავლებელმა.

— ლექსებს ხომ არა სწერთ? — საქციელწამხდარი კაცის კილოთი გაუმეორა დამფუძნებელი კრების წევრმა.

— არა, — ცივად მიუგო შალვამ.

— რატომ გაგიკვირდით? საქართველო ხომ პოეტების ქვეყანაა...

— მე არ ვწერ ლექსს, — შეაწყვეტილა მასწავლებელმა.

— შაპატიეთ. თქვენ ბრძანეთ, მიწა გლეხისააო. იგი მალე იქნება გლეხის. თუ დაგვაცალეს და არ წაგვართვებს.

— გლეხს მიწას არავინ წაართმევს.

— რა ბრძანეთ?.. ოო, ეგეც იდიოზია. არა, თქვენ პოეტი ბრძანდებით იცით, თქვენ რომ გიყურებთ, აკაკი მახსენდება.

— რატომ? — სიტყვა წაუქცია მასწავლებელმა.

— „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“... თითქოს თქვენ ამბობთ ამას...

— როგორ კადრულობთ!

— ვერა, ვერ წაართმევენ ქართველ გლეხს ამ ზურმუხტს, — ვითომ ვერ გაიგონა, ვერ დაინახა მასწავლებლის აღშფოთება, გულისწყრომა, ისე განაგრძო ეგგენი ევანია: — გლეხობა ფეხზე დგას. ქულზე კაცი გამოდის. მე რამდენიმე მაზრა შემოვიარე... დიახ, ქულზე კაცი გამოდის სამშობლოს დასაცავად, მამულის დასაცავად. ჩვენ აქ ზეგ ვატარებთ მობილიზაციას, ტოტალურ მობილიზაციას. დრო არ ითმენს, ბატონო შალვა. ყოველ წუთს, ყოველ საათს ველით ბოლშევიკური რუსეთის თავდასხმას. გლეხობას უნდა აეუხსნათ...

შაპატიეთ, თქვენ უნდა აუხსნათ, გაგებინოთ, რა უბედურება მოვლის საქართველოს, ხალხს, გლეხობას. ჩვენს ფირუზ ცას შავი ღრუბლები უახლოვ-

დებ... თქვენზე უკეთ, ბატონო შალვა, ამას ვერაინ ვააგებინებს ხალხს. ჩვენ ვიცით, რა დიდი პატივისცემა და სიყვარული აქვს თქვენი მთელ მასობას...

თუმშარაზე თოფი გავარდა. ევგენი ქვანიამ ლაპარაკი შეწყვიტა და თავი ასწია. გავარდა ისევ.

— რა ამბავია, ამხანაგო მინა?! — მიუბრუნდა თემის ერობის თავმჯდომარეს.

მინა ქირიამ თვალი მოაშორა ბოლის პატარა ლამაზ რგოლებს, ერთმანეთის მიყოლებით ნელა რომ აღიოდა მალა, გამოერკვა და, როცა კვლავ გავარდა, უდარდელად უბასუხა:

— აბრაგს დასდევენ დასაჭერად, ბატონო ევგენი.

— ვინ აბრაგს?! — სათვალე გაიკეთა დამფუძნებელი კრების წევრმა და მინა ქირიას შეხედა.

— ჭუჭუა დიხამინჯიას, ბატონო ევგენი.

— რა დროს აბრაგია! ქვეყანა განსაცდელშია და თქვენ აბრაგს დასდევთ!

— ჩვენ არა, გვარდიელები, ბატონო ევგენი.

— სულ ერთია! — მკვახელ მიახლა ევგენი ქვანიამ, ისევ მოიხსნა სათვალე. — ჰმ, ჭუჭუა დიხამინჯია, — გაიმეორა დაღინებით.

— სამიში აბრაგია, ბატონო ევგენი.

— ბოლშევიკებზე სამიში აბრაგები დღეს ჩვენთვის არავინაა. უთხარით ღლონტს, ახლავე შეწყვიტოს დევნა. ერთი გასროლა აღარ გაევიგონო. გესმით, ამხანაგო!

— მესმის, ბატონო ევგენი.

— ხვალ-ზეგ მობილიზაციას ვატარებთ და ამ დროს ბათქაბუთქით იკლუბენ სოფელს... ჭუჭუა დიხამინჯია!.. რას რტყვით, ბატონო შალვა, ამის დრო გვაქვს ახლა?

მასწავლებელმა არ უბასუხა.

ზეღიზედ გავარდა თოფი ერობის შენობის უკან.

ვარდენი სკოლის ეზოში გადახტა. არ იტოდა, რას მიჰქონდა მისი ტანი, რა ძა-

ლამ გადაახტუნა ღობეზე ერთხელსმდე, ორჯერ, მესამეჯერ. უკანასკნელის დაძაბვისაგან საცაა გული ამოუვარდებოდა, ფილტვები გაუსკდებოდა. იქნებ სკოლაში შეაღწიოს. აი, კიბე, მისი კლასის ღია სარკმელი, იქ დაიმალებოდა. სკოლაში არ შევლენ. კიბეზედ ოციოდე ნაბიჯია, მაგრამ ვაისმა ტატანია სიორდიას დაიკური, გამკვივანი ხმა:

— აქეთ, ბიჭებ! აქ არის დედაგალღეტილი!

ვარდენმა უბიდან ტყავში გახვეულა. თასმით შეკრული მიწის დეკრეტი, ლენინის „პასუხი გლეხების შეკითხვებზე“ და პროკლამაციები ამოიღო, ფანჯარაში შეაგდო. შეხვეული მერხის ქვეშ იატაკზე დაეცა. ვარდენმა იგრძნო, ვერ წაუვიდოდა მღვეარს, მაგრამ აღამიანის გული არასოდეს კარგავს იმედს, სულის ამობღომამდე არ კარგავს იმედს. ფეხებს რალაც სასწაულით მაინც მიჰქონდა მისი ტანი, კუს ნაბიჯით, მაგრამ მაინც მიჰქონდა.

გადახოხდა ღობეზე. ღობის იქით შამზნარია, იქ ჩაწევა, ეგებ ვერ დაინახონ. სულს მოითქვამს, სულს, კბილით რომ ექირა.

გადახოხდა ღობეზე და, დაადგა თუ არა მიწას ფეხი, იური ორლოვი აღუდგა წინ, თოფი მიუშვირა, ძალიან ახლოს იდგა, შამზანის ღულა ერთი მტკაველის მოშორებით ექირა ორლოვს.

ვარდენმა დაინახა მთვარის შუქით განათებული იურის შემკრთალი სახე, თითქოს გაკვრებულა, თითქოს დარცხენილი, დაინახა, რა გაუბედავად, უხერხულად ექირა თოფი, თითქოს მთელი მისი ტანი, მოძრაობა, თვალეები და თოფიც კი ეუბნებოდა, თავს უშველეო. თითქოს ძალად შეაჩეჩეს თოფი, ძალად მიამვერინეს ვარდენისათვის.

თავს უშველეო, თურმე ამის თქმა უსიტყვოდაც შეიძლება, თურმე თანაგრძნობის გამოხატვა უსიტყვოდაც შეიძლება, თურმე ბევრის თქმა შეიძლება უსიტყვოდ.

ორლოვი ხედავდა, რომ ვარდენის თვალები არ იყო აბრაგის თვალები, შეწყყნარების, სინანულის თვალებით შეწყურებდნენ. შაშხანა დაუშვა, განზე გადგა, ვზა უტია, მაგრამ გვიან იყო. ღობიდან პირდაპირ ზურგზე დაახტა ჯვებზე.

— ვერ წამიხვალ, ქუქა დისამინჯია! — შესძახა გახარებულმა მიწას გაკრულ ძმას.

გადახტნენ ღობეზე გვარდიელები.

— დავიჭიროე, — უთხრა ამხანაგებს ჯვებზე.

გადახტა ტატაჩია სიორდია. კარაბინის კონდახი დააბჯინა კეფაზე ვარდენს, თავი არ ააწვეინა, რევოლვერი აართვა, აღეჭიო, უთხრა ჯვებებს. არ დაუხედავს ვარდენისათვის, ისე იყო გახარებული ჭონდრის კაცი.

— მალადეც, ბოშ! — მხარზე ხელი დაჰკრა ჯვებებს, ერთი ციკუნა ხელი. — გაათოკეთ ეგ დედაგალღეტილ! — უბრძანა გვარდიელებს. ჯვებზე განზე გაიყვანა. — კიდეც მალადეც, ბოშ, ჭილღოზე წარგადგენ.

ვარდენს ხელები ზურგს უკან გაუკრეს.

— თქვენ წადით, თავისუფალ ხართ! მე წაიყვან ამ აბრაგს, — უთხრა გვარდიელებს ათმეთაურმა. — რას უდგახართ? კრუგომ მარშ! რას, დვა!

გვარდიელები შებრუნდნენ და შუკას დაადგნენ.

ტატაჩია სიორდიამ ვარდენს ჯიბეები გადმოუბრუნა, უბე გაუჩხრიკა. ვერაფერი რომ ვერ უპოვა, ცეცხლი შემოენთო.

— პაღღეც! რა უყავ პროკლამაც! აბრაგ კი არა, ბოღშევიკ ხარ, დედაგალღეტილ! ვერ მომატყუებ, სიორდ ვარ, ტატაჩ!

გვარდიელები მღუმარედ მიდიოდნენ შუკაში. თითქოს გრძნობდნენ, რომ არ იყო აბრაგი ტყვე. თითქოს გული უგრძნობდა ჯვებებს, რომ აბრაგი არ შეუ-

პყრია და სულგანაბლად მიიბრუნებდა იური ორლოვის გვერდით.

— არ გადაგვაყოლეს იმ აბრაგს, — დაარღვია დუმილი ერთმა.

— ტყირბი გამძვრა სირბილით.

— ორი კაკალი ტყვია მქონდა და ტყუილად დაეწვი.

— ტყვიას მოარტყამდი იმას? ტყუილად კი არა მქონია ასეთი სახელი, აბრაგი კი არა, ქაჯი ყოფილა.

იური ორლოვი თავჩაღუნული მიდიოდა.

— იცით, ბიჭებო, აბრაგს არა ჰგავდა ის კაცი.

— აქი გითხარით, ქაჯი ყოფილა-მეთქი.

— არც ქაქსა ჰგავდა, — თქვა ორლოვმა.

— აბა, ვის ჰგავს?

— არ ვიცი, ვისა ჰგავდა. არც აბრაგს ჰგავდა, არც ქაქსს. ახლაც თვალწინ მიდგას მისი თვალები.

— ამ სიბნელეში?! — გაეცინა ჯამბულატს.

— ჰო, ამ სიბნელეში...

თავლაში შეაგდეს.

მთელი ვზა მიწა ფეხქვეშ უბრუნავდა. შედგა თუ არა ფეხი თავლაში, დაბარბაცდა, მაგრამ თავლა იმდენად ვიწრო იყო, არ წაიქცა, კედელმა შეაკავა. მერე ნელ-ნელა ჩაეცურდა, მიწის ნესტიან იატაკზე დაეშვა, ცხენის შარდით აყროლებულ იატაკზე.

თავი უსკდებოდა ტყვილით, პირი შხამივით მწარე მქონდა. არ გრძნობდა აყროლებულ სუნს, არც იატაკის ნესტსა და სიცივეს. გაუნძრევლად იჯდა. ამაზე უფრო დიდი ჭირი და უბედურება გადახდენია, რამდენჯერ ყოფილა დაჭრილი, სასიკვდილოდ გადადებული, დასახვრეტად თუ ჩამოსახრჩობად გაყვანილი და ასე არ წამხდარა, რა დაემართა?! არ უნდოდა ამაზე ფიქრი. არც შეეძლო ფიქრი.

ვერაფერს ხედავდა, დაბინდული

ჰქონდა თვალი და ტვინი. თვალში ისე ბნელოდა, ვერც რას დაინახავდა. იმასაც ვერ ამჩნევდა, კარის პატარა სარკმლიდან შემოსული გვიანი მთვარის ოთხკუთხედი შუქი რომ ეფინა მის წინ.

ვერც იმას გრძნობდა, რომ მის გვერდით ვიღაცას ეძინა, ღრმად სუნთქავდა და დროდადრო ყრუდ კენესოდა. ყველა გრძნობა დაკარგული ჰქონდა. ასე იჯდა დიდხანს, ძალიან დიდხანს. ეგონა, მთელმა საუკუნემ განვლოო...

პატარა ოთხკუთხედი შუქი აღარ ეფინა მის წინ. მაშინ გამოერკა, იმ ვიღაცამ რომ დაილაპარაკა:

— რომელი ხარ?

ვარდენმა მაშინვე იცნო ბახვა მეზორნის ხმა.

— ბახვა!

— ცოცხალი ხარ, ბიჭო?! — სიხარულით აღმოხდა მეზორნეს და დაიკენესა.

— შენ რაღა დაგემართა, ბახვა, აქ რა გინდა?

— რაღა რა დამემართა? მადლობა უფალს, რომ სული შემრჩა.

— რა მოხდა?

— იმ ეშმაკის ნასხლეტმა ისე მირტყა, იმდენი მირტყა კარაბინის ჭონდახი...

— რატომ?

— თქვი, ვინ იყო ბორანზეო. შენი თქმა რად მინდა, აბრაგ ჭუჭუა დიხამინჯია კი არ. ბოლშევიკ კომისარ ვარდენ ბუკია იყო, — უთხრა ბახვამ ტატარია სიორდიას კილოზე. — შენი პირით თქვი, თორემ ფეხის ტყავს თავზე გადაგაფარებო.

— როგორაო?!

— ფეხიდან აგამრობ ტყავს და თავზე გადაგაფარებო.

— უიტ, რა მოხდენილად უთქვამს.

— გაეცინა ვარდენს და სიცილმა მთელ ტანში ტკივილად დაუარა.

— კაცის ჭირსა ჰგავს და ისეთი ღონე ჰქონია იმ წყეულს, კარგ ვაეკაცს შეშურდება. სად დაგიჭირეს? — ჰკითხა ბახვამ.

— სკოლის უკან.

— ბეგლარმა და ჯვებემ რომ დაგიჭირეს?

— საიდან ეცოდინებათ. ჩემი დაბრუნების იმედი ალბათ გადაწყვეტილი ჰქონდათ.

— მშობელი არასოდეს კარგავს იმედს, ვარდენ.

ვარდენი ისევ დიდხანს დუმდა.

— მართლა ბოლშევიკი ხარ, ვარდენ?

— ჰკითხა ბოლოს ბახვამ.

ვარდენი დიდხანს დუმდა.

— მაშ, გადაგრეკეს ჩიჩუების მიწიდან.

— შენ საიდან გაიგე?!

— ტყეში ავქსენტი ყორშიას შვილი შემხვდა.

— კოჩოია?

— ჰო, კოჩოია მქვიაო. მამამისი მიწისათვის მოუკლავს ჯოღორია ჭლარკას.

— უბედური ავქსენტი. შვილი კარგი დარჩა. პირზე რძე არ შეშრობია და ჰკუთით საესეა.

— ქვეყანას სძულდა ჯოღორია ჭლარკა — თქვა ვარდენმა.

— ავქსენტის ცოდვამ უწია.

— რავეა?

— სიზინდით დატვირთულმა ურემმა გადაუარა ჯოღორიას. ორი დღე იცოცხლა. კაცისშვილი არ მისულა სატირლად.

ვარდენი კვლავ დიდხანს სდუმდა.

ბახვა დაბეგვილ გვერდებს წარამარა ინაცვლებდა, ზენეშოდა, ოხრავდა.

— მაშ, ძალით აიყოლია ბაბამ სოფელი?

— სოფელი არა, ბუკიები, ფილიპიები, ესებუები, ზვინგიები და ყორშიები. რამდენი არ უშალა მასწავლებელმა, ბეგლარმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მე და შენ ერთ პირზე ვერ დავდგებითო.

— რატომაო?

— ერთ უღელში არ ვართ შებმულიო.

— ასე უთხრა?

— შენ უკეთ არ იცი მამაშენის ამბავი?

— ვიცი, — გაიღიმა სიბნელეში ვარდენმა. — ისევ ისეთია ბაბა?

— არც ზნე შესცვლია, არც ფერი.

ჯერ კიდევ დილაბნელზე შალვას კლასში მერხები თავ-თავის ადგილზე ეწყო. დამტვრეულები შეეკეთებინათ, დამწვრის მაგიერ სკამი ჩაედგათ. ტყვიით გახვრეტილი დაფა სანთლით ამოელესათ, კლასი დაგვილ-დაწმენდილი იყო, სარკმელი ისევ ღია.

თემის ერობის თავმჯდომარე მიხაჭირია და კაპიტანი ვახტანგ ღლონტი აივანზე იდგნენ სკოლის ზარის ქვეშ, უძინარნი, დაქანცულნი და ძარღვებ-აშლილი ეზოს გაპყურებდნენ, ხომ არაფერი დაგვრჩაო გაუკეთებელი.

ალარ იდგა ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, საველე სამზარეულო, საბარგუ-

ლები, გაეყვანათ ცხენები, კლასი ისმოდა სიცილ-ხორხოცი, ედგა-ფაქვშობდნენ მაშობანას, ეზოც დაგვილ-დასუფთავებული იყო, ჩამოეკიდათ კიშკარი, შეეკეთებინათ ღობე. მთელი ღამე მუშაობდა ასეული. ივინებოდა ათმეთაური ტატაჩია სიორღია, ტუჩებს იკვნეტდა სიმწრით, ჯავრს გვარდიელებზე იყრიდა.

— ყველაფერი რიგზეა, — უთხრა კაპიტანმა მიხაჭირიას.

— სრულ წესრიგში. — დაუძოწმა თემის ერობის თავმჯდომარემ.

კაპიტანმა საათს დახედა.

— როდის რეკავენ ზარს?

— რვა საათზე.

— მაშ დროა, — ხელი ასწია ღლონტმა და ჩამოჰკრა ზარს.

გაისმა სოფელში მისი მზიარული წყრიალი...

(გაგრძელება იმდობა)

მ ი ე ხ ნ ა მ ი ..

ცაგ, აშორე ვარდებს ყინვა,
ცაგ, დასიცხულს მიეც ნამი,
ცაგ, შეწყვიტე კვლა და გმინვა,
ვიეტნამელს — ვიეტნამი!

მინდა ვკითხო მაღალ მთიებს,
შვევკითხო ყველა მნათობს,
რად ჰგონია გადამთიელს,
რომ სამშობლოს ვინმე დათმობს?!

ჩჩება კაცი ობლად, მწირად,
იმოსება იგი თალხით,
თუ დასთმო და თუ გაწირა,
თუ დატოვა თავის ხალხი.

გაუმარჯოს შენს შუბლს ნათელს,
კაცო, მდგომო შემართებით,
თუ სამშობლოს არეის ართმევე
და არავის ემართლები.

სისხლის მსმელი ჰე, ვინ არი..
დე, რისხავდეს ცა, ბუნება,
თეირანელს — თეირანი,
ფერეიდნელს — დაბრუნება!

ჩვენ ჩვენს ხალხთან გავათენოთ..
ცაო, შევთხოვთ სასოებით,
ქართულს უხმობს საქართველო..
სომეხს — უხმობს სასომხეთი!

დაუსკვნია ყველა მნათობს,
ცად დასტური უთქვამთ მთიებს,
რომ სამშობლოს ვინმე დათმობს..
არ ეგონოს გადამთიელს!

ცაგ, აშორე ვარდებს ყინვა,
ცაგ, დასიცხულს მიეც ნამი,
ცაგ, შეწყვიტე კვლა და გმინვა,
ვიეტნამელს — ვიეტნამი!

კ ა რ რ ა კ ე ბ ი ღ ი

გამთანაგ კართა დახურვამ
და ზედ ურდულთა დადებამ,
ვამაგრებ ჭერს და სახურავს, —
არ ხელოყოს თავისამედებამ.
დღე და დღე,

ჯანი გაეარდეს,
მიცოტავდება ცხოვრება,
ზედ დავკანკალებ ქალღაღდებს..
სხვა რა მაქვს,
მამის ცხონებამ!...

ი ქ ვ ი



ეროვნული
წიგლიწიგლისა

საიდან მოდის
ლალატის სუნი,
რატომ და რისთვის განვიცდი ლალატს?!
ვის აღარ დავდე ბრალი და წუნი,
და მინგრევს ნესტი ქვითკირის პალატს.

ვერსად მივაგენ
დაგვეიღ მსტორებს
და იჭვის თვალით ახლობლებს ვუმზერ,
დაბლა მშვენიერ სამშუოს ვტოვებ,
ცისკენ მივყვები
მემწვენელ
მუზებს.

ვმადლი,
ლალატის რომ არ მაქვს ნიჭი,
მისი შეცნობა იტვირთოს ღმერთმა,
ვაითუ,
ასზე ავიღე იჭვი
და ჩაიღინა ლალატი ერთმა!..

გადამრევს ლამის
ლალატის სუნი,
ნადირის ყნოსვით განვიცდი ლალატს,
რომელ ერთს დავდო ბრალი და წუნი,
და მინგრევს ნესტი
ქვითკირის პალატს...

უ ბ ა რ ლ

ქართველმა საქართველოში
ნიჭს და ქიშობას უმადლოს,
რომ მოდგმას ადამიანთა
ბევრი რამ უძღვნა უბადლო,
მთას ციხე-კოშკი აუგო,
გამონასტრა უდაბნო.

ჩემო მაღალო მამულო,
უსწორო, შეუსადარო,
ვინც რა უნდა თქვას, მოქიშვე
იტყვის, — საიდან სადაო?!
ტეშმარიტებად რომ თვლიდი,
კვლავ გაგიზღება სადაო.

ქიშპია, ჩვენ რომ გვაფხიზლებს
და გვაფებს ბრძოლის უნარით,
ვერაფერს გვაკლებს ბურუსი,
რიჭრატად გვიჩანს ბურანი,
კვლავ ფეხზე ვრჩებით, ყირაზეც
რომ გადავიდეს ქურანი.

ვიყავით, ვართ და ვიქნებით
ყველა სიამლის მაყარნი,
თუ რომ გასჭირდა, გავზღვებით
ფუტკარნი სკიდან ნაყარნი,
მანამდე თავს არ მოვიფხანო,
თითქოს და ვიყოთ საყარნი...

ხ მ ა გ უ ღ ი ს ა

ვაი, დედასა მტრისასა,
ფონს რომ ეძებდა მტკვრისასა!..
ნაპირს რომ დაჰყვა მტკვრისასა,
საქმეს რომ ზდიდა საფონოდ,
ჯავრს ნუ შემაჭმევთ მისასა,
ჩემო მცხეთავ და ათონო!

ჩემო ბარო და მთისკალთავ,
მტერს დავაჩოქებ იმ კართან,
რომელ კართანაც გაჩნდება,
დავკვდები, სადილს გადვიხდი
მაგ თქვენი მთების ჩაჩქნებთან.
მინდა რომ სეირს უცქირონ
ინგუშებმა და ჩაჩნებმა.

გულის ხმის ძაფებს, ბუსუსებს
უნდა ვუფრთხილდე, ვუსაკნო,
არც დედაჩემი ფუსფუსებს,
არც მამაჩემი მუშაკობს...


ჰე, მათო ნაფუსფუსარო,
უზადო ნამუშაკარო,
ვაზი დამირჩა უსაროდ,
რქა რაზე გადავაკავო...

ქანაობს ღობის აღნაგი,
მიცდის ღობიო სახარდნე,

ღმერთო, ამათი ამაგის
გადახდის ღირსი გამხადე!

აქ დავხაროდი თავკავებს,
ამ კარმიდამომ გამოთარგა,
ახლად თუ შემოვაკავე,
ვგებ ვუშველო ავთაგან.

ვაი, დედასა მტრისასა,
ფუზი დამიდგა მიმოზებს,
ნაპირს ზვერაუდა მტკერისასა,
ფონს დაეძებდა რიონზე!..



დავით კვიციანი

მუვიდობით, უსიარო ტყაუბო!

რ მ მ ა ნ ი

ნაწილი მეორე

...ორი ლიონიას სამშო საფლავის გათხრა კრეზიფინსკიმ თვით ბანაკში, ოდნავ შემადლებულ ადგილზე ბრძანა. ფიცის მიღებაც აქვე უნდა მომხდარიყო.

რაზმი საფლავთან განლაგდა. მწკრივის თავში ბოიკო იდგა, მერე კრეზიფინსკი, მერე მე, ანტონი და ოცეულის მეთაურები. ამ დროისათვის რაზმს არც კომისარი ჰყავდა, არც შტაბის უფროსი.

სტელმახმა თქვა, მალე სოფიეევოს ტყეებში გადავალთ და მოვწესრიგდებითო.

ლენ ტურანიც მწკრივში ჩადგა.

სტელმახი საფლავთან დადგა. ახლა შეენიშნე, ისიც საზეიმოდ პორთულიყო, ხრომის ჩექმები, ხაყის გალიფე და ზალათი ეცვა, ზალათზე ფართო სამხედრო ქამარი შემოერტყა. სულ სამხედრო პირს ჰგავდა.

სტელმახმა დაიწყო:

— ამხანაგებო, მოგმართავთ ბელორუსიის კომპარტიის ვიტებსკის იატაკქვეშა საოლქო კომიტეტის სახელით. აღდეს ჩვენი პირველი რაზმი ფიცს მი-

იღებს, პარტიზანულ ფიცს. აქამდე ბევრი საბრძოლო ოპერაცია ჩაგიტარებიათ, ბევრი სიმამაცე გამოგიჩენიათ, მაგრამ დღეიდან ერთი ათად უნდა ვიქცეთ.

ჩვენ ფიცს დავდებთ სამშობლოს და ხალხის წინაშე, ერთმანეთის წინაშე, რომ უფრო დაუნდობელნი ვიქნებით მტრის მიმართ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ ჩვენი გათავისუფლებისათვის.

სტელმახი აღელვებული და ოდნავ დაბნეული მეჩვენა. სათქმელს თავს ვერ უყრიდა. მე ბევრჯერ მომისმენია მისი სიტყვა. მას სულ უბრალოდ შეეძლო გადმოეცა გულის ნადებში, მაღალფარდოვანი სიტყვები არ სჭირდებოდა, მაგრამ დღეს ალბათ ასე იყო საჭირო. მისი სიტყვა არ მომეწონა, მგონი არც თვითონ იყო კმაყოფილი და ამიტომაც მოკლედ მოსჭრა:

— ფიცის მიღების პატივს პირველად ვდებთ პარტიზანული ბრიგადის მეთაურს ვასილ ვასილის ძე ბოიკოს.

ჩემდაუნებურად ბოიკოსკენ მოვიხედე. იგი დინჯად გამოვიდა მწკრივიდან, სტელმახს რაღაცნაირი მოწიწებით ჩამოართვა ფურცელი, ჭერ ორი ლიონი-

ას საფლავს დახედა, მერე ჩვენ მოგვაჩერდა თავისი დიდრონი, შავი თვალებით, ფურცელი წინ გასწია და...

„მე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის მოქალაქე, ერთგული შვილი ჩემი ხალხისა, მტერთან საბრძოლველად იარაღით ხელში ვდგები პარტიზანთა რიგებში და ჩემი მეგობრების წინაშე ვფიცავ: დაუნდობლად ვანადგურო ფაშისტი ბარბაროსები, რომლებიც მუხანათურად დაესხნენ თავს ჩემს სამშობლოს, ფეხქვეშ თელავენ ჩემი ხალხის ღირსებასა და თავისუფლებას;

არ დავიშურო სისხლი და თვით სიცოცხლეც იმისათვის, რომ შური ვიძიოთ დამწვარი ქალაქებისა და სოფლებისათვის, ჩვენი დედების, დების, ცოლების შეგინებული ნაშუსისათვის, ჩვენი მამების, ძმების და შვილების სისხლისათვის;

ვფიცავ, არ დავინდო მოლაღატენი, პროვოკატორები, ფაშისტების მსახურნი და ხელისშემწყობნი.

ვფიცავ, ვიყო დისციპლინიანი და მაცადი. იბირდებით სიტყვის შეუბრუნებლად შევასრულო ჩემი მეთაურების, უფროსი ამხანაგების ბრძანებები.

და თუ შიშით, ან განზრახვით გაცეცხ სამშობლოს და ჩემი ხალხის ინტერესები, დაე, ჩემივე ამხანაგების ხელით მოკვდე, მოკვდე გამყიდველის სამარცხიანი სიკვდილით.

ვფიცავ, ვფიცავ ვფიცავ!“.

ასე განრისხებული ბოიკო ჯერ არავის ენახა. დღემდე იგი გრძნობდა, რომ ჯერ კიდევ არ იყო ბრიგადის მეთაური, სხვაზე უფრო იყო დამოკიდებული და მისი ხმაშაღალი სიტყვა კი არა, უბრალო საყვედურიც არ გავგეგონა. ახლა კი ისე სქეჭდა, ისე აღტიცებით, ისე არტისტულად წარმოთქვამდა ყოველ სიტყვას, რომ მე უცებ შემშურდა მისი. ვერა, ასეთი რიხით მე ფიცს ვერ წავიკითხავ-მეთქი, ვფიქრობდი და როცა ჩემმა რიგმა მოაღწია, მე უკვე ვცახტახებდი. ძლივს მივლასლასდი სტელმახთან. ფურცელი ხელში

რომ დავიჭირე, ხელი ისე მიკანკალბდა, ვერაფერი გავაჩიე. ყელში არადაც მომაწევა და შემეშინდა, პირველი სიტყვის წარმოთქმისთანავე ცრემლი არ წამსკდომოდა.

მაგრამ ასეთი რამ არ მომხდარა, ფიცის ტექსტი ბოლომდე ჩავიკითხე და ჩემს ადგილას დავბრუნდი.

კოლია ბორიჩს რომ დაუძახეს, მიშაც მიპყევებოდა, გვერდში დავიდგები, არ წაიქცეო, მაგრამ ეს არ შეიძლებოდა.

კოლია სტელმახთან მივიდა. ადამმა იცოდა, რომ იგი დაჭრილი იყო, გაუღიმა და ფურცელი გადასცა.

კოლიას ჩვენთვის არ შეუხედავს, მაშინვე შეუდგა კითხვას. ოფლი დვარღვარად ჩამოსდიოდა შებლიდან, მაგრამ მე მჯეროდა, რომ ის ბოლომდე გაძლებდა. გაძლო კიდევ, ოღონდ მწკრივში არ დაბრუნებულა, კარვისკენ წაბარბაცდა. ლიუნოვს ფიცთ უკვე მიღებული ჰქონდა. ნებათვა არავისთვის არ უკითხავს, ისე გაძვრა მწკრივიდან და კოლიას წამოეწია. ცოტა არ იყოს, გამოიკვრიდა, მიშა ზომ წითელი არმიის უმცირესი მეთაურია, მწკრივიდან უნებართვოდ გასვლა რომ არ შეიძლება, მან სხვებზე უკეთ იცის, მაგრამ ხარი ხართან დააბიო, ასეა აქ ჩვენი საქმე. რაც უნდა გავიჭვიმოთ, მაინც პარტიზანები ვართ.

სულ ბოლოს ფიცი ადამ სტელმახმა მიიღო. ამჯერად ძალზე შთაგონებით კითხულობდა, ისე გაფაციკებით მიგჩერებოდი, თითქოს ფიცის ტექსტი ჯერ არ მომესმინა.

რაშიმ დაიშალა, ერთმანეთს მოვეხვიეთ და ფიცის მიღება მივულოცეთ.

კრეზიჩინსკიმ ყველანი საუზმეზე მიგვიწვია. მართლაც განსაკუთრებული, ამ დღისათვის შესაფერი საუზმე მოემზადებინათ. კარტოფილთან ერთად ხორცის კარგა მოზრდილი ნაჭერიც მოგვართვეს და ცოტ-ცოტა წყალში გაზავებული სპირტიც დაგვავილუბინეს.

...ბოიკო და სტელმახი იმავე დღეს წავიდნენ სოფიევკოს ტყეებში. ფიცის მიღება ჩვენ რაზმიდან დაეწყათ და

იქ, გრომოვისა და რემოს პარტიზანები თურმე მოუთმენლად ელოდნენ ამ საზეიმო წუთებს.

დღეს კიდევ ერთი სამახსოვრო რამ მოხდა; ანტონ სუხოძოლსკი რაზმის შტაბის უფროსად დანიშნეს და მისი ოცეული ფედია ტაჩენკოს ჩააბარეს. კომისრად სტელმახს ჩვენთვის ვილაც გრიგორიევი ჰყოლია შერჩეული, ალბათ სოფიეევოს ტყეში შემოგვიერთდება.

მაისის ბოლოს, ან უკიდურეს შემთხვევაში, იენისის პირველ დღეებში ჩვენც სოფიეევოს ტყეებში უნდა გადავსულიყავით, რაზმები ერთად უნდა შეკრებილიყვნენ და, როგორც ადამ სტელმახმა თქვა, დიდი მასშტაბის ბრძოლები უნდა ვაგვეჩალებინა. ბოიკო და კრუზიჩინსკი იმაზეც შეთანხმდნენ, რომ ორსამ დღეში რემოს რაზმიდან ჩვენთან პარტიზანთა ჯგუფს გამოგზავნიდა, ის ჯგუფი ერთ-ერთ საბრძოლო ოპერაციაში ჩვენთან ერთად იბრძოლებდა და იმედიც გამოთქვეს, რომ იმ ჯგუფში სუშინსკის აგენტიც მოხვდებოდა. ამა სხევანაირად როგორ შესძლებდა კომუნეთან დაკავშირებას?

ბოიკოსა და სტელმახის წასვლის შემდეგ დღეს ჩვენმა ბიჭებმა ორშა-ვიტებსკის გზატკეცილზე ჩასაჭურება დაგვეგემეს, სტიობას მეშვეობით ეს ყველაფერი ბოიკოს ვაცნობეთ, მაგრამ პარტიზანთა გაგზავნის თაობაზე მისი დაპირება ჭერჭერობით დამირებად დარჩა.

კრუზიჩინსკის შევეთანხმდი და სოფიეევოს ტყეებში მე თვითონ გადავწყვიტე წასვლა. მიშა ლიხუნოვი გადაამეკიდა, გინდა თუ არა, მეც წამიყვანეო, მაგრამ ეს არ შემძლო, რადგან ჩემი არ ყოფნის დროს მშვერავთა ოცეულის მეთაურობა მიშას უნდა გაეწია.

ანტონსაც რომ არ სწყენოდა, მოვეთათბირე, ნებართვაც ვთხოვე, რაზეც გაიცინა და ერთ დღიას მე, კორპუშევმა, კომლევმა და სენკევიჩმა ბანაკი დაეტოვეთ.

სოფიეევოს ტყე ზედ ორდიშევის ტბის პირას არის გადაჭიმული, ზოგი ამ

ტყეს ორდიშევის ტყესაც ეძახის. ტბა დიდაა, 9 კილომეტრზეა ვიწროვლი.

ბრიგადის შტაბში ნაშუადღევს მივედი, თვითონ ბოიკომ მიგვილო. ბოიკოსთან კარავში ბრიგადის კომისარი მანოხინი, შტაბის უფროსი ვაიცებოვსკი და ვიქტორ გრომოვი იყვნენ. სტელმახი ადამოვას ტყეში წასულიყო, სადაც თურმე კიდევ ორი რაზმი მოქმედებდა, მათზე მე არაფერი ვიცოდი.

ბრიგადის მეთაურს ყველა წესის დაცვით გამოვეცხადე და მშვერავებიც წარვუდგინე. ვასილ ვასილიჩმა ხელი ჩამოგვართვა და თავის მხრივ კომისარი და შტაბის უფროსი გაგვაცნო. მანოხანი და ვაიცებოვსკი მოგვესალმნენ. ხელის ჩამორთმევა გრომოვმაც ინება, მაგრამ ისე, როგორც უფროსი ჩამოართმევს ზოლმე ხელს უმცროსს. არც გაკვირვებია მისი ასეთი ქცევა და არც მწყენია. რემოს რაზმი საბრძოლო ოპერაციაზე ყოფილა, ალბათ დაუგვიანდებათო, თქვა ბოიკომ. ჩვენი მოსვლის მიზანი სწორედ რემოსა და მისი მეზობლების გაცნობა იყო, ფედია კომლევიც ამიტომ წამოვიყვანე. იქნება იმ აგენტისათვის მიეცელია, იქნებ დაეყენოსა მიინ რამე. ამაზე რომ ვფიქრობდი, გულში მეცინებოდა, ასეთი სულწასული მშვერავი ვის უნახავს-მეთქი. მაგრამ თავს იმით ვიიმედებდი, რომ არც ჩვენი მოწინააღმდეგენი უნდა ყოფილიყვნენ ქუთი გატენილი. ჩვენ ომის შეილები ვართ, ამ გაწამაწამაში, ამ გაჭირვებაში ვისწავლეთ და შევითვისეთ რალაც. იქნებ ბევრი არაფერი შეგვიძლია, იქნებ თავს ვიტყუებთ, იქნებ ისევ გულმბრყვილო ბიჭები ვართ და ხანდახან თავს რომ მოვიბრძენებთ და ნამეტანი შევტოპავთ, ვინმე ჩვენზე უფროსს ელიმება. ასეა თუ ისე, დღეს რალაც გვეკითხება, მოგვეთხოვება და მეტი დაფიქრებაც გვმართებს.

მახსოვს, სულ პატარა ვიყავი, „აგრძალულ“ წიგნებს რომ ვკითხულობდი. ახალი წიგნის შოვნა აღდგომისათვის მახარებდა, მივჯდებოდი საღამე ჩემთვის, თავს წიგნში ჩავყოფდი და დაეჭროდი

ზღვებზე, ტყე-ღრეში, მთებში. უკვე მიყვარდა ვილა; ხანდახან წიგნს გვერდზე გადავდებდი, გავირინდებოდი და ფიქრში ვეჭვებდი, ვინ უნდა შემეყვარებინა, როგორ გამეყვარებინა სიყვარული, რა გვირობა ჩამედინა, რომ მას მოსწონებოდა. საოცარია, მაგრამ ჩემს ტოლთან გამიჯნურება არასოდეს მომსვლია ფიქრად. სატრფოს ბევრად ჩემზე უფროსებში, უკვე ცხოვრებაში გამოსულ ადამიანებში ვეჭვებდი.

ერთხელ დეიდამ წიგნი გამომართვა, განათლებული ქალი იყო, ყოფილი „გინანაზისტა“ და მას ყველა მორიდებითა და მოწიწებით ექცეოდა. თავდაც გრძობდა სხვების წინაშე უბიარტესობას, თუმცა არ იმჩნევდა. წიგნი გამომართვა, ჩახედა და გადაფურცლა. „მანონ ლესკო“ იყო.

— რად ვინდა, ბიჭო, ეს წიგნი, რა შენი საქმეა ამის კითხვა? საშენო ვერაფერი ნახე?

— ძალიან საინტერესო წიგნია, დეიდა.

— საინტერესოა, მაგრამ შენი ასაკისათვის შეუფერებელია. შენ ახლა ზღაპრებს უნდა კითხულობდე, შენს ხელში ეს წიგნი არ დავინახო, თორემ ყურებს დაგახეც.

დეიდა სტუმრად იყო ჩვენთან და ერთი სული მიქონდა, სანამ წავიდოდა.

წამოვიზარდე. წამოვიზარდე-მეთქი, ვამბობ, თორემ ერთი გაწირული ბიჭი ვიყავი, ჩემს ტოლებზე ბევრად უფრო პატარა და სუსტი, მაგრამ გული მაინც უფროსკლასელებისკენ მიმიწევდა. ამით ბევრს ვაგებდი. ატყდებოდა ჩხუბი და მუდამ გალახული ვრჩებოდი, ბევრჯერ მივსულვარ შინ თვალგბდალურჯებულნი. მამა ცალი თვალით შემომხედავდა და ჩაიცივნებდა.

მეათე კლასში რომ გადავედი, ერთბაშად ავიყარე ტანი, უკვე მთელი თავით მაღალი ვიყავი ჩემს ტოლებზე და წიგნებს, რომელთა კითხვას ისინი მაშინ იწყებდნენ, მე ზეპირად ვკვებოდი.

...ფედიამ, ვალოდიამ და სტიპამ ნებაართვა ითხოვეს და კარავიდან გავიდ-

ნენ. გრომოვმა სიტყვა პოლიციასზე ჩამოაგდო, სუშჩინსკის შემოგზავნა აგენტიც ახსენა. ეტყობა, საქმის ქვეყნდება გაუცენიათ მისთვის უფროსებს.

რემოსაც გადაჰკრა, ეს არ უნდა დამართნოდაო. ჩემთან ასეთი რამ არ მოხდებაო, თვითული მეტრძოლი რენტგენის სხივებით მყავს გამუქებულიო.

— დაზღვეული არავინ არა ვართ. — ჩავილაპარაკე, მაგრამ გრომოვისაკენ არ გამიხედავს, — რენტგენიც კარგია, მაგრამ იმ თქვენს მიერ გადაღებულ სურათებს ერთხელ კიდევ ჩახედეთ.

— ჭკუა შენს მეთათრს, კრეზიტინსკის ასწავლე. — თქვა, ადგა და გავიდა.

ბოიკოს ეწეყინა, თქმით არაფერი უთქვამს. ვაიცებოვსკი კი უცებ ანთო და პირდაპირ უთხრა ბოიკოს:

— ასე არ შეიძლება, ვასილ ვასილიჩ, ასე არ ხდება. დროა ჭკუა ისწავლოს და თუ ამის უნარი არ გააჩნია, ჩვენ დავეხმართ. აქ აღმასკომი ხომ არ არის? ამხანაგი ადამის გარდა არავის არაფრად აგდებს, არც თქვენ გულებით. მე ამ უწყისრიგობას ავლევთ.

ბოიკომ წვერზე ხელი ჩამოისვია, უნდაოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს კარავში ქალიშვილმა შემოიხედა. ქალიშვილს პატივითა და აღტაცებითაც კი შეხედნენ და კარავში შემოიყვანეს.

ოლია კარპოვიჩი იყო. გამაცნეს. თუმცა მე მასზე ისედაც ბევრი რამ ვიცოდი. ვიცოდი ბოგუშევსკის იატაკქვეშეთში მისი მიღწევების ამბავი, ისიც ვიცოდი, რომ ოლია იმ ესესკელს „მეგობრობდა“, რომელსაც მე და ჩემი ამხანაგები ხუტორზე „ლაზარეთში“ ყოფნისას უნდა დავეხვრიტეთ.

ოლია კარპოვიჩი თვით ეიტებსკში ყოფილა შეგზავნილი დაზვერვაზე. იგი თურმე გოგონების მწვერავთა ჯგუფს ხელმძღვანელობს და ჯერჯერობით მხოლოდ ბრიგადის შტაბს ემორჩილება, უშუალოდ ბოიკოსა და ვაიცებოვსკის დავალებებს ასრულებს.

— აბა, ილიასახლისე, ოლია. — თქვა ბოიკომ. — სტუმარი გვყავს, თანაც,

ხომ იცი ქართველია, სტუმართმოყვარე ქვეყნის შვილი, არ შეგვარცხვინო.

ოლიამ ისე ეშხიანად შემომხედა, გული შემიტოკდა. ამ წუთში ყველაფერი იქნებოა, — თქვა და გავიდა. თვალი ვაეყოლე, რაც ვაიცხხოვსკის არ გამოპარვია.

— აბა, აბა, ეგეები არ იყოს! — გაიკინა მან. მეც გამეცინა და მხრები ავიჩეჩე, გულში კი გავიფიქრე:

დაილოცე, ჩემო მადლიანო ქვეყანავ, ჩემო ხალხო, სად არ გაიგონებ თქვენს ქებას, სად არ დაგხვდება თქვენი სიკეთე. თუნდაც აგერ, ორღიმევის ტბასთან, სოფიეგვოს ტყეში, პარტიზანული ბრიგადის შტაბის კარავში.

ვზივარ მე, ოცდამესამე წელიწადში გადამდგარი ბიჭი. არც ამ წვეროსან მეთაურთან ვგრძნობ თავს უხერხულად, არც კომისართან და არც ვაიცხხოვსკისთან, ჩემზე ათი-თხუთმეტი წლით უფროს კაცთან.

ბოიკო ბელორუსია. ვიტებსკელია. იქნებ ოდესმე ჰქონდა შემთხვევა, იქნებ გავლით მაინც იყო საქართველოში, გაიარა, დანახა, იგრძნო და იგემა ჩვენი პურმარაილი, შეხვედრის სიბთბო, მადლი და ახლა სიტყვით მაინც მიხდის სამაგიეროს. ისე, მეც ბეჭერი რამ მევალებდა. ჭერჭერობით მიწელ ბრიგადაში მხოლოდ ორნი ვართ, მე და ვასო. თუ ღმერთმა ქნა და გადაეურჩით ამ ომს, ზომ კარგი, თუ არა და, ჩვენი კაიბიობა მაინც უნდა დაეახნომოთ ამ ხალხს, ზელმძღვანელებს, მეთაურებს, მეგობრებს. ვასოს ბეჭობაზე, მის სულგრძელობაზე თავს დავდებ და მე როგორ გამიწყურება მამაზეციერი.

უცებ ისიც ვინატრე, რომ ამათთან ერთად მოვხვდე ბრძოლაში, ამათთან, სტელმანთან, ეელოკანოვთან ან ოლიასთან...

ოლია შემოვიდა და თქვა, სადილი აქ მოგართვათ თუ გარეთ გამობრძანდებითო. ბოიკო წამოდგა, ეს იმას ნიშნავდა, რომ სადილობას კარავში არ აპირებდა.

„სასადილოსათვის“ ისეთი ადგილი შეერჩიათ, სადაც ორ მწყრივად უზარ-

მაზარი ნაძვები იდგნენ ერთმანეთზე ტოტებით გადაჭობილნი. სარკიკო სად იშოვეს სუფთა, გამალამინებული ფიტურები. უშველებელი მაგიდა შეიქმდათ, გრძელი ფიტურები დასაჯდომად მოეწყოთ. „სასადილოს“ შექმლო ერთბაშად ორმოცდაათ კაცამდე მიეღო, თუ, რა თქმა უნდა, საამისო თეფშები ექნებოდა, მაგრამ ჩვენს პირობებში თეფშსა და ჩანგალს არავინ კითხულობს. პატარა კარდალა ყველას ჰქონდა ქამარზე და ჩექმის ყელში კოვზიც აქვს ჩაჩრილი.

ჩვენ რომ მივედით, მაგიდის ერთ თავში ფეხია, ვალოდია და სტიოპა იხხუნენ და ჩუმად ილუკმებოდნენ.

ოლიამ კარტოფილი და ხორცი მოგვიტანა. მგელივით შშიოდა და მაშინვე დაურიდებლად შევუღდექი ჭამას. ნასადილევს ჩვენმა დიასახლისმა ჩაიც და გვაღევიანა. ჩაის დაყოლება წყისად ჰქონია ბოიკოს, მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი. ჩაი ოლიამ კი არა, სულ სხვა გოგონამ დაგვისხა. როცა ჩემმა ჭერმა მოაღწია, გოგონას ახედე, მინდოდა მადლობა მეთქვა, მაგრამ უცებ ხმა ჩამიწყდა, გავშრი, გოგონაც მომშტერებია, ჩაიდანიანი ხელი უკანკალუბს, კინაღამ დამდუღრა. ისეთი თვალებით მიყურებს, მეგონა საცა იკივლებს-მეთქი. მიიხეხვი, რომ მიცნო, მეც ვიცანი.

— თქვენ... თქვენა ხართ? — კვიცილის მაგიერ ძლივს ამოთქვა.

— მე ვარ, ამხანაგო სვეტლოვა, ძვირფასო ტანია, ტატიანა. მე ვარ. — წამოვხტი, ჩაიდანია ჩამოვართვი, მაგონაზე დავდგი და მოსახვევად მივიწიეთითონ მომვარდა და გადამკოცნა.

ბრიგადის ზელმძღვანელები დიდი ინტერესით გვიცქერდნენ. ტანიამ მათთან ბოდიში მოიხადა და წასვლა დააპირა, მაგრამ ფეხები უკან რჩებოდა. მე ორი სიტყვით ვუთხარი ამხანაგებს ჩემი და ტანიას შეხვედრის ამბავი დასავლეთ ბელორუსიის ერთ დიდ ქალაქში, ისიც არ დამიმალავს პაემანი რომ დაეუნისნენ.

— სასწაულიაო — თქვა ვაიცხხოვსკიმ.

— ომი სასწაულებსააო, — დაუმატა ბოიკომ. — ასეთი რამ მხოლოდ ომში მოხდება, — კეთილად გაიღიმა და განავრძო.

— ალბათ ბევრი რამ გაქვთ ერთმანეთისათვის მოსაყოლი, გაიარეთ, ისაუბრეთ, ოღონდ ჭერ ტანიამ ჩაი დაგვისხას.

ტანიამ ჩაი დაასხა. მე მადლობა მოვახსენე ყველას ასეთი გამასპინძლები-სათვის, ბოდიშიც მოვიხადე და ტანიასთან ერთად ტბისკენ წავედი.

— გამართლდა ჩემი სიტყვა, ტანია.

— რა სიტყვა?

— ხომ გახსოვს მაშინ კინოთეატრში გიჟბარი, იღბლიანი კაცი ვარ, ბილეთი მოგვიანებით ავიღე, მაგრამ უფალმა მაინც თქვენისთანა ანგელოზთან მომხვედრა-შეთქი, საერთოდ იღბალი დიდი რამეა. ასე რომ არ იყოს, ოდესღაც დანიშნული პეიზაჟი ახლა არ შედგებოდა.

— თითქმის ერთი წელია მას შემდეგ. — შემოპკინა.

მე გონებაში უცებ ვიანგარიშე, თუ რამდენი გავიდა ჩვენი მაშინდელი შეხვედრიდან. ტანია მართალი იყო, წელიწადს აღარაფერი აკლდა.

ტბასთან სულ ახლო მივედი და ჩამოვჩქვით.

სალამო შემოდიოდა ტყეში. კარგად თუ დაუკვირდებოდით, შეამჩნევდით. რა დინჯად, მაგრამ დაყინებით მოაბიჯებდა სალამო, ბინდი ნელა ეფინებოდა ტბას, ბუჩქებს, ტყეს, ყველაფერს თავის მძლავრ კლანჭებში იჭყვავდა, ყველაფერს იძყობდა.

დაკვირვება დიდი რამეა უბრალო მოვლენა ჩვეულებრივ ამბად არ უნდა მიიჩნიო, უნდა დაინტერესდე, ჩახედო, ჩაუღრმავდე და შეიგრძნო. მაშინ დაინახავ და დაიჭვრებ დაუჭვრებელს. აბა რამ ათქმევინა გალაქტიონ ტაბიძეს „ცა ისეა მოკასკასე, ცა ისეა შეუშკრთალი, რომ ანგელოსს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი“.

მოდარაჯე კაცის თვალიო. დაკვირვებასთან ერთად მოთმინების უნარიც უნდა გქონდეს, უნდა შეგეძლოს საა-

თობით უდარაჯო რაიმეს, ვთქვათ, ცაზე მე მწამს, რომ მაშინ ანგელოსს უნდა უნდა ლებლად დაინახავ.

საკმაოდ გრილოდა, ჩემი არ იყოს ტანიასაც შილიფად ეცვა, მაგრამ სიცოცხეს არ ვგრძნობდა, არ შეიძლება ეგრძნო, რადგან ახლა სიცოცხეზე ფიქრი ჩვენგან შორს იყო.

მზე ტყის იქით ჩადიოდა და უკანასკნელად უბრალოდ და თვალებს ქვეყანას.

ტბა ჭერ კიდევ ლურჯი იყო და ლამაზი. ზუსტად ამ ტბისფერი თვალები ჰქონდა ტანია სვეტლოვას. იჭდა ანგელოზივით, გარინდებული მისჩერებოდა ტბას, ტუჩებს აცმაცუნებდა, მგონი რაღაცას თავისთვის ჩურჩულებდა. ერთხანს ვუცქირე, ისე მომხიბვლელად მოედრებინა ყელი, ისე გართულიყო ფიქრებში, ენის ამოდგვა გამოიჭირდა. სალამოს ბინდი კი მოიწვედა და მოიწვედა. ნიავემაც დაჰქროლა, ტბაზე ტალღები აიშალნენ, აგორდნენ და ნაპირს მიუტლამუნეს. ტანიას ფეხები დაუსველდა, მაგრამ არც განძრეულა, ოღონდ გადაიხარა, წყალში ხელები ჩაყო და მერე სველი ხელები სახეზე მოისვა.

— არ გაცივდე, ტანია.

— ასე რომ არ მექნა, ალბათ საცაა წყალში გადავარდებოდი, სულ გამოვი-თიშე. მართლა შენა ხარ?

— მე ვარ, ტანია, მართლა საშა ვარ.

— საშა! — გაოცდა.

დამევიწყდა, რომ მაშინ ტანიას ჩემი ნამდვილი სახელი ვუთხარი და ახლა თავი რომ მემართლებინა, ვრცელო განმარტების მიცემა დამჭირდა. ყურადღებით მომიხმინა. მერე ვთხოვე თავათაც მოეთბრო თავისი ამბავი, რა გადახდა, როგორ დააღწია თავი იმ პირველ დღეებს, ან აქ, პარტიზანებში საიდან მოხვდა. რა საჭიროაო, ომის პირველ დღეებში თითქმის ყველას ერთნაირი თავგადასავალი გაგვიჩნდაო. ჩემს ამბავს სხვა დროს გეტყვიო, ახლა ლაპარაკი არ შემიძლიაო, შენ რამდენიც გინდა ილაპარაკე, არ მომწყინდებაო.

— კარგი, გავჩუმდეთ და ტბას ვუც-

ქიროთ. — ვთქვი, მაგრამ ტბა უკვე ლურჯი, მისი თვალების ფერი აღარ იყო. ბინდამა დაჯაბნა და ახლა ტბას ლურჯი კი არა, უფრო მოშავო ფერი გადაჰკრავდა. ტალღების ტლაშენიც სულ უფრო და უფრო მატულობდა.

— მაშინ საცოლის სურათი უნდა გეჩვენებინა, ამოიღე კიდეც, მაგრამ შენდა იღბლად. — გაიცინა, — სინათლე სწორედ იმ წამში ჩაქრა, ახლა მაინც მარჯვენა.

— ჯერ ერთი, სურათი უკვე აღარა მაქვს. — ვიკრუე — მეორეც, კიდეცაც რომ მქონდეს, ვერც ახლა დანახავ, ბნელა, მესამე ის სურათი საცოლესი არ იყო.

— სტყუი!

— შენთან გამოსალაპარაკებლად მივმართე ამ ზერხს, როგორც იცი, გასჭრა კიდეც.

— რა, ყველაფერი გახსოვს!

— მახსოვს, ტანია, მართლა ყველაფერი მახსოვს. შენგან თქმული ყოველი სიტყვა აქა მაქვს ჩაჭულილი. — მკერდზე ხელი დავირტყი. — თუ გინდა გამომოკითხე და, თუ ჩამჭრა, დამსაჯე.

— სასჯელი?

— მაკოცე. — ეს ვთქვი და ხელები დავუჭირე. მინდობდა მომეზიდა, მაკოცინა. იმ წუთში მე იგი თავდავიწყებით მიყვარდა. ხელები ყინულოვით ცივი პქონდა. მისი სუსტი, თეთრი თითები ტუჩებთან მივიტანე, მერე ტუჩი ტუჩსაც შეზღდა.

მერე?

არაფერი ავღდექით და წამოვედით.

ტანია სვეტლოვა ოლია კარპოვიჩის ჯგუფშია, მის თანამემწედაც კი ითვლება, ცოტა რამ მასაც გაუცეთებია, მაგრამ სახელდობრ რა, ეს არ თქვა, მერე და მერე შეიტყობო.

— ჩვენს რაზმში არ გადმოხვალ? — ვკითხე.

— მე ვინ მკითხავს, ჩემს ნებასურვილზე კარგა ხანია ვეღარ დავდივარ, ათასი უფროსი მყავს.

— შენ თუ გინდა, ბოიკოს ვთხოვ.

— არ გამიშვებს.

— სტელმახსაც შევაწუხებ, მის დაბრუნებამდე აქედან მაინც ვერ ვხვდები.

— არ ვიცი, უშენოდ გამიძნელებია, მაგრამ...

— ერთი ჩემი იკითხე? — ისევ ვაკოცე.

— ბოიკოს ნუ ეტყვი, სტელმახს კი, თუ მართლა ახლო იცნობ, საზოგადოებრივად გაგიგებს.

— ბოიკოს ემდურე?

— სტელმახი მაინც სხვაა. რა უნდა გავაკეთო თქვენს რაზმში?

— რასაც სხვები აკეთებენ, მზერავთა ოცეულში იქნები, არაფერს გავიჭირებ.

— ცოტა ტრაბახა კი ხარ. — გაიცინა. — რამდენი ქალი გყავთ რაზმში?

— არცერთი. პირველი შენ იქნები. შენც შეჰქმენი მზერავ ქალთა ჯგუფი.

— იქნებ სხვა რამეც შემიძლია.

— მჯერა, შენ ხომ უმცროსი მეთაური ხარ.

— ამას აქ არაკეთიარი მნიშვნელობა არა აქვს.

— ოლია კარპოვიჩი როგორი გოგოა?

— გმირია, ნამდვილი გმირი. ისეთი თავგადასავალი აქვს, წიგნში ვერ ამოიკითხავ. ალბათ დედის მუცლიდან დაჰყვება ხოლმე ზოგიერთს სიმამაცე, გამჭირახობა, გაბედულება... მისი ამბავი სხვამ მოგვითხრო, თვითონ ენა არ დაუსველებია, ქალი, გოგო და ასეთი თავშეკავებული?

— ოლიას კარგად ვიცნობ, ტანია, ვიცი რაც გადახდა და ალბათ ამასაც ტრაბახად ჩამომართმევ. მე და ოლიას ერთი საერთო ნაცნობიც გყავს, ესეისის შტურმფიურერი ჰანს შულცი. მე იმ ოფიცერს კარპოვიჩზე აღრე შევხვდლი.

ხელი ხელზე მომიჭირა.

— შენ მგონი მართლა არ ზემრობ,

— უფრო მეტიც, გერმანელი ქალის ოჯახში გავატარე რამდენიმე თვე. იატაკქვეშელთა ორგანიზაციამ, თვით აღამ სტელმახმა შემგზავნა მასთან. რა უნდა მექნა, დავალებას შესრულება

უნდოდა. დიდი არაფერი, მაგრამ იმ ქალისაგან ზოგი რამ შევიტყე და გამოვიყენეთ კიდევ, მერე კისერზე თოკი ჩამოვაცვიო.

თოკის ხსენებაზე ტანია შეეკრთა, შეჩერდა, ზურგით ხეს მიეყრდნო და ვიღაცას შეევედრა.

— ღმერთი ხარ თუ განგება, ბუნების ძალა თუ სხვა რამ, ერთს, ერთადერთს გთხოვ, თუ გავიწირო, საღრჩობელაზე ნუ ამიყვან. სულ ჭალათი და თოკი შელანდება, საშინელ სიზმრებში ეილაც ბანჯგვლიანი ხელფეხს მიკრავს, თავს ყულფში მავაფინებს. თუ სიკვდილია, ტყვიით მოშკალი, ყუმბარით ან ბომბით დამფლეთე, ოღონდ იქ ნუ, გვედრებში! — ტირილი წასკდა და მკერდზე მომეყრდნო.

მოვეფერე, დავაშვიდე, შენთან სიკვდილს რა ხელი აქვს-მეთქი.

მეშინიაო, მე ღმერთს გმირად არ გავეჩინებარო. დამით ფეთიანივით წამოვევარდები საწოლიდან, გოგოებს ვაღვიძებ და მრცხვენიაო.

— ჰო და, შით უფრო აუცილებელია შენი აქედან წასვლა. ჩემთან ჩაწყნარდები. ბოლოს და ბოლოს, არც მე მაწყენს შენი ხელით მორბეული სადილი თუ ჩაი.

— ოჰო, მოსამსახურეც მოისურვე?

— ღმერთმა დამიფაროს, ოღონდ ჩემს ახლოს აყავ და მე თვითონ აფილდებ წყალს, მე თვითონ გავაკეთებ ჩაის ნაყენს და ჩემს მზეთუნახავს მივართმევე. სულ ხელის-გულზე გატარებ, სულს შეგიბერავ... ღამით ჩაგფუნთი, რომ არ გამოიციდე. სხვა თვითონ მზეთუნახავმა მოიფიქროს, შესრულება კი ჩემზე იყოს.

— ისეთ რამეს მპირდები, მართლა შეიძლება შეეცდე, სულაც არ ვკითხო უფროსებს და გამოვიპარო.

ჩემმე, ზუმრობამ ცოტა ხასიათი გამოუკეთა, გამხიარულდა.

ვიღაცამ სულ ახლო ჩაახველა, ტანია მომეკრა, მე ოღნაფადაც არ შევმერთალვარ, მაშინვე მოვხვდი, ვინმე ჩვენისანი იქნებოდა. შევეძახე, სტიობა სენეკერიო

იყო, ბოიკოს გამოგზავნა. ბეჭეტი ტყეფხეკი გავაცანი და მერე სამივე ერთად წასვეყქქქ დით ბრიგადის შტაბისკენ.

ბოიკოს კარავთან ერთმანეთს დაეშორდით. კარავში ადამ სტელმახი დამხვდა, ხელი ჩამომართვა, გვერდით მომიჭინა, რაზმის ამბები გამომკითხა და მერე თქვა:

— დილით უკანვე გაბრუნდები და ივან ივანიჩს ჩვენს დავალებას გადასცემ, რაზმი რაც შეიძლება მალე აქ მომიყვანოს. ერთ კვირაში ჩვენთან ხუთი რაზმი შეიკრიბება. ბრიგადა ბრიგადას უნდა დაემსგავსოს.

— შემიძლია ახლავე წავიდე, ადამ კონსტანტინოვიჩ?

— დილით წადი, მიწურებს ნუ ჩაანგრევთ, ნურც კარგებს დაშლით. შენიღბეთ და დარჩეს. ვინ იცის, იქნებ კიდევ დაგვიკირდეს.

ამით დამთავრდა ჩვენი საუბარი, კარაჯიდან გამოვედი და ჩემი ბიჭები მოვიძიე. იმ ღამით ოთხივეს ერთად გვეძინა.

ინათა თუ არა, გზას გავუღვქით. ტანისა უნახავად რომ მოვდიოდი, ცოტა გული მეთანაღრებოდა, მაგრამ სულ მალე ერთად არ ვიქნებოდით!..

თუმცა გოგოების კარავს მაინც ჩავეუარე. შესვლა კი ვერ გავებდე. შესვლა კი არა და, ოც მეტრზე არ მიიშვა დაბალმა, ტანსქელმა გოგომ, რომელიც იქ ყარაულად იდგა. როგორც კი დამინახა, თოფი გამომიშვირა და მომამხავლა, აქედან მოწყდით.

ჩვენი რაზმის ბანაკამდე დიდხანს სულ ტყე-ტყე ვიარეთ, არავინ შეგვხვებოდა. მერე გზატკეცილი გადავეკერიო და ბანაკში იმავე დღეს მივედიო. კრეზიენსკის სტელმახის დავალება მოვახსენე. თქმით არაფერი უთქვამს, მაგრამ სახეზე შევატყე, არ ესიაომოვნა. ანტონი რომ გამოჩნდა, მაშინ ამოიღო ხმა და ამკარად გამოთქვა უკმაყოფილება ბრიგადის ერთად თავშეყრის გამო. ანტონმაც მხარი აუბა. მე გაჩუმება ვარჩიე, გულში კი ვიფიქრე რაზმის ცალკე ყოფნა სჯობს-მეთქი. ჩვენს რა-

ზმში უკვე ასორმოცდაათი კაცი იყო. ეს დიდი ძალა გახლდათ. ალბათ, ბრიგადას უფრო დიდი მასშტაბის ბრძოლების გადახდა მოუწევდა და მტერიც მერტარაღს ნახავდა, მაგრამ ცალკეულ რაზმებს დამოუკიდებლად უფრო მოქნილად შეეძლოთ ემობრავათ და ემოქმედნათ. თუმცა კრეზიენსკის მთელი რაზმი ერთად ჯერ ბრძოლაში არ წაუყვანია. ცალ-ცალკე ოცეულთა ჩასაფრებებითა და პოლიციელთა გარნიზონებზე თავდასხმით ვიფარგლებით. ახლა ამხე ფიქრი და თავისტეხა ზედმეტია რაზმი სოფიეევოს ტყეში უნდა გადავიდეს.

მეორე დღე გადასვლისთვის მზადებას მოვანდომეთ. მიწურები და კარვები კიდევ უფრო შევნიღბეთ, თუ ვინმე შემთხვევით ჩვენს ყოფილ ბანაკში არ გაივლიდა, შორიდან ვერაფერს შეამჩნევდა.

ბიჭები ისე წუხდნენ მიწურებისა და კარვების დატოვებას, გეგონებოდათ მშობლიურ სოფელს ეთხოვებიანო. მეორედ, მესამედ ჩადიან მიწურში, შედიან კარავში, თითქოს იქ რაღაც დარჩენიათ, თითქოს შეუნიღბავი ადგილი შენიშნეს. ამ ბორიალში დღევ ჩათავდა.

ბანაკში კიდევ ერთი დამის გათევა ბიჭებს ძალიან ესიამოვნებოდათ.

დილით დავიძარბით. რაზმს წინ მხვერავთა ოცეული მიუძღვის, მერე ეენია დორონინის ოცეული მოდის, მერე გრებელნიკოვისა. და სულ ბოლოს — ტაჩენკოსი.

კრეზიენსკი დორონინის გვერდით მილაჯებს, მე და ფედია ერთად მოვდივართ.

მხვერავთა ოცეულის თავში კორბუშევი, კომლევი და სენკვეიჩი მიდიან. სამივემ კარგად იცის გზა და რაზმიც უშიშრად, შეუფერხებლად მიიწევეს წინ.

ორშა-ვიტებსკის გზატკეცილი უნდა გადავიქრათ. ეს ცოტა საშიშია, რადგან გზატკეცილზე მთელი დღის განმავლობაში მოძრაობენ მანქანები და მეორე

მხარეზე რაზმის შეუმჩნევლად გადაყვანა ძნელია. გზატკეცილს რომ გადავხლოვდით, რაზმი შევასვენეთ. ბორიჩი დახვეწრვაზე გავგზავნე. ნახევარ საათში დაბრუნდა და მოგვასხენა, გზაზე განუწყვეტელი მოძრაობაა. ფედია და ვალოდია წაიყვანე და წავედი. მაღალი ბუჩქნარი ვიფარეთ და ტყის პირას გავვდით. დიდხანს ვუთვალთვალე მტერს გერმანელთა მოძრაობას. კოლონა კოლონას მისდევდა. მოდიოდნენ ტანკები, ცოცხალი ძალითა და საბრძოლო ტექნიკით დატვირთული მანქანები, ქვეითებიც.

ერთი საათის განმავლობაში გზატკეცილზე წუთითაც არ შეწყვეტილა მოძრაობა.

— უნდა დავცხოთ, — ვთქვი მე.

ფედია და კორბუშევი გაიხარეს.

— რას იტყვით, შეიძლება?

— შეიძლება კი არა, აუცილებელია, სხვა გზა არც არის, ისედაც ზელის გულები მეჭაეება. — თქვა კორბუშევი.

— წადი, კომლევი, ანტონს სთხოვე აქ მოვიდეს, თავის თვალთ ნახოს ყოველივე. ფედია ცოტაზე გაახოხდა, მერე წამოხტა და ტყეში სტყეუა თავი.

მე და კორბუშევი ისევ გზატკეცილს დავუწყეთ თვალთვალი. ნაშუადღევს ხუთი საათი სრულდებოდა. კოლონები მერტილად ვიტებსკის მიმართულებით მიდიოდნენ. ორშისკენ კანტიკუნტად გაიშლივინებდა მანქანა.

სანამ კომლევი და სუხოდოლსკი გამოჩნდებოდნენ, მე ჩემი დაკვირვებით შეენიშნე, რომ გზაზე მოძრაობამ ცოტა იკლო. ერთი კოლონა რომ ჩაივლიდა, მეორის გამოჩენამდე თუთხმეტი-ოცი წუთი გადიოდა. აქედან დავასკენი, რომ თუ ცოტას კიდევ შევიცდილით, კოლონებს შორის შეაღული უფრო გახანგრძლივდებოდა. ჩემი აზრი ანტონს გავაცანი. არ მიპასუხა, ჩემს წინ გაახოხდა, თავი პირდაპირ კენკრის ბუჩქში გაყო. ისე მოხერხებულად მოეწყო, მგონი არც აპირებს დაძვრას. რას

იზამ, უფროსია, რასაც იტყვის, უნდა დაუჭერო.

იმის შემდეგ, რაც ანტონი რაზმის შტაბის უფროსად დაინიშნა, გვიანინად შეიცვალა. ისედაც დინჯი და აუჩქარებელი, კიდევ უფრო დადინჯდა თუ დაბრძენდა: ნუთუ თანამდებობა მართლა აბრძენებს ადამიანს? თუმცა, გულახდილად უნდა ვთქვა, ჩემთან ასეთი რამ არ გამოუმცვლავნებია. ჩვენი დამოკიდებულება ისევ ისე ძმური დარჩა. დაავადების გადმოსაცემად კი არ გამომიძახებდა, თვითონ მოვიდოდა, მომეთათბირობოდა და დავალებას ბრძანების კილოთი კი არა, მეგობრულად მეტყვოდა. ბოლოს და ბოლოს, ოდესღაც მე ხომ მისი მეთაური ვიყავი... რაზმში პირველი სიტყვა მე მეკუთვნოდა.

ანტონმა ბუჩქი თავიდან გადაიჭრო, თითქოს უშველუბელი დადესტურის ბოხოხი ხურებოდეს, ტყეში შეხობდა და ხელი დაგვიქნია. მივედი. იგი წამოდგა, შარვალ-ხალათი დაიფრთხა. ახლა მართლა ისე შემოგვხედა, როგორც უფროსს ეკუთვნოდა და გადაჭრილად თქვა:

— უნდა დავარტყათ, ოღონდ აქ არა, ცოტა ქვევით დაებწიოთ, იქ გზაც ვიწროა. მეორე მხარეს უფრო სწრაფად გადავალთ. მე წავალ, მეთაურს დავარწმუნებ და რაზმს წამოვიყვან. თქვენ ქვევით ჩადით, — შეტყვის ადგილი შინიშნეთ. თუ მოვახერხებთ, ერთი ოცეული იქნებ წინასწარ გადავუშვათ მეორე მხარეზე. ჯვარედინი ცეცხლი სჯობს. — გადმოხედა. მე თავი დავუქნიე. მივხვდი რატომ ასხენა ჯვარედინი ცეცხლი, ჩვენ ხომ ცოტაოდენი გამოცდილება უკვე გვქონდა.

ანტონმა რაზმის განლაგებისკენ გააწვია, ჩვენ ტყეს გზატკეცილის გასწვრივ გავყევით. ჩასაფრებისათვის მოხერხებული ადგილი შევარჩიეთ და რაზმის მოლოდინში ჩაეწყით. რომელიმე ოცეულის გზის მეორე მხარეს წინასწარ გადაშვება, გარდა იმისა, რომ მტერს ჯვარედინ ცეცხლს გავუხსნიდით, იმიტომ იყო სასარგებლო, რომ, როცა აქ-

აურობას გავეცლებოდით, ყოველგვარი „კუდებისაგან“ ასე თუ ისე დაგვედევნა ლი ვიქნებოდით. მოულოდნელი ორმხრივი დარტყმით დაბნეული მტერი ვერ მოისაზრებდა თუ საით წავიდა რაზმი.

ჩასაფრების ადგილას გზა ოდნავ უხვევდა, მაგრამ იმდენად არა, რომ შორიდან მომავალი მანქანები ვერ შეგვემჩინია. ესეც ერთგვარ ხელსაყრელ პირობას ჰქმნიდა ჩვენთვის.

მოძრაობამ უკვე შესამჩნევად იკლო. კოლონები აღარ ჩანდა. დროდადრო ორი-სამი მანქანა გაირიხინებდა გზატკეცილზე. მეორე ერთხანს სრული სიწყურე ჩამოვარდა. ცხაზე მოძრაობა შეწყდა. ახლა რომ რაზმი მოვიდეს, სრულიად დამშვიდებით გადავივლით მეორე მხარეს, მაგრამ ამ ჩასაფრებაზე უარის თქმა მე უკვე აღარ შემეძლო და ვინატრე. ნეტაეი ცოტას კიდევ დავვიანებდნენ-მეთქი, თორემ კრეზიენსკის შეეძლო არ დავგთანხმებოდა. იტყვოდა, რაზმი გადადის, ესეც დიდი და სერიოზული საქმეა და რაც უფრო შეუმჩნევლად ვივლით, მით უკეთესიაო.

— შეხედეთ. — მიჩურჩულა კომლევმა მე გზას გავხედე. ორშიდან დიდი სატვირთო მანქანა მოდიოდა, ძლივს მოლოდინდა, თუმცა მანქანაზე სამი ჯარისკაცის მეტი არ იჭდა. ამათზე ხელის გასვრა არ ღირდა, მაგრამ მანქანამ ჩაიარა და გზატკეცილზე ალალი გაიქნია. თორმეტი ოთხთვალა ბოგუშევსკისა თუ ვიტებსკისკენ მიდიოდა. ოთხთვალეზე ორ-ორი კაცი იჭდა. ერთი გერმანელი, ერთიც, ალბათ, პოლიციელი. ამათი გაშვება დანაშაული იქნებოდა, მაგრამ მე უფლება არა მქონდა სროლა ამეტხა. სხვა დროს, როცა ჩემი ოცეულით მართო ვმოქმედებდა და ახლო-მახლო უფროსთაგან არავინ არის, ასეთ მზამხარეულ ლუქმას ხელიდან არ გავუშვებდი. კომლევც აწრიალდა, რომ მეთქვა ან მენიშნებინა, მიდი-მეთქი, დარწმუნებული ვიყავი მთელ ადამს მართო შეებმებოდა. ეს კი არ შემეძლო, შემთხვევით რომ მოეკლათ, მეც თავს წამაპრიდნენ. კომ-

ლევნი ბევრად უფრო დიდი საქმისათვის იყო საჭირო, არა და ალაღმა უკვე ჩაიარა.

ჩვენ უკან ხმაური მომესმა. ფელა ადგილზე დავტოვე და კრეზიენისკისავე გავიქეცი. მეთაური ოდნავ შემკრთალი და მგონი დაბნეულიც ჩანდა. შევატყე, გზის მეორე მხარეს გადასვლა რომელი ოცეულისათვის უნდა ებრძანებინა, ამაზე ყოყმანობდა. სიტყვის თქმა არ მაცალა, მაშინვე გონს მოეგო და ბრძანა:

— გზატყეცილს მზვერავები გადასჭრიან. — სული მოითქვა.

— არის. — ეუბასუხე. — მაგრამ ივან ივანის, გზატყეცილზე ალალი მიდის, წინ სატვირთო მანქანა მიუძღვის, პირდაპირ მილოდავს. იმათი გაშვებაც არ შეიძლება.

— მერე?

— ჩვენ გზას გადავჭრით, რომელიმე ოცეული ალალს გაუწვრდეს, დანარჩენები ჩასაფრდნენ. ოღონდ სწრაფად იქნებ ამასობაში გზაზე მანქანებიც გამოჩნდეს.

კრეზიენისკიმ ანტონს შეხედა, ანტონმაც არც აცია, არც აცხელა, გრეზელნიკოვი მოიხმო და უბრძანა ალალს დაედევნე, დაეწიე და ნელა შეუმჩვენლად მიჰყევით, როგორც კი აქედან სროლის ხმას გაიგონებ, თავსაც დაეხსიო.

მე სტიოპა სენკევიჩის დავუძახე. იგი ჩემს უკან იდგა. ბიჭს ხელი ჩაკვიდე და მზვერავებთან ერთად გზატყეცილისკენ გავეწიე.

— სტიოპა, შენ დაწინაურდი, იქ ჩასაფრდი, სადაც გზა ოდნავ უხვევს. ცეცხლს რომ გავხსნით, შენ გზას უცქირე, თუ გერმანელთა სხვა მანქანები შენიშნო, მაშხალა გაისროლე. — ალიოშას მაშხალა ავართვი და ბიჭს მივეცი. — გერმანელები ტყვიას ტყვს დაუშენენ, მსხვილ ნაძვს მოეფარე. — დაეწიე სიტყვა სენკევიჩის. არც მოუხედავს. ბიჭები აქეთ-იქედან ამომიღებენ. სულ თოთხმეტნი ვიყავით. მეცოტავა და მაშინვე გადავწყვიტე. მომავალში

მზვერავთა ოცეულში რამდენიმე ადამიანი კიდევ ჩამერიცხა.

გზატყეცილი სწრაფად გადავირბინეთ და იქვე ჩავწყვიტით. ალალი უკვე აღარ ჩანდა, ჩვენ ორშისკენ ვექნით პირი. მერე გზის იქეთა მხარეს ოცეულებიც დავინახე. ბიჭები სწორედ ჩვენს პირდაპირ ჩასაფრდნენ. ორი მეტრძოლი ნაძვზე აძვრა. სროლის დროს მოპირდაპირე მხარეს ჩაწოლილი ამხანაგები არ დახოცონ-მეთქი, გავიფიქრე.

გზატყეცილს ნელა ეფინებოდა სალაშოს ბინდი, მანქანები კი არა და არ ჩანდა.

უცებ მანქანების ხმაური ჩამესმა. ჩემს გვერდით მიშა ლიზუნოვი წევს, იდაყვი დავეკარი. თავი დამიქნია, მესმისო. მანქანები ახლოვდებოდნენ, მაგრამ ძნელი გასარკვევი იყო საიდან მოდიოდნენ.

— საჩვენოა, — გავიგონე ვასოს ხმა.

მოსახვევიდან მოშორებით მანქანა გამოვიდა. წინფარები აენთო, იქნებ განგებაც. მას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე.

აჰა, სამი ყოფილა, ამჯერად საკმარისია. მანქანებზე გერმანელები არიან, ზოგი ფეხზე დგას, თოფები ტყვისკენ გაუშვერიათ და თვალეხსაც შიშით აციეებენ.

პირველი მანქანა არ უნდა გავისწორდეს, ოც-ოცდაათ მეტრზე რომ მოახლოვდება, ფარებს ზევით უნდა დასცხო.

— აბა, ვიწყებთ!

პირველი გრძელი ჭერი გავუშვი. მანქანა მაშინვე დადგა.

— ცეცხლი. — მომესმა გზის მეორე მხრიდან. ბიჭოს, რა ხმა ჰქონია ჩვენს მეთაურს!

ცეცხლიო! ატყდა, მაგრამ რა ატყდა! გვეგონებოდათ მარტო პარტიზანები კი არა, მთელი ტყე, ყოველი ნაძვი, ფიჭვი თუ არყისხეც ისერისო.

გერმანელები კისრისტებით მოცვიან მანქანებიდან და სანამ მიწაზე დაეშვებინა, ჩვენი ბიჭების ტყვიებით იცხრილებიან. მესამე მანქანაზე მსხდომ-

ნი უფრო იოლად გადაჩნენ, ძარიდან ჩამოცვივდნენ და საპასუხო ცეცხლი გახსნეს. რა თქმა უნდა, უთავბოლოდ ისვრიანი. საცოდაობაა ახლა იმათი გასროლილი ტყვია რომ მოგვხვდეს.

ცაში მამხალა აიჭრა, ეს სტიომა სენკევიჩია, ჩანს გზატყვილზე კიდევ გამოჩნდა მანქანა. აღარ ვიცი რა ხდება, ისეთი ჯოჯოხეთი ტრიალებს, ვერ გარჩევ, ვინ ვის ესვრის. ამას ისიც დაემატა, რომ სადღაც შორს, ძალიან შორს ვიტებსკისაკენაც ატყდა სროლა.

უნდა ვივარაუდო, რომ გრებლნიკოვის ოცეული ალაღს დაესხა.

ტყვიები წამდაუწუმ წუიან, ახლა თავის წამოწევა უგუნურებაა. ადგილის გამოცვლა აუცილებელია. ფრთხილად, ძალიან ფრთხილად გავხობდი, ბიჭებიც ხოხვით მომყვებიან. ასე, რომოცდაათ მეტრზე გავშორდით ჩასაფრების ადგილს და შევიხვეწეთ. ახლა საჭიროა ვითარებაში გარკვევა. გზის მეორე მხარეს რომ ვიყო, ერთ-ერთ ოცეულს წინ, მოსახვევისაკენ წავწევიდი. ნუთუ ამას ანტონი ვერ ხვდება? იმ ბოლო მანქანაზე თუ გერმანელები არიან, გონზე მოსვლა არ უნდა აცალო. მოსახვევიდან კი ისვრიან და ისვრიან. ტყაცა-ტყუცი გაუდის ტოტებს, სასკადომ ტყვიებს გვესვრიან და ამიტომ ისმის ტოტების ლაწა-ლაწი.

ნეტავი რას ფიქრობს კრეზიენსკი? — გამიელვა და მამინვე პირდაპირ გზატყვილზე გადმოცვივნილი ბიჭები დავინახე. იერიშით მოდიან, ვაშას ძახილით და სროლით უტყვენ. ყოჩაღ!

საფარში წოლა აღარ შეიძლებოდა, ჩვენი რაზმს შევუერთდით. ტყვიების წუილი აღარ მესმის, მგონი, მხოლოდ ჩვენ ვისვრით.

მალე მთელი რაზმი მანქანებს შეესია. ვილაცამ კაბინიდან დაჭრილი ოფიცერი გამოათრია. იგი დაეცა, მაგრამ აქეთ-იქიდან წაუთაქეს, იარაღი აართვეს და ისიც ამღერდა. მეორე მანქანის ძარახე ყუთები ეწყო, ყუთებზე დახოცოლი ჭარისკაცები იწვნენ. მესამეზე აღარავინ იყო, სამაგიეროდ, მანქანის

ახლო ოცამდე მკვდარი ფაშისტები მდებოდა. ყუთები ტყეში შევიტანეთ და დაჭრილი ოფიცერი ტყაინოს ჩააბარეს. დორონინმა ორი სრულად უვნებელი ტყვე მოიყვანა. ლიზუნოვსა და ტარაინეკოს თითო ყუთი მოჰქონდათ. გამიკვირდა, ჩვენ ოთხი კაცი ვემაწეურბოდით ყუთს, ძლივს ავწიეთ და ამით რა ადვილად მოაქვთ-მეთქი. მალე გაირკვა, მომცრო ყუთებში ტყვიაწამალი იყო, უფრო მოზრდილ ყუთებში — შოკოლადი.

ტყვია-წამლით სავსე ყუთები ტყეში დაევაღათ და შევნიღბეთ. მალე გრებლნიკოვიც გამოჩნდა. ხუთი ოთხთვალა და ერთი პოლიციელი მოიყვანა. პოლიციელმა როგორც კი დრო იხელთა, გაქცევა სცადა, უცებ გადახტა და მოქუსლა, მაგრამ ტყეში ვერ შეასწრო, მოკლეს.

რაზმიდან ერთადერთი კაცი დაჭრილიყო, არ გაგიკვირდეთ და ეს კაცი თვით კრეზიენსკი გახლდათ. სასკადომი ტყვია მარცხენა ხელის მტევანში მოხვედროდა, ზედ ცხვირსახოცი შემოგხვია. სტიომამაც მოიზრინა, დაეუძახე, ქოჩორზე ხელი წავეუქირჩიამლე. მისთვის ესეც ბევრს ნიშნავდა. დაჭრილი ოფიცერი წაიქცა, ბევრს ეცადნენ ბიჭები, მაგრამ ფეხზე ვერ წამოაყენეს. საკაცის შეკვრა გახდა საჭირო. ამაში ჩვენი ბიჭები დახელოვნებულნი იყვნენ. ოთხთვალეებიც ტყეში შევიყვანეთ, ფედიამ გზა იპოვნა, სწრაფად დავიძარით. მაგრამ ოთხთვალეების წაყვანა ტყით არ მოხერხდა, მათი დატოვებაც გვენანებოდა. კოლია ბორიჩმა ითხოვა, სამი მებრძოლი მომეცით, ოღონდ ერთერთმა სოფიეევოს ტყეში ბრიგადის თავშეყრის ადგილი იცოდეს და ამ ალაღს იქ მე მოვიყვანო.

კოლია ბორიჩს სტიომა გავატანეთ. როცა დაჭრილ ოფიცერს საკაცებზე აწვენდნენ, ვილაცამ თქვა, ამას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ატყვია, რატომ უნდა ვათრიოთო, რევოლვერი იძრო და ექიმ ტიხონოვს რომ არ მიესწრო, ოფიცერს სულს გააფრთხობინებდა.

ტიხონოვმა დაქრილს მიხედა, კრილობა ნაუცბათევედ შეუხვია.

— გერმანელ ოფიცრების მკურნალობას დაჩვეული ხართ, პიოტრ ივანოხ, — ფუთხარი ექიმს, გაეცინა.

საკაცე ჯერ ორმა მებრძოლმა ასწია და ერთხანს ისე იარეს, ხმა არ ამოუღიათ, მაგრამ მერე და მერე აბუზღუნდნენ, სუხოლოლსკიმ მათ კიდევ ორი მებრძოლი წაახმარა.

— რატომ უნდა ვათრიო ეს ძაღლი-მამაძაღლი, რეხვე ტყვია შებლში და გაათავე. რას გაჩუმებულხარ, ფრიცო? გაგიტყვა საკაცეზე წოლა? შენი დედა კი ვატირე მე...

დანარჩენ ტყვეებს ხელები გაუკრეს და ერთმანეთზე გადააბეს.

კრეზიენსკი ჩუმად ოხრავს, ეტყობა, კრილობა აწუხებს.

— ცოტა კიდევ გაუძელით, ივან ივანოხ, როგორც კი მოვალთ, მაშინვე გადაგიხვევთ, უბრალო კრილობაა, ერთ კვირაში მოგარიჩენთ, — ეუბნება მეტაურს ტიხონოვი.

ანტონი ჩემს გვერდით მოდის, კმაყოფილია, ამას იმით ვატყობ, რომ ლაპარაკის სადერდელი აშლია, მიწვევს.

— რალა მაინცა დნ მაინც ივან ივანოხს მოხვდა ტყვიის წამსხვრევი, სასწაული არ არის ეს?

— შენ ან მე რომ მომხვედროდა, აჯობებდა თუ?

...სოფიევკოს ტყეში რომ შევედით, კომლევს დავუძახე და დავწინაურდი. რაზმთან კობუშევი დავტოვე. ბრიგადის ბანაიკთან გუშაგებმა შეგვაჩერეს, ნე პაროლი ვიცოდი, გუშაგებს გამოველაპარაკე, რაზმის მოსვლა ვაცნობე. რაზმი რომ მოახლოვდა, ივან ივანოხს ვთხოვე თან წამომყე-მეთქი.

— სუხოლოლსკი. — გასძახა მან. — რაზმს მიხედ!

ბოიკოს კარავში სანთელი ენთო. კარავში ჯერ კრეზიენსკი შევეშვი, მერე მეც შევედი. ბოიკოსთან ერთად კარავში სტელმახი, მანოხინი, ვაიცეხოვსკი და კიდევ ერთი უცნობი კაცი დაგვხვდნენ. კრეზიენსკიმ მიმოიხედა, ცო-

ტა დაიბნა, აღარ იცოდა, ვისთვის მოეხსენებინა, ბოიკოსათვის თუ კრეზიენსკისათვის. სტელმახი მიუხედა და ბოიკოზე ანიშნა, ვასილ ვასილიჩი წამოვდა.

— ამხანაგო ბრიგადის მეტაურო, პარტხანული რაზმი, ასორმოცდაათი კაცის შემადგენლობით, თქვენს განკარგულებაში გამოცხადდა. მოგახსენებთ რაზმის მეტაური კრეზიენსკი.

— გამარჯობათ, ივან ივანოხ, ეს რა, დაქრილი ხართ? — მიეგება ბოიკო.

— გზად პატარა ჩასაფრება მოვაწყეთ, ტყვიამ გამკაწრა.

ბოიკომ რაზმის კომისარი ეფიმ ვლადიმერის ძე მანოხინი, შტაბის უფროსი ვაიცეხოვსკი და ბრიგადის დაზვერვის უფროსი ამხანაგი სოკოვი გაგვაცნო.

სოკოვი ძალზე მაღალი და ხმელ-ხმელი კაცია, ასე ორმოცი-ორმოცდახუთი წლისა იქნება. ხელი რომ ჩამომართვა, მითხრა, შენზე ბევრი რამ მსმენიაო. გამიხარდა.

— ჩვენ თან ოთხი ტყვე მოვიყვანეთ, მათ შორის ერთი ოფიცერიცაა. — მოახსენა კრეზიენსკიმ. სოკოვმა ბოიკოს რაღაც გადაულაპარაკა და გავიდა.

— გვეგონა დღისით მოხვიდოდით, ივან ივანოხ. — თქვა სტელმახმა, — კარვებსაც თქვენ თვითონ მოაწყობდით, რომ შეგიგვიანდათ, ბრიგადის მეტაურმა კარვები დაადგმევინა. სულ ოთხი კარავია, მაგრამ ამაღამ როგორმე მოასვენეთ მებრძოლები, ხვალ, როგორც მოგესურვებათ, ისე მოეწყეთ.

კრეზიენსკიმ გადმოშხედა, მე უფროსებს გამოვეთხოვე და გამოვედი. ვაიცეხოვსკიც გამომყვა. შტაბის უფროსმა კარვები მაჩვენა, მერე რაზმთანაც მოვიდა, სუხოლოლსკის გაეცნო, ბიჭებს გაეხუმრა.

ტყვეები სოკოვს წაეყვანა. მწვერაგები ერთ კარავში მოეთავსდით, გაჭირვებით დავეტიეთ, თევზებივით ვიყავით ერთმანეთზე მიტყუპულნი, მაგრამ დადლილ-დაქანტულებს მალე ჩაგვეძინა.

დილით გვიან გამედვიძა. კარავში სტიობა სენკევიჩი და კოლია ბორიჩი

დავინახე, ოთხთვალეები მოეყვანათ.

ბიჭები კარვებს დგამდნენ. ვასო და ალიოშა ისევ ერთად მუშაობდნენ, უნდოდნენ დამხედურებისათვის თავიანთი ოსტატობა ეჩვენებინათ.

— არ დამივიწყოთ. — ვუთხარი ვასოს.

— ოღონდ გვიკადრე და...

საუზმემდე კარვები მზად იყო. სასადილოში მიგვიწვიეს, კრეზიფინსკის ბრძანებით ბიჭებს შოკოლადი ჩამოურიგეს.

ერთი დიდი ყუთი მეთაურმა ბოიკოს გაუგზავნა.

ნაშუადღევს კიდევ ერთი რაზმი გამოცხადდა. რაზმში სულ ადგილობრივი მცხოვრებნი იყვნენ. როცა მეთაური ბოიკოსთან მოვიდა და რაზმის მოსვლა მოახსენა, ისე უჩებრულად იდგა, რომ მივხვდი, სამხედრო მსახური არ იყო. მართლაც ბორის გაბრიელის ძე გორნიკი სენოს რაიკომის მუშაი გახლდათ, მის რაზმში იმ დროს მხოლოდ ოთხმოცი კაცი ირიცხებოდა.

საღამოს მიხეილ გრიგოლის ძე კირილოვმაც მოიყვანა თავისი რაზმი. კირილოვი ცოცხალი და მოძრავი კაცი ჩანდა, საშუალო ტანისა, ჩასკენილ-ჩაკირული. უღვაში კობტად დაეყენებინა და ამ სიტყვაში თავზე ცხერის ტყავის ქუდი უხურა, ზედ ვარსკვლავიც მიემარებინა.

კირილოვი ჩინით მაიორი ყოფილა, სხარტად, მაგრამ არც თუ ისე დიდი ხალისით მოახსენა გამოცხადება ბოიკოს. კირილოვს თან ასი კაცი ახლდა. ჭერჭერობით მებრძოლთა რაოდენობითაც და შეიარაღებითაც ჩვენ ყველას ვკობდით.

გადაწყდა, საერთო მოწყობა და ერთმანეთთან გაცნობა რემოს რაზმის დაბრუნებისთანავე მოეწყოთ. რემოს მეორე დღისთვის ელოდნენ.

მთელი ბანაკი შემოვიარე, ტანისა ვეჭებდი. გოგონების კარავში არავინ დამხვდა, მინდოდა უკანვე გამოვბრუნებოდი, მაგრამ კარვის ახლოს, ხეს-

თან ოლია კარბოვიჩის მოვეტრეხე. ოლი, შორიდან მივესალმე, მტრე შეგეხვეწა ხელი ჩამოვართვი და მოვიკითხე. უგულოდ, რაღაც უხალისოდ, უღიმღამოდ მიპასუხა. ერთხელაც არ შეუხედავს ჩემთვის, არ ვიცი ცას უცქეროდა, არ ვიცი ნაძვის კენწეროს. რა ძნელი მისახვედრი იყო, რომ მას ჩემთან საუბარი არაფრად ებიტნავებოდა. მე კი პირიქით, მისი ახლოს გაცნობაც მაინტერესებდა და ბევრი სხვა რამეც, ამიტომ ცოტა წავითავებდე და ვკითხე:

— თქვენი გოგონები სადღა არიან, ოლია?

— თქვენ რომელი გაინტერესებთ? ასეთ გოგონთან მიკბულ-მოკიბულურ ლაპარაკი არ გამოვიდოდა, პირდაპირ დავასახელე:

— ვთქვათ, ტატიანა სვეტლოვა.

ჩაიციანა, ამ წუთში აქ იყო, საცაა გამოჩნდებო.

— სიამართლე გითხრათ, მე თქვენთან უფრო მინდოდა საუბარი, მაგრამ ახლა ხასიათზე არა ხართ, ვეცდები სხვა დროს შეგაწუხოთ.

— რატომ? — შემომხედა.

— ასე სჯობს.

— ჩემთვის ეფიქრობდი, რომ მძაბრით...

— არა უშავს, ან საპატიებელი რა გაქვთ.

— ტანია თქვენზე ბევრი გველაპარაკა.

— რაო, კინოთეატრში ძალით გამეცნო და პაემანიც დამინიშნაო?

— ესეც თქვა.

— სხვა რაღა უნდა ეთქვა, მაშინ შემთხვევით შეხვდით ერთმანეთს, მეორე დღეს ომიც დაიწყო, მაგრამ მოხდა სასწაული და უფალმა ერთმანეთი გვაპოვნინა.

— ომში რა არ ხდებდა.

— თქვენთან შეხვედრასაც მოველოდი, ოლია. არ გაგვიკირდეთ, მე თქვენი თავგადასავალი, ბოგუშევსკის იატაკქვეშეთში თქვენი მოღვაწეობა და ბევრი სხვა წერილმანიც ვიცი. ნუ მკითხავთ საიდან, ამას დიდი მნიშვნელო-

ბა არა აქვს. ოღონდ ახლა ერთი რამ მაინც უნდა დავაზუსტო, იმ „ვოლკოვის“, ესე იგი, ჰანს შულცის შესახებ მერე ხომ არაფერი ვაგვიყვით? იქნებ ვინმემ მოგაწუდიანთ ცნობა.

— იცნობდით?

— მქონდა ბედნიერება.

ოლიამ ისევ ცას თუ ნაძვის კენწეურს ახედა. ქისა ამოვიღე, ნებაართვა ვთხოვე და თუთუნი შევახვიე.

ოლია უცებ შეერთა, გეგონებოდათ, ეძინა, ვილაკამ ხელი წაჭრა და გამოაღვიძაო. იქნებ მაშინ სწორედ ის წუთები აგონდებოდა, როცა ბოგუშევსკში გენერალს ყუმბარა ესროლა, იქნებ დედა გაახსენდა, იქნებ მისი მეზობელი ანატოლი, იქნებ კაილო ან პროზორენკო.

— იმ ვესესელზე აღარაფერი მსმენია, მგონი, გენერლის სიკვდილის გამო დახვრიტეს.

— ტყუილია, შულცი ცოცხალია, ოლია, მაგრამ ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ.

— მე უნდა მომეკლა, მე... ისიც და პეორეც, ჩვენიანი, რუსი თუ ბელორუსი, ჩემი მეზობელი, ჩემი... მაშინ დაემშვიდდებოდი, მაშინ დბეიძინებდი. ახლა ყოველი მამაკაცი იმად მეჩვენება, ასე მგონია, საიდანაც გამოჩნდება, მოვა და უტიფრად იმართლებს თავს. მას შეუძლია ესეც იკადროს, გაბედოს.

— ნეტავი მართლაც აიღებდეს თავზე ხელს.

— მელანდება, თითქოს ყოველ ხესთან ის არის ატუზული და თვალს არ მაშორებს. ჰანციის გამწყვეტი, ქლექის გამჩენია ეს ლოდინი, მომაწვევინეთ თუთუნი.

ქისა მივაწოდე.

— თქვენ თვითონ გამიწყეთ, მე არ შემძლია.

თუთუნი წინასწარ დაჭრილ ქალაღზე დავყარე, შევახვიე და მივეცი. ჩამომართვა, ენა ვაუსვა, შეახვია, ხელში უხერხულად დაიჭირა. ასანთს ვაკეპარი, მოვუკიდე. მოსწია, მაგრამ მაშინვე

ხველა აუვარდა და გადავადრეკინე. შავესავით შემომხედა.

— თუ ნება დამართეს, ბოგუშევსკში მინდა წავიდე. ვგრძნობ, რომ მე ამ ომს ბოლომდე ვერ გავიტან, ალბათ, მალე მოკვდები და არ მინდა ჩემი ქალაქის, ჩემი ქუჩის უნახავად დავხუჭო თვალი. მიწაშიც, სანამ ჩემი სხეული მთლად არ დაღებება, ალბათ, სულ მასზე ვიფიქრებ. მას ხომ არავინ არ უცნობს, დაუსჯელად ივლის ქვეყანაზე.

— სასიკვდილო რა გჭირთ, ოლია თქვენ და ასეთი გულგატეხილი? მთელი თქვენი ცხოვრება წინ არის. უნდა იცოცხლოთ და გამარჯვების ბედნიერი წუთებიც იხეიშოთ. ამისათვის მხოლოდ და მხოლოდ ერთ რამ არის საჭირო: ნერვებს მოუაროთ. თქვენ ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობაშიც ყოფილხართ და სწორი გადაწყვეტილებაც მიგიღიათ. არ შემკრთალხართ, ქალური სისუსტე არ გამოგიჩენიათ. გაიხსენეთ პატარა მოედანი ბოგუშევსკში, საკომუნდანტოს წინ. თქვენს ირგვლივ მხოლოდ ესესელები, მხოლოდ მტერი და სიკვდილი იყო. ამ ჯოჯობეთში თქვენ ერთადერთი ვოგონა იყავით. ვინ გაგამტყუნებთ თუ მაშინ ხელი ჩაქნეული გქონდათ, თუ სიცოცხლეზე, თავის გადარჩენაზე არ ფიქრობდით. თავგანწირვა გარდაუვალი გეგონათ, მაგრამ გაიხედეთ...

იქ, სახლის სახურავზე, საკვამლე მილის ახლო ვის ხედავთ? ამხანაგ ალიოშა კაილოს ქოჩორს...

გაოცდით?

იმედის ნაბერწკალიც გაჩნდა? ხომ იგრძენით რა ძალა ჰქონია მეგობრობას.

თურმე შენზეც უფიქრიათ ამხანაგებს.

აჲა.

აქაც, ბრიგადაში ბევრი კარგი ვაკცია. მიიხედ-მოიხედეთ, დაელაპარაკეთ, გაეზუმრეთ კიდევ, თვალს წყალი დაალევიანთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ ჯერ ცხრამეტი წელიც არ შეგს-



რულებიათ. თავს ისე ნუ მაჩვენებთ, თითქოს ამ უკუღმართ ცხოვრებაში უკვე ყველაფრის ნახვა მოასწარიო, თითქოს უკვე მოხუცი ხართ. რატომ გელიმებათ, ალბათ, გულში ფიქრობთ, ეს რა ავტობიოგრაფიაა. გამოგოგოცდებით, ჩემი შეგონებები არც მე მომწონს. რაღაც ნამეტანი მოვიწოდო.

აბა ეს რა საუბარია? აგერ, ამ მშვენიერ ტყეში, ამ დიდებული ნაძვის ძირას ვდგავართ, არსაიდან არავითარი საფრთხე არ მოგველის. ვდგავართ ორნი, თქვენ... ქათინაურად ნუ ჩამომართმევთ და, ლამაზი, შეიძლება ითქვას, ძალიან ლამაზი 19 წლის გოგონა, მე... ოცდამესამე წელიწადში გადამდგარი ერთი ქართველი ბიჭი... და რაებს ვბოდავ.

— თქვენ კარგი ადამიანი ხართ.

— გმადლობთ. ღირსი არა ვარ, მაგრამ ვეცდები დაგარწმუნოთ ჩემს სიკეთეში. ოღონდ ცოტა ვახალისდით, გაიცინეთ მაინც, იცით, ოღია, თქვენ ახლა იმ არყისხეს ჰგავხართ, აგერ ნაძვის უკან რომ დგას მორცხეად. არყისხე აბა რა არყისხეა, თუ მისი ფოთლები არ შრიალებს, არ ტყრიალებს, არ გეძახის, არ გიზიდავს.

გაიცინა.

— მადლობა ღმერთს და კერძა ნახშირი! რომ იცოდეთ, როგორ გიხდებთ სიცილი, სულ იყისკისებთ. ახლაც, რომ გაიცინეთ, სულ ერთიანად შეიცვალეთ, წითელმა ფერმა გადაკრათ და თვალზე გიგაბრწყინდათ. ცოდვა არ არის ასეთ თვალში იწველი იდგეს? ასეთი თვალები სულ უნდა ციმციმებდნენ, ხანდახან ჩააპუნებაც არ აწყვენთ.

ერთხანს იცინა. მერე მითხრა:

— ტანია მართალია, ტანია ძალზე კეთილი გოგოა და, შეიძლება ითქვას, ძალზე ლამაზიც. მას თქვენ მოსწონხართ, იქნებ უყვარხართ კიდევ და მე ეს მიხარია. მიხარია, რომ თქვენ ორივენი ძალიან კარგები ხართ. აგერ ისიც, შეხვდით, მე წავალ, თორემ ვინ იცის,

იქნებ იქვიანოს კიდევ. — კარავს მიწაში.

ტანია ჩემენ გამოიქცა, მისი შიშისაა, თითქოს ერთმანეთი მთელი წელიწადი არ გვენახოს, მომვარდა და კინაღამ გადამკოცნა.

— სად გაემპარე, ეს არის შენი დაპირება?

— რა ვქნა, ძვირფასო, მე ხომ ჯარისკაცი ვარ, მიბრძანებენ, უნდა გავიფიქრო, გაიქეციო შეტყვიან და — უნდა მოექქსლო.

— ლეიტენანტობას ხუთი წუთი მიკლიაო?

— სწორია. საერთოდ. იცოდეთ, ტყეშილი ქირივით მეჯავრება. ჯარისკაცი ვარ-მეთქი, რომ გითხარი, ახლა ასეა მოლაში. ომში გენერალიც თავის თავს ჯარისკაცს ეძახის. რაც შეეხება დაპირებას, შემიძლია მოგახარო, აღარავინი შეწყუბება აღარ გვეკირდება. აწი ყველა ერთად ვიქნებით. ხომ ხედავ, რა ხალხი შეგროვდა ამ ტყეში?

— რა თოვლს, რა წვიმას ჩამოჰყვამდენი პარტიზანი, კარგების დასადგმელი ადგილიც არ არის.

— ღმერთო, შენით ამ ტყეს არც სიგრძე აკლია და არც სიგანე, ყველას დაგვიტყვეს და შეგვიფარებს. არ გავიაროთ?

— საით წაივდეთ?

— ისევ იქ, ტბის პირას, დიდებულთა თავშესაფარია.

— ვითომ მიაგნებ იმ ადგილს?

— აბა რაღა მშვერავი ვარ.

— ვნახოთ, საით უნდა წაივდეთ?

ხელი ჩავკიდე. საღაც გინდა წამოყვანო, მეუბნებოდნენ მისი ლურჯი, უძირო თვალები. ამას რომ ეკაზობ, ცოტა მრცხვენია და გულიც ვეთანადრება. ლურჯი, უძირო თვალები... ათასჯერ თქმულს ვიმეორებ, სამაგიეროდ ათასჯერ ვლოცავ იმ ადამიანს, ვინც პირველად ტბას თუ ზღვას შეადარა ქალის თვალები და თქვა: „შენი თვალები ტბასავით თუ ზღვასავით ლურჯი და უძიროაო“.

— ტბამდე შორს არის, აი აქ ჩამოვ-
ჯდეთ და ვისაუბროთ.

— ტბასთან მიჩვევნია. ტბას რომ ვუ-
ცქერი, ვმშვიდდები, მერე რა დიდებუ-
ლი ტბაა! ნუ გეშინია, მინცა და ჰაინც
იმ ჩვენს ადგილს თუ ვერ მიაგნებ,
ქვეყანა არ დაიჭყევა. ოღონდ ერთხელ
კიდევ დავრწმუნდები, რომ ტრაბახა
ხარ. — ხელი, ხელზე მომიჭირა.

— შავას ვნახავთ. ისე შენი ხათრი,
თორემ მე სულაც არ მჭირდება ტბა.
აგერ დავჯდები, შენც წინ დაგისვამ,
ჩაგხედავ თვალებში და დაეტკებები
ლურჯი ტბის ცქერით. ხანდახან დავე-
წაფები კიდევ ამ ტბას. აი, ასე. მოვი-
ხიდე.

ტბის პირას სწორედ იმ ადგილას
მივიყვანე, სადაც ამასწინათ ვიყავით.

— ვითომ მართლა ის ადგილია?

ბუჩქი გადავწიე და მოტეხილი ტო-
ტი დავანახე. ამ უდაბურ ტყეში წოწი-
ალმა ბევრი რამ მასწავლა. ეს ხერხიც
აქ ავითვისე. მიდიხარ უბილიკო ეკალ-
ბარდებში, ბუჩქებში ძლივს მიიკვლევ
გზას. გზადაგზა ხეს ან ბუჩქს ტოტი
უნდა შეატეხო, იქნებ უკან მობრუნება
დაგჭირდეს. საიმედო არ არის, მაგრამ
მაინც ნიშანია.

ბუჩქის ძირას ჩავეჭექი, ტბას გავხე-
დე. ტანია დღას და მგონი ისიც ტბას
უცქერის.

— დაჭექი, ტანია.

— არ დავჯდები, ნაწყენი ვარ.

— ჩემზე?

— შენზე. ბუჩქზე ოდესღაც შეტე-
ხილ ტოტს კარგად ამჩნევ, სხვა რამეც
უნდა დანახო. — ტუჩები მობუხა, ხე-
ლები მკერდზე დაიწყო და გამომწვე-
ვად შემომხედა. მივხვდი, რაზეც მისა-
ყვედურებდა. მაშინ ხაკისფერი სამხე-
დრო გიმინატურა და ასეთივე ქვედა
წელი ეცვა. ახლა ნამდვილი, მთლიანი
კაბით გამოპრანჭულა. მე ამისათვის
ყურადღება არ მიმიქცევია, არც მიფი-
ქრია. მას კი გული სტყენია, საოცარია.

— ეს კაბა ძალიან ვიხდება, ტანია.
წინდახედული გოგო ყოფილხარ, კაბაც

გივლევებია. ქალმა ქალობა არ უნდა
დაივიწყოს.

— ოლიას კაბაა, თავისი ხელით ჩა-
მაკვია. იმდენი მატრიალა, მეგონა,
„მამაის ბიუროში“ მისტუმრებდა.

— ჩვენ „მამაის“ ბიუროში ნუ წა-
ვალთ, მოდი რომელიმე დანგრეულ
ეკლესიაში შევიდეთ და ჯვარი დაიწე-
როთ. ან ორი ნაძვის ძირას დავდგეთ.
ნაძვები ვითომ სანთლებია, დიდი, დი-
დი სანთლები, რომლებიც უხილავ ან-
გელოზებს უჭირავთ ხელში.

— მღვდელი? — გადაიკისკისა.

— ცას ვუცქიროთ. წარმოვიდგინოთ,
რომ თეთონ მამაზეციერი გელოცავს.
დაჭექი, ტანია, კაბის დასვრას ერიდე-
ბი? — ცხვირსახოცი გაუფინე, დაჭ-
და, ფეხები მოკეცა და ისე მომაჩერდა,
როგორც პატარა გოგონა მიაჩერდება
ხოლმე ბებიას, რომელიც ზღაპარს
ჰყვებოდა და უცებ შეწყვიტა. — თუ
გინდა რეპეტიცია გავიაროთ, — წამო-
ვხტი, ხელი ჩავკიდე. მინდოდა ამყო-
ლოდა, მაგრამ არ ქნა. მე ისე გავერთე
ჩემი ფანტაზიით, უკან დახევა აღარ
შემემლო. ტანიას ხელი გავუშვი, მივი-
ხედ-მოვიხედე, სულ ახლო ორი ნაძვი
და არყისზე აღმოვაჩინე. არყის ხესთან
მივედი, გვერდში დავუდექი. ჯერ ნა-
ძვებს შევხედე, შერე ცას, მერე არყის-
ხეს თავი დავუკარი და ლამაზ ტანზე
ვაკოცე. ტანია სიცილით კედებოდა.

...გრიგორი ანდრიას ძე რემოს რაზ-
მიც მოვიდა და ჩვენგან კარგა მოშორე-
ბით, მათთვის წინასწარ განკუთვნილი
ადგილას დაბანაკდა. რაზმის უფროსმა
თავისებურად და, ვიტყვოდე, ჩვენზე ბევ-
რად უფრო გონივრულად განალაგა
რაზმი. ჩვენს კარკებში ოთხი-ხუთი.
ან დიდი-დიდი ათი კაცი ეტეოდა. მან
კი სულ ოთხი კარავი დადგა, ერთი შე-
დარებით პატარა, რაზმის შტაბისათ-
ვის, სამი — დიდი. დიდ კარკებში
ოცეულები „ჩაასახლა“. სწორი ვადა-
წყვეტილებაა, განგაშის შემთხვევაში
ჩვენზე სწრაფად შეკრებს რაზმს.

იმ ღამეს დიდხანს ვეთათბირე კრე-
ზიენისკის, ჩვენს ბიჭებსაც და ბრიგა-

დის დაზვერვის უფროსთან წავედი. სოკოვი თავის კარავში არ დამხვდა, ბოიკოსთან წასულიყო. დიდხანს ვუცადე, მომწყინდა და წასვლა რომ დავაპირე, სწორედ მაშინ გამოჩნდა. სოკოვიც კარავში მიმიწვია, მაგრამ არ შევეყვი, მინდოდა ცალკე მესაუბრა მასთან.

განვცალკევდით. მე დობრინოს საპოლიციო გარნიზონში ფედია კომლევის შეგზავნის ამბავი ვუთხარი, ისიც გაეგებინე, რემოს რაზმში რომ პოლიციის აგენტია. დაინტერესდა, სულ წვრილმანებში ჩამეძია. ცნობისათვის მადლობა ვადამიხადა, თან დამარიგა, უჩემოდ ნუ იმოქმედებთო, რემოს მე თვითონ ვნახავო. მაშინვე ვილაც მებრძოლი რემოსთან აფრინა, ახლავე შტაბში მოვიდესო.

ეს ამბავი ამხანაგმა სტელმახმა იცის-მეთქი.

დარწმუნებული ვიყავი, მეორე დღემდე სოკოვი აღარ დამიძახებდა, მაგრამ ერთი საათის შემდეგ თვითონ მომაკითხა და წამიყვანა. თქვენ რატომ შესწუხდით, შემოგეთვალათ და გაახლებოდით-მეთქი. ასე სჯობსო.

რემო ისე იყო აღშფოთებული, პირიდან დორბლებს ჰყრიდა. კარავში დაალაჯებდა, ბურღდუნებდა. კარავში პატარა, უკვე დაღუული სანთელი ბეუტავდა და მე შემეძლო მისი სახის დანახვა. მაღალი ეთქმოდა, ტანბრგე. სალაშზე მიპასუხა, მაგრამ ხელი არ ჩამოურთმევია.

— გამცემი, პოლიციის აგენტი ცხვირის წინ მყავს და ვერ ვამჩნევ, ეს რა გამოდის, დოყლაპია ვარ? რამ დამაბრმავა, რამ დამივსო თვალი და ყური, რას იფიქრებენ ამხანაგები?

— ნუ ღელავ, გრიგორი ანდრეევიჩი, ასეთი რა ყველა ჩვენგანს შეიძლება მოუვიდეს, — ამშვიდებდა მას სოკოვი. — ნურც ნურაფერი გიკვიროთ. პოლიციამ აგენტი შემოგზავნა, თავის საქმეს იკეთებს. ეს მოსალოდნელი იყო. იქნებ ერთი კი არა, ორი ან სამია შე-

მოგზავნილი, სადაც ერთია, იქ ორისამიც უნდა ვივარაუდოთ. — რალა მე მოზადგა, რალა მე მიიჩინა დაბალ ლობელ? ნუთუ რაზმში ვაქცაეცების მავიერ ბიჭუნკალელ მყავს? როგორ გავუსწორო თვალი მათ, როგორ ვენდო, არა და, რა მომასვენებს, სანამ არ აღმოვაჩენ, სანამ საკუთარი ხელებით არ წამოვაგდებინებენას.

სიფიცზე კი არა, სიმშვიდე გმართებს, აგენტს მივაგნებთ. ოღონდ შენ თავი ისე დაიპირე, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ეს აუცილებელია და უნდა შესძლო, ახლა წადი და დაისვენე.

— ისე დაისვენა ჩემმა შტერმა! — კარვიდან ძლივს გავიდა.

— მშვიდად, გრიგორ ანდრეევიჩი, — დააწია სიტყვა სოკოვმა და იმ წამსვე მომიბრუნდა. — კომლევო ახლავე გამოგზავნე, უნდა დაფარიგო.

— გამოგზავნი, არკადი დიმიტრიჩი, ოღონდ უნდა გაგაფრთხილოთ, კომლევო ჰკვიანი და თავისებური ბიჭია. სულ უბრალოდ ელაპარაკეთ, ასე უფრო გავიგებთ. ენდეთ, თვითონ მოიფიქრებს რამეს.

კარავში რომ შევედი, ფედიას არ ეძინა, კოლია ბორიჩს ეჩურჩულებოდა.

— ფედია, თუ არ გეზარება, ადექი. მაშინვე წამოხტა, კარავიდან გამოვევდი.

— თქვენ რატომ გავიწყდებათ, რომ მე ოცეულის მეთაურის თანაშემწე ვარ. როცა გჭირდებათ, მიბრძანეთ, სამოქალაქო კი არა ვარ.

— რემოს რაზმი რომ მოვიდა, გაიგებდი.

— ვიყავი კიდეც მათს ბანაკში.

— ეს თვითნებობაა, კომლევო, რატომ არ მკითხე?

— ისე გავიარე, გულმა არ მომიტოპნა.

— მარტო იყავი?

კოლია მახლდა. გავიარ-გამოვიარეთ და ცოტა წავერშამაქეთ.

— ეს რაღას ნიშნავს?

— ბანაკში მე და კოლია ერთმანეთს განგებ დაეშორდით, მე ერთ მხარეს წავედი, კოლია — მეორეს. ეს იმიტომ, რომ ჩემთვის დაეძახნა. ჭერ სახელი დამიძახა, მერე ფვარიც მოაყოლა. ფედია კომლეგო, საღ ეშმაკში დაიკარგეო. ისე ღრიალებდა, მკვდარსაც გამოაღვიძებდა, მიმიხედო?

— მივიხვდი, მაგრამ ჩემთვის მაინც უნდა გეკითხა.

ვაიღორიქა.

— რა გაცინებს?

— იმ კაი გოგოსთან თქვენი დაშორება საცოდაობა იყო.

— საქმეზე ველაბარაკებოდი...

— ვიცი, როგორ არ ვიცი...

— მერე რა ჰქენით, შეამჩნიეთ რამე?

— ვერაფერი, ვიღაც-ვიღაცებმა ჩაიარ-ჩამოიარეს, მაგრამ ჩემთვის დიდი ყურადღება არ მოუქცევიათ.

— დაზვერვის უფროსი გიბარებს, ყველაფერი მოუყევი და კარგად დაიხსოვ, რაც გითხრას.

ორივე სოკოვთან მივედი. არკადი დიმიტრის ძემ ფედია გვერდში მოსვა.

— თუ დაგპირდეთ, კარავში ვიქნები, გნებათ აქვე დაგელოდებით. — თქვენი.

— შენ წადი, დაისვენე, მე და კომლევი ცოტახანს ვისაუბრებთ.

დღილით რომ გამეღვიძა, კარავთან გავიხედი, ფედია იქვე იდგა, ალბათ, ჩემს გაღვიძებას ელოდა.

— გამარჯობა, ფედია, მე მელოდები?

— კი, თუმცა სასწრაფო არაფერია. მინდოდა რაღაც შეთქვა. სოკოვი ძალიან მომეწონა, ჭკვიანი კაცია, არ გეწყინოთ და ის თქვენზე უფრო ჭკვიანია, სხვებზეც...

— სხვებზე რა მოგახსენო, ჩემო ფედია და, ჩემზე ჭკვიანი რატომ არ უნდა იყოს? ათი-თხუთმეტი წლით მაინც იქნება ჩემზე უფროსი.

— აი, მესმის გოგრა, ჭკუით არის გატენილი. ეშმაკობასაც ხომ ჭკუა უნდა?

— აბა, რა! განა შენ ჭკვიანი არ ხარ? სუშიჩინსკი და ის გერმანელი ოფიცერი

ერთ კვირაში რომ „დაიბყარო“. პატარა ამბავია? შენნაირ ეშმაკი, ფედია, შენს მოხერხებას ჩვენში გლენო უკუა ეძახიან. გლუხკაცი ყველაფერს თავისი არშინით ზომავს. ამას რომ ვეუბნებოდი, კარავის წინ ვიდექი, იგი უცებ შებრუნდა, კარავში შედიოთ, დამიძახა და ნელა წავიდა. თვალების ცეცება არ დამიწყია. კარავში შევედი, ტოტები მივწი-მოვწიე, კარგა მოზრდილი ჭუჭრუტანა გაეკეთე და კომლეგს გაეხედე. იგი თუთუნს ახვევდა, სტვენდა და ნელა შორდებოდა კარავს.

რა მოხდა? ვინ დაინახა? რა ბუზი შეუძგრა?

ხესთან მივიდა, ზურგით მიეყრდნო, თუთუნს მოუკიდა. ისე გემოზე გააბოლა, იფიქრებდით, ამქვეყნიური მას არაფერი ეხებო. მაღიანად ქაჩავს და კვამლს პირიდან ბოლქვად უშვებს.

ახლო-მახლო არავინ არის, ნეტავ რა იყნოსა?

ვასო მომიჩოჩდა, ჩემს გვერდით საცოდავად მოიკუნტა, ალბათ, უნდოდა ეთხოვა მეც ვამახედვინეო, მაგრამ შემატყო უარს რომ ვიტყოდი, თვითონ გაეკეთა ნახვრეტი და ზედ მიეწება. ჩვენი წვალებით ჭერ ლიხუნოვი დაინტერესდა, მერე ტარანეცო და ბოლოს—კორ-უშევი. სხვები კარავში არ იყვნენ. ნაძვის წიწვი სახეზე მიღიტინებს, მსუსხავს და უკვე მინდა ჭუჭრუტანას მოვშორდე, მაგრამ ამ დროს ვასომ იდაყვი წამკრა, შეხედეო. ფედია ვიღაც მიუახლოვდა. ქალაღდში შეხვეული პაპიროსი მიუშვირა. კომლეგს მისთვის არც შეუხედავს, ისე გასწია ხელი, აბა, მოუკიდე და აქედან მომწყვდიო. ფედია კარგად ვხედავ, ვხედავ მის ეშმაკურ, დაწყურულ თვალებს. იგი ახლა მეჭებარი ძაღლივით არის, მწყერის სიხლოვეს რომ იგროძობს და გაინახება.

ის, ვინც მასთან მივიდა, დაბალი ბიჭია, მხრებამდე ძლივს სწვდება კომლეგს. პაპიროსს მოუკიდა და იქვე ჩაცუქდა.

მინდა როგორმე დაეინახო, მაგრამ ფედია მეფარება.



ფედიაშ პაპროსის ქაჩვას უმატა, ჩანს, ნერვიულობს. მერე ნამწვავი მოისროლა, ზევიდან დახედა „სტუმარს“, მგონი, ჩაახველა და ნაბიჯი გადადგა. ვხვდები რა დღეშიც არის, შემაჩერებს თუ არაო, სული სძვრება.

დაუძახა, ალბათ, დაუძახა, მე მისი ხმა არ გამიგონია, მაგრამ ფედია შედგა, მისკენ შებრუნდა და მიაჩერდა. მერე უცებ ისიც ნაძვან ჩაუკვდა.

ლიზუნოვმა ვასო გამოსწია, მეც გამახედვო. ვასომ უტია, მიშამ გაიხედა და თქვა:

— დეგენერატია ეს კომლევი.

— რატომ?

— ვერ გაიწევა ან იქით ან აქეთ?

— აცალე, მიშა, მან უკეთ იცის თავისი საქმე. მისი გინება კი ერთხელ გითქვამს და მეროდ აღარ წამოგვადეს. დეგენერატი კი არა, ბაჭალოო ოჭროა.

ლიზუნოვი კორპუსევი შეცვალა, ვალოდიამ ერთხანს იტრიალა, ვერასგზით ვერ მოეწყო ნახვრეტთან, მერე გაწევა და გაიხედა. ამ დროს ჯერ ფედია წამოდგა, მერე ის. ფედიაშ მას მკლავში ხელი გამოსდო, ცოტაზე ჩვენსკენ წამოიყვანა, თუ ბიჭები ხართ, დაგვინახეთო. მერე ორივე შებრუნდა და ტბის მიმართულებით წავიდნენ.

კორპუსევი წამოხტა, ისე უცბად დადგა ფეხზე და იყვირა, ჭურჭურთანას თავი მივანებე. ვალოდია გასასვლელისაკენ გაეჭანა და ალიოშას რომ არ დაეჭირა, კარავიდან გავარდებოდა.

— რა მოხდა, ვალოდია?

— ვერ იცანით?

— რა, შენ იცანი თუ?

— სვისტუნოვია.

— ააა! — ერთხანდ გიყვირეთ ყველამ.

— სვისტუნოვია მაგის... დედის სული ვაღმომტრიალა კორპუსევი და გაიწია. ტარანენკომ იგი თივაზე დასვა. მაშ სვისტუნოვია? პოლიციის აგენტი? გამეცმი, მოლაღატე, ძმებთან სამტროდ მოსული?

ჩვენ ალბათ არც ვგონივართ ცოცხლები, თუ ვართ, თუ ვარსებობთ, აქედან

შორს სადაც ბარისოვის ტყეში თუ ვიყოფებით.

ო, რა გუნებაზე დადგება ვეულა მე შემომცქერის.

— კარავიდან არავინ გავიდეს. — ეთქვი მკაცრად. — არავინ. სვისტუნოვზე ხმა, კრინტი არ დასძრათ. ჩვენ ის არ დაგვინახავს, არ გვიცნია. კომლევს დაველოდებით. ახლა სტიოპა გვინდა, აბა გაიხედ-გამოიხედეთ, იქნებ მოჰკრათ თვალი. სწრაფად, ყოველი წუთი მილიონი ლირს. ანტონი ან ჩვენი რომელიმე მებრძოლი რომ იცნოს, ყველაფერი ჩაგვეფუშება. ვასო და მიშა კარვის ერთ კედელს მისცვივდნენ. ალიოშა და კორპუსევი მეორეს, „კედელი“ გასწი-გამოსწიეს, გაფაციცებით იცქირებოან. ისე გავერთეთ თვალთვალით, სტიოპას გამოჩენა არ შეგვიმჩნევია. კარავში შემოვიდა და, რომ დაეინახეთ, პირდაღებული, გაოცებული და გამოშტერებული იდგა, ვერაფრით ვერ მიხვდარიყო თუ რა ხდებოდა კარავში.

— სად დიკარგე, ბიჭო, აღარ უნდა მკითხო, სად შიღინარ? — ცოტა ხმა მალა და უხეშადაც გამომივიდა ნათქვამი. ისე მაქვს ნერვები დაჰიშული, ვერ მოვზომე, თუმცა მალე გამოვეჩვეე. ბიჭს ხელიც მოვხვიე, მაგრამ უკვე გვიანდა იყო, თვალეები ცრემლებით ავსებოდა. არ იყო ჩემგან დაჩვეული ასეთ მიმართვას, საყვედურს.

— საგანგებო შემთხვევაა, სტიოპა, პერივით გვჭირდება. სუხოლოლსკისთან გაიქეცი, უთხარი არამც და არამც კარავიდან ფეხი არ გამოდგას და მაშინვე დაბრუნდი. ამასობაში წერილს გავამზადებ. სენკევიჩი გაიქცა. ბიჭებს საწერი ქალაღლი ვთხოვე, ჯიბეები ვაღმიობრუნეს. იძულებული გავხდი უბის წიგნაკის ორი ფურცელი ამ საქმისთვის შემეწირა. წიგნაკი რომ ამოვიღე, ფურცლის ამოხვევა შემენანა, თან ისიც გამახსენდა, რომ კარგახანია წიგნაკში არაფერი ჩამეწერა. ბოლო დროს ბევრი ისეთი რამ მოხდა, ჩაწერად ღირდა.

ანტონ, სვისტუნოვი გამოჩნდა. ალბათ, ის არის პოლიციის აგენტიც. ახლა

კომლევთან ერთად ტბისკენ წავიდა. შენ კარაიდან ნუ გამოხვალ, ჩვენებიც გააფრთხილე, დაღამებამდე კარვებში უნდა ვისხდეთ. რომელიმეს თვალი რომ მოგვკრას, ყველაფერი ჩაგვეფუშება, საშა.

სტიობა მისული არ გვეგონა და უკვე დაბრუნდა, შეშინებული და გაფითრებული იყო. შტაბის უფროსი კარავში არ დაშვდაო. ბიჭს წერილი მივეცი და დავავალე, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, სუხოლოლსკი მოეძებნა. ამ დროს კოლია ბორიჩი შემოვიდა. კოლიაც სუხოლოლსკის საქმებელად გავგზავნე.

— ჩვენი განაჩენი არ დაგვიწყდეთ, ახლაა დრო. — თქვა კორპუშევმა. ბიჭებმა უხმოდ დაუქნიეს თავი.

— ნუ აჩქარდებით, სვისტუნოვის დახვერტის უფლებას არ მოგვცემენ.

— ვინ დაგვიდგება წინ?

— ნუ ყვირი, ვალოდია, აქ ჩვენს ვარდა ათასი უფროსია, ისედაც რა გეჩქარება? სულწასულობა სხვა დროს არ გამოგიჩენია და ახლა რა ეშმაკმა აგაუცუნდრუკა?

— ეს ჩვენი პირადი საქმეა, საშა, პირადი ღირსებისა და თავმოყვარეობის საქმეა. აგვიკრძალავენ? ჩვენ მაინც დახვერტით? შენ ვალდებული ხარ ყოველივე აცნობო უფრდებებს, განუმარტო, აუხსნა, დაარწმუნო.

— ცოტა მეტი წინდახედულება მართებს მზევრავს, კორპუშევო. — რა პასუხი გავცე, ვოქვათ, სოკოვს, ხელი არ ახლოთო, სვისტუნოვი უნდა გამოვიყენოთო, რომ მითხრას? — დარწმუნებული ვრყავი სოკოვი ასე რომ მეტყოდა. მის ადგილზე მეც სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი. გამცემის დახვერტას რა უნდა... მისი გამოყენება ბევრად უფრო ძნელია.

— მერე ჩვენ ასე ვიყოთ კარავში გამოწყვედულნი? — იკითხა ლოხუნოვმა. — ჩვენ? — ცოტა შევეყოყმანდი. უცებ ვერ მოვნახე ამ კითხვის პასუხი. მართ-

ლაც სანამდე მოგვიწევს აქ ყურყუტი? — ჩვენ? ბანაკს გავეცლებით, დავალებით გავგვზავნიან. ამასობაში სვისტუნოვს დაამუშავებენ...

— რომ გაიპაროს? რომ იყნოსოს და გაძვრეს? ხომ შემოვავალი გულს? — ვერ მოისვენა კორპუშევმა.

— ეს უკვე კომლევზეა დამოკიდებული, კომლევზე და სოკოვზე. აზრი ყველამ გამოთქვა, ზოგი კორპუშევს მიემხრო, მაშინვე მოითხოვა წასვლა და სვისტუნოვის ჩაძაღლება. ზოგმა უფრო შორს განჭვრიტა, ვაითუ სვისტუნოვს თანამოაზრე ჰყავსო, ის რომ დაეხვერტოთ, იმ სხვას ვინა ამოაჩენსო.

— გავთოკოთ, ვათქმევინოთ ყველაფერი და მერე ტყვია შუბლში! — ფეხი არ მოიცვალა ვალოდიამ. იდგა ეს ამხელა ბიჭი, ყოველ ჩვენგანზე ერთი თავით მაღალი, იყო და მის სიტყვათითქოს მეტი ძალა და მახვილიც ჰქონდა. მე, ერთი მხრივ, კიდევაც მომწონდა კორპუშევის სიფიცხე, თუმცა კრებაზე ხომ არა ვართ. პარტიზანობა პარტიზანობაა, მაგრამ ვის რა მოეპრიანება, იმის ჰკუაზე ხომ ვერ ვივლით?

ეს მინდოდა მეთქვა კორპუშევისათვის, ისე მეთქვა, რაღას რომ ეუბნებიან მულის გასაგონად. თავი შევიკავე, ცოტა ვიფიქრე და მივხვდი, არ ღირდა. განა კორპუშევი მართალი არ არის? რატომ უნდა გავამტყუნო ეს ალალი ბიჭი. მეორეც, ჩემივე განაჩენის წინააღმდეგ როგორ უნდა წავიდე? დუმილიც რომ არ ვარგა.

უხერხულობისაგან კოლიასა და სტიობას გამოჩენამ მიხსნა. ანტონი ენახათ, ბოიკოს კარავში ყოფილიყო. ჩემი წერილი ჭერ ჩუმაღ წაეკითხა, მერე ხმა-მაღლა, ყველას გასაგონად, სოკოვიც იქ ყოფილა.

— კომლევს არავინ გააყოლოთ — მითხრეს — როგორც კი დაბრუნდეს, მაშინვე გვაცნობეთო. — თქვა ბორიჩმა.

გ ა ნ ა ხ რ ე ბ ა

თბილისში, ჭადრის ხეების ხმაში,
ფოთლებს მოჰყვება მტკვარი სიოთა,
წინათ კი მტკვართან ავჭალის კარში,
მცხეთის ზარის ხმაც შემოდისა.
თუ რამ შენს მიწას კარგი ებადა,
დღეს განძათ გიქცევს შენი თაობა
რომ იმ უამრავ საოცრებათგან,
მარად სუფევდეს მომზიბლაობა.
არ დაგკლებია ხოტბა პოეტთა,
გულდია ხედები გულით მოსულეებს,
შენს ძველ კედლებთან სიკვდილს კპოვებდა
ყველა მტერი და ავის მოსურნე.
თუმც უბედობის ზეიმიც გზრავდა,
ცხენის ფლოქვებით ვინმე გთელავდა,
დღეს ბედნიერი ხალხის გზა ხარ და
რუსთველის ქუჩა მიდის ბელადთან.
აღმოსავლეთით მკლავგაშვერილი.
ბელადის ძველი მოუხმობს ნათელს,

ირგვლივ ფოთლებით, შუქშეფერილით,
ჭადრის ხეები ღამეებს ათეფს.
სხივებში ცურავს მამადავითი,
ვერის ბალიდან შევეყურებ ყაზბევს,
ქალაქი ჩვენი ეს არის მითი,
ყველა თაობას საზრდოს რომ აძლევს.
მისთვის ყველა დღე არის მზიური,
და მომავალი იმძაფრებს ფერადს,
მიდის ზრდა და ზრდა ფანტასტიური
რაც უფიქრია და უთქვამს ბელადს.
წარსულის ეშხი, წარსული სევდა
მომავლის რწმენა, ნათელ აწმყოთი,
და ეს დიდება რომ დაგებედა,
საკუნებებს ცრემლით აწყობდი.
ღრუბლებმა სხივით მკერდი გაიპო,
ჭადრებს მოჰყვება მტკვარი სიოთა
ის დავიწყების მტკვარმა წაიღო,
თუ კი ოდესმე რამე გტკიოდა.

გ თ ა ნ ე მ ი ნ რ ა

ხვეში ალგები შრიალს ავანებს,
სიფრცე სიმწვანის სუნთქვით ივსება,
ფერფლაღქცეულთა სულთა სავანეც,
გაუმხელელი ცრემლის ღირსება.
როგორ მიყვარხარ მკერდშენგრეულო,
და მუდროებით სავსე მთის უბეც,
საღამოობით ბინდმორეულო,
დასაელეთის ცას როცა დილს უბნეც.
როგორ მიზიდავ როცა შორს ხარ და
გიახლოვდები როცა ნელნელა,

ამ შენს მხერაში წლები მოზღვევდა,
ახალგაზრდობა შემომემღერა,
წყალის ალერსმა სურო გაქვინთა?
დიდებას აფრქვევს გრილი ლოდები?
როგორ მიყვარხარ, მოსულს სხვა მხრიდან,
როცა ნელ ნელა გიახლოვდები.
და საოცრების ტალღა გადამდის,
თუ შემომცინებს ტაძრის სითეთრე,
ჩემს ხასიათში აწ და მარადის,
შენი დიდება ამოვიკვეთე.

ბოლოვნილი ალბათი



სხივების ისრებს მათ თვალი მოჰკრეს,
სანდო ღიმილმა ჩემთვის იმატა,
ნელა დაგროვდა ის სიბოხოქრე,
და მხარგაშლილი წამოიშარათა.
სუფთა ზეციდან იღვრება ოქრო,
და ფარაონის მრისხანე ეტლი
სუფთა ზეცაში მზედ მიბოხოქრობს
და მე სიმწვანის სამყაროს ველტვი.
ისევ აყვავდი? ისევ ამწვანდი?
დაუვიწყარო ჩემო აღმართო,
ხსოვნათა შუქი სხვგან წასვლამდი
შენს კალთებზე მსურს გადმოვანათო.
თქვი რომელ აჩრდილს გამოვედევნო,
გადაკარგულებს ახლა ამ გზიდან,
ჩემო სამოთხევე, ჩემო ედემო.
ლაქვარდმა ასე როგორ აგზიდა

პორიზონტებზე ალი ციანურს
და დარჩენილი ღრუბლის ფიფქებს წვავს.
დგას ალვის ხე და ფოთლის ჩხრიალით,
სივრცის სიღრმეში სხეულს იძვრწავს.
უნდა შენს ნიავს გამოვვებო,
და სიკვდილამდე გვერდზე ვიახლო,
მზე დაიფრქვიე ქართლის ზეგნებო,
ჩაგვხვიო და შეგეწიალო.
ძველი ფიქრების მყუდრო ტაძარი,
შუადღის სიცხე იწვის სფეროში,
კრიალა ზეცის სუფთა ნაცარი,
ჩამომელვარა წარბთა ჩეროში.
და ვებალები ამ ძვირფას მიწას,
და მეძალეზა მკერდზე მოწოლით,
თავი შეასედ უნდა დავიწვა,
ამ სიყვარულის დიდი კოცონით.

შ უ ა რ ღ ი ს გ ზ ა ზ ე

თეთრი და ალისფერ ვარდების
წილში შემოვდგი ფეხი,
ყორეზე ხავსი ჭკნებოდა
და იღვა ჩუმათ ვერხვი.
შორს კი ცისფერი, ცისფერი
მთები სუნთქავდნენ ღრმად,

თეთრი, მსუბუქი ღრუბლები,
ცას ედებოდნენ ბრმად,
კეთილმოყვრების მძებნელი
ვეშურებოდი გზად,
შუადღის სიცხე სტიროდა,
რად დამივიწყე, რად?

თ რ ვ ღ ი გ მ რ ი ს

რალაც უცნაური შინაურობით
გაუედენთია სივრცე ვიტრინებს,
გამოვალეძებ წარსულს ხუმრობით,
და როგორც ბაჭვიე ისე იტირებს,
ეს უსაშველო დიდი ჩრდილია,
თუ სუსტ ნათელში ჩრდილების გვალვა?
ხსოვნაში შუქი გამოილია,
და გაანათა არგველით ალმა.
დღეს მე ახალ ფერს ვშლი ძველ ფერებით,
მოგონებების ხილვით ვფითრდები,
ასე უდგანან სიცარიელეს
მტკვარზე, ფიფქებში თეთრი ხიდები.
შემოსილია მალულ ბინდებით
ჩუმი დღის რკალი ასე პატარა,
როგორც ჩემს სულს ახლა სტირდები,
ნეტავ ისეთი გამოგატარა.

თოვს განუწყვეტილად, ქარი ქრის ცივი,
გზა მოხატულა როგორც არღანი,
მეჩვენება თუ კიპარისივით,
ამ ნისლიში ჩანსარ უფრო მალალი.
ჩამოიბერტყავს ჭადრის ხე სიხმრებს,
დილას მოიტანს ქალი სარძევეთ,
შენი თვალების გაზნევილ სხივზე.
ოცნებები მაქვს გადანარწვევი,
შენი სახების საბრძანებელი,
ჩემი ფიქრების ნავსაყუდარი,
საკუთარ ყელზე ჯაჭვის შემბმელი,
ავსებულე ვარ გაბმულ მუდართი.
ო, მოგონების თეთრი ნოხებით,
სივრცე სითბოთი ამოუვსები,
ავსებულა ამოხვრებით,
დაჭედლია ხსოვინს ლურსმნებით.

გაზაფხულის შემოსვლა

რამდენ სითეტრეს დაწყდა ღიღებო, დაქცეულია მათი მირონი,
 არ მასვეწებენ ეს სურვილები, უფლისწულები უგვირგვინონი.
 როგორც ზამთარში ნაცარწყარილი, გულში გიზგიზებს მაინც ლადარი,
 თითქოს ქარებით გუმბათაყრილი, ძველი საყდრების ნალაღადარი
 ამ გაზაფხულზე ხელის ფათურით, ისევ სურვილთა გზნებას უნდები,
 ამ გაზაფხულზე, წამომართული, სანატრელ ხმაზე აგუგუნდები?
 მე შენ მოგმართავ, შენით დამთურალი, ჩემი მსაჯული იყო ნეტავ კი,
 ბუნების ძალავ, არ ვარ მართალი? შენ ხმებზე იძვრის გული სპეტაკი.
 სამგორის ზემოთ, შეუსფოთველი, თეთრი ღრუბლები დგანან ზვინებად,
 სანაპიროზე ჭადრის ფოთლები ჩამოქცეულ კლდეს ეღიღინება
 სივრცის ლაქვარდში, უზღვავე სიმშვიდით, გაწოლილია ნისლის ორძელი,
 მზეზე ხეები იმშუმებიან, საალერსო და დასაკონცელი.
 შემომფრქვიოს მწვანე ხეთაგან, აბუქებული მტვერის ჩინჩხლები,
 გათენებისას სისხლში მზეთაგან ჩალვრილ ნატვრათა ხილვით ვიზერჩვები.
 რა მზეებია, იისფერ ფარდას, შეხიზნებია ხრამთა სიშავე,
 ისე მოზღვავედა დღეების განცდა, რომ ღამეები სიზმრებს თიშავენ,
 მინდა შენს მკვიდრთა ვნებით ვნებულო, რომ შენი სახე სანთლად ავინთო,
 დილის სხივებში აყვავებულო, ამწვანებულო მამადავითო.
 წარსულის ჩრდილო, მომავლის ლანდო, მინდა რომ მოგწედეს ჩემი მკლავები,
 ღამის ნიაგო, მკიცხავ და მართობ და საფეთქლებში მენანავები.
 მზე ირგვლება ყოველ მინაში, და ასხდებიან მინებს კობები,
 მეც ვიძირები სივრცის ბრწყინვაში, ძველ გაზაფხულებს ვემშვიდობები.



გაბრიელ მებრედიანი

ფრიდრიხ ენგელსი

(დაბადებიდან 150 წლის უმისრულეპის ბაშო)

შესრულდა 75 წელი გენიალური მოაზროვნის ფ. ენგელსის გარდაცვალებიდან და 150 წელი მისი დაბადებიდან. ენგელსის, როგორც მოაზროვნის, პორტრეტის დაბატვა დიდ სიამოვნებას წარმოადგენს. ერთერთ თავის წერილში, რომელიც სპეციალურად მიძღვნილი იყო ენგელსისადმი, ვ. ვ. პლუხანოვი შენიშნავდა: დასწერო ენგელსის მოკლე ბიოგრაფია, ნიშნავს დასწერო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივი აზრისა და გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია, რადგან ენგელსი — ეს დიდი მოაზროვნე წარმოადგენდა პიროვნებას, რომელიც მთელი თავისი საზოგადოებრივ-მეცნიერების განვითარებაში, და რომელიც მარქსთან ერთად სათავეში ვდგა მუშათა კლასის დიად გამათავისუფლებელ მოძრაობას და, ამრიგად, მისი სახელი დაკავშირებულია მსოფლიო ისტორიული მოვლენების მნიშვნელოვან პროცესებთან. როდესაც ენგელსი გარდაიცვალა, კაცობრიობის ისეთმა დიდმა მოაზროვნემ, როგორც ლენინი იყო, სპეციალური სტატია უძღვნა ენგელსის აზროვნებისა და მოღვაწეობის დახასიათებას. ლენინის აღნიშნულ წერილში ენგელსი მრავალმხრივად დახასიათებული იგი ნახვევებით, როგორც ადამიანი და მოქალაქე, როგორც დიდი ისტორიული მოღვაწე და მოაზროვნე. ლენინმა თავის წერილს „ფ. ენგელსი“ წარუძღვარა ეპიგრაფი ნეკრასოვის ლექსიდან „ღობროლიუბოვის სსოვნას“: „გონების როგორი ლამაზი ჩაქრა, როგორმა გულმა შესწყვიტა ძვერა“. ლენინმა ამ სიტყვებით სურდა ხაზი გაესვა იმ აზრისათვის, რომ ენგელსი ვფუთვროდა კაცობრიობის იმეოთ გენიოს-

თა პლეადას და რომ ის არა მარტო ამაღლებული მოაზროვნე იყო, არამედ ასევე ფაქიზი და ამაღლებული მოქალაქე.

ლენინი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა ენგელსის სახელს და მიმართავდა მას ყოველი დიდი და რთული საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის დროს. ლენინს ენგელსი მიაჩნდა, მარქსთან ერთად, პროლეტარიატის დიდ მასწავლებლად და აღნიშნავდა, რომ არა თუ განათლებულმა სოციალისტმა და კომუნისტმა, არამედ ყოველმა მუშაქმე უნდა იცოდეს ენგელსის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომ ენგელსის აზროვნებისა და მოღვაწეობის გაცნობა ამაღლებს პროლეტარიატის კლასობრივ თვითშეგნებას და შესაძლებლობას მისცემს შრომელთა მილიონიან მასებს ორიენტაცია აიღონ რთულ ბრძოლაში, რომელსაც ისინი აწარმოებენ თავიანთი განთავისუფლებისათვის.

როდესაც ენგელსს ვახასიათებთ როგორც დიდ ისტორიულ პიროვნებას; როგორც გენიალურ მოღვაწეს, უნდა შევნიშნოთ, რომ იგი მთელი რიგი თავისებურების მატარებელია. სიდიადე ენგელსის გენიოსის მის უნივერსალიზაში გამოიხატება. ენგელსი, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივ-მეცნიერების წარმომადგენელია, მაგრამ ის ენციკლოპედიური მოაზროვნე იყო. იგი ვეუთენის ამ დიდ მოაზროვნეთა რიცხვს, რომელნიც დროს კვალს ატოვებენ დამიანური შემოქმედების ყველა სფეროში, სადაც კი თავის გენიოს ძალს ეძიან. ენგელსი, როგორც უნივერსალური გენიოსი. შეიძლება ლეონარდო და ვინჩის შევადაროთ წარსულში.

ცნობილია, რომ აღორძინების ხანის დიდი მხატვარი და მოქანდაკე ლეონარდო და ვინჩი ამავე დროს იყო უდიდესი მათემატიკოსი, მექანიკოსი, ინჟინერი, ასტრონომი, ფიზიკოსი, გეოლოგი, ბოტანიკოსი და პოეტური პერტო ნაოსნული მეცნიერებისა. კაცობრიობის ისტორიაში ასეთი გენიოსი თითო-ორივალა, ამჟამათა, თითებზე ჩამოსავლელია. ასეთი იყო ენგელსი.

ასეთი უნიკალური მოზრთონე, როგორც მარქსი არის, განციფრებული იყო ენგელსის მრავალმხრივი, ყოვლისმომცველი განათლებით. როგორც ცნობილია და როგორც ამას ხშირად ხეშრობით ამბობდნენ ზოლმე, ენგელსი ოც უცხო ენაზე „ბორძიკობდა“, გაანდა უღრმესი ფილოლოგიურ-ლინგვისტური განათლება. ენგელსის სახელი მედამ ინათებს ისტორიაში, როგორც უდიდესი სწავლელისა და უდიდესი პროლეტარული რევოლუციონერისა. მარქსის სიცოცხლეში ორივენი ერთად აეთარებდნენ პროლეტარულ მსოფლმხედველობას და ხელმძღვანელობდნენ მსოფლიო მეშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობას, ანლა უველასათვის ცნობილია, რომ მარქსის გარდაცვალების შემდეგ თორმეტი წლის მანძილზე ენგელსი იყო ერთპიროვნული ბელადი მეშათა განმთავისუფლებელი მოძრაობისა.

ლენინი მარქსის „კაპიტალს“ უწოდებდა უდიდეს, უპოკალერ პოლიტიკურ-ეკონომიურ ნაწარმოებს, რომელსაც მარქსი ქმნიდა ოთხი ათეული წლის მანძილზე, დაძაბული მეშაობით. როგორც ცნობილია, მარქსმა თავის სიცოცხლეში მხოლოდ პირველი ტომის გამოცემა მოასწრო. თუ არა ენგელსის თვალდებულო შრომა, „კაპიტალის“ დანარჩენი ტომების გამოცემა შეუძლებელი იქნებოდა. ამრავად, ენგელსის დამსახურება მეშათა მოძრაობის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან უზრუნველყო „კაპიტალის“ სამი წიგნის რედაქტირება და გამოცემა, რასაც მისი ცხოვრების თორმეტი წელი მოჰყდა. აღსანიშნავია, რომ ამით ენგელსმა ფადალდებული დამსახური გაუწია მსოფლიო სოციალისტურ მოძრაობას, რამდენადაც მარქსის ეკონომიური თეორია — განვითარებული „კაპიტალიზმი“, მეცნიერების საფუძველია მეშათა და მშრომელთა განთავისუფლებისა. ენგელსი მარქსთან ერთად ფუძემდებელია მეცნიერული კომუნისმისა. მისი დამსახურება მშრომელი კაცობრიობის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან, მარქსთან ერთად, სოციალიზმის უტოპიიდან მეცნიერებად აქცია. მან, მარქსთან ერთად, პასუხი ვასცა საზოგადოებრივი მეცნიერების ურთულეს პრობლემას, თუ როგორი გზით შეიძლება მშრომელი კაცობრიობის განთავისუფლება პოლიტიკური და ეკონომიური წაგვრისაგან და მოგვცა სოციალიზმის ძირითადი ნიშნების დასასაბუთება. სოციალიზმის

მეცნიერებად გადაქცევისათვის უნიკალური იყო ისტორიის მატერიალისტური მეთოდები, დიალექტიკური და მარქსისტული მატერიალიზმის საფუძველების შექმნა, კაპიტალიზმის ეკონომიური განვითარების კანონზომიერებათა დადგენა. ფ. ენგელსმა, მარქსთან ერთად, ჩამოაყალიბა პროლეტარული მსოფლმხედველობა. ის, მარქსთან ერთად, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საწარმოო ძალების განვითარება გარდევალს ხდის სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა ჩამოყალიბებას, ნიშნავს აშხადებს შეიციფელს კაპიტალიზმი სოციალიზმად.

ენგელსმა, მარქსთან ერთად, დაასაბუთა, რომ სოციალიზმი ისტორიის პროდუქტია, რომ კომუნისტური სოციალ-ეკონომიური ფორმაცია ყალიბდება კაპიტალიზმის განვითარების შედეგად, რომელიც ორ ფაზას მოიცავს — სოციალიზმსა და კომუნისმს, რომ სოციალიზმი წარმოადგენს კომუნისტური ფორმაციის პირველ ფაზას, სადაც წარმოება დაყრდნობილია წარმოების საშუალებების საზოგადოებრივ საკუთრებაზე, სადაც პროლეტტათა განაწილების ძირითადი კანონია — მათი განაწილება დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ენგელსი, მარქსთან ერთად და მარქსის შემდეგ, სისტემატიურად ასაბუთებდა პროლეტარიატის ისტორიულ მისიას იმ დებულებას, რომ პროლეტარიატი — ეს უბრალოდ ისტორიის წყლული კი არ არის, იგი მარტო ჩაგრული ეკლასი კი არ არის, იგი არის მოწინავე ეკლასი, რომელიც, როგორც წარმოების საშუალებებს გაცილებული ეკლასი, არ შეიძლება რევოლუციურ-სოციალისტურ ეკლასად არ გვევლინებოდეს. ენგელსმა დაასაბუთა, რომ რადვან პროლეტარიატი არამესაყვრე ეკლასია, უქონებო, დაჭირავებული ეკლასია, მისი ეკლასობრივი ინტერესები ისტორიული პროგრესის გამოსახულებია, მას არათუ რაიმე უშლის ხელს იქცეს ეკლასად, რომელიც სოციალიზმის განხორციელებისათვის იბრძვის, პირიქით, სოციალიზმის განხორციელება მისი ეკლასობრივი ინტერესია.

უტოპისტებისაგან განსხვავებით, მარქსთან ერთად ენგელსი ასაბუთებდა, რომ ეკლასობრივი ბრძოლა და პოლიტიკა არის ის მთავარი იარაღი, რომელიც პროლეტარიატს სოციალიზმის განხორციელებას შეაძლებინებს. ენგელსი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ასწავლიდა პროლეტარიატს, რომ მისი განთავისუფლებისათვის აუცილებელია იგი დახელოვნდეს პოლიტიკაში, აწარმოოს პოლიტიკური ბრძოლა როგორც დამოუკიდებელი სოციალურმა ძალამ, დაპირდაპირებულმა პრივილეგიურ ეკლასებთან და მათ ინტერესებთან. მარქსის გარდაცვალების შემდეგაც ენგელსი არაერთხელ დაბრუნებია სოციალიზმის გამაჩვენების საქმეზე

პოლიტიკის, კერძოდ, პროლეტარიატის დიქტატურის არსის, როლის, მისი აუცილებლობის საკითხს. ენგელსი სისტემატურად აფრთხილებდა პროლეტარიატს, რომ მისთვის გამორიცხულია პოლიტიკისგან განყენება, რომ დამლუპველია პოლიტიკური ინდიფერენტისთვის თეორია, რომელსაც სხვადასხვა წერის ანარქისტები ებრძვიდნენ მაშინ. ენგელსი სიცოცხლის უანასყენელ წლებშიაც მკაცრ იდეურ ბრძოლას აწარმოებდა ყველა იმთა წინააღმდეგ, ვასაყეთრებით ვერმანის სოციალ-დემოკრატიული მემარჯვენე ფრთის წინააღმდეგ, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ შესაძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის ჩამოყალიბების გარეშე, სოციალიზმის, რევოლუციური მოღვაწეობის გზით განხორციელება. საზოგადოდ მარქსისა და ენგელსის დამსახურება მეცნიერების წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მათ შექმნეს სწორი მეცნიერული თეორია სახელმწიფოს არსისა და როლის შესახებ საზოგადოების ისტორიაში. კ. მარქსისა და ფ. ენგელსისათვის სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების საკითხები, კერძოდ ბურჟუაზიული სახელმწიფოს არსისა და ფუნქციების საკითხები, სოციალიზმისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხები გამუდმებული მეცნიერული კვლევის საგანი იყო. ენგელსი, მარქსის ვარდაცვალების შემდეგაც, უდიდესი ყურადღებით ექცეოდა სახელმწიფოსთან დაკავშირებულ პრობლემებს. მთელი მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე, რომელიც ნაბეჭდი საუკუნეზე მეტს მოიცავს, ენგელსს თეორიულ შეშაობაში სახელმწიფოს საკითხი ერთი ცენტრალურ თაგანი იყო. უნდა შევნიშნათ, რომ ყველაფერი ის, რაც დაწერილია ენგელსის მიერ სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების საკითხებზე, მისი როლისა და მნიშვნელობის შესახებ ისტორიულ განვითარებაში, წარმოადგენს მარქსისტული მსოფლმხედველობის უდიდეს შენაძნეს, და აუცილებელია ამ მემკვიდრეობის ღრმა ათვისება, რომ გავერკვეთ თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და პროლეტარიატის დიქტატურის განვითარების თავისებურებებში თანამედროვე ისტორიულ ვითარებაში. სახელმწიფოს საკითხებში მეცნიერულ კვლევას ის გარემოება ახოვლებდა, როგორც ეს აჩვენებდა აღნიშნავს ვ. ი. ლენინს, რომ ვაბატონებული კლასები და მათი იდეოლოგიები გამუდმებით აბნეულობდნენ სახელმწიფოს არსისა და მისი ფუნქციის საკითხებს, რადგან ამ საკითხებში სინათლის შეტანა არ წარმოადგენდა მათ ინტერესს. მხოლოდ პროლეტარიატის იდეოლოგიებს შეეძლოთ შექმნათ სახელმწიფოს სწორი მეცნიერული თეორია. ფუძემდებლური დებულებები, რომლებიც კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა წამოაყენეს, იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო წარმოიშობა

კლასობრივ საზოგადოებაში და არა მისი წინააღმდეგობრივი ბუნება განპირობებულია წარმოქმნილი ურთიერთობათა ხასიათით. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ცხადჰყვეს, რომ ყოველ კლასობრივ საზოგადოებაში სახელმწიფო არის ორგანიზაცია, რომელიც წარმოებაში ვაბატონებული კლასის ეკონომიურ ინტერესებს ემსახურება. ბურჟუაზიული სახელმწიფო წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია ბურჟუაზიის მიერ კაპიტალისტურ წარმოებაში ურთიერთობათა დისციპლინა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოს უძირკითადეს ამოცანას წარმოადგენს ადკეთის და გაანადგურის ყოველგვარი სოციალური შოძრაობა, რომელიც ბურჟუაზიის მოგების ინტერესებს ზღუდავს, ან რაიმე საშინაო, როგანც უქმნის კაპიტალისტური წარმოებას წესს. მარქსი და ენგელსი გამუდმებით ასწავლიდნენ მეშაბა კლასს, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო, პირველ რიგში, ძალადობის ორგანიზაციაა, რომელიც მიმართულია მეშაბა, კლასის შოძრაობის წინააღმდეგ მაშინაც კი, როდესაც ეს შოძრაობა არ არის მიმართული კაპიტალისტურ ურთიერთობათა ლეგიტიმაციისაკენ და მიზნად ანა აქვს ბრძოლა სოციალიზმის განხორციელებისათვის. აღსანიშნავია, რომ თუ არა ბურჟუაზიული სახელმწიფო მისი ძალადობის ორგანიზებით, ბურჟუაზიული წარმოების წესი უკვე დიდი ხანია განადგურებული იქნებოდა პროლეტარიატის მიერ. ფ. ენგელსმა, რომელიც თვალს ადევნებდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს განვითარებას, შენიშნა თუ როგორ თანდათან იზრდებოდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში, რომ ხდებოდა წარმოების ვასახელმწიფოებრიობა, რომ სახელმწიფო ხდებოდა მთელ რიგ წარმოებათა მფლობელი და ორგანიზატორი. ფ. ენგელსის ვარდაცვალებიდან 75 წლის მანძილზე დიდად ვაიზარდა ბურჟუაზიული იმპერიალისტური სახელმწიფოს ეკონომიური როლი. თანამედროვე პერიოდში მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარებაში ხასიათდება სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის აქტიურებული განვითარებით. იმპერიალისტურ ქვეყნებში თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო ავევლიანება შესაყეთრედ არა თუ ცალკეულ წარმოებათა, არამედ მთელი რიგი დარგებისა. ინგლისში, მაგალითად, სახელმწიფო სექტორი ქვეყნის მთელი სამარჯველო წარმოების 20% -ზე მეტს მოიცავს. იტალიაში — 28% -ს. აშშ-ში კაპიტალურ დაბანდებებში სახელმწიფოს წილი 38% -ს აღწევს, ინგლისში 46, ვერ.ში — 31, საფრანგეთში 28, ავსტრიაში — 35, იტალიაში — 43% -ს! გარდა ამისა სახელმწიფო ვეველიანება საქეციერო

ეკლესიათა საქმის ორგანიზატორად, ახორციელებს ეკონომიკის მარგველორებელ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს და სხვა. სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის აქტიურულ განვითარებას გააჩნია, თავისი სპეციფიკური მიზნებით, რომელთა ანალიზი ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს. ვიტყვი მხოლოდ, რომ ბურჟუაზიული ამოლოგებები და შემარჯვენე სოციალისტები აღნიშნულ ფაქტს კაპიტალიზმის შესაღამაზებლად, მის განსამტკიცებლად იყენებენ. მათ უნდათ დაგვანახონ, რომ კაპიტალიზმში და ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ გამოიკვლია ან იცლის თავის ხასიათს, რომ საწინაოთა ვასახელმწიფოებრიობა კაპიტალისტურ ქვეყნებში ნიშნავს კაპიტალიზმის სოციალიზმთან დაახლოებას, მათ კონვერგენციას, რომ თითქოს კაპიტალისტური ქვეყნების სახელმწიფო საწარმოებში გამქრალია კაპიტალისტური ურთიერთობანი, ექსპლუატაცია. რომ ეს ასე არ არის, ეს ჭერ კიდევ ენგელსმა ცხადყო თავის „ანტიდიურინგში“ და მის მომდევნო შრომებში. ფ. ენგელსმა ცხადყო, რომ ბურჟუაზიული ვასახელმწიფოებრიობა, რომელსაც იძულებულია მიმართოს ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს კაპიტალისტური ექსპლუატატორული ურთიერთობების არაექსპლუატატორული ურთიერთობებით შეცვლას, რომ ასეთ შემთხვევაში იცვლება მხოლოდ ფორმა ექსპლუატაციისა და ხდება უბრალოდ ის, რომ სახელმწიფო, ინდივიდუალურ კაპიტალთან ერთად, მის გვერდით, შეშათა კლასის ექსპლუატაციას აწარმოებს.

ფ. ენგელსი, მარქსის გარდაცვალების შემდეგ, დამატული უჭრადლებით ავირდებოდა კაპიტალიზმის განვითარებას მე-14 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. მართალია, მას არ შეძლო შეემუშავებინა იმპერიალიზმის მთლიანი შეცნობილი თეორია, რადგან არ არსებობდა ამისთვის ისტორიული პირობები, მაგრამ ფ. ენგელსმა შეძლო მიეღო მტრად ყურადსაღი დასკვნები, რომლებიც დღესაც რჩებიან უადრესად პრინციპულ მენერტულ დასკვნებად და საფუძველს აძლიან კაპიტალიზმის სოციალიზმში მშვიდობიანი შერბრდის უოველვარ რეფორმისტულ-ობორტუნისტულ თეორიებს, იმ თეორიებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ რევოლუციისა და კლასობრივი ბრძოლის ვარჯიშე კაპიტალიზმი სოციალიზმს ბადებს. ფ. ენგელსმა გენიალურად გაიგო, რომ მისი თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარება მონოპოლისტურ კაპიტალიზმად იქცევა, ამავე დროს ფ. ენგელსის უკანასკნელი პერიოდის შრომებში გამოხატებას პოვა კაპიტალისტური ეკონომიკის დაგვემესა და რეგულირების პრობლემებში. ფ. ენგელსმა არა მარტო კონსტატაცია გააკეთა იმ ფაქტისა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო ეკონომიურად აქტიური ხდება.

9. „მნათობი“ № 11.

მა, არამედ კიდევ ახსნა ის, ფ. ენგელსი ახელის უყებებდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს ეკონომიური როლის ზრდას, რომელიც მას მის აჩნდა კაპიტალისტურ ეკონომიაში-მომხდარა ცვლილებების შედეგად. ის მიუთითებდა, რომ წარმოების კონცენტრაციის თანდათან ზრდა, საწარმოო ძალთა საზოგადოებრივი ხასიათის ამაღლება აიძულებს სახელმწიფოს, ხელში აიღოს ეკონომიკის ზღვამდვანელობა. კაპიტალიზმის ინტერესების დაცვის მიზნით. ამავე დროს ენგელსმა აღნიშნა, რომ ეკონომიკის არავითარ ზღვამდვანელობას ბურჟუაზიული სახელმწიფოს მხრივ არ შეუძლია გადალახოს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი, არ შეუძლია მოხსნას წინააღმდეგობა საწარმოო ძალების საზოგადოებრივ ხასიათსა და კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობებს შორის. წარმოების დაგვემესა, საწარმოო ძალთა რაციონალური გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობებში. ყოველგვარი ბურჟუაზიული რეგულირება წარმოების ვასახელმწიფოებრიობა ფ. ენგელსს მოაჩნდა, როგორც ზვეით აღენიშნეთ, არა ექსპლუატაციის მოსაზრად, არამედ მისი ვანმტრეციების ცდად, მის ფორმათა ცვლად. ბურჟუაზიული სახელმწიფოს ვანვითარებაში ფ. ენგელსმა შენიშნა, რომ კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა ვანვითარების გამო ბურჟუაზიული სახელმწიფოები და უფრო იმპერიალისტურ-მილიტარისტულ სახელმწიფოებად ხდებიან. ფ. ენგელსმა სამართლიანად მიგვიითთა, რომ მილიტარიზმის პოლიტიკური და ეკონომიური მახვილი მიმართულია ამავე დროს მუშათა კლასის წინააღმდეგ. ფ. ენგელსმა, რომელიც სამხედრო ისტორიის უღრესი მცოდნე იყო, მრავალი შენიშვნა დასტავა იმპერიალისტური მილიტარიზმის ვანვითარების კანონზომიერებათა შესახებ, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თანამედროვე კომუნისტური პარტიების მიერ. რასაკვირველია აქ არ არის აღვებო დაწერალებით ვანმოკვეთ ფ. ენგელსის შეხედულებანი მილიტარიზმის ვანვითარების შესახებ, მაგრამ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ერთი ფუქემდებლური დებულება, რომელიც ხაზს უსვამს მილიტარიზმის სიმძიმეს შრომალეობათვის, იმას, რომ იგი ნიშნავს საზოგადოებრივი საწარმოო ძალეუს და ვასაქმას არ აძლევს კაცობრიობას ვანვითარდეს კეთილდღეობის მიმართულებით. ფ. ენგელსის უჭრადლების ცენტრში სოციალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემები იდგა. მას სამართლიანად მოაჩნდა, რომ შეუძლებელია დაწვრილებითი კონცეფციის შემუშავება სოციალისტური საზოგადოების აგების შესახებ. მაგრამ ძირითად კანონზომიერება-

1. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., 20, 289.

თა დადგენა სოციალიზმის განხორციელებისა სოციალიზმის ძირითადი ნიშნების დადგენა, ცხადია, შესაძლებელი იყო. ფ. ენგელსმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სოციალიზმის განხორციელებისას სუბიექტური ფაქტორის როლის საკითხში. ფ. ენგელსმა დაასაბუთა, რომ მუშათა კლასი არის ის რევოლუციური კლასი, რომლის ინტერესია სოციალიზმის განხორციელება. ფ. ენგელსი ამავე დროს გამუდმებით ეცდებოდა იმ თვალსაზრისის, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გადამწყვეტი წინამძღვარი მუშათა კლასის დამოუკიდებელი პარტიის არსებობაა. ფ. ენგელსი, კ. მარქსთან ერთად, პროლეტარიატს ასწავლიდა, რომ თავის ისტორიულ მისიას პროლეტარიტი შეასრულებს დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით. ფ. ენგელსმა ანდერაძე დაუტოვა მსოფლიო მუშათა კლასს. რომ მუშათა კლასის გამარჯვებისათვის აუცილებელია პეიედეს მას თავისი ავანგარდი, თავისი კლასობრივი პარტია. პროლეტარიატის დიქტატურა ფ. ენგელსს შიანდა სოციალიზმის მშენებლობის მთავარ იარაღად. იგი ასაბუთებდა, რომ მშრომელი განთავისუფლება მუშათა კლასს და მის რევოლუციურ პარტიას შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სოციალისტური სახელმწიფოს საშუალებით. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დაასაბუთეს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება ეს გარდუვალი კანონზომიერება არის ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელიც შემეხრავს ბურჟუაზიის პოლიტიკურ ბატონობას და დადგება სოციალიზმის მშენებლობის ზღვას. მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურა წარმოდგენილი არის ორი ძირითადი ამოცანით: ვასტების კაბტალისტთა წინააღმდეგობა და ახლებურად მოაწყოს საზოგადოება. ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ პროლეტარიატს პოლიტიკური ბატონობა, სოციალისტური სახელმწიფო, ესპორიება იმისათვის, რომ განხორციელდეს მის წინაშე მდგომი ორი ძირითადი ამოცანა: განადგეროს კაბიტალისტთა კლასის წინააღმდეგობა და მოაწყოს სოციალისტური საზოგადოება.

მარქსის იდეებმა პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ განსაკუთრებულ თაღდასხმა განიცადა 1883 წლის შემდეგ. ენგელსის სისახელოდ უნდა ითქვას, რომ მან არათუ დასთმო ამ საკითხებში პოზიციება, არამედ დაიცვა მარქსისტული პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და განავითარა ის ბურჟუაზიის იდეოლოგებთან და მემარჯვენი სოციალისტებთან იდეურ ბრძოლაში. ენგელსის მიერ ცხადყოფილია პროლეტარიატის დიქტატურის გარდუვალი აუცილებლობა. ენგელსმა ნათელყო, რომ კაბიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე. ენგელსს აბერახულ აღუ-

ნიშნავს, რომ კანონით შეუზღუდველი პროლეტური ბატონობა, დიქტატურა, მუშათა კლასის ესპორიება იმისათვის, რომ განტყუნოს ბურჟუაზიის ცდები კაბიტალიზმის აღდგენისას, განტყუნოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა მიმართული სოციალიზმის მშენებლობის წინააღმდეგ. ამავე დროს ენგელსი ასაბუთებდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებელია არა მარტო იმისათვის, რომ განადგერებულ იქნას კონტრრევოლუციური ბურჟუაზია, აღკვეთილ იქნას მისი კონტრრევოლუციური ცდები, არამედ აუცილებელია, რათა აგებულ იქნას სოციალიზმი, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არის სოციალისტური მშენებლობის მთავარი იარაღი.

ამავე დროს ხაზი უნდა გავსვას იმ გარემოებას, რომ სოციალისტური სახელმწიფოს არსებობა ენგელსს წარმოდგენილი ჰქონდა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, რომ იგი აუცილებელი არის არა მარტო კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზის, სოციალიზმის მშენებლობის დროს, არამედ კომუნისმის განხორციელების დროსაც. ამ თვალსაზრისის არაფერი საერთო არა აქვს ობორტუნისტულ შეხედულებებთან. ფ. ენგელსმა, კ. მარქსთან ერთად, ცხადყო, რომ პროლეტარიატის სახელმწიფოს ჩამოყალიბება არ არის უბრალოდ სახელმწიფოს ფორმათა ცვლა, პროლეტარიტი თავის სახელმწიფოს აქცევს საშუალებად, იარაღად, რომელიც მიმართულია ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მოსპობისაგან. თუ ბურჟუაზიული სახელმწიფო ჩაგვრისა და ექსპლოატაციის განმტკიცების საშუალებაა, პროლეტარული სახელმწიფო იარაღი ექსპლოატაციის მოსპობისა. პროლეტარული სახელმწიფოს სიკვდელზე ფიქრი შეიძლება მხოლოდ მაშინ, ამტკიცება ენგელსი, ანარქისტების წინააღმდეგ როცა მოსპობილია კლასები და აგებულია მსოფლიო კომუნისტური საზოგადოება.

პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი ენგელსისათვის მეტად სათუთი საკითხი იყო და იგი სავსებით სამართლიანად ფიქრობდა, რომ მარქსისა და მისი იდეები სოციალისტ პროპაგანდისტებს უნდა შეეტანათ მუშათა რიგებში და სოციალისტური პროპაგანდის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად შიანდა აღეზარდა მუშათა ფართო ფენები პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტული გაგებით. მარქსთან ერთად, და მარქსის გარდაცვალების შემდეგაც, ენგელსი ასწავლიდა მსოფლიო მუშათა კლასს რომ მისი მომართობის საფუძველი უნდა ყოფილიყო ინტერნაციონალიზმის პრინციპების გაბატონება მსოფლიო სოციალისტურ მომართობაში. ენგელსი აფრთხილებდა მუშათა კლასს, რომ მას არ შეუძლია უგზულებუყოს ეროვნული საკითხი, რომ სოციალურ ჩაგვრასთან ერთად, არ მოსპობს ეროვნული ჩაგვრა, არ შეეკალის ერთა გადაყო-

დების, მოქალაქეობის ვადრძეების, ბერეუხიული ზავების პოლიტიკა და რასიზმი, ერთი თანაწრადღებუბიანობის პოლიტიკის გატარებით, ერთა შორის მეგობრობისა და თანაწრადღებუბიანობის პოლიტიკის განხორციელებით. სიოცხლის უკანასკნელ დღეებამდე, ენგელსი ყოველმხრივ ესმარებოდა მეშათა კლასს ვაეგო, თუ რა საშიშოა და დამაღბველი მისთვის ბერეუხიული ნაციონალიზმი, ნაციონალისტურ-სოციალისტური იდეოლოგია, რომელსაც შეუძლია ცალკე, დამოუკიდებელ ნაადებლ დაშლის პრილტარულა მოძრაობა, ჩაშლის ბძიოლის ერთიანი ფრონტი და დამარცხება განუშალოს დიად განათავისუფლებულ მოძრაობას. ენგელსი ვამდღებებით ასწავლიდა მეშათა კლასს, რომ ნაციონალიზმი მტერია განათავისუფლებული მოძრაობისა, რომ იგი არა ახალი სამყაროს დამკვიდრებისა და განმტკიცების ამოცანებზე ვმსახურება, არამედ ბერეუხიული და პრივილეგიური კლასებისა, რომ ნაციონალიზმი და რასიზმი ის ბერეუხიული ქუქუცია, რომელსაც არ შეიძლება ფართო ვასაქანა მიეცეს მეშათა მსახეში, ისე როგორც რაიმე ინფექციას ფართო მოსახლეობაში. თანამდროვე კომუნისტურ მოძრაობას დიდ და რთულ ბრძოლაში მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მას შეუძლია ვიმარჯვოს, დამარცხოს უღრესად საშიში და რეაქციული იმპერიალიზმი, ჯერ კიდევ მეტად ძლიერი მტერია სოციალიზმისა თუ მის შესვლეს ერთიან, შედღაბებულ, ინტერნაციონალურ ძალად აქციოს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა.

ერთი ცენტრალური პრობლემათაგანი, რომელსაც კ. მარქსი და ფ. ენგელსი იცნებდნენ თავიანთი თეორიული მუშაობის დროს, აგრარული საკითხია. კ. მარქსის ვარდაცვალების შემდეგ სიოცხლის უკანასკნელი 12 წლის მანძილზე ფ. ენგელსი შეუნულებელი ურადღებით სწავლობდა კლასთა ურთიერთობებს სოფლად. ვანსაკუთრებით გლეხობას, როგორც წვრილ მეურნეთა კლასს, მისი-როლისა და ადგილის საკითხს ისტორიულ პროცესში. ამ მხრივ ვანსაკუთრებული ურადღების ღირსია მისი ცნობილი ვამოკვლევა „გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და ვერმანიისში“. ფ. ენგელსის შეხედულებებს აგრარულ პრობლემისთან დეკომარებულ საკითხებზე დღესაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობისათვის. ფ. ენგელსი არ იზიარებდა იმ მოსახრებას, რომ წვრილი გლეხობა რეაქციული მასა ყოველ დროსა და ყოველ პირობებში. ფ. ენგელსმა, რომელმაც ყოველ მხრივ შეისწავლა წვრილი გლეხობის მდგომარეობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კაპიტალიზმი მტერია გლეხობისა, რომ მისი ძირითადი მსხვეთათვის კაპიტალიზმი განადგურება მოაქვს; ამავ დროს ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ ისეთ ქვეყნებში, სადაც გლეხობა მრავალრიცხოვანია, როგორც თვითონ

წერდა, კლასიკურ ქვეყანაში წვრილი გლეხური მეურნეობისა, სოციალისტური რევოლუციის ვერ, ვიმარჯვებს წვრილი გლეხობის მხარდგურის ვარემე. პრილტარულ უარტისიან ფ. ენგელსი მოიხსოვდა ფაქიბ პრადღებსა გლეხობის საკითხისადმი, ფრთხილი პოლიტიკის წარმებებსა გლეხობისადმი. ეს სიფრთხილე აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ჩამოვლილებულიყო და ვანმტკიცებულყო მეშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ვაეზირი ბერეუხიული ძალადობის დანგრევისათვის ბრძოლაში. ფ. ენგელსი აღიარებდა, რომ პრილტარიატა გლეხობის უნდა უჩვენოს ვანათვისუფლების გზები. სოციალისტური პრობლეების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ფ. ენგელსი მიიჩნდა გლეხობის კლასობრივი თვითშეგნების აშლდება, დარწმუნება გლეხობისა იმაში, რომ ხსნა არა კაპიტალიზმშია და წვრილბერეუხიულ რეფორმებში, არამედ სოციალიზმის ვამარჯვებაში, ბერეუხიული წარმოების წესიდან სოციალიზმზე რევოლუციური გადასვლაშია. ფ. ენგელსის უდიდესი მეცნიერული დამსახურება მსოფლიო სოციალიზმის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან ჩამოაყალიბა ძირითადი პრინციპები სოფლის მეურნეობის სოციალისტურად ვარდაქმნისა. ის ასწავლიდა მეშათა კლასს, სოციალისტურ პარტიებს, რომ სოფლის მეურნეობის ვადეკანა სოციალისტური ვანვითარების გზაზე მრავალფეროვანი და რთული პროცესია ის მიუთითებდა, რომ უბრალოდ წყდება საკითხი სოციალისტური რევოლუციის მსველეობაში მსხვილი მიწათმფლობელობისა. როდესაც ჩვენი პარტია დავუფლება სახელმწიფო ძალაუფლებას, ის უბრალოდ მოახდენს ექსპროპრიაციას მსხვილი მიწათმფლობელობისა, სწორედ ისე, როგორც მსხვილი მრეწველი ფაბრიკანტებისას.¹ ფ. ენგელსს ყოველად დავუშებლად მიიჩნდა წვრილი გლეხური საკუთრების ექსპროპრიაცია. მან მოხაზა მრავალფეროვანი ფორმები წვრილი გლეხური და წარმოადგინეთ, მსხვილ გლეხურ მეურნეობათა სოციალისტური გზით ვანვითარებისა. ამ ვადასელის პრილტარული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულია ფ. ენგელსის შემდეგ სიტყვებში: „ჩვენი ამოცანა წვრილი გლეხობის მიმართ, მდგომარეობის იმაში, რომ, მათი კერძო მეურნეობა და მათი საკუთრება ვადეკეიყანით ახინავურზე არააალომრეობით, არამედ ვაგალითის საშუალებით და ვაუწიით მათ საზოგადოებრივი დანმარება ამ მიზნით.“²

მე-2 ინტერნაციონალის ბელადებმა, როგორც სტალინიმ თავის დროზე სამართლიანად აღნიშნა, დავიწყებას მისცეს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მეცნიერული შემკვიდრება გლეხობის

1. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. 22, 523, მე-2 რუსული გამოცემა.
2. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. 22, გვ. 518.

საკითხში, რადგან ისინი არ იყვნენ პროლეტარული რევოლუციონერები ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი იყვნენ პროლეტარული მოძრაობის გამომწვევი მოღვაწენი, რომლებმაც დაიწყეს და განავითარეს აგრარული საკითხში კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შეხედულებანი.

მარქსი და ენგელსი მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე დაძაბული ყურადღებით სწავლობდნენ მუშათა კლასისა და მშრომელთა მატერიალურ მდგომარეობას კაპიტალიზმის განვითარების პირობებში. მარქსმა, ენგელსთან ერთად, შექმნა მეცნიერული თეორია მუშათა კლასისა და მშრომელთა მდგომარეობის შესახებ. ეს თეორია მთლიანად დაადსტურა კაპიტალიზმის შემდგომი განვითარება. მარქსიზმის ძირითადი დასკვნა ის არის, რომ კაპიტალისტური წარმოების პირობებში მუშათა კლასი მუდამ ღარიბ კლასად დარჩება. ამასთანავე მარქსმა და ენგელსმა დაადგინეს, რომ მშრომელთა არც ერთ ფენას კაპიტალიზმი არ უქმნის პროლეტარიატისაგან განსხვავებულ მატერიალურ პირობებს, ცხოვრების მაღალ დონეს. პირაქით, მშრომელი მოსახლეობის ისეთი ფენები, როგორც არიან წერტილი გლეხობა, წერტილი ხე-ტყეობა, მოსახლეობის საშუალო ფენები კაპიტალიზმის განვითარებით არათუ დატყუარ პირობებში იმყოფებიან, არამედ ნადგურდებიან. კაპიტალიზმის მიერ ეკონომიური და ტექნიკური პროგრესის ვხაზე წინგადადგმული ყოველი ნაბიჯი წარმოადგენს პირდაპირ უზღვევებს კაპიტალისტური ქვეყნების მოსახლეობის საშუალო ფენებისათვის. მარქსი გამდებებო აღნიშნავდა, რომ კაპიტალიზმი განვითარების ყველა საფეხურზე მუშათა კლასი რჩება ღარიბ კლასად, რაც იმას ნიშნავს, რომ მუშათა კლასი კაპიტალიზმის პირობებში არასოდეს არ ექნება შესაძლებლობა იქცეს კლასად, რომელიც თავისი შრომით დაიკმაყოფილებს საარსებო და ეკონომიურ მოთხოვნილებებს. „კაპიტალის“ მქონე ტომში მარქსი აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მოსახლეობის „დიდი უპირველესობა მუდამ ღარიბია და მუდამ ღარიბი უნდა დარჩეს“¹.

პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას შეუძლია მხოლოდ შეაფერხოს მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესების ტენდენცია, მაგრამ კაპიტალისტური წარმოების წესის შენარჩუნების პირობებში მის არ შეუძლია რადიკალური ცვლილებები მოახდინოს მუშათა და მშრომელთა მდგომარეობაში და ეკონომიური განვითარების ტენდენციად დაადგინოს მუშათა და მშრომელთა მატერიალურ-ეკონომიური კეთილდღეობის განუზრუნველყოფა. ენგელსმა რევოლუციონერებთან ბრძოლაში ცხადყო, რომ კაპიტალიზმი თავის განვითარებაში აუარ-

თოებს დაჭირავებული შრომის სისტემას, მილიონობით ახალ და ახალ მასებს გაბაჟს კაპიტალისტურ ექსპლოატაციით, დაჭირავებული შრომის სისტემით. რამდენადაც კაპიტალიზმი წინ სწევს საწარმოო ძალთა განვითარებას, გადადის მანქანური წარმოების მაღალ საფეხურებზე, მანქანების გამოყენებას საყოველთაო ხასიათს აძლევს, ახდენს წარმოების კონცენტრაციას, იზღვენს მის არ შეუძლია ამავე დროს არ გააძლიეროს მუშათა და მშრომელთა ექსპლოატაცია, არ გააძლიეროს მათი მდგომარეობის რყევადობა. მუშათა კლასის მდგომარეობაზე დაკვირვებისას ფ. ენგელსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მუშათა კლასის სოციალ-ეკონომიური განვითარების ერთი ძირითადი კანონზომიერებათაგანია მის რიგებში არსებობის არ უზრუნველყოფილობის ზრდა.

ენგელსმა ცხადყო, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად იზრდება საშიშროება სამუშაოს დაკარგვისა და მუშათა კლასის დასაქმებულობაში ადგილი აქვს დიდ რყევადობას კაპიტალისტური წარმოების ციკლური განვითარებისა და ტექნიკური რევოლუციების შედეგად. ენგელსს მითითებულ აქვს, რომ როგორცდაც არ უნდა პევიოდეს კაპიტალისტური ქვეყანა, ის ვერც აცილებს მშრომელთა მასობრივ პუტუერისს, შიმშილს, ცხოვრების ჭურღმულურ პირობებს, რომ ეკონომიურად აყვავებული კაპიტალისტური ქვეყნისათვისაც კი უმუშევრობის, სოციატის არსებობა პრივილეგიური კლასების მიღირებულ პარაზიტულ ცხოვრებასთან ერთად დამახასიათებელია.

ყურადღებას იპყრობს ის ვარემოება, რომ ორიოდ თვის შემდეგ ამის მოჰყვა „ცისკარში“ (1857 წ., № 11) კარაშინის „უბედური ლიზა“ თარგმანის დაბეჭდვა, ხოლო, ცოტა მოგვიანებით (1860 წ., № 12), მისივე — რუსული სენტიმენტალიზმის ლიტერატურული მანიფესტის — „მწერალი რა ეპირევაშ“ — თარგმანი. ამასთან, კარაშინის ბევრი ნაწარმოების ქართული თარგმანი ხელნაწერებად იყო გავრცელებული („სოფელი“, „რისა“, „რუსი მოგზაურის წერილები“ და სხვ.), რომლებიც, აგრეთვე, თუ არა ი. კვაკავაძის დროული გამოსვლა კარაშინის, კოლონიისა და საერთოდ სენტიმენტალიზმის წინააღმდეგ, უთუოდ, ადგილს იპოვიდნენ „ცისკარის“ ფურცლებზე.

საველისძემა ისიც, რომ „ფლორ სილინი“ მთარგმნელი ზაალ ხითაროშვილი „ცისკარში“ აქვეყნებდა ორიგინალურ სენტიმენტალურ ნაწარმოებებსაც: „შოთი უნაბავნი ჭილნი და თორმეტნი თვენი“ (1859 წ., № 4), „აი, რისთვის ვარ დაღონებული“ (1859 წ., № 7). სენტიმენტალური ხასიათისაა „უბედური ლიზა“ მთარგმნელის ვიოჯიკ ანდრონიკოშვილი ორიგინალური ლექსებიც: „განდეგილი“ (1860 წ., № 5), „სიზმარი“ (1966 წ., № 3) და სხვ. რაკი იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა ამგვარი ლიტერატურა, უნდა დავასკვნათ, რომ არსებობდა მისი მოთხოვნილება.

აღ. ცაგარელის დაიწყებული ლატერატურული-კრიტიკული შემოღობვა

ღღეს აღარავინ იცის, რომ საქვეყნოდ ცნობილი ენათმეცნიერი ალექსანდრე ცაგარელი 60-იანი წლების ერთი ყველაზე უფრო ნიჭიერი და ნაყოფიერი ეფრანლისტი, პუბლიცისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი იყო, თანმიმდევრულად იბრძოდა მწერლობასა და ხელოვნებაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის, შემოქმედების მაღალი დეერობისა და მაღალშტატეულობისათვის, შტაკედ

იყავდა თერგდალელთა სოციალურ-ესთეტიკურ შეხედულებებს და მზერავდნენ პოპულარობის უწყვედა მათ ნაწარმოებებს.

დამამთავრა რა თბილისის სასულიერო სემინარია, ხოლო შემდეგ კლასიკური გიმნაზია, 1865 წელს ალ. ცაგარელი ექრნალ „ციცკისი“ ძირითადი თანამშრომელი გახდა, ფაქტურად, სათავეში ჩაუდგა კრიტიკის, ბიბლიოგრაფიისა და პუბლიცისტის განყოფილებას. 1865 წელს ალ. ცაგარელი ისეთსავე როლს ასრულებდა „ციცკარში“, როგორც ანტ. ფურცელაძე 1863 წელს. ამ პერიოდის მისი ნაწერები ქართული კრიტიკისა და პუბლიცისტის ოქროს ფონდს განეუფებება და, ცხადია, ვერც ერთი მკვლევარი მათ გვერდს ვერ აუღლის. მართლაც, იშვიათად იპოვიეთ გამოკვლევას, სადაც აღნიშნულ წერალებს არ განიხილავდნენ ან არ იმოწმებდნენ, მაგრამ ალ. ცაგარელს ირავინ იხსენიებს, რადგან წერალები უმთავრესად ფსევდონიმებით იბეჭდებოდა, ჯდა ეს ფსევდონიმები („ფომინი“, „ღვიშელა“, „ანტონ ხუციშვილი“) აქამდე სხვა და სხვა ავტორებად არიან მიჩნეული. ეს გარემოება ზელს უშლის ანამარტო ალ. ცაგარლის მემკვიდრეობის თავმოყრასა და მთლიან შეფასებას, რამედ 60-იანი წლების ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოვლენების სწორ ანალიზს.

„ციცკისი“ 1865 წლის თებერვლის ნომერში ალ. ფომინის სახელით გამოქვეყნებული სტატია — „მოძღვრის ბასი თავის მოწაფესთან“, ერთი პირველი წერალებია, რომელშიც შეფასებულია საქართველოში ბატონ-ეპისკოპოს გუჭუჭუბის შედეგები.

ქართული ექრნალ-გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში ეს ფსევდონიმო გუჭუჭუბის, მაგრამ მოგვებოება სახუთებო, რომლებიც უყოფანო დასკვნის გამოტანის საშუალებას გაძლევს.

წერაობის — „მოძღვრის ბასი თავის მოწაფესთან“, სათაურქვეშით, ფრჩხილებში დაბეჭდილია: „უფლებნი ჩემს მეგობარს დათიკო სარაჯოვს“ (იველოხმებზე, შემდეგ „ცნობილი ქველმოქმედი დაფით სარაჯიშვილი).

ექრნალის მომდევნო, მარტის ნომერში, გამოქვეყნებულია კრიტიკული წერაობა „განხილვა“, ალ. ცაგარლის ზელმოწერიით, რომელსაც სათაურქვეშით, ფრჩხილებში დართული აქვს ასეთივე მიძღვნა: „კვლავ მას, ვისთვისაც მიძღვნა, დ. ს.— (დათიკო სარაჯოვს)“. უკვე ამის მიხედვითაც, ცხადია, რომ ალ. ფომინი იგივე ალ. ცაგარელია, მაგრამ არსებობს დოკუმენტური მასალებიც: იმასთან დაკავშირებით, რომ 1870 წ. „დროებაში“ დაიბეჭდა ალ. ცაგარლის გამოკვლევა „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, ირ. ლორთქიფანიძე ამ წლის 28 აპრილს სწერდა დიმიტრი

დავითანს (ბერივეს): „მონუქვედუქოქი იწერება და განარჩევს ჩვენი ლიტერატურის განხილვის ფომინი ცაგარელს მღვდლის შვილი. სემინარიაში დასარულია კერძი, შემდეგ წავიდა პეტერბურგში და ახლა თურმე მოგზაურობს, მრავალნი, ვისაც კი ესმის ქართული, თქვენის პაზრისანი ვახლავან და, როგორც შევიტყვე, უბირობენ პასუსსა და იქნება „მნათობის“ ექრნალში დაიბეჭდოს“!

ზელწერათა ინსტიტუტში, ალ. ცაგარლის არქივში დაცული საბუთებიც ადასტურებს, რომ ალ. ცაგარელი და მამამისი ცნობილი იყვნენ დედალი გვართი: „ფომინი-ცაგარელი“. ფომინის ზელმოწერიით შემონახულია ალ. ცაგარლის 60-იანი წლების იტორიათებიც, ამ დროს რუსიფიკატორი მასწავლებლები ქართულ მოწაფეებს თვითნებურად უცვლიდნენ გვარს, მათ შორის ზოგს მამის სახელით მიხედვით, ალ. ცაგარის მამის, ანტონ თომასტე ცაგარლისათვის, გვარი სწორედ მამის სახელის მიხედვით შეუცვლიათ და საბუთებში „ფომინი“ ზელწერათა.

„ციცკისი“ 1865 წლის აპრილის, ივლისისა და ოქტომბრის ნომერებში „ღვიშელის“ ფსევდონიმით დაბეჭდილია საუფრადღებო ლიტერატურულ-კრიტიკული წერაობები. ქართული ექრნალ-გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიის (ტ. 1, № 970) და ლიტერატურული კრიტიკის ქრესტომათიაში ეს ფსევდონიმო აუხსნელად არის დატოვებული. კვლევებით გამოირკვა, რომ ამ შემთხვევაშიც უბრალო გუჭუჭუბობასთან გვაქვს საქმე.

„ციცკისი“ მარტის ნომერში, ალ. ცაგარლის ზელმოწერიით, დაიბეჭდა კრიტიკული წერაობა — „განხილვა“, ხოლო აპრილის ნომერში, — ალ. ცაგარლის ზელმოწერიით გამოქვეყნებული ვრცელ თეატრალურ რეცენზიას — „წიგნი მიწერილია ქართულ წარმოდგენაზე“, — მოსდევს კრიტიკული სტატია — „ჩვენი დროების შვერუსი“, რომელსაც ზელს აწერს „ღვიშელი“, სარჩევში კი (ფრჩხილებში) დატოვებულია წინა ნომრის სათაური — „განხილვა“, რაც ნიშნავს, რომ, აქ წერაობის მეორე ნაწილი იბეჭდება. მართლაც, როგორც შედარებამ დადასტურა, ღვიშელის ფსევდონიმით დაბეჭდილი წერაობა წინა ნომერში ალ. ცაგარლის ზელმოწერიით გამოქვეყნებული კრიტიკული სტატია უშუალო ვაგარებულებს წარმოადგენს.

პირველ წერაობაში — „განხილვა“ (1865 წ.,

1 კ. კვეციანის სახ. ზელწერათა ინსტიტუტის კოფ. ფონდი, № 3228.

2 იქვე, ფონდი № 1753.

3 ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია. I. 1954 წ. (შეადგინა და წინასიტყვაობა, შენიშვნები და საბუთებო დართო ს. ხუციშვილი).

№ 3), რომელიც ალ. ცაგარის ზღაპრითაა დაბეჭდილი, მკაცრადაა გაკრიტიკებული ნიკ. არყუთაშვილ-მხარგრძელის სტატია — „ვილიამ შექსპირი“, გამოქვეყნებულ „ცისკარს“ 1865 წ. № 1-ში. ალ. ცაგარელ ამჟამად ბაბუეს ილ. ქავჭავაძის ცნობილ წყაროს „შემოღობი“ თარგმანზე, რომელიც ოთხი წლის წინ დაბეჭდა იმავე უფროსად, და წერს: „ხომ უნდა დიიბეჭდოს რამე ვერნალოში, ზვირიანი არაფერ ირყება და არ გადრელობს! მამასადამე, ზედაურების შემდეგ „ვილიამ შექსპირის“ ... ავტორისთანა ლიტერატორებს რჩებით ბურთი და მოედანია... ასეთი თხზულება... სულ უკანასკნელი, იმ ქალღაღად არა ღირს, რომელზედაც იბეჭდება... მხარგრძელი გეტყვის, რატომ შეცდომებზე არ მიმოითვებთ, ისე მლანდღათო), ... ამასი არა ტყუის, ნება აქვს ჩვენ-გან ითხოვოს ესა, თუცა ზიზღი მოგდის, როდესაც ვფიქრობთ, რომ ერთი კიდევ უნდა მიუხედიოთ და თავალი გადავადლოთ ამ ყოველად უმსგავსო სტატიას... უღონო, რაც უფრო უმჯობრო გამოიჩნდება“.

ამის მოსდევს არყუთაშვილ-მხარგრძელის „უზნავსო ქმნილება“ განქაჩება. ალ. ცაგარელი ამდღავნებს ავტორის ლიტერატურულ უმეცრებას, უგემოვნებას, შექსპირის შემოქმედების უცოდინარობას, კომპლიატორობას, ქართული ენის შერყევას. ამისთან დაკვეთრებით, საერთოდ ქართული მხარგრძელი თარგმნის საკითხებსაც უხედას, (მაგზაური ურია, „საბარლონი“ და სხვა), დასკვნის არყუთაშვილ-მხარგრძელის პოეტურ თარგმანებს, ადარებს მათ ღეფანსა და რუსულ თარგმანებთან. ალ. ცაგარის ეს წერილი („განხილვა“) ამ ნომერში არ შეიყრდნება. მისი ვაგრძელება იბეჭდება მომდევნო (ამბოლის) ნომერში, სათაურით: „ზვენი დროების შწერლებს“, რომელსაც ხელს აწერს „ღვიმელი“, ხოლო ქვესათაურად, როგორც ვთქვით, დატოვებულია წინა წერილის სათაური „განხილვა“. ღვიმელი თანმიმდევრულად განაგრძობს ნიკ. არყუთაშვილ-მხარგრძელის წერილის — „ვილიამ შექსპირის“, კრიტიკულ განხილვას, ამ წლის იანვარის „ცისკარში“, — წერს ღვიმელი, — არის სტატია „შექსპირზედ“ ისეთი ენით დაწერილი, რამე არა ვგონებ, რუსმაც იც, რომელსაც ოპოროდ წელი გაუთვინა ჩვენს ერთსულ ქვეყანაში, დაწეროს ამგვარი ქართულ-სომხური ენით... მაგრამ უველაზე უფრო საბარლოა შექსპირი“. ასე რომ, პირველი წერილის გარეშე, რომელსაც ალ. ცაგარელი აწერს ზელს, ღვიმელის ზღაპრით დაბეჭდილი წერილი არა გაუგებარი იქნებოდა ღვიმელი არყუ-

თაშვილ-მხარგრძელის პოეტურ თარგმანებს, კვლავ დედანსა და რუსულ თარგმანებს უნდა რჩება. იწყნებს ჩა არყუთაშვილის წერილ-მახინებულ შექსპირის ბიოგრაფიას, მის საპარისპიროდ, ღვიმელი თვითონ ვთავაზობს შწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მიმოხილვას. ალ. ცაგარის „განხილვა“ დათარგმნილია 1865 წლის 12 მარტით, ღვიმელის პირველი წერილი კი დათარგმნილია 1865 წლის 13 მარტით. ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ არყუთაშვილ-მხარგრძელის წინააღმდეგ ორ დღეში ორმა სხვადასხვა ავტორმა ერთნაირი შინაარსის წერილი დასწერა და ისიც ისე, რომ ერთმა (ალ. ცაგარელმა) დაუშთაყრებელი დატოვა თავისი „განხილვა“, ხოლო მეორემ, „ღვიმელმა“, დასწერის ვარძე. შუა ნაწილიდან; დაწყობა წერას ამის ისიც ემატება, რომ ალ. ცაგარელი და ღვიმელი შექსპირის არყუთაშვილისეულ თარგმანთა შესადარებლად, ერთსა და იგივე წაბროებს იყენებენ, — ეს არის სტოვენის ინგლისური დედანი და ღრუბინის რუსული თარგმანები. ეს წერილები ამსოღებრად იღებრე-რია არა მარტო შინაარსობრივ-სტილისტურად, დრამატოლოგიითა და დამტამული გამოთქმებით, არამედ ღვიმელის წერილში სიტყვა-სიტყვით შეორდება ალ. ცაგარის წერილის წინააღმდეგობა. მაგალითად: „უ. არყუთაშვილის სტატიაში ცხადად ტყუობა, რომ ნათარგმნი, თუმცაღა არ ამბობს“ და ა. შ.

ღვიმელის ფსევდონიმით „ცისკარში“ დაბეჭდილია, როგორც ერთმანეთის გაგაჩნდება, საში წერილი: 1865 წ. № 4, № 7 და № 10. უკანასკნელ ოქტომბრის წერილს ქვესათაურად უნის რამოდენი ციფრი IV. ესეც აფასტურებს რომ წერილების ამ სერიის დასაწყისად ვ. ი. პირველ წერილად ჩათვლიდა მარტის ნომერში ალ. ცაგარელის ზღაპრით გამოთქვენებული „განხილვა“ და, ცხადია, მიმდევრო სამი ვაგრძელების ავტორად ის არის.

ღვიმელის წინააღმდეგ „ცისკარის“ 1865 წ. მე-11 ნომერში დაიბეჭდა დიმ. ჯანაშვილის პოლემიკური — „მახე“. დიმ. ჯანაშვილი ალ. ცაგარის ამხანაგი იყო სასულიერო სემინარიოლან და, უფროდ, იცოდა, რომ ოთხივე წერილი მას ეკუთვნოდა; ეკამთება ჩა ღვიმელს, დ. ჯანაშვილი, მისგან განუყოფლად. ალ. ცაგარის ზღაპრით დაბეჭდილ პირველ წერილში გამოთქმულ შეზღუდვებზეაც აკრიტიკებს. საგულახსნობა, რომ ღვიმელის მე-4 წერილის პალეხა დიმ. ჯანაშვილის არა მარტო ამრიგისა ლა იენისის წერილებისა, არამედ პოლემიკური სტატიისა „მახე“. მამასადამე, ღვიმელის პალეხი უფრო ადრე დაიბეჭდა „ცისკარში“, ვიდრე ის წერილი, რომელსაც ეკამთებოდა („მახე“) და რომლის შინაარსსაც მკითხველი ჯერ კიდევ არ იცნობდა. ცხადია, დ. ჯანაშვილის წერილს

ღვიმელი ხელნაწერში გასცნობია — ან რედაქციაში — ან უშუალოდ თავისთავად მოაქვეყნეს. ამ ვითარებაში პოლემიკა დამთავრებულად ვერ ჩაითვლებოდა და ღვიმელის მეოთხე წერილსაც აქვს შენიშვნა: „გაგრძელება იქნება“. მაგრამ არა თუ გაგრძელება, 1865 წლის შემდეგ არც ღვიმელისა და არც ალ. ცაგარლის „ციკარში“ აღარა დაბეჭდილა რა. მისი უკანასკნელი წერილი გამოქვეყნდა 1865 წლის მე-12 ნომერში, „ხუციშვილის“ ფსევდონიმით. რატომ იჩქარა ღვიმელმა ვერ გამოუქვეყნებელ წერილზე პასუხის გაცემა ან რატომ შეწყვიტა ასე ერთბაშად მან და, მასთან ერთად, ალ. ცაგარელმაც „ციკარში“ თანაშრომლობა“ საქმე ის არის, რომ ზუსტად ამ დროს ალ. ცაგარელი პეტერბურგის უნივერსიტეტში გამოცდების ჩასაბარებლად გაემგზავრა. ცოტა ხნის შემდეგ ის უკვე პეტერბურგიდან „დროებას“ უგზავნის თავის მოთხოვნას „რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“!

„დროების“ 1870 წ. № 2, 3, 4, 6 და 7-ში დაიბეჭდა ალ. ცაგარლის ცნობილი კრიტიკული-ლიტერატურული გამოკვლევა „ჩვენი უბედური შვიგნობრობა ამ საუკუნეში“. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომს ღვიმელის წერილების სერიიდან ოთხ წელზე მეტი ამორება, ხოლო ამ ოთხი წლის განმავლობაში ალ. ცაგარელმა დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტი, განათლების განაღმრეებლად გაემგზავრა სახლარჯარდო და უკვე გარკვეული ესთეტიკური მეთოდოლოგიით — ლესინგისა და იპოლიტ ტენის — ლიტერატურული თეორიით“ ხელმძღვანელობს, — მათ შორის უძველესი იდეოლოგიისა და ენობრივ-სტილისტური კავშირის ნათესაობა არსებობს.

ყვერ გაითვალისწინოთ თეოთ სჯათრი „დროებაში“ დაბეჭდილი წერილისა, როგორც ავტორის ლიტერატურული: „ჩვენი უბედური შვიგნობრობა ამ საუკუნეში“, და შევიდაროთ ის ღვიმელის წერილების ლიტერატურულს, რომელიც მისი პირველი წერილის დასაწყისშია გამოხატული: „არა ეგონებ, მთელ დღეაიწახედ მონიხისი კიდო მსჯავის ღარიბი, ღატკი, დაცუევილი ლიტერატურა“. ისე, როგორც ღვიმელი დომ. ჭანაშვილის მოსაზრებათა წინააღმდეგ. თავის ახალ ნაშრომში ალ. ცაგარელი ამტკიცებს, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ორიოდე მწერლის გამოკლებით, ილია ქავკავაძესა და ა. წერეთელს ვერაინ შეედრება; „ისინი ასე ამაღლებულნი არიან წარსულის საუკუნის მწერლებზედ ნებით და ტალანტით, როგორც მზე დედაიწახე“ (ღვიმელი). „დროებაში“ ალ. ცაგარელს ზუსტად ის ამონაწერები მოაქვს ილიასა და აკაკის ლექსებიდან („ჩემო კალამო“...

„ვიცი ის ზედი“... და სხვ.), რომელთაც ღვიმელი იმეორებდა; ღვიმელის წერილებშიც ამათ ცაგარლის გამოკვლევას (დროებაში) ქსე. ბარათაშვილის ნამდვილ ამოლოგის წარმოადგენს: „არა თუ ქართულ ლიტერატურაში, რუს პოეტებზედაც კი მაღლა დგას გენიით, ვიტყვა თანამად: პუშკინიც და ლერმონტოვიც შორის შოტიკოა“ (ღვიმელი); „ეს სხვა კაცმა, საკვირველმა კაცმა იყისრა — გასაოცარმა კაცმა. თითქმის ძნელია, ქართული დაუვსაბოთ ამ რკინითა და ქვის კაცსა, ამ სველისა და გლოვის ნის-მე ვარსოვლედ აღაშინისა — მე ვამბობ რკინ. ბარათაშვილზედა... ის დგას ჩვესა ლიტერატურაში ერთადერთი გაყალკევებული... რომელიც ყველაზედ მაღლა დგას, ყველაზედ ერთეული... რუსეთშიაც კერ პუშკინი და მეტე ლერმონტოვი იყო, ... ყველა სიტყვა ბარათაშვილისა ამტკიცებს, რომ ... ვერაინიდან გადმონახედ უკეთესობის გრძობაზედა, ... საუკეთესო ბუნების მიმართულება დაერთო და ამ მიზეზებმა დაშაბდეს ეს დარღობა და ნაღველით ვარსოვული აღაშინა... ძნელი შესადარებელია ის ყველა დანარჩენ ქართველ პოეტებთან, რუსთაველის გარდა“. (ალ. ცაგარელი — „ჩვენი უბედური შვიგნობრობა“); „ჩვენი ნ. ბარათაშვილი, გენიით ჩვენი რუსთაველის ძმა“ (ღვიმელი, „ციკარი“, 1865 წ. № 7); „დამისახელეთ ორი პოეტი ძველი ლიტერატურიდან, რომლებიც ილიასა და აკაკის შეედრებოდნენ“ (ღვიმელი);

„ახლა ყველასთვის ცხადი შეიქმნა, რომ ილია ქავკავაძეს მართლა ტოლია“ (ალ. ცაგარელი); „ილია ქავკავაძეები მარტო იხადებინა“; „ნუ დავივიწყებთ... მაღლა ნიჭიერ, ადვილს სასშენელ და საგრძნობელ, ტკიბილმოდან ლექსებს ა. წერეთლისას, რომელიც ახლო მოსდენს ილია ქავკავაძესა და ზოგიერთ ლექსის ღირსებით კიდევ სჯობია ბევრად ილია ქავკავაძესა“.

ღვიმელის წერილებისა და „დროებაში“ დაბეჭდილი ალ. ცაგარლის გამოკვლევის ნათესაობის დასაბეჭდად მთელი პასაჟები შევიქვლია მოვიტანოთ; ასე გგონია, ალ. ცაგარელი უწყვეტად განაგრძობდეს დ. ზუბინაშვილთან და დომ. ჭანაშვილთან 1865 წელს ღვიმელის ფსევდონიმით გამართულ პოლემიკას. მაგრამ მოტანილი საბუთებიც ნათელიყოფს, რომ ღვიმელი იგივე ალ. ცაგარელია.

ანტონ ხუციშვილის ფსევდონიმით დაბეჭდილი საუკრადლებო „შინაურული მიმოხილა“ (1865 წ. № 12) და „ბიბლიოგრაფიული ფურცელი“ (1865 წ. № 9), როგორც თემატიკად, ისე შინაარსობრივად და სტილისტურად, არაფრით არ განსხვავდება ალ. ცაგარლის (ღვიმელის) ზემოხსენებული წერილებისაგან ის იქაც მკაცრად აერთიკებს დავ. ზუბინაშვილის „ქრესტომათის“. სიტყვა-სიტყვით იგივე

1 „დროება“, 1867 წ., № 20.

ტებს თავის მთავარ საყვედურს: „დავიჭროთ, ისე წახდა და დავცა ჩვენი დროების ქართული ენა, რომ არაინდამ დროების მწერალი ღირსი არ არის, იმისი ენა დედნათ იმპარონი“ და ა. შ. პოლემიკურ წერილში „მანე“ (1865 წ., № 11) დიმიტრი, ჯანაშვილი ღვიმელისა და ანტ. ხუციშვილის ამ შეხედულებას აკრიტიკებს, როგორც ერთი და იგივე ავტორის თვალსაზრისს („თქვენ ჩუბინოვს იმისთვის ლანძვავთ, რომ იმას თავის ქრესტიანობაში ი. ჯეჯეჯეაძისა და აქ წერეთლის ლექსები არ დაუბეჭდიან“).

აღ. ცაგარელს ამ შემთხვევაში ფსევდონიმით თავისი შიშის სახელიდან უწარმოებია: ის, მართლაც ანტონ ხუციან (მღვდლის) შვილი იყო.

აღ. ცაგარელს პეტერბურგში წავლისთანავე ეს ფსევდონიმით ქრება „ციცკრისა“ და საერთოდ, ქართული პრესის ფურცლებიდან.

აღ. ცაგარელს ლიტერატურული შემეცნებობა, რომელიც ამიერიდან ფრთხილ მნიშვნელოვნად აღვივებს იკავებს 60-იანი წლების ქართული კრიტიკისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, ღირსეულ მეცნიერულ შესწავლას უღის.

ერთი პოლემიკის საიდუმლოებანი („ულოლიკოს“ ვინაობაზე)

„ციცკრის“ 1863 წლის № 9-ში „ულოლიკოს“ ფსევდონიმით დაბეჭდილი მეტად საინტერესო ისტორიულ-ლიტერატურული და კრიტიკულ-ფილოლოგიური წერილი — „ორიოდე სიტყვა უ. დავით უიფიანის სტატიასზედ — ურამატრის შესამუშავებელ მასალებზე“, არჩილ ჯორჯაძემ ანტ. ფურცელაძეს მიაკეთებდა და ეს აზრი მტკიცედ დამყარდნა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში. ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის პირველ ტომში (№ 262) „ულოლიკოს“ ანტ. ფურცელაძის ფსევდონიმად არის მიჩნეული, ხოლო ქართული სალიტერატურო კრიტიკის ქრესტიანობაში დასახელებული წერილი შეტანილია, როგორც ანტ. ფურცელაძის ნაწარმოები. მკვლევარებს, როგორცაღ, მხედველობიდან გამოირჩეინათ 1912 წ. „ზათუმის გაზეთში“ გამოქვეყნებულ ანტ. ფურცელაძის საბავშვო წერილი, რომელშიც ის არჩ. ჯორჯაძეს ასე მიმართავს: „თქვენ, ბატონო არჩილ, აუწყეთ ქვეყანას, რომ „ციცკრისი“ მე ესწერდი ფსევდონიმით „ულოლიკოს“. ეს ჩემთვის ახალი ამბავია... მე ამ ფსევდონიმით არასოდეს არ მიწერია“.¹

ერთ გამოქვეყნებულ წერილში ანტ. ფურცელაძე ეკათხება არჩ. ჯორჯაძეს: „რომელი წყაროებიდან იცხად ეს? ამ წყაროებიდან თუ, რომლითაც იცით, რომ მე ესწერდი ფსევდონი-

მით „ულოლიკოს“... „თქვენ ამბობდით, რომ ესწერდი ფსევდონიმით „ულოლიკოს“... კოტეტი, როდის და რა საბუთებით ამტკიცებთ, რომ მე მაგ ფსევდონიმით ესწერდი? თქვენ აქ პირში წყალი ჩაივლებთ. რატომ? რატომ არაფერსა ბრძანებთ ამისას?!”

საკვლევადებო წერილი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას დღესაც ხშირად იმომწებენ თანთან ნაწილობაში სხვადასხვა დარგის სპეკულანტიები, მაგრამ, — მიუხედავად იმისა, რომ 1956 წელს ჩვენ ვადაპტირეთ, — თუმცა, სათანადო დასაბუთების გარეშე, უარყვებით ანტ. ფურცელაძის ავტორობა და „ულოლიკოს“ დიმიტ. ბაქრაძის ფსევდონიმად გამოვაცხადებთ — ავტორობა მაინც ანტ. ფურცელაძეს იხსენიებენ. ამ საშიშოდ წლისწინ „ციცკრისი“-მ დაბეჭდილ გამოცემაში პროფ. ჯ. ჭუმბურიძე, მართალია, ანტ. ფურცელაძეს აღარ ასხენებს, მაგრამ გვეკამათება, თითქოს, დიმიტ. ბაქრაძის ავტორობის შესაძლებლობა კატეგორიულად გაპროტესტული იყოს, და საერთოდ ის სჯამს, რომ, შესაძლოა, სადავო წერილის ავტორად აღ. ორბელიანი ეივულისხმეთ.

როცა ჩვენ ავტორად დიმიტ. ბაქრაძე ველიძეთ. უოველგვარი დასაბუთება ზედმეტად ჩაეთვალეთ, რადგან დარწმუნებელი ვიყავით, რომ მხოლოდ „ულოლიკოს“ წერილის წყობიანად კი საკმარისი იქნებოდა ამ აზრის გასაზიარებლად. მაგრამ სადავო წერილის ავტორობის დადგენილობის გამო, უფრო ზუსტად, დ. ბაქრაძის ავტორობის უარყოფის შედეგად, უკანასკნელ ხანს კრიტიკის, სალიტერატურო ენისა და თაობათა ბრძოლის პრობლემებზე იმგვარი პრინციპული დასკვნები იქნა გამოყვანილი, რომ მართალი გადაწყვეტილების მიღება, მამასადავამ, საქმის ისტორიის მიმოხილვა და დ. ბაქრაძის ავტორობის დასაბუთება აუცილებელი ხდება.

საშე კი „ულოლიკოს“ წერილამდე რამდენადმე, აღერ დამწყობ. „ციცკრისი“ 1860 წ. იენისის ნომერში დაიბეჭდა აღ. ორბელიანის სტატია: „ქართული ენობა ანუ წერა“. ავტორმა წამოაყენა ორი მთავარი დებულება: 1. თქართვერთ უაყვროფი და „სამი შტოლის“ თეორიის, აღ. ორბელიანი ამტკიცებს, რომ არსებობს სამგვარი ენა: ა) „ეკლესიური“; ბ) მღაბურთი ანუ „დარბაისელთ ენობა“ და გ) „გლუხაკებობის ენა“. 2. სალიტერატურო ენის წარმატება მოითხოვს, რომ შეიქმნას ერთიანი სამწერლო ქართული ენის მეცნიერული გრამატიკა. აღ. ორბელიანი აუცილებლად თვლის, წერისა და მეტყველების საუღღებულო კანონების დადგე-

¹ გ. ლეონიძის სახ. საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი, № 5914-6.
² ა. კალანდამე, მასალები ივ. კერესელიძის ლიტერატურული შემეცნებრობისათვის, 1956 წ.
³ „ციცკრისი“, 1966 წ., № 1.

ნას, რათა, „ჭრელი წერა არა გამოვიდეს რა „ცისკარში“.

ცალკეულ განხილვება რა სამივე ენის ნი-
მუცლი, ალ. ორბელიანი დაასკვნია, მე „სა-
შელოს ენას“, „ღარბანსელთ უბნობას“ (იგივე
„მღაბიური“) ამოვარჩევდიო. „მღაბიური მეს-
მის მე, — განმარტავდა ავტორი, — ცელსისის
წერილების შემდეგ საშვეყსიერო ანუ ყველასა-
თვის განაგონი“. შევიწმინავთ, რომ ალ. ორბე-
ლიანი „გლეხური ენის“ კატეგორიული მოწი-
ნაოღმდეგევი არ ჩანს, თუმცა, მას „ღარბანსელთ
ენაზე დაშვებულს“ უწოდებს: ერთიანი ენის
დადგენას შესაძლებლად თვის „მღაბიურისა“
და „გლეხურის“ შერწყმვა-გადაზოგვების სა-
ფუძველზე. მისი ძირითადი მოთხოვნა ის არის,
რომ ეს საერთო სალიტერატურო ენა გლეხაკე-
ბისათვის ვასაგები იყოს. წერილი მშნმართულად
არქაისტების წინააღმდეგ, რომლებიც, თერმე.
„ცისკარს“ აძაგებდნენ, გლეხური ენით წერსო.
ალ. ორბელიანი სალიტერატურო ენის მავალი-
თად თვლის „ვეფხისტყაოსნის“ ენას, (სახე-
ლებს აგრეთვე, „რუსულანის“, „ვისრამიანის“,
„სიბრძნე სიციურისა“ და სხვა), რომელიც თანა-
მედროვეობის მოთხოვნათა მიხედვით, ხალხურ
მეტრებლებს, „გლეხაკობის ენას“ უნდა დაუ-
ახლოვდეს. ერთიანი, ყველასათვის საეაღე-
ბულო ენის საფუძველი, მისი აზრით, გრამატი-
კამ უნდა შეიშუშაოს, და ამიტომ, თავისი სტა-
ტიის ზოლოს, სიბუნებ ბაქარ ქართლელს (დმი.
უფიანს), დაწეროს ქართული ენის გრამატიკა.

სულ მალე, „ცისკარს“ იმავე წლის აგვისტოს
ნომერში, ალ. ორბელიანს მკაცრად შეეკამათა:
დმი. ბაქრაძე, თავის სტატიაში — „წიგნი მიწე-
რილი“ ალ. ორბელიანისადმი შესაბამისი
„ქართული უცნობისა ანუ წერისა“, — დი. ბ.
ბაქრაძემ, უწინაარეს ყოვლისა, კატეგორიულად უარყო გრამატიკის საჭიროება. „თქვენ წარმოსაქ-
ვით გრამატიკის-საჭიროებასა, — მიმართავდა
ის ალ. ორბელიანს. — ... მე არა მწამს ესა:
გრამატიკის კანონებით ენის სწავლა შეუძლებე-
ლია, როგორათაც (შეუძლებელია) ლოგიკის კა-
ნონებით მსჯელობა. უმკველია მხოლოდ ბუნე-
ბითის ლოგიკის ძალა... შემოღებული ლოგიკა
ვერად უწველოს... ლოგიკა იყო ნაყოფი მკვლარ-
ის სხილასტეიკის... ლოგიკა შეამოვლდება გონე-
ბასა და ჩავვირია აზრის თავისუფლების მოძრა-
ობასა... რასაც აქ ლოგიკაზედ ვამბობთ, თვით-
ქმის იგივე უნდა ვისთქვათ გრამატიკაზედაცა“.
გრამატიკა არ უკნობდა. „რუსთაველმა და ჩაბ-
რუტაძემ, ვახუშტმა და სხვა ორბელიანმა
რომლის კანონებით ისწავლეს სამშობლო ენა?“,
გრამატიკა ანტონმა შემოიღო და მის გამო
„სქოლასტიკის გავსნა გზა საქართველოში“.
„აწინდელს დროს მოწინავე მეცნიერნი ვახათ-
ლებულს ქვეყნებში კიდევ ცდილობენ გრამატი-
კის აღმოჩოცვისა ან სრულს შეცვლასა“. ბა-

ქარის (დმი. უფიანის), „მრამდენიმე წელიწადი-
ლო დროს დაეარტვა“ და ლიტერატურის
ეგება რა ალ. ორბელიანის კლასიფიკაციის
მიხედვით სამკვარის ენადან ერთ-ერთის ამორ-
ჩეპას, დმი. ბაქრაძე წერს: „დაბალი ანუ გლეხურ-
ი ენა სათქმელი არ არის; თქვენ ვინდათ რე-
სთაველის ენა, — შე არც ამის თანახმა ვარ“.
„ის ცხოვრობდა მეთორმეტეს საუკუნეში და
არ ვუთენის ჩვენს დროს“. ახალი სალიტერა-
ტურო ენის მავალითად დმი. ბაქრაძეს მიანიჩა
„უკეთესი საზოგადოების“ ე. ი. თანამედროვე
განათლებული საზოგადოების მეტყველება. ამ
ცნებებს — „უკეთესი საზოგადოების“ ბაქრაძე-
სეული ვაგება ძნელი იქნებოდა, რომ იქვე არ
ასახლებდეს ლიტერატურულ ნიმუშებს: ალ.
შავეჭავაძის, დმი. უფიანის ნაწარმოებთა ენას,
ანუ იმავე ალ. ორბელიანის „საშელოს“ ანუ
მღაბიურ ენას. ამრიგად, ამ დებულების გარშე-
მო ალ. ორბელიანისა და დ. ბაქრაძის შეხედუ-
ლებათა შორის პრინციპული განსხვავება
არის, თუ მზედველობაში არ მივალბთ, რომ
დ. ბაქრაძე უფრო გადაჭრით უარყოფს „გლე-
ხურ ენას“ (გლეხების საუბარი ვერ შესძლებს
მალათა საგანთა გამოხატვისა შუამავლობას“).
ერთი და მეორეც, არსებითად, საშელოს ენის
მზინება; დმი. ბაქრაძის „უკეთესი საზოგადოე-
ბის“ ენა იგივე ალ. ორბელიანის „ღარბანსელთ“
ანუ „მღაბიური“ ენაა; („მამ, რა უნდა ქნათ?
ჩვენ გვეყვს ორი წყარო ანუ ორი ღონისძიება
— პირველი: თეთი ცხოველი საზოგადო წყარო
(ე. ი. „ველუკაცობის ენა“, რომელიც მან გადა-
ჭრით უარყო, ა. კ.) თუ ღარბანსელი ენა, არც
ალ. ორბელიანს უთქვამს, „ვეფხისტყაოსნის“
ენაზე უნდა შევჩერდეთო, პირიქით, ის უფრო
ენერგიულად უჭერდა მხარს სალიტერატურო
ენის დემოკრატიზაციას. მასისადამე, მათი ცხა-
რე პოლემიკის სავანად დაჩაჩა ერთა საკითხ-
არის თუ არა საჭირო გრამატიკა და როგორ უნ-
და დადგინდეს ერთიანი სალიტერატურო ენა.
სამი წლის შემდეგ, „საქართველოს მოამბის“
1863 წ. მე-3 ნომერში, დიხებუდა დავით უფიან-
ის შესანიშნავი გამოკვლევა: „როგორც ქართუ-
ლი გრამატიკის შესამშუშებელ მასალადა“.
ავტორმა, სხვათა შორის, პირველად განიხილა
და შეაფასა ქართული გრამატიკული და ენათ-
მეცნიერული ლიტერატურა, გაარკვია გრამატი-
კის როლი ერთიანი სალიტერატურო ენის და-
დგენა — დამკვიდრების საქმეში და ისტორიად
შეება გრამატიკის უარყოფლებს; წამოაყენა
გრამატიკის ისტორიულობის პრინციპი და და-
ასყენა: „გრამატიკა ისტორიული უნდა იყოს“;
„გრამატიკის დამშუშებებისათვის უპირველესი
წყარო და საბუთი უნდა იყოს ხალხის ცოცხ-
ლი ენა, ზოლო მზინა — ერთიანი სამწერლო-
ბო ენა. დავ. უფიანისმა ნათლად ჩამოაყალიბა
უგრადალეულთა თვალსაზრისი სალიტერატუ-
რო ენისა და გრამატიკის შესაბამ. რადგან,



ვარდა დიმი. ბაქრაძისა, გრამატიკის საჭიროება ჩვენი რაის უარყოფია, ბუნებრივია, რომ დავ. ყოფიანი მთელი სამკაცრით სწორედ მის ზემოთ განხილულ წერალს დააცხა თავს. ამას ისიც დაერთო, რომ „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შორის მამინ უკიდურესად გამოწვევბული პოლემიკა მიმდინარებოდა, ხოლო დიმი. ბაქრაძე „ცისკარს“ ერთ-ერთი ბერძი იყო. დიმი. ბაქრაძის წინააღმდეგ „საქართველოს მოამბეს“ მეორე წერილიც დაიბეჭდა (კრ. ლორთქიფანიძის — „ამაო ამაოთა“). დავით ყიფიანი სასაცილოდ იგდებდა დიმი. ბაქრაძის მოსაზრებებს გრამატიკისა და ლოგიკის უსარგებლობაზე, აღნიშნული წერილის ავტორს (დიმი. ბაქრაძეს) უწოდებდა „ულოლიკოს“ და, საერთოდ, მოუბრძებელი, მტრად შეურაცხყოფელი ტონით ეკამათებოდა დიმი. ბაქრაძეს. იმ გაოცებასა რა შეეძრება, — ასე იწყებს თავის გამოკვლევას დავ. ყიფიანი, — „რომელსაც იგრანობს... ერთი თქვენგან უთუოდ პატივცემული ლიტერატორი, „ცისკარს“ მხნე თანამშემუღ. დიმი. ბაქრაძე, რომელმაც დაარწმუნა მეორე, იმავე „ცისკარს“ თანმშემომღელი ან. ბარბელიანი... რომ გრამატიკა სასარგებლო არ არისო“. შემდეგ, დავ. ყიფიანი მოკვას ციტატები დ. ბაქრაძის წერილიდან და ვხადვხა ასეთი რეპლიკები: „ამობს! მას: „ამგვარ ხეტიან აზრებს რა პასუხი უნდა მიეცეს? „ოლოლო, ბაქრაძე!“ და ა. შ.

ამასთანავე, დავ. ყიფიანი დიმი. ბაქრაძეს ბრალად სდებს, რომ მან უყოყმანოდ გაიზიარა ალ. ორბელიანის თვალსაზრისი „საშეალო“ ანუ „დარბაზსელი“ ენის შესახებ და ამ საკითხზეც, ნაკლებად ალ. ორბელიანისა, დიმი. ბაქრაძეს ეკამათება უღმობელი ტონით: „თ. ალ. ორბელიანი, — ამბობს ის — სამ ნაწილად ჰყოფს პართულ ენას: სამღვიო წერილად ანუ ეკლესიურად, მდებარეად ანუ დარბაზსელთ უბნებდა და ვლენჯაუზის ენად. ეს განყოფილება (დაყოფა ა. კ.) უ. დიმი. ბაქრაძემ კენჭმარტებდა მიიღო“. ავტორის მთელი უარყოფითი მსჯელობა „საშეალო ენაზე“ დიმი. ბაქრაძის წინააღმდეგაა მიმართული.

ასეთ შეურაცხყოფელი, გამაზიარებელი წერილის უპასუხოდ დატოვება, ისიც ორ ფურხანას შორის სამკედრო-სასიოცლო პოლემიკის დროს, დიმი. ბაქრაძეს, ცხადია, არ შეეძლო და არც დატოვებია უპასუხოდ. მართალია, ფსევდონიმი გამოვიდა, მაგრამ თავისი ვინაობის დაფარვა არც უ უცდია, რადგან ფსევდონიმად სწორედ ის დასაქინი სახელი — „ულოლიკო“ აირჩია, რომელიც მისმა მოამბეებმ შეარქვეა. ანუ, სხვა ვინ იყო ისეთი, რომ საპასუხო წერალშიც ემტყიცებინა, გრამატიკა საჭირო არ არისო! „ულოლიკო“ თავის წერილში — „ოროდეს სიტყვა დავ. ყიფიანის სტატიაზედ“ — „გრამატიკის შესამუშავებელ მასალებად“

— რომელიც „ცისკარის“ იმავე წლის მე-9 ნომერში გამოქვეყნდა, ცხარედ იცავს: „ცისკარის“ წინს მიერ გაკრიტიკებულ დიმი. ბაქრაძეს [1899] წლის წერილის დებულებებს: რომ გრამატიკა საჭირო არ არის და სალიტერატურო ენა „საშეალო ენას“ უნდა დაეყაროს.

„ულოლიკო“, მართალია, შესამე პირში ექომაგება დიმი. ბაქრაძეს, მაგრამ ეს პოლემიკური ხერხია, სინამდვილეში, ყველაფრით ჩაშა, რომ თვითონ დიმი. ბაქრაძე აელელებით, შეურაცხყოფელი ავტორის ტონით იცავს თავის თვის. ის წერს: დავ. ყიფიანი ერთ ძალიან წმინდა და მაგარ ჩანგალს მოსდებს უ. დ. ბაქრაძეს, მოსწვევს თავისკენ და გრყვას: ამგვარს ხეტიანს პასუხებს (ე. ი. ბაქრაძის პასუხებს) რა პასუხი უნდა მიეცეს ოლოლიკო, ბაქრაძე... ეს ტვილი, ჩვეულებრი და ძველებური მუსიკივი ბაქრაძეს, გაუწია უ. ყიფიანმა იმიტომ, რომ ერთ დროს ბაქრაძეს უთქვამს: „აწინდელის დროის მოწინავე მეცნიერნი განათლებულს ქვეყნებში ცლილობენ ღრამატიკის აღმოჩენასო. უ ყიფიანს სავსე არის ლოლიკიანი... უ. ბაქრაძის პასუხები ხეტიანიო... უ. ბაქრაძეს საფუძველი აქვს, იმის სიტყვებს ძალია და საშიშია, რომ ამ საფუძველშია და ძალიან არ ივინ გამოტაცოს... ავტორის ღრამატიკისას (დავ. ყიფიანი, ა. კ.) უნდა მოტყუას წინააღმდეგი და დაეგრძელოს ბაქრაძის სიტყვები, თორემ ხეტიანობის წამოძახება არც პასუხია და მეხრესაც შეუძლიან. მაგრამ, მკითხველო, უ. ყიფიანი საფუძველს როდელ ეძებს: იმას მართო ის უნდა, კაცს, ცოტა რაითომ გამოჩინილს, უქნილად წამოშაბროს, დისცეს უცეარი ყიფიანი, წამოსდოს ფეხი, წააქციოს და ფალანის სახელი დაარქოს... უ. დ. ბაქრაძის გამამართლებლად ვიტყვი, რომ იმის სიტყვებშიც ღრამა პასუხი აქვს (ხაზს უყვანი. ა. კ.)

დიმი. ბაქრაძე აქვე გადაჭრით იცავს თავის აღნიშნულ შეხედულებებს, რომ გრამატიკა აუცილებელი არ არის (საერთოდ ენას თავისი სიმარტივით ძალიან ცოტათი ეჭირვება ღრამატიკა): „საერთოდ ღრამატიკა კაცს შეუძლიან სამი ფრაზით გამოთქვას: ენას ვსწულობთ არა ღრამატიკით, არამედ ლაპარაკით. „ანტონის წინაპართ ღრამატიკა არა ჰქონით, მაგრამ ღრამატიკის არქონით შეიძლება ვსთქვათ, რომ ენა არა ჰქონიათ?“. აი, ესა პქონდა პასუხად უ. ბაქრაძეს, როდესაც სთქვა, რომ ღრამატიკის შედგენა საზოგადოებისთვისაც უნაყოფოა და შემდგენისთვისაც, უ. ყიფიანის შეცდომია ის არის, რომ ღრამატიკით უნდა ვააროგოს საქმე“. შიგადაშიგ, დიმი. ბაქრაძეს კიდევ ავიწყდება, ან უფრო სწორად, ამას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს, რომ ფსევდო-

ნებით გამოდის, და პირდაპირ, როგორც დიმიტრი ბაქრაძე, იცავს თავს დაე. ყიფიანისაგან, როგორც დიმიტრი ბაქრაძე აშკარად უპირისპირდება მოპავერებს, პირველ პირში განმარტავს თავის გაკარტიკებულ შეხედულებებს; „ეინ შობადინა ამგვარი ენის ცვლილება? უ. ყიფიანის აზრით — ღრამმატიკოსებმა, ჩემი აზრით კი, პროზის მწერლებმა და პოეტებმა; „ამით როლი მინდა ვთქვა, რომ კარგი ღრამმატიკის ქონება უსარგებლოა, მე ვამბობ (ე. ი. ვამბობდი. ა. კ.), რომ ღრამმატიკის მცოდნე მშვიდლება ენა არ იცოდეს, ენის კარგად მცოდნე მშვიდლება ღრამმატიკა სულაც არ იცოდეს... ქართული ენის სასწავლებლად ღრამმატიკა მაგარე რიგ შემწევნას არ მოგვეცემს და ამისათვის არც ძალიან საჭიროა. აი, ესაქმონდა პაზრაძე უ. ბაქრაძეს, როცა სთქვა, რომ ღრამმატიკის შედგენა საზოგადოებობისთვისაც უნაყოფოა და შემდგენისთვისაც... უ. ბაქრაძემ თავისი აქ მოტიანი პაზრი გამოსთქვა სამი წლის წინ“ (ხაზი ჩვენია ა. კ.).

დღი. ბაქრაძე სულ უფრო აღრმავებს თავის აზრს: „ნუ შევედგებით სიტყვების თამაშობას და ვსთქვათ ორიოდ სიტყვა კიდევ ღრამმატიკის ფუკობაზე“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

„ულოლიოს“ წერილის სიტყვა-სიტყვა არის განმარტებული ავრთვე დიმიტრი ბაქრაძის 1860 წლის წერილის მტკიცება, რომ: „სახარებისა ან დაბადების ენა ჩვენი ენა არ არის“.

დ. ბაქრაძეს, იგივე „ულოლიოს“, სულ უფრო და უფრო ემსწავა შეურაცხყოფა, აღმწოთება და სულ უფრო და უფრო ამხელს თავის ენაობას „ამ დროს უ. ყიფიანი, ისევე თვალუდაბრიალებული, ხელს დამიქნევს და მტყუვს „სუს! სუს! შე ულოლიოვო!“ გესმის: „სუს, სუსო“ მიხედვით თლ არა ვადაშაღოთ უ. ყიფიანის (სტატიის), 89-ე გვერდს და ზევიდან მეთორმეტე სტრიქონი წაიკითხეთ და ცოტათი შეიგნებთ“. ... „ბატონო ყიფიანი, „სუსი“ რას ჰქვინ? ერთი აღვივსენით, „სუსი“ საღატოა? „სუსი“ რა არის? „სუსი“ ვინ არის? აბა, ერთი კარგად ჩაუფიქრო. „სუსი“ რა არის! ფიქრბახები და პრედლონები „სუსს“ ჭადავებენ“.

წერილის დასასრულს „ულოლიო“ — დიმიტრი ბაქრაძე — ზოდის იხდის შიოთხელის წინაშე ასეთი ცხარე, სასტიკი ტონისათვის დასძენს, — რა გქნა, მან უარესად გამაწყდა და უბასუხოდ ხომ ვერ დავტოვებდით: „ახლა, დამშვიდობების დროს, ვიტყვი, ამ სტატიის ენა იქნება ცოტათი

ცხარე გამოჩნდეს. მაგარამ... თუ ვინმემ ჩემი სტატიაში უნდა მტკიცებდეს, შეუდარა უფ. ყიფიანის სიტყვებისას, მათ შორის მსგავსებას ვერ იპოვის. ესეც უნდა ითქვას, რომ მე უ. ყიფიანს ველაპარაკები და იხსენებებს ჩემს ყადრს“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ამ ვრცელ წერილში, სადაც საფუძვლიანად არის განხილული ელასიკური და თანამედროვე ლიტერატურის, ისტორიის კარდინალური საკითხები, „ულოლიო“ ისეთ ისტორიულ-ფილოლოგიურ ცოდნას ამგვარებს, რომელიც „ცისკრის“ თანამშრომელთაგან (და არა მართო მათ შორის) მხოლოდ დიმიტრი ბაქრაძეს გააჩნდა: „ულოლიოს“ ავრაცხები არაბული მოაქვს ბერძნული, სპარსული, არაბული, თათრული, სომხური, ფრანგული, გერმანული, ძველი სლავური, ისეთი ისტორიულ-ლიტერატურული პირველწყაროებიდან და ენებიდან.

პირველ (1860 წ.) წერილში პალიტერატურო ენის ნიშნუბად დასაბუთებულ ალ. ქავთავაძის, გრ. ორბელიანის, ნიკ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის, დიმიტრი ყიფიანის ნაწარმოებებს, ამ სტატიის „ულოლიო“ — დიმიტრი ბაქრაძე — ილია ქავთავაძეს უმატებს (ჩვენ გვაქვს მშვენიერი მდამბური, ხალხური ენა, რომელსაც „მშვენიერად ხმარობს პროზის მწერალი ჯომშერიძე“ (ი. ქავთავაძე). მოპავერის საყურადღებოდ ის ამბობს. უ. ყიფიანი თავს ძლიერ ნუ შეიწყუბებს ენაზე წერითო, ხოლო თუ სიყუთე უნდა ქართული ენისა, ჯომშერიძე (ილია ქავთავაძე) წააქეზოს, მან დავეწეროს რაზე.

გაუგებარია, რატომ თვლის პროფ. ჯემ. ტემბერიძე „ულოლიოს“ ისეთ ენობრივ შეხედულებებს „ლიტერატურთა ძველი თაობის შეხედულებებად“, რაც, თითქოს, დამატრალურად ეწინააღმდეგება დიმიტრი ბაქრაძის 1906 წ. „ენობრივ პრინციპებს“?! პირიქით, ეს შეხედულებები, როგორც ვნახეთ, დ. ბაქრაძის 1860 წ. წერილის დებულებათა ზუსტი განმარტება.

ამ წერილის ავტორი, ქართულ ეფრნალის ტიკაში პირველად, ჰეპით იხსენიებს „სოურემენიკს“, დამბოლიტოვის, ჩერნიშევსის, ფოიერბასის, პრედლოს და წარმოსადგენია, რომ ეს ალ. ორბელიანი იყოს? არა. ჯომშერიძე, სწორედ ამ წერილის რადიკალიზმში შეიყვანა შეცდომაში, ამიტომ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ჯემ. ტემბერიძის ვარაუდი. თითქოს, შესაძლებელია, „ულოლიო“ ალ. ორბელიანის ფსევდონიმი იყოს. სტილზე რომ არაფერა ვთქვათ, ვანა, თვით ალ. ორბელიანსა და დიმიტრი ბაქრაძეს შორის 1860 წელს სწორედ გრამატიკის საკითხებზე არ წარმოიშვა მწვავე მოსაზრება?! განა ახლა, როცა ამ საკითხში მხარ-

დამკვირ აზრია, ალ. ორბელიანი საკუთარი შეხედულების წინააღმდეგ ვიღაცაშერბდა? ესეც არ იყოს, ვასაკერია, როგორ გამოჩანს ქ. ჭემბურიძეს მხედველობიდან, რომ „ულოლიკოს“, თავის ახალ მოპაექრე დავ. ყიფიანთან ერთად, თავისი ძველი მოპაექრე ალ. ორბელიანიც მკაცრ ვაკრიტიკებული. ის წერს: „როგორც დავ. ყიფიანი, ისე ალ. ორბელიანი შეეცდნენ, რადგანაც ღრამატიკის მეტი წამალი ვერ იპოვეს... როგორც ალ. ორბელიანი ამას თავის თავზე დასწერდა? თან, უნდა დავსანიოთ, რომ 1862-63 წლებში ალ. ორბელიანი ვაძვეებული იყო „ციხრიდან“ და, რედაქტორთან შწევვე განხეთქილების გამო, ამ ეტრნაღში არაფერი გამოქვეყნებია, საკუთარი ეტრნაღის — „მასხარას“ დაარსების ამირებდა. 1864 წელს ალ. ორბელიანი კვლავ დაუბრუნდა „ციხრას“ და, დავ. ყიფიანის გამოკვლევა, რომელშიც თვითონაც იყო ვაკრიტიკებული, არც მას გაუშვია უპასუხოვდ, თავისი საკუთარი პოზიციის შესაბამისად შეედგა დავ. ყიფიანი.

ალ. ორბელიანის პირველი წერილი დავ. ყიფიანის წინააღმდეგ — „ჩვენი ნაყარქეჩები“, „მყვიარა ჭართლელს“ ფსევდონიმით, „ციხრის“ 1864 წ. იანვრის ნომერში დაბეჭდა, ხოლო მეორე წერილი — „ზოგიერთი შემცრევა“, სახელისა და ვერაის ხელმოწერით, 1865 წლის აგვისტოს ნომერში. ორივე წერილში ალ. ორბელიანი, სხვათა შორის, დაბეჭდვებით იკავს ახალთაობის მიერ ორთოგრაფიიდან ვანდენდერ ასოებს (გარდა უ-ის). „ულოლიკოს“ კი ამ საკითში საკმარის ეთანხმება ილია ჭავჭავაძეს („ამ ასოების უსარგებლობა და უქმობა ცხადი იყო... ერთი მკლავმავარი კაცი იყო სპირიო, წაველო ხელი ამ ასოებისათვის, მკლავმავარიც (ი. ჭავჭავაძე) ზოლოს გამოიწნა“).

მეგრამ ენის კლასიფიკაციის „სამშულო ენის“ საკითხში, დავ. ყიფიანმა ალ. ორბელიანი და დიმიტ. ბაქრაძე ერთად ვაკრიტიკა როგორც არსებითად, თანაზოზრენი, და, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ალ. ორბელიანი, აღმოთებულად დავ. ყიფიანს „უზრდელი“ ტონით, თანავრნობას უცხადებს დიმიტ. ბაქრაძეს და წერს: „უდავ. ყიფიანის გრამატიკის“ მასალები“ საქართველოს ბანს უკან და კარს უკან“

წერილში — „ზოგიერთი შემცრევა“, ალ. ორბელიანი აღნიშნავს: „დავით ყიფიანი ამბობს ორს რასმე ჩემზედ: თ. ალ. ორბელიანი დაარწმუნა დ. ბაქრაძემ ღრამატიკა სისარგებლო არ არისო, და შემდგომად ამბობს კართულის ელნობისა“ (იველისხმება: ალ. ორბელიანის 1860 წ. წერილი. ა. კ.) — ეს ლამარაკათ არა ღირსო“. დავ. ყიფიანი ცილისა შწამებს, თითქოს, მე დავეთანხმე, დ. ბაქრაძეს, რომ გრამატიკა სავირო არ არის. ამაში ალ. ორბელიანი

ღიანი მართალია; 1860 წ. „ციხრის“ მე-9 ნომერიში მან, მართლაც, ვამოაქვეყნა „სამშულო დიმიტ. ბაქრაძესთან, რომელიც მის ორბელიანის შეხედულებას გრამატიკის უსარგებლობაზე. მეგრამ ალ. ორბელიანსა და დიმიტ. ბაქრაძეს საერთო თვალსაზრისი ჰქონდათ „სამშულოს უსარგებლობაზე“, რომელიც დავ. ყიფიანმა ვაკრიტიკა, როგორც დიმიტ. ბაქრაძის თვალსაზრისი. რაღაცემა უნდა, ამ საკითხში ალ. ორბელიანი ვენერვეულად ექომოაგება დიმიტ. ბაქრაძეს.

ალ. ორბელიანის წერილები დათარიღებულია 1863 წ. ივლის-აგვისტოთი ე. ი. დაწერილია ზუსტად იმ დროს, როცა „ულოლიკოს“ (დ. ბაქრაძის) წერილი დაიწერა. ასე რომ, მათ ერთდროულად გაუციათ პასუხი დავ. ყიფიანისათვის. სქოლიოში ავტორი შენიშნავს — „ეს სტატია წამრჩა დაუბეჭდავიო“, მეგრამ ალ. ორბელიანის გამოქვეყნებული ხელნაწერებიდან: „დართულს დართული“ და „საქართველოს ეტრნაღის“ „ციხრის“ რედაქტორი კრესედილი და მე-1 — ვიცით რომ 1863 წელს ი. კერესელიც ყოველგვარ ნაწერს უკან უბრუნებდა ალ. ორბელიანს.

ეს კიდევ არაფერი წერილში — „ზოგიერთი შემცრევა“, ალ. ორბელიანი აშკარად წერს, რომ დიმიტ. ბაქრაძემ ღირსეული პასუხი გასცა „ციხრის“ დავით ყიფიანს. რადგან 1863 წელს დიმიტ. ბაქრაძეს „ციხრის“ში, ვერადა „ულოლიკოს“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული სტატიისა, სრულდებით არა დაუბეჭდავს რა, უდავოა, რომ აქ „ულოლიკოს“ წერილი იფლენსმემა. მეგრამ უშეზღუდესა მოვესმინით ალ. ორბელიანს: „პირმოთხეობაში წე მომამეშებით ამას: მართლად უცხოვ ზრდილობიანი კრიტიკა დიმიტ. ბაქრაძისა. ეინც რა უნდა თქვას, — ამისთან, აუტყარებელი, სასიამოვნო და დაუფერებელი“. მართალია, დიმიტ. ბაქრაძემაც ცხარე-ცხარე სტკუეები მოახსენა. მეგრამ: „ნურა ეინც ვაყარებებთან, კრიტიკა სწორედ ისე უნდა: მოქმელსა ვამგონე უნდაო: თორემ ხერა და ოლოლო რა კრიტიკა?“²

დავ. ყიფიანისადმი დიმიტ. ბაქრაძის რომელ პასუხზე შეიძლება აქ ლამარაკა იყოს, — სადაც „ხეტისა“, „ოლოლისა“ და „სუსის“ გამო, დიმიტ. ბაქრაძემ ღირსეული სამაგიერო მიუზღო დავ. ყიფიანს, თუ არა „ულოლიკოს“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიანზე?

იმავდ 1863 წელს დავ. ყიფიანის აღნიშნული გამოკვლევა არც ანტ. ფერცელანტის დუბროვიჩა უპასუხოვდ. ისიც, თავის მხრივ, „ციხრის“ მე-7 ნომერში მკაცრად დაესხა თავს დავ. ყიფიანს და გამოქვეყნა დიმიტ. ბაქრაძეს, თუმცა, როგორც ჩანს, გრამატიკის უსარგებლობაზე მის

1 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ალ. ორბელიანის ფონდი (ყოფ. „S“—1641).
 2 „ციხრის“, 1865 წ., № 8.

შეხედულებას არ იზიარებდა: „წიკითხვით იმისი (დვ. ყიფიანის) გრამატიკაზედ ლაპარაკი, — წერდა ანტ. ფურცელაძე. — რა სიამოვნებით ამბობს დავით ყიფიანი: „ოღოლო, ბაქრაძე!“... როგორც გეასოვს, უფ. ბაქრაძე ამას ამბობდა თავის სტატიაში შესახებ გრამატიკისა და დავით ყიფიანისა არ ინება ამის ვაგება.“¹

გამოუქვეყნებელ პოლემიკურ წერილებში, სადაც ანტ. ფურცელაძე „ულოლიკოს“ ფსევდონიმის თაობაზე არჩ. ჯორჯაძისაგან განმარტებას მოითხოვს, ამასთან დაკავშირებით, იგი მუდამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 1863 წელს „ციცკარის“ წამყვანი თანამშრომელი იყო დიმ. ბაქრაძე. „რად სდევნიდნენ საქართველოს მოამბეში“ დიმ. ბაქრაძეს? — მიმართავს არჩ. ჯორჯაძეს. — ამას ახრიც ძველი აქესო, თვითონაც ძველიაო, წერაც ძველი აქესო და სხვა?“... „ციცკარის“ კარი გაუღო ისეთი მწერლებს, როგორიცაა: ... ავ. წერეთელი, დიმიტრი ბაქრაძე, ვრ. ორბელიანი...“ და კიდევ: „აბლა მიჩვენეთ, რომელი იყო ჩემი „ციცკარის“ თანამშრომლობის დროს ძველის მქადაგებელი: ავარი? დ. ბაქრაძე?“ ვასოდ მაჩვენეთ, მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი“² ყველა აქ ჩამოთვლილი პირის 1863 წელს „ციცკარის“, მართლაც, გამოქვეყნებული აქვს ერთი ან რამდენიმე ნაწარმოები, ხოლო ეიმეორაბთ, დიმ. ბაქრაძეს, გარდა „ულოლიკოს“ ფსევდონიმით დაბეჭდილი სტატიისა, „ციცკარის“ სხვა არაფერი დაუბეჭდვას არც 1863 წელს და აღარც მას შემდეგ.

ვფიქრობთ, მცირე ეპიკის საფუძველიც აღარ არსებობს ამის საწინააღმდეგოდ, რომ „ულოლიკოს“ დიმ. ბაქრაძის ფსევდონიმი.

იოლად შესამჩნევია ლ. ფსულიძის ჭარბი ლიტერატურული ყრიტების ქრესთოლოგიაში შეტანილი „ბიძია დონიკეს“ კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული წერილი „სადლეგრძლო“, რომელიც 1871 წელს „ციცკარის“ მე-2 ნომერში დაიბეჭდა. მართალია, სათაურსა და სარჩევში ეს ფსევდონიმი გუშინფარდა აღატოხებელი, მაგრამ, ზოლოს, წერის ბელს აწერს „ბიძია დონიკე“, ხოლო პირთა საძიებულში ნათქვამია: „ბიძია დონიკე, იმ. არდაზიანი ლავრენტი“.⁴ ჭარბული ეყრნალ-გაზებების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაშიც „ბიძია დონიკე“ გაიკვირებულია „ბიძია დონიკესთან“ და ლავრ. არდაზიანის ფსევდონიმად არის გამოცხადებული.

ამიტომ, ვასაკვირი არ არის, რომ მკვლევარები აღნიშნულ წერილს ამოწმებენ ვრ. ორბე-

ლიანის შემოქმედებაზე ლავრ. არდაზიანის თვალსაზრისის დასაბამად. ლავრ. არდაზიანის ავტორობა კრიტიკულად გამოიყენებოდა.

ყვერ ერთი, დადგენილია, რომ 1863 წლის ივლისიდან, მტკიცე გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელსაც სერიოზული ლიტერატურულ-მორალური მიზეზი ჰქონდა, ლავრ. არდაზიანი სამუდამოდ ჩამოშორდა მწერლობას და არსად არც ერთი სტრაქონი აღარ დაუბეჭდავს (მიზეზი ახსნილია ფელეტონში — მწაჩაძის ნაშრომი³). ნეკროლოგში, რომელიც „დროებას“ და „მნათობში“ გამოქვეყნდა, სავანგუბოდა მოითთებოდა: „1863 წლის შემდეგ... ლავრ. არდაზიანს აღარ დაუწერია რა“. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი საბუთი ის არის, რომ, როცა „ციცკარის“ ფურცელზე „ბიძია დონიკეს“ ფსევდონიმი გაჩნდა, ლავრ. არდაზიანი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო.

„ბიძია დონიკეს“ ფსევდონიმით ცნობილი წერილები: 1. თეატრალური რეცენზია — „შრის დაბნელების“ წარმოდგენა და 2. „სადლეგრძლო“, დაბეჭდილია ეყრნალის 1871 წ. იანვრისა და თებერვლის ნომერებში, ხოლო ლავრ. არდაზიანი გარდაიცვალა 1869 წ. 19 დეკემბერს (1870 წ. 1 იანვარს). მაგრამ, ხომ შეიძლება დაეუფვათ, რომ ლავრ. არდაზიანს დაუბეჭდავი დარჩა ეს წერილები და მისი გარდაცვალების შემდეგ გამოაქვეყნა რედაქციამ? არა, ეს შესაძლებლობაც აბსოლუტურად გამორიცხდება. „შრის დაბნელების“ წარმოდგენა, რომელსაც „ბიძია დონიკე“ თავის რეცენზიაში განიხილავს, 1870 წლის 28 დეკემბერს, მაშასადამე, ლავრ. არდაზიანის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ გამართდა. „ციცკარის“ დაბეჭდილი რეცენზიაც ასე არის დათარიღებული: „1870 წლის 28 დეკემბერსა, ქ. ტფილისს“.

„ბიძია დონიკეს“ მეორე წერილში — „სადლეგრძლო“, განხილულია ვრ. ორბელიანის პოემის 1871 წლის გამოცემა, რომელიც ცენზურის მიერ ეიხივებულა 1871 წ. იანვარში, ლავრ. არდაზიანის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ. მისი გამოცემა გადაუწყვეტაო 1870 წლის შემოდგომაზე, ასე რომ, ლავრ. არდაზიანს არაფერი არ შეიძლებოდა სეოდნოდა მის შესახებ. პოემა დაბეჭდილია მარტბრონიანის სტამბაში, რომელიც ლავრ. არდაზიანის სიკიცხლში არ არსებობდა. „სადლეგრძლო“ წიგნის ზაზარზე გამოსულა 1871 წლის თებერვალში და „ბიძია დონიკეს“ ეს რეცენზიაც დათარიღებულია: „1871 წელსა, თებერვლის 25-სა ქ. ტფილისს“.

ესთივე ეპიკული საბუთებით მტკიცდება, რომ „ბიძია დონიკე“ თვითონ რედაქტორის, ივ. კერესელიანის ფსევდონიმი.

¹ „ციცკარი“, 1963 წ. № 7.

² გ. ლიონიძის საბულობის საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, №№ 5914-5-6.

³ ჭარბული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის. ქრესტოლოგია, 11, 1956 წ., გვ. 114-120.

⁴ იქვე, გვ. 555.

¹ „ციცკარი“, 1867 წ., № 5.

უწინარეს ყოვლისა: 1871 წელს რედაქტორს დამხმარე თითქმის აღარავინ ჰყავდა, მიუღწეოდა საკუთარი ნაწერები ავსებდა და ასლახალი ფსევდონიმებით აქვეყნებდა. ეს გარემოება საზოგადოებასაც კარგად მოეხსენებოდა და ბიძია დონიკეს ფსევდონიმსაც, ასე ვთქვათ, ფორმალური ხასიათი ჰქონდა, რადგან ავტორი სრულებით არ ცდლობდა თავისი ვინაობის დაფარვას. „ბიძია დონიკეს“ პირველი წერილი, — რეცენზია „მზის დაბნელების“ წარმოდგენაზე, სხვა არა არის რა, თუ არა თვითონ იგი. კერესელიძის სიტყვა, რომელიც წარმოდგენის აღნიშნავდა გამართულ ბანკეტზე წარმოუთქვამს. მაღიან მოკლე შესავლის შემდეგ. „ბიძია დონიკეს“ წერს: „შუა ვახუშტის დროს, როდესაც ჭერ სადღეგრძელო არავისი არ დაღუღულყო, წამოიღო „ციცის“ რედაქტორი, კერესელიძე და ამ კომედიის შესახებ სიტყვარამდენიმე სიტყვა: აი, რა თქვა... ამას მოჰყვებოდა ი. კერესელიძის სიტყვა, რომელიც „ბიძია დონიკეს“ წერილის სამ მეოთხედს შეადგენს. ამ ავტორი ლამარაკობს, რომ ზ. ანტონოვი მისი პირადი მეგობარი იყო, ლამარაკობს გ. ერისთავის თეატრში მისთან ერთად მუშაობაზე, ლამარაკობს იმას, რისი თქმაც მხოლოდ ი. კერესელიძეს შეეძლო, როგორც გ. ერისთავის თანამშემწეს ქართულ თეატრში და ქართული თეატრის მეთაურს გ. ერისთავის შემდეგ: „ქიდვეაც განვიმეორებთ, რომ ასე ჩინებულად ჭერ არ წარმოიხდებოდა ქართული პიესა დაფუძნებითან აქამომდინ. ჩვენ ამას გაბედვით ვამბობთ, იმი-სათვის, რომ... მრავალჯერ გამგებელიც ყოფილა ამ სტატიის დამწერი ქართულის წარმოდგენისა“.

აქვე, არ ფარავს რა თავის ენაობას, როგორც „ციცის“ რედაქტორი, ავტორი მკითხველს ჰპირდება: „მითა და სხვათა კეთილშობილურ მოქმედებაზედ ჩვენ თავის დროზედ მოველაპარაკებთ ჩვენის „ციცის“ მკითხველებს“.

თითქმის ასევე დაფარავდა ჩანს ავტორის ენაობა „ბიძია დონიკეს“ მეორე წერილში — რეცენზიაში გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოზე“. ეს პოემა 1871 წელს ი. კერესელიძემ მოასწავდა და გამოსცა საკუთარი ინიციატივით, რაც ყალბდაც აწერია და რეცენზიის სათაურშიცა მითითებული, ზოლო, სანამ წიგნი ვასასუიდად გამოვიდოდა გამოცემულს რეცენზიაც დაეწერია.

ამ პერიოდში გრ. ორბელიანი „ციცის“ ერთად ერთი ერთგული თანამშრომელი იყო და „ბიძია დონიკეს“ რეცენზიაც მიზნად ისახავს მის ყოველმხრივ განდიდებას, „სადღეგრძელოს“ ავტორს ნ. ბარათაშვილზე მადლა აყენებს და, შეფარვით, ეკამათება, კიდევ მის მოწინააღმდეგეებს. ჩვენს სასიყაღდლო პოეტს გრ. ორბელიანს ამ სუსტი სტატიის დამწერი

დაახლოებით იცნობს, რომელსაც უპირველეს ბედნიერებად სხავს თავის სიტყვებში: ეს ლექსად წარმოთქმული მარტოდასახარებელი გრანობა, სრულებით ეთანხმება იმის შინაგანს გულისთვისებას, — წერს ავტორი, — და, მართალი, გრ. ორბელიანსა და ი. კერესელიძეს საერთოდ და, განსაკუთრებით, ამ წლებში, დიდი შეგობარობა აკავშირებდა. გრ. ორბელიანი იყო ი. კერესელიძის ასულის — სოფიის ნათალია! რედაქტორის მატერიალური მხარდაჭერი და მორჩეული, „ციცის“ მუდმივი თანამშრომელი, პოეზიის განყოფილების გამგე. ბიძია დონიკეს“ წერილის დედაზრი მკაფიოდ არის გამოხატული ი. კერესელიძის ლექსში „თავადს გრიგოლ ორბელიანსა“.

ინდივიდუალური ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები და დამტკიცებული გამოთქმები („საუკაფიეთად გამოიტანდა ხალხს ცხოვრებადან“; „იმ სტატიის დამწერი“; „ისე გრანობა ვაიყებული ქართველი“; „განვიმეორო დისტალული“; „გაბედვით შეგვილიან ვთქვათ“ და ა.შ.), რომლებიც „ბიძია დონიკეს“ ორივე წერილში გვხვდება, უპირველს ხდის, რომ მათი ავტორი ი. კერესელიძეა.

ლიტერატურული მისტიფიკაცია

რამდენი წიგნი დამწერია ლიტერატურული მისტიფიკაციის საოცრებებზე, ლიტერატურული თაღლითობის რამდენი საკვირველი შემთხვევა აღუწერიათ მცდელობებსა და ბიბლიოფილეს ბევარი „უცნობი გენიოსი“ აღმოჩენილია ფალსიფიკატორებს, რომელთა მკვიფარად, თვითონვე შეუთხზავთ და გამოუცხათ. „უცნობი შედეგები“. ყალბისმწმენლეებს არც სახელმოხვეწილი მწერლები დაუდნდით. არა ერთხელ გაუბედნიერებიათ საზოგადოება ვალტერ სკოტის, ბალზაკის, რედელფის, პუშკინისა და სხვა მადლობისა შემოქმედთა „ახალ აღმოჩენილი“ რომანებითა და პოემებით. ზოგი მატერიალური გამორჩენის მიზნით სხადიოდა ასეთ სიყალბეს, ზოგს შერი ან ფულიარებლობით შეღებულ პოეტოვყარობა ამოჭრებოდა. უნდა ითქვას, რომ მთლად ამაოდ არ გარჯილან, — მრავალი უგემოვნო, სენსაციის მოყვარე მკითხველი წამოგებია მათ აწყესს და ზოგიერთ ნაყალბებს ხანგრძლივი სიცოცხლედ მოუპოვებია, სერიოზული კამათის საგანიც კი გამტარა.

მისტიფიკატორი ჩვეულებრივ, ხელმოკარული მწერალია, ხოლო ხელმოკარულ მწერალს არ შეუძლია ირწმუნოს თანამედროვის გენიოსობა. იგი გრაფომანია და თავის თავი არც ერთ თანამედროვე გენიოსზე ნაკლებად არ შეიძინა. საზოგადოებას, ხალხს, რომელმაც

1 გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, № 17471-6.
2 „დროება“, 1883 წ., № 65.

მისი თანამედროვის გენოსობა აღიარა, ის კი არაფრად წააგლო, უსამართლოდ, უმეცრად თვლის და ცდილობს შერიბოს, მიეკრძალოს და არაუმკნეტენტრობაში დაიჭიროს. ლიტერატურული მისტიფიკაციის ასეთი შემთხვევა ჩვენს მწერლობაშიც გვხვდება.

1858 წლიდან, როცა ივ. კერესელიძის „ციცქარმა“ პირველად დაიწყო ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებების სისტემატური ბეჭდვა და ხუთი წლის განმავლობაში ოცდაერთი ლექსი და პოემა „ბუდი ქართლისა“ გამოაქვეყნა, პოეტმა ერთბაშად მოიხვეჭა საყოველთაო აღიარება და საყვარელი, აღტაცებული საზოგადოება მოულოდნელად მოულოდნელად მის ახალწამოებებს და დიდ დახმარებას უწევდა რედაქციის ხელნაწერების ძებნაში, როგორც ჩანს, ეს საყოველთაო აღფრთოვანება არ გაუზიარებიათ მხოლოდ „ციცქარს“ უნიკო „პოიტეკოსებს“, ნიკ. ბარათაშვილის თანამედროვე „დიდ კაცებს“, რომლებიც თავიანთ თავს სწორტოვარ მგოსნებად თვლიდნენ და სრულებით არ აპირებდნენ ახალგაზრდული გენიოსის წინაშე ფარხმალის დაყრას. ნიშანდობლივია, რომ არც ერთ მათგანს სიტყვა არ დასცდენია ნიკ. ბარათაშვილის სილიაღვზე, ერთმანეთს კი გველისამრავი პანეგირიკებით ამკობდნენ „ციცქარში“ ათობით ლექსი მოუძღვნეს ბარ. ჭორჭაძეს, დიმიტრივეს, კოლიბდელს, რევაზ ერისთავს, ივ. კერესელიძეს, ეკატ. ერისთავს, ზოლო ნიკ. ბარათაშვილისათვის იმ დროის არც ერთ კალმოსანს არაფერი არ მოუძღვნია. ემიგრანტია აზრით, საზოგადოება ფეხის ხმას იყო აყოლილი, თორემ, იოლად მიხვდებოდა, რომ ნიკ. ბარათაშვილისთან ლექსებს სხვებზე წერდნენ ამის დასამტკიცებლად, ერთ-ერთ მათგანს უხამსო ლიტერატურული მისტიფიკაციისათვის მიუშართავს — თავისი საკუთარი ლექსი ნიკ. ბარათაშვილის ლექსების გვერდით, ნიკ. ბარათაშვილისავე ინიციალებით დაბეჭდვინებია და სხვა საშუალებითაც ცდილა, რომ შეითხველოს მისი ნიკოლეილარი გენიალური პოეტის მარგალიტებში „შეშლოდა“.

„თ. ნ. ბ.“ს ხელმოწერით „ციცქარს“ 1862 წლის თებერვლის ნომერში დაბეჭდილი ეს მხატვრულად უხესტერი მიძღვნა — კ. დ. ჩ., დღეს სწორედ იმით იპყრობს ყურადღებას, რომ მოთავსებულია ნიკ. ბარათაშვილის ლექსის „ნაბოლენის“ ზემოთ და აწყობილია ძალიან მსხვილი, საზივიო შრიფტით. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს „პოიტეკური“ ნაგარჟიშვიეი პოეზიის მოყვარულთ ნიკ. ბარათაშვილის ლექსებში შეშლოდათ და, მართლაც, ლექსი კ. დ. ჩ.“ ნიკ. ბარათაშვილის თხზულებათა არც ერთ ადრინდელ გამოცემაში არ შეუტანიათ.

მაგარამ, ლიტერატურული მისტიფიკაცია იშვიათად რჩება მიღად უცვალოდ. თითქმის

საუკუნის შემდეგ, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, ხელთებულმა ქ. დ. ჩ. (ქ. დ. ჩ. თემანიშვილმა) მისტიფიკატორის ეს სამარცხინა ნიკოლეილარი ნიკ. ბარათაშვილის ლექსად გამოაცხადა. „ბარათაშვილის ერთი ნიშანდობლივია, — წერდა ის, — ... რომელიც მიძღვნილია კ. დ. ჩ. (არა) ნ. (ლოლაშვილისადმი) (ლექსი პირველად მოთავსებულია „ციცქარის“ 1862 წ. თებერვლის ნომერში... და ხელმოწერილია ასე: „თ. ნ. ბ.“ და აწყობილია: „მთიებში...“ ძალიან ახლოსაა შინაარსით „ასტრასთან“ თუ იგივე „ასტრა“ არ არის!.

1939 წელს ეს „ასტრად“ მიხნეული ლექსი ნიკ. ბარათაშვილის თხზულებათა კრებულშიც მოათავსეს.

უფრო ადრე, ასეთივე აზრი გამოთქვა მკვლევარმა ი. ბალახაშვილმა, რომელმაც ამ უკანისკენდაც ცხადა თავისი მოსაზრების დასაბუთება.

რადღაც მოწონება-არმოწონება მეცნიერულ საბუთად არ გამოდგება. ფალსიფიკაციის მხილებისათვის იძულებული ვართ, ფაქტების საფუძველზე ვიშჯულოთ და ზოგიერთ გარემოებზე ყურადღება გავამახვილოთ.

„გატრუსავს კი არ აქიმობს“. — „გატრუსავს, შეტრუსავს, შეტრუსავს კი არ აქიმობს“.

„შესტრტავს, შესტრტავს კი არ აქიმობს“.

„შეიყიდის, შეიყიდის, შეიყიდის“.

„დაეზმანება კი არ აქიმობს“.

„გააიოლებს // გააიოლებს“.

„დახეუტავს კი არ აქიმობს“.

„გამოველინებს კი არ აქიმობს“.

„დაისიძევეს კი არ აქიმობს“.

„იშოვის კი არ აქიმობს“.

„(ბლინება // ბლინება“.

„ჩეილი // ჩეილი“.

8. ვინც ქართულად სწორად წერს ამა თუ იმ სიტყვას (ქართულს თუ არაქართულს), ის მას ასევე სწორად ამბობს და, პირიქით, თუ

სიტყვას სწორად ამბობენ, მას დაწერილიც სწორად დაწერენ (ცალკეულ სიტყვებს სწორად დაწერა კიდევ არ ნიშნავს უწყვეტად გასაგებად, გამართულად, სწორად წერას: სიტყვების სწორად დაწერასთან ერთად საჭიროა მათი სწორად შერჩევა და წინადადებაში თავის ადგილას ხმარება, სიტყვების შეთანხმების წესების დაცვა, წინადადების სწორად აგება, სასვენი ნიშნების თავის ადგილას დასმლა). არის შემთხვევები, როცა სიტყვებს ყველა ერთნაირად ამბობს (ვეფლისხობს ერთად წარმოთქმულ ორ ან სამ სიტყვას), მაგრამ ბევრი სხვადასხვანაირად (ცალ-ცალკე, ერთად, დღესით) წერს (გულის ტყვილი — გულისტყვილი, ფეხმოტეხილი — ფეხმოტეხილი, „ვეფხისტყაოსანი“ — „ვეფხის ტყაოსანი“ — „ვეფხის-ტყაოსანი“, ორადორი — ორად-ორი — ორად ორი, თავზე ხელადებული — თავზე ხელადებული — თავზეხელადებული, წითელ მუდგადაფარებული — წითელ მუდგადაფარებული — წითელ მუდგადაფარებული...), „როგორცაა“ ლექსიკონში“ ზოგჯერ ერთი და იგივე (ან ერთმანეთის შესავსი) სიტყვები ხან ერთ სიტყვად არის ჩათვლილი და ერთად წერია, ხან ორ სიტყვად არის მიჩნეული და ცალ-ცალკეა წარმოდგენილი:

„აქადურეს (უადურეს-თან) — არა უადურესი, არაადურეს — არა უმეტეს, ერთადერთი — ორად ორი, წრესგადასული — ზომას გადასული, სულისდგმა — სულის ხუთვა, სულისამდგმელი — სულის შეზღუთვა (ეს ორი სიტყვა რატომღაც ფრჩხილებშია ჩასმული, სხვა ადგილას არის „სულშეზღუთვა, სულშეზღუთველი“), მაქსიკემა — გულის ცემა, გულისტყვა — გულის არევა, გულისტყვილი — გულის წუხილი, გულისტყვილი — თავის ტყვილი...“

ლექსიკონში არის როგორც „ბიძაშვილი“, ისე „ბიძაშვილი“. „ბიძაშვილი“ რაც არის, ყველამ იცის, მაგრამ აქამდე არაფერი იცოდა, რომ დეფინიციით დაწერილ ამ სიტყვას „სხვა“ მნიშვნელობა „ქონია“: „ბიძა-შვილი (= ბიძა და შვილი)“. ბიძაშვილი ბიძას შვილია (ბიძის შვილია) ისევე, როგორც მამიდაშვილი მამიდის შვილია და დედაშვილი — დედის შვილი (თუ „ბიძა-შვილი“, „ბიძა და შვილია“, დეფინიციით დაწერილი „მამიდა-შვილი“ „მამიდა და შვილი“ იქნება და „დედა-შვილი“ — „დედა და შვილი“). „ბიძაშვილიც“, „მამიდაშვილიც“ და „დედაშვილიც“ უდეფინიციო იწერება და, თუ ამ სიტყვებს ვინმე დეფინიციით დაწერს, ამით მათი მნიშვნელობა არ შეიცვლება: სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა ბგერის (ასოს) მიმატება-ჩამატებას, დაკლებას ან შეცვლას (ზოგჯერ აგრეთვე მახვილს) შეუძლია და არა დეფინიციის, რომელიც გრაფიკული ნიშანია (ლაპარაკისას მას სიტყვაში ვერაფერი „ჩაუმჯობესებს“) და სიტყ-

ვის დაყოფისას ან გადატანისს და სიტყვების შეერთებისას იხმარება.

ორი სიტყვის შეერთებით არის მიღებული როგორც „წყალღვინო“, ისე „ცოცხალმკვდარი“ (ლექსიკონში ერთივე არის და მეორეც). წყალღვინო კი არა, წყალღვინო რომ დაწეროთ, ამ სიტყვას შივი იგივე მნიშვნელობა ექნება, მაგრამ ცოცხალმკვდარს და ცოცხალ-მკვდარს „სხვადასხვა“ მნიშვნელობა „ქონია“: „ცოცხალ-მკვდარი = ცოცხალი და მკვდარი“. „ცოცხალ-მკვდარი“ ისევე არ არის „ცოცხალი და მკვდარი“, როგორც „წყალღვინო“ არ იქნებოდა „წყალი და ღვინო“, და ლექსიკონში ეს სიტყვა (ისევე, როგორც „ბიძაშვილი“) მხოლოდ უდევსოდ უნდა ყოფილიყო და მისი (ისევე, როგორც „ბიძაშვილის“) დღესიანი „ვარაირის“ „განმარტებას“ აღარ იქნებოდა საჭირო („წყალღვინო“ ხომ დღესიანი „ვარაირის“ და მისი „განმარტების“ გარეშეა წარმოდგენილი).

9. ერთი და იმავე ზმნების პირველი თურმეობითი ფორმებს ლექსიკონში ხშირად სხვადასხვანაირი დაბოლოება აქვთ (ამის რამდენიმე მაგალითი შემოათვა ვნახეთ):

აქობებს... უქობა // უქობება. იფარებს... უფარია // უფარებია. დაეზგებია // დაეზგევა... დაღვენთებია // დაღვენთვია... იქირაებებს... უქირაებია // უქირაებება. — დაიქირაებებს... დაუქირაებება. ვაართობს... ვაართობია. — ვაართობს... ვაართობია. დაახშობს... დაუხშვია. — დაუხშვია (დაახშობს). შეეკითხება... შეეკითხებია. — შეეკითხება... დაუთხოვება... დასთხოვია. — დასთხოვება... — დასთხოვია... შემოაკეცია... — შეაკეცია. ასტუზება... — ამოსტუზება...

ასევე სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი ტავ. ძირიანი ზმნების ფორმები: აიტაცებს... აუტაცებია. გამოიტაცებს... გამოუტაცებია. მოუტაცებია. — სიტაცებს... უტაცია. იტაცებს... უტაცია. დაუტაცებს... დაუტაცებია...

10. გვიგონიშვილი ლექსიკონის წინასიტყვაობაში (გვ. 006) ამბობს, რომ „გრეკლი ორთოგრაფიული ლექსიკონის დამუშავება იმის შედეგადაც გახდა შესაძლებელი, რომ დამთავრდა გამოცემა რვატომული (!) „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა“ პრიფ. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით და საერთო რედაქციით“ და რომ „ორთოგრაფიული ლექსიკონი“ ამ ლექსიკონის მასალას ეყარება“. ამ როგორ არის წარმოდგენილი, მაგალითად, ტავ. ძირიანი ზმნების პირველი თურმეობითი ფორმები „განმარტებით ლექსიკონში“ (რომელსაც, როგორც I ტომის წინასიტყვაობაში არის ნათქვამი, „ნორმატიული ხასიათი აქვს“):

ტ. I: აიტაცებს... აუტაცებია. აღიტაცებს... აღუტაცებია. აღუტაცებია. ამოიტაცებს... ამოუ-

ტაცებია. ამოსტაცებს... ამოუტაცებია, ამოუტაცებია.

II: გაიტაცებს... გაუტაცებია, გაუტაცებია, გაუტაცებია. გამოიტაცებს... გამოუტაცებია და გამოუტაცებია. გამოსტაცებს... გამოუტაცებია და გამოუტაცებია. გადაიტაცებს... გადაუტაცებია.

III: დაიტაცებს... დაუტაცებია და დაუტაცებია. დასტაცებს... დაუტაცებია.

IV: იტაცებს... უტაცებია და უტაცებია.

V: მიიტაცებს... მიუტაცებია და მიუტაცებია. მიოტაცებს... მოუტაცებია და მოუტაცებია.

VI: სტაცებს... უტაცებია და უტაცებია. უტაცებს... უტაცებია.

VII: შეიტაცებს... შეუტაცებია.

VIII: ჩაიტაცებს... ჩაუტაცებია. ჩასტაცებს... ჩაუტაცებია. წაიტაცებს... წაუტაცებია.

როგორც ვხედავთ, ერთი და იმავე ძირის მქონე ზმნების ერთი და იმავე მწკრივის ფორმებს სხვადასხვანაირი დაბოლოება აქვთ არა მარტო სხვადასხვა ტომში, არამედ ერთსა და იმავე ტომშიც და ერთსა და იმავე ზმნასაც კი ერთსა და იმავე ადგილას სხვადასხვა ფორმები აქვს („განმარტებით ლექსიკონში“ სამხანაირი ფორმებია, „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ — ორნაირი. იქაც და აქაც მხოლოდ ერთნაირი, უბრალო დაბოლოებანი ფორმები უნდა ყოფილიყო).

10. „იძულებულყოფს, იძულებულყოფს (იძულებულყოფს, იძულებულყოფს), იძულებულყოფს // იძულებულყოფს“. არ იყო საჭირო ლექსიკონში ასეთი ხელოვნური და უხეირო „პარალელური“ ფორმების შეტანა. „იძულებულყოფს“, „იძულებულყოფს“ და მსგავსი ფორმების ხმარება იგივე იქნებოდა, „დაიშვებულყოფს“, „დაიშვებულყოფს“ და ამათიანი ფორმები რომ გვეხმარა ასეთი ფორმების პარალელურად, როგორცაა დაიშვებებს, დაიშვებებია...

„აიძულებს“ სწორი ფორმაა, მაგრამ მარტო მისი ზეგნება (და ისიც მხოლოდ იქ, სადაც მისი ადგილი არ არის) არ იყო საკმარისი: ამ ფორმას ყველა ახე ამბობს და წერს და მისი ხმარებისას შეელომა აზავის მოვლა, მაგრამ ამ ზმნის პირველი თურმეობითისა და მეორე თურმეობითის (ავრთვე მესამე კავშირებითის) ფორმებს ხშირად არასწორად ამბობენ და წერენ: „აიძულებია“, „აიძულებინა“ „აიძულებინოს“ („განმარტებით ლექსიკონშიც“ მცდარი ფორმაა ნაშეგნები: „აიძულებს... აუძულებია“). სწორია: „უიძულებია“, „ეიძულებინა“, „ეიძულებინოს“, რომლებიც „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ რამდენიმე ადგილას უნდა იყოს ნაშეგნები: „აიძულებს, უიძულებია, ეიძულებინა, ეიძულებინოს“. „უიძულებია“, „ეიძულებინა, ეიძულებინოს“. „აუძულებია კი არა, უიძულებია“.

„აქვლუბინა, აქვლუბინოს კი არა, ეიქვლუბინა, ეიქვლუბინოს“.

„გაუპირდება, გაუპირდა, გაპირებია“. „გაუპირდა“ (= ურჩია) ე. ნინოშვილის ერთ მოთხრობაშიც არის ნახშირი და გურთლში (აგრეთვე კვემოშიანურსა და აჭარულში) გავრცელებული ეს ზნეა ამიტომ არის შეტანილი „განმარტებით ლექსიკონში“, მაგრამ სალიტერატურო ქართულსთვის ის უცნობა და არც მისი ფორმები იყო „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ შესატანი.

„შურაგავეს... შურაგავდა... კუთხ. (შურაგავს)“. ლექსიკონში ამ ზნის ოპტიმიანი (საარებისო ქვევის) ფორმებიც არის (შურაგავეს... შემორაგავეს...), მაგრამ იმათ გვერდით „კუთხურა“ არ წერია (და არც უნდა ეწეროს) და არ ელც, რატომ მაინცდამაინც სამიარაანი (სახეილსო ქვევის) ფორმებია მიჩნეული კუთხურად (ან რატომ „გაპირება“ ზნის ფორმებს არ აქვთ მიწერილი „კუთხ.“).

11. ლექსიკონში შესატანი არ იყო ისეთი ფორმები, როგორცაა განმკლავო, ვონებრივო, წასაყრავო, წოდებრივო, წელსავო, ძეხვო, მოუხარშავო, გამოუხარშავო, გასაქლიბავო, გამოსარამივო, გამოსარამიხავო, გასახვევო, გამოსახვევო, გააპიშავო, გამოსახვედავო, მისაქმილავო, ვაქსაპავო... ესენი თავისთავად სწორი ფორმებია, მაგრამ იმათი ხმარება არც არავის დასჭირებია და არც არავის დასჭირდება (მაგალითად, განმკლავისთვის ჭერ არავის „მიუშარიავს“ და მას „აღბათ“ არც როდისმე „შომართავს“ ვინმე).

პოეტობს, ბაიუტობს, ბეჩაობს, ლამაზობს, მალბაზობს, მარტობს, კვივიანობს... არც იმათი შეტანა იყო საჭირო ლექსიკონში, რადგან ამ ზნებს ან არავინ იხმარს, ან, თუ იხმარს, ლექსიკონში ჩაუხედავადაც სწორად იტყვის და დაწერს.

ლექსიკონში დიდი ადგილი უკავია ზნებს. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ სრულებით არ იყო აუცილებელი მასში ისეთი ზნების შეტანა, როგორცაა თქმისას, თუ დაწერისას შედლობა არავის მოუვა. ასეთებია, მაგალითად, ლოთობს, სულელობს, ჩერჩეტობს, წეწურაქობს, დახტის, გარბის, ჩერდება, გაქანალდება, ამრიალდება, ვადარიალდება, ვადაბრუნდება, ილაპარაკდება, აღაპარაკება, აღაპარაკებს... აწმყოს (ან მყოფადის) ფორმების გვერდით შედგებია უწყვეტლისა და აწმყოს კავშირებითის (ან ზოლმეობითისა და მყოფადის კავშირებითის) ფორმების ჩვენება: „კამს... კამდა, კამდეს...“ „ძრწის... ძრწოდა, ძრწოდეს“. „შესწირავს... შესწირავდა, შესწირავდეს...“ საკმარისი იყო მხოლოდ აწმყოს (კამს, ძრწის) ან მხოლოდ მყოფადის (შესწირავს) ფორმები (-და, -დეს-ოდა, -ოდეს-

დაბოლოებიანი ფორმების ჩვენება აღარ იყო საჭირო).



„შთავადებს, შთავადო, შთავადო, შთავადო ძე.“ „შთავარდება, შთავარდა, შთავარდეს, შთავარდინლა ძე.“ ორთოგრაფიულ ლექსიკონში არც ასეთი ძველი ფორმები უნდა იყოს (აქ ისიც უნდა ითქვას, რომ „შთავარდინლა“ არც ძველია და არც ახალი; ძველად იყო „შთავდროშილ არს“, დღეს არის „ჩავარდინლა“, არც „შთავარდება“ ყოფილა ძველ ქართულში: იყო „შთავარდების“).

12. ლომი (ლომბა). ომი (ომბა). ფასი (ფასს). ლექსი (ლექსს, ლექსზე). ვახი (ვახს, ვახზე). ხაზი (ხაზს, ხაზზე). ხაში (ხაშს, ხაშში). ხრეშო (ხრეშს, ხრეშში). თითი (თითთან). საათი (საათთან)...

სასკოლო ლექსიკონში კიდევ ზო, მაგრამ აკადემიურ ლექსიკონში ასეთი სიტყვები და მათი უთანდებულო თუ თანდებულებანი ფორმები ზედმეტია. ვინც არ იცის, რომ „ომა“, „ფას“, „ვახე“, „თითან“ კი არა, ომბა, ფასს, ვახზე, თითთან უნდა დაიწეროს, ის ალბათ საერთოდ არც არაფერს წერს და არც არაფერს კითხულობს და, თუ როდისმე მოუხდება ამ სიტყვების დაწერა, არც „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ ჩაიხუტავს (კიდევაც რომ შემთხვევით აღმოაჩნდეს ეს ბევრისთვის ძნელი საშთავარი წიგნი).

არის ისეთი სიტყვებიც (მსხვრეველი, მშცრეველი, მშყნობელი...), რომლებშიც ორი მძნელი გამოსათქმელია და მათი წარმოთქმისას თუ დაწერისას შედლობა იმათაც მოსდით ხოლმე, ვინც ბევრსაც წერს და ბევრსაც კითხულობს: „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ მსხვრევის, მსხვრეველის და მსხვრეველობის მოსდევს მსხვრეველი, მცრევეს-მცრეველი, მუნობა-მუნობელი (სამივე მდებარე ფორმა „განმარტებით ლექსიკონშიც“ მოხვედრილა და, როგორც ჩანს, იქიდან ვადასტულა „ორთოგრაფიული ლექსიკონში“).

18. ... მღვამარეობა, მღებარე, მღებარეობა, მღელო, მე, მეაფეჯერ, მეაფთოქე, მებაღურა, მებეტონე, მებრძოლი, მეგობარი, მედგარი, მედიცინა, მეეტლე, მეზობელი, მეთვეზე, მეთიეზობა, მეთქვესმეტე, მეთვალურე, მეთვალურეობა, მეთვარამეტე... ამ სიტყვებს (და კიდევ ძალიან ბევრ სხვას) ლექსიკონში ჩაუხედავადაც სწორად იტყვიან და დაწერენ, მაგრამ, ვინც არ იცის, მაგალითად, „მედეი“ არის სწორი თუ „მედეიცი“ (ზოგი ერთს წერს, ზოგი მეორეს). ვადაშლის ამ წიგნს, მაგრამ ეტაც ერთს ნახევრეც მეორეს.

ზოგი „მსოფლიოს ჩემპიონს“ ამბობს და წერს (მეც ასე ეტყვილი და დაეწერდი), ზოგი „მსოფლიო ჩემპიონს“, ზოგი კი ხან ამას, ხან იმას.

ლექსიკონში მსოფლიო-ც არის და ჩემპიონი-ც. პატრამ არც „მსოფლიოს ჩემპიონი“ არის, არც „მსოფლიო ჩემპიონი“.

14 „უპატივემლო (უპატივემლოდ) (// უპატივემულად)“. „უპატივემლობა (// უპატივემულელობა)“. პატივემულ-ისგან უპატივემულად არის ნაწარმოები, ხოლო ამისგან — უპატივემულეობა „უპატივემლო“ და „უპატივემლობა“ არასწორი ფორმებია.

„შორსგაუშვებრეტელობა“ სწორი არ არის (მ ზედმეტია). „ფილმსკოპი“ კი არა, „ფილმოსკოპი“ უნდა იყოს.

„დაუპროწიადლება“, „შეპებრდება“, „ეგმუბნის“, „დაეპროწინებინა“. ამათ ნაცვლად უნდა იყოს „დაეპროწიადლება“, „შეაებრდება“, „ეგმუბნება“, „დაეპროწინებინა“.

მიმართება (отношение): ამ მიმართებით. აქ ალბათ რუსული გამოთქმა „в этом отношении“ იგულისხმება, რაც ქართულად „ამ მხრივ“ არის და არა „ამ მიმართებით“.

15. ზოგიერთ შემოკლებულ სიტყვას არასწორი განმარტება ახლავს:

„საქდესი (საქდესს) (=საკავშირო დეპუტათი სააკვენტო)“. საქდესი (ТАСС) საბჭოთა კავშირის დეპუტათი სააკვენტო (Телеграфное Агентство Советского Союза). საქდესი (საქართველოს დეპუტათი სააკვენტო) რატომღაც არ არის ლექსიკონში.

„კომკავშირი (=ახალგაზრდათა სრულიად სააკვენტო ლენინური კომუნისტური კავშირი)“. კომკავშირი ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირია (ერთ დროს „საკომკავშირი“ იხმარებოდა).

„რაიკომი (რაიკომმა) (=პარტიის რაი-

ონული კომიტეტი)“. რაიკომი რაიონული კომიტეტია.

ლექსიკონში არის აგრეთვე „რაიალგილკომი“ („=რაიონული ადგილობრივი კომიტეტი“). ასეთი „კომიტეტი“ და ასეთი სიტყვა საერთოდ არ არსებობს.

მალიან სამწუხაროა, რომ „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ ვერ არის ისეთი, როგორც უნდა იყოს. ეს წიგნი ხელს შეუწყობს მცდარი და პარალელური, ჭრელი ფორმების გავრცელებას და დამკვიდრებას. (ქნელაღე ქნელი იყო ჩემთვის ამის თქმა, მაგრამ უთქმელობა ყოვლად შეუძლებელი იყო).

ამ წიგნის შესახებ შენიშვნები სხვებმა გამოთქვეს (მ. შამულაშვილი, ქართული ლექსიკოგრაფიის დღემნიშვნელოვანი შენაძენი: ვახ. თბილისი, 6. II. 1969; დ. კობიძე, საყურადღებო და საჭირო წიგნი: ვახ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 7. III. 1969; შ. აღავეიძე, უკვდავი, საშვილიშვილო წიგნი: ვახ. „ქეთთასი“, 26. III. 1969; გ. შალამბერიძე, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი: „ლიტერატურული საქართველო“, 4. IV. 1969). ივანე გვიგინიშვილი გასაზიარებელ შენიშვნებს (სხვებისასაც და ჩემსასაც) ალბათ გაითვალისწინებს „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მეორე გამოცემის მზადებისას, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა მიიღოს ხალხმა (ა. გვიგინიშვილს ქართული ენის სიყვარულმა მოაყიდებინა ხელი ამ დიდი და ძნელი საქმისთვის. დარწმუნებული ვარ, მას ეკვი არ შეეპარება იმაში, რომ მეც მხოლოდ ქართული ენის სიყვარულმა დამაწერინა ეს შენიშვნები).

ახალი თაყაიშვილი

ენა, მწერალი, ენათმეცნიერი...

ახლა, როდესაც საქმად დრომ გაიარა და „ენებზეც ერთგვარად დაცხრნენ“, შესაძლოა გონების თვალთ მივიხედოთ უკან და სათანადო დასკვნები გამოვიტანოთ. რა მოგვცა პაექრობამ? უდავოდ სასარგებლო შედეგი. იგი გასცდა კონკრეტულად დასახულ მიზანს და ქართული ენობათმცოდნეობის საერთო მთელი წყება მოიცვა. მაგრამ მისდამი ინტერესის გაღვივებას სხვა გეზი მისცა ერთ-ერთი მოაქვერებ მხარის საკმაოდ გამოცდილი წერილებმა. ბუერი რამ არ, შეფასდა ისე, როგორც საპროზაო იყო. განა ამის დასტურად არ ჩაითვლება თუნდაც ის, რომ წინააღმდეგობები ეძებო იქ. სადაც წინააღმდეგობები არ არის, აღაშინებს მოაწერო აზრი, რომელიც მას არ უთქვამს, გამოუცხადო უნდობლობა, რაც მას არ დაუშინებურებია? განა ამ რაგვს არ ეკუთვნის მეოთხე ოპონენტის ზ. გამსახტრდიას თვით სტატიის

სათაურიც, თითქოსდა მართლაც ჩემი მოგონალი იყოს ეს მარად ცოცხალი პრობლემა? მე ამაზე ერთხელ უკვე გავეცი პასუხი, მაგრამ მომდევნო ოპონენტები ისე გულმოდგინედ მიპყენენ წინა კოლეგების კვალს, იძულებული ვხდები, კვლავაც შევასწავლო მკითხველს საქმის ნამდვილი არსი.

რადგან დისკუსიის ყოველი საკითხი მეტწილად არქაიზმის ირგვლივ იყრის თავს, რადგან ზ. გამსახტრდიას ღრმა რწმენით, „სხვადასხვა დიდ ყურადღებას იპყრობს ავტორის მიერ არასწორად გაგებული ცნება „არქაიზმისა“ (№ 12, გვ. 119), აღვიჭურვოთ მოთმინებით და გავარკვიოთ, ვის როგორ ესმის იგი, ბოლოს და ბოლოს. თავდაპირველად მივხედოთ „ყოველდღიური ცოცხალი მეტყველები“ ცნებას. რომლის შემოტანითაც თერამ მე „დაყინებით ვამტყრევი ლია კარს“ (№ 11, გვ. 86; 89).

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ კონტაქტში ამ ცნების შემოტანის პრიორიტეტი ცნობილ ენათმეცნიერებსა და ლექსიკოგრაფებს ეკუთვნით და არა მე. ისიც სათქმელია: მას არც წინა მოაქვერებები ტოვებდნენ უფურაღებლობა: „...შევეცდებით უფრო ზუსტი და რაციონალური დეფინიციით შევეცვალოთ იგი. იი, როგორ განმარტავს არქაიზმს „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“: „არქაიზმი — მოძველებული და ყოველდღიური მეტყველებაში (ხაზი ჩემია, ა. თ.) ხშირებიდან გამოსული სიტყვა ან გამოთქმა...“ (№ 7, გვ. 123).

¹ იგულისხმება 1968 წელს „ცისკრის“ ფურცლებზე გაშლილი დისკუსია: ა. თაყაიშვილი, „ენა ძველიც ენა ახალი“ (№ 4); „მე მყოვარემ დაყინებით...“ (№ 8); რ. თვარაძე, „მთა შესაძლებლობებზე სექსტიურად ყურების დასტურა“ (№ 6); ბ. ბრეგვაძე, „მცდარი თვალსაზრისი“ (№ 7); ზ. კიკნაძე, „არ შეამოკლოს ქართული...“ (№ 11); ზ. გამსახტრდია, „ა. თაყაიშვილის „ენა ძველიც ენა ახალი“ (№ 12). შემდგომ მივეთითებ მხოლოდ ეტრნალის ნომერსა და გვერდს.

აი, სადა ჩანს ტენდენციურობა: მეორე ოპონენტის მიერ მომარყვებელი არქაიზმის „ზუბტი და რაციონალური დეფინიციის“ პირველი პუნქტი ჩემთან მოსკლამდე თურმე „სრულიად უადგილო“ გამხდარა. მაგრამ მას ხომ ასევე აუღიბებეს ჩემგან მეორე წერიალი დამოწმებულ ათამდე ავტორი? წარმოვადგენ დამატებით ცნობებს: ო. ახმანოვა: არქაიზმია „ყოველი სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც გამოხდულია ყოველდღიურ ბმარებში და ამიტომ აღიქმება როგორც მოძველებული“¹; ი. ვალპერიანი: „არქაიზმებს მიეკუთვნებენ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებიც მოძველდა და აღარ გამოიყენება თანამედროვე მეტყველებაში“²; ს. თევზაძე: „არქაიზმია სიტყვა, რომელიც გამოხდულია ან გამოხდის ცოცხალი ბმარებში და ანა. ამავე იმეორებენ სხვა ავტორებიც (ნ. შანსკი, ვ. ვალიანი-ფედორატი, ა. სმირნიცი, ე. ლევიკოვსკია...), ხმარებიდან გამოხდის მომენტზე მიუთითებს ინგლისური ლექსიკონებიც — The Oxford English dictionary და Webster's third new international dictionary.

სხვათაშორის, მესამე ოპონენტმა ზ. კიკნაძემ ერთგან ასე გამიწორა ფორმლა: „არქაიზმია ყოველი სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც არ ხმარდება ყოველდღიურ მეტყველებაში“ (№ 11, გვ. 95): არ-სა და აღარ-ს შორის კი საკმაო განსხვავებაა — ბუერი რამ საერთოდ არ ხმარებულა ცოცხალ მეტყველებაში, მაგრამ მას ამის გამო არქაიზმს არაიენ უწოდებენ. ამ ნივლიერებამ გამოატანინა ოპონენტს მეორე განმარტებელი ბრალდება: „არქაისტულია ბოეზიისა და საერთოდ სიტყვაკაზმული მწერლობის ენა, რასაც არ ხმარებენ ყოველდღიურ საუბარში“³).

ცოცხალი მეტყველების მიმართ დევძევებს მხოლოდ ერთი პირობით შეიძლება ექნეს რეზონი: თუ მივჩქმალავთ ფორმულირების დანარჩენ პუნქტებს. რატომ არ ასენდება მესამე ოპონენტს, რომ არქაიზმის „საბჭოთა ენციკლოპედიისეულ“ განმარტებას ასეთი სტრქოქონი მოჰყვება: „... უპირატესად იხმარება ლიტერატურაში (პოეზია, ჩემია, ა. თ.), როგორც სტილისტური ხერხი ამალელებლობისა და წარსული ეპოქის რეალისტური კოლორიტის შესაქმნელად...“ ამ პუნქტს არ ივიწყებს დასახელებულ სპეციალისტთა უმრავლესობა, ნ. შანსკი კი უფრო ვატიგორიულად მსყელობს: „არქაიზმები გამოიყენება მხოლოდ გარკვეული სტილისტური დანიშნულებით. ამ

შხატერულ-გამომსახველობითი მიზნით“⁴. მათი ხმარება ვაუპართლებელია დეველემად“⁵.

როგორც ვხედავთ, ცოცხალი მეტყველება ხსენება მხატვრული ლიტერატურის ენის გვერდით უხერხელობას კი არ ქმნის, პირქით, არქაიზმის ზუსტ დახასიათებას უწყობს ზელს. და მაინც: მის მიმართ უნდაბლობის ნაწილობრივი გამართლება თითქოსდა შეიძლება. იმიტომ კი არა, რომ ტერმინი არასწორი ან უადგილოა, იგი არაბუსტია — სრულად არ მოიცავს არქაიზმების უხმარობის ყველა უბანს, სახელდობრ, მთლიანად საერთო-სახალხო ენას. ეს ცნება კი უფრო ზოგადია — ევრდნობა იმას, „რაც დიალექტებში საერთოდ და ყველა დიალექტზე მოლაპარაკეთაფვის ვასაგებია“ (არნ. ჩიქობავა). მაგრამ ეს მაინც ცოცხალი, სახალხო ენაა, ამ სიტყვის საუცხოო ვაგებობით. არქაიზმებს ადვილი არა აქვს არც სალიტერატურო ენის უმრავლეს სფეროში: როგორც წერილობითის (მეცნიერების, ფერწალისტიკის, პუბლიცისტიკის...) ენაში, ასევე ზეპირს (რადიო-ტელევიზიისა და სხვა საჯარო გამოსვლების) სალიტერატურო მეტყველებაში. ერთი სიტყვით, სალიტერატურო ენის არცერთ უბანზე, გარდა მწერლობის ენისა (სხვათაშორის, ოპონენტები აფიერებენ სალიტერატურო ენასა და მხატვრული ლიტერატურის ენას, რასაც ხშირად ვაუგებობამდე მივუყვართ).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ არქაიზმის ვანსაზღვრულ სხვა ფაქტორებზეც, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, ზემოთგანხილული ორი ასექტის ვარკვეულ ვარიაციებს წარმოადგენენ. მავალითაჲ, მაინჩიათ, რომ ლინგვისტური ტერმინი „არქაიზმი“, პირველ ყოვლისა, მივანისმებს ჩვეულებრივ მეტყველებაში სიტყვის ან ვრამატუელი ფორმის ნულევან აღნიშნულ ობაზზე (нулевая отмеченность), ეს ივრევა, რაც „აეროთო-სახალხო ენაში აღარ იხმარებაო“. რუსული სალიტერატურო ენის ოვეგოვისეული ლექსიკონი მხარს უჭერს სხვა საზომს: ხმარების სიხშირესა და ხმარების სფეროს (частота употребления и сфера употребления)⁶ მეორე პუნქტი (ხმარების სფერო) ივრევა, რაც „მხატვრული ლიტერატურის ენაში დამატრდებაო“; პირველი პუნქტი (ხმარების სიხშირე) კი იმხვე მიუთითებს, რომ არქაიზმები აქ ნაკლებადა იხმარება, მათი გამოყენების კოეფიციენტი დაბალია.

¹ იხ. კრებ. «Русский язык в школе», 1954, № 3, გვ. 31.

² ამ ფორმულირებას იევნებს აგრეთვე ს. გორდანი. იხ. მისი, «К понятию «арханизма» (ერან. Литературная Грузия, 1969, № 11-12, გვ. 112).

¹ Словарь лингвистических терминов, 1969, გვ. 56.

² Очерки по стилистике английского языка, 1958, გვ. 67.

³ Словарь русского языка, 1960, გვ. 7.

სწორედ ამით გამოეყოფიან ისინი „ამაღლებულ სიტყვებს“, რომლებსაც ლექსიერის-სემანტიკურ-კა ვარიანტების მეტი თავისუფლება აქვთ.

ენის აქტიური ლექსიკის აგავანი-სხვაგვებით არქაიზმს თვლიან აგრეთვე პასიური ფონდის ელემენტად. მაგრამ ასე არ ყოფილა თავიდანვე, ისიც აქტიური მოხმარების სიტყვა იყო. შემდეგ (გარკვეული მიზეზების გამო) შეუფეროვდა მოქმედების რაღაცე, მოძველდა და არქაიზმად იქცა. იგი უკვე „ცოცხლობს“ პირთა ეიწრო წრისათვის (ლექსიკონებსა და მხატვრულ ძეგლებში) და მხოლოდ ამის მეორე ზოგიერთი მთავანი საერთოდ ტოვებს ენას. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, ეს პროცესი არ არის სწორხაზოვანი და ერთი მიმართულებისა: „რიგ შემთხვევაში მოძველებული სიტყვები კვლავ უბრუნდება ჩვენი ენის ლექსიკის აქტიურ მარაგს და ყოველდღიურად გამოიყენება. ბუნებრივია, ამ დროს, როგორც წესად, ხდება შთაბეჭდილობის მკვეთრი ცვლა.“¹

აზრივად, თვით ფაქტი, რომ ცოცხალი მეტყველებიდან გამოსული სიტყვა შერლობის ენაში სტილისტურ ზერხად გამოიყენება, ერთგვარად მის გამოყოფილებაზეც, გააქტიურებაზეც მიგვიანიშნებს — ვულისხმობს როგორც ენის ერთი სფეროდან სიტყვის გასვლას, ისე მეორე სფეროდან მის დაბრუნებას. თუ ასე უკლებიერად შევხედავთ საკითხს, არქაიზმის იარაღის სრულიად არ ჩანს ნევატიური შინაარსისა. იღონდ ერთი კია: რაზან არქაიზმი, ეს მხატვრული ზერხი, დროთა ერთობაში შექმნილია რიგიის საკომუნიკაციო ერთეულად იქცევა. მიზნი, რა თქმა უნდა, მასზე დაყრდნობილი მხატვრული ეფექტი ნულს გაუტოლდება (იქნებ სწორედ ამიტომაც არ მიმართავენ დიდი მწერლები არქაიზმს განსაკუთრებულად!).

როგორც წინა წერილში ვახსენეთ, არსებობს საერთო მხარებოდან გამოსულ სიტყვათა რამდენიმე ტიპი. ლექსიკაში ესაა: ისტორიზმი (ხე ფეწუ ლ...); სიტყვა-არქაიზმი (მოწლე=გულშემატკივარი...); მნიშვნელობა-არქაიზმი (ცხედა რისა აწო...); გვქვს ზგრთვე გრამატიკული არქაიზმები, კერძოდ: ფონოტიკური (ხლტის=ხტის...), მორფოლოგიური (უდაზნოის=უდაზნოს...); სინტაქსური (დაქდატირილა); უცხო არაფრანული მორფოლოგიური არქაიზმი (გუენ ნუ გეშინ...); აქ მხოლოდ დავსძენთ, რომ არქაიზმებს გარდა გამოყოფენ სიტყვებს, რომლებიც საერთოდ ამოვარდა ენიდან, მის არცერთ სფეროში აღარ გვხვდება. მაგ. კვებტრისი (და სხვა) ინგლისურ ლექსიკონში სიტყვა, „რესტრანტებელი“ რომელიმე გამოჩენილი მწერლის მიერ შეთვრამეტე საუბრნიდან

(ე. ი. ახალი სალიტერატურო წინსაშობიკალი-ბებიდან) ღღემდე იწერება: „არქაიზმ: archaic, სიტყვა ეი, რომელმაც ვერ ამოახერხა“ ვაველი აღნიშნული საუბრების მწერლი, ზელში, რჩება „obsolate-ზე“. მზავს პრინციპს უსადავე-ჩენ ძველი ქართული ლექსიკონის შრეებისა; რუსულში კი ეს უკვე მთარგმნელთა შემოქმედებითს პრაქტიკას უდევს საფუძვლად (არუსული ლიტერატურული და ენობრივი ხერხები, რომლებიც მე-XVIII ს. მეორე ნახევრის იქით მიდის, მთარგმნელთათვის გამოუსადეგარია)².

იქნებ იყოს ამ დაცოფაში რაღაც დადებითი? ყოველ შემთხვევაში, საჭიროა ენის ძველი ლექსიკის ასე წარმოხენა-კვალიფიკაცია და არა ის, რომ თვლი დაჯუტკოთ სინამდვილეზე და ეიძახათ — ქართულში არქაიზმების სხეუნება არ არისო.

საინტერესოა, რას გვთავაზობენ ოპონენტები ჩემგან „არასწორად ვაგებულ“ არქაიზმის ცნების ნაცულად? ზ. კიენამე არაფერს არ გვთავაზობს, იგი მხოლოდ უარყოფს (არც ისე მარკვე ზერხი მეცნიერული კამათისას): „თავისუფლის მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მან სხვა ენებისათვის გამზადებული ცნება არქაიზმისა ხელოვნურად მიუყენა ქართულ ენას...“ (№ 11, გვ. 97).

თვით საკითხის თვ დასმია მცდარი. ყოველ ენაში იხადება ახალი სიტყვები, ძველის ნაწილი კი გამოდის აქტიური ფონდიდან. ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს პროცესი ყველგან თანაბარი არ იქნება. სიტყვას, რომელიც ერთ ენაში არქაიზმად იქცა, არ არის აუცილებელი, იგივე ბედი ერგოს სხვაგან. ამას უკვე „განაგებს“ ის შინაგანი სემანტიკური კანონები, ენის სისტემის ფარგლებში რომ მოქმედებს. მართალია, ათასწულწლოვანი განუწყვეტილი ლიტერატურული ტრადიციის წყალობით ქართულში შედარებით თავისუფლად იმხარება არქაიზმები, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ამ ტრადიციისეუ მხეზით ისინი საერთოდ არ არსებობენ ენაში? ბოლომდე სწორი არ არის ზ. კიენამე, რაღვსაც

1 ს. გორდანიძე, დასახ. წერილი, გვ. 113.

2 С. Маркиш, Новый русский «Декамерон», ერან. «Новый мир», 1970, № 4, გვ. 278.

3 ოპონენტები წამდაუწუმ მიმეორებენ ამ აზრით ნათქვამ შ. ძიძიგურის სიტყვებს: „არც ერთ ენას არა აქვს იმდენი შესაძლებლობა არქაიზმების თავისუფალი და უმტკივნეულო გამოყენებისა, რამდენიც ქართულ ენას“ (№ 7, გვ. 126; № 11, გვ. 97), მაგრამ კრინტს არ ძბავენ იმაზე, რომ ციტატი დამთავრებული არაა. მას მოსდევს: „... როცა ეს სტილური აუცილებლობით არის ნაყარნახევი“ (მწერლის ენა, 1957, გვ. 21). ეს კი უკვე მთლად ამით სასარგებლოდ არ შეტყველებს.

1 ნ. შანციის დასახ. წერილი, გვ. 27.

ამბობს, რომ „თანამედროვე რუსი მწერალი არქაიზმებს მხოლოდ სტილისტურ ზერხად იყენებს, ხოლო ქართული მწერლის ენაში ძველი ლექსიცა ამ მიზნებით არ იხლდება (№ 11, გვ. 97). არქაიზმს მხოლოდ „სტილისტურ ზერხად“ იყენებს არა მარტო რუსი, არამედ ქართული და კამბოჯელი მწერალიც. სხვა დანიშნულება აქველ მასალას არ გააჩნია. პირველ ყოვლისა, ეპოპის წარსული კოლორიტის გადმოცემა, ამაღლებული და საზეიმო ნიუანსის დაქვრვა, აგრეთვე დრამოკომედიის, უარსაყოფი სიძველის გამოხატვა. ეს უკანასკნელი გარკვეული სტილისტრია მიზნით თარბობის ერთგვარ „დაწვევას“, „დაქვეითებას“ გულისხმობს. ასეთ სტილს „არქაულ-სახემაროსისა“ უწოდებენ.

ქართული ენობრივი სინამდვილის მიმართ „არქაიზმი“ განუსაზღვრელი ცნებაა, — წერს მესამე ოპონენტი. მერედა ეს აზრს განსაზღვრავს? რა თქმა უნდა, ზელოუნური ჩანს არქაიზმის მისეული დანაწილება უნებნად (სადაზარაო ენისათვის, სამწერლო ენისათვის, პროზისათვის, პოეზიისათვის...). არქაიზმი საერთოა. ოღონდ, რაც სამწერლო ენის მიმართ არქაიზმად ითვლება, ის მართლაც არ არის არქაიზმი, ვთქვათ, ფავ-ბესურულის მსგავს ქველ კოლორიტის. როგორც ცოცხალი, ამ დღემეტე მოლაპარაკე კოლექტივის საკომუნიკაციო საშუალება, ის აქ. პირველ ყოვლისა, დიალექტიზმის წარმოადგენს (ივ. გიგინეიშვილი). „ვანმარტებით ლექსიონი“ ასეთ ერთეულებს თავში სწორედ ნიშან „უცხურს“ უსვამს და შემდეგ — „ძველს“.

ახლა ვნახოთ, არქაიზმის ცნებასთან დაკავშირებით რას გვთავაზობს მეოთხე ოპონენტი ზ. ვამსახურდია? საფურადღებოს არაფერს. „არქაიზმის“ სახელით დამინებელი მის ნაცვლად მიმართავს „პოეტრიზმს“ ცნებას. მაგრამ ისინი ხომ გარკვეულ შიშინებში ფარავენ კიდევაც ერთმანეთს? კერძოდ, არქაიზმი მიაჩნიათ პოეტური ლექსისათვის ძირითად ბირთვად, პოეტრიზმი კი — უფრო ზოგად ცნებად, რომელიც მოიცავს სხვა ფენის ელემენტებსაც: ფრაზეოლოგიურ შტამებს, ამაღლებული, საზეიმო ხასიათის ლექსიკას, ზოგიერთ დიალექტიზმს, იშვიათი ხმარების უცხოურ სიტყვებს, ნეოლოგიზმებს და სხვ.¹.

ამრიგად, მეოთხე ოპონენტის დასკვნა, თითქოს ჩემს მიერ გამოყოფილი სიტყვების დიდი ნაწილი „პოეტრიზმებია“ და არა არქაიზმებიო, არააწორადაა ფორმულირებული (ასევე დატყუა-

ბუთებელი ჩანს პოეტრიზმებისაგან არქაიზმების გათიშვის ცდა (ი. გალერინი, ს. ქორტანინი) ჩანს აც საფუძვლად უდევს პირველთა „შედარების“ სხიური ხმარების“ არამყარ კრიტერიუმში). უზერხულაბა იქნებამ იმითაც, რომ თუ ეს („ვანარნას“ ტიპის) სიტყვები მხოლოდ „პოეტრიზმებია“, რა უნდა მათ „არაპოეტურ“ თარგმანებში? ხოლო განცხადება: „ასეთი პოეტრიზმებითა სავსე თანამედროვე ქართული პოეტრიზმის შემოქმედებამ“ (№ 12, გვ. 120), ოპონენტის მიერმოქმედებამ უნდა ჩაითვალოს. ო. ახანოვა გარკვევით წერს: „ასეთი სიტყვები ძნელა წარმოვიდგინოთ როგორც ბუნებრივი ინგრედენტი თანამედროვე პოეზიისა, ანუ იმ ლექსებისა, ახლა რომ იწერება“. ის კი არა, „პოეტრიზმებით სავსე“ არც კლასიციზმისა და რომანტიზმის პლანის ძველი მიაჩნიათ სასურველად.

მაგრამ როგორ განმარტავს ზ. ვამსახურდია თვით „არქაიზმს“? „არქაიზმად უნდა მივიღოთ ისეთი სიტყვა ან ფორმა, რომელიც აღარ იხმარება მწერლობაში, როგორც სავრთოს სახმარი სიტყვა, პრაქტიკულად აღარ გვხვდება ლიტერატურაში და რომელიც გამოიყენება მხოლოდ გარკვეული საჭიროებისას“ (№ 12, გვ. 120). ხაზი და სტილი ავტორისაა. ა. თ.).

ამ განმარტების თანახმად პოეტრიზმს და არქაიზმს შორის „ზუსტი სადემარკაციო ხაზის გაელებს“ მავიერ ეს ხაზი საესეებით სამართლიანად მოიშალა. მამ, რა საჭირო იყო ამხელა ამბის ატება?

ახლა მივხედოთ უბადაღებულ ძველ ქართულ ენას. მესამე ოპონენტს ღრმად სურდა, რომ იგი ჩემთვის „უცხო“ და „არაშობილიყო“. მე თავის დროზე მათ მიერ სიზრქუნისისქე ტიპის დუბლეტების ხმარებას ასეთი ახსნა მოვეყენე: „ეს ფაქტები მხოლოდ იმაზე მიუთითებენ, რომ ძველი ქართულის ნორმები მთარგმნელთათვის არც იცოცხანულა. როგორც კი უზრადლება მოუდუნდება, დაიკარგება კონტროლი, ქვეყნობიერად ხდება ახალი „შობილით“ ფორმათა ამორტიგაცია“ (№ 4, გვ. 140).

ა, ეს ბრძვალეში ჩასმული სიტყვა ვახა ასეთი ბრადღების მიზეზი. მაგრამ მესამე ოპონენტი ამ მხრივ არც პირველია და არც უკანასკნელი. იმასვე იმეორებს მეოთხე ოპონენტი: „ა. თაყაიშვილს სათაბრიდანვე აყვითლებული აქვს მეცნიერულად დაუსაბუთებელი, პრაქტიკის მიერ უარყოფილი მოსაზრება, რომ არსებობს ორი ქართული ენა: ერთი ძველი და მკვდარი, ხოლო მეორე — ცოცხალი და ახალი“ (№ 12, გვ. 120).

აქედან ის ჩანს მხოლოდ, რომ მომღვენო ოპ.

¹ მეოთხე ოპონენტი რომ მიხსნის: „შეისმინევი, პე. „ბუნებაე“ პოეტრიზმი და „არა მხოლოდ „ძველი“ ქართული ენის კუთვნილებაო“, უნდა შევახსენო, რომ „ძველის“ საერთოდ არაფერი სცხია ამ სტრატონს. „შეისმინევი“ დიალექტიზმი და, ამდენად, დიალექტიკური პოეტრიზმი.

¹ იხ. მისი, Очерки по общей и русской лексикологии, 1957, გვ. 262.

ონენტებს გულისყურით არ წაუთხოვთ ჩემი საბასუხო წერილი, სადაც საკმაოდ ნათლად განვმარტებ, რომ მსგავსი ვერსია მე არ შეეუფენის, ნაყალბეგია და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს; რომ ძველი ქართული ახალ ქართულთან შეპირისპირებით არის ერთი ენის სხვა სისტემა, სხვა პერიოდი; რომ ამას აღიარებენ არა მარტო ენათმეცნიერები, არამედ ცნობილი ლიტერატორებიც. ზ. გამსახურდია კი მაინც თავიანთს გაიძახის: „ენობრივი მასალის „სიძველუზე“ თუ „სიახლუზე“ ლაბარაჲ სუბიექტიური ილტვობორული (?) მიღჯომის შედეგაო“ (№ 12, გვ. 123).

ბოლოს და ბოლოს, მოხდა თუ არა ცვლილებები ჩვენი ენის თხემეტიკაზე, ენობრივი ისტორიაში? საკითხის ამგვარად დაყენებაჲ კი უხერხულად მიმანინია. და ეს ძვრები მხოლოდ ვრამატიკოსთათვის არ არის ყურადსაღები. მე წეროდი: „...უმეტესობა ცვლილებებისა ძირითელია. განსხვავების კრიტერიუმში სტრუქტურული ჩანს, განსხვავება კი, რომელიც ეხება ვ რ ა მ ა ტ ი კ ე უ ლ კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ს, ახალი სისტემის შექმნის საწინააღმდეგოა“ (№ 8, გვ. 135).

მაგრამ როგორაა სამეცნიერო ლექსიკაში შეიძლება თუ არა ჩაეთვალათ, რომ სიტყვათა მნიშვნელობები ქმნის სტრუქტურას? ამ კითხვას სვამს ცნობილი დანიელი ლინგვისტი ლეი იელმსლუვი და დადებითადაც უპასუხებს. მართალია, აქ ლაბარაჲა ს ხ ე ა დ ა ს ხ ე ა ე ნ ე ბ შ ი ს ე მ ა ხ ტ ი კ რ ა ი ს ბ ა ნ ი ს განსხვავებზე (სპილი სხვაა ფორიკლისათვის და სხვაა ამერიკელისათვის გვ. 133), მაგრამ იგი შეიძლება თანამად გამოდგეს ერთი ენის სისტემაში განსხვავებულ სემანტიკურ დონეების ვასთავალისწინებლად. მაგალითად, სიტყვა „შეზარდი სტავი“ იყო ძველი ქართული ენობრივი კოლექტივის წევრისათვის, როგორც „რეალურად მოქმედი“ და სხვაა დღეს, როგორც იგი მხოლოდ სამეცნიერო ექსპონატს წარმოადგენს. ასევე, აზკარაა, რომ შედგარი — „ზარმაის“ მნიშვნელობით დავათრებელია ენის ძველ სემანტიკურ სისტემასთან, მით ორგანული ელემენტია. ენის ახალ სისტემაში ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა („მამაკი“) დაუმკვიდრა. ამ კონტექსტში უადგილო ჩანს ჩემს ციტატზე (ამეკარე დღეს სპორტულ მოედნებზეა... „არსპორტულ“ კართან კი ვ ა რ ი ს ა ე კ ი (შვიორი) დგას), მესამე ოპონენტის ირონიაშეხებულ კომენტარს: „რადღეში უნდა ჩავარდეს რუსულად მოლაპარაკე ადამიანი, რომელსაც Судья ხვდება სტადიონზე და სსამართლოში, არკვიოს, ვისთან აქვს საქმე. მსაჯთან თუ მოსამართლესთან“ (№ 11, გვ. 92). სარკვევი არაფერია: Судья-ს

ორივე მნიშვნელობა ახალი რუსულიდან, მთელი კოლექტივისთვის უნდა იქნას. მ ე კ ა რ ი ს ერთი მნიშვნელობა („კომპლექტი“) კი ძველი ქართულის სემანტიკურ სისტემას ეუფენის (ისევე, როგორც Вратарь-ის იმავე მნიშვნელობას რუსულში დღეს უკვე მოძველებულად თვლიან).

მაგრამ ამათ სხვაობანი არ აქვებენ ზღვარს ენის პერიოდებს შორის, არ ქმნიან მათი სხვადასხვა ენებად ქვეყნის რეალურ საფუძველს. ამას ხელს უშლის ის სა ერთო, რაც ძველსა და ახალ ქართულს წითელ ზოლად გასდევს.

ზ. კაცანი ერთგან მისაყვედურებს: „არტომ პგონია ა. თაყაიშვილს, რომ თუ სიტყვა ყოველდღიურ მეტყველებაში აღარ იხმარება, უსათუოდ „ლექსიკის უფაელეს ფენას“ განეუფენება: „ღმერთი“ და „კაცი“ სწორედ ამ ფენიდან მოდის, მაგრამ ყოველდღიურ მეტყველებაში მაინც იხმარება და ვის მოუვა აზრად მათი „არქაიზმებად“ გამოცხადება?“ (№ 11, გვ. 87).

ეს არის საკითხის გაუბრალოება. გაიხსენოთ ანბანური შექმარება: ენაში უახლესი ფაქტების გვერდით მოგვეყოლება უძველესი მოვლენებიც. ასე რომ არ იყოს, დაიკარგებოდა კავშირი დროთა შორის, თაობები ვეღარ ვაუკებდნენ ერთმანეთს და, ამრიგად, სხვადასხვა ენებს მივიღებდით. „ღმერთისა“ და „კაცის“ მსგავსი სიტყვები ძირითადი ლექსიკური ფონდის ეუფენილებაა. ესაა ბირთვი, ის ზერხმავალი, რომელიც თაობიდან თაობას სწვდება და განუწყვეტელი ენობრივი ტრადიციის საფუძველს ქმნის. შეიძლება ითქვას, ესაა ის საერთო, რაც იძლევა ძველსა და ახალ ქართულს მსგავსების საფუძველს. ეს საერთო პლენს „არქაიზმები“ აელუნს ძველ ლექსიკის ძირითად სტრასს; ეს საერთო პლენს „ნეოლოგიზმები“ უკვე ახალი ქართულის ცოცხალ მეტყველებაზე ვეაძლენს წარმოადგენას.

თუ ძალიან პედანტიურად ვიმსჯელებთ, არც ეს „შუარი“ ლექსიკაა მთლად ზღუდლებელი. როგორც წინა წერილში ვახსენე, ამერიკელმა ლინგვისტმა შორის სეოდეშმა ლექსიკურ სემანტიკური მეთოდით გამოარკვეია, რომ ყოველ ათასწლეულში ენა კარგავს უძირითადესი ლექსიკური ფონდის 14-15% -ს. მავალითა, აღნიშნულ მონაყვეთში ძველსა და თანამედროვე ინგლისურს შორის დამთხვევაჲ შეადგინა 85% (№ 8, გვ. 135).

ამგვარად, მხოლოდ საერთოობის ფონზე უნდა გავიგოთ სისტემების სხვადასხვაობა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეცდომა გარდაუვაელია. განა ამ საერთოობა და განსხვავებულობის დიალექტიკურ ერთობობას არ გულისხმობს ჩემი განცხადება: „სისტემების სხვადასხვაობა კიდევ არ გვაძლევს უფლებას, რომ ენების სხვადასხვაობაზე ვილაპარაკოთ.“ „ძველი“ და „ახალი“ ქართული

1 იხ. მისი, Можно ли считать, что значения слов образуют структуру? კრებ. «Новое в лингвистике», II, 1962.

სხვადასხვა ენებიაო, ვერ იტყვი, თუმცა მათ სხვადასხვა ფონეტიკურ-გრაფიკული სისტემა აქვთ და განსხვავებულ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ინვენტარი გააჩნიათ. ენა უფრო ზოგადი კატეგორიაა. იგი სისტემების ერთობლიობას წარმოადგენს" (№ 8, გვ. 135).

ამის შემდეგ, ცხადია, პერში გამოყენებული რჩება ზ. კენაძის ბრალდება: „ზოგჯერ კრიტიკოსი იმდენად შორს მიდის, რომ ჩვენი წინაპრები ლაშის ჩვენგან განსხვავებულ ერად გამოაცხადოს“ (?). განსხვავებულ ერებზე შე მართლაც მქონდა ლაშარაც, ოღონდ მონათესავე სლავი ხალხების მისამართით. თანაც იქვე გარკვევით მივთითებ, რომ „მონათესავე ენები ენის პერაოდებისაგან განსხვავებულ კორექტივებს წარმოადგენენ მეოქი“ (№ 8, გვ. 136). როგორც ზედათ, ვერც ამ თადარიგში მიშველა.

მინც რა არგუმენტები მოაქვთ ოპონენტებს ძველი და ახალი ქართლის იდენტურობის დასამტკიცებლად? მეს სამე ოპონენტი: „...აქვე ეხება ზედროული, ზოგადქართული ენის მარაგს...“ (№ 11, გვ. 99); მეოთხე ოპონენტი: „პოეტისათვის ენა უფრო უქამობის ფენომენია, ვიდრე ეამისა...“ (№ 12, გვ. 123).

დღეს აღარაინ დაეობს იმაზე, რომ ენა მხოლოდ დროში არსებობს; „ზედროელი“, „უქამო“ ენა ფიქციაა. ნუთუ „რუსთაველმა, ბარათაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ და XX საუკუნის უველა მნიშვნელოვანმა მწერალმა ერთიდაიმავე ენობრივი გასაღებით“ (ზ. გამსახურდიას სტილი) შეაღეს იდუმალებითა და საოცრებებით სავეე პოეზიის კარი? ანდა, ნუთუ „მეოცე საუკუნის მწერლების ენას ძირითადად იგივე ლექსიკური ბაზისი აქვს, რაც ცურტაველსა და მერატელს?“ (№ 12, გვ. 120). მუდარი დასკვნებია.

ზ. კენაძე წერს: „ეს დაყოფა ნაკლებად შეეხება ეოცხალ ენობრივ აღლოს, ხოლო ეს აღლო გრამოსს, რომ ძველი ქართული იგივე მშობლიური ქართულია, ოღონდ განსხვავებული ნიუანსით აღბეჭდილი“ (№ 11, გვ. 97).

განა სხვა ქვეყნის შვილებს დატუნებულნი აქვთ ეს ენობრივი აღლო? პერმანენტული ლიტერატურული ტრადიციის მქონე ერად თვლიან ფრანგები თავს, მაგრამ სრულიადე არ ეუფრბნულმათ, ამ პერმანენტულობაში“ გაერთონ მშობლიური ენის ორი (და ზოგჯერ სამი) პერიოდი. ამასთან, რა შინაარსი ძვეს შეტედ ზოგად და არამეცნიერულ „განსხვავებულ ნიუანსში“, ოპონენტი არაფერს გვეუბნება. იგი მთელს ჩვენს წარსულ ლიტერატურულ მეგვიდრეობას სრული გავების პრინციპით განიხილავს. „გამორავლისებისათვის“ მიზნითაც აქვს ნაპოვნი: პეტრიწის „არისტოტელობა“, მიათოლოგიურ-ფილოსოფიური საგანი მოიხროვდა განსაუფრებულ ენასო“ (№ 11, გვ. 97). თეიო

არისტოტელს „არისტოტელობა“ ითხოვდა ამას? ანდა, განა შეიძლება „არისტოტელის სირთულე და გუდგებობა მხოლოდ „არობრივ და კორექტურულ შეედომებს“ გადავარბალიოთ“ „ეუფხის-ტყაონისა“ ზომ საუფხოო გამოცემები გვაქვს, მაგრამ გავისხენოთ ერთ-ერთი მოპაქტის წუხილი „ენისო ინტელიგენტო“ გულახდილი განცხადების გამო: „...ბევიბი რამ ვერ გავიგე, მრავალი სიტყვა და გამოთქმა უცნობიაო“.

ზ. კენაძე კატეგორიულად აცხადებს: „დღეს ჩვენ ვეითხულობთ ათი საუკუნის უქან დაწერილ წინასწარმეტყველებას (იგულისხმება იოვანე ზოსიმეს აქება და დიდებამ ქართული-სა ენისა“. ა. თ.) და ერთი სიტყვაე არ ვერჩება გუდგებარი“ (№ 11, გვ. 99).

ნუთუ მართლა ასეა? აბა, წავიციოთოთ პირველივე სტიქონი: „დამარტულ არს ენამ ქართული... ნიშნავს: ქართული ენა და ეულოია (შენახულია); ასევე: საწამებულ აღოსდასაბეჭებლად, მონამედ — მოწმედ, სასწაულად — ნიშნად დღესამომედ — დღემდე... (აქ არაფერს ვამბობთ გრამატიკულ სირთულეებზე). განა ეს საემარისი არ არის რეაბილიტაია შექებისათვის?

ჩვენს და ჩვენს წინაპრებს გვაქვს ერთი ცხოვრება — „ქართლის ცხოვრება“ და ერთი ენა — ქართული ენა“, — განავრძობს მესამე ოპონენტი. ვუთხანებოთ, მაგრამ განა უველა-ფერი გასაგებია ამ უპოქლარესი ძველიდნ? აბა, ვუფსინოთ მის მეცნიერულად გამომცემელს ს. ვაუხნიშვილს: „ქართლის ცხოვრების“ ენა ჟერ კიდევ ძველი ქართულია (ბაზი ჩემია. ა. თ.). იგი მხოლოდ იწყებს საშუალო ქართლის ნიშნების ათვისებას. ჟერ კიდევ საემოლდ გუჭედება ისეთი ენობრივი ფორმები, რომლებიც ძველი ქართლის დამახასიათებელია“.¹

ესეე ჩემი „პირველი ახირებაა“ თუ ქართული ენის ღრმად მყოდნის ობიექტური დაკვირვების შედეგი? „ძველქართული მრავალმთხებევამი აგროთვე ლექსიკაცი“, — განავრძობს მკუღეარი და იძლევა ზოგიერთი მათგანის ფრთხილ შეფასებას. ამიტომ ყურადსაღები ჩანს გავით „ლიტერატურული საქართველოს“ დისკუსიის დროს („ქართლის ცხოვრება და ჩვენი სკოლა“) გამოგდენილი ერთი ფაქტი. კორესპონდენტის მიერ აღმბრულ საუთხზე — „ქართლის ცხოვრება“ ძველ ქართულ ენაზე შესრულებული და ამ საზით ვერ ვახდებთ საზოგადოებისათვის სავეებოთ ზელმისაწუდრომიო, ერთ-ერთი მონაწილე უბასუხებს: „პირველ ყოვლისა, საჭიროა „ქართლის ცხოვრებას“

¹ „ქართლის ცხოვრება“. I, 1955, შესავალი წერილი, გვ. 46.

თუ მოლიანად არა, ცალკეული ადგილების თანამედროვე ქართულზე გადატანა. ამგვარად შესრულებული „ქართლის ცხოვრების“ ცალკეული ფრაგმენტები შეიძლება შეტანილ იქნეს საყოველთაო ქრესტომათიაშიც“ (გვ. „ლიტ. საქართველო“, 22/XI, 1968).

ვფიქრობ, არც ესაა ი. თაყაიშვილის ახირება ძველ ძეგლთა „ვახაბქართულებს“ ლაზუნვით. ვანა ასეთსავე თარგმანებას არ მოითხოვს ჩვენი წარსულის უდიდებულესი ძეგლი — ბიბლია? თუ არა ამ გზით, როგორ გავივით თუნდაც მისი ცნობილი ფრაზის — „უფუფუ ვისმე ჰკონიეს, ვითარმედ იცის რაამე, არღა სადა უცნობიეს, ვითარა-იგი ჯერ-არს ცნობამ“ — შრავლისმეტყველი შინაარსი: თუ ეინმეს ჰკონია, რომ იცის რაიმე, მან ისიც კი არ იცის, როგორ უნდა შეცნობა...

თავს ნებას მიეცემ, მივმართო მცირე ექსკურს მხატვრული თარგმანის სფეროში. არა იმიტომ, რომ ოპონენტთაგან „არადასამყაროვლებელი“ შეფასება მივიღე, არამედ იმის ნათელსაყოფად, თავად რა როგორ გავცემათ.

ცხადია, ნაწარმოების მეტისმეტე მოედრება ანუ სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს — გამოიწვევს არა მხოლოდ ისტორიულ რეალიზებზე ხელის აღებას, არამედ ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ მიმართებათა გადასინჯვასაც. მაგრამ, ასევე უკიდურესობად უნდა ჩითვალოს ძეგლის მიაჩნვდა მიაჩნვ ძველი ენით თარგმნის პრინციპი, რომლისთვისაც ამოსავალია ორიგინალის ახლანდელი მითხველის დონე. ამას ხშირად მოჰყვება იმ ბუნდოვანებათა გადმოტანაც, რასაც ორიგინალი თავისი სიტყვების გამო დღეს იწვევს.

მაშ, რა არის ანგარიშგასაწევი? არსებითად შეზღვევა: ემთხვევა თუ არა ავტორის ენა თავისი დროის ბუნებრივ მეტყველებას, თუ მისი ძეგლი ერთგვარ „ხელოვნურ საწყობებზე“ შექმნილი? ერთი სიტყვით, ის, რაც არქაულად მიგვაჩნია დედანში, წარმოადგენდა თუ არა მწერლისათვის ამგვარ სტილისტურ ხერხს?

უდავოდ უნდა ვცნოთ ის ვითარება, რომ დღეს არქაიზმი გაცილებით „მეტე ჩანს“ ორიგინალში, ვინემ თავდაპირველად იყო. ამიტომ საესეებით მისაღება ანერსეული ჰემფრის მოთხოვნა: უველა არქაიზმი, რომელიც ასეთად არ ითვლებოდა ავტორის ხელში, საქირაო ითარგმნოს თანამედროვე სიტყვებით. აქედან ის გამოდის, რომ თარგმანი უფრო თანადროულად უნდა ელერდეს, ვინემ ძველი ორიგინალი თავისი დღევანდელი მითხველისათვის. ასე მკვალითად, დღეს ფრანგს რაბლეს სიტყვისას სპეციალურ ლექსიკონში ჩასვდება სიტყვება, რისგანაც დაზღვეულია „გარანდტუ და პანტატორულის“ ლუბიმოვისეული თარგმანის რუსი მითხ-

ველი.¹ მაგრამ რის ხარისხში უნდა მიჩნდეს „ვითანადროულება“ ცხელი ერთი წუთითაც არ იგულისხმება სპეციფიკური, ჩვენი ეპოქის სათვის ნიშანდობლივი ლექსიკის შემოტანა, როგორც ეს „იგორის ლაქრობის ახალრუსულ მ. ტარლავსკისეულ თარგმანში დასტურდება. აქ სათაფრიც კი ვითანადროულდება («Речь о конном походе Игоря»), რომ აღარაფერი ვთქვათ ტექსტში ვაჩენილ სიტყვებზე (Товарищи, марш, ренд...). სერთი წმინდა წყლის მოღერნიშებია, როგორც სწორად შენიშნავენი. იწვევს არქაიზაციის საპირისპირო ეფექტს და ისტორიული პერსპექტივის სრულ უგულვებლუფას. გრანობდეს დედნის „ასაქს“ და თარგმანი მიაჩნ „ახალგაზრდული“ ენენოს — ი, მითხველისთვის საესეებით მიაღება პირთა.

ზემოთხამოთვლილ მიდგომათაგან უკიდურესად განსხვავებულ ხასიათს ატარებს არქაიზების გამოყენება სათარგმნი მსალის სპეციფიკის გაუთვალისწინებლად, მხოლოდ ძეგლის სიტყვების მოტავით, რის სერიოზულ გამოძახისაც ელოდებით ზემოთ „მოღმოყავ აღძრულ“ ოპონენტთა ზოგიერთ თარგმანში. ზ. ვაშაბურდია ინგლისური ენის სპეციალისტია (თანაც „უაღდის“ მთარგმნელი), მაგრამ როგორ ვერ-წმუნთა ინგლისური არქაიზების საეითხშია, როდესაც ამჟამად მცდარად აფასებს მშობლიური არქაიზმის ბუნებას?

შევალითად, მას მიაჩნია, რომ ზოგიერთი ზღაპარი განსხვავებული სტილითა აქვს ვაძე-მართალი. „არქაიზაციას აქ შეგნებულად მოვერიდე, ეინაღდან დედანი აქ არ იძლევა ამის საბაბს“ (№ 12, გვ. 121). დედანი არც იმის საბაბს იძლევა, რომ ჩიტის (bird) ნაცვლად სირი თარგმნოს, ტყვიის (lead) მავიერ — ბრენე, უფლისწულს (prince) ადგილზე — სეფეწულ... მტეცი არაფერი ვიუეუთება ბაღმონტს უიტმენის თარგმნისას! «Уитмен говорит, например, грудь. Бальмонт переводит лоно. Уитмен говорит флаг. Бальмонт переводит стяг. Уитмен говорит поднимая. Бальмону словно совестно, что Уитмен пишет так неказисто и грубо. Он иоривит подластить его стихи славянизмами»¹.

ოპონენტს ამოწმებს უარქაიზმოდ გამყობილ ფრაგმენტს თავისი თარგმანიდან და ასკვნის: „რადაც საბედისწერო ბანგიო დანისლულ მხერას (?) თუ მოგჩვენება ამგვარი ფრაზები „ძველ ქართულ ენად“ (№ 12, გვ. 121). ვფიქრობ, მსგავსი რეაქციის საბაბს არ იძლეოდა ზემოთ მებრ ქვემოთაბრტე არქაიზ ფრაზების მოტანა: „ჩემხედ უმაღლესნად დასდგა ვვირკვეინი თავსა

1 ს. მარკვის დასაბ. წერილი. გვ. 278.

¹ К. Чуковский, Высокое искусство, 1964, гв. 23—24.

ზედა შენსა“... („კვაბუი მეფე“): „... უფალმან ჩვენმან ვეობომოს იგი სიკველეთა საყოფად. არა არს საგანი რამ უძვირფესესი კაცის სულსა“ („მებადური და მისი სული“): „მით არა ესმით, ვითა ნადირთა ტყისათა, კეთილ და ბოროტ, არცა ვნებულა მათთვის მაცხოვარი ჩვენი“ (იქვე). მართალია, ეს ზუცვისი ენაა, მაგრამ განა მსგავსად არ მეტყველებს თვით კვაბუი „სულბანიცა“? „გვადრი დაავდო ქალაქი ჩემი სასწრაფოდ, რამეთუ სანამ შენ აქ ჰხი, აღარა ვარ შე მყრობელი მისი“...

ზ. გამახორღია გვატყვის, რომ „მებადური და მისი სული“ სწორედ ასე უნდა ითარგმნოს, რადგან ახსიათებს „არქაიზმების სიჭარბე და თხრობის ბიბლიური მანერა“ (№ 12, გვ. 121). არა გვეონია, ე. წუკოსკი ნაკლებად იცნობდეს უაილდს, მაგრამ მის მიერ თარგმნილი ეს ზღაპარი ენის კლასიფიკაციის სისადაეთა და მინიმალური არქაული ინტერპრეტაციის გამოირჩევა.

ეფექტობ, ოპონენტთა ცდუნების ერთ-ერთი წყარო ნაწარმოების თემის გადაჯობებულ შეფასებასა და ავტორის ენობრივი მარწმუნის გაერთიანებისგანაში უნდა ვეძებოთ. მავალითაღ. ზ. კიქნაძე ერთგან ვარკვევით წერს: „გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმას, თუ რა ენობრივი პოზიციებიდანაა დაწერილი თავორის „გიტანჯალი“... (№ 11, გვ. 95).

ჩემი აზრით, მთარგმნელმა პირველ რიგში სწორედ ავტორის ენობრივი არჩევანი უნდა ათხოვოს ყური და შემდეგ — თემას. ასეთი პრინციპი ყველა დიდ მთარგმნელის შემოქმედებითს პრაქტიკაში წარმართავს, იმიტომ, რომ ავტორებმა „ამაღალ მატერიებზე“ მსჯელობისას ყოველთვის ამალეულ ლექსიკას არ მიმართავენ — ზოგჯერ ცოცხალი სამეტყველო ენის ფარგლებში რჩებიან, აქ საინტერესოა გაფისუნოთ ტურგენიევის როგორც მთარგმნელის, მიერ ამ კუშირბიტების უფაღელუროფის მავალითა: „ტურგენიემა, პირველ ყოვლისა, სტილისტურად „ასწრა“ ფლობერის ორივე მოთხრობა (იგვლინსმემა „პეროლია“ და „ლეგენდა მწირთა შემფარებულ წმიდა ეიულინზე“. ა. თ.). მას, ეტყობა, ეჩვენა, რომ ლეგენდები, რომლებზედაც მოვითხრობს ფლობერი, ამას მოითხოვდნენ“. I ამიტომ კითხვის ვებრუნებ მესამე ოპონენტს: თუ კი, მიუხედავად თავორის ნაწარმოების „წამყვანი რელიგიური პათოსისა“, ავტორის განცდამში ფსალმუნის ინტონაციები არ უბრატესობდნენ, ეს პრივილეგია რატომ უნდა მისცემოდა მთარგმნელს? (ეს ხომ ადეკვატურობის პრინციპის დარღვევა იქნებოდა?).

ენახით, როგორ ასაბუთებს ზ. კიქნაძე თავის თვალსაზრისს თავორის „ავტორიტეტული“ მოტიანილი პასაჟით: „...უნდაღერდებოდნენ რული და სასაბურო ენა უწინ იმდენად დამორტებულ იყო ერთმანეთს, როგორც ცა და დედამიწა. ეს უყანასენელი ათეული წლებია, რაც ისინი უფრო და უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს“. და იქვე ოპონენტის დასკვნა: „როგორც ამონაწერიდან ჩანს, სასაბურო ენა მიახლოვებია სალიტერატუროს, და არა პირველ“ (№ 11, გვ. 95).

ეფექტობთ, ასეთ შემთხვევაში არსებითი არ არის, სასაბურო ენა მიუახლოვდა სალიტერატუროს, სალიტერატურო — სასაბუროს, თუ ისინი შეაგზავნენ შეხვედნენ ერთმანეთს. მთავარია, რომ მათ შორის უფსკრული აღარაა. და თითქმის ერთი აზრი უნდაღერდებოდნენ: „თავორი წერდა სასაბურო ენით“. და „თავორი“ წერდა სალიტერატურო ენით“. ცნობილი სპეციალისტის ტომასონის სიტყვით, „პოეტი თამაშად იყენებს პოეზიის სასაბურო მეტყველებას“. რაც შეეხება თავორის პაროზას (განსაკუთრებით მხედველობაში მქვს ავტობიოგრაფიული ხასიათის „დღენი ჩემი სიკვაბუისა“), იგი ისე სადა და გამჭვირველ ჩანს, როგორც აჯაი წერეთლის „ჩემი თავდასასვლია“ (ეს კარგად იტარნობა თავორის წიგნის ახლახანს გამოსული ქართული თარგმანიდანაც).

ზ. კიქნაძე თავის სადავო შეხედულებას დანტეს მიმართაც მიმორებს: „ნაკლები მნიშვნელობა აქვს მთარგმნელისათვის ავრეთვე დანტეს ენობრივ პოზიციას. მნიშვნელოვანია ის, თუ რა წარმოადგენს მისი ნაწარმოების თემას“ (№ 11, გვ. 95). ამ გავებას იგი ამაგრებს „ობიექტურად შერჩეული“ დანტეს ციტატებიდან გამოყვანილი აზრით:

1. „ურჩეულესი ველგარე“ არ შეეფერება მდამიერად მოლაპარაკეთ.
2. ურჩეულესი საგნებია ღირსი ამ ენაზე შექმნისა.

ბოლოს და ბოლოს, რას წარმოადგენს ეს საემაღლ გამხატრებელი „ურჩეულესი ველგარე“? პირველ ყოვლისა, ის არის „სახალხო ენა“ და, იმდენად, „ცოცხალი“ და „უნებური“. I დანტე მისთვის ცნობილი მრავალი დიალექტიდან ეზიარა იმას, რაც კარგი, მშვენიერი და ამალეულელი იყო მათში: „იტალიაში არის სასახლის კარის სწორი, ბრწყინვალე ხალხური ფუტე-მეტყველება, რომელიც ყოველი ცოცხალ იტალიური ქალაქის საკუთრებია და ამავე დროს არცერთ მათგანს არ ეკუთვნის. მისი მიხედვით ვანიზომება, ფასდება და მასვე უსწორდება იტალიელთა ყველა ქალაქის მეტყველება“ (გვ. 285).

¹ P. Будагов, Литературные языки и языковые стили, 1967, გვ. 271.

¹ Данте Алигьери, Малые произведения, 1968, гв. 270. ამის შემდეგ ციტატებს ამ აჯაღიერი გამოცემიდან მივუთითებ.

ამ შეფასებიდან ბევრი საყურადღებო რამ ჩანს, თუნდაც ის, რომ სალიტერატურო ენა მართლაც წარჩინებულთა შეტყულებას ეყრდნობა! ამასთან, ეს ხომ იგივე დღეს სახელმძღვანელოდ მიღებული საერთო-სახალხო ენის ფარდი ოდენობაა? ენობრივი პარტიკულარიზმის მიმე პერიოდში სწორედ დანტეს ზედა წილად სახალხო ენის შექმნის მისია. როგორც სამართლიანად შეინიშნავენ, იგი „ურჩევლეს ველ-გარეს“ უწოდებს არა ლიტერატურულ ენას საერთო-სახალხოს საპირისპიროდ, არამედ თვით საერთო-სახალხოს დაღვრეტირისაგან განსხვავებით. მართალია, თავდაპირველად დანტე ლაპარაკობს ლათინური ლიტერატურულ ენისა და შიშობლიურის დაპირისპირებაზე, მაგრამ შემდგომს თავებში უკვე იძლევა თვით შიშობლიურის ღიფერენციაციის საერთო-სახალხოვ და დაღვრეტირად (გვ. 288). აი, ამ დაღვრეტირის, ცალკეული რაიონების შეტყუება ესაზებოდა მას „დაუმტყუებლად“ და „უხეშად“; სწორედ ამიტომ ამბობდა იგი: „ვერავინ იტყვის, ურჩევლესი ენა მდაბიურად მოლაპარაკე მთიულთათვის იყო სესაფერისო“ (იქვე).

შესამე ოპონენტმა დანტეს მიერ დიალექტთა შეტყულების მიმართ აუგად ნათქვამი საერთო-სახალხო ენის მისამართთ განზოგავდა.

რა უწიობს ხელს ამ საერთო-სახალხო ენის წარჩინებულობას? ჭერ ერთი, ის, რომ აერთიანებს ყველა დიალექტის წარმომადგენლებს; ამასთან, ისიც, რომ მწერლებს ძალუბთ მისი დახვეწა და განვითარება, დანტე აკრიტიკებს ადგილობრივ კილო-კავზე მიჯაჭვულ იტალიელებს და აქებს ფლორენციელებს, რომელნიც ჩასწვდნენ სახალხო ენის სიღიადეს (გვ. 282). ისიც უნდა ითქვას, რომ დანტე ამ „ურჩევლესი“ ენისათვის მხოლოდ არქიონებს კი არ იტოვებს, არამედ სახალხო ენის ლექსიის ერთგვარად ამოღებულ ფუნას, როგორიცაა: amore (სიყვარული), donna (ქალბატონი), donare (ჩუქება) და სხვ. (გვ. 296).

სწორად არ ფიქრობს ზ. კიენაძე, თითქოს დანტე ყველა საგანს ამ „ამოღებული ენით“ გამოხატავდა. ამზე პასუხი ჭერ კიდევ ჩემს მიერ დამოწმებულ სურტაციენის ციტატშია. როდესაც ოპონენტის მიერ მოტანილ პასაჟში დანტე აცხადებს: „უკეთეს კომედიანი რამ გვინდა შეთხზაჲ, მაშინ საშუალო არ დაბალი შეტყუებუა უნდა ავირჩიოთ“ (№ 11, გვ. 96), ეს ლიტონი სიტყვები როდია — ავტორი თვითონ მისდევდა თავის შემოქმედებაში კლასიკური რიტორიკის ამ ცნობილ პრინციპს. მაგრამ თუ ჩვენ ოპონენტის მიერ დამოწმებულ დან-

ტეს მეორე ციტატას: „ეს (ურჩევლესი ა. თ.) ენა შთავონებთა (ingenio) და ცოფნიო მთქმელელებელი (უნდა იყოს: მოქმედებელი ა. თ.) ეძებს, ხოლო სხვებს უკუაგდებს...“ (№ 11, გვ. 95) უამელაციოდ დავუყარდნობით. მაშინ გაუგებარი გახდება დანტესაგან ლათინურის ნაცელად ამ ენის მიღების ფაქტი. დანტემ ხომ, პირველ ყოვლისა, იმიტომ თქვა „მეორეულ“, „გრამატიკულ“ და „ხელმოწერ“ ლათინურზე უარი, რომ ის იყო მხოლოდ „განათლებული ხალხის შეცნიერული ენა“, მაშინ როდესაც „ცოცხალი“ და „უნებრივი“ სახალხო ენა „გაგაგებია როგორც შეცნიერთათვის, ისე უყოლინათათვის“ (გვ. 123); მაშინ გაუგებარი გახდება დანტეს შემდეგი მოწვევის სახალხო ენაზე: „ეს იწება ის ჭერის პერი, რომლითაც დანაურდებიან ათასები“ (გვ. 133); მაშინ გაუგებარი გახდება, როგორ შეუძლოდნენ დანტეს კანცონებს, ან როგორ შეიძლებოდა მათი სწავლება „იტალიური ენის პირველ გავრეითლებზე“.

მაგრამ საქმე ისაა, რომ მხოლოდ „ურჩევლესი“ ვულგარე არ ყოფილა დანტეს პოეზიის ენა (როგორც ამას ოპონენტი გვინისნის). „ჯოჯობენი“ დანტეს ისარგებლა მისთვის ყარვად ცნობილ კომიქოს პოეტთა სტილით. მათს ხატოვან და მდაბიურ ენაზე. ქალაქის მოედნების უკულმართსა და გულახდილ ენაზე ლაპარაკობენ მისი ემშაებში. ის კი არა, „ღვთაებრივი კომედიის“ გმირთა შეტყუებუბაში შენიშნულია „რეალისტური სიბოვლის, უბრალოების, ან სტილისტური სიმკვეთრისა და თვით ველგარისმამდე მისული სიუჟეშის ცალკეული ელემენტები, თითქოსდა მოთულოდენლნი იმქვეყნად მოგზაურობის აშასხველი პოემისათვის“.¹

ზ. კიენაძე წერს: „ღვთაებრივი კომედიის“ და „ახალი ცხოვრება“ საესეა ბიბლიის ლათინური ფრახებით, მათი იტალიური თარგმანებით (მათ შორის, „ამაზო ჩენო, რომელი ხარ ცათა შანა...“). ახლა მოვესმინოთ იტალიელ დე სანტისის: „დანტე არაფრად აგებდა ბიბლიის ლათინურს, როგორც პარამონიისა და სილბოს უქო-

¹ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს დანტე სიესებით უარყოფდა ლათინურს („ხალხური შეტყუებუბა“ ხომ მან ამ ენაზე დაწერა!) დანტე იმბეტურად ხედავდა ლათინურის მთელ რიგ ღირსებებს „ველგარესთან“ შედარებით (გვ. 120).

² ამდენად, როდესაც ოპონენტი წერს, რომ „ველგარე“ მართლაც უპირისპირდება ლათინურს, მაგრამ არა როგორც არქაული, არამედ როგორც არაეროვნულ ენასო“ (№ 11, გვ. 96), ეს ცალმხრივი გაგებაა საეთხისა.

³ დანტეს ციტირებულ წიგნზე დართული გამოკლევა «Поэтика, Данте», გვ. 453.

⁴ А. Федоров, Введение в теорию перевода, 1958, გვ. 332.

¹ ასევე, ახალი ქართული სალიტერატურო ენის სათაგის მიმნიშნებლად მიჩნეულია სწორედ „მეთორმეტე საუკუნის ქართული ცოცხალი შეტყუებუბა იმდროინდელი კულტურული წრეებისა...“ (არნ. ჩიქობავა).

ნელს.1 მართალია, დანტე „ნადიმში“ იმორ-
მება, ეთქვამს, ოვანეს სიტყვებს: „ნათელი იგი
ბნელსა შინა წათობს, და ბნელი იგი მას ვერ
ენოა“ (გვ. 143). მაგრამ ეს მთავრად „სხვისი“ ცი-
ტატა და მას კავშირი არა აქვს ავტორის „არ-
ქაისტობასთან“.

ორიოდე სიტყვა ზოგი ახლადღამული საკი-
თხის შესახებ. როდესაც ზ. გამსახურდია აშხელს
დასავლეთის ლიტერატურის „უხვირო ტენდენ-
ციას“ — ეტრნალშით გატაცებას, იქვე ლინ-
ვისტური „აღმორჩენების“ ნიშნებს იძლევა.
ეფექტობ, დიდ ცოვად არ უნდა ჩათვალეთ
ვანქაზედულ ავტორებს, თუ სიტყვის „სემინტი-
ური მნიშვნელობის“ მიღმა „მეორე მნიშვნე-
ლობას“ (?) ვერ ამჩნევენ (ყველას არ ძალუძს
იმის დანახვა რად „ვერ შემოდის აღამაინის
ცნობიერებაში“). მაგრამ ნუთუ ისე გამოითვრ-
ნენ ისინი, რომ მათთვის ბეჭდები მხოლოდ „ფი-
ზიკური ვიზრაციების ქაშის“ წარმოადგენენ, რო-
გორც ამას სერიოზულად გეომტიკებს ოპონენ-
ტი? (№ 12, გვ. 122). განა ასეთი კვალიფიკაცია
ჩრდილს არ ფენს ეტრნალიზმით მირანცხებულ-
ლი უიტმენისა და ჰემინგუეის სახელებს? რა-
ტომ გამოჩნა ოპონენტს ის „უშინაშენლო“
ფაქტი, რომ ლექსისა სიუჟეტისაში ინტერესის
ერთგვარობა განელებამ (ამას თავისი მიზეზები
აქვს) განსაკუთრებით წინ წაშოსწია ფრანხის სი-
ნტაქსური ორგანიზებისა და ფარული ქვე-
ტექსტების მხარე? რატომ ეუბრახულება ამის
აღიარება, რომ განუთის პოზულირაცია ენის
„დაშტაპებისა“ და „ნიველირების“ გვერდით
აძლევა ერთ სისარგებლო შედეგს: ადვილად
ითვისებს ენობრივ სიხილს და გზას უხსნის
მხატვრული ლიტერატურისაკენ?

მაგრამ აქ არსებითი ხასიათის შეცდომა ენის
ფუნქციების არასწორ გაგებაშია. ასევე ესმის
საკითხი მესამე ოპონენტსაც. ჩემს ციტატას: „არ
უნდა დაგვიწყნედეს, რომ ენას მხოლოდ ექსპ-
რესიული ფუნქცია არა აქვს. მისი უპირველესი
მოვალეობაა ფყის კომუნიკაციის, ცვაგებინების
მოქნილი იარაღი“ — იგი ყერ რატომღაც „გან-
მაციფტრებელს“ უწოდებს, შემდეგ მიიღებს,
ოღონდ არა მხატვრული ლიტერატურის მი-
მართ (№ 11, გვ. 86).

„განმაციფტრებელი მოსაზრება“ კი ჩემი აღ-
მოჩენილი არ ვახლავთ. „ენის ძირითადი ფუნქ-
ცია საკომუნიკაციოა რომლის უპირატეხი მდგო-
მარეობა უდავო ჩანს ყველა ენობრივ
სტილში“2 ამერაიელი ლინგვისტი რომან ია-
კობსონი, მგავლითად, ენის ექვს ფუნქციასაც
კი ითვლის. რომელთაგან ექვს პრეკიულ-
ურ მოციურს მესამე ადგილი უპირავს სა-
კომუნიკაციოსა და შემეცნებო-
თის შემდეგ, კიდევ უფრო შორს მიდის ცნო-

ბილი ინგლისელი მწერალი და ხელოვნათ-
მცოდნე ჟონ რესკინი, რომელიც „ხელმოქმედა“
მთავარ მიზნად დიდებულ ახრებმის ქადაგებას
მიიჩნევს: „ნაწარმოები მით უფრო დიდია და
მისი შეფასებაც უმაღლესი, რაც ნაწლებადია და-
მოყოფებელი ენისა და გამოხატვის საშუალება-
თაგან“1.

ასეთი შეცნირება ახრი, ჩვენი მთარგმნე-
ლის შემოქმედებით პრაქტიკაში კი ენის ექსპრე-
სიული ფუნქციის ვალდებრებული შეფასება
ჩანს. მესამე ოპონენტმა ამ ფაქტს თეორიული
შემაგრებაც მისცა: „...კომუნიკაცია აქ ესთა-
ტიკა ენსახურება, ხშირად ეწირება კიდევ“
(№ 11, გვ. 86). განა ასეთი მიდგომის საბაბს
აძლევიან ოპონენტთა შიერ თარგმნილი მწერ-
ლები? აო, რას წერენ დანტეს შესახებ: „ფორ-
მისა და შინაარსის შესაბამისობის ძიებისას
„ნადიმის“ ავტორმა უარი თქვა რიტმულ ვაშე-
ლობასა და კლავტულაზე, რადგან სწამდა, რომ
ლოგიურად ნათელი, უბრალო, მშრალი კონს-
ტრუქციები კი შეტად შეესატყვისებოდნენ ფი-
ლოსოფიურ პროზას“ (გოლენიშვიე-ყურტუო-
ვი). თავორი თავის თავზე ამბობდა: „შემიძლია
მეთხივლი დავარწმუნო, რომ მიზნად არ მქონია
არც გამოყანის შეთხზვა და არც ფარული სიბრ-
ძნის შიგ ჩაქსოვა“ (მართალია, კრიტიკოსების
ერთ ჯგუფს თავორი, მისივე სიტყვებით რომ
ეთქვათ, „დარღვეული რიტმისა და ბუნდოვანი
თქმების პოეტად“ მიაჩნდათ; ავი თვითონაც
უწონებს კატაქებს — სიტყვის ოსტატებს — ელ-
რად სანსკრიტულ სიტყვებსა და ბუნდოვან
თქმებს, რომლებიც „აბრს მხოლოდ შტრიხებად
გამოგვეყნა და, საერთოდ, ყველა მსმენელისა-
თვის არ არის გამოხრული“, მაგრამ ეს თავო-
რის ცალმხრივი შეფასებაა. უნდა გვახსოვდეს,
რომ მწერალი აქ გულისხმობს ბავშვობისა და
სიჭაბუკის წლებს, როდესაც ცოდნის შეძენის
სურვილს პარაბობს მიუწყდომელით ტუქობა)2.
რა თქმა უნდა, იდეალურია პირობა, როდეს-
საც ვავებინებისა და ექსპრესიულობის ფაქ-
ტორები თანაარსებობს და ერთმანეთს აფ-
სებს. სწორედ შინაარსის პლანისა და გამო-
ხატვის პლანის პარამონიულობის პრინციპით
იქმნებოდა ყოველი დიდი კლასიკური ნაწარ-
მოები.

ზ. კენაძე ერთ-ერთ მთავარ შეცდომად მთა-
ელის, თითქოს შე ენის ყანონებს გარდაუვა-
ლის მნიშვნელობას ეანიჭებს; თითქოს ჩემთვის
ენა „ემპირიულად ძვეს“ და თვითდინებით ვი-
თარღება. ენის ფუნქციის ამ არქაული გავე-
ბის გასაბათილებლად იგი გერმანული ფილო-

1 История эстетичекой мысли. Памятники ми-
ровой эстетичекой мысли, ტ. III, 1967,
გვ. 855.

2 რ. თავორი, „დღენი ჩემი სიჭაბუკისა“,
გვ. 118.

1 Де Санктисс, История италийской
литературы, I, გვ. 173.
2 რ. ბუნდაგოვი, დსაბ. წიგნი, გვ. 50.

სოფლის კასრტრის შეხედულებას იმორწმებს (№ 11, გვ. 98).

ბრალდება სოფისტრადა გამოტანილი. ენა ემპირიულად კი არ ძვეს „ჩვენი ვარეთ“, იგი „ჩვენი“ა, ენობრივი კოლექტივის შემოქმედებით ინტელექტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ცოცხლობს და ეთარდება ან კოლექტივთან ერთად. როდესაც იაკობ გრიში წერს: „არაფერი გამოეპარება დიწხ ზედვას ენის ფხიზელი სულისა, რომელიც უმოკლეს ხანში იშუშებს კრილობებს და წინაღუდგება ქოასი“¹, — აქ ენის ემპირიულად არსებულ ფემორწმედი კი არ არის ლაპარაკი, რომელიც „თვითღებებით ვითარდება“, ეს ენის გასულიერებას, მისთვის ენობრივი კოლექტივის ნებელობის მიწერას ნიშნავს. თორემ გრიშია კარგად იცის, რომ „ენა აღამიანთა ქმნილებაა და ატარებს ჩვენი ბუნების სათნოებისა და ნაკლოვანების დაღს“; შემოზღუდვი ამის თაობაზე შენიშნავს: „ენა თითქოსდა ხალხის სულის გარეგანი გამოვლინებაა. ხალხის ენა სულია მისი და ხალხის სული ენაა მისი. ძნელია სხვა რამ უფრო შესაბამისის წარმოადგენა“.

მე პართლევ ვახსენებ ტერმინი „ემპირიული“, მაგრამ არა მთლიანად ენის მიმართ, არამედ ლექსიკის ერთი სახეობის — არქაიზმების მიმართ. და განა ვისმე მოუვა აზრად ამტკიცოს, რომ არქაიზმების უმრავლესობა „ჩვენივენი და დამოკიდებლად“ არ ძვეს ძველ წიგნებსა და ლექსიკონებში?

რაკი ოპონენტმა ენის „ემპირიულობის“ მტკიცებაში „დამიჭირა“, ახლა უკვე სრული გაქანებით მიხსნის სათქმელს: „მაგრამ არსებობს ის აზრიც, რომ ენობრივი პარკივი მთლიანად დამოკიდებულა აღამიანის აქტიულობაზე... მხოლოდ შეხედვ პირიყვებას ძალუქს მიანიჭოს ენას რაიმე ღირებულება“ (№ 11, გვ. 99).

უნდა შევასენოთ ზ. კიანაძეს, რომ ენისადმი ასეთ მიდგომას ზოგჯერ მიეყვართ მის განვითარებაში ზელოვანი როლის გადაპარბეზულ გაგებადის. მაგალითად, ბრედლი „ინგლისური ენის შემქმნელობა“ (makers of English) შორის ასახელებს ცნობილ ეროვნულ მწერლებს, ენობრივი კოლექტივი კი გამოვლილია მათი ჩნდივიდუალური მხატვრული შემოქმედების პასიური ამოყვებად. ასეთი თეორიზირის ადეკვატურია ისტორიაში პირიყვების როლის შეტიმეტად წინწამოწევის მომხდებულ კონცეფციას² არავისათვის სახალეს არ უნდა წარმოადგენდეს ის, რომ თეთი უდიდესი მწერლები ენაც კი საერთო სახალხო ენის ნიადაგზე იზრდება. სავსებით

ობიექტურია მიშელ მონტენი: „დღი პირიყვების ზელო ენას ძალა და ღირსება მისცემს. ისინი იმდენად არ ახლებენ მას, არამედ მისი შეღარებით მიიმე და მრავალფეროვან სასახლებს აესხებენ. ფარცვლებს უფართოებენ და მოქნილობას სძენენ“ (История эстетика... ტ. 1, გვ. 639). უფრო ადრე დანტეს ნათქვამი აქვს: „მე ძალუქის ავამომედო სახალხო ენის კეთილი არსი, რომელსაც ენა პოტენციურად და ფარულად ფლობს და ყველასათვის ნათელყო მისი საყუთარი გამოვლინება“... ((Малые произведения, გვ. 127).

და მაინც: მხოლოდ სახელმძოხვევილ მწერალსა და მთარგმნელს აქვს შესაძლებლობა და, ამდენად, უფლებამპირტენიაც ენაში დღი ძებების მოხდენისა, მის ჩვეულ ფორმით არღვევისა. მაგრამ მას, რაც უნდა დღი იყოს ენა, არავითარი გარანტია არა აქვს თავს მოახვიოს ენას ყოველგვარი სახალე. ენა ანგაროშს არ უწევს მწერლის კაბრიზებს (გაიხსენოთ ფეტურისტიტებისა და დადასტების ნაშრომები, რომელვ დარჩა ინდივიდუალური გარჯიშის ნაშრომად). იგი მიიღებს მხოლოდ მას, რაც მისი განვითარების ტენდენციას ესადაგება „ერის სულს“ გამოხატავს. შეპირობებულა ტრადიციით და თანამედროვე სისტემიდან ინდივიდუალურ გადაპარას არ წარმოადგენს. საცემბით მართალი იყო შემოზღუდვი, როდესაც წერდა, რომ „ენაში შედის მხოლოდ ისტორიულად დასაბუთებულო“, მაგრამ აქარბებდა, როდესაც მას ურთავდა „ძახლის თავისი სამრეკლოდან“: „...ისევე როგორც ყველაფერი ინდივიდუალური“.

ზ. კიანაძე ერთვან „თვითმიხნერი ანალიზის სტიკიაში მყოფ კრიტიკოსად“ მნათლავს, რომლისთვისაც არსებითია „მონური მორჩილება“ სემანტიკური ძებების“ მიმართ, არავსთეტიკური და არაშემოქმედებით დამოკიდებულა სიტყვისადმი“ (№ 11, გვ. 94).

გავერკვეთ ამ შეფასების ობიექტურობაში. რა თქმა უნდა, ჩემთვის უცხო არ ყოფილა ის ანბანური კემპირიტება, რომ ენას შესწავლის რამდენიმე ასპექტი აქვს, რომელთაგან (ღირებულების თვალსაზრისით) ერთ-ერთი უპირველესია ესთეტიკური. მე ეს ასპექტები პირველი წერისლის დასაწყისშივე წარმოადგინე, აქვე გარკვევით ვთქვი უარი ენის ესთეტიკური კეთობით განხილვაზე და მთელი ყურადღება გრამატიკულ-სემანტიკურ ანალიზზე გადავიტანე (და თუ აქა-იქ მაინც ვხვდებით სტრუქტურის ანალიზისა და დასყვნების ცდას, ეს ყველვის არჩეული გზიდან შემთხვევით გადაპარას უნდა მიეწეროს).

მქონდა თუ არა ასეთი არჩევანის უფლება? არს. ჩიქობავა რუსთაველის ენისადმი მიძღვნილ წერილში ჩამოთვლის ენის შესწავლის სამ ცნობილ ასპექტს, რომელთაგან კელევის ობიექ-

¹ იხ. კრებ. Хрестоматия по истории языкознания, 1956, გვ. 64.

² იხ. Н. Амосова, Этимологические основы... английского языка, 1956, გვ. 21.

ტად მესამეს ირჩევს. ესაა: „ვეფხისტყაოს-
ნის ენის საკუთრივ ენათმეცნიერული თვალ-
საზრბით ანალიზი, პირველ ყოვლისა, ამ ენის
მორფოლოგიური და სინტაქს-
ტური სისტემის დახასიათება (ხე-
ნი ავტორისაა, ა. თ.) და იმ ადგილის ჩვენება,
რაც ამ მხრივ „ვეფხისტყაოსნის“ ენის უპირატე-
სი ქართული ენის განვითარების ისტორიაში“.¹

აი, როგორც თავან კვლევის ასეთი გზის უგუ-
ლებელყოფის მოსყვა დაუშვალურებელ ბრალ-
დებათა მთელი სერიაა. რა თქმა უნდა, მათ სე-
რიოზულ განხილვას აქ არ შეუძლებია. იდე-
ინწინავე მხოლოდ, ვის კომპეტენციად თვლიან
ისინი ჩემგან გვერდგვილი ენის სტილისტრ-
ექსპრესიულ შესწავლას. მაგალითად, ზ. ვამ-
სახურდიას აქსიომალ შიანია, რომ „მეცხელა-
დროში საბედისწერო გვიგებობის იწვევდა
ფილოლოგიისა და ენათმეცნიერების ჩარევა
ლიტერატურის საქმეებში“. მიზეზი ერთია:
„ენათმეცნიერება პათანტოლოგიურ ოპერაციებს
ახდენს ენის გვაშუ (sic), ხოლო მწერლობა
ქმნის ენის ცოცხალ რეალობას“. მიზეზის მი-
ზეზი კიდევ სხვაა: „ფილოლოგიის ზოგჯერ
დღაღობით ესთეტიური ადლო, პოეტური ენის
შეფასებისას ისინი თავიანთი წინაწარგანსაზ-
ღვრული შაბლონური კანონებიდან უფრო გა-
მოაღიწარებენ (დააკვირდით სტილს, ა. თ.),
ვიდრე ესთეტიური აღქმიდან“ (№ 12, გვ. 125).
ყველაფერი ნათელია: სალიტერატურო ენა
(უფრო სწორად: მხატვრული ლიტერატურის
ენა) მავან და მავან მიზეზთა გამო ენათმეც-
ნიერთათვის აკრძალული ზონაა. საიდან მოდის
ასეთი უნდობლობა?

რა თქმა უნდა, საკითხი მუდამ ასე არ მდგა-
რა. აღორძინების ზანამდგ ენის მოვლის საქმე
სწორედ გრამატიკურება და ორატორებს ეხა-
რით. კვინტილიანე გრამატიკის ერთ-ერთ ფუნქ-
ციად „სწორმეტყველების ფორმირებას“ ასახე-
ლებს. თვით პირველი გრამატიკის სახელწოდება
— ბერძნ. *techné grammatiké* ლათ. *ars
grammatica* (გრამატიკული ხელოვნება) საე-
შაოდ მრავალმეტყველად ეღერს. ამერიკელი
ლინგვისტის ეინარ პოუგენის აზრით, ამ დროს
კლდი იყო ერთგული სიმბოლო, ლინგვისტიკა
კი — ერთგული გმირი. ესთეტიკოსი მას მშვე-
ნიერებას ნორმათა დამკველად თვლიდა, ლო-
გიკოსი — რაციონალიზმის დამწერგავად, ფი-
ლოსოფოსი კი — აზროვნების კანონების ამ-
სნენლად² ასევე. ავტორიტეტით სარგებლობ-
დნენ ლინგვისტები ლიტერატურათა წრეებშიც.
მაგალითად, რასინი თავის ტრაგედებს სამს-

კავროდ სთავაზობს გრამატიკოს ვოკლას: იტი-
ლიელი აბიოსტოს „შმაგი როლანდის“ შესახებ
რედაქცია ფილოლოგ ბემზოს „რეკომენდაციის“
ევრდნობა; ცნობილი სკულპტორი ბენვენტო
ჩელინი თავის „ცხოვრების აღწერას“ შესას-
წორებლად უგზავნის გამოცდილ სტილისტს —
ვიარეს; გარდა ამისა, ხშირად თვითონ მწერ-
ლებიც არ თაყილობენ ფილოლოგის შიმში პრო-
ფესიას: ადგენენ ლექსიკონებს, განიხილავენ
სალიტერატურო ენის გრამატიკის შექმნის გეგ-
მას და ა. შ.³

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია: უნდობლობა
ლინგვისტთა მიმართ თავდაპირველად თვით
ენათმეცნიერების შიგნით ჩაისახა. ზოგი მი-
მართულბა კატეგორიულად უაყოფდა მხატ-
ვრული ლიტერატურის ესთეტიკურად შესწავ-
ლის აუცილებლობას. მაგრამ არ შეიძლება მეც-
ნიერული მიდგომა პირობულ ნაკლად ჩე-
თვალეთ („დალატობთ ესთეტიკური ადლო“...)
ეს არის ტრადიციული, ფორმალისტური გრა-
მატიკის პრინციპი: ენა შესწავლილ იქნეს მხო-
ლოდ გრამატიკულ (უკეთეს შემთხვევაში, სე-
მანტიკურ) პლანში, ენის შესწავლის უპირვე-
ლესი ასპექტი კი ენათმეცნიერების მიღმა
რჩება. შ. ბალის სიტყვებით: „აქ, სადაც ენა ე-
სთეტიკურ განზრახვათა განხორციელებას ემსა-
ხურება, ლინგვისტს ვასაეთებელი აღიარებერი
აქვს“. მხატვრული ნაწარმოების ენის შესწავ-
ლა პოეტურ სტილისტიკას დაეკისრა.

მაგრამ ყველა ენათმეცნიერული სკოლა ასე
არ წყვეტდა საკითხს. ფოსლერი და მეიე სწო-
რედ ესთეტიკური ფუნქციის შესწავლას ანიჭე-
ბდნენ უპირატესობას. აივ დღევანდელი სტრუ-
ქტურალისტებისთვისაც იგი უცხო. დღის წეს-
რიგში დადგა წმინდა ფორმალისტური პრინცი-
პების გადასინჯვა, ენის ფუნქციური განხილვის
წინაწარმოყვა. გრამატიკულ-სემანტიკური ანა-
ლიზი მწერლის ენის გამოკვლევის მხოლოდ
პირველ ეტაპად იქნა აღიარებული. მეორე
და სამოლო გეტავე — სტილისტურ ანალიზ-
ზე ლიტერატურათმცოდნეობასთან ერთად ენათ-
მეცნიერებაშიც განაცხადა პრეტენზია. ასე, მა-
გალითად, პრადლ ლინგვისტებს მოაჩნიათ, რომ
პოეტური ენის ძირითადი მობლემების შეს-
ვლისას ლიტერატურის ისტორიკოსები შე-
ცდომებს უშვებდნენ იმის გამო, რომ „არ პქო-
ნდათ საკმაო მოზადება ლინგვისტური მეთო-
დოლოგიის დარგში“² იაკობსონის აზრი ამ
საკითხზე უფრო მეტად მკაცრი და უკომპრო-
მისია: „მეტყველების პოეტური ფუნქციისაღ-
მი ყრუ ლინგვისტის ისევე როგორც ლინგვის-
ტური პრობლემებისაღმი გულგრილი და ლინგ-
ვისტური მეთოდების უცოდინარი ლიტერატუ-

¹ არნ. ჩიქობავა, „მეცხელისა და ახალი ქართუ-
ლის კომპონენტებისათვის „ვეფხისტყაოსნის“
შე...“ კრებ. იკე, 1966. ტ. XV, გვ. 5.

² იბ. მისი, *Linguistics and language plan-
ning*, კრებ. Sociolinguistics, 1966.

¹ რ. ბუღაგოვი, დასახ. წიგნი, გვ. 51-59.
² იბ. კრებ. *Пражский лингвистический
кружок*, Тезисы... 1967, გვ. 28.

რათმკოდნე, წარმოადგენს აღმაშფოთებელ ანაქრონიზმს*.

გამოსავალი აქ, რასაკვირველია, მწერლის ენის პარაზიტულ შესწავლაშია, ოღონდ, იმის მკაცრი ვათავალისწინებით, თუ რომელი ასპექტია მკვლევარისათვის ძირითადი, „სპეციალიზაცია“, და რომელი — დამხმარე. ამ მხრივ, იდეალური ენათმეცნიერი სწორედ თვით იაკობსონია, რომელიც შესანიშნავად ათავსებს ესთეტიკოსისა და ლინგვისტის რთულ მოვალეობას. როდესაც ასეთი დატვირთვა ერთი პარაგნების ძალას აღემატება, მაშინ საჭირო ხდება ენათმეცნიერის, ლიტერატურათმცოდნისა და მწერლის პარაზიტულ ურთიერთობაზე დამყარებული კონტაქტი. როგორც ცნობილია, ახლა სინთეზისაგან მისწრაფვის მეცნიერებაც და კულტურაც. თუ კი ლინგვისტის, ფონოგრაფის, ფსიქოლოგის, მათემატიკოსის და სხვათა თანამშრომლობას არაფერი ეღობება წინ (ვგულისხმობთ ახალ მიმდინარეობებს: სოციოლინგვისტიკას, ეთნოლინგვისტიკას, ფსიქოლინგვისტიკას, მათემატიკურ ლინგვისტიკას...), მაშინ რაღა ესთეტიკოსთან და მწერალთან გვიბრუნა კავშირი? იქნებ ასეთი კონტაქტის პირშიოდ დღეს საკმაოდ ფარგლებშემოზღუდული ლინგვისტიკის სტრუქტურა მოგვეულონო?

ამრიგად, ენათმეცნიერებას ამ მხრივ სასაყვედურო არაფერი ჰქონია. ვფიქრობ, უნდა ბლომს კვებავს ერთი მეტად ტრადიციული ხასიათის ცურაწმენა: მწერალს ჰქონია, რომ ენათმეცნიერი მას ეცილება ენის „შექმნაში“, როგორც ზემოთ გვაჩვენებ, ენისადმი აქტიური მიმართება არც მწერლისთვისა და მისსაზღვრელი, მით უმეტეს, ის ითქმის ენათმეცნიერზე. იგი, რასაკვირველია, ენას არ „ქმნის“, არც მის კანონებს იგონებს; მხოლოდ წარმოაჩენს მათ და მეცნიერულად ასაბუთებს: ამასთან, აუღუნს მწერლისეულ ენობრივ ლაფუნებს და უთითებს მათზე. არნ. ჩიქობავა ხსენებდა იტალიურად: „ენის, კერძოდ, სალიტერატურო ცოცხალი ენის შექმნა ენათმეცნიერების ამოცანა არც ყოფილა და ვერც იქნება. ენათმეცნიერების ამოცანაა გამოავლინოს ის კანონზომიერებანი, რაც დამახასიათებელია შესასწავლი ენის ბგერითი სისტემისათვის, მორფოლოგიური და სინტაქსური წყობისათვის, სიტყვათშედეგნილობისა და სიტყვაწარმოებისათვის, სტილისათვის“.¹

საინტერესოდ ანალიზებს ამერიკელი პედაგოგი ლინგვისტის როლს „ენის დადგენის“ (language planning) საქმეში, რაც ძირითადად გულისხმობს ენის ექსპრესიულ შესაძლებლობათა ვაჰლიდრებასა და მოწესრიგებას.

* მისი, ობიექტური საზომისათვის... ლიტ. განხეთი, 3/VI, 1956.

გებას. მისი აზრით, დღეს „როდესაც ინფორმაციის თეორიამ მოგვცა უნიკალური აქსელის“ ზუსტი განსაზღვრა, ნვენს ლინგვისტის ვთელით მხოლოდ ტექნიკურ პერსონალად და ლინგვისტიკურ ექსპერტად. მართალია, ენობრივი ნიუანსების ლინგვისტიკული შეტარება ზოგჯერ დაბნელებულია ინტენსიური მეცადინეობით, რაც ენობრივი შექმნის მიმდინარეობის ხაზით მიმდინარეობს, მაგრამ არ არსებობს არაფერი, რასაც შეეძლოს ხელი შეუშალოს ლინგვისტის სიყვარულს საყვთარი ენის მიმართ. იგი მოწოდებულია ვინააზლოს ენის ცნობილი წესები, რისთვისაც მას მეოცე საუკუნის ენათმეცნიერება აძარავებს ზუსტი და ობიექტური მონაცემებით (იხ. მისი ზემოდასახ. წერილი).

მაშ, სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საქმეში გარკვეული პასუხი ენათმეცნიერსაც მოეთხოვება აქ ლაბარაია იმაზე, რომ ნორმატივის საკითხი არ უნდა წყდებოდეს „ეტიკური ტერმული მწერლების ჩაურევლად“, რომ ენათმეცნიერებთან ერთად „საბატიო როლი ენიჭება მხატვრული სიტყვის ოსტატებს“ (ნ. ძაბიფორი). და არა იმაზე, რომ ენათმეცნიერი საერთოდ გვარდზე დააყენონ ამ წმიდათაწმიდა მოვალეობისაგან.

ზ. გამსახურდიას შესაძლოა აქ განსვენებულ ვ. მაქავარიანის წერილის² პათოსი ერთი შეხედვით მწერალთა მიმართ უსაზღვრო უფლებების აღიარებად მიგვეჩვენოს: „მწერალი ენათმეცნიერს უფერებს როგორც უმდარაშს, რომლის ერთადერთი ფუნქციაა აუკრძალოს მას ამა თუ იმ სიტყვის ან ფორმის ზმარება“... (№ 12, გვ. 130). თუ ყარვად ჩაუფიქრებელია, ეს მთლად აუ არ ვახლავთ. რა თქმა უნდა, „გრაბატორის დოგმებსა“ და „მწერლის საღ ენობრივ ინტუიციას“ შორის კონფლიქტის თანამედროვე ენათმეცნიერებამ უთუოდ მწერლის მხარე უნდა დაიჭიროს. მაგრამ ასე ვერ მოიქცევა იგი, თუ შემოქმედს ფერისადა აქვს ვახლავთ საზოგადოებად დღეგნილ კანონებთან ანტაგონიზმი* (შეგობთ ოპონენტის დევიზს). ჯორმიათა სიჭრელს მხატვრული ლიტერატურის ენა ვერ იღუებს და, ამდენად, ასეთი ექსპერიმენტები ინდივიდუალური ვარჯიშის საზღვრებს არ სცილდება. მართალია, როგორც შემოქმედი, მწერალი ვერ იტანს მკაცრ რეკლამენტაციას, არღვევს ენის ჩვეულ ფორმებს, მაგრამ პრა ყოველითვის ენათმეცნიერული კა-

¹ გვიხსენით ასევე გულისტყვილით ნათქვამი არნ. ჩიქობავას სიტყვები: „ქართული ენათმეცნიერი ქართული ენის მსახურია, ზეირიანი თუ უზვირო, მაგრამ ერთგული მსახური“.

² „სალიტერატურო ენის ნორმირების ზოგიერთი საკითხი“, „ცისკარი“, 1968. № 12.

ნონების ჯიბებზე, ხშირად მისი თანხმობითაც, თან იმის ნათელი შეგნებით, რომ საყოველთაოდ დადგენილ კანონთა მიწინააღმდეგე იქნება დატყუი (გვერდსენათ თქმა: არ არსებობს ინდივიდუალური ვრამატკია. არსებობს მხოლოდ ინდივიდუალური სტილი). ნახეთ, რას აპრობს გ. მაკეაბიანი, როდესაც მწერლის საღ ინტუიციას ვერ ზედამხედველად ვაფასებთ, თითქოს თანამედროვე ენათმეცნიერების პოზიციებზე მდგომი ლინგვისტი ყოველთვის მწერლის მხარეს დამოკიდებულია. ზოგჯერ მწერლებსაც «ემულტბათ» და ვერმართლებელი ენობრივი ექსპერიმენტების, ხშირად ენის დაპაობებულა (დუდაშვილი: ვადაპირბებელი. ა. თ.). არქაიზაციის გზას აღვებთან. ამგვარ შემთხვევებში ლინგვისტის რეაქცია, ალბათ, უარყოფითი იქნება» (№ 12. გვ. 131).

როდესაც მწერლის ადგილზე ლაბარაკობს, გ. მაკეაბიანი მხედველობაში აქვს მხოლოდ შემოქმედებითი აქტი. შიღვეფობის ამ პრაქტიკული სფეროთია გამართლებული პედგენის მიერ დამწებული შეღვათი. ლიტერატორი იმდენად სუსტად ფლობს ენის ტექნიკურ ცოდნას, რომ არ შეუძლია ვანმარტოს, თუ რას უპირებს ენას: შექმნის ტალანტი აუცილებლობით არ ემთხვევა კვლევის ტალანტს. მაგამ სეროთხული კამათის დროს მწერლს არ უნდა უპირდეს თავისი თვალაზრისის თეორიული დანამტებება. ამ შემთხვევაში მას ფაქტობასადმი ენათმეცნიერული მიდგომა უნდა შეეძლოს. ლიტერატორის ისტორიამ იცის ამის არა ერთი და რიგი მაგალითი. როდესაც დანტე მწერდა ტრაქტატს იტალიური სახალხო ენტყველების შესახებ, იგი მაშინ ნამდვილი ენათმეცნიერი იყო; როდესაც ლეონარდო მწერდა თავის ფილოლოგიურ გამოკვლევებს, იგი მაშინ ნამდვილი ენათმეცნიერი იყო; როდესაც ილია მწერდა ძველი ასოების ენიდან ვადვარდნის შესახებ, იგი მაშინ ნამდვილი ენათმეცნიერი იყო... აქ შეღვათი დაუშვებელია. მაშინ არ უნდა ვაიმართოს კამათი.

ნუ დავტოვებთ უყურადღებოდ ერთ დელიკატურ საკითხსაც: ვის გულისხმობენ ოპონენტები მათი თარგმანების მკითხველად? ჩემს კითხვას: «ბოლოს და ბოლოს, ვისთვის თარგმნით თქვენ?» ზ. კანაძე კონტრკითხვას უპირისპირებს: «ვისთვის? მწერდენ რუსთაველი, ბარათაშვილი, ვეფხტაველა და სხვანი, მის მიერ «არქაულად» მონათლული მწერლები?» (№ 11, გვ. 98).

აქ პასუხი ერთია: რუსთაველი მწერდა თავის დროის მკითხველისათვის, შემდეგი დროის მკითხველისათვის. მისთვის, ვისაც «ვეფხისტყაოსანს» «მზითვად ატანდნენ». და თუ დღეს ზოგი ხატყვა ბუნდოვანია, მხოლოდ იმიტომ, რომ რეაიას წლის მანძილზე რაღაც არქაიზად

იქცა, რაღაც ენობრივად ვადვასდა, მაგამ. ეს არაა მთავარი. ოპონენტის პოზიციას ჩემს მწერს თქმაში, რომ პეტრიწის მიმბე ენა «თავის დროს» უცე სპეციალურად ვანსწავლული მკითხველისათვის იყო ვამზინული», თითქო ასეთ თქმაზე არ შეიძლება ნათლად წერა (გერცენი სწორად შენიშნავდა: «არ არსებობენ რთული მენიერებანი, არსებობს მხოლოდ რთული ვადმეცნიერება»); მისი ორიენტაცია ჩანს ჩემს მიერ დამოწმებული «საშუალო ინტელიგენტის» რთინულ ხსენებაშიც (№ 11, გვ. 93). მაშინ როგორ ვავიგოთ ადგილი ჯოვანი დელ ვირჯილიოს მიერ დანტესადმი მიძღვნილი ეპიტაფიიდან: «აქ ვანსწავნებს ვანსწავლულთა უსაყვარლესი ავტორი»? მე მხედველობაში არა მყავს დაბალი გემოვნების მკითხველი, იაფფასიანი დეტექტივებითა და ბუნდოვანი რომანებით რომ ირთობს თავს. ზელოვნება, რა თქმა უნდა, მის ღონეზე ვერ დეიშვება. მაგამ მე ვგულისხმობ ინტელიგენტს, სულერთია ჰუმანიტარი იქნება ის თუ ტექნიკური დარგის სპეციალისტი. ასეთი ორიენტაცია არ ეწინააღმდეგება თვით «მაღალ მატერიებზე» მოსაუბრე დანტეს არჩევას: «ბოლოსდა უნდა სიტეტის ერთობიერებულა აღზრდილი მონად ისახავდა პოეზიის საშუალებით ზელმისაწვდომი ვახებადა მენიერება, მიმართავდა რა საშუალო ადამიანის ათვის ვასაგებ (ხაზი ჩემია. ა. თ.) მარტვე საშუალებებს» (იხ. დე სანტისის დასაზ. ვიჯი, გვ. 65). ასეთი მკითხველი, ცხადია, არ მოგოწონებს ვაბრანტულობასა და ზემოდან ყურებას, რადგან საუცხოოდ იცის ცნობილი თქმის ფასი: კარგი პროზა უნდა ჰვადღეს ვადგად აღზრდილი კაცის საუბარს. ვავიხსენოთ მონტენის საყვედური ზოგჯერით ფრანგე მწერლის მიმართ: «ისინი საემოდ ქედმაღლები და კანდერები არიან, რომ იარონ ყველასათვის საერთო გზით, მაგრამ ვამომგონებლობისა და მოკრძალების უგამართა უღმობლად ღუგას მათ... (История эстетичи...). როგორც შენიშნავენ. შექსპირიც სწორედ იქით იმრავაფოდა, რომ მისთვის ვავიგოთ თანამედროვეებს, თეატრ «გლობისის» მრავალრიცხოვან მსუტრებლებს.

მაშასადამე, მწერლებს ყველა დროში ამოირავევბათ «მკითხველისაგან სათანადო რეაქციის გამოწვევის სურვილი», რადგან კარგად იცოდნენ: წინააღმდეგ შემთხვევაში მასთან კონტაქტის გზა საშუადამოდ მოჭრილი ექნებოდათ. აქ შეიძლება მწერტობის დასაა, მაგრამ ვვერდს ვერ აუტვლით ერთ მეტად მტკივნეულ საკითხს: საით მიდის ახალი ქართული? — რთმელზედაც ზ. ვამსახურდას საემოდ არასწორი პასუხი აქვს, ყველაფერი იწყება თვით ახალი ქართლის აღმოცენების დამახინჩებული ვავებით: «XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ ლიტერატურას შემოეხიზნენ წერილ-

ფეხა მწერლები და ევრნალისტები... მათ შე-
მოიტანეს ქართული ლიტერატურისათვის უცხო
სული, რომელმაც გამოიღო თავისი შედეგი ენა-
შიც... ცნობილია, აზროვნების პრიმიტიულობა
და სიღრმეები ენობრივ სიღრმეებში ვლინდებ-
მა ზოლმე... (№ 12, გვ. 124). მანამდე მოთვარი
ისაა, რომ ოპონენტებს ახალი ქართულის შეერ-
ვეობა მხოლოდ ამ „წერილუხობისა“ ჩაბარა,
ილია კი გრ. ორბელიანის ენობრივ პოზიციანე
მდგომარეობა (7). მაშინ რატომღა „აზო-
ბოტკა გრ. ორბელიანი და ცხელ გულზე უმა-
რთებელი საუვედურებიც კი აკადრა დიდ ილი-
ას“? (ოპონენტის სიტყვებით). იმით, რომ
გრ. ორბელიანმა კარგად იცოდა: ილიას თავისი
იდეოლოგიითა და ენობრივი მრწამსით „ამ
წერილუხობის“ მხარე ეჭირა. „მამათა და შვი-
ლთა“ უთანხმოების ერთ-ერთ არსებით მიზეზს
სწორედ ენობრივი პოზიციების შეუარეველობა
განსაზღვრავდა. როგორც ცნობილია, თერგდა-
ლეულების მახელი ძირითადად მიმართული
იყო ანტონ კათალიკოსის „სამი სტილის“ წინა-
აღმდეგ, რომლის გავლენას ვერ ასდენენ ძვე-
ლი თაობის წარმომადგენლები, ყველაზე მეტად
— ა. ქავთავაძე, შედარებით ნაკლებად — გრ.
ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი. ფაქტობრივად
„სამი სტილის“ თეორია საამი ენის აღიარე-
ბას ნიშნავდა. ილია გრწმობდა ამს და „ჭერ-
კიდევ ადრე, 60-იან წლებში, თეორიულად და-
ასახებთა ძველი ენის დროს ოკუმენტო-
ბა (მაზია ჩემი. ა. თ.) და ახალი სალიტერატუ-
რო ენის გავრცელებისა და დამკვიდრების აუ-
ტორულობა“ (წ. ჭიბჭუჭი). რა თქმა უნდა,
ასეთ პოზიციანე დგომა ზელს არ უშლიდა მას,
რომ „განდევოლის“, ამ რელიგიურ-ასკეტურ
ხასიათის ნაწარმოებთა წერისას სტილისტურ
ხერხად არქონებებისათვის მიეშარდა.

ილიას ამ ბრძოლისას მხარში ედგა ი. გოგუხა-
შვილი, რომელიც თავისი წერილებითა და „დე-
და ენით“ დაუნდობლად ილაშქრებდა „დროიკო-
პშული არქონების“ წინააღმდეგ, მათა დამკვი-
რულებს „ძველი წიგნების ბრმა თაყვანისცემე-
ბად“ წათლავდა. ცხადია, აკაცე მათ გვერდით
იყო. ანაშახატის დეკანოზის ეფრემის წერილზე:
„ამსთანა ლექსებს მდამოი ენით ნუ სწერ, დარ-
ბაისლური ენა ეჭირებნათ“, ახალგაზრდა აკაცე
ასე შენიშნა: „და მეც გადაუწყვიტა, რომ თუკი
დადუღდა მწერლობას, მაგრამ სახალხო ენით და
არა დარბაისლურად უსწერო“. მისი სახიმღერო
ლექსები და უაღრესად გამჭვირვალე პაროზა
ამის ნათელი დასტური ჩანდა.

ცოტა მხოვავარად უნდა შევხედოთ ვაჟას ენო-
ბრივ პოზიციას. მიაჩნიათ, რომ იგი კონსერვა-
ტორი იყო ენის საკითხში, მაგრამ მის სიმპა-
თიებს არქაულის მიმართ მიიწე თავისებური ახ-
სნა უნდა. მას აშართლებს თვით ფშაური, ვაჟა-
შშობლიური კილო, რომელშიც ზესტურების

მავგასად უხვადა წარმოდგენილ უნდა ღერ-
მები და ლექსიცა. ამრიგად, ვერცხველ ენას მხო-
ლოდ წიგნით კი არ იცნობდა, მსუ უაქვეანო ქრ-
ცხალი კონტაქტეც ჰქონდა მასთან. მაგრამ რო-
გორც უკვე აღინიშნა, ის არქაული, რასაც მწე-
რალი ცოცხლი დააღვქტიდან იძენდა, არ ჩი-
თებულმა მხოლოდ არქაულად, ის პირველ რიგ-
ში დიალექტის მითა და შემდეგ — არქაო-
იზმი. ამას თუ დავსწენთ, რომ ვაჟას პაროზა
აღიარებულა ახალი სალიტერატურო ენის უმა-
ღლეს ეტალონად, დავრწმუნდებით, მის თეო-
რიულ გამოთქვამებსა და შემოქმედებით
პრაქტიკას შორის რა ზღვარი დებულა.

ასეთია სინამდვილე. შემდგომ, როგორც ჩანს,
ზ. ვასახურდიას არ ეგამნიცა „ქართულის წახ-
დენის“ მანამდე თქმული ვერსია და სამანებნი
უფრო სიღრმეში გადაიტანა (ეგრძელ, საბას-
თვის იგი უკვე „ნაცნობა“ ყოფილა). „გარკყნი-
სა და დაჯინებვის სიმპტომებად“ ოპონენტი შე-
მდეგს ასახელებს: „დავიწყებას მიეცა დიდალი
ლექსიკური მასალა... ენა სინონიმურად გაღ-
რობდა... სინტაქსი გამარტივდა, ორგანული ქარ-
თული წყობის ადგილი დაიკავა უცხო წყობამ“
(№ 12, გვ. 124).

აქაც გადაკარბებისა და გამოქვების ტენდენ-
ციია. მართალია, ბევრი რამ დავიწყებას მიეცა,
მაგრამ ვაცილებით მეტი დამკვიდრდა ენაში.
აქი ეწერდით კიდევ: „...ენა შიღირდება ახალი
ლექსიკით (თანაც უფრო ინტელიტურად, ენ
იგო, ნამატი მეტა, ეიდერ დანაკარგ“ (№ 8,
გვ. 135). იქნებ ქართული გამოწაკისისი ამ სა-
ყოველთაო კანონიდან? მაშინ რას წარმოადგენს
„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“
საქმობი სილოდური რეპარტიველი?

მეოთხე ოპონენტი წერლის დასპარტლს „სა-
ბრალმდებლო მუხლებს“ ასე იწყებს: „ეს ი.
თაყაიშვილებს მიერ გამოგონილი „ახალი“
ენა სხვა არაფერია, თუ არა ლექსიკურად გაღ-
რობებული, სინტაქსურად დაჯინებული და ეპო-
ციონილურად (უნდა იყოს: ემ ოციო რა დ.
ა. თ.) დადუნებული ჩიქორთული (და არა ქარ-
თული), რომელიც აკმაყოფილებს პრიმიტიუ-
ლად მოაზროვნე ლიტერატორებს“ (№ 12, გვ.
125).

აქამდე ვიყოლით, რომ საზოგადოების განვითარებისათვის ერთად ენაც ერთად დებოდა, ახლა

1 ამ საკითხებზე ამხვილებს ყურადღებას ი. იმნაშვილი 1968 წელს გამოსულ საინტერესო მონოგრაფიაში, „ვაჟა ფშაველა და იველი ქართული“ მწერლობა.

2 ამ საკითხებზე ცალკეა სიქირო ვრცელი და საფუძვლიანი მუყელობა.

3 ჩანს, „ა. თაყაიშვილებში“ ოპონენტი იემ-
თან ერთად ამავე პოზიციანე მდგომ სხვა პი-
რებსაც გულისხმობს. მაშინ ინიცილებიც მრავ-
ლად უნდა დაიწერა...

კი მის ნაცელად ენის დაინებებისა და გაღარიბების* სურათს გეთავაზობენ. როგორა ჰგავს ეს თვალსაზრისი ენათმეცნიერების პირველი თეორეტიკოსების მცდარ ნაზრევს, რომლას მიხედვითაც „ენა ეითარღებოდა მხოლოდ წინარე ისტორიულ პერიოდში, რის შემდეგ თითქოსდა იწყებოდა მისი დეგრადაცია“.

ა. თაყაიშვილი „მყოვარ-გამ დაინებებით“ შეახსენებს ზ. ვამსაზურდიას, რომ ეს „ახალი“ ენა მის მიერ კი არაა გამოგონილი, არამედ იგი სიხლი სისხლთაგანი და ზორცი ზორცთაგანია შეჩნულეს, რესთაველის, სულხან-საბას, გურამაშვილის, ბართაშვილის, ილიას, ვაჟას და აკაკის ენისა. ეს არის ქართული ენის შინაგანი განვითარების ნაყოფი და არა იმტლებითი რამ აქტი. ამ ენაზე შეიქმნა ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, კ. კეკელიძის „ქველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, შ. ნუცუბიძის „ფილოსოფიის ისტორია“... ამ ენით წერს დღეს ქართველ მწერალთა აბსოლუტური უმრავლესობა; ამ ენით წერს და თარგმნის ოპონენ-

ტის თანატოლი თაობა — ჩვენს ლიტერატურისა და კულტურის მომავალი სინდის-ნაშენი, და, ბოლოს და ბოლოს, განა თვით ოპონენტებიც (სადავო არქაელ ნაყადს რომ თავი დავანებოთ) ძი რითა და დ ამ „ახალ“ ენას არ ევრღნობიან? კვლავ გავიხსენოთ „განმარტებითი ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში ნათქვამი: „ახალი ქართული სალიტერატურო ენა მ დ ი ღ ა რ ი ა და ს ა და, ხ ა ლ ხ უ რ ი ა და და ხ ვ ე წ ი ლ ი. ა მ ს ა და, და ხ ვ ე წ ი ლ ქ ა რ თ უ ლ ს შეუძლია არა მხოლოდ მხატვრული სახეები გამოყვეთოს, მას შესწევს ძალი სუკირო სიზუსტიოთა და სიღრმით გაღმსიყეს მეცნიერული, პოლიტიკური და ფილოსოფიური აზრის ურთულესი მომჩაობა და ფაქიზი ნიუანსები“ (გვ. 27).

ორიღან ვრთი: ან ყოველივე ეს უნდა უარვევოთ, ანდა, უკან წავიღოთ ყოველივე ამის შეურაცხყოფელი, „აკვიტებული კონცეპციები“. მესამე გზა არ არსებობს.



შალვა მარკოზაშვილი

ძსოპ ღავითაშვილი თელავში

1886 წლის სექტემბერი იყო. ხელოსანმა ვარდენ გოცირიძემ ძლივს მიაგნო შუშაპოეტის ცოცხე დავითაშვილის სამუფფელს. ღვიძლ ძმასავით ვადავხვია ღიღი ხნის უნახავ იოსებს და შინაურულად მოიკითხა.

ცხოვრების უკუღმართობით ვატანქული იოსები ვარდენს საიმედო მეგობრად თვლიდა, მასთან ყოველთვის ვულახლილი იყო. ავი ვარდენის ზრუნვა-ღახმარებით შუძლო კიდეც, რომ 1880 წელს მისი ღუქსების პატარა კრებული „სტირიო“ დატამბულიყო და ხალხში ვავრკულეულყო. იოსების სურვილის თანახმად, მისი ღუქსების წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი უფასოდ დავრიგდით მუშა-ხელოსნებს.

ვარდენმა ითანში მიმოიხედა და გული დავწყდა, რომ მისი მეგობარი ღიღი სიღარიბეში იყოფებოდა.

ღ. დავითაშვილი თავისებურად ღინჯად მოუყვა ვარდენს უკანასკნელი სამუშაოდან ვათავისუფლების მიზეზს. ზეცურის ქარხნიდან, სადაც იოსები უბრალო მუშად მუშაობდა, აქანყებამი მონაწილეობის მიღებისათვის ვააქვეყა.

— პოდა, ნეშო ვარდენ, ვაფიცავში როგორც ვართი ვქტიური მონაწილეთავანი დამსაქვს იმით, რომ თავიდან მომიცილეს. ზომ იყო, ღარიბების ბედის წყარო დამშრალია, ვეძებ საშუაოს და, ვინ იყის, საით ვადამტყორცინის ბედი... — უკანასკნელ სიტყვებზე იოსებმა ღრმად ამოიუნთქა და უმიედოვ ვადააქნია თავი.

ვარდენმა მეგობარს მხარზე ხელი ვადახვია და ურჩია თელავში ვაკყოლოდა მას, იქ სამუშაოს იოლად იმოვი, შენისთანა კარგი ხელოსანი უმეშვებრად როგორ დარჩებოა.

ვარდენის რჩევით ოქტომბერში იოსები თელავში ზავიდა და მამინე მონახულა თავისი

ნაცნობები. პოეტს სიყვარულით შეხვდა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ივანე როსტომაშვილი. ო. დავითაშვილი ქერ თელაველი მიხა სამადაშვილის სახლში ცხოვრობდა. მავრამ მალე დატოვა ის და დამინავდა ბადერაანთ უბანში, სოსია ბადერაშვილის სახლში.

თელავში ჩასვლისთანავე იოსები დავითაშვილი იქავურ ხელოსნებს ვაუხალოვდა. ზეთი ხელოსნის ვავრთიანებით შეადგინა ამხანაგობა. ამხანაგობის წევრები იყენენ: რვეეს სარაქიშვილი, მიხეილ სამადაშვილი, იოსები დავითაშვილი, ტრიფიმ პოპოვი და ვარდენ გოცირიძე. ამ ვავრთიანებამ საერთო ზელმძღვანელად და ზაზინაურად აირჩია პატროსანი შრომისმოყვარე იოსები. ამხანაგობის საქმე თავიდან კარგად წარიმართა. თვის ბოლოს თვითღველმა წევრთავანმა სამუშაო ღღეში მანეთი მიიღო, რაც, წინანდელთან შედარებით, კარგი ხელფასი იყო. ამხანაგობა ვაფუძენებული იყო არა კანონით დამტკიცებულ წესდებამზე, არამედ ურთიერთშრომის ნდობამზე. ეს ნდობა კი შემდეგ ზოგიერთმა ბოროტად გამოიყენა, უშრომლად შეეცადენ ფულის აღებას, რამაც იოსები ვააღლნა.

გულმართალი იოსები კოლექტიური შრომის მუქადავებული იყო და უნდოდა ხელოსანთა ამხანაგობა მარქვე, დავუხარელი მუშებით ვარდილიყო.

მალე იოსები ჩება თელავში არსებულ ღირატრულ წარეში, სადაც ვატაკებით კოხოლოვდენენ სხვადასხვა თხზულებებში. პოეტა-ხელოსანი ვაუმეგობრებოა იმხანად თელავში მცხოვრებ მწერალ ალექსანდრე ყაზბეგს, ვაუწრია დახმარება მას და მის ირგვლივ შეკრებილ სკენისმოყვარეებს დეკორაციების მომზადებაში. პოეტს ვანაყრობებით უყვარდა სახელვანთმულო მოღვაწე ივანე როსტომაშვილი.

როგორც ცნობილია, ივ. როსტომიშვილმა 1883 წელს ქ. თელავში, ძირითადად თავისი სახსრებით, დააარსა გლეხ ქალთა პირველი სკოლა, რომელიც გზის მანათობელ ჩიროდღანს წარმოადგენდა თელაველი დარბის ხალხის ცხოვრებაში. ამ სკოლისათვის ა. დავითაშვილმა დაამზადა მერხები და სრულიად უსასყიდლოდ გადასცა ივ. როსტომიშვილს, რისთვისაც სკოლის მესვეურის დიდი მადლობა დამსახურა.

იოსებს ზნობად ნახავდით თელავის პიბლიოთეკაში, რომელიც ასევე ივ. როსტომიშვილის დაარსებული იყო. პიბლიოთეკის თაროები, რომლებიც იოსებს ვულოდგინედ ვაძულებდებინა, მხახველის მოწონებას იწახებრებდა. პოეტი სხვებსაც ურჩევდა ევლოთ ბიბლიოთეკაში: გლეხებში წიგნი ვისწავლოთ, ეს არის ჩვენი ვალო.

დიღბანს იმუშავა იოსებმა თელავში ღვთაების ეკლესიისათვის ჩუქურთმისადიანი კანკელი გასაკეთებლად. მის ნამუშევარს სიამოვნებით ათვალიერებდა ხალხი და მარჯვენას ულოცავდნენ შრომისმოყვარე მეტექტრომებს.

როგორც ვანი პატაშვილი იგონებს, ერთ დღეს იოსებს, მიხა ხომიჭთრაშვილთან ერთად, ვაღუციონია ნ: დიკვარზე და, როცა იქიდან აღახნის თვალწარმტაც ველუხისათვის გადაუხედავს, აღტაცებით უთქვამს: შეხედე, მიხა, რა ლიდებელი სანახაობა იშლება აქედან, თუაღი ვერ ვტლხა ცუკრით. რა ზედნიერება იქნებოდა, რომ ეს მიწა აღახნის წყლით იჩუყებოდეს და ხალხი ერთიანი ძალით ამუშავებულს მას... მერა, მომავალი ასეც იქნება, მაგრამ შე კი ევლარ მოვესწრები იმ დღეს... მიხამ შეგობარი გააშხენია, მოხუცებულია ხომ არა იაო, რომ იმედი გადავიწვევებო.

ივანეს ქალიშვილებმა — ბაბო და ტასო როსტომიშვილებმა — კმაყოფილებით გაიხსენეს იოსებ დავითაშვილზე შრომლების მიერ ნაამბობი:

„ერთ საღამოს შინ მიმავალ ივანეს გზაზე შემთხვევით იოსები შემოეყარა, ისინი ველთბილად მოესალმნენ ერთმანეთს. მერე ივანემ თითქმის ძალით თან გაიყოლია პოეტი ხელოსანი.

— აი, ღიზა, სტუმარი მოვიყვანე! — ეთხრა ღიმილით ივანემ აივანზე ბაგშით ხელში გაჩერებულ მეუღლეს.

— სტუმარი ღვთისაა, მობრძანდეს! — ხალხობრივად ვუხმართა ღიზა და იოსებს შესახვედრად კიბზე ჩამოვიდა.

ქმართან ერთად, ღიზამ ოთახში მიიწვია სტუმარი. იოსებმა ვარკობთან ჩუსტების ვაჭა და აპირა, მაგრამ მასპინძლებმა ამის ნება არ მისცეს. სტუმარი მავღის ეთობესთან სიამზე მოჩიდებულად ჩამოქდა და მორცხვი ბავშვით თაე ჩადუნა.

ღიზამ სახელდახლოდ სუფრა გამოაღ. მე-რე ქმარსა და სტუმარს ხელები დაეჭირეს უხელო მავღასთან მიწვია.

ღალისფერი ღვინის სმის დროს იოსებს ლოყები ვაწწოთლა, სითამაშე მოემბატა და ლაბარაის ხასიათზე მოვიდა. იგი ზიზლით ახსენებდა გლეხების მრავალელებს: მამასახლისს, ვაჭარს, მღვდელს... მერე თავისი რამდენიმე ლექსი ზეპირად თქვა.

— რატომ უნდა იყოს კაცთა შორის შედლი და მტრობა, რატომ უნდა ერთნი ღიბეს ისტელებდნენ და მეორენი კი — სიღარიბეში სულს ლაფაფენენ? — სიტხა იოსებმა მასპინძელს და, სანამ ივანე უმასტებდა რამეს, თვითონვე დაუმატა:

გვეყოფა, რაც რომ გვეძინა,
დროა გავალოთ თვალიო...

წასვლის წინ იოსებმა ველთბილი მიღება-გამსამინძღებინათვის ღიზასა და ივანეს მადლობა მოახსენა, გამოეთხოვა და მძიმედ დაეშვა კიბეზე.

— ნუ დავვიწყებთ, გეთაყვა, გამოგვიარე ხოლმე! — თითქმის ერთხმად მიადგენენ სიტყვებიც ცოლ-ქმარმა.

ცოცრების მძიმე პირობებით დაზარდული დავითაშვილს 1887 წლის დასაწყისშივე ჯახვატეხილობა დაეტყო: ზნობად ახველებდა, თავის ტყვიელს უჩიოდა, სუსტად გრძობდა თავს, მარტის დასაწყისში ლოგინად ჩავარდა. ივ. როსტომიშვილმა სკადა, თავის ბინაში გადაყვანა იოსები, მაგრამ ავადმყოფმა უარი განაცხადა, ღამით ზნობად მახველებს, არ მოვასვენებთო.

ღრადადრო ღიზა მიდიოდა იოსების სანახავად და თან ცხელი კერძიც მიჰქონდა.

ერთ დღესაც, როცა ავადმყოფ პოეტს სიტხე მოემბატა და თვალბიცი უბნულდებოდა, სახლის პატრონს შეეხვეწა, იქნება ივ. როსტომიშვილს ან მის მეუღლეს ზნა მიაწვდინოთ, რომ მინახტლონო. ივანე იმ დროს შინ არ იყო, ღიზამ მამიწვე ბავშვები მეზობელს ჩააბარა, სატმელები მოამზადა და აჩქარებული ნაბიჯით წავიდა ავადმყოფის სანახავად.

იოსებს სუნთქვა უჭირდა, ბორბავია, ვაფთორებულს თვალეში დავებუა.

ველდამწვეტილი ღიზა საწოლთან ახლოს გაჩერდა, თვალეზე მომდგარი ცრემლები სწრაფად მოიწმინდა და ავადმყოფის მარჯვენას შეეხო.

— ფილტვების ანთება დაემართაო, ქალბატონო! — მოახსენა სახლის პატრონმა ქალს.

— იოსებ, იოსებ, აბა ერთი შემომხედე, აბა თვალეები გაახილე? — ეთხრა ავანალებულმა ღიზამ.

პოეტმა თვალეები გაახილა და ღიზას ოდნავ გაუღიმა.

— მაღლობელი ვარ, ქალბატონო, რომ მინახულე! — უთხრა მან და გააყარვოლა.

ლოზა სცადა ტბილი სიტყვით ენეტყვიდინა ავადმყოფი, მაგრამ იოსები, თითქოს მისი ნათქვამი არ ესმისო, უძიებოდ იქნედა ხელს.

იოსებმა ერთხელ კიდევ ღრმად ამოიღუნთქა და შემდეგ სახლის პატრონებს საზოგადო, რამდენიმე წუთით ღიზისთან მარტოდ მამყოფეთო, როცა მისი ნათქვამი შესრულდა, ნაღვლიანი ხმით უთხრა ქალს:

— აი აჲ, ტახტის ქვეშ ყუთი რომ არის, ვარჯთ გამოწიეთ, ქალბატონო!

ლოზამ ყუთი გაშისწია. იოსების დაეაღებით იქიდან ამოიღო თუნუქის პატარა ყუთი და ავადმყოფის საწოლზე დადო.

— ამ პატარა ყუთში, ქალბატონო, ჩემი ნაწერებია შენახული, რომელიც მე ვიშვილე... აქედან ზოგი გამოქვეყნებულია და ზოგიც გამოქვეყნებული და, აი, მინდა, რომ ჩემი სიყვდილის შემდეგ არ დაიკარგოს, თქვენ უპატრონოთ, მოეძარათ...

ლოზას ცრემლები მოეჩია და საპსუბოს თქმა ევლარ მოახერხა. მან პატარა ყუთი სათეთად შეაგია ვახეთში და წასასულად მოემხადა.

— აი, ცოტა საქმელი მოგიტანე, იოსებ, ქაზე ვეათყვა, შერე მე და ივანე ერთად გნახეთ! — უთხრა წასულის წინ ქალმა, ვარჯთ გავიდა და სახლის პატრონებს საზოგადო, არ მოსცილდეთ ავადმყოფსო.

იმ დღესვე ივ. როსტომაშვილმა ავადმყოფი პოეტის სანახავად მიიყვანა თელავის მარხაში განთავსებული ექიმი ზელნიცი, მაგრამ იოსებს ცოცხალ ევლარ მოეღრეს.

ი. დავითაშვილის დაქრძალვის საქმეს ივ. როსტომაშვილი და ვ. გოცირიძე ჩაუდგნენ სათავეში და საამისოდ სათანადო სადარბაზო დაიჭირეს.

თელავის სასაფლაოზე იოსების დაქრძალვის, ღვრგლებას ამქრების გარდა, ქალაქის ინტელიგენციაც დაესწრო. პოეტის კუბოსთან გულმამათყვებელი სიტყვით გამოვიდა ვარდენ გოცირიძე:

„მოვდით აჲ, რომ უკანასკნელად პატრი ვცეთ და საუკუნოდ მიგაბართო უღმობელის სიყვდილისაგან მოტაცებელი ჩვენი ნაცნობი და მეგობარი ვაქამაღარ მიწას!

განსვენებული იყო ჩვენი ამხანაგი, ერთი ღარიბი ღვრგალი, საწყალი გლეხი კაცი. ჩვენ, მთელს ამქრებს, გული გავწვივს და განუბოძად ვწუხვართ, რომ ჩვენი გულთაღი მეგობარი და ძვირფასი ამხანაგი გამოესალმა ამ წუთისთვის... განსვენებული პატრივისცემის

ღირსი იყო, ამიტომ გვეწოდებოდნენ გმელ და ჩვენთან ერთად სწუხხართ მისი უღმობელი დაქრძალვა“.

შემდეგ ვ. გოცირიძემ ვრცლად გააცნო იქ დამსწრე საზოგადოებას ი. დავითაშვილის ეინაობა, რომ ის მეშა-პოეტი იყო, შერე ნაღვლიანად დაუმატა:

„...დავარჯვთ შესანიშნავი ხელოსანი, დავარჯვთ ღრმად პატრიოსანი მშრომელი და სინდისიერა კაცი და თუ წუხილი და გლოვა არ გეშარებებს, დღეს მინაც დაეთათსათ და ვუთხრათ განსვენებულს: საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატრიოსანი მეშაყო იოსებო!“

ი. დავითაშვილი, როგორც პოეტი, თელავის საზოგადოებამ ვ. გოცირიძისა და სხვების სიტყვებთან გაიგნა. შემთხვევითი არ იყო, რომ პარაცისის მონაწილეთა დიდი ნაწილი სინაწილეთი ამბობდა, რატომ სიუცხლესი პოეტს ასე ვარჯად არ ეცნობდით, რომ მისთვის საყვარისი პატრივი გვეცაო.

ი. დავითაშვილის დასაფლავების ორმოცი დღის თავზე მის საფლავზე ხალხი ბლომად შეიკრბა. პოეტის ლექსებთან ამოღებული სტრიქონებით მრავალი ვკირგვინის ზაფთა იყო დამშვენებული. პანაშვიდ ქალზე შერძინობიარე სიტყვით გამოვიდა იოსების ნიჭის თავყანისმცემელი ამავდარი პედაგოგი ივ. როსტომაშვილი და რუისპირის სკოლის მასწავლებელი ზ. გულისაშვილი.

ჩვენს დედაქალაქშიც პატრივისცემით მოიგონეს ტანჭული პოეტი. კალოუზნის ეკლესიაში ვადახლო პანაშვიდს მრავალი თბილისელი დაესწრო. პანაშვიდზე შერჯნებარე სიტყვით გამოვიდა ჩვენი ერის სიამავე ილია ჭავჭავაძე.

„როცა ვეკვძს არ ვინახავთ, როცა ეკარავთ, ვტირით...“ — ასე დაიწყო სიტყვა დედამ ილიამ და მეშა-პოეტის ცხოვრების მოკლე გზა ნათელი ფერებით დაუხატა მსმენელებს.

იოსებ დავითაშვილის სახელის პოეტლარხაციის საქმეზე განსაკუთრებით თელავანინთ როლი შესარულა ილ. ჭავჭავაძის ფრიად მნიშვნელოვანმა წერალმა, რომელიც 1887 წლის „ივერის“ № 61-ში იყო გამოქვეყნებული:

„დადუმდა სამუდამოდ კიდევ ერთი პოეტო! მისწუდა ჩვენს ცას ერთი ცოტად თუ ზეერად მანათობელი ვარსკვლავი, ერთი ამ რჩეულთაგანი იყო იგი გლეხკაცი, იგი მღაბიო, რომელსაც დღეს ჩვენ იოსებ დავითაშვილის სახელით ეურთხვეით ვიხსენებთ და ვგლოვობთ“.

ჩვენმა თანამედროვეობამ დაფასა პოეტი-ხელოსნის იოსებ დავითაშვილის ლიტერატურული ღვაწლი, რამდენწერმე გამოიყა მისი ლექსების კრებული. გამოქვეყნდა სანტერესო მოგონებები. თელავის ძველი სასაფლაოდან პოეტის ნეშტი ვადასვენებულ იქნა მთვე ერკვლასეული სასახლან ეზოში, ახლანდელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ბაღში.

1 ი. დავითაშვილის ნაწერები ღიზამ დიდიხნის შემდეგ ლიტერატურის მუზეუმს ვადასცა. 1 გაზ. „ივერია“, 1887 წ., № 64.

649/221

3360 80-333.


ИНДЕКС
76128
302-01101333

«МНАТОБИ»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ